



Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 C l a s s i c s o f M a r x i s m

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

<http://ciml.250x.com>



GEORGIA

Georgian Section
www.joseph-stalin.net

SHMG Press

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

№ 25050



ლენინი

თხზულებანი

39

იგეჟდეგა
რკკ(ბ) IX ურილოგისა
და სსრკ საგჟოგის
II ურილოგის
დადგენილეგით

ИНСТИТУТ МАРКСИЗМА-ЛЕНИНИЗМА при ЦК КПСС

В. И. ЛЕНИН

СОЧИНЕНИЯ

Издание четвертое

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
МОСКВА 1960

საქართველოს კკ ც კ-თან არსებული პარტიის ისტორიის
ინსტიტუტი — სკკპ ც კ-თან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის
ინსტიტუტის ფილიალი

კ. ი. ლენინი

თხზულებანი

ბამოცემა მეოთხე

ბ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ბ ა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი --- 1965

პ. ი. ჯენინი

ტომი

39

რეპუბლიკის
ინფორმაციის უწყისებები

წინასიტყვაობა

ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-4 გამოცემის ოცდამეცხრამეტე ტომი შეიცავს «რვეულებს იმპერიალიზმის შესახებ» — მოსამზადებელ მასალებს ნაწარმოებისათვის «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია», რომელიც დაწერილია 1916 წლის პირველ ნახევარში. ამ კლასიკურ შრომაში ლენინმა პირველად მოგვცა ღრმა და ყოველმხრივი ანალიზი კაპიტალიზმის უმაღლესი სტადიისა, რომელიც XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე დაიწყო. მან გვიჩვენა, რომ იმპერიალიზმი გაიზარდა როგორც განვითარება და განგრძობა კაპიტალიზმის ძირითადი თვისებებისა, რომ მის ყველაზე ღრმა საფუძველს, ეკონომიურ არსს შეადგენს მონოპოლიების ბატონობა, რომ იმპერიალიზმი კაპიტალიზმის უკანასკნელი სტადიაა. ლენინმა უცილობლად დაამტკიცა, რომ მონოპოლისტურამდელი კაპიტალიზმისაგან განსხვავებით, როცა კაპიტალიზმი ჯერ კიდევ აღმავალი ხაზით ვითარდებოდა, — მონოპოლისტური კაპიტალიზმი წარმოადგენს პარაზიტულ, ლობად და მომაკვდავ კაპიტალიზმს, როცა კაპიტალიზმის ყველა წინააღმდეგობამ მიაღწია უკიდურეს ზღვარს, რომლის იქითაც სოციალისტური რევოლუცია იწყება.

იმპერიალიზმის შესახებ ლენინის შრომის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან მოგვცა სოციალისტური რევოლუციის ახალი თეორიის ეკონომიური დასაბუთება. იმპერიალიზმის მარქსისტულ ანალიზზე დაყრდნობით და იმპერიალიზმის პერიოდში კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობის თავის მიერ აღმოჩენილი კანონის საფუძველზე ლენინმა მეცნიერულად დაამტკიცა, რომ მონოპოლისტური კაპიტალიზმის ეპოქაში შეუძლებელია სოციალისტური რევოლუციის ერთსა

და იმავე დროს გამარჯვება ყველა ან მეტწილ ცივილიზებულ ქვეყნებში და რომ სავსებით შესაძლებელი და გარდუვალია სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად რამდენიმე ან თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ, ქვეყანაში. სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია უდიდესი წვლილია მარქსიზმის საგანძურში, იგი აიარაღებს ყველა ქვეყნის მუშათა კლასს იმპერიალიზმისაგან ვანთავისუფლებისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის ნათელი და მკაფიო პროგრამით. სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის დიადი ძალა და ცხოველმყოფელობა დადასტურებულია პრაქტიკით— პროლეტარული რევოლუციების გამოცდილებით რუსეთში, ჩინეთში და ევროპისა და აზიის სხვა ქვეყნებში, რომლებიც ამჟამად მსოფლიო სოციალისტურ სისტემას შეადგენენ.

ლენინის წიგნი «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია» უდიდესი და დაძაბული შრომის შედეგია. ამას დამაჯერებლად და ნათლად გვიჩვენებენ ლენინის «რვეულები იმპერიალიზმის შესახებ», რომლებიც ამ ტომშია გამოქვეყნებული და შეიცავენ ვრცელ და მრავალფეროვან მოსამზადებელ მასალებს ამ ნაწარმოებისათვის. ცნობილია, რომ მარქსმა თავისი მთავარი შრომის «კაპიტალის» შექმნისათვის უდიდესი ფაქტიური მასალა გამოიყენა. ახალ ისტორიულ ეპოქაში კაპიტალიზმს რომ იკვლევდა, ლენინმაც უდიდესი რაოდენობით შეისწავლა და გადაამუშავა მასალები სულ სხვადასხვა საკითხებზე. თავისი ნაწარმოების «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია» დასაწერად ლენინმა გამოაყენა ასობით წიგნი, დისერტაცია, ბროშურა, საჟურნალო და საგაზეთო სტატია, სტატისტიკური კრებულები, რომლებიც ძირითადად უცხო ენებზე იყო გამოცემული. ლენინის «რვეულები იმპერიალიზმის შესახებ» შეიცავს ამონაწერებს 148 წიგნიდან (აქედან 106 გერმანული, 23 ფრანგული, 17 ინგლისური და 2 რუსულად თარგმნილი წიგნიდან) და 232 სტატიიდან (აქედან 206 გერმანული, 13 ფრანგული და 13 ინგლისური სტატიიდან), რომლებიც მოთავსებული იყო 49 სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში (34 გერმანულ, 7 ფრანგულ და 8 ინგლისურ გამოცემაში).

თუმცა «რვეულები იმპერიალიზმის შესახებ» არ წარმოადგენენ დამთავრებულ ნაწარმოებს, მათ უდიდესი მეცნიერული ღირებულება აქვთ, ისინი დიდმნიშვნელოვანი წვლილია მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის განვითარებაში. «რვეულების» უმდიდრესი მასალები ხელს უწყობენ მონოპოლისტური კაპიტალიზმის გაღრმავებულად შესწავლას, ისინი

ნი ფართოდ ავსებენ და განმარტავენ ლენინის შრომის «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია» ძირითად დებულებებს.

უდიდესი მეცნიერული და შემეცნებითი მნიშვნელობა «რევულებისა იმპერიალიზმის შესახებ» იმაში მდგომარეობს, რომ ისინი გვიჩვენებენ ლენინური კვლევის ლაბორატორიას, ახასიათებენ ლენინის მეცნიერული მუშაობის მეთოდებს, მის მიდგომას შესასწავლი მასალისადმი, ეკონომიური და ისტორიული ფაქტებისადმი, სტატისტიკური მონაცემებისადმი, ისინი გვიჩვენებენ ლენინური ანალიზის მეთოდოლოგიასა და მუშაობის ხერხებს. დიდ ინტერესს წარმოადგენენ მოსამზადებელი მასალები, რომლებიც ასახავენ ლენინის მიერ თავისი წიგნის «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია», გეგმის შემუშავებას დაწყებული პირველი მონახაზით (თემისადმი მიდგომით), რომელშიც პრობლემების სანიმუშო ნუსხაა, და დამთავრებული კვლევის გაშლილი პროგრამითა და წიგნის დეტალური სტრუქტურით, რომელშიც მოცემულია თვითეული თავის დაწვრთვებითი შინაარსი (იხ. ეს ტომი, გვ. 99, 188—190, 220—235).

«რევულებში იმპერიალიზმის შესახებ» ლენინი უაღრესად გულდასმით ადევნებს თვალს მონოპოლისტური კაპიტალიზმის ძირითადი თვისებებისა და ნიშნების ჩასახვასა და განვითარებას: წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციას, რამაც განვითარების ისეთ მაღალ საფეხურს მიაღწია, რომ შექმნა მონოპოლიები, რომლებიც სამეურნეო ცხოვრებაში გადამწყვეტ როლს ასრულებენ; საბანკო კაპიტალს შეერთებას მრეწველობასთან და ფინანსური ოლიგარქიის შექმნას; კაპიტალს გატანას, რომელსაც, საქონლის გატანისაგან განსხვავებით, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მიენიჭა; კაპიტალისტთა საერთაშორისო მონოპოლისტური კავშირების შექმნას; უდიდესი კაპიტალისტური სახელმწიფოების მიერ დედამიწის ტერიტორიული განაწილების დამთავრებას და მათ შორის მსოფლიოს გადანაწილებისათვის ბრძოლას; კაპიტალიზმის პარაზიტუზმისა და ლპობის ზრდას. ლენინი გვიჩვენებს, რომ იმპერიალიზმისათვის დამახასიათებელია ფინანსური კაპიტალისა და მონოპოლიების ყოვლისშემძლეობა და ძალმომრეობა, რომ იმპერიალიზმის პოლიტიკური თავისებურებაა რეაქცია მთელი ხაზით. უაღრესად ვრცელი ფაქტური მასალით იგი ცხადყოფს იმპერიალიზმის ღრმა წინააღმდეგობებს.

ლენინი ამ მიზნით იყენებს მისთვის ხელმისაწვდომ ყველა წყაროს მსოფლიო ლიტერატურისას ეკონომიკისა და ტექნიკის, უახ-

ლესი ისტორიისა და გეოგრაფიის, პოლიტიკისა და დიპლომატიის, მონოპოლისტური კაპიტალიზმის ეპოქის მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დარგებში. მხედველობის არეს გარეთ არა რჩება არც ერთი ქვეყანა, სახალხო მეურნეობის არც ერთი დარგი ან საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სფერო. ლენინი ყურადღებით სწავლობს როგორც სოლიდურ ეკონომიურ და ისტორიულ მონოგრაფიებს, რომლებიც კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების უმნიშვნელოვანეს ტენდენციებს აშუქებენ, ასევე: ცალკეული საკითხებისადმი მიძღვნილ მცირე სტატიებს ჟურნალებსა და გაზეთებში. მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი წყაროების კრიტიკული გადამუშავებით ლენინი ამზადებს საიმედო საფუძველს სარწმუნო მასობრივი მონაცემებისას (ფაქტებისა და ციფრებისას), რომლებიც აუცილებელია იმპერიალიზმის შესახებ თავისი თეორიული დებულებებისა და დასკვნების ყოველმხრივი დასაბუთებისათვის.

კაპიტალიზმის განვითარების მონოპოლისტური სტადიის გამოკვლევისას ლენინი სწავლობს სხვადასხვა წყაროებს, რომლებიც ასახავდნენ სხვადასხვა მიმართულებასა და მიმდინარეობას ეკონომიურ მეცნიერებაში. ლენინს უხდებოდა საქმე: ჰქონოდა გამოკვლევებთან და წიგნებთან, რომელთა ავტორები ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ეკონომისტები და სტატისტიკოსები, ისტორიკოსები და დიპლომატები, ფინანსური საქმოსნები და პარლამენტის მოღვაწეები, სხვადასხვა ჯურის რეფორმისტები და რევოიზიონისტები იყვნენ. წყაროების შესწავლისას თავის შენიშვნებში ლენინი ამხილებს იმპერიალიზმის ბურჟუაზიულ იდეოლოგიებსა და რეფორმისტ აპოლოგეტებს, აბათილებს მათს ფსევდომეცნიერულ მსჯელობას. ამავე დროს ლენინი შეარჩევს და იყენებს ფაქტიურ მონაცემებს, რომლებსაც აღნიშნული წყაროები შეიცავენ.

პროფ. რობერტ ლიფმანის სქელტანიანი «ხუთასგვერდიანი» წიგნის «მონაწილეობისა და დაფინანსების საზოგადოებრივი» დამუშავების შემდეგ, ლენინი მას ასეთ დახასიათებას აძლევს: «ავტორი აშკარა სულელია, აუკვიატებია დეფინიციები — ყოველად სულელური რამ — და განუწყვეტილად უტრიალებს სიტყვა «სუბსტიტუციას». დასაფასებელია ფაქტიური მონაცემები, მეტწილად სრულიად დაუმუშავებელი (ეს ტომი, გვ. 371). ამ წიგნში მოთავსებულ სტატისტიკურ მონაცემებს, სხვა წყაროებით შემოწმებულსა და შევსებულს, ლენინი იყენებს ნაშრომში «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია», როცა ახასიათებს წარმოების მზარდ კონცენტრა-

ციას და უმსხვილესი მონოპოლიების შემოსავალთა გადიდებას. გერმანული იმპერიალიზმის თავგამოდებული აპოლოგეტის შულცე-გევერნიცის წიგნის «ბრატანეთის იმპერიალიზმის» დაკონსპექტებისას ლენინმა ავტორის შესახებ ჩაწერა: «უდიდესი არამზადა, უგვანო, კანტელი, რელიგიის მომხრე, შოვინისტია, — შეუგროვებია ზოგიერთი ძალიან საინტერესო ფაქტი ინგლისის იმპერიალიზმის შესახებ და მარჯვედ და ცოცხლად დაუწერია წიგნი. მოუვლია ინგლისი, ბევრი მასალა და დაკვირვება შეუგროვებია. ძარცვა-გლეჯით გაკეთდით, ბ-ნო ინგლისელებო, ჩვენც დაგვანებეთ ვძარცვოთ, ძარცვა-გლეჯა «ვაკურთხოთ» კანტით, ღვთაებით, პატრიოტიზმით, მეცნიერებითო = აი ამ «მეცნიერის» პოზიციის არსი!! (ბევრია ზედმეტი ყბედობაც)» (გვ. 453). ფაქტიურ მასალას ამ წყაროდან ინგლისური იმპერიალიზმის შესახებ ლენინი იყენებს თავის ნაშრომში.

«რვეულები იმპერიალიზმის შესახებ» გვიჩვენებენ, როგორ შეარჩევდა ხოლმე ლენინი ვრცელი მასალებიდან, მრავალრიცხოვანი წყაროებიდან სარწმუნო მონაცემებს, რომლებიც ახასიათებდნენ მონოპოლისტური კაპიტალიზმისათვის ჩვეულ ძირითად და ტიპურ მოვლენებს. «...უამრავი დეტალები, ზედმეტი, მოსაწყენი; გვერდს ვუვლი მათ», — წერს ლენინი ერთი წიგნის შესახებ (გვ. 79). მეორე წყაროს შესახებ იგი შენიშნავს, რომ მასში «უმდიდრესი მონაცემების გულდასმით შერჩეული კრებულია ((უამრავი ძირითადი ციფრებია))... ვარჩევ უმნიშვნელოვანესს» (გვ. 448—449). ბევრ შემთხვევაში ლენინი წყაროებში გაბნეული მონაცემებიდან თვითონ ადგენს კრებსებსა და ცხრილებს. ამა თუ იმ წიგნის შესწავლისას ლენინი განსაკუთრებული ყურადღებით აკეთებდა მითითებებს მასში გამოყენებულ წყაროებზე, შემდეგ კი გადაათვალიერებდა და შეისწავლიდა ხოლმე ამ წყაროებს.

«რვეულებში იმპერიალიზმის შესახებ» მოყვანილია დაწვრილებითი ფაქტიური და სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ კაპიტალიზმის მონოპოლისტური სტადიის ძირითად ნიშნებს, აგრეთვე მრავალი დამოწმება ყველა ქვეყნის ბურჟუაზიული მეცნიერებისა, რომლებიც იძულებული არიან აღიარონ კაპიტალიზმის უახლესი ეკონომიკის უცილობლად დადგენილი ფაქტები. მთელი ეს მასალა, როგორც ლენინი აღნიშნავდა, საჭირო იყო იმისათვის, რომ «მკითხველისათვის... მიგვეცა რაც შეიძლება უფრო დასაბუთებული წარმოდგენა იმპერიალიზმზე» (თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 22, გვ. 336).

«რევულები იმპერიალიზმის შესახებ» რუსეთში მონოპოლისტური კაპიტალიზმის დამახასიათებელ მნიშვნელოვან მასალას შეიცავენ. წიგნში «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია», რომელიც გათვალისწინებული იყო ლეგალური გამოცემისათვის, ლენინი იძულებული იყო ჩამოეყალიბებინა თავისი შენიშვნები საერთოდ რუსეთის იმპერიალიზმის მიმართ და კერძოდ მეფის რუსეთის მტაცებლური პოლიტიკის მიმართ «უდიდესი სიფრთხილით, გადაკვრით, იმ ეზოპური — წყეული ეზოპური — ენით, რომლის ხმარებასაც აიძულებდა ცარიზმი ყველა რევოლუციონერს, როდესაც ისინი «ლეგალური» ნაწარმოების დასაწერად კლამს ჰკიდებდნენ ხელს» (იქვე, გვ. 231). «რევულებში იმპერიალიზმის შესახებ», რომლებიც თავისუფალია ცენზურული დაბრკოლებებისაგან, ლენინს მნიშვნელოვანი რაოდენობით მოჰყავს ფაქტები, იძლევა მათს შეფასებას, აკეთებს შენიშვნებს რუსეთის იმპერიალიზმის სხვადასხვა მხარის შესახებ. ყველა ამ მასალას დიდი მნიშვნელობა აქვს; იგი შეავსებს იმას, რასაც შეიცავს რუსეთზე ლენინის შრომა «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია».

კაპიტალიზმის უმაღლესი სტადიის ანალიზისათვის ლენინი თავის რევულებში და წიგნში იმპერიალიზმის შესახებ იყენებს ძირითადად პირველი მსოფლიო ომამდელი პერიოდის ფაქტურ მასალებსა და სტატისტიკურ მონაცემებს. მომდევნო წლებისა და ჩვენი დროის კაპიტალისტური ეკონომიკის ახალი მონაცემები მთლიანად ადასტურებენ იმპერიალიზმის ლენინურ ანალიზს, მის ძირითად თვისებებს და ნიშნებს და განვითარების ტენდენციებს, დამაჯერებლად გვიჩვენებენ მონოპოლიების მხრივ ძალმომრეობისა და ჩაგვრის ზრდას, კაპიტალიზმის პარაზიტუზმისა და ლაპობის გაძლიერებას, მისთვის დამახასიათებელ წინააღმდეგობათა გამწვავებასა და გაღრმავებას.

ლენინის «რევულები იმპერიალიზმის შესახებ» წარმოადგენენ მეცნიერებაში პარტიულობის მკაფიო ნიმუშს, მათი ძირითადი ნიშანია მეტროპოლი, ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ იდეოლოგთა, რეფორმისტთა და რევოიონისტთა წინააღმდეგ შემტევი ხასიათი. ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს «კაუცკელობის» მხილებას, იგი მძაფრად აკრიტიკებს იმპერიალიზმის ლაქიებს, რომლებიც მარქსისტულ სამოსელში ეხვეოდნენ. კაუცკელები ჩქმალავდნენ იმპერიალიზმის წინააღმდეგობებს, ცდილობდნენ შეელამაზებინათ» კაპიტალიზმი, «მომხრენი იყვნენ სუფთა, გადასლექილი, ზომიერი და აკურატული კაპიტალიზმისა» (ეს ტომი,

გვ. 99). ლენინმა დაგვანახვა, რომ «ფინანსური კაპიტალიზმი არ სპობს კაპიტალიზმის დაბალ (ნაკლებად განვითარებულ, ჩამორჩენილ) ფორმებს, არამედ იზრდება მათგან, მათზე», რომ «ფინანსური კაპიტალი (მონოპოლიები, ბანკები, ოლიგარქია, მოსყიდვა etc.) კაპიტალიზმის შემთხვევითი ხორცმეტი კი არ არის, არამედ კაპიტალიზმის უცილობელი გაგრძელება და პროდუქტია» (გვ. 182—183).

იმპერიალიზმის მეცნიერული ანალიზით, რომელიც თანამედროვე კაპიტალიზმის რეალურმა სინამდვილემ დაადასტურა, ლენინმა დაამტკიცა ულტრაიმპერიალიზმის კაუცკური თეორიის უსუსურობა და რეაქციულობა. «რვეულებში იმპერიალიზმის შესახებ» ნაჩვენებია, რომ ნაცვლად რევოლუციური ბრძოლისა იმპერიალიზმის დასამხობად ოპორტუნისტები და რევიზიონისტები კაპიტალთან შერიგებისათვის იღწვიან; ისინი ამხინჯებენ იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის განვითარებაში უმაღლესი და უკანასკნელი სტადიის, როგორც მსოფლიო კაპიტალიზმის მზის ჩასვენების პერიოდის არსს. «იმპერიალიზმთან ბრძოლა, ოპორტუნისტთან უბრძოლველად და კავშირის გაუწყვეტლად, მოტყუებაა», — წერს ლენინი ნაშრომის «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია» გეგმის მონახაზში (გვ. 232).

ლენინის «რვეულები იმპერიალიზმის შესახებ» ამჟამადაც წარმოადგენენ რევოლუციური მარქსიზმის საბრძოლო იარაღს. ისინი ეხმარებიან კომუნისტურ და მუშათა პარტიებს აწარმოონ ბრძოლა იმპერიალისტური რეაქციის იდეოლოგიის წინააღმდეგ, თანამედროვე რეფორმიზმისა და რევიზიონიზმის ყველა გამოვლინების წინააღმდეგ. ჩვენს ეპოქაში, რომლის ძირითადი შინაარსია კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა, როცა სოციალისტური სისტემა წარმატებით ეჯიბრება დრომოჭმულ კაპიტალისტურ სისტემას, ძველი წყობილების დამცველნი ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ შეალამაზონ იგი, ჩამოაშორონ მშრომელი მასები აქტიურ ბრძოლას სოციალიზმისათვის, გადასდონ მათ კაპიტალიზმთან შემთანხმებლობის რეფორმისტული იდეები. იმპერიალისტები ყოველნაირად აქეზებენ კაპიტალისტური საზოგადოების «გაჯანსაღებისა» და რეფორმირების ყოველნაირი თეორიებისა და ვეგემების შეთხზვას, რომელთა მიზანია მისი უკედავყოფა «სახალხო კაპიტალიზმის» თუ «დემოკრატიული სოციალიზმის» საფარქვეშ. ბურჟუაზიას მის ბრძოლაში კაპიტალიზმის შენარჩუნებისათვის ეხმარებიან თანამედროვე რევიზიონისტები, რომლებიც იმეორებენ კაუცკელობის გაკოტრებულ უბა-

დრუკ იღებეს. ისინი ცდილობენ რევოლუციური სული ამო-
 აცლონ მარქსიზმს, «მოდველებულად» აცხადებენ მარქსიზმ-
 ლენინიზმს, გამოდიან სოციალისტური რევოლუციისა და
 პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ. ამახინჯებენ რა
 სინამდვილეს, რევიზიონისტები ამტკიცებენ, თითქოს თანა-
 მედროვე კაპიტალიზმი ძირეულად შეიცვალა — პროლეტა-
 რიატი თითქოს აღარ არის ჩაგრული და ექსპლოატირებული
 კლასი, კაპიტალისტები კი მშრომელები გახდნენ; თითქოს
 ანტაგონიზმი შრომასა და კაპიტალს შორის, ბრძოლა პრო-
 ლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის შეიცვალა ზავითა და თა-
 ნამშრომლობით და კაპიტალისტური საზოგადოების წინაშე
 გაიხსნა აყვავებისა და «საყოველთაო კეთილდღეობის» გზა.
 ლენინის «რევულები იმპერიალიზმის შესახებ» რევოლუცი-
 ურ მარქსისტებს აძლევენ მითითებებსა და ნიმუშებს, თუ
 როგორ გაუწიონ მეცნიერული კრიტიკა და ამხილონ ბურჟუა-
 აზიული წყობილების თანამედროვე აპოლოგეტების ასეთი
 თეორიები იმპერიალიზმის «სახალხო კაპიტალიზმად» გადაქ-
 ცევისა და სოციალიზმში მისი მშვიდობიანი «შეზრდის» შე-
 სახებ.

დიდ ინტერესს წარმოადგენს ტომში მოთავსებული გეგმე-
 ბი და კონსპექტები — პირველი მსოფლიო ომის პერიოდის
 ცალკეული სტატიებისა და რეფერატებისა, რომლებიც «იმპე-
 რიალიზმის შესახებ რევულების» პირდაპირ და უშუალო და-
 მატებას წარმოადგენენ. ამ სტატიებსა და რეფერატებს უდი-
 დესი მნიშვნელობა აქვთ იმპერიალიზმისა და სოციალისტური
 რევოლუციის ლენინური თეორიის გაგებისათვის. წიგნის «იმ-
 პერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია»
 პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში, რომელიც დათარიღე-
 ბულია 1917 წლის 26 აპრილით, ლენინი მიუთითებს მკითხველს
 საზღვარგარეთ დაწერილ თავის 1914—1917 წლების სტატიებ-
 ზე. ამ სტატიებში, რომლებიც გამოქვეყნებულია ბურჟუაზიუ-
 ლი ცენზურისაგან თავისუფალ პარტიულ პრესაში, დასაბუ-
 თებული და განვითარებულია დებულებანი იმის შესახებ, რომ
 იმპერიალიზმი სოციალისტური რევოლუციის წინაღუდაა, რომ
 სოციალ-შოვინიზმი (სიტყვით სოციალიზმი, საქმით შოვინი-
 ზმი) არის სრული დალატი სოციალიზმისადმი, სრული გადას-
 ვლა ბურჟუაზიის მხარეზე, რომ მუშათა მოძრაობის გათიშვა
 ვანუყრელად დაკავშირებულია იმპერიალიზმის ობიექტურ
 პირობებთან და ა. შ.

ტომის შემადგენლობაში შევიდა ლენინის 20 რევულები იმპე-
 რიალიზმის შესახებ და 1912—1916 წლების ცალკეული ჩანა-

წერები, რომლებიც პირველად გამოქვეყნდა 1933—1938 წლებში ლენინის XXII, XXVII, XXVIII, XXIX, XXX, XXXI კრებულებში. რვეული «ბ» («დელტა») პირველად გამოქვეყნდა რუსულად თარგმნილი 1938 წელს ჟურნალ «პროლეტარსკაია რევოლუციისთვის» № 9, გვ. 171—184, ვინაიდან ნაპოვნი იქნა უფრო გვიან. 1939 წელს მთელი ეს მასალები გამოიცა ცალკე წიგნად სახელწოდებით «რვეულები იმპერიალიზმის შესახებ».

პირველი 15 რვეული, რომლებიც მონიშნულია ბერძნული ალფაბეტის ასოებით, ტომში დალაგებულია ლენინის ასოთნუმერაციის რიგით. ისინი ვლადიმერ ილიას ძეს გამოყენებული აქვს წიგნის «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია» გეგმაში, რომელიც ჩაწერილია «ყ» («გამა») რვეულში (ტომის გვ. 220—235; იმ ადგილებში, სადაც ლენინი იმოწმებს რვეულის გვერდებს, აქ დამოწმებულია ამ ტომის გვერდები და ციფრები ჩასმულია კვადრატულ ფრჩხილებში). ეს 15 რვეული ფართოდ გამოყენებული აქვს ლენინს თვით წიგნშიც «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია». უკანასკნელ 5 რვეულს ლენინის ნუმერაცია არა აქვს და ტომში დალაგებულია დანომრილი რვეულების შემდეგ ქრონოლოგიური რიგით. რვეულებს გარდა ტომის შემადგენლობაში შესულია ლენინის ცალკეული ჩანაწერები 1912—1916 წლების პერიოდში, რომლებიც შინაარსით უშუალოდ უახლოვდებიან «რვეულებს» და წარმოდგენენ იმპერიალიზმის თეორიის იმავე მეცნიერული დამუშავების გაგრძელებას. ისინი გამოქვეყნებული იყო ლენინის XXIX კრებულში და ნაწილობრივ XXX კრებულში.

«იმპერიალიზმის შესახებ რვეულების» წინა 1939 წლის გამოცემასთან შედარებით ამ ტომის შემადგენლობაში «1912—1916 წწ. ცალკეული ჩანაწერების» კარში დამატებით შეტანილია შემდეგი მასალები: 1) ე. კორადინი. «იტალიური ნაციონალიზმი», 2) ნიტი. «უცხოეთის კაპიტალი იტალიაში», 3) რ. ლიფმანი. «გვაახლოებს თუ არა ომი სოციალიზმს?», 4) «კონრადის წელიწდეულები 1915. ნაკვეთი 2. აგვისტო», 5) «სოციალური პოლიტიკის საზოგადოების შრომები», 6) «სოციალ-იმპერიალიზმი და მემარცხენე რადიკალიზმი», 7) «შესადარი ციფრების კარგი ნაკრები», 8) ე. რაპარი. «ეროვნული შეთანხმებისათვის», 9) ა. ბ. ჰარტი. «მონროს დოქტრინა», 10) ევგ. ფილიპოვიჩი. «მონოპოლიები». მცირეოდენი მასალები რედაქციამ შემადგენლობიდან ამოიღო, როგორც ისეთი, რომელსაც თემასთან უშუალო კავშირი არა აქვს.

ამონაწერებს, რომლებმაც შეადგინა «რვეულები იმპერიალიზმის შესახებ», ლენინი ორიგინალის ენაზე აკეთებდა. ყველა ამონაწერი მას გაკეთებული აქვს პირადად გარდა რვეულებისა «x» («კაპა»), «ბრეილსფორდი», «მარქსიზმისა და იმპერიალიზმის შესახებ», «იმპერიალიზმი», აგრეთვე ნაწილობრივ რვეულებისა «ღ» («ძეტა») და «ღ» («ლამბდა»), რომლებიც დაწერილი იყო ნ. კ. კრუპსკაიას მიერ ვლადიმერ ილიას ქის უშუალო მითითებებით.

ამ ტომში ყველა ამონაწერი მოცემულია რუსულად თარგმნილი. ამ გამოცემისათვის ყველა თარგმანი ხელახლა შემოწმებული და დაზუსტებულია. ტომში გამოყენებულია თარგმანები, რომლებიც გაკეთებულია თვით ლენინის მიერ მის წიგნში «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია» და სხვა ნაშრომებში. ციტატების ტექსტი ლენინის მიერ ჩამატებული სიტყვებისაგან გამოყოფილია ბრჭყალებით. პერიოდულ გამოცემათა სახელწოდებანი მოცემულია ორიგინალის ენაზე. უთარგმნელად დატოვებულია აგრეთვე მცირეოდენი საერთოდ ხმარებული ლათინური გამოთქმები, რომლებსაც ვხვდებით ლენინის ნაწერებში: etc. (და ა. შ.), versus (წინააღმდეგ), sic! (ასეა!), ibid. (იქვე) და სხვები. ფირმების, ბანკების, კომპანიების, ტრესტების და სხვა მონოპოლისტური გაერთიანებების სახელწოდებანი, რომლებიც ლენინის მიერ რვეულებში ამოწერილია უცხო ენაზე, ტომში მოცემულია რუსული ტრანსკრიპციით.

რვეულების ყველა სახელწოდება მოცემულია თვით ლენინის მიერ. ცალკეული წიგნებიდან, სტატეებიდან ამონაწერებს, მონახაზებს, ლიტერატურის მაჩვენებლებს გაკეთებული აქვს ცალკე სათაურები, რომლებიც აღებულია რვეულების იმ შინაარსიდან, რაც შედგენილი აქვს ლენინს, ან ამონაწერების ტექსტიდან. ტექსტის კიდებებზე შავი კურსივით ფრჩხილს შემდეგ მოცემულია რვეულების ხელნაწერი გვერდების ნუმერაცია, რომელიც გაკეთებულია ლენინის მიერ.

ტომში შენარჩუნებულია თავისებურებანი ლენინის ხელნაწერი ჩანაწერისა მის რვეულებში: მასალის მისი განლაგება, გვერდიდან მოხაზულები და ტექსტის შიგნით გახაზულები. ეს უკანასკნელი გადმოცემულია შრიფტების საშუალებით: ერთი სწორი ხაზით გახაზული იბეჭდება კურსივით; ორი სწორი ხაზით გახაზული — კურსივი დაყოფით; სამით — ნახევრადმუქით; ოთხით — ნახევრადმუქი დაყოფით; ერთი

ტალღისებური ხაზით — ნახევრადმუქი კურსივით; ორით — ნახევრადმუქი კურსივი დაყოფით.*


ამ გამოცემის მთელი ტექსტი კვლავ შემოწმებულია ვ. ი. ლენინის ხელნაწერებისა და პირველწყაროების მიხედვით, ხოლო აღმოჩენილი არასიზუსტენი ლენინის ხელნაწერების გაშიფრვაში და პირველწყაროებისადმი შეუსაბამობა თავიდან აცილებულია.

ხელახლა შემოწმებულ და ხელნაწერებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანილია მთელი სტატისტიკური მონაცემები. ჯამების, სხვაობებისა და პროცენტების გარეგნული არასიზუსტენი, რომლებიც ცალკეულ შემთხვევებშია, დატოვებულია უცვლელად, ვინაიდან ისინი აიხსნება რიცხვების დამრგვალებით, რაც ლენინს შესაბამისი წყაროების დაკონსპექტების დროს მოუხდენია.

ამ ტომში სტრიქონებსქვეშა შენიშვნებში მოცემულია მითითებანი წიგნზე «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია» და ლენინის სხვა ნაშრომებზე. ამით ნაჩვენებია «რვეულების» განუყრელი კავშირი წიგნთან და იქმნება შესაძლებლობა თვალნათლივ დავინახოთ, როგორ იყენებს ლენინი მოსაძზადებელ მასალებს იმპერიალიზმზე თავისი მეცნიერული შრომის შექმნაში.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული
მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი

* ქართულში შრიტის შესაძლებლობათა გათვალისწინებით წინამდებარე თარგმანში ლენინის ხელნაწერის თავისებურებანი გადმოცემულია შემდეგნაირად: ერთი და ორი სწორი ხაზით გახაზული იბეჭდება თ ერთი კორპუსი დაყოფით; სამით — მუქი კორპუსით; ოთხით — მუქი დაყოფით; ერთი და ორი ტალღისებური ხაზით გახაზული — მუქი დაყოფით. ქართ. გამოც. რედ.



რვეულები იმპერიალიზმის შესახებ¹

დაწერილია 1915 — 1916 წწ. რუსულ, გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ და სხვა ენებზე

პირველად დაიბეჭდა 1933—1938 წწ. ლენინის კრებულებში XXII, XXVII, XXVIII, XXIX, XXXI. რვეული «ბ» პირველად გამოქვეყნდა 1938 წელს ქურნალ «პროლეტარსკაია რევოლუციაში» № 9

იბეჭდება ხელნაწერების მიხედვით უცხო ენაზე გაკეთებული ამონაწერები და შენიშვნები მოცემულია რუსულ ენაზე თარგმნილად

¹ ვ. ი. ლენინი, ტ. 39.

რვეული

«L»
(«ბლზა»)

შინაარსი

რვეული ა. გვ. 1—48

უახლესი ეკონომიური ლიტერატურა

შინაარსი:

- 1—3*. შულცე-გევერნიცის დასასრული («სოციალური ეკონომიკიდან») + 31—35 (ფოგელშტაინი).
4. მონასახი სტატიისათვის «ჭაობთან» ბრძოლის შესახებ. ((შენიშვნები კაუცკიანელობის შესახებ.))
5. ლიტერატურის მითითებებიდან.
6. რავესტაინი ბალკანეთის პრობლემის შესახებ («Die Neue Zeit»², 1913).
- 7—8. ვერნერი რურის სამთამადნო მრეწველობაში კონცენტრაციის შესახებ («Die Neue Zeit», 1913).
9. მაიერი (კაპიტალის დაბანდება) და ლიტერატურის მითითებანი.
10. —
- 11—12. ლიფმანის ფრანკფურტში ლითონით ვაჭრობის შესახებ.
- 13—14. ბურჟუაზიული. მეცნიერები იმპერიალიზმთან ბრძოლის შესახებ. («დამორჩილებული რასები».)
15. მორიდი — «განყოფილებებიანი ფირმები».
16. ლიტერატურის მითითებანი.
17. Idem.
18. შილდერი. «Weltwirtschaftliches Archiv»-ის 5 ტომი (არა მისი თხზულება).

* ლენინის რვეულის ხელნაწერის გვერდები. რ ე დ.

19. აღნიშვნები «ნაშე სლოვოდან»...
20. —
21. ლიტერატურის მითითებანი.
22. კაპიტალის თანხები აქციონერთა საზოგადოებებში.
- 23—28. კ ე ს ტ ნ ე რ ი. «ორგანიზების დაძალება».
29. ვენის «Arbeiter-Zeitung»-ი ვენის ბანკების შესახებ.
30. «The Annals of the American Academy».
- 31—35. დასასრული ამონაწერებისა «სოციალური ეკონომიკიდან».
36. —
37. ლიტერატურის მითითებანი.
38. შ ტ ი ლ ი ხ ი. «ფული და საბანკო საქმე».
- +41—42.
- 39—40. ლ ი ფ შ ა ნ ი. «კარტელები და ტრესტები».
- 43—48. «სოციალური ეკონომიკიდან»... (შ უ ლ ც ე - გ ე - ვ ე რ ნ ი ც ი).
- (+1—3)
(და 31—35)

ლიტერატურის მითითებანი:

გვ. 5.	გვ. 21 + 32	გვ. 44.
გვ. 9.	გვ. <u>37</u> NB	გვ. 46.
გვ. 17 + 16.	გვ. 38.	გვ. 48.

მონასახი სტატისტიკის «ჭაობთან» ბრძოლის შესახებ
(შენიშვნები კაპიტალიზმის შესახებ)

4) ჩ ვ ე ნ ი ბ რ ძ ო ლ ა «ჭაობის» წინააღმდეგ.

ჭაობი = კ. კაუცკი, ჰიუსმანსი etc.

მნიშვნელობა პლენარის, ჰაინდმანს, ჰაინესა და კ. კაუცკის, ვანდერველდეს etc. შორის განსხვავებისა. 2 «ელფერი».

ეკლექტიკა ნაცვლად დიალექტიკისა. «საშუალო»:

უკიდურესობათა «შერიგება», ნათელი, გარკვეული, მკვეთრი დასკვნის უქონლობა, შერყეობა.

კლასობრივ წინააღმდეგობათა შერიგება და შესუსტება სიტყვით, მაშინ როცა ისინი სინამდვილეში გამწვავებულა.

შერიგება ოპორტუნიზმთან.

ოპორტუნიზმთან თეორიული და პრაქტიკულ-პოლიტიკური უფსკრულის მიჩქმალვა.

უარყოფა (რენეგატობა) ბროშურაში «გზა ძალაუფლებისაკენ» გამოთქმული თვალსაზრისისა და ბაზელის მანიფესტის რევოლუციური არსისა (და რევოლუციური ტაქტიკისა)³...

განსხვავება ცნებების «მარქსისტული ცენტრი» (=დამოუკიდებელი პოლიტიკა, დამოუკიდებელი იდეები, დამოუკიდებელი თეორია) და «ჭაობისა» (=მერყეობა, უპრინციპობა, «ტრიალა» («Drehscheibe»), ფლუგერი).

არალეგალური ორგანიზაცია.

მუშაობა ჯარში.

მასობრივი მოქმედების მხარდაჭერა და განვითარება.

NB || კაზიონური ოპტიმიზმი: ამბების ობიექტური მიმდინარეობა...

NB || ყველაფერი უკეთესობისაკენ უნდა იყოს. «პროლეტარიატი» და «კლასობრივი ბრძოლა» «საერთოდ» - «პროცესი»

NB || შეად. მარტოვი სოციალიზმის «უიმედობის» შესახებ, თუ... ოპორტუნიზმი უიმედოა!!!

«ჭაობთან ბრძოლის» არსი უნდა იყოს არა უარყოფა ლეგალური მოღვაწეობისა და რეფორმებისათვის ბრძოლისა, არამედ რევოლუციური მოღვაწეობის ზემოაღნიშნული აღიარება.

შესაძლებლობა სოციალიზმისა და სინდიკალიზმის შეერთებისა ახალი და უფრო ღრმა ხაზით გაყოფის დროს.

პარლამენტარიზმი და მისი სხვა გაგება. «არალეგალური პარლამენტარიზმი».

ლიტერატურის მითითებებიდან

ციურიხის კანტონალური ბიბლიოთეკის ფილო- (5) სოფიური წიგნებიდან:

გიდენონ სპიკერი. «ფილოსოფიისადმი ბუნებისმეტყველების დამოკიდებულების შესახებ» (განსაკუთრებით versus კანტი და ლანგეს «მატერიალიზმის ისტორია»). 8°. ბერლინი, 1874.

პეგელი. «ფენომენოლოგია» (ბოლანდის გამოც. 1907).

ერისკაუფმანი. «შეერთებული შტატების საგარეო ძლიერება და კოლონიური სიმძლავრე». ლაიპციგი, 1908 («შრომებში სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის შესახებ», ნაკვეთი I). იურიდიული გამოკვლევა. იმპერიალისტურმა პოლიტიკამ წარმოშვა კოლონიების საკითხი ამერიკაში.

- კანტონალური ბიბლიოთეკა (ციურიხი).
 «Journal asiatique» (პარიზი, 1857—1913-მდე და მე-10 სერიის ცხრილი. +მე-11 სერია, 1, 2 ტომები).
 «Giornale della società asiatica italiana». ტომი 1 (1887)—ტომი 26 (1913/4).
 კუზნეცოვი. «ცივილიზაციებისა და ენების ბრძოლა ცენტრალურ აზიაში». (დისერტაცია.) 8°. პარიზი, 1912.
 ლემან-ჰაუპტი. «სომხეთი». 8°. ბერლინი, 1910.
 ბიუხლერი. «კონგო—ლეოპოლდის სახელმწიფო». ციურიხი, 1912. 1914.
 ფრესი. «კონგოს აუზის დამოკიდებული ქვეყნების საერთაშორისო მდგომარეობა, მათი დაყოფა». 1907.
-
- კეტბრუსო. «ზანგების აღზრდა შეერთებულ შტატებში». დისერტაცია. პარიზი, 1904. («ამერიკული თხზულებები და ანგარიშები აღზრდის შესახებ»).
-
- «ინდოეთის აღწერა». (1911. ბომბეი, 1911.)
 მოფეტტი. «კანადის ამერიკანიზაცია». დისერტაცია. ნიუ-იორკი, 1907.
 პატუიე. «ამერიკული იმპერიალიზმი». (დისერტაცია. დიუხონი, 1904).
 ედ. დეტმანი. «ბრაზილიის აყვავება გერმანული გაშუქებით». 1908.
 ისიდა. «იაპონიის როგორც დიდი სახელმწიფოს საერთაშორისო მდგომარეობა». ნიუ-იორკი, 1905.
 ლეფევერი. «რკინიგზები როგორც სამხრეთ ჩინეთში შეღწევის გზა». დისერტაცია. პარიზი, 1902.
 რიუსიე. «ოკეანიის დაყოფა». დისერტაცია. პარიზი, 1905.

რამესტაინი ბალკანეთის პრობლემის შესახებ

- 6) ვ. ვან რავესტაინი. «ბალკანეთის პრობლემები». «Die Neue Zeit», 1913 (გამოცემის 31-ე წელი, 1-ლი ტომი), 15. XI. 1912.

«ასეთ ფედერაციას» (ბალკანეთის ქვეყნების ფედერაციას, თურქეთის ჩათვლით) «შეედგებოდა დაეკმაყოფილებინა ამ გეოგრაფიულად ერთიანი ოლქის კულტურული მოთხოვნებიანი, ევროპის იმპერიალიზმის, ისევე როგორც რუსეთის მსოფლიო სახელმწიფოს, წინააღმდეგობის დაეპირისპირებინა გადაულახავი დაპრკოლება. ბალკანეთის პრობლემის ყოველ სხვაგვარ გადაჭრას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ დროებითი ხასიათი და არ შეეძლება ხანგრძლივი დროის მანძილზე დაეკმაყოფილოს ყველა იქ მცხოვრები რასისა და ერის ინტერესები» (გვ. 228).

NB

«ევროპის იმპერიალიზმი ისევე როგორც ცარიზმი ბუნებრივია მთელი ძალებით გაუწევენ წინააღმდეგობას ბალკანეთის ყველა ქვეყნის ფედერაციას. მათი საერთო ინტერესი მიმართული იყო და კვლავ მიმართულია ამ ხალხებსა და თურქეთს შორის ურთიერთ მტრობისა და მეტოქეობის გამწვავებისაკენ, რათა მათთვის უფრო ადვილი იყოს ექსპლოატაციის გაწევა ამ ტერიტორიებისათვის როგორც კოლონიური ოლქებისათვის. გაიგებენ თუ ვერა თავიანთ საერთო ინტერესებს თურქეთისა და ბალკანეთის სახელმწიფოების სახელმწიფო მოღვაწეები და ბოლოს მოუღებენ თუ არა ამ განადგურებელ ომს ერთმანეთთან დაახლოებით? თუ ისინი ამას არ გააკეთებენ, თავიანთი ხალხების ინტერესებს მსხვერპლად შესწირავენ ევროპის კაპიტალიზმსა და ბალკანეთის ღინასტიების ინტერესებს» (გვ. 229).

NB

NB

პერნარი რურის სამთამადნო მრეწველობაში
კონცენტრაციის შესახებ

გ. ვ ე რ ნ ე რ ი. «კაპიტალის კონცენტრაცია რურის სამთამადნო მრეწველობაში». «Die Neue Zeit», 1913, გვ. 138 (25.X. 1912).

რ უ რ ის რაიონი:

1) ჯგუფი «დოიჩე ბანკი»

- | | |
|---|-----------|
| 4 პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა ს უჭირავს ღირექტორებისა და საბჭოს წევრების ადგილები 4 ბანკში: | |
| (α) «დოიჩე ბანკი»..... | 4-ვეს |
| (β) «ესენერ კრედიტანშტალტი»..... | 2 მათგანს |
| (γ) «ესენერ ბანკფერეინი»..... | 2 » |
| (δ) «ბერგიშ-მერკიშე ბანკი»..... | 2 |

ამ ბანკის «გავლენის სფეროში» შემაგავალი მაღაროები:	
20 მაღარო — 6 6 2 3 3 მუშა; 18.8 მლნ. ტონა (1907)	
7 2 5 9 4 მუშა; 19.3 მლნ. ტონა (1910)	
2) ჯგუფი «დრეზდნერ ბანკი» და «შაფჰაუზენშერ ბანკფერეინი»	
9 პიროვნებას უჭირავს დირექტორებისა და საბჭოს წევრების ადგილები ორივე ბ ა ნ კ შ ი.	
ამ ჯგუფის გავლენის ქვეშ არის:	
7 მაღარო:.... 2 3 2 6 9 მუშა — 5.88 მლნ. ტონა (1907)	
2 7 9 6 3 მუშა — 7.2 მლნ. ტონა (1910)	

7)

		მაღაროები ?	
		«Werke» ან «Zechen»	
კაბიტალის მფლობელები	მთავარი ბანკები	ფირმა, მაღაროების რაოდენობა და სხვა.	1910 მუშა (ათასობით) ტონა (მლნ.).
4. პიროვნება-პირადი უნია»	დოიჩე ბანკი + 3 სხვა ბანკი	(დოიჩერ ბანკ-კონცერნი) (20 მაღარო)	α 72.8 19.3
4 ბანკისა კანიელი		კერძო საკუთრება და მაღარო «გუტე შოფუნგსპიუტე» (2 მაღარო)	γ 35.1 9.9
კარლოფი	დისკონტოგეზელ-შაფტი»	გელზენკირხენერ ბანკ აკციენგეზელ-შაფტი»	ბ (1) 34.4 8.5
სტინესი	დისკონტოგეზელ-შაფტი»	კერძო საკუთრება და დოიჩლუქსემ-ბურგერი»	ბ (2) 34.8 9.1
	ბერლინერ ჰან-დელსგეზელშაფტი»	გარპენერ ბანკ აკციენგეზელ-შაფტი»	გ (1) 25.9 7.1
9 პიროვნება «პერსონალური უნია»	დრეზდნერ ბანკი», «შაფჰაუზენშერ ბანკფერეინი»	დრეზდნერ-შაფ-ჰაუზენერ ბანკეინი»	ბ (7) 28.0 7.2
	ბერლინერ ჰან-დელსგეზელშაფტი»	გებიერნია აკციენ-გეზელშაფტი»	გ (1) 18.8 5.4
		ტრენი γ	(1) 16.2 3.9
		კრუპი γ	(1) 12.2 3.1
		ფისკი	(1) 11.1 2.8
		Σ* =	288.8 75.9
		სულ რურის რაიონში	354.2 89.2
		% ამ ფირმებისა	81.8 85

* — ჯამი. რ ე დ.

მალაროების რაოდენობა	მუშა (ათასობით)	მლნ. ტონა	
ა) 20	72.6	19.3	«დოიჩე ბანკი»
ბ) 7	28.0	7.2	«დრეზდნერ ბანკი» + «შაფჰაუზენ-შერ ბანკფერეინი»
გ) 4	63.5	16.9	3 მანგატი
დ) 3	69.0	17.6	«დისკონტოგეზელშაფტი»
ე) 2	44.2	12.5	«ბერლინერ ჰანდელსგეზელშაფტი»
ფისკი) 1	11.1	2.8	

«რურის სამთამადნო მრეწველობაში მთელი ხალხის ინტერესები ეჯახება ინტერესებს კაპიტალისტთა სრულიად უმნიშვნელო რიცხვისას, რომელნიც ასიოდე თუ იქნებიან» (გვ. 144).

ამ სტატიაში, სხვათა შორის, ლაპარაკია იმაზე, განახლდება სინდიკატი თუ არა. კონრადის ქრონიკაში შემოწმდეს ამ დროისათვის (X—XII. 1912 და ა. შ.).

მაიერი (კაპიტალის დაბანდება) და ლიტერატურის მითითებანი

ლიტერატურიდან

(9)

დ-რი ა. მაიერი: «Neue Zürcher Zeitung»-ის კომერციული განყოფილების რედაქტორი. «კაპიტალის დაბანდება». (ციურიხი, 1912).

«პრაქტიკოსის» წიგნაკი: რჩევა-დარიგება კაპიტალისტებს.

სააქციო საზოგადოებათა მოგების სტატისტიკა გვ. 130—132.

ინგლისში 1893/1902 დაარსებულია 38928 საზოგადოება. აქედან 14538 = 37%-ს საქმეების ლიკვიდაცია უნდა მოეხდინა!! საფრანგეთში გაკოტრებულ საზოგადოებათა რიცხვია დაახლოებით 10% (ლერუა-ბოლიო).

აღინიშნოს ლიტერატურიდან:
ვილჰელმ გერდენი. «პირყაზე წარმატების საიდუმლოება». ბერლინი. (ს. დ.?)

გერმანელი პრივატ-სპეკულანტი, რომელმაც გადმოსცა «თავისი გამოცდილება». გვ. 139: «სრულიად უმნიშვნელო რიცხვი» იგებს ბირჟაზე. გვ. 149: 50-დან 1 შეებთხვევა მოგებისა სხვაობაზე გარიგებებში. ((უხვი მაგალითები თაღლითობისა etc. etc.))


- ა ფ რ ი კ ა ნ უ ს ი. «ოქროს საბადოების აქციები როგორც კაპიტალის დაბანდება». ლაიპციგი. მე-2 გამოცემა. 1911.
- ვ. რ უ ჰ ე ლ ი. «ოპერაციები სამთამადნო მრეწველობის ფასეულობებით». იენა, 1909.
- რ ე ნ ე ნ უ ე ლ ი. «აქციონერთა საზოგადოებანი». პარიზი, 1911.
- პ ი. შ ტ ა ი გ ე რ ი. «ტრესტები და კარტელები საზღვარგარეთ და შვეიცარიაში». ციურიხი.
- გ ა ლ ბ ე რ ტ ი. «სარგებლის განაკვეთის ისტორიული განვითარება გერმანიაში. 1895—1908».
- კ ე რ ლ ი. «მსოფლიოს ოქროს საბადოები». ლონდონი, 1902.
- ჰ უ მ პ ე ლ ი. «სპეკულაცია ოქროს საბადოების ფასიანი ქაღალდებით». (ფრეიბურგი, 1903).
- ტ. ჰ უ ბ ე რ ი. «როგორ უნდა წავიკითხოთ ბალანსი?» (შტუტგარტი, 1910).
- რ ო ბ ე რ ტ შ ტ ე რ ნ ი. «კომერციული ბალანსი» (ლაიპციგი, 1907).
- პ. ბ რ ო ზ ი უ ს ი. «ბალანსი» (ლაიპციგი, 1906).

ლიფმანი ფრანკფურტში ლითონით ვაჭრობის უმსახეზ

- 11) რ ო ბ ე რ ტ ლ ი ფ მ ა ნ ი. «ფრანკფურტში ლითონით ვაჭრობის საერთაშორისო ორგანიზაცია». «Weltwirtschaftliches Archiv», ტომი I, იენა, 1913, გვ. 108 და შემდ.

მ ე რ ტ ო ნ ი ს (ინგლისურ-გერმანული ოჯახი) საწარმოებიდან აღმოცენდა მერტონის კონცერნი.

ასრები კონცერტების მიმართულებით მუდის



«საერთოდ მერტონის კონცერსში მოთავსებულია, თუ არ ჩავთვლით, რა თქმა უნდა, მის უკან მდგომ კაპიტალისტთა კუთვნილ კერძო ქონებას, ალბათ **200 მილიონზე მეტი მარკა**» (გვ. 121).

«ფრანკფურტში ლითონით ვაჭრობა, რომელსაც, სხვათა შორის, ეკუთვნის ზოგიერთი სხვა მნიშვნელოვანი ფირმაც, ამრიგად თავისი საწარმოებით, განსაკუთრებით მერტონის კონცერსის საწარმოებით, ფაქტიურად მთელ მსოფლიოს მოიცავს» (გვ. 122).

სქემა (გვ. 120) [იხ. გვ. 11. რედ.]

ქალაქები ჩემი ჩაწერილია.

- 12) სავაჭრო კაპიტალი (მერტონისა) აქ მწარმოებლურ კაპიტალში გადავიდა.

«თანამედროვე საბითუმო ვაჭრობის დამახასიათებელ ნიშანს მის თითქმის ყველა დარგში წარმოადგენს მისი **შელწევარმოებაში**» (გვ. 111).

ელექტრული მრეწველობის შემდეგ («ალგემინე ელექტრიციტეტს გეზელშაფტი» გერმანიაში, «ჯენერალ ელექტრიკ კომპანი» ამერიკაში etc.) «მეწარმეობის ყველაზე უფრო ინტერნაციონალური დარგი გერმანიაში» (109) ალბათ ლითონით ვაჭრობაა (განსაკუთრებით სპილენძით, თუთიით, ტყვიით, კეთილშობილი ლითონებით — მთავარი ცენტრი ფრანკფურტი).

ახლანდელი მეთაური **დ-რი ვილჰელმ მერტონი** (საზოგადოებათა უმრავლესობის გამგეობის წევრი) ფრანკფურტშია. მამამისი — **ჰენრი რ. მერტონი** — ლონდონში.

ყველა ამ საზოგადოების მთავარი განსხვავება სხვა მსგავსი საზოგადოებებისაგან ის არის, რომ საქმის სათავეში მდგომი კაპიტალისტები ახლაც **პირდაპირ** (გვ. 119) მონაწილეობენ ყველა სავაჭრო და სამრეწველო საწარმოში. ისინი თავიანთ კაპიტალს ხალხის კაპიტალით «შეავსებენ» ხოლმე.

იმ «საზოგადოებათა» რიცხვი, რომლებშიც ისინი «მონაწილეობენ», რა თქმა უნდა, განუზომლად მეტია სქემაში ნაჩვენებზე.

ბურჟუაზიული მეცნიერები იმპერიალიზმთან ბრძოლის შესახებ

- 13) NB ბურჟუაზიული მეცნიერები იმპერიალიზმთან ბრძოლის შესახებ.

«ეროვნებები და დამორჩილებული რასები».

ანგარიში კონფერენციის შესახებ, რომელიც გაიმართა კექსტონ-ჰოლში, ვესტმინსტერი, 28—30 ივნისი, 1910. ლონდონი, 1911 (XII+178 გვ.).

რეცენზია «Weltwirtschaftliches Archiv»-ში, II ტომი, 193 გვ., ხელმოწერილი ჰ. ი. ნიბურის მიერ (ჰააგა). რეცენზიის ავტორი აღნიშნავს, რომ ამ ანგარიშში მოთავსებულია მოკლე სიტყვები «უცხოელთა ბატონობაში მყოფი სხვადასხვა ხალხების: ეგვიპტელების, ინდოელების, მაროკოელების, ქართველების, აფრიკის ზანგთა ტომების, სამხრეთამერიკელი ინდიელების, აგრეთვე ევროპის ისეთი ერების წარმომადგენლებისა, როგორიც არიან ირლანდიელები და პოლონელები» (გვ. 194).

«გვეუბნებიან, იმპერიალიზმს უნდა ვებრძოლოთ; გაბატონებულმა სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ დამორჩილებულ ხალხთა დამოუკიდებლობის უფლება; საერთაშორისო ტრიბუნალმა თვალყური უნდა ადევნოს იმ ხელშეკრულებათა შესრულებას, რომლებიც დადებულია დიდ სახელმწიფოებსა და სუსტ ხალხებს შორის. კონფერენცია მხოლოდ ამ გულუბრყვილო სურვილებს სჯერდება. ჩვენ ვერ ვხედავთ იმ ჭეშმარიტების გაგების ნიშანწყალსაც კი, რომ იმპერიალიზმი განუყრელად დაკავშირებულია კაპიტალიზმის ახლანდელ ფორმასთან და რომ ამიტომ პირდაპირი ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ უიმედოა, და ესა დაგვრჩენია— დავკმაყოფილდეთ გამოსვლებით ცალკეული, განსაკუთრებით საზიზღარი, ექსცესების წინააღმდეგ» (გვ. 195)*. NB

საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ბურჟუაზიული «იმპერიალისტები» «Weltwirtschaftliches Archiv»-ში თვალყურს ადევნებენ კოლონიების (ყოველ შემთხვევაში არა-გერმანული კოლონიების) ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას** (14

მაგალ., ტომი III, 2

მღელვარება და პროტესტები ინდოეთში (გვ. 230)

idem ნატალში (აფრიკა) ინდოელთა იმიგრაციის შეზღუდვის გამო (230—1).

ტომი IV, 1, გვ. 130 — მოძრაობა, მიმართული თვითმმართველობისაკენ ჰოლანდიის ინდოეთში***.

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 ვამოც., ტომი 22, გვ. 361—362. რ ე დ.

** იქვე, გვ. 361. რ ე დ.

*** იქვე, ი ე დ.

მორიდი. «ბანყოფილებაგვიანი ფირმაები»

- 15) პიერ მორიდი. «ფირმები მრავალრიცხოვანი განყოფილებებით საფრანგეთში და საზღვარგარეთ». პარიზი, 1913 (ალკანი). (რეცენზია «Weltwirtschaftliches Archiv»-ში, IV, 1, გვ. 286).

		განყოფილება		
ინგლისი.....	497 ფირმა	20 644		
გერმანია.....	14 453 »	34 464		(მათ შორის 31799 დუქანი ან მაღაზია)
მოსამსახურეთა რიცხვი		926 369	— — —	473 077
საფრანგეთი	?	12 000		
		50 000		მოსამსახურე და მუშა
				125 მლნ. ფრანკი ხელფასი.

— — — «გამოვლინება კონცენტრაციის პროცესისა, რომელსაც ვხედავთ ვაჭრობაში, ისევე როგორც საფაბრიკო მრეწველობაში» (გვ. 286).

ლიბერალური მითითებანი

- 16) მ უ ზ ე უ მ თ ა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა შ ი

NB: «The Edinburgh Review»

1915, ოქტომბერი:

«ქარხნები და ომი».

[აღლიან საინტერესო სტატიაა ომისა და მისი ეკონომიური შედეგებისადმი მუშათა კლასის დამოკიდებულების შესახებ (მუშების მდგომარეობის გაუმჯობესება; უმუშევრობის შემცირება etc.)]

«The Atlantic monthly», 1916, ვგონებ, ივნისი. უ ა ი ტ ი. «სხვა სამყარო ომის შემდეგ».

NB: «Schmoller's Jahrbuch», გამოცემის 37-ე წელი. მარქსი საემისიო სტატისტიკის შესახებ გერმანიაში და საზღვარგარეთ.

- 17) ? ალბინ შაიერი. «Jahrbuch der Weltgeschichte». 1913 — გამოცემის მე-14 წელი. ლაიპციგი, 1914. («Karl Prochaska's Illustrierte Jahrbücher»).

[ეს არ არის დოკუმენტების კრებული ან ცნობარი, იგი ცოცხალი ნარკვევებია წლის მანძილზეო.]

[ჩ. კ.] ჰობსონი. «კაპიტალის ექსპორტი». ლონდონი, 1914.

[ჯ. ა. ჰობსონი.] «იმპერიალიზმი».

» «სამხრეთ აფრიკის ომი».

ბალოდი. «სტატისტიკის საფუძვლები». ბერლინი, 1913.

იშხანიანი. «კავკასიის ხალხთა ეროვნული შემადგენლობა etc.». 1914 (81 გვ.).

ტიელორი (გერმანული გამოცემა 1914).

დიტრიხი. «საწარმოს ორგანიზაცია».

ელი. «მონოპოლიები და ტრესტები».

ჯენკსი. მოთავსებული იყო «Schmoller's Jahrbuch»-ში თუ სხვა ეკონომიურ ჟურნალში. კონრადის «Jahrbücher für Nationalökonomie und Statistik». ((მესამე სერია, ტომი I.))

ჰარმსი.

აგადი. «მსხვილი ბანკები და მსოფლიო ბაზარი». 1914.

რისერი. «მსხვილი ბანკები». 1906.

მაკროსტი. «ტრესტები». 1910.

შადუელი. «ინგლისი, გერმანია და ამერიკა». ბერლინი, 1908.

აიდელსი. «მსხვილი ბანკების დამოკიდებულება მრეწველობისადმი». «Schmoller's Forschungen». ტომი 24, ლაიპციგი, 1905.

შილდერი.

ლევი. «მონოპოლიები და ტრესტები».

ჩირშკი.

ლიფმანი. «კარტელები და ტრესტები».

ფოგელშტაინი. «კაპიტალისტური ორგანიზაციული ფორმები».

შილდერი. «მსოფლიო მეურნეობის არქივის» მე-5 ტომი

ზიგმუნდ შილდერი. «მსოფლიო ომის წინაპირობები მსოფლიო მეურნეობაში». «Weltwirtschaftliches Archiv». ტომი 5(1) (გვ. 1—22). (18

ძალიან კარგი ნარკვევია (რა თქმა უნდა, გერმანოფილური). სხვა ქვეყნების გადასვლამ პროტექციონიზმზე აიძულა 19—20 საუკუნის ინგლისი საომარ გეგმებზე გადასულიყო.

ავსტრია. მისი მისწრაფება ბალკანეთისადმი.

საინტერესოა: სერბიაში (ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ანექსიის დროს) 1908/9 იყო ხმები ავსტრია-უნგრეთთან ომის სასარგებლოდ შემდეგი მიზეზების გამო. თუ ჩვენ გავიმარჯვებთ, შეგვიძლია სერბები წავართვათ ავსტრია-უნგრეთს. თუ ჩვენ დაგვამარცხებენ, სერბიას ავსტრია-უნგრეთის საბაჟო საზღვარში მოაქცევვენ. ესეც უკეთესია. დასაკარგავი არაფერი გვაქვს (გვ. 11).

რუსეთში > «პირველ რიგში» «სამხედრო-ბიუროკრატიული გაბატონებული კლასის კერძომეურნეობრივი სარგებლობათ» (12). გამოწვევის: მისწრაფება დარღვევისადმი. საფრანგეთში უკმაყოფილებაა მაროკო-კონგოს შესახებ 4. XI. 1911-ის შეთანხმებით.

ბელგიას შეეძლო შეენარჩუნებინა თავისი კონგო მხოლოდ ინგლისის დახმარებით, საფრანგეთმა 5. II. 1895-ის ხელშეკრულებით მიიღო «უფლება უპირატესი ყიდვისა» კონგოში (გვ. 16).

იპანია ესწრაფვის ჩინეთზე ბატონობას. თურქეთი 1913 წლამდე «მსოფლიო პოლიტიკის ობიექტი უფრო იყო, ვიდრე სუბიექტი» (19).

პორტუგალია დამოკიდებულია ინგლისზე.

ესპანეთმა მიიღო (27. XI. 1912-ის ხელშეკრულება საფრანგეთთან) მაროკოს ჩრდილოეთი ნაჭერი (საფრანგეთი წინააღმდეგი იყო, ინგლისი მომხრე). ესპანეთმა 16 წლის მანძილზე 1898—1914 ძლიერ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ.

აღნიშნები «ნაშე სლოვოვან»

19) «ნაშე სლოვო» № 11 (10. II. 1915).

NB // ზალევსკის სტატია «ეროვნული საკითხისათვის». § 9.4-ით. ციტატი მოჰყავს «ისკრის» № 44-დან:

... «მაგრამ თვითგამორკვევის თავისუფლებისათვის

ბრძოლის უთუო აღიარება სრულიადაც არ გვავალდებულებს მხარი დაუჭიროთ ეროვნული თვითგამორკვევის ყოველ მოთხოვნას. სოციალ-დემოკრატია, როგორც პროლეტარიატის პარტია, დადებით და მთავარ ამოცანად ისახავს ხელი შეუწყოს არა ხალხებისა და ერების, არამედ თვითეული ეროვნების პროლეტარიატის თვითგა-

მორკვევას* № 82 (6. V. 1915). მოწინავე: «იმპერიალიზმი და ეროვნული იდეა».

(ერვეს წინააღმდეგ. «შიშველი ეროვნული იდეა რეაქციულია». XX საუკუნე = იმპერიალიზმის საუკუნეა; XIX საუკუნე ნაციონალიზმისა.)

№ 116 (17. VI. 1915) «კ. კაუცკი პლენარის შესახებ»

და № 117 (18. VI. 15) (ბულგარული ჟურნალიდან).

და № 118 (19. VI)

№ 170 (21. VIII. 1915) ლ. მარტოვი «სოციალ-დემოკრატიის» წინააღმდეგ

და 171 (22.) (დამარცხების შესახებ).

172 (24...)

№ 192 (16. IX. 1915) მარტინოვი «ევროპის შერთებულის შტატების» შესახებ.

ლიტერატურის მითითებანი

კანტონალური ბიბლიოთეკიდან (ციურხიხი).

NB: ატლანტიკუსი. «წარმოება და მოხმარება სოციალურ სახელმწიფოში». 1898. კაუცკის წინასიტყვაობა.

ჰენრი დემარესტ ლოიდი. «სიმდიდრე საზოგადოებრივი კეთილდღეობის წინააღმდეგ». ნიუ-იორკი, 1901.

? «Statistisches Jahrbuch für das Deutsche Reich» (1915).

შტილიხი. «პოლიტიკურ-ეკონომიური გამოკვლევა მსხვილი სამრეწველო საწარმოს შესახებ». ტომი I და II. 1904 და 1906.

«Bulletin de l'institut international de statistique» (ტტ. 1—19).

კლარკი. «მუშათა მოძრაობა ავსტრალაზიაში». 1906.

ანდრე ლიესი. «სოციალური საკითხი». პარიზი, 1895

გრუნცელი. «კარტელების შესახებ». 1902.

ბაუმგარტენი და მესლენი. «კარტელები». 1906.

იურაშეკი. «მსოფლიო მეურნეობის მომხილვები».

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 3, გვ. 564. რედ. 2. ვ. ი. ლენინი, ტ. 39

- ნოი მან-სპალარტი. «მიმოხილვები». გამოცემის წელი 1879/80... 1883/4.
- კვანტენსი. «სასოფლო-სამეურნეო მანქანების გავლენა წარმოებასა და შრომაზე». 1904. (დისერტაცია).
- ი. პლენგე. «დისკონტური პოლიტიკიდან ფულის ბაზარზე ბატონობისაკენ». 1913.
- შულცე-გეგერნიცი. «ბრიტანეთის იმპერიალიზმი». 1906.
-
- ? ემილ ბრეციგარი. «ეკონომიური კრიზისის წინასწარ მუწყებელნი გერმანიაში». ბერლინი, 1913 (1-გო მარკა) 1913/4 წლის კრიზისის წინასწარგანჭვრეტა.
-
- ბერნჰარდ მერენსი. «საფრანგეთის მსხვილი საკრედიტო დაწესებულებების აღმოცენება და განვითარება». 1911.
- ლიზისი. «საფრანგეთში ფინანსური ოლიგარქიის წინააღმდეგ». 1908.
- ანდრე ლიესი. «ფინანსისტთა პორტრეტები». 1909.
- ტესტისი. «ჭეშმარიტება ლიზისის ნაწერების შესახებ». 1908.

ედმ. ტერი. «ეკონომიური პროგრესი საფრანგეთში».

პიერ ბოდენი. «ალტყინება».

მორის შვობი. «ბრძოლის წინ. (საეკონომიური)». პარიზი, 1904.

რ. კლაუსი. «რუსეთის ბანკები». 1908. («Schmoller's Forschungen». ნაკვეთი 131).

დ-რი მენტორ ბუნიატიანი. «სამეურნეო კრიზისები და კაპიტალის სიჭარბე». მიუნხენი, 1908.

ედმ. ტერი. «ევროპა და შეერთებული შტატები. ზოგადი სტატისტიკა». პარიზი, 1899.

კელტი. «აფრიკის დანაწილება». 1895.

NB: ო. შვარცი. «დიდ სახელმწიფოთა ფინანსური სისტემები». (სერია გიომენის გამოცემით). 2 ტომი. ლაიპციგი, 1909.

NB | [საინტერესო ცხრილები 70-იანი წწ. განვითარების შესახებ — 1900. NB] «სოციალური ეკონომიკის საფუძვლები». ტიუბინგენი. 1914 და შემდ.

კაპიტალის თანხები სააქციო საზოგადოებებში

რა თანხებს ატრიალებენ «ისინი»

(22)

«Bank-Archiv», გამოცემის XIII წელი. 15. VI. 1914.

«შედევები გერმანიის აქციონერთა საზოგადოებების საქმეებისა 1907/8—1911/12 წლების მანძილზე»...

1911/2... აქციონერთა საზოგადოებების	
რიცხვი —	4 712
მაიი სააქციო კაპიტალი.....	14 880 მლნ. მარკა
ნამდვილი რეზერვი.....	3 515 » »
შემოსავალი.....	1 470 » »
რიცხვი საზოგადოებებისა, რომლებიც დივიდენდს იძლეოდნენ..	3 481 » »
დივიდენდის თანხა.....	1 220 მლნ. მარკა=8.99%
კაპიტალის ზრდის იდენობა:	

1907-დან 1912 მ დ ე (5 წელი)

= + 2 766 მლნ. მარკა ნომინალი
 + 3 346 » » კურსით

!! ||| ნომინალს ზევით + 579 » » (!!)

კისტნერი. «ორგანიზების დაძალება»

დ-რი ფრიც კესტნერი. «ორგანიზების დაძალება». (23)

«გამოკვლევა კარტელებსა და გარეშეებს შორის ბრძოლის შესახებ». ბერლინი, 1912.

ავტორი სისტემატურად განიხილავს კონფლიქტებს კარტელებსა და «გარეშეებს» შორის და კონფლიქტებს კარტელებს შიგნით — და «ბრძოლის» ღონისძიებებს:

- 1) ნედლი მასალის მიღების საშუალების მოსპობა...
- 2) მუშახელის დაქირავების საშუალების მოსპობა ალიანსებით...
- 3) მიზიდვის საშუალების მოსპობა...
- 4) გასაღების « »
- 5) მყიდველების შენარჩუნება განსაკუთრებული პირობების დათქმით.
- 6) ფასების გეგმაზომიერი დაწევა
- 7) კრედიტის მოსპობა...
- 8) ბოიკოტის გამოცხადება*

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 255—256. რ ე დ.

ნოი მან-სპალარტი. «მიმოხილვები». გამოცემის წელი 1879/80... 1883/4.

ქვაინტენსი. «სასოფლო-სამეურნეო მანქანების გავლენა წარმოებასა და შრომაზე». 1904. (დისერტაცია).

ი. პლენგე. «დისკონტური პოლიტიკიდან ფულის ბაზარზე ბატონობისაკენ». 1913.

შულცე-გევერნიცი. «ბრიტანეთის იმპერიალიზმი». 1906.

? ემილ ბრეციგარი. «ეკონომიური კრიზისის წინასწარ მაუწყებელნი გერმანიაში». ბერლინი, 1913 (1.80 მარკა) 1913/4 წლის კრიზისის წინასწარგანჭკრეტა.

ბერნჰარდ მერენსი. «საფრანგეთის მსხვილი საკრედიტო დაწესებულებების აღმოცენება და განვითარება». 1911.

ლიზისი. «საფრანგეთში ფინანსური ოლიგარქიის წინააღმდეგ». 1908.

ანდრე ლიესი. «ფინანსისტთა პორტრეტები». 1909.

ტესტიისი. «ჭეშმარიტება ლიზისის ნაწერების შესახებ». 1908.

ედმ. ტერი. «ეკონომიური პროგრესი საფრანგეთში».

პიერ ბოდენი. «ალტუინება».

მორის შვობი. «ბრძოლის წინ. (სავაჭრო ომი)». პარიზი, 1904.

რ. კლაუსი. «რუსეთის ბანკები». 1908. («Schmoller's Forschungen». ნაკვეთი 131).

დ-რი მენტორ ბუნიატიანი. «სამეურნეო კრიზისები და კაპიტალის სიჭარბე». მიუნხენი, 1908.

ედმ. ტერი. «ევროპა და შეერთებული შტატები. ზოგადი სტატისტიკა». პარიზი, 1899.

ქელტი. «აფრიკის დანაწილება». 1895.

NB: ო. შვარცი. «დიდ სახელმწიფოთა ფინანსური სისტემები». (სერია გიომენის გამოცემით). 2 ტომი. ლაიპციგი, 1909.

NB | [საინტერესო ცხრილები 70-იანი წწ. განვითარების შესახებ — 1900. NB] «სოციალური ეკონომიკის საფუძვლები». ტიუბინგენი. 1914 და შემდ.

კაპიტალის თანხები სააქციო საზოგადოებებში

რ ა თ ა ნ ხ ე ბ ს ა ტ რ ი ა ლ ე ბ ე ნ «ი ს ი ნ ი» (22

«Bank-Archiv», გამოცემის XIII წელი. 15. VI. 1914.

«შედგები გერმანიის აქციონერთა საზოგადოებების საქმიანობისა 1907/8—1911/12 წლების მანძილზე»...

1911/2...აქციონერთა საზოგადოებების	
რიცხვი —	4 712
მათი სააქციო კაპიტალი.....	14 880 მლნ. მარკა
წამდვილი რეზერვი.....	3 515 » »
შემოსავალი.....	1 470 » »
რიცხვი საზოგადოებებისა, რომლებიც დივიდენდს იძლეოდნენ..	3 481 » »
დივიდენდის თანხა.....	1 220 მლნ. მარკა=8.3% ¹
კაპიტალის ზრდის იდენობა:	

1907-დან 1912-მდე (5 წელი)

= + 2 766 მლნ. მარკა ნომინალი

+ 3 346 » » კურსით

!! || ნომინალს ზევით + 579 » » (II)

კმისტნერი. «ორგანიზების დაძალება»

დ-რი ფრიც კესტნერი. «ორგანიზების დაძალება». (23

«გამოკვლევა კარტელებსა და გარეშეებს შორის ბრძოლის შესახებ». ბერლინი, 1912.

ავტორი სისტემატურად განიხილავს კონფლიქტებს კარტელებსა და «გარეშეებს» შორის და კონფლიქტებს კარტელებს შიგნით — და «ბრძოლის» ღონისძიებებს:

- 1) ნედლი მასალის მიღების საშუალების მოსპობა...
- 2) მუშახელის დაქირავების საშუალების მოსპობა ალიანსებით...
- 3) მიზიდვის საშუალების მოსპობა...
- 4) გასაღების « »
- 5) მყიდველების შენარჩუნება განსაკუთრებული პირობების დათქმით.
- 6) ფასების გეგმაზომიერი დაწევა
- 7) კრედიტის მოსპობა...
- 8) ბოიკოტის გამოცხადება*

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 255—256. რ ე დ.

[«ანკეტიდან კარტელების შესახებ» (5 ტომი 1903—06) და სხვ.]

გ რ ო ვ ა მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი ს ა. უაღრესად დაწვრილებითი მსჯელობა სახელმწიფოებრივი და უფლებრივი მნიშვნელობის შესახებ...

24) «რეინშ-ვესტფალიშე კოლენსინდიკატის» ხელში მისი და-არსების დროს 1893 წელს თავმოყრილი იყო რეინ-ვესტფალის ქვანახშირის წარმოების 86.7%... 1910 წელს — 95.4% (გვ. 11)...* ამერიკის ფოლადის ტრესტის ხელში 1911 წელს — თუჯის პროდუქციის 45%... (სხვა მაგალითები: 98%—85% — და ა. შ.)

«კარტელში შესვლის საკითხი ცალკეული საწარმოსათვის წარმოადგენს საქმიან აქტს, რომელიც განპირობებულა რენტაბელობის ვარაუდით. როგორც საერთოდ კარტელების მოქმედება, ისე ამ აქტის მნიშვნელობა თავს იჩენს უმთავრესად დეპრესიის პერიოდებში. კონფლიქტები კარტელებსა და გარეშეებს შორის წარმოიშობა უპირატესად იმ მნიშვნელობის განსხვავებასთან დაკავშირებით, რომელიც ცალკეული საწარმოებისათვის აქვს გასაღების შეზღუდვას, რაც კარტელების მოქმედების გარდუვალი შედეგია. გასაღების ეს შეზღუდვა განსაკუთრებით სამძიმოა განვითარების უნარის მქონე საწარმოებისათვის, რომლებიც მას, ამიტომ, უძლიერეს წინააღმდეგობას უწევენ» (გვ. 25—26)...

... «განსხვავება ერთისა და მეორის» (კარტელისა და ტრესტის) «ცნებებს შორის ზომ საკუთრების ურთიერთობაში მდგომარეობს: კარტელში სხვადასხვა მესაკუთრეები არიან, მაშინ როცა ტრესტში მხოლოდ ერთია» (გვ. 53 და ლიფმანის დამოწმება).

«არაერთხელ ყოფილა შემჩნეული, — და ეს შეიძლება ზოგად მოვლენად მივიჩნიოთ, — რომ რენტაბელობა, რომელსაც კარტელირების შედეგად იღებენ, მრეწველობის ამ დარგში ახალ მეწარმეებსა და ახალ კაპიტალს იზიდავს» (57). მაგალ., კალიუმის სინდიკატმა გაადიდა ფასები. შედეგი:

25) 1879 წელს იყო 4 საწარმო
1898 » » 13
1909 » » 52(გვ. 57)

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც. ტომი 22, გვ. 251. რ. ე. დ.

გარეშეთათვის ფასების გაღიღების პირობების ფორმულირება ზოგჯერ ხდება როგორც ფასდაკლების შემცირებისათვის (გვ. 73)...

«ბუხჩენდლერ ბიორზენფერეინჰა» შემოიღო წიგნების მიყიდვის აკრძალვა იმ «ვაჭრებისათვის, რომლებიც ჩალის ფასად ჰყიდიან» (84).

«მასალის მიღების საშუალების მოსპობა და მასთან ერთად მიიღველების შეზღუდვა განსაკუთრებული პირობების დათქმის გზით, რაზეც კიდევ ქვემოთ გვექნება საუბარი, უნდა მივიჩნიოთ როგორც კარტელში შესვლის დაძალების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ხერხი» (91)...

...გატანის პრემიები... (107)

იქმნება «ვაჭართა დამოკიდებული ორგანიზაციები» (109)...
(ქვანახშირი — ნავთი...)

ფასების დაწევა... ბენზინის მრეწველობაში ყოფილა ფასების დაკლება 40-დან 20—22 მარკამდე (118) — სპირტისა ზემო სილესიაში 49.5 მარკამდე (ბრესლაველში ფასია 62.2 მარკა)...

უარის თქმა კრედიტზე: «ფიონიქსი» უარს ამბობდა შეერთებულ ფოლადის ქარხნების გაერთიანებას. ამ ფირმის დირექტორი შეერთების წინააღმდეგი იყო. ბანკებმა შეისყიდეს აქციები — წართვეს გატანის პრემიები — და აქციონერთა კრებაზე გაატარეს შეერთება!! (გვ. 124—5).

* ცნობები იმ ქვეყნების შესახებ, რომლებსაც ვარსკვლავი უზის, მოცემულია ინვარ-ივლისისათვის, დანარჩენთა შესახებ—ინვარ-ივლისისათვის. რედ.

ხდება «ფოსტის უახლესი შექრა ფულის მიმოქცევაში» («საფოსტო აკრედიტივების გაცემის» ფორმით). რედაქცია შენიშნავს, რომ საფოსტო აკრედიტივები მოქმედებენ მხოლოდ გერმანიის იმპერიის შიგნით, საბანკო აკრედიტივები კი ემსახურებიან უმთავრესად საზღვარგარეთ მოგზაურებს (ეს «არა მარტო» და «ბოლოს, ხალხი მარტო ბანკებისათვის მშვენიერებაა!!!» როდი არსებობს» (714).

- სტატიაში «ფიქრები მილიარდიან სესხზე», გვ. 932: «იმას, ვინც ხელს აწერს სესხზე, თავისუფალი სახსრები აქვს, მაგრამ მეტ წილად არა ნაღდი ფულის ფორმით, არამედ ბანკში მიმდინარე ანგარიშის ან შემნახველ სალაროში, ამხანაგობაში და სხვ. ანაბრის ფორმით. ამ დაწესებულებებს გერმანიაში თავიანთ განკარგულებაში აქვთ მრგვალი ციფრებით 35 მილიარდი ასეთი ლიკვიდური საშუალებანი, რომელთა დაახლოებით ნახევარი შეიძლება დაუყოვნებლივ გადავიდეს მფლობელთა თავისუფალ განკარგულებაში, მეორე ნახევარი კი წინასწარი შეტყობინების შემდეგ — მეტწილად ერთ თვეში» (933).

მამასადამე, საქმე მდგომარეობს ქონების გადარიცხვაში კერძო პირთა ანგარიშიდან სახელმწიფოს ანგარიშზე (და პირიქით მიმწოდებლებისათვის გადახდისას etc.).

ყველა საკრედიტო ინსტიტუტს თავის განკარგულებაში აქვს «სულ ბევრი $1\frac{1}{2}$ მილიარდი» ფული, თუ ჩავთვლით «მის საერთო თანხას ნაღდ ფულად და სახელმწიფო ბანკში ანაბრების სახით» (933).

საფრანგეთმა 1871 წელს 5 მილიარდი ისე გადაიხადა, რომ აქედან მხოლოდ 742.3 მილიონი გადახდილ იქნა ოქროთი, ვერცხლითა და ბანკნოტებით, დანარჩენი კი (4 248.3 მილიონი) თამასუქებით. (საფრანგეთი იმიტომ გაიმართა წელში ისე მალე 1870/71 წელს, რომ არ შეხებია თავის ვალუტას, მეტისმეტად არ გამოუშვია «დაუფარავი ბანკნოტები»).

გვ. 903 და შემდ.: აღფრედ ლინსბურგის «ლონდონის როგორც მსოფლიოს საანგარიშსწორებო პალატის გამოდევნა».

ძალიან კარგი სტატიაა, რომელიც განმარტავს ინგლისის ძლიერების მიზეზებს. მთავარი მიზეზი: «ინგლისის სავაჭრო და ფულადი მიმოქცევა აბსოლუტურად სჭარბობს ყველა სხვა ქვეყნის ვაჭრობას» (909). გერმანიის ვაჭრობაზე

მეტია «მრგვალი ციფრებით 50%-ით» (ibidem). ხოლო შემდეგ კიდევ ვაჭრობა კოლონიებთან!

«მსოფლიო ვაჭრობის სამი მეოთხედი ეკუთვნის ინგლისს» (910). || NB

«ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი საერთაშორისო გადასახდელების სამი მეოთხედი პირდაპირ თუ არაპირდაპირ ინგლისის მეშვეობით წარმოებს» (910).

«გირვანქა სტერლინგებით ანგარიში «სჭარბობს» კიდევ იაპონიაში, შემდეგ ჩინეთში, ჩილიში, პერუში, სამხრეთ სპარსეთში, «თურქეთის მეტწილში» (910) — «საევაქრო წრეებში ფართოდ გავრცელებულია ინგლისური ენის ცოდნა» (910).

და შემდეგ ინგლისი აფინანსებს მთელი მსოფლიოს ამ ვაჭრობას (ყველაზე იაფი %; ყველაზე მტკიცე ოქროს ვალუტა; 1 გირვანქა სტერლინგი = $7\frac{1}{3}$ გრამი ოქრო etc. etc.).

ინგლისის, მისი 60 კოლონიური ბანკის «ვეებერთელა» ფულადი სახსრები (911) etc. etc.

ბანკის (ბრაზილიის ბანკის) დირექტორის კემერერის (5 (გერმანელის) წარმოთქმული:

(913) «პირველი რამ, რაც აუცილებელია ოკეანესგალმა საბანკო საწარმოს გასახსნელად, ეს არის კრედიტი, ბანკირი-აკეპტანტი ლონდონში». || NB! ||

გვ. 912, შენიშ.: «იმ სიძნელეთა შესახებ, რომლებსაც გერმანიის ოკეანესგალმელი ბანკები აწყდებიან მარკებში გამოსახული თამასუქების შემოღებისას სამხრეთ ამერიკაში, შეადარე იაფე, «ინგლისის საბანკო საქმე», მე-2 გამოც., 98—101, «Frankfurter Zeitung», 29. VIII. 1914; «Hamburger Nachrichten», 15. IX. 1914» (სხვ. ციტატები გამოვტოვე).

«თვითეული ქვეყანა, რომელიც ოქროს ვალუტაზე გადადის და, როგორც ამას თითქმის ყველგან აქვს ადგილი, ფლობს ინგლისის თამასუქების დიდ პორტფელს როგორც ოქროს სამაგიეროს, ხომ არა მარტო უმორჩილებს თავისი საერთაშორისო საგადასახდელო ბრუნვის მეტწილს ლონდონის საანგარიშსწორებო პალატას, არამედ ამით აგრეთვე უშუალოდ უწყობს ხელს ინგლისის მსოფლიო ფულადი ძლიერების კონსოლიდაციას; ინგლისის თამასუქების დიდი პორტფელის მუდმივი ფლობა პრაქტიკულად ხომ პირდაპირ იმას ნიშნავს, რომ მოცემული ქვეყანა ლონდონის განკარგულებაში გადას-

ცემს მნიშვნელოვან სახსრებს, რომლების გამოყენება ლონდონს თავის მხრივ შეუძლია და მართლაც იყენებს სხვა ქვეყნების საგარეო ვაჭრობის შემდგომი დაფინანსებისათვის, ხოლო ამით თავისი ვალუტისა და თავისი საკუთარი საანგარიშსწორებო ფუნქციის განმტკიცებისათვის. ამრიგად, გირვანქა სტერლინგის ოქროს ღირსების გამო, ინგლისს მუდამ აქვს შესაძლებლობა თავის საკრედიტო სისტემას მომსახურებას უწყევდეს გარდა თავისი საკუთარი მსხვილი კაპიტალებისა კიდევ რამდენიმე მილიარდი მარკა სხვისი ფულით» (913—914).

ინგლისი მისი როლიდან რომ გამოდევნო, საჭიროა «ვეებერთელა ფულადი სახსრები და დაბალი პროცენტი» (916). ...«და საჭიროა არა მარტო შეგქძლოს ვებებერთელა ფულადი სახსრების გაცემა, არამედ იმის შესაძლებლობაც გქონდეს, რომ უზრუნველყო იმ ვალუტის უთუო სიმტკიცე, რომელმაც ინგლისური უნდა შეცვალოს, ე. ი. ყოველთვის მზად უნდა იყო გადაიხადო ოქროთი».

- ამიტომ «უტოპიააო» გეგმა «ნეშნელ სიტი ბენკისა» (მორგანის ბანკი) ან შვეიცარიის ბანკებისა, «რომლებიც იმ შეხედულებებისა არიან, რომ საეხებით საკმარისია ცოტაოდენი კეთილი ნება იმისათვის, რომ წაართვა ლონდონს საერთაშორისო ანგარიშსწორებანი ან მათი მნიშვნელოვანი ნაწილი, — ეს ის მიზანია, რომელიც, მართალია, უაღრესად სასურველია, მაგრამ შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ იმ პირობით, რომ რომელიმე სხვა ქვეყანამ შეძლოს მსოფლიო ვაჭრობის ინტერესთა სამსახურში ჩააყენოს კრედიტის იგივე მასა, სავაჭრო, საბანკო და სარგებლის შეღავათების იგივე კომპლექსი და იგივე საიმედო სავალუტო საფუძველი, რომლებსაც ინგლისი, ყოველ შემთხვევაში, ომის დაწყებამდე, მსოფლიო ბრუნვის განკარგულებაში გადასცემდა» (920)...

(1914, ნოემბერი და დეკემბერი). «სამხედრო ხარჯების დაფარვა და მისი წყაროები», ალფრედ ლანსბურგის სტატია.

ავტორს მოჰყავს ციტატი ლოიდ ჯორჯისაგან (1914 წ. IX ში): «ჩემი აზრით, უკანასკნელი ასი მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაწყვეტს ომის ბედს პირველი 100 მილიონი ჩვენს მტრებს შეუძლიათ ისევე კარგად იმოვნონ, როგორც ჩვენ; მაგრამ უკანასკნელ 100 მილიონს ისინი, მაღლობა ღმერთს, ვერ იმოვნიან» (გვ. 998).

და ავტორი უპასუხებს, რომ ლოიდ ჯორჯი შეეცდა. დაფარვის ოთხი წყარო: 1) «პირველი ხარისხის» რეზერვები=ნაღდი ფული (საფრანგეთსა და რუსეთში ის მეტია, ვიდრე გერმანიაში; ინგლისში ნაკლებია. აქ გერმანია უფრო სუსტია). 2) «მეორე ხარისხის» რეზერვები: მოკლევადიანი სავალო პრეტენზიები მსოფლიო ვაჭრობაში. (ინგლისი გაცილებით უფრო ძლიერია: «თუ ინგლისი მსოფლიო ბანკირია, რომელიც თავის ფულს ლიკვიდურ მდგომარეობაში ინარჩუნებს, საფრანგეთი მსოფლიო ფინანსისტია, რომელიც თავისი სახსრების ინვესტიციას ეწევა») (1001). 3) წმინდა შემოსავალი ქვეყნის წარმოებისაგან + 4) საერთო შემოსავლის ნაწილი, რომელიც ხმარდება ამორტიზაციას (ან დაგროვებას). და აი აქ ჩვენ უფრო სუსტი არა ვართო.

მაგრამ აქ ავტორი იმედს ამყარებს გატანაზე, რომელიც იწარმოებს საიდუმლოდ («ფარული გზებით»), მაგრამ არ გაქრება.

ჩვენი (გერმანიის) დაბალი სათამაშუო კურსი ამტკიცებს (XII. 1914!!!), რომ გატანა საკმარისი არ არის, «საზღვარგარეთ ჩვენს დანახარჯებს» არ შეესაბამებაო (1103).

შეად. გვ. 1112: «მხოლოდ როცა გატანა საკმაოა იმი-სათვის, რომ სავსებით დაფაროს შეტანა და სამხედრო ხარჯები საზღვარგარეთ, სახალხო მეურნეობა ნამდვილად დაყენებულია სამხედრო ყაიდაზე.» NB

1914, 1 (მაისი). «800 მილიონის მფლობელი ბანკი», ა. ლანს-ბურგის სტატია.

«დისკონტოგელშაფტმა» შთანთქმა «შაფჰაუზენშერ ბანკფერეინი» და გაზარდა თავისი სააქციო კაპიტალი 300 მილიონ მარკამდე (გვ. 415)*.

«ნამდვილად დიდი გერმანული ბანკი ამით პირველად ხდება კონცენტრაციის პროცესის მსხვერპლი» (415).

«დოიჩე ბანკმა» თავისი კაპიტალი აიყვანა 250 მილიონ მარკამდე. ამაზე «დისკონტოგელშაფტმა» უპასუხა «ფუზიით» «შაფჰაუზენშერ ბანკფერეინთან» და აიყვანა 300-მდე**.

«300 მილიონი მარკა სააქციო კაპიტალით იგი ხდება ჯერ-

* იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 267. რ ე დ.

** იქვე. რ ე დ.

ჯერობით უდიდეს ბანკად არა მარტო გერმანიაში, არამედ მთელ მსოფლიოშიც» (422).

«პეგემონიისათვის ბრძოლა» თითქოს გადაწყვეტილი იყო «დოიჩე ბანკის» სასარგებლოდ, ახლა კვლავ დაიწყო:

NB «სხვა ბანკებიც იმავე გზას დაადგებიან... და იმ 300 კაციდან, რომლებიც ახლა ეკონომიურად განაგებენ გერმანიას, დროთა განმავლობაში დარჩება 50, 25 ან უფრო ნაკლები. აგრეთვე არ უნდა მოველოდეთ, რომ უახლესი საკონცენტრაციო მოძრაობა დაკმაყოფილდება მარტოდენ საბანკო საქმით. ცალკეულ ბანკთა მჭიდრო კავშირი ბუნებრივად იწვევს აგრეთვე იმ მრეწველთა სინდიკატების ურთიერთდაახლოებას, რომელთაც ეს ბანკები მფარველობენ. სინდიკატები, აგრეთვე კონიუნქტურის მერყეობა იწვევს შემდგომ გაერთიანებებს, და ერთ მშვენიერ დღეს რომ გავიღვიძებთ, ჩვენს გაოცებულ თვალთა წინაშე მარტოდენ ტრესტები იქნებიან; ჩვენთვის აუცილებელი გახდება სახელმწიფოებრივი მონოპოლიებით შევცვალოთ კერძო მონოპოლიები. და, მიუხედავად ამისა, ჩვენ, არსებითად, საკუთარი თავისადმი სასაყვედურო არა გვექნება რა, გარდა იმისა, რომ სრული თავისუფლება მივანიჭეთ მოვლენათა მსვლელობას, რომელიც ოდნავ დააჩქარა აქციაში» (426)*. (სტატიის დასასრული).

«ახალი საზოგადოებანი» ლუდვიგ ეშვე-გეს სტატია, გვ. 544 და შემდ. (მაისი 1914).

1912 წლის დამდეგს დიდმა ბანკებმა (სახელმწიფო ბანკის ზეგავლენით) ბალანსების ახალი სქემა შემოიღეს. მაგრამ ათახობით აქციონერთა საზოგადოებმა კვლავ ბეჭდავს მოკლე («knappe») ბალანსებს, არ სცილდება კანონის მოთხოვნის ფარგლებს, — ბალანსების სიმოკლით ვითომდა გარანტიას იძლევა სპეკულაციის წინააღმდეგ!!! ნამდვილად კი:

8) «სინამდვილეში კი ამით» («ანგარიშების სიმოკლით») აღწვევენ მხოლოდ იმას, რომ მცირეოდენ უკეთ ინფორმირებულ პირებს შეუძლიათ გამდიდრდნენ აქციონერთა ჯოგის ხარჯზე, განსაკუთრებით თუ მოკლე ანგარიშებს უერთდება კიდევ სტატიობით განაწილების დახელოვნებული სისტემა, რომლის მეოხებითაც დიდმნიშვნელოვანი მონაკვეთები უხილავი ხდება ჩვეულებრივი აქციონერის თვალისა-

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 268. რედ.

თვის. გამგეობებს და მათს კარგ მეგობრებს აქვთ, ამ შემთხვევაში, ორმაგი უპირატესობა: ხელსაყრელი ვითარების დროს არიან ერთადერთი მფლობელნი ყველა ცნობისა იმის შესახებ, თუ როგორ იწვევს მაღლა კურსი, ხოლო საქმის გაუარესების დროს თავიდან აცილებენ მოსალოდნელ ზარალს აქციების დროზე გაყიდვით.

მაგალითად, «აქციენგეზელშაფტ ფიურ ფედერშტალინდუსტრი» კასელში რამდენიმე წლის წინათ ითვლებოდა ერთ-ერთ ყველაზე შემოსავლიან საწარმოდ გერმანიაში. უხეირო მმართველობამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ დივიდენდები რამდენიმე წლის განმავლობაში 15%-დან 0%-მდე დაეცა. როგორც გამოირკვა, გამგეობას, აქციონერთა ნებადართულად, თავის ერთ-ერთ «ასულ-საზოგადოებისათვის», «ჰასიასთვის», შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისათვის, რომლის ნომინალური კაპიტალი სულ რაღაც რამდენიმე ასი ათას მარკას უდრიდა, მიუცია სესხად ნ მილიონი მარკა. ამ სესხის შესახებ, რომლის ოდენობა თითქმის სამჯერ მეტია «დედა-საზოგადოების» სააქციო კაპიტალზე, უკანასკნელის ბალანსებში არაფერი იყო ნათქვამი; იურიდიულად ასეთი დუმილი სრულიად კანონიერი იყო, და შესაძლებელია ეს მდგომარეობა მთელ ორ წელიწადსაც გაგრძელებულიყო, ვინაიდან ამით სავაჭრო კანონმდებლობის არც ერთი პარაგრაფი არ ირღვეოდა. ზედამხედველთა საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც, როგორც პასუხისმგებელი პირი, ხელს აწერდა ყალბ ბალანსებს, იყო და რჩება კასელის სავაჭრო პალატის თავმჯდომარედ. აქციონერებმა საზოგადოება «ჰასიას» ამ სესხის ამბავი გაიგეს ძალიან გვიან მას შემდეგ, რაც იგი შეცდომა გამოდგა და როდესაც «ფედერშტალის» აქციების ფასი, იმის გამო, რომ მათს თავიდან მოშორებას ცდილობდა ყველა, ვინც საქმის ვითარება იცოდა, დაეცა თითქმის 100%-ით. მხოლოდ მაშინ ბალანსის მეთოდის შეცვლით გახსნილ იქნა შესაბამისი სტატია. ბალანსის დარგში ეკვილიბრისტიკის ეს ტიპიური მაგალითი, რომელიც სააქციო საზოგადოებათა-

კარგი
მაგალითია!

!!!

NB

NB ||| თვის ყველაზე ჩვეულებრივი მოვლენაა, ცხად-ყოფს, თუ რატომ ხდება, რომ სააქციო საზოგადოებათა გამგეობები გაცილებით უფრო ადვილად ჰკიდებენ ხელს სარისკო საქმეებს, ვიდრე კერძო მეწარმენი. ბალანსების შედგენის უახლესი ტექნიკა არა მარტო შესაძლებლობას აძლევს მათ საშუალო აქციონერს დაუმალონ სარისკო საქმეები, არამედ იგი აგრეთვე საშუალებას აძლევს მთავარ დაინტერესებულ პირთ აქციების დროზე გაყიდვით მოიშორონ თავიდან პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, თუ ექსპერიმენტი მარცხით დამთავრდება, კერძო მეწარმე კი ყველაფერისათვის, რასაც ის აკეთებს, თავისივე ტყავით აგებს პასუხს» (545).

9)

ამრავალი აქციონერული საზოგადოების ბალანსები ჩამოჰგავს შუა საუკუნეთა ეპოქის იმ ცნობილ პალიმფსესტებს» (პერგამენტი), «რომლებზეც ნაწერი ჯერ უნდა წაგეშალა, რათა აღმოგეჩინა დაწერილის ქვეშ მოქცეული ნიშნები, რაც ხელნაწერის ნამდვილ შინაარსს შეიცავდა» (545)...

პერგამენტი, რომელზეც პირველი ძირითადი ხელნაწერი წაშლილია და ამ წაშლილზე სხვაა დაწერილი.

...ბალანსების შეუფალობის მისაღწევად ყველაზე მარტივი და ამიტომაც უფრო გავრცელებული საშუალება ისაა, რომ ერთ მთლიან საწარმოს ყოფენ რამდენიმე ნაწილად ასულ საზოგადოებათა შექმნით ან უკვე არსებულთა შემოერთებით. ამ სისტემის სარფიანობა სხვადასხვა — კანონიერი თუ უკანონო — მიზნის თვალსაზრისით იმდენად ცხადია, რომ ამჟამად პირდაპირ გამოწაკლისს წარმოადგენენ დიდი საზოგადოებანი, რომლებსაც ეს სისტემა არ მიეღობთ»* (545—546).

ამრიგად აღწევენ «მათი ოპერაციების გარკვეულ შეუფალობას» (ibidem)...

განსაკუთრებით თვალსაჩინო მაგალითია «ა ლ გ ე მ ა ი ნ ე ე ლ ე ქ ტ რ ი ც ი ტ ე ტ ს გ ე ზ ე ლ შ ა ფ ტ ი» (მილიარდები — ასულ საზოგადოებებში)...

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 285—287. რ ე ლ.

(შეად. 1908. ნაკვეთი 8: «რატენაუს სისტემა». «Die Bank» აშშ -ის ზერხების შესახებ)

((...გადასახადები მეტია, ვინაიდან ისინი (ასული საზოგადოებანი) განსაკუთრებული გადასახადებით იბეგრებიან, მაგრამ სამაგიეროდ მოგება მეტია, საიდუმლოებაც დაკულია!...))

ხაზი ავტორისაა: «ასული საზოგადოებანი წარმოადგენენ იდეალურ საშუალებას, რომლის შემწეობითაც შეიძლება ობიექტურად ყალბი ბალანსების შედგენა ისე, რომ ვაჭრობის კანონების კოდექსის დებულებათა საწინააღმდეგო არაფერი იქნება» (549).

...გადამწყვეტია ის, რომ სტატიოებით განაწილების უახლესი სისტემის მეოხებით იქმნება შენიღბვის შესაძლებლობანი (ibidem)...

კიდევ მაგალითი:

«ბერშლენშიე ვიზენინდუსტრი აქციენგეზელშაფტი» (გვ. 550—551) «მონაწილეობის» ბალანსში = 5.2 მილიონი მარკა.

როგორი? ავტორს არაოფიციალურად შეუტყვია: აქციების 60% «გლევივიტცერ შტეინკალენგრუბენისაა»

(ამ საზოგადოებას კი 20 მლნ. მარკა ვალეები აქვს!!)

((დასასრული))

Ibidem გვ. 340 (აპრილი) (ბერლინის დიდი ბანკები (10 28. II. 1914).

ბერლინის დიდი ბანკების ბალანსები.

ბალანსები: 8 ბანკისა («დოიჩე ბანკი», «დისკონტოგეზელშაფტი», «დრეზდნერ ბანკი», «დარშუტელტერ ბანკი», 28 II. «შაფჰაუზენშერ ბანკფერეინი», «ნაციონალბანკ 1914 ფიურ დოიჩლანდი», «კომერც—უნდ დისკონტო-ბანკი» + «მიტელდოიჩე კრედიტბანკი»).

მილიონი მარკა

სააქციო კაპიტალი = 1 140.0 მლნ.
თამასუქები და სხვ. = 1 956.18

დებიტორები = 3 036.83
Σ ბალანსებისა = 8 103.71

რეზერვები = 350.82
კონსორციული მონაწილეობა = 278.28
ხანგრძლივი მონაწილეობა = 286.81

შემნახველი სალაროები (1910) (საფოსტო შემნახველი სალაროების ჩათვლით)¹⁰ (გვ. 446)

	მილიონი მარკა		მილიონი მარკა
გერმანია	16 780	დანია	603
ავსტრია	5 333	ლუქსემბურგი	49
უნგრეთი	1 876	შვეცია	961
იტალია	3 378	ნორვეგია	570
საფრანგეთი	4 488	ესპანეთი	340
დიდი ბრიტანეთი	4 518	რუმინეთი	50
რუსეთი	3 019	ბულგარეთი	36
ფინეთი	190	ამერიკის შ. შტატები	17 087
შვეიცარია	1 272	ავსტრალია	1 213
პოლანდია	464	ახალი ზელანდია	319
ბელგია	830	იაპონია	662

გვ. 496: კრიტიკა «ემისიების სტატისტიკისა»:

NB ეს სტატისტიკა («Frankfurter Zeitung»-ისა და «Der Deutsche Oekonomist»-ის სტატისტიკაში ბევრია შეფასება) მეტწილად ძალიან არაზუსტია, იძლევა maximum-ს და არა სინამდვილეს. აქციების გამოშვება = ვალი შეიძლება გადაყვანილ იქნას სხვა ფორმაში. შეად. დ-რი გერმან კლაინერი. «სტატისტიკა ემისიებისა გერმანიაში». ბერლინი, 1914, და მ. მარქსი (დისერტაცია). «სტატისტიკა ემისიებისა გერმანიაში და ზოგიერთ უცხო სახელმწიფოში». ალტენბურგი, 1913.

1914, 1, გვ. 316 (ლანსბურგის სტატია). ბირჟა *versus* ბანკები:

NB ...«ბირჟა დიდი ხანია აღარ არის მიმოქცევის საქმეში აუცილებელი შუამავალი, როგორც ის იყო წინათ, როდესაც ბანკებს ჯერ კიდევ არ შეეძლოთ გამოშვებული საფონდო ფასეულობათა უმეტესობის განაწილება თავიანთ კლიენტთა შორის»*.

11) (მარტი 1914) გვ. 298—9 «ახალი ერა კონცენტრაციისა» (საბანკო საქმეში) — კონიუნქტურის გაუარესებასთან დაკავშირებით etc.

(«ბერგიმ-მერკიმე ბანკი», ეს 80-მილიონიანი რაინის წამოწყება თავისი 35 განყოფილებიანად მალე შეუერთდება «ლოიჩე ბანკს»: 298.)

* იხ. ვ. ი. ლენინი. «სხულებანი», 4 გამოც., ტომი 22, გვ. 271. რე დ.

«ვინაიდან თუმცა გაერთიანება ყოველთვის როდი ხდის ძლიერად, იგი მაინც გარედან ფარავს ბევრ სისუსტესა და წყლულს» (299) — შეერთების მნიშვნელობის საკითხისათვის...

გვ. 94. «საკონკურსო სტატისტიკა»¹¹ — მისი მნიშვნელობა კონიუნქტურის შეფასებისათვის.

(«გერმანიის იმპერიის სტატისტიკის კვარტალური მიმოხილვებიდან») განსაკუთრებით «ყველაზე უფრო მძიმე სამეურნეო კრახები, ე. ი. ის შემთხვევები, როცა საკონკურსო მასის ნაკლებობის გამო საკონკურსო პროცედურა ან სრულებით არ შეიძლებოდა დაწყებულიყო, ან უნდა შეჩერებულიყო» (გვ. 94).

[იხ. ცხრილი 66 გვერდზე. რედ.]

ამ ხნის განმავლობაში დიდი ქალაქების რიცხვი გაიზარდა 28-დან 48-მდე (ხოლო მათი მოსახლეობა კიდევ უფრო მეტად), მაგრამ უძლიერესი კრახების % (რომლებიც საკონკურსო მასის ნაკლებობის შედეგად დამთავრდა) წინათ საშუალოზე დაბალი იყო, ახლა კი მაღალია.

გვ. 1 (I. 1914), ლანსბურგის სტატიაში («კრიზისების გამო მწვენი»): (NB: კონიუნქტურა).

«უკვე დაახლოებით ერთი წელიწადია, რაც გერმანიაში კონიუნქტურა შესამჩნევად უარესდება».

«დრო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ამჟღავნებს კრიზისის ბევრ, თუმცა არა ყველა დამახასიათებელ ნიშანს»...

«კრიზისების ყველაზე საბედისწერო გამომწვევია.. პროგრესი»... (11)

საწინააღმდეგო საშუალება? «უფრო ნამდვილია (ვიდრე კარტელები) — ტრესტი, რომელიც ან შეგნებულად ახშობს ყოველგვარ გამოვონებას და გაუმჯობესებას, ან შეისყიდის ხოლმე მათ, როგორც მოექცნენ, მაგალითად, გერმანიის დიდი შუშის ფაბრიკები ოუენსის ბოთლის წარმოების პატენტს, რომლებიც მიზნობრივი ტრესტის მსგავს რაღაცად გაერთიანდნენ, რათა ეყიდნათ პატენტი, რომელიც მათ მეთისმეტად საშიშად მიაჩნდათ» (15)*.

NB
კარგი
მაგალითია!!

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 348. რედ. 5. ვ. ი. ლენინი, ტ. 39

ჩემი დამატე- ბანი	სულ გერმანიის იმპერიაში განცხადებული კონკურსი				განცხადებული დამოკრებული კონკურსი				დიდ ქალაქებში განცხადებული დამოკრებული კონკურსი						
	სულ	ანაზღაურება ფანქარს	%	სულ	ანაზღაურება ფანქარს	%	სულ	ანაზღაურება ფანქარს	%	სულ	ანაზღაურება ფანქარს	%	სულ	ანაზღაურება ფანქარს	%
იღმველობის დასაწყისი	1895	7 111	680	9.6	6 362	395	6.3	1 823	243	13.3	1 724	104	6.0		
მლალი	1897	6 997	639	9.1	6 077	381	6.3	1 777	251	14.1	1 466	92	6.3		
კონიუნქტურა კრიზისი	1899	7 742		8.8											
	1901	10 569		10.9											
	1903	9 627		15.1											
გამოცოცხლება ამერიკის კრიზისი	1905	9 357		17.6											
	1907	9 855		17.8											
	1908	11 571		19.0											
	1909	11 005		21.6											
	1910	10 783		22.2											
	1911	11 031	2 351	21.3	8 092	682	8.4	3 603	1 238	34.3	2 325	220	9.5		
«ეცვეება» ¹⁾	1912	12 094	2 885	23.9	8 356	784	9.4	4 060	1 563	38.5	2 395	241	10.1		

¹⁾ «Die Bank», 1914, გვ. 5 (I. 1914).

შენიშვნა «სატრანსპორტო ტრესტი»
 ჟურნალ «Die Bank»-ში, 1914, 1, გვ. 89.

მაგალითი
 კარგია!

განზრახულია შეიქმნას (შესაძლოა უახლოეს მომავალში) ბერლინის «სატრანსპორტო ტრესტი, ე. ი. ინტერესთა ერთობა ბერლინის სამ სატრანსპორტო საწარმოს შორის — მიწისზედა რკინიგზას, ქალაქის ტრამვაისა და საომნიბუსო საზოგადოებას შორის. ასეთი განზრახვა რომ არსებობს, ეს ჩვენ ვიცოდით მას შემდეგ, რაც გამოაშკარავდა, რომ საომნიბუსო საზოგადოების აქციათა უძეტესობა გადავიდა ორი სხვა სატრანსპორტო საზოგადოების ხელში... შეიძლება სავსებით დავუჭეროთ იმ პირთ, რომელთაც დაუსახავთ ისეთი მიზანი, რომ სატრანსპორტო საქმის ერთგვაროვანი რეგულაციის საშუალებით იმედი აქვთ მიიღონ იმდენი დანაზოგი, რომ მისი ნაწილი ბოლოს და ბოლოს ხალხსაც ერგოს. მაგრამ საკითხი იმით რთულდება, რომ ამ დასაარსებელი სატრანსპორტო ტრესტის ზურგს უკან ბანკები დგანან, რომელთაც, თუკი მოინდომეს, შეუძლიათ მათ მიერ მონოპოლიზებული მიმოსვლის საშუალებანი დაუმორჩილონ თავიანთ — მიწის ნაკვეთებით ვაჭრობის ინტერესებს. რათა დავრწმუნდეთ იმაში, თუ რამდენად ბუნებრივია ასეთი ვარაუდი, საკმარისია გავიხსენოთ, რომ ქალაქის ელექტრორკინიგზის საზოგადოების დაარსებისას აქ უკვე იყო ჩარეული იმ დიდი ბანკის ინტერესები, რომელიც ხელს უწყობდა მის დაარსებას. სახელდობრ: ამ სატრანსპორტო საზოგადოების ინტერესები გადაეხლართნენ მიწის ნაკვეთებით ვაჭრობის ინტერესებს და ამ სატრანსპორტო წამოწყების წარმოქმნის არსებითი წინაპირობაც კი შეადგინეს. საქმე ის არის, რომ ამ გზის აღმოსავლეთ ხაზს უნდა მოეცვა მიწის ის ნაკვეთები, რომლებიც შემდეგში ამ ბანკმა, როცა ვზის გაყვანა უკვე უზრუნველყოფილი იყო, გაყიდა უდიდესი მოგებით თავისთვის და შენჭაუხერ-ალეის სადგურთან არსებული საადგილმამულო საზოგადო-

!!

NB

!!

ების რამდენიმე მონაწილისათვის...* ხომ საყოველთაოდ ცნობილია, რომ მიწის ახალი ნაკვეთების ათვისების და ამით მათი ღირებულების გადიდების მიღწევა ყველაზე უკეთ ახალი გზების საშუალებით შეიძლება». (კიდევ მოყვანილია მაგალითი: სულ ცოტა 11 ხაზი უკვე მიდის იმ ადგილთან, რომელსაც ტემპელჰოფის მინდორი ჰქვია. ბევრი არ არის? მიზეზი: იქ ბევრი ღირეპტორი და სამეთვალყურეო საბჭოების წევრები ცხოვრობენ!!! გვ. 90)... «გზების მონაპოლია იწვევს დასახლების მონაპოლიას...»

13)

NB

«ნავთის კომედია». «Die Bank», 1913, № 4 (გვ. 388). ჩინებული შენიშვნაა, რომელიც ცხადყოფს საქმის არსს გერმანიაში ნავთის მონაპოლიისათვის ბრძოლაში.

1907 წლამდე. «1907 წლამდე ნავთის კონცერნს «დოიჩე ბანკს» მწვავე კონფლიქტი ჰქონდა «სტანდარდ ოილ კომპანისთან» (389). დასასრული ნათელი იყო: «დოიჩე ბანკის» დამარცხება. 1907 წელს მას დარჩენოდა: ან მოეხდინა თავისი «ნავთის ინტერესების» ლიკვიდაცია მრავალმილიონიანი ზარალით, ან დამორჩილებულიყო. აირჩიეს უკანასკნელი და დადეს ხელშეკრულება «სტანდარდ ოილ კომპანისთან» («არცთუ ძალიან ხელსაყრელი» «დოიჩე ბანკისათვის»). ამ ხელშეკრულებით «დოიჩე ბანკმა» იკისრა «არწამოწყობადი არაფერი ამერიკის ინტერესების საზიანოდ», მაგრამ... ხელშეკრულება ბათილდებოდა იმ შემთხვევაში, თუ მიღებული იქნებოდა კანონი გერმანიის ნავთის მონაპოლიის შესახებ.

NB:

«დოიჩე ბანკისა» და «სტანდარდ ოილ კომპანის» ბრძოლა

და აი ბატონმა ფონ გვინერმა («დოიჩე ბანკის» ერთ-ერთმა ღირეპტორმა) თავისი (კერძო) მდივნის (შტაუსის) მეშვეობით («Die Bank», 1912, 2, გვ. 1034) დაიწყო აგიტაცია მონაპოლიის სასარგებლოდ!! ამოქმედდეს დიდი ბანკის მთელი აპარატი... მაგრამ დაიბნენ. მთავრობას ეშინოდა (უკვე როცა მოამზადა და პარლამენტს წარუდგინა პროექტი), იშოვნო-

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 295—296. რ ე ლ.

და თუ არა გერმანია ნავთს «სტანდარდ
ოილ კომპანისათვის» გვერდის ავლით.

იხ. 1913, გვ. 736 და შემდ.

მდგომარეობა გამოასწორა სამხედრო კანონ-
პროექტმა (3. VII. 1913), რამაც გადადო სა-
კითხი. «სტანდარდ ოილ კომპანიმ» მოიგო,
ვინაიდან მონოპოლია (ჭერჭერობით) არ შემო-
ულიათ*.

«დოიჩე ბანკისა» და გერმანიის
ბრძოლა «სტანდარდ ოილ კომპანიის-
თან».

NB

«Die Bank», 1913, № 8 (აგვისტო).

ალფრედ ლანსბურგი. «გერმანიის ბანკების საქმიანობის
ხუთი წელი».

კონცენტრაციის ზრდა:

ანაბრები (ყველა ბანკისა 1 მლნ. მარკაზე
მეტი სააქციო კაპიტალით) იყო

1907/8—6 988 მლნ. მარკა

1912/3—9 806

+2.8 მილიარდი + 40%

{ 9 ბერლინის დიდი ბანკი
48 ბანკი 10 მლნ. მარკაზე მეტი კაპიტალით
57

+ 115 ბანკი 1 მლნ-ზე მეტი კაპიტალით

57 დიდმა ბანკმა თავისი ანაბრები გაადიდა 2.75 მილიარდით

გადიდება 5 წელიწადში (მლნ. მარკა)

		სააქციო		
		ანაბრები კაპიტალი რეზერვები		
{	ყველა ბანკი 1 მლნ-ზე მეტი კაპიტალით	+ 2 818	+ 390	+ 148
	57 ბანკი 10 > > >	+ 2 750	+ 435	+ 153

{ წვრილ ბანკებს აბსოლუტური შემცირება აქვთ: შეერთე-
ბა etc. }

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22. გვ. 312—314.
რ ე ღ.

ყველა ანაბრის პროცენტი (გვ. 728)

NB	ბერლინის დიდი ბანკები (9)	ლანარჩენი	ბანკები 1—10 მლნ. მარკაზე მეტი კაპიტალით (48)	ბანკები 1—10 მლნ. მარკით (115)	ბანკები
		ბანკები 10 მლნ. მარკაზე მეტი კაპიტალით			1 მლნ. მარკაზე ნაკლები კაპიტალით
1907/8	47	32.5	16.5	4	100
1910/11	49	33.5	14	3 1/2	100
1912/13	49	36	12	3	100*

14) 1913, №7, გვ. 628 და შემდ.


«სახელმწიფო და უცხოეთის სესხები» (ალფრედ ლანსტურგისა).

გერმანიის მთავრობამ აკრძალა უცხოეთის სესხები? რა უბიძგებს ბანკებს აქეთკენ? ის, რომ ისინი უკვე «ჩაეფლნენ» (მექსიკა, ჩინეთი, თურქეთი etc. გაკოტრებით იმუქრებიან).

რა უბიძგებდა ბანკებს იქითკენ, რომ ასეთი სახელმწიფოებისათვის პირველი სესხი მიეცათ? სარფა!

NB

მნიშვნელოვნია



...«ქვეყნის შიგნით არ მოიპოვება არც ერთი ისეთი გეშეფტი, რაც დაახლოებით მაინც იძლეოდეს ისეთ დიდ მოგებას, როგორსაც იძლევა შუამავლობა უცხოეთის სესხთა გამოშვებისას» (630)...**

იმპერიალიზმის საკთხისათვის!!

განსხვავება 7—8%-მდე ხელმოწერის კურსსა და საბანკო კურსს შორის; სხვადასხვა პირობები, მაგალ., საგირავნო — % ნახევარი წლისა როგორც «გარანტია» და ა. შ. და სხვ.

შემდეგ «მაღალი პოლიტიკა» (საფრანგეთი და გერმანია განსაკუთრებით — სესხს იძლევიან მოკავშირეთა შესაძენად და სხვ.).

კარგად არის ნათქვამი!

საფრანგეთის დამოკიდებულება რუსეთზე («რუსეთის ფასეულობათა კურსის დაცემის თვითეული პროცენტი საფრანგეთს 100 მილიონი უჭდება. რუსეთის უბრალო მუქარა, რომ შეაჩერებს პროცენტების გადახდას, მისი ძირითადი კრედიტორისათვის მეტს ნიშნავს, ვიდრე მთელი საარმიო კორპუსის დაკარგვა» — გვ. 633).

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 262. რ ე დ.
 ** იქვე, გვ. 292. რ ე დ.

ასეთი სესხების დროს «არავინ იცის, ვინ ვის | კარგად არის
დუღუკზე ცეკვავს», *ibidem*. | ნათქვამი!

მექსიკას (გვ. 628) არაერთხელ დაუბრუნებია თავისი ვალდებულებანი (სრული გაკოტრების გამოუცხადებლად); მაგრამ მას აძლევენ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში უარესია მოსალოდნელი!!

«მეტოქეობა უცხოეთის სესხების გამო» (1913, № 10, გვ. 1024 და შემდ. რედაქციის შენიშვნა).

«კაპიტალთა საერთაშორისო ბაზარზე ამ მოკლე ხნიდან თამაშობენ კომედიას, რომელიც არისტოფანის ყალმის ღირსია. უცხოეთის მთელი რიგი სახელმწიფოები, ესპანეთიდან ბალკანეთამდე, რუსეთიდან არგენტინამდე, ბრაზილიამდე და ჩინეთამდე, გამოდიან, აშკარად თუ ფარულად, ფულის დიდი ბაზრების წინაშე მოთხოვნით, ზოგჯერ მეტისმეტად დაყინებითი მოთხოვნით, სესხის მიღების შესახებ. ფულის ბაზრები ამჟამად არც ისე ბრწყინვალე მდგომარეობაში იმყოფებიან, პოლიტიკური პერსპექტივებიც კვლავ არ არის სანუგეშო. მაგრამ ფულის ვერც ერთი ბაზარი ვერ ბედავს უარი თქვას სესხის მიცემაზე იმის შიშით, რომ მას დაასწრებს მეზობელი, დათანხმდება სესხზე და ამასთანავე უზრუნველყოფს თავისთვის ერთგვარ სამსახურს სამსახურისათვის. ამგვარ საერთაშორისო გარიგებათა დროს თითქმის ყოველთვის რჩება ზოგი რამ კრედიტორის სასარგებლოდ: დათმობა სავაჭრო ხელშეკრულებაში, ქვანახშირის სადგური, ნავსადგურის აგება, მსუქანი კონცესია, ზარბაზნების შეკვეთა... (1025)*.

«ხელ-
საყრე-
ლობა»
NB (15)

დიდი მნიშვნელობა აქვს მონობოლიებისა და ფინანსური კაპიტალის საკითხისათვის; იმპერიალიზმის «ხელსაყრელობა»

1918, აგვისტო, გვ. 811, შენიშვნა «შემნახველი სალაროები და ბანკები»...

...«მწვავე კონკურენტული ბრძოლა, რომელიც უკვე რამდენიმე წლის წინათ გაჩაღდა შემნახველ სალაროებსა და ბანკებს შორის, იმის გამო, რომ ამ ორი ესოდენ სხვადასხვა

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 305. რ ე დ.

სახის დაწესებულებიდან თვითეული ცდილობს გასცდეს თავისი საკუთარი საქმიანობის ფარგლებს და შეიჭრას მეორის საქმიანობის სფეროში, კვლავ ჩვენი სავაჭრო პალატების საზრუნავია. მაგალ., ბოხუმის სავაჭრო პალატა მოითხოვს განხორციელდეს ღონისძიებანი შემნახველი სალაროების წინააღმდეგ, მათ შორის აეკრძალოთ მათ თამასუქების განაღდება, მიმდინარე ანგარიშების წარმოება და სხვ. (ნებას რთავენ ჰქონდეთ «სეიფები», ჩეკები და ჟირო)*.

იგივე თემა: «შემნახველი სალაროების საბანკო საქმიანობა» (გვ. 1022 და შემდ.).

!!
უნდათ იარონ
«უკან»
პატარა კაპიტალიზმისაკენ
(და არა სოციალიზმისაკენ)

შემნახველი სალაროები იქცევიან მდიდრებისათვის განკუთვნილ დაწესებულებებად: პრუსიაში 1909 წელს 10.3 მილიარდი მარკა ანაბრებიდან 4.78 მილიარდი = 46 $\frac{1}{3}$ % შედგებოდა 3000 მარკაზე მეტი ანაბრებისაგან (15% — 10 000 მარკაზე მეტი ანაბრებისაგან). მდიდრებს ხშირად 1 წიგნაკზე მეტი აქვთ. შემნახველი სალაროები სარისკო ოპერაციებს (სათამასუქო, საიპოთეკო და სხვ.) ეწევიან, რასაც მათ კონკურენცია აკეთებინებს (გადასახდელია 4 და 4 $\frac{1}{4}$ %!). წინადადებაა «აიკრძალოს»...

სტატია «ქაობი» (ლ. ეშვეგესი) (1913, გვ. 952 და შემდ.) მიწის ნაკვეთებით სპეკულანტთა თაღლითური ოინების შესახებ (ნაკვეთების მამასისხლად გაყიდვა, მშენებელთა კრაზი, გადატაკება მუშებისა, რომლებიც ქირას ვერ იღებენ, etc. etc.). ჰაბერლანდის, ბანდის მეთაურის, მისწრაფება მოახდინოს «ცნობათა ბიუროების» მონოპოლიზაცია, ე. ი. მოახდინოს მთელი სამშენებლო საქმის მონოპოლიზაცია. დამახასიათებელია დასკვნითი სიტყვები:

«სამწუხაროდ, თანამედროვე კულტურის განვითარების გარდუვალ მსვლელობას, ჩანს, მოსდევს ის, რომ საწარმოო ძალები სულ უფრო და უფრო მეტად ექცევიან ცალკეულ ძლიერ ადამიანთა ხელში და ისინი მათ მონოპოლისტურად იყენებენ.

* იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 270. რ ე დ.

გერმანიის კონსტიტუციით უზრუნველყოფილი ეკონომიური თავისუფლება სამეურნეო ცხოვრების მრავალ დარგში უკვე დღეს უშინაარსო ფრაზად არის გადაქცეული. ამ პირობებში უანგარო მოხელეები, რომლებსაც შეგნებული აქვთ თავიანთი პასუხისმგებლობა, წარმოადგენენ იმ გრანიტის კლდეს, რომელსაც შეუძლია იხსნას საზოგადოებრივი დოვლათი ანგარების შეტევისაგან. ეს კლდე რომ ჩამოიქცეს, უფართოეს პოლიტიკურ თავისუფლებასაც კი არ შეუძლია გვიხსნას იმისაგან, რომ ჩვენ თავისუფლებას მოკლებულ ხალხად გადავიქცევით*, და მონარქიასაც კი მაშინ მხოლოდ წმინდა დეკორაციული მნიშვნელობა ექნებოდა» (გვ. 962).

ჰა-ჰა!

მხოლოდ
«ექნებო-
ლა»???

NB

ავტორს აქვს წიგნი: «მიწის და იპოთეკის პრობლემები». 1913 (2 ტომი).

NB

ლიტერატურის მითითებანი

?? ევგენი შვიდლანდი. «სახალხო მეურნეობა გარეშე სამყაროს ზეგავლენის ქვეშ» (1913) (1 კრონა). თემებიდან და თავებიდან; «კოლონიები და სახელმწიფოთა კავშირი».

«ფონ დერ ჰეიდტის კოლონიური ცნობარი». (გამოცემა: ფრ. მენში და ი. ჰელმანი). 1913 (გამოცემის მე-7 წელი) (16 მარკა). მონაცემები (ფინანსური) კოლონიებში არსებული ყველა ბანკისა და სააქციო საზოგადოების შესახებ.

? ლეოპოლდ ჯოზეფი. «გერმანიის ბანკების ევოლუცია». ლონდონი, 1913. იქნებ რისერის წიგნის უინაარსის გადმოცემა? თუ არა?

ერპ. ჰიუბენერი. «გერმანიის რკინის მრეწველობა». 1913 (5.00 მარკა) («უმაღლესი სავაჭრო სკოლის ბიბლიოთეკის» მე-14 ტომი).

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 297—298.
რ ე ღ.

პაულ ჰაუსმაისტერი. «დიდი საწარმო და მონოპოლია გერმანიის საბანკო საქმეში» (1912). (2 მარკა).

არტურ რაფალოვიჩი. «ფულის ბაზარი». 1911/2, პარიზი, ტომი 22, 1912/3.

«Compass». გამოცემის 46-ე წელი. 1913 (ავსტრიის ფინანსური წელიწადული; II ტომში საერთაშორისო სტატისტიკა). გამოც. რ. ჰანელისა.

ფასიანი ქაღალდების სტატისტიკა

17) «საერთაშორისო სტატისტიკა ფასიანი ქაღალდებისა და ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა». დ-რ ციმერმანის «Bank-Archiv». 1912, 1. VII.

«საერთაშორისო სტატისტიკური ინსტიტუტის» გამოცემის მიხედვით (ალფრედ ნეიმარკი), «მოძრავ ფასეულობათა» სტატისტიკა.

ფრანკები (მლ. = მილიარდი ფრანკი).

1. I. 1897—446.5 მილიარდი.

	1/I 1897	1/I 1901	1/I 1907	(გვ. 302)
1897 — დიდი ბრიტანეთი	182.4	—	215	— 125—130
პოლანდია —	13.4	—	15	—
არა — ბელგია.....	6.1	—	8	—
ზუს — გერმანია.....	92.0	—	80	— 60—75
ავსტრია-უნგრეთი	24.5	—	30	— 20—22
ტია — იტალია.....	17.5	—	17	— 10—12
რუმინეთი —	1.2	—	1.5	—
(გვ. 301) ნორვეგია.....	0.7	—	1.0	—
1901 — დანია —	2.7	—	2.2	—
საფრანგეთი —	80.0	—	135	— 95—100
გასწო — რუსეთი.....	25.4	—	35	— 20—25
რებუ — ესპანეთი	—	—	10	—
ლია — შვეიცარია —	—	—	8	—
შვეიცარია და სხვ.	—	—	5	—
	<u>Σ=446.5</u>	<u>Σ=562.7</u>		

(ნამდვივად ნაღდი ფასეულობანი)

ამერიკის შეერთებული შტატები	—	—	—	110—115
იაპონია	—	—	—	— 5
დანარჩენი სახელმწიფოები	—	—	—	30—35

მილიარდი:

1897—446.5
1899—460
1901—562.7 (342.4)
1907—732 (475—514)
1911—815 (570—600)18

ფრჩხილებში მოთავსებული ციფრები = გაორკეცებისა და გამეორების გამოკლების ცდა (წინანდელის დაახლოებით 2/3)

(გვ. 301) («ვაჭრობასა და ცალკეულ სახელმწიფოთა მფლობელობაში წამდვილად არსებული ფასეულობანი»).

იხ. ამ რვეულის გვ. 68*.

თ ა ნ ხ ე ბ ი		(გვ. 317) ემისიები მილიარდ ფრანკობით
მოელ ხუთწლეულებში:		
ნეიმარკი, ტ. XIX, ნაკვეთი II, გვ. 206	1871/5 — —	45.0
	1876/80 — —	31.1
	1881/85 — —	24.1
	1886/90 — —	40.4
	1891/5 — —	40.4
	1896/900 — —	60.0
	1901/5 — —	83.7
	1906/1910 — —	114.1***

იხ. გვ. 68—69
აქ**

ბრუნცელი. «სამაჭრო, საბადამხდელო და სამეურნეო ბალანსი»

პროფ. დ-რი იოსებ გრუნცელი. «სავაჭრო, საბადამხდელო და სამეურნეო ბალანსი». ვენა, 1914. NB გვ. 26—29: მოკლე კრებული მონაცემებისა კაპიტალის გატანის შესახებ etc. (მონაცემები მეტწილად საყოველთაოდ ცნობილია). უცხოეთის კაპიტალი

ავსტრია-უნგრეთში:	9 809 მლნ. კრონა (მ. შ. 4 653 გერმანიისა და 3 270 საფრანგეთისა)
არგენტინაში	9 მილიარდი მარკა
ჩინეთში	3 737 მლნ. მარკა (სახელმწიფო ვალი: რკინიგზებში 50 მლნ. გირვანქა სტერლინგზე მეტი, ბანკებში 34 იენა (ეს სახელმწიფო ვალია; ხოლო საწარმოებში 33 მლნ. იენა)
იაპონიაში	1 765 »
კანადაში	1 750 მლნ. დოლარი (მ. შ. ინგლისისა 1 050; ამერიკისა 500)
მექსიკაში	1 000 » » ამერიკისა + 700 ინგლისისა

* იხ. ეს ტომი, გვ. 131. რედ.

** იხ. ეს ტომი, გვ. 131—133. რედ.

*** იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 299—300. რედ.

შილდერი. «მსოფლიო მეურნეობის განვითარების ტენდენციების» 1-ლი ტომი

- 18) **დ-რი ზიგმუნდ შილდერი.** «მსოფლიო მეურნეობის განვითარების ტენდენციები». I ტომი. ბერლინი, 1912. (I ტომი: «გეგმაზომიერი?! შეგავლენა მსოფლიო მეურნეობაზე»).

სათაურიც ძლიერ ფართოა, ხოლო ქვესათაური პირდაპირ შარლატანურია, რადგან ავტორი დასპეციალებულია საბაჟო პოლიტიკაზე = ესეც თქვენ გეგმაზომიერი შეგავლენა!!

ავტორი სავაჭრო მუზეუმის მდივანია.

გვ. 4 — არ ეთანხმება ზომბარტს («საექსპორტო კვოტის» დაცემის მის თეორიას). ეს «კვოტა» დიდ დებაო.

გვ. 6. პროტექციონიზმის თითქოს შესუსტება («ამის ნიშნები») 1910—1911 წ.

გვ. 6 — «მღელვარება სიძვირესთან დაკავშირებით» საფრანგეთში VIII. და IX. 1911. თარიღები (NB): ვენაში 17. IX. 1911.

27—28. მიწათმოქმედებაც აგრეთვე ვითარდება (არა მარტო ინდუსტრია), «თევით» («sogar») (გვ. 28, მე-8 სტრიქონი ქვემოდან): «ევროპის ინდუსტრიულ სახელმწიფოებში». (ეს «თევით» ჩინებულია!)

(NB: მიდგომა შესაბამისობის საკითხისადმი — საკმა-რისი იქნება თუ არა «დედამიწის სოფლის მეურნეობის» მსყიდველობითი უნარი», გვ. 27.

28—29. სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა განვითარება (ინდოეთშიც კი: 3 498 ამხანაგობა 231 000 წევრით «The Times»-ის მიხედვით, 27. VII. 1911).

სოფლის მეურნეობის განსაკუთრებით სწრაფი განვითარება შეერთებულ შტატებში.

მე-20 საუკუნეში ასეთი რამ მოსალოდნელიაო როდესაც იაში,

30: კანადაში, სუდანში (ეგვიპტის), მესოპოტამიაში

31 — მთავრობები ავითარებენ მიწათმოქმედებას კოლონიებში «რათა შეიძინონ მყიდველები მრეწველობის პროდუქტებისათვის». (ხოლო ინდოეთში (ამ ბოლო დრომდე) და ეგვიპტეში ინგლისი ამ მიზნით ხელოვნურად «უშლის ხელს» სამრეწველო განვითარებას.)

35—6 — სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნაკლებობის შიში უსაფუძვლოა. ტროპიკები და ქვეტროპიკები NB. ფილიპინები, 74 მილიონი აკრი მიწიდან მუშავდება მხოლოდ 3—5. (მოსახლეობა 27 კაცი კვადრატულ კილომეტრზე.)

38: «შიეძლება წამოვაცენოთ დებულება, რომელიც, ალბათ, ზოგიერთს პარადოქსულად მოეჩვენება, სახელდობრ: რომ ქალაქისა და სამრეწველო მოსახლეობის ზრდას ცოტად თუ ბევრად ახლო მომავალში გაცილებით უფრო ადრე შეიძლება დაბრკოლება შეხვდეს მრეწველობისათვის ნედლეულის ნაკლებობის მხრივ, ვიდრე საკვები საგნების ნაკლებობის მხრივ».

NB

ნაკლებობა ხე-ტყისა: სულ უფრო ძვირდება; idem ტყავისა; idem ნედლეულისა საფეიქრო მრეწველობისათვის (39).

«მრეწველთა კავშირები ცდილობენ შექმნან წონასწორობა სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის მთელი მსოფლიო მეურნეობის ფარგლებში; მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ 1904 წლიდან არსებული საერთაშორისო კავშირთა კავშირი — ბამბის სართავი ფაბრიკების მეპატრონეებისა რამდენიმე უმნიშვნელოვანეს სამრეწველო სახელმწიფოში; შემდეგ 1910 წელს მისი ნიმუშის მიხედვით დაარსებული სელის სართავი ფაბრიკების მეპატრონეთა ევროპულ კავშირთა კავშირი».

NB
თარიღი!

(19)

(42)*

სახელმწიფოებს შიგნით — შაქრის კარხლის მწარმოებელთა შეთანხმება მეფაბრიკებთან.

სასოფლო-სამეურნეო კრიზისი, ფასების დაწევა 19 საუკუნის 70-იანი წლებიდან 90-იან წლებამდე. მიზეზი — ამერიკის კონკურენცია? + მიწათმოქმედთა შევიწროებული მდგომარეობა «აღმოსავლეთ ევროპაში» და ინდოეთი (შეად. ენგელსი).

NB

«აღმოსავლეთი ევროპა» (ცნება ეკონომიური და პოლიტიკური...)

* იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 327—328.
რ ე ღ.

კარგად არის ნათქვამი! (43—4) «მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის და სოფლად სახალხო განათლების საქმის გაუმჯობესების მეოხებით ასოკანონისა გლახთა განთავისუფლების შესახებ ცოცხალი ფაქტი გახდა».

47: გლახთა აჯანყებამ რუმინეთში 1907 წელს (გაზაფხულზე) ისეთივე როლი შეასრულა მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, როგორც 1905—1907 წლების რევოლუციამ რუსეთში.

51: მხოლოდ ახალ ზელანდიაში ა გამოყენებული (მე-19 საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდან) «პენრი ჯორჯის მოძღვრება¹³, მიწის ბრიტანული ნაციონალიზაციისა» «პრაქტიკულად» (მოსახლეობის უმრავლესობა შედგება მიწის წვრილ მესაკუთრეთა ოჯახებისაგან)... ავსტრალიაში 1910 წლიდან «ასეთივე გზები»...

63: კარტელების როლი (დემპინგი და ბრძოლა ფრიტრედერულ ქვეყნებთან) «დაახლოებით სამი ათეული წლის განმავლობაში»...

ინგლისელ პროტექციონისტთა საბუთი. NB

[NB: ამითაა გამოწვეული პროტექციონისტული მიმდინარეობა ინგლისში, ბელგიასა და ჰოლანდიაში: 67.]

66: ბრიუსელის შაქრის კონვენციამ (5. III. 1902; განახლებულია 28. VIII. 1907) აღკვეთა გატანის სახელმწიფო პრემიების (შაქარზე) შეერთება კარტელების ასეთსავე პრემიებთან.

72. უკიდურესი პროტექციონიზმი თავისუფალ ვაჭრობას უახლოვდება იმით, რომ, აძნელებს რა ქვეყნის შიგნით გასაღებას (სიძვირე), ბიძგს აძლევს საგარეო ვაჭრობას (შეტანა (α) იაფი ნედლეულისა და სხვ.) (გასაღება (β) საზღვარგარეთ, რადგან საკუთარი მოსახლეობა ღარიბდება).

87—სწორი არ არის, რომ «სავაჭრო ხელშეკრულებები გაკოტრდნენო»...

ავტორს, რომელიც საბაჟო პოლიტიკის საკითხებზე წერს, აქვს უამრავი დეტალები, ზედმეტი, მოსაწყენი; გვერდს ვუვლი მათ

98 —საეაჭრო ხელშეკრულებათა მაგალითები: აგრარულ ქვეყანას ესაჭიროება იაფი მანქანები (ხოლო მის კონტრაგენტს იაფი პური): ბულგარეთის ტარიფი 6/19. III. 1911 — ავსტრიის ხელშეკრულება გერმანიასთან (1905 წ.) (ქიმიური პროდუქცია; ხელოვნური ინდიგო და სხვ.) (20

(99) — ურთიერთ დათმობა (გერმანიის საეაჭრო ხელშეკრულება პორტუგალიასთან 30. XI. 1908) etc.

ქვესათაური IV თავისა, «საბაჟო ომები»:

118 — «მაგალითები ცალკეული საბაჟო ომების მნიშვნელოვანი სასარგებლო ზემოქმედებისა საერთაშორისო საქონელბრუნვის განვითარების აზრით»... რუსეთ-გერმანიის ომი 1893/4 წ., —საფრანგეთ-შვეიცარიისა 1893/5 წ.

შვეიცარიისა და ესპანეთისა 1906 წელს (1906 წ. ივნისიდან 1. IX-მდე) (გამოიწვია განაკვეთების დაკლებათა)

ავსტრიისა რუმინეთთან (1886 — 1894)
» სერბიასთან (1906 — 1910)

დამთავრდა
ხელშეკრუ-
ლებებით
: 1909
: 1910

127. { საბაჟო ომები უფრო იშვიათი ხდება, მაგრამ მათს როლს ასრულებს მუქარა, მოლაპარაკება etc.

145. თავისუფალი ვაჭრობა ინგლისში ეყრდნობოდა აგრეთვე მის სამხედრო ძლიერებას (ფლოტი) და კოლონიებს.

მართალია, 1860-იან წლებამდე ინგლისში გაბატონებული იყო გულგრილი დამოკიდებულება კოლონიების შენარჩუნებისა და გადიდებისადმი (1864 წელს მუქთადაც კი, პოლიტიკური და ეკონომიური საზღაურის მიუღებლად, ინგლისმა საბერძნეთს იონიის კუნძულები მისცა).

146 — 8: 1880-იანი წლებიდან გაძლიერდა კოლონიების შექენა ინგლისის მიერ. ((შეადარე ჰობსონი.)) ინგლისის ექსპორტი მის კოლონიებში მთელი მისი ექსპორტის დაახლოებით $\frac{1}{8}$ -ს შეადგენს; ეს ცოტა როდია და NB: ეს ექსპორტი «განსაკუთრებით მომგებიანია»

- NB** (149) { შედეგად: (1) კაპიტალის დაბანდებისა კოლონიებში
(2) «მიწოდებისა» იქ («საზოგადოებრივი მიწოდება») (ფრიად მნიშვნელოვანია!!)
(3) «უპირატესი ბაჟი ბრიტანული ნაწარმისათვის კოლონიებში»: (მეტწილ კოლონიებში)

151: კაპიტალის დაბანდებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ხელისუფლებასაც (კონცესიები, საქალაქო და სახელმწიფო დაწესებულებანი etc.) და ნდობასაც: ამ მხრივ

21) («იმპერიალიზმის» ფაქტორებიდან)

NB 151 ...«ინგლისელებს ემსახურება» (უადვილებს ინვესტირებას) «ლეგენდა, რომელსაც მზრუნველობით იცავენ ბრიტანეთის იმპერიის ხელმძღვანელი წრეები, ისევე როგორც ინგლისური პრესა, მიუხედავად ირლანდიისა, აგრეთვე ზოგიერთი ლონსძიებისა ინდოეთში, ეგვიპტეში და ა. შ., — ლეგენდა განსაკუთრებული ღირებულებისა და ჰუმანურობის შესახებ, რაც ვითომდა ახასიათებს ინგლისურ რეჟიმს ყველა დროში და ყველგან». (დაწერილია 1912.)

154: ინგლისის კოლონიებში ასევე განვითარებულია «საკოლონიათაშორისო უპირატესი ბაჟი»

((((NB: ნაბიჯი მთელი იმპერიის საბაჟო კავშირისაკენ.)))

ინგლისის ფაქტიური პროტექტორატი პორტუგალიაზე, ნაწილობრივ ესპანეთზე (1901—1910)... ნორვეგიაზე (1905 წლიდან)... სიამი (1860-იანი წწ. 1904 წლამდე; 1904 წელს ხელშეკრულება საფრანგეთთან; მათი საერთო პროტექტორატი)...

«უფრო საინტერესო და შესაძლოა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე აქამდე დასახელებული მაგალითები» (ეგვიპტე, ზანზიბარი...), «როცა სუბტროპიკული ან ტროპიკული ნახევრადკულტურული ქვეყნები, შედარებით ხანმოკლე გარდამავალი სტადიების შემდეგ, რომლებიც დაახლოებით რამდენიმე ათეულ წელს გრძელდება, გახდნენ ან ჩანს ხდებიან ინგლისის ნამდვილი კოლონიები, თავს იჩენს მთელი რიგი სხვა შემთხვევები. აქ იგულისხმება შემთხვევები, როცა ევროპული კულტურის სახელმწიფოს შეუძლია

დიდხანს, ათეული წლებისა და ასეული წლების განმავლობაშიც კი, ფაქტიურად იმყოფებოდეს ბრიტანეთის პროტექტორატის ქვეშ და მოკლებული არ იყოს, ყოველ შემთხვევაში, ფორმალურად, სრული სუვერენიტეტის რომელიმე გარეგნულ ნიშანს.

ამის ყველაზე ცნობილ და უმნიშვნელოვანეს მაგალითს წარმოადგენს პორტუგალია. ესპანეთის მემკვიდრეობისათვის ომის დროიდან (1700—1714) დიდ ბრიტანეთს თითქმის მუდამ გამოჰყავდა თავისი საზღვაო ძალები, ხოლო ზოგჯერ თავისი სახმელეთო არმიაც, პორტუგალიის ევროპული ან ოკეანისგალმელი სამფლობელოების დასაცავად ესპანეთის, საფრანგეთისა და სხვ. თავდასხმებისა და პრეტენზიებისაგან. შემთხვევითი კონფლიქტები მფარველ ბრიტანეთსა და მფარველობის ქვეშ მყოფ პორტუგალიას შორის ერთგვარად ოჯახური უთანხმოების ხასიათს ატარებდა... ასეთია, მაგალითად, ბრიტანეთის 1890 წლის 11. I-ის ულტიმატუმი პორტუგალიის მაშინდელი ცდის წინააღმდეგ დაემყარებინა საკუთარი ტერიტორიული კავშირი თავის დასავლეთ და აღმოსავლეთ კოლონიურ სამფლობელოებს შორის აფრიკაში.

ყოველ შემთხვევაში, პორტუგალიას მხოლოდ დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერის მეოხებით შეუძლია შეინარჩუნოს თავისი, მართალია, მცირე, მაგრამ ისეთი პატარა სახელმწიფოსათვის, როგორც პორტუგალიაა, მაინც მნიშვნელობის მქონე სამფლობელოები ინდოეთის დასავლეთ სანაპიროზე, სამხრეთ ჩინეთში (მაკაო) და ტიმორზე, მიუხედავად მსოფლიო-პოლიტიკური მეტოქეობისა რომელც ესოდენ გამოცოცხლდა სწორედ სამხრეთ და აღმოსავლეთ აზიაში. პორტუგალიის აღმოსავლეთ აფრიკაში პორტუგალიაზე ინგლისის პოლიტიკურ პროტექტორატს ბრიტანეთის სამხრეთ აფრიკასთან საბაჟო კავშირის მაგვარიც კი შეუერთდა... (1901 წლის 18. XII-ის ხელშეკრულება)... «სხვათა შორის, ეს საბაჟო კავშირი დღემდე ეკონომიურად მეტად ხელსაყრელი აღმოჩნდა პორტუგალიის დასახელებული კოლონიისათვის, თუმცა ამავე დროს იგი წარმოადგენს ძვირფას შენაძენს ბრიტანეთის სამხრეთ აფრიკისათვის, ხოლო ამით დიდი ბრიტანეთისთვისაც როგორც ამჟამად, ისე მომავლისათვის.

პორტუგალიაზე დიდი ბრიტანეთის ეს ფაქტიური პროტექტორატი თავისი 200 წელზე მეტი ხნის არსებობის მანძილზე უაღრესად სასარგებლო იყო ინგლისის ვაჭრობისა და ზღვაოსნობისათვის... (ხელშეკრულება პორტუგალიასთან 1703 წ.)...

23) «მაგრამ მას შემდეგ, რაც დიდი ბრიტანეთი მშვიდობიან თავისუფალ ვაჭრობაზე გადავიდა, მას დიპლომატიური ზემოქმედების საშუალებით შეუძლია ისეთი გავლენა მოახდინოს პორტუგალიის საბაჟო ტარიფზე, როგორც მიღწევა საექვოა ძალუძდღეთ სხვა ქვეყნებს, თუნდაც ისეთი ზომებით, როგორც არის კომერციული შეღავათების მინიჭება ან საბაჟო ომის მუქარა. გარდა ამისა, დიდ ბრიტანეთს, გაბატონებული სახელმწიფოს თავისი მდგომარეობის მეოხებით, შეუძლია განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენოს გატანისა და ინვესტირების ყველა ის შესაძლებლობა, რომლებსთვისაც საჭიროა პორტუგალიის მთავრობის კონცესიები»... (რკინიგზები პორტუგალიის აფრიკაში და სხვ.)...

«არაპირდაპირ, კვლავ პორტუგალიაზე თავისი პროტექტორატის მეოხებით, დიდი ბრიტანეთი ინარჩუნებს არა მარტო თავის მდგომარეობას სამხრეთ აფრიკაში და თავის გავლენას ჯონგოს სახელმწიფოში, არამედ აგრეთვე თავის ბატონობას ზღვაზე, თავისი კოლონიური და მსოფლიო-პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერების ამ მტკიცე დასაყრდენს. მაგალითად, პორტუგალია ბრიტანეთის ფლოტის განკარგულებაში აძლევს თავის ნავსადგურებს და კუნძულებს ომისა და მშვიდობიან დროს როგორც სასწავლო პუნქტებს და შუალედურ სადგურებს ზღვაოსნობისათვის, კაბელებისათვის და სხვ.» (159—161)...*

ბისმარკის სიტყვები ||| 169 — ინგლისი ომში ევროპის სახელმწიფოებს იყენებდა როგორც «ჩინებულ ქვეითს ჯარს» («ბისმარკის დახასიათებით როგორც მსოფლიო პოლიტიკის «ზორბა ბრიყეს»).

170 — ინგლისი მხარს უჭერდა ბელგიის გამოყოფას პოლანდისაგან (პოლანდის, როგორც თავისი მეტოქის, «შუაზე გაყოფას»), რომ არ დაეშვა ძლიერი სახელმწიფო ლონდონის მახლობლად.

175 — 6. ბრძოლა (ინგლისისა) რუსეთთან სპარსეთის გამო (ხანგრძლივი) 1908 წლის 9. VI-ის შეთანხმებამდე.
ბრძოლა (ინგლისისა) საფრანგეთთან სიამის გამო (ხანგრძლივი) 1904 წლის 8. IV-ის შეთანხმებამდე.

178 და შემდ. «ბრიტანეთის მსოფლიო პოლიტიკის 4 პერიოდი» (მათი აღნიშვნა, გვ. 184):

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 332. რ ე დ.

- 1) აზიის პირველი (რუსეთის წინააღმდეგ), დაახლოებით 1870 — 1885.
 - { 1870 — რუსეთის უფლებათა წინააღმდეგ შავ ზღვაში.
 - { 1885 — შეთანხმება ავღანეთის საზღვრების შესახებ.
- 2) აფრიკის (საფრანგეთის, ნაწილობრივ პორტუგალიისა და გერმანიის წინააღმდეგ) დაახლოებით 1885 — 1902 (1898 «ფაშოდა»)
 - { 1885 — შეთანხმება კონგოს შესახებ: «დამოუკიდებლობა» (ინგლისს შეჰქმა უნდოდა)
 - { 1902 — ბურებთან ომის დასასრული
- 3) აზიის მეორე (რუსეთის წინააღმდეგ): დაახლოებით 1902 — 1905.
 - { ხელშეკრულება იაპონიასთან 1902. იაპონია-რუსეთის ომი 1904/5
- 4) «ევროპისა» (გერმანიის წინააღმდეგ) დაახლოებით 1903 — — («ანტიგერმანული»)*
 - 1903: უთანხმოება ბალდარის რკინიგზის გამო.
 - 194: ბრიტანეთის იმპერია (თავისი კოლონიებით) იძლევა: (24 «საერთაშორისო სავაჭრო ბრუნვის 1/4-ზე მეტს» (დამოწმება II ტომისა, დანართი IX)

ცოტაა: შეად. ლანსბურგი: 3/4**

214. + იაპონია? + პორტუგალია (216) — 2.18 კვ. კილომეტრი — 13 მლნ. მცხოვრები.

220. განაპირა კუთხეებს ხშირად უჭირავთ განსაკუთრებული (საბაჟო) მდგომარეობა (მანძილი მეტად დიდია თანამედროვე ტექნიკისათვისაც კი).

— აღმოსავლეთი ციმბირი რუსეთში

— ფილიპინები ამერიკაში და სხვ.

226. ექესი «განსაკუთრებული სამეურნეო რაიონი» რუსეთში: 1) პოლონეთი («რუსეთში გატანა» ამბობენ პოლონელები); 2) სამხრეთი; 3) არხანგელსკი; 4) ურალი; 5) მოსკოვი; 6) ბალტიკა (+ ფინეთი).

237 ... 1911 წელს «თავი იჩინა» მისწრაფებამ შეერთებული შტატების წინააღმდეგ სამხრეთ ამერიკის ჩრდილოეთ ნაწილში «დიდი კოლუმბიის» შექმნისადმი. ||| NB

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 374. რ ე დ.

** იხ. ეს ტომი. გვ. 56—57. რ ე დ.

237 და სს ვ. ერთ სამეურნეო მთლიანობად თანამედროვე გიგანტური მსოფლიო სახელმწიფოების შეკავშირება «უნივერსალური თავისუფალი ვაჭრობისადმი» «მიახლოება» არისო.

«უკვე მე-18 საუკუნეში, დიდი ბრიტანეთისაგან ჩრდილოეთ ამერიკის კოლონიების ჩამოშორების გამო, უფრო შორსმჭვრეტელი კოლონიური ხალხებისათვის ნათელი გახდა, რომ ასეთი მოძალადური კოლონიური პოლიტიკა» (კოლონიაში ყოველგვარი ინდუსტრიის ჩახშობა), «რომელსაც მხედველობაში აქვს მეტროპოლიის ფაბრიკატების გატანის მხოლოდ და მხოლოდ ნამდვილი ან მოჩვენებითი ინტერესები, არ შეიძლება განხორციელდეს რამდენადმე ხანგრძლივი ვადით. ეს ეხება, ყოველ შემთხვევაში, ზომიერი ზონის რაიონებს, სადაც აქტიური შეგნებული მოსახლეობაა, რომლის ცხოვრების პირობები ძალიან არ განსხვავდება ევროპის ხალხთა ცხოვრების პირობებისაგან. მაგრამ ტროპიკულ და სუბტროპიკულ რაიონებში, სადაც მოსახლეობა კულტურული განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე დგას და უფრო სუსტი სამხედრო-პოლიტიკური ძალები და ენერჯია აქვს, ეს ძველი კოლონიური პოლიტიკა, თუმცა ნაკლები ზომით, ჯერ კიდევ შენარჩუნებულია. მართალია, ამჟამად იგი ტროპიკებშიც და სუბტროპიკებშიც საერთოდ შორს არის ახალჩასახული სამრეწველო საქმიანობის უხეში ჩახშობისაგან; მაგრამ ადგილობრივი კოლონიური მთავრობები მეტწილად უფრო სერიოზულ ყურადღებას აქცევენ სასოფლო-სამეურნეო და სამთამადნო-საქარხნო ნედლეულის წარმოების განვითარებას, ვიდრე რაიმე სამრეწველო-პოლიტიკურ საკითხებს. მაგრამ იმ გარემოებას, რომ მათ, მეტწილ შემთხვევებში, ამის გაკეთება შეუძლიათ სათანადო ტროპიკული და სუბტროპიკული რაიონების სამეურნეო განვითარებისათვის დიდი ზიანის მიუყენებლად, მით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, რომ ამაზე დამოკიდებულია ამ კოლონიური პოლიტიკის ხანგრძლივი ვადით გამოყენება. ვინაიდან ახლანდელი მწკავე მსოფლიო-პოლიტიკური მეტოქეობის და ოკეანის გაღმევი დიდი სახელმწიფოების (შეერთებული შტატები, იაპონია) გამოჩენის დროს ტროპიკებისა და სუბტროპიკების მოსახლეობას, რომელიც ძლიერ გაღიზიანებულია თავისი სამეურნეო განვითარების ძალდატანებითი, და მ-ლ უპველი შეფერხებით, თავის განკარგულებაში მანც

25)

NB

ექნებოდა რაიმე საშუალებანი შეექმნა სიძნელეები თავისი მჩაგვრელებისათვის და დაეკარგვინებინა მათთვის თავიანთი ბატონობის მკაცრი მეთოდებით განხორციელების ხალისი» (240—241). NB

მაგალითად ინგლისი ეგვიპტეს სულ უფრო მეტად აქცევს ქვეყნად, რომელიც აწარმოებს მხოლოდ ბამბას (1904 წელს ეგვიპტეში 2.8 მილიონი ჰექტარი დამუშავებული მიწიდან უკვე 0.6 მლნ. ჰექტარი ბამბას უჭირავს), და ამხელებს სამრეწველო განვითარებას (მაგალითად, ბამბის დამამუშავებელ 2 ფაბრიკას, რომლებიც ეგვიპტეში 1901 წელს დაარსდა, შეხვდათ გადასახადი ბამბაზე, ე. ი. მთავრობამ ბამბას დაადო «მოხმარების გადასახადი»!!!) (244—245). NB

«ჩვენი დროის კოლონიური პოლიტიკა».

საერთოდ ასეთიაო «თანამედროვე» პოლიტიკა კოლონიებში: წაახალისონ ნედლეულის წარმოება, ხოლო მრეწველობის განვითარებას შეხედნენ «გულგრილად, თუ მეტრულად არა» (247).

«მაგრამ ზომიერი ჰავის ფიზიკურად და ინტელექტუალურად უფრო ძლიერი ხალხების მიმართ ასეთი კოლონიური პოლიტიკის გატარება, ალბათ, აღარ შეიძლება; იგი შესაძლებელია მხოლოდ ტროპიკებისა და ნაწილობრივ სუბტროპიკების უფრო სუსტი ხალხების მიმართ, მაგრამ აქაც მისი გატარება შეუძლიათ მხოლოდ უფრო ძლიერ ევროპულ მეტროპოლიებს, როგორც არიან დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია. პირიქით, ნიდერლანდმა, ესპანეთმა და პორტუგალიამ ნაწილობრივ დაკარგეს თავიანთი წინანდელი კოლონიური სამფლობელოები, ნაწილობრივ მათს შენარჩუნებას უნდა უმადლოდნენ მხოლოდ უფრო მძლავრი კოლონიური სახელმწიფოების კეთილ ნებას და ურთიერთ მეტოქეობას. ეს განსაკუთრებით ეხება ბელგიის ბატონობას თავის კოლონიაზე». NB

... მაგრამ ყველაზე მძლავრი კოლონიური სახელმწიფო დიდი ბრიტანეთიც კი თავის უდიდეს და უმნიშვნელოვანეს კოლონიაში ინდოეთში იძულებულია მნიშვნელოვნად გადაუხვიოს თავისი სავაჭრო და სამრეწველო NB (26)

კოლონიური პოლიტიკის ზემოაღნიშნული პრინციპის ზუსტად გატარებას, რათა მტრული აგიტაციის წინაშე, რომელიც პოპულარობით სარგებლობს, კიდევ უფრო მძიმე არ გახადოს თავისი მდგომარეობა, ვიდრე იგი უკვე ნამდვილად არის» (247—248)...
247, შენიშვნა.

NB NB
ამერიკე-
ლები
ფილიპი-
ნებზე

«ის გარემოება, რომ შეერთებულმა შტატებმა, მიუხედავად მრავალი წლის შეუპოვარი, სისხლისმღვრელი ბრძოლისა აჯანყებული მკვიდრი მოსახლეობის წინააღმდეგ, ბოლოს და ბოლოს მიანიჭეს ფილიპინებს ს ა პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ო წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა (კონგრესი) ფართო რწმუნებებით, წარმოადგენს ჩრდილოეთ ამერიკის სახელმწიფო მოღვაწეთა კოლონიურ-პოლიტიკური უნარის კარგ დადასტურებას. მაგრამ ამ უნარის ნაკლებ მოსაწონ დადასტურებას წარმოადგენს ჩრდილოეთ ამერიკელების აგრარული პოლიტიკა ფილიპინებზე, რომელიც ლატიფუნდიების შექმნას იწვევს».

NB

კოლონიური ექსპლოატაციის ხერხები: მოხელეთა დანიშვნა გაბატონებული ერიდან; — მიწის ხელში ჩაგდება მისი მაგნატების მიერ; დიდი გადასახადები («აღზრდა შრომისათვის»)...

«სუბტროპიკული კოლონიური ხალხებისათვის... როგორც არიან ჩრდილოეთ ინდოეთის ინდოელები და ეგვიპტელები, რომელთა განათლებული ფენები უკვე შეეზარდნენ ევროპულ-ამერიკულ ცივილიზაციას, თავისთავად ფაქტი უცხოელთა ბატონობისა წარმოადგენს შეურაცხყოფას, რომელსაც ისინი ძნელად იტანენ და უაღრესი სიძულვილით იღებენ» (249).

!!!

ეგვიპტეში მოსახლეობა გაცილებით უფრო ერთგვაროვანია (ენით, ეროვნებით etc.), ვიდრე ინდოეთში, «და ეს ქვეყანა (ეგვიპტე) უფრო ევროპულია, ვიდრე, მაგალითად, ევროპული რუსეთის ზოგიერთი რაიონი» (252).

(ასევე «¹/₂ ცივილიზებულია» მოსახლეობა ცეილონში, დასახლებებში სრუტეების გარშემო («Straits Settlements»), ალჟირში, ტუნისში და სხვ.) (258).

ჰოლანდია, ისევე როგორც ინგლისი..., თავის კოლონიებში ახორციელებს «ფრიტრედერულ პოლიტიკას, რომელიც ამავე დროს უპირატესად მიმართულია სასოფლო-სამეურნეო და სამთამადნო-საქარხნო ნედლეულის წარმოების განვითარებისაკენ» (259). NB

გერმანია საბაჟო ომს აწარმოებდა კანადასთან (1898 წლის 31. VII-დან 1910 წლის 1. III-მდე) ინგლისის სასარგებლოდ არსებული უპირატესი ბაჟის გამო. გათავდა ამ უპირატესი ბაჟის დატოვებით და კანადისა და გერმანიის საბაჟო ხელშეკრულებით.

ინგლისის, ჰოლანდიის, გერმანიის მეტ წილ კოლონიებში, «რამდენადაც შეიძლება წინასწარ განკვერტა», დარჩება ყველა ქვეყნისათვის ღია კარის რეჟიმი (271). ამას ეკამათებოდა ტრევერი («უპირატესი ბაჟი» 1908), და შილდერი ამბობს, შევარბილე ჩემი დასკვნაო.

რაც შეეხება სახელმწიფო მიწოდებებს (269—270), ყველგან ჩვეულებაა: «საკუთარი» ქვეყნისათვის უპირატესობის მიცემა.

[შედარდეს განსაკუთრებით გვ. 11 ამონაწერებისა]

((ავტორი აშკარა სულელია, აუკვიატებია დეფინიციები — ყოვლად სულელური რამ და განუწყვეტლივ უტრიალებს სიტყვა «სუბსტიტუციას». დასაფასებელია ფაქტიური მონაცემები, მეტწილად სრულიად დაუმუშავებელი. წინააღმდეგია შრომითი ღირებულების თეორიისა etc. etc.)).

გვ. 104—449: «აღწერილობითი ნაწილი». თეორიული ნაწილი = ჩმახვაა.

გვ. 9:—წინააღმდეგია ზომბარტისა, რადგან იგი «მთლად» მიჰყვება რიკარდო—მარქსის შრომითი ღირებულების თეორიის «გზას».

აქციების მფლობელთა რიცხვი

გვ. 33: «პრუსიაში აქციების მფლობელთა რიცხვი მოსახლეობის მხოლოდ 2%-ს შეადგენს». მეტია ინგლისსა და ამერიკაში. «თანახმად სააქციო საზოგადოებათა დაბეგვრის კანონპროექტში მიცემული შეფასებისა 1909 წელს აქციების მფლობელობის საშუალო თანხა პრუსიაში 10 000 მარკასაც არ აღწევდა. ეს მფლობელობა ნაწილდებოდა დაახლოებით 700 000 პირს შორის. მაგრამ ყველა ამგვარი შეფასება ფრიალ არაზუსტია» (34).

- ესაერთო სტატისტიკური მონაცემები საფონდო კაპიტალის განვითარების მოცულობის შესახებ ამჟამად არ მოიპოვება... ფილიპოვიჩის მიხედვით («საფუძვლები», მე-7 გამოცემა, გვ. 164) ინგლისის ეროვნული სიმდიდრის 40% წარმოადგენს «კაპიტალებს ფასიან ქალაქებში» (ე. ი. ფონდებსა და იპოთეკებს). შმოლერმა (სტატისტიკური დანართები 1892/3 საბირჟო საანკეტო კომისიის სტენოგრაფიული ანგარიშებისა) 1892 წელს გამოიანგარიშა, რომ პრუსიაში 16—20 მილიარდამდე მარკა, ე. ი. პრუსიის მთელი კაპიტალის დაახლოებით $\frac{1}{4}$, დაბანდებულია ფონდებში. ზომბარტი («გერმანიის სახალხო მეურნეობა მე-19 საუკუნეში», გვ. 224) გერმანიისათვის 1900 წელს საფონდო კაპიტალს განსაზღვრავს 31—32 მილიარდი მარკით» (37). «ეს თანხა ახლანდელი დროისათვის უთუოდ მეტად მცირეა; ფონდებში განსახიერებულ კაპიტალი გერმანიისა უნდა ვიანგარიშოთ 45—50 მილიარდ მარკად, რაც მაინც დაახლოებით მხოლოდ $\frac{1}{8}$ -ს შეადგენს გერმანიის სახალხო სიმდიდრისას, რომელსაც 250 მილიარდ მარკას ანგარიშობენ» (37).

ამერიკაში (X) 1904 წელს—107 მილიარდი დოლარის ეროვნული ქონება. დაახლოებით $\frac{1}{3}$ —საფონდო კაპიტალი. ინგლისისათვის იგი (X) აღნიშნავს საფონდო კაპიტალს 26

- 3) მილიარდ დოლარს, საფრანგეთისათვის—19 $\frac{1}{2}$ მილიარდ დოლარს. საერთოევროპის საფონდო კაპიტალი შეადგენს დაახლოებით 75 მილიარდ დოლარს» (38).

NB (X) ჩარლზ ა. კონენტი. «კაპიტალის კონცენტრაცია ნიუ-იორკში და ისინი, ვინც მას მართავენ». «Bankers' Magazine», 1907 წ. ნოემბერი (ციტირებულია, გვ. 38).

ამრიგად:

საფონდო ამერიკა.....	35 მლრდ.	დოლარი	} 58.0 75 - 58
კაპიტალი. ინგლისი.....	26 »	»	
საფრანგეთი.....	19.5 »	»	
გერმანია.....	12.5 »	»	
	<u>93.0</u>	განსხვავება	17
	× 5 =	465 მლრდ.	ფრანკი
		[ხოლო ნეიმარკი ანგარიშობს 600]	

44: ...«ყველა ეკონომიური ინტერესების უაღრესი გაღახლართვა»...

51: «უნიონი» (სამთო-სამრეწველო etc. აქციონერთა საზოგადოება დორტმუნდში) ((მის შესახებ აგრეთვე შტილიხი α გვ. 38 და 41*)). დაარსებულია 1872 წელს. «აქციონერული კაპიტალი თითქმის 40 მილიონი მარკის ოდენობით გამოშვებულ იქნა 1872 წელს; კურსმა აიწია 170%-მდე, როცა საზოგადოებამ 1 საოპერაციო წელიწადში 12% დივიდენდი გადაიხდა. მაგრამ ამის შემდეგ დივიდენდების გადახდა შეწყდა 1880-მდე, და უკვე 1875 წელს უნდა მიეღოთ ერთ-ერთი იმ ღონისძიებათაგანი გაჯანსაღებისათვის, რომლებიც მას შემდეგ არახელსაყრელი კონიუნქტურის თითქმის ყოველ პერიოდში მეორდებოდა... მთავარი დაზარალებულნი ყოველთვის გამოდიოდნენ აქციების მუდმივი მფლობელები»**.

170%

(12%—0%)

NB

(4

«მაგრამ იმ შემთხვევებშიც კი, როცა აქციონერთა საზოგადოებანი დაარსებისას ამ მიზნებს («ფონდებით სპეკულაციას») არ ისახავენ, მაინც ხდება, რომ საწარმოები, რომლებიც

* იხ. ეს ტომი, გვ. 28—29. რედ.
** იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 293—294. რედ.

NB || სხვა მიზნებს ისახავენ, ფაქტიურად მეტად თუ ნაკლებად გადადიან მხოლოდ და მხოლოდ ფონდებით სპეკულაციაზე. ეს შეიძლება ხდებოდეს ნაწილობრივ იმიტომ, რომ აქციონერები საკმაოდ არ იჩენენ ინტერესს თავიანთი დირექტორების საქმიანობისადმი, ნაწილობრივ კი იმის გამო, რომ ამ უკანასკნელთ ისინი ამ მხრივ შეცდომაში შეჰყავთ» (67).

71: სხვადასხვა ქვეყანაში საზოგადოებათა სხვადასხვა ტიპი ჰარბოს:

ამერიკაში—კონტროლი სხვა საზოგადოებებისადმი.

გერმანიაში—გადატანის (Übernahme-) საზოგადოებანი.

საფრანგეთში—კაპიტალის მოთავსების საზოგადოებანი.

პოლანდიაში—(«როგორც სახელმწიფო-რანტიე», გვ. 71)—

ასევე.

ბელგია—à la გერმანია.

ინგლისი—კაპიტალის მოთავსების საზოგადოებანი (investment trusts)...

ეიდელსი. «გერმანიის მსხვილი ბანკების დამოკიდებულება მრეწველობისადმი». ლიაპციგი, 1905.

დ-რი რისერი. «გერმანიის მსხვილი ბანკების განვითარების ისტორიისათვის, კონცენტრაციის ტენდენციის განსაკუთრებით გათვალისწინებით». 1906.

- 5) გვ. 117—მრავალთაგან ერთი მაგალითი ბელგიის «სოსიეტე ქენერალის» აქციების ფლობისა (31. XII. 1906—198 მილიონი ფრანკის აქციები და ობლიგაციები, უამრავი საზოგადოება). გვ. 136—7. მაგალითი:

სპეკულაციის მაგალითი || საზოგადოება «ლონდონ ენდ კოლონიელ ფაინენს კორპორეიშნ», «რომელმაც მხოლოდ 21745 გ. სტ. ძირითადი კაპიტალით 1890 წელს მიიღო 80567 გ. სტ. წმინდა მოგება = კაპიტალის 370% და გადაიხადა 100% დივიდენდი».

კარგი მაგალითი || კაპიტალის მოთავსების საზოგადოება—
—«აქციენგეზელშაფტ ფიურ რაინიშ-ვესტფე-ლიშე ინდუსტრი». დაარსებულა 1871 ოქტომბერში (გვ. 156).

დივიდენდი: 1872—35% —35 !!

NB 1873—1883—0 —0

NB		1884—1895—	3—	9%		
		1896—1899—	10—	21%		
		1900	—60%	60		
		1901—2	0	0		
		1905—6	—40%	40		
		1907—8	—6—	4%		

დ-რი ემილ ვოლფი. «დაფინანსების პრაქტიკა etc.» ბერლინი, 1905.

ფრენსის კუპერი. «საწარმოს დაფინანსება». 2 ტომი. ნიუ-იორკი, 1906.

ედუარდ კაროლი. «ფინანსების პრინციპები და პრაქტიკა». 1902 (ნიუ-იორკი).

ვ. ლოტცი. «საემისიო საქმის ტექნიკა». «Schmoller's Jahrbuch»-ში. 1890, გვ. 393 და შემდ.

«ამრიგად, კაპიტალის მოთავეების საზოგადოებათა გამოყენებიდან იმისათვის, რომ «წვრილ მფლობელობათათვის უზრუნველყოთ მსხვილ მფლობელობათა რენტაბელობა» (X), — არაფერი არ გამოვიდა» (163).

გვ. 64: «კელნელი ბანკირი ლუი ჰაგენი ზედამხედველობის საბჭოების წევრი იყო 35 საწარმოში; «დოიჩე ბანკს» ეიდელსის მიხედვით (XX) თავისი დირექტორები ჰყავდა ზედამხედველობის საბჭოების წევრებად 101 აქციონერთა საზოგადოებაში, გარდა ამისა 120 საზოგადოებაში თავისი საკუთარი ზედამხედველობის საბჭოების წევრებად» (გვ. 64).

(X) იორგენსი, გვ. 45—6.

(XX) ეიდელსი. «გერმანიის მსხვილი ბანკების დამოკიდებულება მრეწველობასთან». 1905.

ეფექტებს ბევრჯერ უშვებენ სხვადასხვა საზოგადოებანი ერთი და იმავე დირებულებისას.

მაგალითი (ამერიკული)... «მათი (ამ სარკინიგზო საზოგადოებების) საინვენტარო კაპიტალი 5-ჯერ მეორდება იმ საზოგადოებათა საფონდო კაპიტალში, რომელთა პირდაპირ თუ არაპირდაპირ კონტროლსაც ისინი ექვემდებარებიან» (182).

NB
5-ჯერ
არის
გამეორებული!! (7)

ჩ. ა. კონენტი. «თანამედროვე ბანკების ტენდენციები»
(«Bankers' Magazine», 1905).

საზოგადოება «ნოზერნ პასიფიკ რეილუეი კომპანიი». კაპიტალი = 80 მილიონ დოლარ სადამფუძნებლო აქციას. ჰარიმანისა და ჰილის ბრძოლა. ჰილმა შეიძინა 15 მილიონის სადამფუძნებლო აქციები. «ამ «რეიდის» (იერიშის) მეოხებით საზოგადოება «ნოზერნ პასიფიკ რეილუეი კომპანიის» აქციების კურსმა ხელოვნურად აიწია თითქმის 1000%-მდე... 9. V. 1901 მოხდა ბირჟის კრიზისი, რომლის გამო ბევრი პატარა ადამიანი გალატაკდა, მაშინ როცა მთავარ მონაწილეებს, ჰარიმანის ჩვენებით, ამ მაქინაციის (corner) დროს არავითარი ზარალი არ მოსვლიათ» (184).

1000%
და კრიზისი

(ხაზგასმა
ჩემია)
NB

ხაზგასმა
ლიფმანისაა

«სათონდო კაპიტალიზმის შემდგომი თანამედროვე განვითარების კვლობაზე ის ხერხები, რომელთა საშუალებითაც შეიძლება საზოგადოებას ჩამოართვა და საკუთარ გიბეში გადაქაჩო ფულის მნიშვნელოვანი თანხები, რამდენადმე უფრო დახვეწილი ვახსნა. საამისო საშუალებას ახლა წარმოადგენს განუწყვეტლივ დაარსება და ერთმანეთზე აჩხორვა სულ ახალი საზოგადოებებისა, რომლებსაც ხელახლა ჰყიდინან ან იჭარბთ აძლევენ ერთსა და იმავე საინვენტარო ქონებას და რომელთა შორის ეს ქონება სულ მუდამ ბრუნავს» (186).

8)

1900 წელს დაარსდა «სტანდარდ ოილ კომპანიი».

«მისი საწესდებო კაპიტალი 150 მილიონ დოლარს შეადგენდა. გამოშვებული იყო ჩვეულებრივი აქციები 100 მილიონისა და პრივილეგიური—106 მილიონისა. ამ უკანასკნელებზე დივიდენდის სახით გაცემული იყო 1900—1907 წლებში: 48, 48, 45, 44, 36, 40, 40, 40%, სულ 367 მილიონი დოლარი. 1882-დან 1907 წლამდე მიღებული იყო 889 მილიონი დოლარი წმინდა მოგება; აქედან 606 მილიონი დარიგებულ იქნა

NB

ლივიდენდად, დანარჩენი კი სარეზერვო კაპიტალში ჩაირიცხა»* (212).

«საზოგადოების (ფოლადის ტრესტი) ყველა საწარმოში» «1907 წელს იყო სულ მცირე 210180 მუშა და მოსამსახურე... 1908 — 165211)... გერმანიის სამთამადნო მრეწველობის ყველაზე მსხვილ საწარმოს, «ჰელზენკირხენერ ბერგვერკს გეზელშაფტს» 1908 წელს ჰყავდა — 46048 მუშა და მოსამსახურე, 1907 წელს — 43293»** (გვ. 218).

NB

«ინტერნაციონალე ბორგეზელშაფტ» (ერკენლენცში)... «იგი დაარსებულ იქნა ბურღვის იმ წესის გამოყენების მიზნით, რომელიც ინჟინერმა ანტონ რაკიმ გამოიგონა... (235)... საზოგადოებამ 1905—6 და 1906—7 წლებში 500% ლივიდენდი გადაიხადა» (236).

(ახალი ტექნიკა)
500%
ლივიდენდი...

«საერთოდ გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საკმარისია ფლობდე საწარმოს იმ აქციების 40-მდე პროცენტს, რომლებიც ხმის უფლებას იძლევა, რომ ნორმალურ პერიოდებში ხელთ გეპყროს მათდამი კონტროლი»*** (258). ხოლო შემდეგ არის კიდევ (ამერიკაში განსაკუთრებით) «აქციები, რომლებიც ხმის უფლებით არ სარგებლობს» (259) და ობლიგაციები etc.—ხოლო თუ ეს არის აქციები საზოგადოებისა, რომელიც კონტროლს უწევს მთელ რიგ სხვა საზოგადოებებს, მაშინ «მას (კაპიტალისტს) შეუძლია 5 მილიონი დოლარი საკუთარი კაპიტალით განაგებდეს 40—50-ჯერ მეტ კაპიტალს» (259).

NB

...და «80—100-ჯერ მეტ» (ვიდრე იგი ფლობს) «კაპიტალის მასასაც» კი (260)...

«ლითონებით ვაჭრობა, გარდა რკინისა, განსაკუთრებით სპილენძითა და თუთიით, აგრეთვე კეთილშობილი ლითონებით ვაჭრობა, გერმანიაში და სხვა უმნიშვნელოვანეს ქვეყნებში საესეებით განსაკუთრებულად არის კონცენტრირებული» (301)... «ფირმების მცირე რიცხვი» (მეტწილად კერძო ხელში)...

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 252. რ ე დ.

** იქვე. რ ე დ.

*** ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 284. რ ე დ.

...«გერმანიის უფრო ადრინდელი პერიოდის ძალიან ბევრი გაზის ქარხანა აგებულია ინგლისის საწარმოების მიერ და ინგლისის კაპიტალით»... (321)...

10) კა-პა! || ...«მხოლოდ შედარებით ცოტამ მიიღწია ახლა ვირტუოზულობას ამ დარგში» (335)—საფინანსო საქმეებში etc.

...«შევიცარიის საკრედიტო ინსტიტუტი თვითონ მართავს მას» («ელექტრობის საწარმოთა ბანკს» ციურხიში), «ვინაიდან «ბანკი» დაწესებულება, ინსტიტუტი კი არ არის, არამედ, როგორც ყველა ამგვარი საზოგადოება, წარმოადგენს, ასე ვთქვათ, დიდ საქალაქს, რომელშიც ინახება მისი კუთვნილი ფონდები და რამდენიმე საკანტორე დაეთარი» (376)...

«ალგემანინე ელექტრიციტეტს გეზელშაფტს» (ამბ)

— აქციები — 100 მილიონი მარკა

ობლიგაციები — 37 »

«ფონდების ფლობა» — 23 » » etc.

ოქროს ქვიშრობები სამხრეთ აფრიკაში. «განსაკუთრებით 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დამდეგს მიღებული უდიდესი მოგება სტიმული გახდა სარეწებში პაების შექმნისა არა მარტო ინგლისის კაპიტალისათვის, არამედ მასთან ერთად პირველ რიგში საფრანგეთის კაპიტალისთვისაც, აგრეთვე გერმანიის, ბელგიისა და ჰოლანდიის კაპიტალისათვის... კურსის მეთისმეტეა ხელოვნურმა ამადლებამ უმადლეს წერტილს მიიღწია იმ «ბუმას» პერიოდში, რომელიც 1895 წელს დამთავრდა. სამთამადნო მრეწველობის ფასეულობათა დაცემა, რომელიც შემდეგ დაიწყო, მერმე კიდევ გაძლიერდა ტრანსვაალის ომთან დაკავშირებით»... (414).

NB

11) NB || «რაც უფრო განვითარებულია სახალხო მეურნეობა, მით უფრო მეტად ეჭანება იგი უფრო სარისკო ან საზღვარგარეთულ წამოწყებებს, ისეთებს, რომელთა განვითარებისათვის ხანგრძლივი ვადაა საჭირო, ან, ბოლოს, ისეთებს, რომელთაც მარტოდენ ადგილობრივი მნიშვნელობა აქვთ*. სწორედ ეს არის ის დარგები, რომლებისთვისაც იქმნებოდა დაფინანსების სპეციალური საზოგადოებანი: საწარმოები, რომელთა განვითარებისათვის საჭიროა ხანგრძლივი ვადა, როგორც, მაგალითად, რკინიგზის ან სამთამადნო მრეწველობის საწარმოები»... (etc.) (434).

NB

* იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი. 4 გამოც., ტომი 22, გვ. 259. რ ე დ.

[რაც უფრო განვითარებულია, მით უფრო სარისკოა... NB]

თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს ამას შულცე-გევერნიცი სტატიაში «საბანკო საქმე», გვ. 21. (წიგნი III. «სოციალური ეკონომიკის საფუძვლები». V კარი, II ნაწილი).

«როცა საკუთრივ სამეურნეო საქმიანობის სიმძიმის ცენტრი დაქვემდებარებულ საზოგადოებებშია, მთავარი საზოგადოება კი მხოლოდ მფლობელია მათი ფონდებისა, ამასთან აქციონერებმა არაფერი არ იციან დაქვემდებარებულ საზოგადოებათა საქმიანობის შესახებ, როგორც ეს ხდება კონტროლის გამწევე ამერიკის საზოგადოებებში, მაშინ ცხადია, რომ კანონის ყველა დადგენილება, რომელთა მიზანია ამ საზოგადოების საწარმოების მიერ საქმეთა გაძლოლაზე რაც შეიძლება მეტი საზოგადოებრივი კონტროლის უზრუნველყოფა, შეიძლება პარალიზებულ იქნას. ამგვარი საშიშროება შეიძლება არსებობდეს ყველა საზოგადოებისათვის, რომლებიც შექმნილია სხვა საზოგადოებათა ფონდების სუბსტიტუციით (შენაცვლებით), და მაშინაც კი, როცა ერთი საწარმო ასე თუ ისე მნიშვნელოვნად მონაწილეობს სხვებში» (439).

«1904 წ. დამლევს 3.8% ყველა საზოგადოებისა შეზღუდული პასუხისმგებლობით ფლობდა 1 მილიონ მარკაზე მეტი ოდენობის კაპიტალს, 9.1%—500 000 მარკაზე მეტ კაპიტალს თვითეული. ამავე დროს საზოგადოებათა ზემოხსენებული 3.8%-ის კაპიტალი შეადგენდა შეზღუდული პასუხისმგებლობის ყველა საზოგადოებათა ერთობლივი კაპიტალის 45.2%-ს, ხოლო საზოგადოებათა 9.1% ფლობდა ამ კაპიტალის 60.8%-ს» (459).

(გერმანიაში? ცხადია.)

460: ავტორის პროექტი: დაევალოს საზოგადოებებს «გამოაცხადონ» ხოლმე ანგარიშში ფონდების ისეთი თანხები, რომლებიც > «შეტანილი აქციონერული კაპიტალის» $\frac{1}{20}$ -ზე.

((იდიოტური კაზიონურობა!))

«შესაძლებელია, კაცობრიობას ახლო მომავალში ტექნიკის დარგში კვლავ მნიშვნელოვანი გადატრიალებანი მოეღოს, რომლებიც გავლენას მოახდენენ სახალხო მეურნეობის ორგანიზაციაზედაც». ...ელექტრობა, ჰაერნაოსნობა... «ჩვეულებრივად და საერთო წიგნის მიხედვით

NB

NB

NB (12)

NB

(13)


NB ||| ამგვარ ძირითად ეკონომიურ ცვლილებათა ხანაში ვითარდება ძლიერი სპეკულაცია* და წინანდელი გამოცდილებების საფუძველზე უეჭველია, რომ ამასთან ფონდების სუბსტიტუციის (შენაცვლების) პრინციპი და მონაწილეობისა და დაფინანსების საზოგადოებანი მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ კაპიტალის დიდ დაბანდებათა განსახორციელებლად, რომლებიც აუცილებელი ხდება» (465—466)...

მაგრამ... საფონდო კაპიტალიზმის «ჭაბუკობის დროება» უკვე წავიდაო. ხალხი ჭკვიანი გახდა... და დიდ ტექნიკურ გამოგონებათა დროს «Gründungsschwindel» («გაბერცლ საწარმოთა დამაარსებლობა») «საეჭვოა» etc... (466—7)... («ჭარბონის ტი»)

...ეაჭრობის არის საერთოდ მოთხოვნილების სუბსტიტუცია... (475)

((პა-პა! «თეორეტიკოსი!»))

...ეაჭრობა არის სარეწაო საქმიანობა, რომლის მიზანია დოვლათის დაგროვება, მისი შენახვა და განკარგულებაში გადაცემა» (476). ((ხზგასმა და შავი შრიფტი, ილიოტი!))**



დასასრული

«ნოიე ცაიტ», 1911 (ომზე NB) და 1912

(სხვათა შორის ეპროკის შეერთებულ შტატებზე)

15) «Die Neue Zeit», გამოცემის 30-ე წელი (1912)

[NB. აქვე სტატია ამერიკაში კერძო სიმდიდრეთა ისტორიის შესახებ.]

გამოცემის 30-ე წელი, 1 (X. 1911—1912)

სტატიები ვარგასი (გვ. 660), ჰილფერდინგისა (გვ. 773) და კაუცკისა (გვ. 837 და შემდ.) ოქროს, საქონლის, ფულის შესახებ.

||| იმაზევე ოტობაუერერ გამოცემის 80-ე წელს, მე-2 ტომში.

* იხ. გ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 260. რ ე დ.
** იქვე, გვ. 283. რ ე დ.

NB აგრეთვე, გვ. 1 «ავაზაკური პოლიტიკა» (6. X. 1911)—კაუცკის სტატია ტრიპოლის ომის შესახებ. სტატია მთავრდება სიტყვებით: «იგი (ჩვენი საარჩევნო ბრძოლა) ერთ დამეში შეიძლება გადაიქცეს ძალაუფლებისათვის ბრძოლად» (გვ. 5).

გამოცემის 30-ე წელი, 2 (1912)

სტატიები პანეკუცისა («მასობრივი მოქმედება და რევოლუცია») (გვ. 541 და შემდ.) და კაუცკისა. «ახალი ტაქტიკა» (2. VIII. 1912 და შემდ.) საზიზლარი ადგილებით სამინისტროებზე და ა. შ. (უსაზიზლარესი ოპორტუნისტული სტატია). [NB ბაზელის წინ.]

[აქვე ლენჩისა და კაუცკის პოლემიკა განიარაღებაზე. NB

[აქვე ეკუტეინის სტატიები აგრეთვე პანეკუცის წინააღმდეგ

[პანეკუცის სტატია: «ჩვენი თანამედროვე მოთხოვნების არსი», გვ. 810.

სპეციალურად მოთხოვნათა «განხორციელების შესაძლებლობის» საკითხზე.

«მართლაც რატომ არის, რომ პროგრამაში შედის მოთხოვნები პოლიტიკური დემოკრატიისა, სახალხო მილიციისა, იუსტიციის დემოკრატიზაციისა და ა. შ., რომლებიც ყველანი ერთად აღებულნი განუხორციელებელია კაპიტალიზმის დროს, და არ შედის შრომის უფლება ან აკრძალვა იმ მანქანების შემოღებისა, რომლებიც საჭირო მუშახელის რიცხვს ამცირებენ, რაც აგრეთვე განუხორციელებელია კაპიტალიზმის დროს?» შეუძლებლობის ორი სახე: «ეკონომიურად შეუძლებელია» და «პოლიტიკურად გამორიცხულია» (811). მიმდინარე მომენტის მოთხოვნები «აბსოლუტური აზრით როდია» განუხორციელებელი კაპიტალიზმის დროს (812).

«Die Neue Zeit», 1911, 2 (გამოცემის 29-ე წელი).

(17

გვ. 248 და 276. მცირე «პოლემიკა» კარლ კაუცკისა და «Leipziger Volkszeitung»-ისა (როზა ლუქსემბურგი) ევროპის შეერთებული შტატების გამო—შენიშვნები, რომლებიც საქმის არსს არ ეხება, მაგრამ მიგვიითითებს «Leipziger Volkszeitung»-ში წარმოებულ პოლემიკაზე.

«Leipziger Volkszeitung» თავს ესხმოდა ლედებურსაც მისი ფრაზისათვის:

«ჩვენ ვუყენებთ... კაპიტალისტურ საზოგადოებას... მო-
თხოვნას... რომ ისინი (სახელმწიფო მოღვაწეები) თვით ევროპის
კაპიტალისტური განვითარების ინტერესებისათვის ამზადებ-
დნენ ევროპის ამ გაერთიანებას ევროპის შეერთებულ შტა-
ტებად, რათა თავიდან აცილებულ იქნას შემდეგში ევროპის
საბოლოო დაღუპვა მსოფლიო კონკურენციაში» (გვ. 276).

ეს იგივეა, რასაც კალვერი ამბობდა, ამერიკის წინააღმდეგ
საბაჟო კავშირს რომ იცავდაო.

კაუცკი უპასუხებს: არა, ეს იგივე არ არის. ლედებურს
ერთი სიტყვაც არა აქვს საბაჟო ბრძოლაზეო, არამედ ლაპა-
რაკი აქვს მხოლოდ ევროპის შეერთებულ შტატებზე, ეს
არის «აზრი, რომლის მახვილი... აუცილებლად როდი უნდა
იყოს მიმართული შეერთებული შტატების წინააღმდეგ» (277).
(«მაშასადამე, მშვიდობიანი კონკურენციის იდეა!»)

კარლ კაუცკი, გვ. 248, ამბობს, რომ ევროპის შეერთებული
შტატების მომხრეა (ან იყო) აგრეთვე პარვეუსი და იოჰან
ფილიპ ბეკერი.

Ibidem, გვ. 943—4 (29. IX. 1911), ანგარიში გ. კველ-
ჩის სტატიაზე («The Social-Democrat»-ში, 1911, აგვისტო),
რომელიც ამბობს, რომ კაპიტალისტებიც მშვიდობის მომხრენი
არიან (კაპიტალი უკვე ინტერნაციონალურიაო): კაპიტალს
უკვე შეუძლია შექმნას «მსოფლიოს შეერთებული შტა-
ტები (NB: sic! «der Erde»), მაგრამ ეს მსოფლიო ტრესტი
კიდევ უფრო ძლიერ დაჩაგრავს მუშებსო. «კაპიტალისტური
საყოველთაო მშვიდობა... ყოვლისშემძლე საერთაშორისო პო-
ლიცია, პოლიტიკური თავშესაფრის უფლების სრული უქონ-
ლობა... მონათა ამ სახელმწიფოში მშვიდობა და სიმშვიდე
იქნებოდა გამეფებული»... (გვ. 944).

ომისაგან კველჩი (წინააღმდეგ კარლ კაუცკისა) მოელის
არა რევოლუციას, არამედ ეკონომიურ აყვავებას, «პროლექ-
ციის ზეგავლენისაგან» ხსნას.

«Die Neue Zeit», 1911, 2 (გამოცემის 29-ე წელი, მე-2 ტომი),
№ 30, 28. IV. 1911 (გვ. 97—107).

კარლ კაუცკი. «ომი და მშვიდობა».
ამ სტატიაში კარლ კაუცკი მხარს უჭერს მშვიდობის პრო-
პაგანდას და მხარს უჭერს აგრეთვე ევროპის შეერთებულ
შტატებს (ამ სტატიის § 3-ს სწორედ ასეთი სათაური
აქვს; «ევროპის შეერთებული შტატები»).

კარლ კაუცკი წინააღმდეგია წინადადებისა იმის შესახებ, რომ წინასწარ გადაწყდეს პასუხი ომზე გაფიცვით (აქ ის ადგილია, რომელიც მან 1915 წელს ციტატად მოიყვანა, რომ ხალხი («die Bevölkerung»), «ბრბო», თვითონ მოკლავდა ომის მოწინააღმდეგეებს. საზღვრები საფრთხეში რომ ჩაეთვალა, ინვაზიის შეშინებოდაო—გვ. 104 etc. etc.)

მაგრამ ასეთი ადგილები რომ მოჰყავდა ციტატად 1911 წლის ამ სტატიიდან, კაუცკის 1915 წელს არ მოჰყავდა შემდეგი ადგილები:

1) § 1-ში: «დინასტიური ომი და სახალხო ომი». NB ((ხაზ-გასმა ჩემია)).

...«მე-18 საუკუნეში თავადები სახელმწიფოებს პირდაპირ თავიანთ მამულებად თვლიდნენ...

...ასე ახლა ევროპის სხვადასხვა ერის (და შეერთებული შტატების) კაპიტალისტები ევროპული ცივილიზაციის გარეშე მდგომ სხვადასხვა ეროვნებებს თვლიან თავიანთ მამულებად, და წინააღმდეგობანი სხვადასხვა კაპიტალისტურ მთავრობებს შორის გამომდინარეობენ მხოლოდ მისწრაფებიდან გადიდონ ან დაამრგვალონ ეს მამულები—კოლონიები და «გავლენის სფეროები». სავსებით ისე, როგორც მე 18. საუკუნის დინასტიური წინააღმდეგობანი. და ევროპის ხალხების კეთილდღეობას ამჟამად ამასთან მეტი კავშირი როდი აქვს, ვიდრე ორი საუკუნის წინათ»... (გვ. 99).

2) «იზრდება იმის რწმენა, რომ ევროპის ომი ბუნებრივი გარდუვალობით უნდა დამთავრდეს სოციალური რევოლუციით. ეს წარმოადგენს ძლიერ, შეიძლება ითქვას, უძლიერეს სტიმულსაკი გაბატონებული კლასებისათვის დაიცვან მშვიდობა და მოითხოვონ განიარაღება» (გვ. 100).

3) «ომს გარდუვალი აუცილებლობით მოჰყვება რევოლუცია, არა როგორც სოციალ-დემოკრატიული გეგმის პროდუქტი, არამედ გარემოებათა რკინისებური ლოგიკის გამო. თანამედროვე სახელმწიფო მოღვაწეები თვითონ ითვალისწინებენ ამ შედეგის შესაძლებლობას» (გვ. 106).

...«რევოლუცია შეიარაღებაში შეჯიბრების შედეგი იქნება თუ ომის შედეგი — ყოველ შემთხვევაში იგი საერთაშორისო მოვლენა იქნება» (გვ. 106)...

...«მაგრამ რევოლუცია კიდევაც რომ არ იქნეს შეიარაღების ტვირთის წინააღმდეგ ან ომის საშინელებათა წინააღმდეგ რეაქციის შედეგი, არამედ სხვა მიზეზების გამო მოხდეს, და თუ იგი თავდაპირველად საერთაშორისოც არ იქნება, არამედ შეზღუდული იქნება ერთი სახელმწიფოს ფარგლებით, თანამედროვე პირობებში ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გაგრძელდება. იგი (რევოლუცია) სხვა სახელმწიფოებს უნდა გადაედოს»... (107) და აქედან კარლ კაუცკის გამოჰყავს ევროპის შეერთებული შტატები «და მათი გადაქცევა საბოლოო ანგარიშით მთელი ცივილიზებული მსოფლიოს შეერთებულ შტატებად».

2 გვ. 105: კარლ კაუცკი ევროპის შეერთებულ შტატებს განსაზღვრავს, როგორც კავშირს «საერთო საეკონომიკო პოლიტიკით» (+ ერთი პარლამენტი etc., ერთი ჯარი).

S ამ სტატიის § 1-ში (გვ. 97) კარლ კაუცკი ახსიათებს «მსოფლიო სიტუაციის შეცვლას» («უკანასკნელ 2 ათეულ წელიწადში») ... «სამრეწველო კაპიტალი გადაიქცა საფინანსო კაპიტალად, იგი მონოპოლისტ-მწამფლობელებთან გაერთიანდა»... «სოციალური რეფორმები მთლად ჩაკვდა»...

«და მიუხედავად ამისა» (მიუხედავად ევროპის შეერთებული შტატების განხორციელების ყველა სიძნელისა) «მისწრაფება იმისადმი, რომ ევროპის სახელმწიფოები მშვიდობიანად გაერთიანდნენ ერთ ფედერაციულ მთლიანობად, სრულებითაც არ არის უიმედო. მისი პერსპექტივები დაკავშირებულია რევოლუციის პერსპექტივებთან» (ხაზგასმა კ. კაუცკისაა, გვ. 106).

«Die Neue Zeit», 1911, 2, გვ. 96: შინაარსი ოტობაუერის სტატიის კრებულში «ბრძოლა» (1911, № 3): «მსოფლიო ომი მისი» (კაპიტალიზმის) «უკანასკნელი სიტყვაა... თუ თურქეთის რევოლუცია ევროპის საერთო ომს გამოიწვევს, ამის გარდუვალი შედეგი ევროპის რევოლუცია იქნება».

20) «Die Neue Zeit», 1911, 2, გვ. 179

ოტობაუერის სტატია კოვენტრის ყრილობის შესახებ (1911), სადაც ბრიტანეთის სოციალისტურმა პარტიამ მიიღო რეზოლუცია იმის სასარგებლოდ, რომ «იქონიონ საკმაო სიღიდის ფლოტი ეროვნული თავდაცვისათვის».

...«ამით პარტიულმა ყრილობამ არა მარტო გადაუხვია საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ხაზს, არამედ ყველაზე უარეს ჭინგოისტებსაც შეუერთდა» (გვ. 182)...

პინდმანის აგიტაციის წინააღმდეგ

«რა აგრესიულიც უნდა იყოს გერმანია, მისი აგრესიულობა მიმართულია ისეთ საგნებზე, რომლებსაც იმდენადვე მცირე მნიშვნელობა აქვს ინგლისელი ხალხისათვის, როგორც ტრანსვალის ოქროს ქვიშრობებს... მაგრამ, მეორე მხრივ, რომ მოიწონო ან დაუშვა ინგლისის გაბატონებული კლასების ის მოქმედება, რომელიც გერმანიის წინააღმდეგ მიმართული გარემოცვის პოლიტიკით გამოიხატება (etc.)... მაშინ მართლაც შეიძლება დადგეს მომენტი, როცა პროლეტარიატიც კი იძულებული იქნება იარაღს მოჰკიდოს ხელი და, თავის ქვეყანას რომ დაიცავს, კაპიტალისტთა კლასის საქმეს ემსახუროს...» (გვ. 183). NB

«Die Neue Zeit», 1911, 1, ასკიუს სტატია ინგლისის კოლონიურ პოლიტიკაზე ე გ ვ ი პ ტ ე შ ი.

«საფინანსო არქივი»: 1915

«Finanz-Archiv». გამოცემის XXXII წელი, 1915. (21)

«საფრანგეთის კაპიტალი რუსეთში» (125 — 133).

მაჩვენებელი გამოცემის 32-ე წლისათვის. (თითქმის *nil*).

«Finanz-Archiv» გამოცემის XXXI წელი, 1914

«კოლონიური ვალები და კოლონიური სესხები».

1901 წელს ლონდონის ბირჟებში იყო Σ 600 მილიონი გ. სტ. = 12 მილიარდი მარკის კოლონიური ფასიანი ქაღალდები (გვ. 8). მეტ წილად ეს ინგლისის კოლონიებია.

საფრანგეთმა კოლონიებისადმი სესხებად გასცა 1897—1907 წლებში (გვ. 16) არა < 400 მილიონი ფრანკისა.

ბელგიამ > 250 მილიონი ფრანკი.

გერმანიამ — (1911) — 137.4 მილიონ მარკამდე (გვ. 28). $137.4 \times 1.25 = 171.750$ მილიონი ფრანკი.

მილიონი ფრანკი: 15 000, 400, 250, 171.75.

25. ვ. ი. ლენინი, ტ. 39

ემისიების სტატისტიკა. ებენშვილიერი.
კრონი (არგენტინაზე)

- 23) ვალტერ ეგენშვილერი (ციურიხი). «სტატისტიკური მასალა პრობლემისათვის: ომი, საწარმოო პროგრესი და ფა-სების მოძრაობა». «Schmoller's Jahrbuch». 1915, № 4.
(ავტორს მხოლოდ წლობითი მონაცემები აქვს).

	საჯარო ემისიები მთელ მსოფლიოში (მილიარდი მარკა)	წელი- წადში საშუალო	მინიმუმი—მაქსიმუმი
1871—1880.....	76.1:10 =	7.81	1.7 — 15.8
1881—1890.....	64.5:10 =	6.45	3.3 — 12.7
1891—1900.....	98.0:10 =	9.8	2.5 — 17.8
1901—1909.....	136.1:9 =	15.1	7.9 — 21.5

ემისიების სიდიდე (ყველასი):
(ავტორს მხოლოდ წლობითი მონაცემები აქვს)

	ინგლისი (მილიონი მარკა)	საფრანგეთი (მილიონი ფრანკი)	(ჩემი გაან- გარიშება) 80 o/o (მილიონი მარკა)	გერმანია (მილიონი მარკა)
1903—7.....	13 187	18 469 =	14 775	16 630
	:5 = 2 637			
1908—12.....	21 309	23 122 =	18 497	19 783
	:5 = 4 262			
Σ (10 წელიწადში)	34 496	41 591	33 272	36 413
	:10 = 3 449			:10 = 3 641

Ibidem (№ 2). გ. ფ. კრონი. «არგენტინა ინგლის-გერ-მანიის ეკონომიურ ბრძოლაში» (შეად. ცოლინგერის გვ. 114 არგენტინის ტიპიურობის შესახებ)...

იმპერიალიზმის საუცხოო ილუსტრაცია!!

ვალტერ ცოლინგერი. «ფასეულობათა საერთაშორისო ადგილგადასაცვლების ბალანსი»

ვალტერ ცოლინგერი. «ფასეულობათა საერთაშორისო ადგილგადასაცვლების ბალანსი». 1914.

(გვ. 106) იძლევა ნეიმარკის მიხედვით («Bulletin de l'institut international de statistique». ტომი XIX, II ნაკ-ვეთი. 1912).

ციფრები ფრანკობით*

1871— 80	76.1	მილიარდი
1881— 90	64.8	>
1891—1900	100.4	>
1901—1910	197.8	>
	(Σ = 438.8)	

(Ibidem) ფსიანი ქალაქების ჯამი**

(1810 წ. მაქსიმუმი)	მილიარდი	დანარჩენი ქვეყნები 1902 წელს:
დიდი ბრიტანეთი.....142	ფრანკი	(32 მილიარდი)
შვედეთელი შტატები.....132	> >	ჰოლანდია.....10
საფრანგეთი.....110	> >	ბელგია.....6
გერმანია.....95	> >	ესპანეთი.....6
რუსეთი.....31	> >	შვეიცარია.....5
ავსტრია-უნგრეთი.....24	> >	დანია.....3
იტალია.....14	> >	შვეიცია, ნორვეგია, რუმინეთი და
იაპონია.....12	> >	ა. შ. 2
დანარჩენი ქვეყნები.....40	> >	
Σ=600		Σ=32

კალმესი. «უახლესი ლიტერატურა კაპიტალის მოთავსების შესახებ»

ალბერტ კალმესი (პროფესორი აკადემიისა მაინის (24 ფრანკფურტში). «უახლესი ლიტერატურა კაპიტალის მოთავსების შესახებ». «Jahrbücher für Nationalökonomie», III სერია, ტომი 47 (102-ე ტომი), 1914, გვ. 522.

აქებს შვეიცარიელის წიგნს

ა. მელიერი. «კაპიტალის მოთავსება». ციურხი, 1912 (გვ. 525: საერთო ნაწილი «საუცხოოა»).

ფრ. ერენშეიკერი. «კაპიტალის თანამედროვე მოთავსება», ბერლინი, 1911. NB

ფრ. ბიოტგერი. «ფულის მოთავსება და კაპიტალის მართვა». ლაიპციგი? (193 გვ.) («უფრო დაწვრილებით განიხილავს» «ბალანსების წაკითხვას», გვ. 525).

ჰენრი ლიოვენფელდი. «კაპიტალის მოთავსების ხელოვნება». («ყველაფერი კაპიტალის მოთავსების თაობაზე») ბერლინი, 1911 («ლეიტმოტივი»: «კაპიტალის მოთავსების გეოგრაფიული განაწილება»).

* იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 299. რ ე დ.

** იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 300. რ ე დ.

პოლ ლერუა-ბოლიო. «საკუთარი ქონების მოთავსებისა და მისი მართვის ხელოვნება». პარიზი, 1912 (451 გვ.) — (ძალიან აქებს).

იგივე კალმესი 105 ტომში (1915, ნაკვეთი 5) არჩევს ახალ ლიტერატურას დაფინანსების შესახებ.

N B ||| ვნახო იქვე III სერია, ტომი 39, 1910, მოოსის სტატია «კაპიტალის მოთავსების» შესახებ საფრანგეთსა და ინგლისში.

პიუზის სტატია «სამეფო სტატისტიკური საზოგადოების უშრნალში». 1911 წლის იანვარი

- 25) ბრიტანეთის კაპიტალი, ინდოეთის, კოლონიურ და უცხოეთის სესხებსა და კომპანიებში მოთავსებული, და იქიდან მიღებული შემოსავალი 1907—08 წლებში (პეიში, გვ. 168):

ჩემი ნაკრები 3 მსხვილ ჯგუფად: A, B, C	კაპიტალი (ათასი გ. სტ.)	შემოსავალი (idem)	%
A) სესხები (მოავრობისა და მუნიციპალური).....	757 460	29 938	3.9
B) რკინიგზები.....	1 198 991	52 839	4.4
C) { ბანკები და სხვა.....	366 022	21 870	
	მალაროები.....	243 386	
ნავთი და სხვა.....	127 879	8 999	
C)	737 287	57 014	7.7
სულ	2 693 738	139 791	5.2

ავტორს ეს ცხრილი აქვს არა 3 (A, B, C), არამედ ძალიან ბევრ ჯგუფად

$$A) \% = 3.2\% - 4.7\%$$

$$B) = 3.8 - 4.7\%$$

$$C) = 3.9 - 30.6\%$$

1910 წელს (ათასი გ. სტ.)
ინგლისის კოლონიები:

	კანადა და ნიუფაუნდ- ლენდი	აუსტრალიის ფედერაცია	ახალი ზელან- დია	სულ მოსულ აქსტრალა ზიმი	აფრიკა		ინდოეთი და ცეილონი	სტრეიტს- სელენგისი და მალაის სახელმწიფოები	პრიტანეთის სუდასხვა სამფლობელოები	Σ (ჩემი)
					სამხრეთი	დასავლეთი				
A)	82 948	198 365	64 721	263 086	115 080	8 541	182 517	7 943	8 969	677 084
B)	223 740	2 951	761	3 712	9 354	—	136 519	—	1 717	375 042
C)										503 028
Σ	373 541 ^(*)	301 521	78 529	380 050	351 368	29 498	365 399	22 037	33 259	1 555 152 ^(*)

(*) შენიშვნა: პეიმის ჯამია = 1 554 152, ვინაიდან ნაკრებ ცხრილში კანადისათვის ნაჩვენებია 372 541 (გვ. 186), ხოლო ძირითადადში (გვ. 180) — 373 541.

	შეერთებული შტატები	კუბა	ფილიპინები	იაპონია	ჩინეთი	ხვადასხვა სხვათა კვეყნები
A)	7 896	2 282	—	42 784	22 477	818
B)	586 227	17 387	7 902	8 910	—	4 521
C)	93 955	3 031	300			
Σ)	688 078	22 700	8 202	53 705	26 809	61 907

	არგენტინა	მექსიკა	პრაზილია	ჩილი	ურუგვაი	პერუ	ამერიკის სხვადასხვა ქვეყნები
A)	38 339	8 276	40 221	17 071	9 860	81	3 838
B)	186 126	54 306	29 961	12 646	21 194	6 476	11 681
C)							
Σ)	269 808	87 335	94 440	46 375	35 255	31 987	22 517

	რუსეთი	ლუქსემბურგი	პოლონეთი	ესპანეთი	იტალია	პორტუგალია	საფრანგეთი	გერმანია	ვერობის სხვა ქვეყნები	Σ	გვიან- დროის ჩაუთ- ვლები:
A)	19 109	9 650	14 044	1 885	4 164	1 336	—	1 351	22 870	74 409	60 365
B)	2 013	6 146	1 916	5 473	3 284	4 432	—	—	495	23 759	21 843
C)			27 793				7 071			90 199	62 406
Σ	38 388	18 320	43 753	18 808	11 513	8 134	7 071	6 061	36 319	188 367	144 614

26) «Journal of the Royal Statistical Society», ტომი LXXIV.
იანვარი 1911.

ბეიშის სტატია (და კამათი სტატისტიკურ საზოგადოებაში მის გამო (სტატია გვ. 167—187, დისკუსია, გვ. 187—200)) გვიჩვენებს, რომ ავტორი ძალიან ფრთხილად და გულდასმით მოპყიდებია თავის ნაშრომს.

იგი გამოირიცხავდა კონვენსიებს, — იღებდა ქალაქების არა ნომინალურ, არამედ გამოსაშვებ ფასებს, — გაორკეცების თავიდან ასაცილებლად იღებდა ქალაქების შემოსავალს etc. ამიტომ მისი მონაცემების ღირებულება გაცილებით

ფფრო მალალია ხელადებითს «მონაცემებზე» საფრანგეთისა და გერმანიის შესახებ.

მისი ძირითადი ნაშრომია 1907—8 წლებზე

	მილიონი გ. სტ. 1907—8	1908—9 და 1910	1910-სათვის
კოლონიები:	1 312	+ 228	1 554
სხვათა ქვეყნები	1 381	+ 288	1 637
სულ	2 693	+ 516	3 191

NB. აღფრედ ნეიმარკი. «თანამედროვე ფინანსები». ტომები VI და VII. საფრანგეთის დანახოვები და ფასიანი ქაღალდები 1872—1910». 2 ტომი. 8°. პარიზი, 1911. NB

მიულჰაუპტი. «რძის კარტელი»

დ-რი ენგელბერტ მიულჰაუპტი. «რძის კარტელი. კარტელების და რძის ფასების საკითხისათვის». კარლსრუე, 1912. (27)

«ბადენის უმაღლესი სკოლების სახალხო-სამეურნეო გამოკვლევანი». ახალი სერია. ნაკვეთი 9.

ძალიან საინტერესო და საქმიანი წიგნია, აგვიწერს უაღრესად საინტერესო მოვლენებს.

ლიტერატურიდან NB: ფ. არნოლდი «Conrad's Jahrbücher»-ში. ტომი 41, 1911, და სტატიაში «ბავარიის სამეფოს სტატისტიკისათვის». ტომი 41 (1910). «სახელმწიფოებრივ მეცნიერებათა ლექსიკონი». ტომი 6 (მე-3 გამოცემა) («რძის მეურნეობა»). ნახიმსონი. «რძის ომი». «Die Neue Zeit», 1911 (გამოცემის 29-ე წელი), ტომი 2 (გვ. 668 და შემდ.).

კარტელების სასარგებლოდ ამ დარგში მეტყველებს მეურნეობათა მონოპოლიური მდგომარეობა (რაიონი 50—100 კმ დიდი ქალაქების გარშემო) და ამ ხანაგობათა ზრდა.

ცენტრიფუგის გამოგონების შემდეგ რძის პროდუქტების გადამუშავების კოოპერაციები ისე იზრდებოდნენ როგორც სოკო მიწიდან გაზაფხულის თბილი წვიმის შემდეგ:

	სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა რიცხვი (გვ. 24):
1870 — 1	1890 — 3 000
1903 — 2 245 181 325 წვერით	1900 — 13 600
1909 — 3 039 270 692 > (გვ. 5)	1910 — 24 900

{ პეტერსილიეს მიხედვით. «ცნობები გერმანიის კოლო-
პერაციული სტატისტიკის შესახებ». ბერლინი, 1911. }

კონცენტრირებული საკვების ფასების ზრდა etc. (+13—50%, 1896—1906, გვ. 7) etc. და სხვ. არ იწვევდა ფასების ზრდას დაახლოებით 1900 წლამდე, ძლიერ კარტელურ მოძრაობამდე (გვ. 7).

კარტელების სასარგებლოდ მეთყველებს რძის მსხვილი წარმოების (შენახვის etc.) უღადესი მნიშვნელობა (სიიფის, ჰიგენის მხრივ etc. etc.)

ბერლინს დღეში ა სკირდება 1 მილიონი ლიტრი რძე			
ჰამბურგსა და მის გარეუბნებს 0.5	»	»	»
ვენას 0.9	»	»	»
მიუნხენს 0.25	(გვ. 16)		

და ა. შ.

რძე შეიცავს 1 სმ³-ზე 9000 (სანტიმეტრ?? თუ მილი-
მეტრ?) ბაქტერიებს მოწველისთანავე; 12 000-ს 2—3 საათის
შემდეგ; 120 000-ს 9 საათის შემდეგ; მილიონებს 24
საათის შემდეგ (გვერდი?).

მიწოდება მეტწილად რკინიგზით (50—100 კმ ქალაქიდან).
ფაქტიურად მონოპოლიური მდგომარეობა გარემომდე-
ბარე სოფლების გლეხებისა, რომლებიც რძის მეურნეობას
ეწევიან.

«კოოპერაციამ სოფლის მეურნე აღზარდა კარტელისათვის»
(25).

28) რამდენიმე რძის კარტელის ისტორია.

«ბერლინერ მილზინგ». დაარსდა 1900 წ. ივნისში.
გააფთრებული ბრძოლა ბითუმად მოვაჭრეთა წინააღმ-
დეგ (ხალხი ვაჭრებს უჭერდა მხარს).

ბოლემ (რძის ვაჭრობის უმსხვილესი ფორმა ბერლინში,
ბრუნვა 45 მილიონი ლიტრი წელიწადში; კაპიტალი 10 მი-
ლიონი მარკა; დივიდენდი 8%, გვ. 91) 1903 წელს ზავი
დადო რძის კარტელთან. (ბოლემ მოკლე ხანში მილიონერი
გახდა; ასევე პფუნდი დრეზდენში, ბრუნვა 21 მილიონი
ლიტრი.)

ჰიგიენურ პირობებს ყოველთვის აუმჯობესებენ რძის სინდიკატები.

მაგრამ ეს ცუდად იყო მოწყობილი ფინანსურად და კრახი განიცადა 1907 წლის 27. II-ს.

ჰამბურგი. დაარსდა 1900 წ. VI-ში. 10 წელიწადში თავის წევრებს მისცა 10.3 მილიონი მარკა (გვ. 53), გააღიდა მათი ფასი (11.2-დან 14.1 ჰფენიგამდე), დაღო ხელშეკრულება მსხვილ ვაჭრებთან.

მაინის ფრანკფურტი. როდის წარმოიშვა?? 1911 წელს ძალიან ძლიერი იყო.

ხელშეკრულება დაღო ვაჭრებთან. შემდეგ მოითხოვა მათგან ფასების გადიდება 16 ჰფენიგიდან 17-მდე.

«ამ ჰფენიგის გამო ატყდა სამი თვის გააფთრებული ომი სოფლის მეურნეებსა და ვაჭრებს შორის, რომლებსაც მხარი დაუჭირეს როგორც სოციალ-დემოკრატიულმა, ისე ლიბერალურმა მუშათა კავშირმა და პროფკავშირთა გაერთიანებამ» (გვ. 54). ვაჭრებმა დათმეს.

«ბრძოლა იმით დამთავრდა, რომ რძის ვაჭრებმა მომხმარებელთა დიდად გასაოცრად «ფერაინიგტე ლანდვირტე»-სთან» (კარტელის სახელწოდება) «დადეს შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ეს უკანასკნელნი ვალდებულებას კისრულობდნენ აღარ მიეწოდებინათ რძე იმ ვაჭრებისათვის, რომლებიც ზემოაღნიშნულ ფასდამატებას არ გააკეთებდნენ» (გვ. 55).

ვენაში უზარმაზარი სინდიკატი. თავისი ხარჯები (რძის გასაღებაში) მან 1900 წლის 7.67 ჰელენრიდან ლიტრზე (ბრუნვა 0.68 მლნ. კრონა) შეამცირა 3.775 ჰელერამდე ლიტრზე 1910 წელს (ბრუნვა 6.74 მლნ.) (გვ. 57).

მსხვილი წარმოება!!

კარტელების გავლენა მწარმოებლებზე?

ფასების ზრდა საშუალოდ 2 ჰფენიგით 1900 — 1910 წლებში (1890—1900 წლებთან შედარებით) (გვ. 61).

ამ ზრდის მიზეზი სწორედ კარტელებია (წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოების გაძვირება ფასების გადიდებას არ გამოიწვევდა).

«მაშ სხვანაირად რით შეიძლება აიხსნას ის განსაცვიფრებელი ფაქტი, რომ ფასებმა ზრდა იწყო სწორედ იმ წლებში, როცა ასპარეზზე გამოჩნდა რძის კარტელი?» (63).

«დასასრულ, თუ კარტელების არსებობით არა, როგორ შეიძლებოდა იმ ფაქტის ახსნა, რომ უასუბის გადიდება ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სწორედ იმ ადგილებში, რომლებიც

(29)

უმდიდრესად ითვლება რძის მხრივ: «შვეიცარიასა და ვიურტემბერგში?» (64).

რძის გასაღების გაძლიერება პირუტყვის საკვებასაც აუარესებს (გვ. 66) და მოსახლეობის კვებასაც (67).

შვეიცარიაში რძის მოხმარება

ლიტრი სულზე
დღეში

1903 — 1905	— 1.01	
1906 — 1909	— 0.98	(გვ. 68)

იგივე გერმანიაში.

გვლენა ვაჭრობაზე? მისი შემოსავალი შემცირდა 7—8 პფენიგიდან ლიტრზე 6—7-მდე (72), — ვაჭრობის თანდათანობით გამოდევნა.

მომხმარებლებზე? ხარისხის, ჰიგიენის გაუმჯობესება და სხვ.

ყველაზე უკეთ არის ბაზელში, სადაც პირდაპირ ერთმანეთის წინააღმდეგ დგანან მომხმარებელთა კავშირი და მერძევე გლეხთა კავშირი. რძის მეურნეობას ქალაქი სანიმუშოდ აწარმოებს, მაგრამ ფასებში კონსუმი დამოკიდებულია გლეხებზე!!

«პროფ. კახლორფის მიხედვით ერთი ძროხა ავსტრიაში საშუალოდ 5 ლიტრ რძეს იძლევა დღეში, გერმანიაში 8—10 ლიტრს, დანიაში—12 ლიტრს» (გვ. 83).

ერკურცოგ ფრიდრიხის მსხვილ მეურნეობაში ვენასთან რძის წარმოება იყო

1853 — 3.00	ლიტრი 1 ძროხაზე
1880 — 4.87	
1890 — 6.27	
1900 — 6.88	(გვ. 84)
1910 — 8.00	

რძით წვრილი ვაჭრობა კიდევ ჭარბობს, საერთოდ (მიუნხენში 1910 წელს—იყო 1609 სპეციალური სარძევე, მათ შორის

250 50 ლიტრამდე
1 310 (81.4%) 150 ლიტრამდე)

არაჰიგიენურია; გადასხმა დაცული არ არის ჭუჭყისაგან etc. NB || და «დროის, შრომისა და კაპიტალის წარმოუდგენელი გაფლანგვა» (87), რძის დატარება, გაუყიდავი რძე, ერთ სახლში 2—3 მიმწოდებელი და სხვ. და სხვ.

«რძის კარტელის სოციალური გავლენა» (თავი V) — მოსალოდნელია «შეიარაღებულნი ზავი» (95) ქალაქსა და სოფელს შორის, მომხმარებელთა და გამყიდველთა პირდაპირი ომი, როგორც ბაზელში. ||| !!!

ბაზელში კონსუმი სავსებით დამოკიდებულთა (ფასებში) რძის მწარმოებელ გლეხთა კარტელზე.

მთელი შვეიცარია ყველაზე უკეთ არის ორგანიზებული რძის გამყიდველ გლეხთა კარტელებად, — და ყველაზე მაღალია რძის ფასები!! ყველაზე ძლიერია ამ კარტელების ძალაუფლება!!

«მომხმარებელთა საყოველთაო კავშირი (ბაზელში) სრულიად უძლურია მწარმოებელთა კარტელების ფასების პოლიტიკის წინაშე» (გვ. 77). ||| NB

«შვეიცარიაშიც, სადაც უფრო მეტად, ვიდრე სხვა ქვეყნებში, გლეხებსა და მუშებს უშუალო ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, მათ შორის წარმოებს მძვინვარე შეტაკებანი და გააფთრებული ბრძოლა ფასების გამო» (გვ. 95).

კაპიტალისტთა კავშირები ომის შესახებ

კაპიტალისტთა კავშირები ომის შესახებ

(31)

«Archiv für Sozialwissenschaft und Sozialpolitik» (ელდგარ ოაფე) (41-ე ტომი, 1-ლი ნაკვეთი), 1915, სექტემბერი. გვ. 296—7—«მეპატრონეთა ორგანიზაციები NB ომის შესახებ».

...«მაშასადამე იგულისხმება» (მეპატრონეთა ორგანიზაციების შეხედულებით) «სპეციალურად გერმანული ტიპის განვითარება ან ზრდა, ომი ამისათვის წარმოებსო. ასეთი შეხედულება, არსებითად რომ ვთქვათ, სავსებით შეესაბამება მეწარმეთა ინტერესებსაც. ისინი მიხვდნენ, რომ მეწარმეთათვის ერთგვარ საშიშროებას შეიცავს ომის შემდეგ ასეთი განცხადების მოსმენა: vestra res agitur (საქმე თქვენ გეხებათ), საქმე ეხება თქვენს ტყავსა და თქვენს ინტერესებს! ომი წარმოებს იმისათვის, რომ გადაწყდეს, ვინ უნდა ასრულებდეს მსოფლიო ბაზარზე პირველ როლს!» (Deutsche Arbeitgeberzeitung», 7. II.

||| NB

1915). მაშინ აშკარაა ყველა სოციალურ-პოლიტიკური ტენდენცია, ყველა მისწრაფება—დაიფაროს ომის ხარჯები მიწარმეთა მოგების ხარჯზეც—სრულ თანაგრძნობას ჰპოვებდა. ხოლო თუ ომი წარმოებს კულტურის ინტერესებისათვის, თუ ვიცავთ არა მოგების ინტერესებს, არამედ კულტურის ტიპს, მაშინ მთელი საზოგადოებაა მოვალე ზედოს ომის სიმძიმე და არ შეიძლება გამოიყოს განსაკუთრებული კლასი, რომლის ინტერესებსაც ომი პირველ რიგში უწყობდეს ხელს.

32)

ომის გავლენას, რამდენადაც იგი ქვეყნის შინაპოლიტიკურ მდგომარეობაზე ვრცელდება, მეპატრონენი უპირატესად ხელსაყრელად თვლიან. განსაკუთრებით პირველ პლანზე აყენებენ სოციალისტურ პარტიაზე გავლენის ხელსაყრელობას. აქ ქებას ასხამენ «აღმზრდელ ბედს». ომის დროს შეიქმნა ხალხის ერთიანობა, და უმშვენიერეს სოციალისტურ თეორიებს ფეხქვეშ ნიადაგი გამოეცალა. (იქვე, 2. VIII. 1915.) მხოლოდ ამ ომში ხალხი მართლაც ხალხი გახდა (ტრეიჩკეს გამოთქმით)—და უკვე მარტო ამაშია ომის გამართლება. ...ომი კიდევ საუკუნეთა განმავლობაში იქნება სახელმწიფოთა შორის კონფლიქტების გადაჭრის ერთადერთი ფორმა, და ამ ფორმას მიესალმებიან, იმიტომ რომ ომმა შეაკავა განვითარება დემოკრატიისაკენ: «ჩვენ მივედით მოდუნებულობის ზღვრამდე, დაკნინებისა და გასათუთების საზღვრებამდე. მაგრამ აღსასრულისაგან, ამ უფსკრულში ჩავარდნისაგან გვიხსნა ბედმა, ბედმა, რომელმაც, ჩანს, ჩვენს გერმანელ ხალხს განსაკუთრებული მიზანი დაუსახა». (იქვე, 16. VIII. 1914.)

«ამრიგად ომის აზრს საერთოდ დაჟინებით ეძებენ სრულის გარდაქმნაში; ომის ეკონომიურ და პოლიტიკურ მნიშვნელობას აკნინებენ, სერიოზულ პოლიტიკურ და ეკონომიურ შედეგებს უარყოფენ».

...«სამართლიანად აღნიშნავენ იმას, რომ გერმანიის მთავრობის შემდგომი ღონისძიებებიც მიმართული იყო მოხმარების რეგულირებისაკენ, მაშინ როცა სოციალიზმის მიზანია წარმოების საშუალებათა განსაზოგადოება. ვე, 28. II. 1915.) ამიტომ ყველა ეს ღონისძიება კვლავ და გაქრეს, როგორც კი მშვიდობა დამყარდება. ყველა ეს

შეხედულება შეესაბამება მეწარმეთა ინტერესებს, და, შეიძლება ითქვას, არაფერი ისე დამახასიათებელი არ არის მეწარმეთა და მუშათა კლასობრივი ინტერესების ანტაგონისტურობისა, ვიდრე ის ფაქტი, რომ ამ ორი კლასის იდეოლოგიაში ომიც ერთმანეთის სულ საწინააღმდეგოდ აისახა. მაგრამ ამ წინააღმდეგობას სხვადასხვა ელფერი აქვს. ოპორტუნისტული, რევიზიონისტული მიმართულების სოციალისტები ოპში ეკონომიურ ომს ხედავენ. ისინი იმ შეხედულებას ადგანან, რომ ომი იმპერიალისტურია, ისინი თვითეული ერის იმპერიალიზმის უფლებასაც კი იცავენ, აქედან გამომყავთ დასკვნა ერთი ერის მეწარმეთა და მუშათა ინტერესების ერთობის შესახებ და თანამიმდევრულად უნდა მდგარიყვნენ რეფორმების რადიკალურ ბურჟუაზიულ პარტიად გადაქცევის გზაზე. ამავე დროს კი, პირიქით, სოციალისტური მუშათა მოძრაობის რადიკალური მიმართულება თუმცა ომს იმპერიალისტურ ომად თვლის (ყოველ შემთხვევაში შენიშვნებით), მაგრამ უარყოფს სწორედ ამ განვითარებას, — საჭიროდ მიაჩნია კლასობრივი ბრძოლის გამწვავება ომის შედეგად და მოითხოვს პროლეტარული თვალსაზრისის ხაზგასმას უკვე ომის დროს. ხოლო მეწარმენი, როგორც ჩვენ ვხედავთ, უარყოფენ ომის იმპერიალისტურ ხასიათს. მათ არა სურთ, რომ მათ უთხრან: *Tua res agitur* (საქმე შენ გეხება). ისინი იმდენადვე უარყოფენ სოციალისტ-რევიზიონისტთა დადებითს, დამადასტურებელ შეხედულებას იმპერიალისტურ ომზე, რამდენადაც რადიკალური სოციალიზმის კრიტიკულ დამოკიდებულებას მისდამი, და ხსნას ექებენ ომის «კულტურულ მნიშვნელობაში», მტკიცებაში, რომელიც არც ერთ გარკვეულ კლასს არ აკისრებს პასუხისმგებლობას ომისათვის და არც ერთ კლასს არ მიაწერს სპეციალური სარგებლობის მიღებას ომისაგან. ამრიგად, ჩვენ ვხედავთ უცნაურ სურათს: მაშინ როცა მთავრობები ყველგან დგანან იმპერიალისტური თეორიის თვალსაზრისზე, ან, ყოველ შემთხვევაში» (შესანიშნავია!), «აღნიშნავენ, რომ მოწინააღმდეგე გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ეკონომიურ დაინტერესებას, ეკონო-

კარგად არის ნათქვამი

შესანიშნავია!

თვალმარგალიტია!

34)

მიუზრი ინტერესების მთავარი წარმომადგენლები აყენებენ ომის მხოლოდ და მხოლოდ საერთო-კულტურულ მნიშვნელობას. ამის შედეგია ის, რომ ისინი უახლოვდებიან იმ შეხედულებებს, რომლებიც რადიკალური სოციალიზმის ბანაკშიც არის; ისინი ომს ეკონომიური მხრივ განიხილავენ მხოლოდ როგორც შუალედ ფაზას; ყველა მოვლენა ომის დროს, ყველა სახელმწიფოებრივი ღონისძიება გამოწვეულია მოცემული სიტუაციით და უეჭველად კვლავ უნდა გაქრეს ომთან ერთად. ასევე მეწარმეთა შეხედულებებიც ომზე, როგორც არ უნდა გვეჩვენებოდეს, რომ მათ რაღაც ცენტრალური იდეა აქვთ, განხილულ უნდა იქნას მხოლოდ და მხოლოდ როგორც (კლასობრივი) იდეოლოგია (გვ. 295—297). (სტატიის დასასრული.)

შენიშვნა, გვ. 293 — 4:

NB

«განსაკუთრებით საგულისხმოა წარმართველი სტატია «Deutsche Arbeitgeberzeitung»-ში (15. VIII. 1915), რომელიც უადრესად გადაჭრით უარყოფს საშინაო პოლიტიკაში ახალი (დემოკრატიული) ორიენტაციის ტენდენციებს...

NB!

...უწინარეს ყოვლისა სოციალ-დემოკრატიაში შემდეგშიც კიდევ უფრო «ხედახლა უნდა ისწავლოს»: მან «უწინარეს ყოვლისა ომის შემდეგაც უნდა დაგვანახვოს, მართლაც შეეცის ხლობორცა თუ არა მას გარდაქმნის ის პროცესი, რომელსაც იგი იმომწმებს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ფაქტი მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მთლიანად იქნება დამტკიცებული, შესაძლებელი გახდება ჯეროვანი სიფრთხილით ვილაპარაკოთ იმაზე, — შესაძლოა თუ არა გერმანიის საშინაო პოლიტიკაში ზოგიერთი ეს ცვლილება». ...ყოველ შემთხვევაში, ახლა კიდევ არ არის არავითარი წინაპირობა მომავალი საშინაო პოლიტიკისათვის (მემარცხენე პარტიების სულისკვეთებით)... პირიქით, «ომის მკაცრი სკოლა გვაძლევს უძლიერეს არგუმენტებს, როგორც კი შეიძლება წამოყენებულ იქნას ჩვენი სახელმწიფო წყობილების შემდგომი დემოკრატიზაციის წინააღმდეგ»... (გვ. 294).

კრემონდი. ინგლისი და გერმანია

«Journal of the Royal Statistical Society», 1914, ივლისი (35 ტომი LXXVII, ნაწილი VIII) (გვ. 777—807).

ედგარ კრემონდი. «ბრიტანეთისა და გერმანიის იმპერიების ეკონომიური ურთიერთობა».

ერთად ამ იმპერიებს მსოფლიოს სურთაშორის ვაჭრობის 39% აქვთ (1911 : 26.9% ინგლისი + 12.5% გერმანია); — მსოფლიოს სავაჭრო ფლოტის 53%.

	გერმანია	დიდი ბრიტანეთი
მოსახლეობა 1872	41.23 (მლნ.)	31.87 მლნ.
1888	48.17 »	36.88 »
1910	64.82 »	(1911) 45.22 »
† (1872—1910)	+23.69	+13.34
1000-ზე დაბადება	29.5 (1911)	24.4
» » სიკვდილი	18.2	14.8
ქალაქის მოსახლეობის %	57.4% (1905)	71.3% (1901)
სამთო-სამრეწველო წარმოების ღირებულება (1911).....	102 გ. სტ. (მლნ.)	124.5 »

	შეერთებული შტატები	გერმანია	დიდი ბრიტანეთი
ქვანახშირის წარმოება	1911 450.2 მლნ. ტონა	234.6	276.2
	1886 103.1	73.7	160.0
	+347.1 ↗ 336.6%	+ 160.8 + 218.1%	+ 116.2 + 72.6%
იგივე დაუმუშავებელი ფოლადისა	1910 26.5	13.7	6.1
	1886 2.8	0.9	2.4
	+ 23.9 + 910.3%	+ 12.7 + 1 335%	+ 3.7 + 154.3%

	გერმანია	დიდი ბრიტანეთი
ბამბეულის საქონლის ვატანა	1887 : 10.0 მლნ. გ. სტ. 1912 : 24.3 » » »	72.0 122.3
ანბრების ბანკების დეპოზიტები (1912—3) შემანახველი სალაროები:	468.0 » » » 839.0 » » »	1 053.0 221.1
Σ (ჩემი) =	1 307.0	1 274

		გერმანია	დიდი ბრიტანეთი
საეკტრო ფლოტის ნეთო ტონაჟი	1880 :	1.3 მლნ.	6.8 მლნ.
	1911 :	3.0 „	11.7 „
		+ 1.8 +156%	+ 5.1 + 77.7%
გემების მთელი ტონაჟი. გატანასა და შეტანაში საგარეო ვაჭრობაში	1880 :	13.0 მლნ. ტონა (აქედან 39.1% გერმანიის გემები)	49.7 „ (აქედან 72.2% ბრიტანეთის გემები)
	1911 :	49.5 (50.4% გერმანიის გემები) +	138.9 (59% ბრიტანეთის გემები)
გემთშენებლობა: ყოველწლიური წარმოება	1898—1904 :	240.8 ათასი ტონა	898.0
	1913 :	618.8	2 203.0
სუეცის არხზე გაეღილი გემების ტონაჟი	1892 :	809.0 ათასი ტონა	8 102.0
	1912 :	4 241.0	17 611.0
სუეცის არხზე გაეღილი ყველა გემის %	{ 1892 :	7.4%	74.5%
	{ 1912 :	15.1%	62.9%
რკინიგზების საერთო შემოსავალი	1888 :	58.4 მლნ. გ. სტ.	72.8
	1910 :	149.5	127.2
		+156%	+ 74.3%
საგარეო ვაჭრობა (გატანა+შეტანა)	1888 :	323.8 მლნ. გ. სტ.	558.1
	1912 :	982.8	1 120.1
		+204%	100.7%
		+659.0 მლნ. გ. სტ.	+562.0 მლნ. გ. სტ.
ბ) ხარჯი ჯარსა და ფლოტზე (1912)		70.0 მლნ. გ. სტ.	102.4
ეროვნული სიმდიდრე: ეროვნული შემოსავალი (პელფერობი გერმანიისათვის); კაპიტალის მოთავსება საზღვარგარეთ	15 000 „ „ „	25 000 (*)	
	2 000 „ „ „	3 400	
	1 000 „ „ „	3 800	
	=6.8% (ეროვნული სიმდიდრისა)	(=23%)	

(*) ეს მთელი იმპერიისა. ხოლო მარტო დიდ ბრიტანეთში, უკოლონიებოდ=16 500.

	<u>გერმანია</u>	<u>დიდი ბრიტანეთი</u>
შემოსავალი საზღვარგარეთ დაბანდებულ კაპიტალებიდან (1912).....	50.0 მლნ. გ. სტ.	185.0 »
შემოსავალი ნაოსნობიდან.....	30.0 » » »	100.0 »
ეროვნული შემოსავალი	1896 :	1 075 » » »
(გერმანია ჰელფერინგის მიხედვით)	1912 :	2 000 » » »
ეროვნული იმდიდრის მატება წელიწადში (უკანასკნელი 18 წელიწადი გერმანიისათვის) (და უკანასკნელი 28 წელიწადი დიდი ბრიტანეთისათვის)	=	272.0 » » »
		230.0 »

უკანასკნელ ხუთ წელიწადში დაახლოებით ერთნაირია

სეილი. იაკონია VERSUS იგზლისი

ძალიან საინტერესო სტატია «Journal of the Royal Statistical Society», ტომი LXXIV, 1911, აპრილი. (37

ჩარლზ ვ. სეილი. «ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემი იაკონიაზე», გვ. 467—534.

განსაკუთრებით საგულისხმოა შედარება შეერთებულ სამეფოსთან:

	<u>იაკონია</u>	<u>შეერთებული სამეფო</u>
ფართობი (კვ. მილი)	147 648	121 390
მოსახლეობა (1910).....	49 587 000	44 538 000
» კვ. მილზე	335	367
შობადობა (1000-ზე)	31.30	27.95
სიკვდილიანობა (»)	20.70	16.89
მატება (»)	+10.60	+11.08
პურეული, ბოსტნეული, ტექნიკური კულტურები etc.	12 894 000 (აკრი) 13.6%	12 437 000 = 16%
ბალახები და საძოვრები	3 006 000 3.2	34 565 000 = 44%
ტყეები	55 083 000 = 58.0	3 070 000 = 4%
მიწის ფასი (+პირუტყვი etc.)	1 299 (მლნ. გ. სტ.)	1 220 = 11%
	= მთელი სახალხო იმდიდრის 57%	

	<u>იაპონია</u>	<u>შვედეთული სამეფო</u>
წარმოება (1907)		
ბრინჯი, ხორბალი, ქე- რი, შვრია	==372.8 (მლნ. ბუშელი)	307.9
კარტოფილი.....	3.9 (მლნ. ტონა)	5.2
ტურნეფისი, შვეციური თალგამურა.....	ძალიან ცოტა	36.9 (მლნ. ტონა)
თალგამი	2.9 (მლნ. ტონა)	—
თივა	ძალიან ცოტა	15.8 >
სასაქონლების, კვების პროდუქტებისა და თამბაქოს წმინდა (ნე- ტო) შეტანა	3.48 (მლნ. გ. სტ.)	212.4
მსხვილფეხა რქიანი პი- რუტყვი (1908)	1.3 (მლნ.)	11.7
ცხენი (1908)	1.5 »	2.1
ცხვარი	87 000 (=0.08 მლნ.)	31.9
ლორი	0.28 (მლნ.)	4.0
ჩინის ქვეშ მომუშავე ქვანახშირის ამოღებ- თა რაოდენობა (1908)	126 999	796 329
ამოღებული ქვანახში- რის რაოდენობა (ტო- ნობით)	14.8 (მლნ.)	261.5
ტონა ქვანახშირს ერთ ამომღებზე წელიწადში ღირებულება გ. სტერ- ლინგობით	117	328
ღირებულება ტონისა გაჯერ ქვანახშირი ტო- ნობით	6.5 (მლნ.) 8 შ. 9 პ.	115.8 8 შ. 11 პ.
გატანილი ტონის ღირე- ბულება	2.88 (მლნ.) 12 შ. 11 პ.	62.66 12 შ. 8 პ.
რკინიგზების სიგრძე (1908) მილი	5 020	23 280
მგზავრი (მლნ.)	146.9	1 265.1
ტვირთების გადაზიდვა (მლნ. ტონა)	25.4	499.8
საერთო შეოსავალი (ერთ მილ რკინიგზის ხაზზე)	1 690 გ. სტ.	4 854
გასავალი (— » —)	868	3 133
წმინდა შემოსავა- ლი (— » —)	+ 822	+1 721
გეზი (100 ტონა და მე- ტი ბრუტო)	1 146 977	18 059 037
ჩინეთის ნავსად- გურებში შესუ- ლი გეზები	7 350 (13.8%)	26 950 (49.8%)
(1000 ტონა) { 1909:	18 948 (21.8%)	34 027 (39.7%)

	<u>იაპონია</u>	<u>შეერთებული სამეფო</u>
საფეიქრო ფაბრიკების პროდუქციის მთელი ღირებულება (1907)	37.77 (მლნ. გ. სტ.) 355 000	247.27 808 398
} მუშა } ღირებულება მუ- } შაზე	106 გ. სტ.	306 გ. სტ.
	<u>იაპონია</u>	<u>შეერთებული სამეფო</u>
შეტანა + გატანა 1889: (რეექსპორტის ჩათვლით)	20.88 (მლნ. გ. სტ.)	744.0
} 1909: } idem 1 სულზე	82.35	1 094.0
} 1899: } 1909:	10 შ. 6 პ. 1 გ. სტ. 12 შ. 10 პ.	19 გ. სტ. 19 შ. 10 პ. 22 გ. სტ. 5 შ. 8 პ.
სახელქუიფო გასავალი (1909)	64.9 (მლნ. გ. სტ.)	152.3
ანაბრები საფოსტო შემ- ნახველ საღაროებში (1909)	8.08 (მლნ.)	11.1
მეანაბრეთა რაოდენობა თაფხა (ანაბრებისა) (მილიონ. გ. სტერ- ლინგობით)	10.8 (მლნ. გ. სტ.)	160.8
> ერთ ჰეაბრეზე	1 გ. სტ. 5 შ. 1 პ.	14 გ. სტ. 11 შ. 7 პ.
მიწათმოქმედების პრო- დუქტების ღირებუ- ლება	126 (მლნ. გ. სტ.)	174.8
ფერმებში მომუშავეთა რაოდენობა (რესაკუთ- რე გლეხების ჩათ- ვლით)	11.60 (მლნ.)	2.08

(38)

«შეერთებულ სამეფოში მუშათა რაოდენობა ერთი მეხუთედით ნაკლებია [იაპონიასთან შედარებით], პროდუქცია შეერთებულ სამეფოში მეტია, და მისი ღირებულება უფრო მაღალია 40 პროცენტით» (გვ. 488)...

NB

მიწათმოქმედება იაპონიაში ორიგინალურია. მოსახლეობის 60% მიწათმოქმედებას მისდევს (გვ. 481). სულ იაპონიაში 9 250 000 ოჯახია (hausenholds). მათგან 3 748 000; მხოლოდ და მხოლოდ მიწათმოქმედებას მისდევს — მიწათმოქმედებასთან სხვა მოსაქმეობას აერთებს — 1 662 000. სხვა ფერმერია = 70 000. მიწათმფლობელია 43 000. Σ = 5 523 000.

მიწა ძალიან მძიმედ არის დაბეგრილი. მიწათმოქმედება უაღრესად წვრილია:

	% ფერმებისა (გვ. 482)
ფერმების ფართობი: $1\frac{1}{4}$ აკრზე ნაკლები (5 ტანი)	37.28
$1\frac{1}{4}$ -დან $2\frac{1}{2}$ აკრამდე (5 ტანი — 1 ჩო)	32.81
$2\frac{1}{2}$ -დან 5 > (1—2 >)	19.63
5 -დან $12\frac{1}{4}$ > (2—5 >)	9.37
$12\frac{1}{4}$ აკრზე მეტი (5 ჩო).....	<u>1.14</u>
	100.00

სამიწათმოქმედო შრომის ნაყოფიერება მეტად დაბალია უმთავრესად წვრილი მიწათმოქმედების არსებობისა და მანქანების უქონლობის გამო.

იაპონიაში ბრინჯის წარმოება 1 აკრზე 110 სამუშაო დღეს მოითხოვს.

ტეხასსა და ლუიზიანაში ბრინჯის წარმოება 1 აკრზე მოითხოვს 1 კაცს 2 დღით + შებმულობას $1\frac{1}{2}$ დღით.

(«American Economic Association Journal»,
1904, ნოემბერი)

სტატია «ფინანსური შემთანხმებანი და ევროპის სამხედრო ვალეზი»

39) «The Economist», 13. II. 1915. სტატია «ფინანსური შეთანხმებანი და ევროპის სამხედრო ვალეზი»...

...«რაც უფრო აკვირდებით ევროპის ფინანსურ და პოლიტიკურ მომავალს ომის შემდეგ, მით უფრო უიმედოდ და შავბნელად წარმოგიდგებათ მისი პრობლემები. მაგრამ მით უფრო მეტი საფუძველია დამოუკიდებელი ადამიანებისათვის, რომლებსაც მოეპოვებათ ცოდნა, გამჭრიახობა და წინასწარხედვის უნარი, იფიქრონ ამ ომის პოლიტიკურ-ეკონომიურ მნიშვნელობაზე. ჯერ კიდევ არასოდეს არ მომხდარა ძალების ასეთი შეჯახება, ასეთი დიდი ნგრევა ასე მოკლე ხანში. ჯერ კიდევ არასოდეს არ ყოფილა ასე ძნელი ან ასე აუცილებელი გაირკვეს უბედურების სიდიდე, გამოანგარიშებულ იქნას ხარჯები, გათვალისწინებულ იქნას (ომის) შედეგები ადამიანთა საზოგადოებისათვის და მიღებულ იქნას ზომები მათ წინააღმდეგ. ფილანთროპები იმედს გამოთქვამენ, რომ ზავის დადება გამოიწვევს ყველა სახელმწიფოს არმიებისა და შეიარაღების დიდ შემცირებას, და ეს შესაძლებლო-

ბას მისცემს ხალხებს თავი გაართვან მათს ახალ სამხედრო ვალს და ამრიგად თავიდან აიცილონ ბანკროტობა. უეჭველია, ბანკროტობის შიში ერთგვარ როლს შეასრულებს, თორემ ზავის დადებამ შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ ახალი მომზადება მთელი რიგი ახალი ომებისა. მაგრამ ისინი, ვისაც ესმის, თუ სინამდვილეში რა ძალები მართავენ ევროპის დიპლომატიას, ილუზიებს არ იქმნიან. პერსპექტივაშია სისხლისმღვრელი რევოლუციები და სასტიკი ბრძოლა შრომასა და კაპიტალს შორის, ანუ კონტინენტური ევროპის მასებსა და გაბატონებულ კლასებს შორის».

(სტატიის დასასრული.)

NB

რვეული

«X»

(«აპაპა»)

ჯ. ა. ჰობსონი. «იმპერიალიზმი»

1) «იმპერიალიზმი». ჯ. ა. ჰობსონის გამოკვლევა (ლონდონი, 1902)³⁸.

გვ. 4. ნამდვილი კოლონიზაცია იმაში მდგომარეობს, რომ უღაბურ დაუსახლებელ ქვეყანაში ასახლებენ მეტროპოლიის მცხოვრებლებს და იქ თავიანთი კულტურა შეაქვთ, ხოლო სხვა ხალხების დამორჩილება უკვე წარმოადგენს ქვეშეპარტი ნაციონალიზმის ჩარჩოების დარღვევას («ამ ქვეშეპარტი ნაციონალიზმის დამახინჯებას») («ცრუ კოლონიალიზმს»), ეს უკვე იმპერიალისტური ხასიათის მოვლენაა. ნამდვილი კოლონიის ნიმუშს წარმოადგენენ კანადა და თვითმმართველი კუნძულები ავსტრალაზია.

გვ. 6. «თანამედროვე იმპერიალიზმში, თუ მას პოლიტიკური თვალსაზრისით მივუდგებით, ახალია უმთავრესად ის, რომ იგი აითვისა რამდენიმე ხალხმა. წარმოდგენა მთელ რიგ მეტოქე იმპერიებზე თავისი არსის მიხედვით თანამედროვე წარმოდგენაა».

გვ. 9. «ნაციონალიზმი არის პირდაპირი ფართო გზა ინტერნაციონალიზმისაკენ, და თუ იგი იჩენს გადახრას, ჩვენ უფლება გვაქვს ეჭვი მივიტანოთ, რომ მისი ბუნება და მისი ამოცანები დამახინჯებულია. ასეთ დამახინჯებას წარმოადგენს იმპერიალიზმი, რომლის დროსაც ერები, სცილდებიან რა უმტკივნეულო ასიმილაციის საზღვრებს, სხვადასხვა ეროვნული ტიპების ჯანსაღ მასტიმულირებელ შეჯიბრებას მეტოქე იმპერიების ყაჩაღურ ბრძოლად გადააქცევენ».

გვ. 17—18. ბრიტანეთის იმპერიის ბირთვის შეადგენს 40-მილიონიანი მოსახლეობა, რომელიც 120 ათას კვ. მილ სივრცეზე ცხოვრობს. მარტო უკანასკნელი თაობის დროს ბრიტანე-

თის იმპერიის სამფლობელოთა მატება = 4 754 000 კვ. მილს და 88 მილიონ მოსახლეობას.

გვ. 19. ბრიტანეთის კოლონიები და დამოკიდებული სახელმწიფოები 1900 წელს = 13 142 708 კვ. მილს 366 793 919 მოსახლეობით (*).

NB: ჰობსონს შეუტანია «პროტექტორატები» (ეგვიპტე, სუდანი და სხვ.), რომლებიც მორისს არა აქვს!

(*) ჰობსონს აქ მოჰყავს ციტატები მორისიდან, II, 87, და რ. გიფენიდან: «ჩვენი იმპერიის შემადგენელი ნაწილების შედარებითი ზრდა», მოხსენება, წაკითხული კოლონიურ ინსტიტუტში, იანვარი 1898.

(შემდეგ «The Statesman's Year-Book» 1900 წლისა.)

გვ. 20. 1884-დან 1900 წლამდე ბრიტანეთის იმპერიამ შეიერთა 3711957 კვ. მილი (სუდანის და სხვ. ჩათვლით) 57 436 000 მოსახლეობით*.

გვ. 21—22. გერმანიაში ლიტერატურა გერმანიისათვის (2 კოლონიურ სამფლობელოთა საჭიროების შესახებ 70-იან წლებში ჩნდება. პირველი ოფიციალური დახმარება «გერმანიის სამხრეთ ზღვების სავაჭრო და საპლანტაციო საზოგადოებამ» მიიღო 1880 წელს. ამავე დროს მიეკუთვნება აგრეთვე «გერმანიისა და სამოას კავშირი». მაგრამ გერმანიაში ნამდვილი იმპერალისტური პოლიტიკა იწყება 1884 წლიდან, როცა ჩნდება აფრიკის პროტექტორატები და წარმოებს ოკეანის კუნძულების შემოერთება. შემდგომი 15 წლის მანძილზე გერმანიის გავლენის ქვეშ კოლონიებში მოექცა 1 000 000 კვ. მალი 14 000 000 მოსახლეობით. ტერიტორიების უმრავლესობა მდებარეობს ტროპიკებში, თეთრკანიანები მხოლოდ რამდენიმე ათასია.

80-იანი წლების სწორედ დასაწყისშივე საფრანგეთში ცოცხლდება ძველი კოლონიური სულისკვეთება. ყველაზე გავლენიანი ეკონომისტი, რომელიც მას ქადაგებდა, — ლერუაზ-ბოლიო იყო. 1880 წელს გაფართოებულ იქნა სამფლობელოები სენეგალსა და საჰარაში, რამდენიმე წლის შემდეგ შემოერთე-

* იხ. ე. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც. ტომი 22, გვ. 321. რედ.

ბულ იქნა ტუნისი, 1884 წელს საფრანგეთმა აქტიური მონაწილეობა მიიღო აფრიკისათვის ბრძოლაში და ამავე დროს განამტკიცებდა თავის მმართველობას ტონკინსა და ლაოსში აზიაში. 1880 წლიდან საფრანგეთმა შეიძინა $3\frac{1}{2}$ მილიონი კვ. მილი 37 000 000 მოსახლეობით, თითქმის მთლიანად ტროპიკულ და სუბტროპიკულ ქვეყნებში, რომლებიც დასახლებული იყო დაბალი რასებით და ხელმიუწვდომელი იყო საფრანგეთის მიერ კოლონიზაციისათვის.

იტალია 1880 წელს დამარცხდა აბისინიის ექსპედიციაში, და მისმა იმპერიალისტურმა მისწრაფებებმა მარცხი განიცადა. მისი სამფლობელოები აღმოსავლეთ აფრიკაში შეიზღუდა ერიტრეით და პროტექტორატით სომალში.

აფრიკის 1884 — 6 წლების შეთანხმებამ პორტუგალიას მისცა ანგოლის ვრცელი რაიონი და კონგოს სანაპირო, ხოლო 1891 წელს მის პოლიტიკურ კონტროლში გადავიდა აღმოსავლეთ აფრიკის მნიშვნელოვანი ნაწილი.

- 3) თავისუფალი სახელმწიფო კონგო, რომელიც 1883 წელს ბელგიის მეფის საკუთრება გახდა და მას შემდეგ მნიშვნელოვნად დამრგვალდა, განხილულ უნდა იქნას, როგორც ლუქსმა, რომელიც ხელთ იგდო ბელგიამ აფრიკისათვის ბრძოლაში.

ეს პანეთი გაყვანილია მსოფლიოსათვის ბრძოლის არენიდან.

პოლანდია მონაწილეობას არ იღებს თანამედროვე იმპერიალისტურ ბრძოლაში; მისი მნიშვნელოვანი სამფლობელოები აღმოსავლეთ და დასავლეთ ინდოეთში დიდი ხნის წარმოშობისაა.

რუსეთი, ჩრდილოეთის ქვეყნებიდან ერთადერთი, რომელიც იმპერიალისტურ პოლიტიკას ეწევა, თავის ძალებს მიმართავს უმთავრესად აზიის დასაპყრობად, და, თუმცა მისი კოლონიზაცია უფრო ბუნებრივია, მიდის სახელმწიფო საზღვრების გაფართოების გზით, მაგრამ აზიის განაწილების საკითხში იგი მალე შეეჯახება სხვა სახელმწიფოებს.

გვ. 23. სულ ევროპის სახელმწიფოებს + თურქეთი + ჩინეთი + ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებიც მოიცავენ 15 813 201 კვ. მილ სივრცეს 850 103 317 მოსახლეობით, — აქვთ 136 კოლონია, რომელთა სივრცეა 22 273 858 კვ. მილი და მოსახლეობა 521 108 791 (მთლიანად აღებულია მორიხიდან, II, 818, რომელზეც კიდევაც მიგვითითა ჰობსონმა).

გვ. 26—27. «ევროპის მთავარი სახელმწიფოების ექსპანსია 1884 წლიდან»*:

ინგლისი (იხ. გვ. 20 გვერდიდან).	8 711 957 კვ. მილი	57 486 000	
საფრანგეთი	3 583 580 »	»	36 553 000 (მოსახ-გერმანია
გერმანია	1 026 220 »	»	16 687 100 ლეობა)

რუსეთი (?) 114 820 კვ. მილი (?) 3 800 000 (მოსახლეობა)
 (ეს არის ზივა + ბუხარა) (ეს = ზივა + ბუხარა)
 რუსეთი ((ზივა (1878), ბუხარა (1878**), კვანტუნი (1898),
 მანჯურია (1900)))

თუმცა სათაურშია «1884-დან», მაგრამ ჰობსონს შეუტანია
 ზივაც და ბუხარაც

ბელგია (კონგო)	900 000	30 000 000
პორტუგალია (ანგოლა, 1886; აღმოსავლეთი აფრიკა, 1891 და სხვ.)	800 760	9 111 757

NB NB: (ჰობსონი უმატებს, გვ. 28—9, აფრიკის 2 რუკას, 1878 და 1902 წლ., თვალსაჩინოდ გვიჩვენებს მისი განაწილების ზრდას).

გვ. 84: პროცენტული შეფარდება მთელი ღირებულებებისადმი: (4 გვ. 87

საშუალო წელიწადში	შეტანა		გატანა		პროცენტული შეფარდება		
	დიდ ბრიტანეთში	დიდი ბრიტანეთიდან	დიდი ბრიტანეთში	საშუალო ოთხწლეულების მიხედვით	შეტანა კოლონიებში	გატანა კოლონიებიდან et c.	დიდ ბრიტანეთში
1855—59	76.5	28.5	68.5	81.5	60—68	46.5	57.1
60—64	71.2		66.8		64—67	41.0	65.4
65—69	76.0		72.4		68—71	39.9	57.6
70—74	78.0		74.4		72—75	43.6	58.5
75—79	77.9		86.9		76—79	41.7	54.0
80—84	76.5		65.5		80—83	42.8	50.3
85—89	77.1		65.0		84—87	38.5	48.1
90—94	77.1		67.6		88—91	38.3	48.0
95—99	78.6		66.0		92—95	32.4	89.7
					96—99	32.5	86.6
							84.9

* იხ. ე. ი. ლენინი, თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 321. რ. ე. ლ.
 ** ასე აქვს ჰობსონს. უნდა იყოს 1868 წელი. რ. ე. ლ.

გვ. 38. 1901 წ., დეკემბრით დაშთავრებული:

(მლნ. გირვანქა სტერლინგი)	შეტანა	გატანა
	‰	‰
უცხო სახელმწიფოები	417.615 = 80	178.450 = 88.5
ბრიტანეთის ინდოეთი	88.001 = 7	89.53 = 14
ავსტრალია ^ა	84.682 = 7	26.932 = 9.5
კანადა	19.775 = 4	7.797 = 8
ბრიტანეთის სამხრეთი აფრიკა	5.155 = 1	17.006 = 6
ბრიტანეთის სხვა სამფლობელოები	7.082 = 1	10.591 = 4
	522.310 = 100	280.499 = 100

5) გვ. 39. ინპერირის ვაჭრობა დიდ ბრიტანეთთან (ათასობით):

	საშუალო წელიწადლი	მთელი შეტანა გ. სტერლ.	შეტანა ბრიტანე- თიდან	ბრიტა- ნეთის შეტანის ‰	მთელი გატანა გ. სტერლ.	გატანა ბრიტანეთში გ. სტერლ.	ბრიტა- ნეთში გატანის ‰
1867— 71	ინდოეთი	45 818	81 707	69.2	56 532	29 788	52.6
	თვითმზარ- თველი კო- ლონიები	42 612	24 502	57.5	42 886	23 476	55.4
	სხვა კოლო- ნიები	28 181	7 955	84.3	23 051	10 698	46.4
1892— 96	ინდოეთი	52 577	87 811	71.9	68 250	22 656	88.2
	თვითმზარ- თველი კო- ლონიები	74 572	44 188	59.2	88 528	58 714	70.3
	სხვა კოლო- ნიები	89 835	10 443	26.2	86 626	10 987	29.3

აღებულია პროფ. ფლაკსიდან: «ალამი და ვაჭრობა», «Journal of the Royal Statistical Society», სექტემბერი 1899, ტომი LXII. გვ. 496—498.

გვ. 48. «ბრიტანული წარმოშობის მთელი ემიგრაცია მოსახლეობის (ხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენს; ეს ნაწილი შესაძრნევად შენცირდა ამერიკის სტური ექსპანსიის უკანასკნელ წლებში. ბრიტანეთის სამფლობელოებში სხლდება ემიგრანტების მცირე რიცხვი, და სრულიად უმნიშვნელო პროცენტი ახალი იმპერიალიზმის პერიოდში შექენილ ქვეყნებში»...

1884 წლიდან ემიგრაციის ციფრები მცირდება*:
 1884... 242 179 (მ. შ. 155 280 შ. შტატებში) თანაც უნდა გა-
 მოაკლდეს იმიგრაცია!!
 1900... 168 825 (» » 102 797 შ. შტატებში)

* იხ. გ. ი. ლენინი, თსზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 356. რ ელ.

((გვ. 49)) (ავტორი იძლევა ციფრებს წლების მიხედვით და უფრო დეტალურად).

გვ. 58. (მ-რ მელჰოლის გამოანგარიშებით) საზღვარგარეთ და კოლონიებში ინგლისის დაბანდებათა ოდენობა და ზრდა 1862 წლიდან:

წელი	თანხა		ყოველწლიური გადიდება %/ო-ობით	(მილიარდი ფრანკი)		
	გ. სტერლ.	გადიდება		ინგლისი	საზღვარგარეთი	გერმანია
1862	144 000 000	...		8.6	—	—
1872	600 000 000	45.6		15	10 (1869)	—
1882	875 000 000	27.5		22	(1880) 15	?
1893	1 698 000 000	74.8		42	(1890) 20	
					27 (1902)	12.5 (1902)
					40 (1910)	35 (1910)
1914	4 000 000 000			(75—100 (1914))	60 (1914)	44 (1914)*

გვ. 59. «1893 წელს ბრიტანეთის საზღვარგარეთ დაბანდებული კაპიტალი შეადგენდა შეერთებული სამეფოს მთელი სიმდიდრის დაახლოებით 15%-ს. ამ კაპიტალის თითქმის ნახევარი (770 მლნ. გირვანქა სტერლინგი) დაბანდებული იყო უცხოური და კოლონიური მთავრობებისათვის სესხების ფორმით; დანარჩენი თანხიდან მეტი წილი დაბანდებული იყო რკინიგზებში, ბანკებში, ტელეგრაფებში და საზოგადოებრივი სარგებლობის სხვა წამოწყებებში, რომლებიც ეკუთვნოდნენ მთავრობებს ან იმყოფებოდა მათს კონტროლქვეშ ან მათს ძლიერ გავლენაში, ხოლო ნაშთიდან უმეტესი ნაწილი დაბანდებული იყო მიწებსა და მალაროებში ან მიწასთან უშუალოდ დაკავშირებულ მრეწველობაში»**.

ციფრი 1 698 000 000, სერ რ. ვიფენის გამოანგარიშების თანახმად, ნამდვილზე მცირედ უნდა ჩაითვალოს.

გვ. 59. დაბანდებანი: სესხები საზღვარგარეთისა — 525 მლნ. გ. სტ., კოლონიური — 225, მუნიციპალური — 20, ხოლო სულ სესხები — 770 მლნ. გირვანქა. რკინიგზები: ამერიკის შეერთებული შტატებისა — 120 მლნ. გირვანქა; კოლონიური — 140 და სხვადასხვა — 128; სულ რკინიგზები — 388 მლნ.

* იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 302—303.

** იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 349. რ ე დ.

გირვანქა. სხვები: ბანკები = 50 მლნ. გირვანქა; მიწა = 100 მლნ. გირვანქა; მალაროები etc. = 390 მლნ. გირვანქა.

Σ = 770	}	1698
388		
540		

NB გვ. 60. «გაზვიადებული არ იქნება იმის თქმა, რომ დიდი ბრიტანეთის თანამედროვე საგარეო პოლიტიკა, უწინარეს ყოვლისა, არის ბრძოლა ხელსაყრელი ბაზრეებისათვის კაპიტალის დასაბანდებლად».

10) გვ. 62—63. «ბევრი ვალი, თუ მათი უმეტესი ნაწილი არა, «საჯაროა», კრედიტი კი თითქმის ყოველთვის კერძოა...

აგრესიული იმპერიალიზმი, რომელიც ასე ძვირი უჯდებათ გადასახადთა გამამხდლებს და რომელსაც ასე მცირე მნიშვნელობა აქვს მრეწველისა და ვაჭრისათვის, ... წარმოადგენს დიდ მოგებათა წყაროს კაპიტალისტისათვის, რომელსაც სურს დააბანდოს თავისი კაპიტალი...

მთელ წლიურ შემოსავალს, რასაც დიდი ბრიტანეთი იღებს მთელი თავისი საგარეო და კოლონიური ვაჭრობისაგან, შეტანისა და გატანისაგან, სერ რ. გიფენი¹⁾ განსაზღვრავს 18 მლნ. გირვანქა სტერლინგით 1899 წლისათვის, ანგარიშობს რა 2 $\frac{1}{2}$ %-ს მთელ ბრუნვაზე, რომელიც 800 მლნ. გირვანქა სტერლინგს შეადგენს». რარიგ დიდიც არ არის ეს თანხა, მას მაინც არ შეუძლია დიდი ბრიტანეთის აგრესიული იმპერიალიზმის ახსნა. ამის ახსნას იძლევა «90 ან 100 მლნ. გირვანქა სტერლინგი თანხა, რომელიც წარმოადგენს მოთავსებულ კაპიტალის წმინდა შემოსავალს»*.

1) «Journal of the Royal Statistical Society»,
ტ. LXII, გვ. 9.

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 349. რ ე დ.

ინვესტორები დაინტერესებული არიან იმით, რომ შეამცირონ რისკი, რომელიც დაკავშირებულია იმ ქვეყნების პოლიტიკურ პირობებთან, სადაც ისინი თავიანთ კაპიტალს აბანდებენ. «ინვესტიციები და საერთოდ სპეკულაციით გატაცებულ კატეგორიებს კაპიტალისტებისას აგრეთვე სურთ, რომ დიდმა ბრიტანეთმა თავის აღმის ქვეშ მიიღოს სხვა უცხო ქვეყნების ტერიტორიები იმ მიზნით, რომ ახალი რაიონები უზარუნველყოს კაპიტალების ხელსაყრელი მოთაფსებისა და სპეკულაციისათვის».

NB

გვ. 63. «თუ ინვესტორის განსაკუთრებული ინტერესები შეიძლება შეაჯახოს საზოგადოებრივ ინტერესებს და დამლუპველი პოლიტიკა გამოიწვიოს, მაშინ უფრო მეტ საშიშროებას წარმოადგენს სპეციფიკური ინტერესები ფინანსისტისა, რომელიც ინვესტიციების დროს მთავარი მოქმედი პირია. რიგითი ინვესტორები, როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად, მეტწილად წარმოადგენენ მხოლოდ იარაღს დიდი ფინანსური ფირმების ხელში, რომლებიც ფონდებსა და აქციებს იყენებენ არა იმდენად დაბანდებათა სახით, რომლებსაც მათთვის პროცენტები მოაქვს, რამდენადაც სპეკულაციების საგნად ფულის ბაზარზე».

NB

გვ. 68. «ასეთია კონკრეტული ეკონომიური ძალები, რომლებიც იმპერიალიზმის სასარკებლოდ მოქმედებენ: იმ პირთა დიდა. ერთმანეთს შორის ნაკლებად დაკავშირებული ჯგუფი, რომლებიც ვაჭრობასა და მრეწველობაში მუშაობენ და სხვადასხვა პროფესიისა არიან, რომლებიც ეძებენ სარგებელს საქმიანებასა და შემოსავლიან თანამდებობებს სამხედრო და სამოქალაქო სამსახურის ვაფაროებით, სამხედრო ოპერაციებზე ხარჯებით, ახალი ტერიტორიების ათვისებითა და მათთან ვაჭრობით, ახალი კაპიტალების მობილიზაციით, რომლებსაც ეს ოპერაციები მოითხოვენ, — და ყველა ისინი თავიანთ ცენტრალურ ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას პოულობენ მათთვის ყველასათვის საერთო ფინანსისტის ძლიერებაში».
(«ფინანსური კაპიტალი».)

გვ. 72. საფრანგეთისა და გერმანიის მიერ დაპყრობილი შაზრების დახურვის შედეგს ინგლისისათვის წარმოადგენს

ინგლისის მიერ თავისი ბაზრების დახურვა მათთვის. «როცა იმპერიალიზმი მოიშორებს «ძველ ჯგუფს» პოლიტიკოსებისას, რომლებიც ახალგაზრდობაში აღზრდილი იყვნენ თავისუფალი ვაჭრობის დოქტრინით, იგი აშკარად შეითვისებს პროტექციონიზმს, რომელიც საჭიროა იმპერიალისტური პოლიტიკის დამრგვალებისათვის» (72—73)...

გვ. 78. მეფებრივე და ვაჭარი კმაყოფილდებიან სხვა ერებთან ვაჭრობით, კაპიტალის დამბანდებლები კი მთელი ძალით მიისწრაფვიან «იმ ქვეყნების პოლიტიკური ანექსიონსაკენ. სადაც მათი ყველაზე სპეკულაციური დაბანდებებია».

12)

კაპიტალის დაბანდებას სარგებლობა მოაქვს ქვეყნისათვის, აძლევს რა მას ახალ ბაზრებს ვაჭრობისათვის «და საქუშაოს ინგლისის მეწარმეობისათვის». «საიმპერიო ექსპანსიაზე» უარის თქმა ნიშნავს მსოფლიოს დანებებას სხვა ერებისათვის. «ამრიგად გამოდის, რომ იმპერიალიზმი ნებაყოფლობით არჩეული გზა კი არაა, არამედ აუცილებლობა» (= იმპერიალისტების მსჯელობა)...

გვ. 80—81. (ტრესტები). თავსუფალ კონკურენციას მუდამ მოსდევდა «ჭარბი წარმოება». იგი იწვევდა ფასების დაცემას ისეთ დონემდე, რომელიც კონკურენციის ასპარეზიდან აძევებდა უფრო სუსტ კონკურენტებს. ტრესტის შექმნის პირველ ნაბიჯს წარმოადგენს ყველაზე ცუდად აღჭურვილი და განლაგებული ფაბრიკების დახურვა, წარმოების ხარჯების შემცირება მხოლოდ ყველაზე სრულყოფილი მანქანების გამოყენებით.

«მრეწველობის კონცენტრაცია «ტრესტებში» ერთსა და იმავე დროს ზღუდავს კაპიტალის იმ რაოდენობას, რომელმაც შეიძლება ჰპოვოს ეფექტური გამოყენება, და ზრდის შემოსავლის იმ ნაწილს, რომლიდანაც აღმოცენდება ახალი დარგება და ახალი კაპიტალი». ტრესტი ჩნდება ჭარბწარმოების საპირისპიროდ, წარმოების მოცემულ დარგში მეტად დიდი კაპიტალის დაბანდების საწინააღმდეგოდ, ამიტომ მთელი კაპიტალი, რომელიც ტრესტის მონაწილეებს სურთ გაუშვან ბრუნვაში, არ შეიძლება მთლიანად იქნას გამოყენებული ტრესტის ფარგლებში. ტრესტები ცდილობენ კაპიტალის ნამეტო დაბანდონ «ასეთივე ორგანიზაციების შესაქმნელად მრეწველობის სხვა დარგებში, ამით კიდევ უფრო ზოგავენ კაპიტალს და ჩვიულებრივი მიანაბრებისათვის სულ უფრო აძნელებენ თავიანთი დანაზოგის დაბანდების სფეროს პოვნას».

13)

გვ. 82—4. ამერიკის შინაგანი ბაზარი გაჭერებულია, კაპიტალი უკვე ვეღარ პოულობს გამოყენებას.

«სწორედ ეს უეცარი მოთხოვნილება უცხოეთის ბაზრებზე მრეწველობის ნაწარმისათვის და ინვესტიციებისათვის იყო იმის აშკარა მიზეზი, რომ იმპერიალიზმი აღქმულ იქნა როგორც პოლიტიკური პრინციპი და პოლიტიკური პრაქტიკა რესპუბლიკური პარტიის მიერ, რომელსაც ეკუთვნიან სამრეწველო და საფინანსო მეთაურები და რომელიც მათ ეკუთვნით. პრეზიდენტ რუზველტის და «ნათელი დანიშნულების» და «ცივილიზატორული მისიის» მისი პარტიის ავანტიურისტულ ენთუზიაზმს არ უნდა შეეცავდეთ შეცდომაში. იმპერიალიზმი სჭირდებათ მისტერებს: როკფელერს, პირპონტ მორგანს, ჰანას, შვობს და მათს კომპანიონებს, და სწორედ ისინი თავს ახვევენ ამ იმპერიალიზმს დასავლეთის დიდ რესპუბლიკას. მათ სჭირდებათ იმპერიალიზმი, იმიტომ რომ სურთ გამოიყენონ თავიანთი ქვეყნის სახელმწიფო რესურსები, რათა გამოიწვიონ ხელსაყრელი დაბანდება კაპიტალებისათვის, რომლებიც წინააღმდეგ შემთხვევაში ზედმეტი აღმოჩნდებოდა.»

NB

რასაკვირველია, საჭირო არ არის ფლობდე ქვეყანას, რომ ივაჭრო მასთან ან დააბანდო იქ საკუთარი კაპიტალები, და, უეჭველია, შეერთებულ შტატებს შეეძლოთ გამოენახათ ერთგვარი გამოსავალი თავიანთი ჭარბი საქონლისა და კაპიტალებისათვის ევროპის სახელმწიფოებში. მაგრამ ამ ქვეყნებს მეტ წილ შემთხვევებში ძალუძთ თვითონ მოამარაგონ თავიანთი თავი: მათმა მეტმა წილმა დააწესა ტარიფები ფაბრიკატების შეტანის წინააღმდეგ, და დიდი ბრიტანეთიც კი იძულებული იყო, თავდაცვის მიზნით, დაბრუნებოდა პროტექციონიზმს. მსხვილი ამერიკელი მრეწველები და ფინანსისტები იძულებული იქნებიან ყველაზე უფრო ხელსაყრელ შესაძლებლობათა ძებნაში თვალი მიაპყრონ ჩინეთს, წყნარ ოკეანესა და სამხრეთ ამერიკას. ისინი პროტექციონისტები არიან რწმენითა და პრაქტიკით. და ეცდებიან მიღწიონ რაც შეეძლება უფრო სრულ მონოპოლიას ამ ბაზრებზე, და გერმანიის, ინგლისისა და სხვა მოვაკრე ქვეყნების მეტოქეობა აიძულებს მათ განსაკუთრებული პოლიტიკური ურთიერთობა დაამყარონ იმ ბაზრებთან,

რომლებსაც მათთვის ყველაზე მეტი ფასი აქვთ. კუბა, ფილიპინები და ჰავაია — ეს მხოლოდ «დანაყრებაა» უფრო უხვი სუფრისათვის მადის გასალევიძებლად. გარდა ამისა, სამრეწველო და საფინანსო მაგნატების მხრივ მძლავრი გავლენა პოლიტიკაზე ქმნის კიდევ განსაკუთრებულ სტიმულს, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, მოქმედებს დიდ ბრიტანეთში და ყველგან. იმპერიალისტურ ღონისძიებათა განხორციელებისას სახელმწიფო ხარჯები იქნება გამდიდრების კიდევ ერთი გიგანტური წყარო ამ ადამიანებისათვის, რომლებიც გამოდიან როგორც სესხების მომწიფობი ფინანსისტები, გამომშენებლები და გემთმფლობელები, რომლებიც იღებენ სუბსიდიებს, გამოდიან როგორც იმპერიალიზმისათვის იარაღისა და სხვა საჭურვლის მიმწოდებლები და ფაბრიკანტები».

NB

15)

გვ. 86. წარმოების გაუმჯობესებული წესის შემოღებასთან, საკუთრებისა და კონტროლის კონცენტრაციასთან ერთად კაპიტალისტები სულ უფრო მეტ სიძნელეებს ხვდებიან «თავიანთი ეკონომიური რესურსების სარფიანი გამოყენების საქმეში, და მათ სულ უფრო მეტად და მეტად იპყრობს ცთუნება გამოიყენონ თავიანთი მთავრობები, რათა თავიანთი კერძო სარგებლობისათვის ანექსიის ან პროტექტორატის გზით უზრუნველყონ რომელიმე შორეული ჩამორჩენილი ქვეყანა».

NB

ჰა-ჰა!!
 იმპერიალიზმის მეშჩანური კრიტიკის არსი

ერთი შეხედვით საწარმოო ძალებმა და კაპიტალმა თითქოს გადააჭარბეს მოხმარებას და ვერ პოულობენ გამოყენებას თავიანთ საკუთარ ქვეყანაში. იმპერიალიზმის ფესვი ამაში არისო. მაგრამ... «ამ ქვეყნის მომხმარებლებს რომ გაედიდებინათ მოხმარების თავიანთი ნორმა საწარმოო ძალთა ზრდის შესაბამისად, მაშინ ალარ იქნებოდა საქონლის ან კაპიტალების ნამეტო, რომელიც დააყენებდა საკითხს, საჭიროა იმპერიალიზმის გამოყენება ბაზრების საპოვნელად».

გვ. 89. «პროდუქციის ოდენობა განუწყვეტლივ იზრდებოდა თანამედროვე მანქანების განვითარების მეოხებით». სიმდიდრე შეიძლება მოიხმარონ მოსახლეობამ და ერთმა მუჭა მდიდრებმა. მოსახლეობის მოხმარებას ზღვარს უღებებს ხელფასის დონე. მდიდრების პირადი მოხმარება, მათი მცირერიცხოვნობის გამო, ვერ შთანთქამს პროდუქტების ძალიან დიდ რაოდენობას. «მდიდრები არასოდეს არ იქნებიან ისე მოსაზ-

რებულნი, რომ ხარჯონ იმდენი, რაც საკმარისია ჭარბწარმოების თავიდან აცილებისათვის». წარმოების მთავარი ნაწილი მიმართულია «დაგროვებისაკენ». ნაკადი, რომელსაც პროდუქტების ეს უდიდესი ნაწილი მოაქვს, «უეცრად აღმოჩნდება ხოლმე არა მარტო შემდგომი გაფართოების უნარს მოკლებული, არამედ, ჩანს, შენელებასაც იწყებს».

გვ. 91. «ამრიგად, იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ იმპერიულიზმი წარმოადგენს მრეწველობის მსხვილ მესვეურთა მისწრაფებას გააფართოონ კალაპოტი თავიანთი ჭარბი სიმდიდრის ნაკადისათვის უცხოური ბაზრებისა და უცხოური ინვესტიციების გამონახვის გზით, რათა მოათავსონ საქონელი და კაპიტალები, რომლებსაც შინ ვერ ჰყიდიან და ვერ იყენებენ.

მცდარობა ვარაუდისა, რომ გარდუვალთა იმპერიალისტური ექსპანსია, როგორც აუცილებელი გამოსავალი განვითარების პროცესში მყოფი მრეწველობისათვის, ამჟამად ნათელია. ახალი ბაზრებისა და კაპიტალის დაბანდების ახალი სფეროების აღმოჩენას მოითხოვს არა მრეწველობის განვითარება, არამედ მომხმარებლობითი უნარის ცუდი განაწილება, რომელიც ხელს უშლის პროდუქტებისა და კაპიტალების შთანქმას ქვეყნის შიგნით».

გვ. 94. «საჭირო არ არის ახალი უცხოური ბაზრების აღმოჩენა: საშინაო ბაზრებს განუსაზღვრელი გაფართოების უნარი აქვთ».

გვ. 96. «ამრიგად, ტრედ-უნინიზმი და სოციალიზმი იმპერიალიზმის ბუნებრივი მტრები არიან, ვინაიდან ისინი «იმპერიალისტური» კლასებს ართმევენ შემოსავლის იმ ნამეტს, რომელიც იმპერიალიზმის ეკონომიურ სტიმულს წარმოადგენს».

გვ. 100. «იმპერიალიზმი, როგორც ვხედავთ, ნიშნავს მთავრობის აპარატის გამოყენებას კერძო, უმთავრესად კაპიტალისტური, ინტერესებისათვის, რათა მათთვის უზრუნველყოფილ იქნას ეკონომიური სარგებლობა მათი ქვეყნის ფარგლებს გარეთ».

27. ვ. ი. ლენინი, ტ. 39.

(16)

იმპერიალიზმის გარდუვალლობა

შეად.
კ. კაუცკი

შეად.
კ. კაუცკი

17) «ჩვენი საგარეო ვაჭრობის საშუალო წლიური ღირებულება, რომელმაც 1870—75 წლებში 637 000 000 გირვანქა სტერლინგი შეადგინა, 1895—98 წლების პერიოდში 737 000 000-მდე გაიზარდა. ამავე პერიოდში სახელმწიფო ხარჯები საშუალოდ 63 160 000 გირვანქიდან 94 450 000-მდე გაიზარდა. ხარჯები უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე მთელი ეროვნული შემოსავალი, რომელიც, სტატისტიკოსთა დაახლოებითი შეფასების თანახმად, იმავე პერიოდში დაახლოებით 1 200 000 000-დან 1 700 000 000 გირვანქა სტერლინგამდე გადიდა».

გვ. 101—2. «არმიასა და ფლოტზე ხარჯების ეს გადიდება 25-დან 60 მლნ. გირვანქა სტერლინგამდე მეოთხედ საუკუნეზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში იმპერიალისტური ფინანსების ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს. ფინანსური, სამრეწველო და პროფესიული ჯგუფები, რომლებიც, როგორც ჩვენ ცხადვყავით, იმპერიალიზმის ეკონომიურ ღერძს ქმნიან, თავიანთ პოლიტიკურ ძლიერებას იმისათვის იყენებდნენ, რომ გამოეგლიჯათ ეს თანხები ხალხისათვის უფრო სარფიანი ინვესტიციების და კაპიტალების გამოყენების ახალი სფეროების აღმოჩენის მიზნით, და თავიანთი საქონლის ნამეტის გასასაღებლად მომგებიანი ბაზრების გამოჩენის მიზნით. ამავე დროს ამ მიზნებისათვის დახარჯული სახელმწიფო სახსრებიდან ისინი იღებენ სხვა დიდ პირად სარგებლობასაც მომგებიანი იჯარებისა და შემოსავლიანი ან საპატიო თანამდებობების სახით».

18) გვ. 103. «ამ გარკვევით პარაზიტული პოლიტიკის წარმმართველები კაპიტალისტები არიან; მაგრამ იგივე მოტივები გავლენას ახდენენ მთელსა სპეციალურ თანრიგებზეც. ბევრ ქალაქში მრეწველობის ყველაზე მნიშვნელოვანი დარგები დამოკიდებული არიან მთავრობის შეკვეთებზე; მიტალურგით და გემთმშენებელი მრეწველობის ცენტრების იმპერიალიზმი საკმაოდ წილად დამოკიდებულია ამ ფაქტზე»*.

გვ. 114. «სხვა ქვეყნებში, რომლებიც უკვე დაადგენენ ან ჯერ მხოლოდ ადგებიან იმპერიალიზმის გზას, ამასთან ისევე გადახლართული ეკონომიური ინტერესებით, რომლებიც ამოფარებულია პატრიო-

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 351—352.
რედ.

ტიზმის, ცივილიზაციის და სხვ. ნიღაბს, ||
პროტექციონიზმი ტრადიციული ფინანსური პოლიტიკა იყო;
საჭირო იყო მხოლოდ მისი ჩარჩოების გაფართოება და
მისი გაშვება საჭირო კალაპოტში».

გვ. 115. «ორივე ქვეყანა (*) სულ უფრო მოექცევა იმ
ადამიანთა კლასის გავლენაში, რომლებიც ფულს სეს-
ხად იძლევიან და თავი იმპერიალისტებად და პატ-
რიოტებად მოაქვთ».

გვ. 120. «ბრიტანეთის კუნძულების ფარგლებს გარეთ
მცხოვრები 367 მლნ. ბრიტანეთის ქვეშევრდომიდან
სულ ბევრი ათ მილიონს, ანუ, სხვა სიტყვებით რომ
ვთქვათ, მხოლოდ ერთ ოცდამეჩვიდმეტედს აქვს რამ-
დენადმე ნამდვილი თვითმმართველობა კა-
ნონმდებლობისა და ადმინისტრაციის დარგში».

გვ. 121. «ზოგიერთ ჩვენს უფრო ძველ სახელმწიფო კო- (19)
ლონიაში წარმომადგენლობითი საწყისია მმართვე-
ლობაში. მაშინ როცა ადმინისტრაციული ძალაუფლება
მთლიანად ხელთ უპყრია ხელმწიფის მიერ დანიშნულ გუ-
ბერნატორს, რომელთანაც არსებობს მის მიერ დანიშნული
საბჭო, კოლონიის მოსახლეობა ირჩევს საკანონმდებლო საკრე-
ბულოს ნაწილს...»

ამ კოლონიებში წარმომადგენლობითი ელემენტი მნიშ-
ვნელოვნად განსხვავდება თავისი მოცულობითა და გავლენ-
ით, მაგრამ იგი რიცხოვნობად არსად არ
სჭარბობს არაარჩევითს ელემენტს. ამრიგად,
იგი უფრო სათათბირო ფაქტორია და არა ნამდვილად
საკანონმდებლო. არჩეული წევრები რაოდენობით არა მარ-
ტო ყოველთვის ნაკლები არიან არაარჩეულებზე, არამედ
ყველა შემთხვევაშიც კოლონიების სამინი-
სტრო დაუბრკოლებლად სარგებლობს ვე-
ტოს უფლებით საკრებულოთა მიერ მიღებულ ლო-
ნისძიებათა მიმართ. ამას უნდა დამატოს, რომ თითქმის
ყველა შემთხვევაში საარჩევნო უფლება დაკავშირებულია
საკმაოდ მაღალ ქონებრივ ცენზთან, რაც ფე-
რადკანთან მოსახლეობას ხელს უშლის განახორციელოს
საარჩევნო უფლებები იმ ზომით, რომელიც შეეფერება
მის რიცხვსა და მნიშვნელობას ქვეყანაში».

გვ. 131. «მოკლედ რომ ვთქვათ, ახალმა იმპერია-
ლიზმმა გააფართოვა ბრიტანეთის დესპო-
ტიზმს დაქვემდებარებული ტერიტორია და

დიდად გაუსწრო მოსახლეობისა და ნამდვილ თავისუფლებათა ზრდას, მიღწეულს ჩვენი მცირერიცხოვანი დემოკრატიული კოლონიების მიერ.

NB || (*) ე. ი. დიდი ბრიტანეთი და შეერთებული შტატები. ||

20) იგი ხელს როდი უწყობდა ბრიტანული თავისუფლებისა და მმართველობის ჩვენი მეთოდების გავრცელებას. რამდენადაც ჩვენ საერთოდ განვაგებთ იმ ქვეყნებსა და ხალხებს, რომელთა ანექსიაც მოვანდინეთ, ჩვენ მათ განვაგებთ აშკარად ავტოკრატიული მეთოდებით, რომლებიც ნაკარნახევია უმთავრესად დაუნიგ-სტრიტიდან, ნაწილობრივ კი კოლონიური მმართველობის ცენტრებიდან იმ შემთხვევებში, როცა თვითმმართველ კოლონიებს მიეცათ ანექსიის შობდენის ნება».

გვ. 133. «ბრიტანული მშვიდობა, რომელიც ყოველთვის უსირცხვილო სიცრუე იყო, უკანასკნელ წლებში საშინელი თვალთმაქცობის მწვერვალი გახდა. ჩვენს საზღვრებზე ინდოეთში, დასავლეთ აფრიკაში, სუდანში, უგანდაში, როდეზიაში ომები თითქმის არ წყდება».

გვ. 134. «ჩვენმა ეკონომიურმა ანალიზმა ის ფაქტი აღმოჩინა, რომ ერთმანეთისადმი მტრულია მხოლოდ ინტერესები მეტოქე საქმოსანთა — ექსპორტისტათვის მომუშავე ინვესტორთა, მიმწოდებელთა, მრეწველთა ხროვებისა და გარკვეული პროფესიული ჯგუფებისა; ეს ხროვები, ახდენენ რა ძალაუფლებისა და ხალხის ხმის უზურპაციას, ხალხის სახსრებს ახმარენ იმას, რომ გაჩარხონ თავიანთი კერძო საქმეები, და ხალხის სისხლსა და ფულს ფლანგავენ ამ გიგანტურ გამანადგურებელ სამხედრო თამაშში, იგონებენ რა ეროვნულ ანტაგონიზმებს, რომლებსაც სინამდვილეში არავითარი საფუძველი არა აქვთ».

21) გვ. 135—136. «თუ ვვსურს შევინარჩუნოთ ყველაფერი, რაც მივიტაცეთ 1870-დან, და შევეჯიბროთ ახალგაზრდა სამრეწველო ერებს აფრიკასა და აზიაში ტერიტორიებისა და გავლენის სფეროების შემდგომი განაწილების საქმეში, მზად უნდა ვიყოთ საომრად. მეტოქე იმპერიების მტრობა, რამაც ცხადად იჩინა თავი სამხრეთ აფრიკის ომის დროს, აშკარად წარმოშობილია პოლიტიკით, რომლის საშუალებითაც ვუსწრებდით და კვლავ

გაცვდილობთ გავუსწროთ ამ მეტოქეებს მთელ მსოფ-
ლიოში ტერიტორიებისა და ბაზრების ანექსიის საქ-
მეში».

გვ. 143—144. «შექმნა ადგილობრივ მკვიდრთაგან შედ-
გენილი დიდი არმიებისა, რომლებიც შეიარაღებული არიან
«ცივილიზებული» იარაღით, გაწვრთნილი არიან «ცივილი-
ზებული» მეთოდებით, რომლებსაც მეთაურობენ «ცივილი-
ზებული» ოფიცრები, აღმოსავლეთის დიდი
იმპერიების, ხოლო შემდეგ აგრეთვე რომის
იმპერიის განვითარების უკანასკნელი ეტა-
პების ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი იყო.
იგი აღმოჩნდა ერთ-ერთი უაღრესად საშიში გა-
მოგონება, რომელიც მოიგონა პარაზიტიზმმა, რომ-
ლის ძალითაც მეტროპოლიის მოსახლეობა თავისი
სიცოცხლისა და ქონების დაცვას გადასცემს «დამორჩი-
ლებული ტომების» არასაიმედო ხელში პატივმოყვარე
პროკონსულების მეთაურობით.

იმპერიალიზმის სიბრძავეს ერთ-ერთი უაღრე-
სად უცნაური სიმპტომია ის უდარდებლობა, რომლითაც
დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და სხვა
იმპერიალისტური ერები ადგებიან ამ გზას.
დიდმა ბრიტანეთმა ყველას გაუსწრო. იმ ბრძოლა-
თა უმეტეს ნაწილს, რომლებითაც დავიპყ-
ყართ ჩვენი ინდოეთის იმპერია, აწარ-
მოებდნენ ადგილობრივ მკვიდრთაგან შემდ-
გარი ჩვენი ჯარები. ინდოეთში, როგორც ეგვიპტეში
ამ უკანასკნელ ხანებში, დიდ მუდმივ არმიებს
ბრიტანელები მეთაურობენ; თითქმის ყველა ომი, რომ-
ლებიც დაკავშირებულია ჩვენ მიერ აფრიკის დაპყრო-
ბასთან, მისი სამხრეთი ნაწილის გარდა,
ჩაატარეს ჩვენთვის მკვიდრმა მცხოვრებლებმა*.

გვ. 151. როგორც პრაქტიკული პოლიტიკის ფაქტო-
რი ლიბერალური პარტია გერმანიაში, საფრან-
გეთსა და იტალიაში ან გაქრა. ან განწირულია
უღონობისათვის. ინგლისში იგი ამკამად მხილებულია
თავისუფლების ძირითადი პრინციპებისადმი აშკარა და
უხეშო ლალატში და უმწუროდ ეძებს პროგრამებს, რომ-
ლებიც მას პრინციპების მაგიერობას გაუწევენ... იმპე-

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 352. რ ე დ.

II | რიალიზმის წინაშე ეს კაპიტულაცია იმას ნიშნავს, რომ
 II- | ლიბერალიზმის საქმეს მათ ამჯობინეს ეკონომიური
 III | ინტერესები მჭონებელი და სპეკულაციური კლასე-
 ბისა, რომლებსაც მათი ლიდერების უმრავლესობა
 ეკუთვნის».

23)

გვ. 157. «პარლამენტარიზმის ამ საერთო დაცემუ-
 ლობაში «პარტიული სისტემა» აშკარად იშლება, ვი-
 ნაიდან იგი აღმოცენდა უთანხმოებათა ნიადაგზე საშინაო
 პოლიტიკის საკითხებში, რომლებსაც ნაკლები მნიშვნელობა
 აქვთ იმპერიალიზმის მოთხოვნებთან და ძალასთან
 შედარებით.

გვ. 158—159. «რეაქცია არა მარტო შესაძლებელია,
 არამედ გარდუვალიც არის. ვინაიდან ჩვენი იმპერიის ის
 ნაწილი, რომლის მართვა დესპოტურად წარმოებს, ტერი-
 ტორიულად სულ უფრო დიდდებოდა, ინგლისში სულ უფრო
 მეტი რაოდენობით ბრუნდებოდნენ ადამიანები, რომლებ-
 მაც, როგორც ჩვენი სახელმწიფო კოლონიების, პროტექტო-
 რატებისა და ინდოეთის იმპერიის ჯარისკაცებმა და
 სამოქალაქო მოხელეებმა, მიიღეს აღზრდა თვითმპყრო-
 ბელობის ზნეჩვეულებებისა და მეთოდების
 თანახმად; მათ შეუერთდა მრავალი ვაჭარი, პლანტატო-
 რი, ინჟინერი და ზედამხედველი, რომლებიც იქ შეადგენ-
 დნენ იმ ადამიანების უმაღლეს კასტას, რომლებიც
 ცხოვრობდნენ ჩვეულებრივი ევროპული საზოგადოების
 ყველა შემაკავებელ ჯანსაღ საწყისებს მოკლებული ხელოვ-
 ნური ცხოვრებით; ყველა ამ ადამიანს თან მოჰქონდა
 მათში ამ უცხო ვითარებით დანერგული ზნე-
 ჩვეულებანი, გრძნობები და აზრები».

თავი II (162—206)—ჩმახვა. სათაურია «იმპერიალიზმის
 მეცნიერული დაცვა» და იგი მიძღვნილია იმპერიალიზმის
 დარვინისტულ «ბიოლოგიურ» და სხვ. «მეცნიერულ გამართ-
 ლებათა» «მეცნიერული» (სინამდვილეში უხამს-ლიბერალური)
 უარყოფისადმი.

24)

მსოფ-
 ლიო
 და
 კოლო-
 ნიები

გვ. 204—205. «თუ ვივარაუდებთ, რომ შესაძლე-
 ბელია ევროპული ერებისა და მათი კოლო-
 ნიების ფედერაციული სახელმწიფო წყო-
 ბილება, რომელსაც უნარი ექნება აღკვეთოს
 შინაგანი კონფლიქტები მათ შორის, ქრისტიან ხალხთა
 ამ სამყაროს შეექმნება მუდმივი საფრთხე «დაბალი
 რასების» — შავი და ყვითელი რასების მხრივ,

რომლებიც, «ცივილიზებული ხალხების» მიერ დატოვებული, დაეუფლებიან რა იარაღს და შეითვისებენ სამხედრო ტექნიკას, შეძლებენ თავიანთი ბარბაროსული თავდასხმებით დაამარცხონ ისინი სწორედ ისევე, როგორც ევროპისა და აზიის უფრო პრიმიტიულმა ტომებმა დაამარცხეს რომის იმპერია».

2 მიზეზი ასუსტებდა ძველი იმპერიების ძლიერებას: (1) «პარაზიტიზმი ეკონომიური»; (2) უცხოელებისაგან შემდგარი ჯარების გამოყენება*.

გვ. 205. «პირველი არის ეკონომიური პარაზიტიზმის ჩვეულება, რომლის გამო გაბატონებული სახელმწიფო თავის პროვინციებს, კოლონიებს და დამოკიდებულ ქვეყნებს იყენებს თავისი მმართველი კლასის გასამდრებლად და თავისი დაბალი კლასების მოსასყიდად, რომ ისინი წყნარად იყვნენ**».

NB

გვ. 205—206. «უგუნურებისა და მანკიერების ეს საბედისწერო შეთავსება წარსულში მუდამ ხელს უწყობდა იმპერიების დაცემას. აღმოჩნდება თუ არა იგი საბედისწერო ევროპის ხალხთა ფედერაციისათვისაც?»

(25

როგორც ჩანს, აღმოჩნდება, თუ მათი კოლექტიური ძალა გამოყენებული იქნება იმავე პარაზიტული მიზნებისათვის და თუ თეთრი რასები, მოიშორებენ რა შრომას მისი ყველაზე მძიმე ფორმებით, იცხოვრებენ როგორც მსოფლიო არისტოკრატია «დაბალი რასების» ექსპლოატაციით, ამასთან მსოფლიოში წესრიგს დაცვას სულ უფრო და უფრო მისცემენ ხელთ ამავე რასების წარმომადგენლებს»

NB

NB

გვ. 207. «თანამედროვე (NB ცნება) იმპერიალიზმის ფაქტიური ისტორიის ანალიზმა ცხადყო ეკონომიურ და პოლიტიკურ ძალთა ის შეხამება, რომელიც მას ქმნის. ამ ძალებს დასაწყისს აქლევს ეგოისტური ინტერესები გარკვეული სამრეწველო, ფინანსური და პროფესიული ფენებსა, რომლებიც საიმპერიო ექსპანსიის პოლიტიკაში პირად სარგებლო-

II

* იხ. კ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 352. რ ე დ.

** იქვე. რ ე დ.

ბას ეძებენ და სწორედ ამ პოლიტიკას იყენებენ თავიანთი ეკონომიური, პოლიტიკური და სოციალური პრივილეგიების დასაცავად დემოკრატიის ზემოქმედებისაგან».

«თვით-
გამორ-
კვევის»
საკითხი-
სათვის

გვ. 210 — 211. (შენიშვნა 2). «რამდენად შორს შეიძლება წაიყვანოს მოტივების დამახინჯებამ გამოცდილი პოლიტიკური მოაზროვნე, ამას გვიჩვენებს მაგალითი პროფესორ გიდინგსის განსაცვიფრებელი არგუმენტაციისა, რომელიც. მსჯელობს რა «მმართველობაში მყოფთა თანხმობაზე», როგორც მართვის პირობაზე, ამტკიცებს, რომ «თუ ბარბაროს ხალხს აიძულებენ მიიღოს უფრო ცივილიზებული სახელმწიფოს ხელისუფლება, ამ იძულების უფლებაზომიერებისა თუ უსამართლობის დამადასტურებელი სულაც არ არის მის მიერ მიცემული თანხმობა ან ამ ხელისუფლების დამყარებისას მის მიერ გაწეული წინააღმდეგობა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ის, თუ რამდენად შესაძლებელია, რომ, საგსებით გაეცნობიან რა გამოცდილებით იმას, რის გაკეთება შეუძლია მთავრობას ხელქვეითი მოსახლეობის ასაყვანად ცხოვრების უფრო მაღალ დონეზე, ისინი, ვინც მიხვდებიან ყველაფერს, რაც

II

26)

II

გაკეთდა, მისცემენ თავისუფალ და გონივრულ თანხმობას» («იმპერიისა და დემოკრატია», გვ. 265). პროფესორი გიდინგსი, როგორც ჩანს, არ ითვალისწინებს, რომ რეტროსპექტული თანხმობის ამ საინტერესო დოქტრინის მთელი ეთიკური ძალა ემყარება იმაზე მსჯელობის აქტს, თუ რამდენად შესაძლებელია, რომ გამოხატული იქნება თავისუფალი და გონივრული თანხმობა, რომ მისი დოქტრინა არ იძლევა იმის არავითარ გარანტიას, რომ ეს მსჯელობა კომპეტენტური და მიუყვარძებელი იქნება და რომ

ეთიკური
სოციალი-
სტი³⁸

სინამდვილეში იგი ყოველ ხალხს აძლევს ყოველი სხვა ხალხის ტერიტორიის მიტაცებისა და მართვის უფლებას იმ უპირატესობისა და ცივილიზატორული მუშაობის უნარის საფუძველზე, რომლებსაც იგი თავის თავს მიაწერს».

(27)

გვ. 212—213. (პასუხი მათ, ვინც იმპერიალიზმს იცავს «ქრისტიანული» მისიონერული მოღვაწეობით): «რა საშუალებით შეიძლება დავაბლანსოთ შედეგების ორივე ჯამი? რამდენს იწონის ქრისტიანობა და ციცილიზაცია და რამდენს — მრეწველობა და ვაჭრობა? ასეთია ის საინტერესო კითხვები, რომლებსაც, როგორც ჩანს, პასუხი უნდა გავცეს».

კარგად
არის
ნათქვამი!

გვ. 214. «იგი» (ლორდი ჰიუ სესილი «სახარების პროპაგანდის საზოგადოებაში» 1900 წლის 4 მაისს წარმოთქმულ თავის სიტყვაში (III)) «თქვამს, რომ ჩვენს შეგნებაში მისიონერული საქმის მნიშვნელობის ამალღების გზით რამდენადმე ვაკურთხებთ იმპერიალიზმის სულს».

მარგალი-
ტია!

გვ. 224. «მთელი პროცესის კონტროლის გამწევე და ხელმძღვანელ ძალას წარმოადგენს, როგორც დავინახეთ, ფინანსური და სამრეწველო მოტივების ზემოქმედება, რომლებიც მოქმედებენ ქვეყნის მცირე, ენერგიული და კარგად ორგანიზებული ჯგუფების პირდაპირი უშუალო მატერიალური ინტერესებისათვის».

«ფინანსური
კაპიტალი»

((გარედან, შორიდან უყურებენ და აგულიანებენ, როგორც ბურებთან ომის დროს))

გვ. 227—228. «ჩინგოიში — ეს არის გულისთქმა მაყურებლისა, რომელიც გაკეთილშობილებული არაა რაიმე პირადი ღონისძიებით, რისკით ან მსხვერპლით და რომელსაც სიამოვნებას განაცდევინებს საფრთხე, ტანჯვა და ჟღერა თავისი ძმებისა, რომლებსაც იგი არ იცნობს, მაგრამ რომელთა მოსაპობა სწყურია, შეპყრობილს სიძულვილისა და შურისძიების ბრმა ხელოვნურად აღძრული სწრაფებით. ჩინგოისტი მთლად გატაცებულია რისკითა და ბრძოლის ბრმა სიშმაგით. ლაშქრობის სიძნელე და დამქანცველი ერთფეროვნება, ლოდინის ხანგრძლივი პერიოდები, მძიმე გაჭირვება, ხანგრძლივი კამპანიის გულის გადამლევი შემაწუხებლობა — ყოველივე ეს არავეითარ როლს აარ ასრულებს მის წარმოსახვაში; მომენტები,

(28)

რომლებიც აკეთილშობილებენ ომს, ამხანაგობის საუცხოო გრძნობა, რომელსაც ავითარებს ყველა-სათვის საერთო საფრთხე, დისციპლინისა და თვითაკეთის ნაყოფი, პატივისცემა მტრის პიროვნებისადმი, რომლის მამაცობა უნდა აღიარონ და რომელშიც თანდათანობით ხელავენ თავის მსგავს ადამიანს, — ნამდვილი ომის ყველა ეს შემარბილებელი მომენტი სრულიად მიუწევდომელია ჭინგოისტის გრძნობებისათვის. სწორედ ამ მიზეზით მშვიდობის ზოგიერთი მეგობარი ამტკიცებს, რომ ორი ყველაზე მძლავრი ფაქტორი, რომლებიც აკავებენ მილიტარიზმსა და ომს, — ეს არის ყველა მოქალაქის მოვალეობა მოიხადოს სამხედრო სამსახური და შემოსევის ნაწვენევი გამოცდილება.

ორიგინალურია!

...სავსებით ცხადია, რომ ჭინგოიზმის ჭკრეტითი ავხორცობა იმპერიალიზმის ფრიად სერიოზული ფაქტორია. როგორც ომის, ისე იმპერიალისტური ექსპანსიის მთელი პოლიტიკის ყალბ დრამატიზებას ფართო მასებში ამ ვნების აღძვრის მიზნით მცირე ადგილი როდი უჭირავს იმპერიალისტური საგმირო საქმეების ჭეშმარიტი ორგანიზატორების — საქმოსნებისა და პოლიტიკური მოღვაწეების პატარა ჯგუფების ხელოვნებაში, რომლებმაც იციან, რა უნდათ და როგორ მიიღწიონ ამას.

სამხედრო გმირობის ნამდვილი ან მოჩვენებითი შარავანდელით და იმპერიების მშენებლობის ბრწყინვალე პრეტენზიებით დაბრმავებული, ჭინგოიზმი ხდება სული და გული განსაკუთრებული სახის პატრიოტიზმისა, რომელსაც შეიძლება ყოველგვარი უგუნურება ან დანაშაული ჩაადენინო».

sic!

გვ. 232—233. «სფერო, რომელიც საშიშროებას წარმოშობს, რა თქმა უნდა, იმპერიალიზმზე გაცილებით ფართოა და მოიცავს მატერიალურ ინტერესთა მთელ სფეროს. მაგრამ თუ წინა თავებში მოცემული ანალიზი სწორია, იმპერიალიზმი არის ამ ინტერესების ფორპოსტი: ფინანსური და სპეკულაციური კლა-

სებისათვის იგი ნიშნავს მათი პირადი საქმეების მოქაზრაკებას საზოგადოების ხარჯზე; ექსპორტზე მომუშავე მრეწველებისათვის და ვაჭრებისათვის—**უცხოეთის ბაზრების** ძალადობით გაფართოებას და ამასთან დაკავშირებულ პროტექციონიზმის პოლიტიკას; მოხელეებისა და პროფესიული წევრებისათვის—ფართოდ გაღებულ კარს საპატიო და სარფიანი სამსახურისათვის; **ეკლესიისათვის**—მისი ავტორიტეტის განმტკიცებას და დაბლა მდგომი ტომების ფართო მასებზე სულიერი კონტროლის დამყარებას; პოლიტიკური ოლიგარქიისათვის—დემოკრატიის ძალთა ჩამოშორების ერთდერთ ნამდვილ საშუალებას და იმპერიების მშენებლობის მოჩვენებითს საქმიანობაში ბრწყინვალე პოლიტიკური კარიერის პერსპექტივას.

«ჩამო-
შორება»

გვ. 238. მ-რ კიდი, პროფესორი გილინგსი და «**ფაბიანელი**» (NB) **იმპერიალისტები** «ტროპიკებზე «ცივილიზებულ» ერების კონტროლის» საჭიროებას ასაბუთებენ მატერიალური აუცილებლობით. ტროპიკული ქვეყნების ბუნებრივ სიმდიდრეებს «სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ დასავლეთის ცივილიზაციის არსებობისა და პროგრესისათვის... ნაწილობრივ ზომიერ სარტყელში მოსახლეობის უბრალო ზრდის მეოხებით, ნაწილობრივ მატერიალური ცხოვრების დონის ამალღების მეოხებით, ზომიერი ჰავის ქვეყნების ეს დამოკიდებულება ტროპიკულ ქვეყნებზე უნდა იზრდებოდეს». ტროპიკული ქვეყნების სულ უფრო მეტი სივრცეები უნდა მუშავდებოდეს. ამავე დროს იმ თვისებათა გამო, რომლებსაც ცხელი ჰავა ადგილობრივ მცხოვრებლებს უფიქრებს, მათ პროგრესის უნარი არ შესწევთ: ისინი უღარდელნი არიან, მათი მოთხოვნილებები არ იზრდება. «თვითონ მკვიდრი მცხოვრებლები საკუთარი ნიებით არ დაამუშავენ ტროპიკების ბუნებრივ სიმდიდრეებს» (239).

გვ. 239—240. «ამბობენ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია დაუმუშავებლად დავტოვოთ ეს მიწები; ჩვენი ვალია ვიზრუნოთ, რომ ისინი საყოველთაო კეთილდღეობისათვის მუშავდებოდეს. მაგრამ თეატრკანიან ადამიანებს არ შეუძლიათ მოახდინონ ამ ოლქების «კოლონიზაცია» და, იქ რომ სახლდებიან, საკუთარი ხელის შრომით დაამუშაონ მათი ბუნებრივი სიმდიდრე; მათ

(30)

!!

!!! შეუძლიათ მხოლოდ მოაწყონ მკვიდრი მცხოვრებლების შრომა და მისი ზედამხედველობა. ამ გზით მათ შეუძლიათ შეასწავლონ მკვიდრ მცხოვრებლებს სხვადასხვა სარეწები და აღუძრან მათ მატერიალური და მორალური პროგრესის სურვილი, ჩაუნერგონ ახალი «მოთხოვნები», რომლებიც თვითეულ საზოგადოებაში ცივილიზაციის საფუძველს შეადგენენ».

31)

გვ. 251. «ერთი სიტყვით, სანამ არ არსებობს ნამდვილი საერთაშორისო საბჭო, რომელსაც შეეძლება დააკისროს ცივილიზებულ ერს აღზარდოს დაბალი რასა, «ნდობის» პრეტენზია სხვა არაფერია, თუ არა უსირცხვრო თვითმარქვიობის აქტი».

(*) !! ნდობა (კოლონიები «ანდობენ» ასწავლონ მათ, ანდობენ ამ «საქმეს» მეტროპოლიებს)!!

გვ. 253—254. ევროპის მთავარი სახელმწიფოების ტრესტი ევროპისგარეშე ქვეყნების ექსპლოატაცია იქნებოდა. ევროპელთა პარპაში ჩინეთში «საკმაოდ აშხილებს ისტორიის ფაქტებით იმ პრეტენზიების მთელ უაზრობას, თითქოს ქრისტიანული საბუაროს ან მის შემადგენელ ხალხთა საგარეო პოლიტიკის შთამაგონებელი და განმსაზღვრელი იყოს ცივილიზაციისათვის ზრუნვა... თუ დაბალი რასების მიმართ ტარდება რაიმე ზოგადი საერთაშორისო პოლიტიკა, იგი გამომდინარეობს არა მორალური ნდობიდან, არამედ კომერციული «გარიგებიდან»».

((((ევროპის შეერთებული შტატების საკითხისათვის!!!)))

გვ. 259—260. «სამხრეთ აფრიკაში ყველაზე მნიშვნელოვანი და საბოლოო ანგარიშით უმნიშვნელოვანესი ბრძოლაა ბაზუტოლენდის პოლიტიკასა და იოჰანესბურგისა და როდენზიის პოლიტიკას შორის ბრძოლა, რადგან სწორედ ამ ბრძოლაში ჩვენ ნათლად ვხედავთ, თუ რით განსხვავდება «ჯანსაღი» იმპერიალიზმი, რომელსაც თავი გადაუდვია «დაბალი რასის» მფარველობის, აღზარდისა და თვითგანვითარებისათვის, «არაჯანსაღი» იმპერიალიზმისაგან, რომელიც ამ რასებს განუშაადებს ეკონომიურ ექსპლოატაციას თეთრკანიანი კოლონისტების მხრივ, რომლებიც იყენე-

ბენ ამ რასებს, როგორც «ცოცხალ ინსტრუმენტს», ხოლო მათს მიწებს, როგორც მადნისა და სხვა მომგებიანი განძეულის საცავებს».

გვ. 262. (შენიშვნა). «მაგრამ ბრიტანეთის პროტექტორატ ზანზიბარსა და პემბაში მონობა ჯერ კიდევ არსებობს და ბრიტანეთის სასამართლოები აღიარებენ !! ამ მდგომარეობას... განთავისუფლება ძალიან ნელა წარმოებს, ამით ბევრნი არიან დაინტერესებულნი. 25 000 მონიდან, რომლებიც დაახლოებით ირიცხებოდა პემბაში, ჯერჯერობით განთავისუფლებულია დეკრეტით 5 000-ზე ნაკლები».

(32)

((1897—1902))

სულთანის დეკრეტი მონების განთავისუფლების შესახებ გამოცემულია 1897 წელს, ხოლო ეს განცხადება გაკეთებულია 1902 წელს, 4 აპრილს, «მონობასთან ბრძოლის საზოგადოების» მიტინგზე.

გვ. 264. «იმპერიალიზმის ფაქტიური ისტორია, კოლონიალიზმისაგან განსხვავებით, მკაფიოდ ასურათებს ამ ტენდენციას» (იმ ტენდენციას, რომ მკვიდრ მცხოვრებლებს დავამუშავებინოთ მათი მიწები ჩვენს სასარგებლოდ).

გვ. 265. «მსოფლიოს მეტ წილ ქვეყნებში წმინდა ან გარკვეულად კომერციულმა ინტერესმა და მოქმედებამ შექმნა ის ბირთვი, რომლიდანაც იმპერიალიზმი აღმოცენდა; ბირველი სავაჭრო დასახლებანი გადაიქცნენ სამრეწველო დაბეზად, რომელთა გარშემო აღმოცენდნენ მიწისა და მიწერალური სიმდიდრის კონცესიები; სამრეწველო დაბა მოითხოვდა შეიარაღებულ ძალას თავის დასაცავად, ახალი კონცესიების უზრუნველსაყოფად და შეთანხმებებისა და წესრიგის ყოველგვარი დარღვევის აღსაკვეთად და ამ დარღვევათათვის დასასჯელად; დიდი მნიშვნელობა ენიჭება სხვა ინტერესებს, პოლიტიკურსა და რელიგიურს, და წინანდელი სავაჭრო დასახლება იღებს უფრო მკაფიოდ გამოხატულ პოლიტიკურ და სამხედრო ხასიათს, მმართველობის სადავეები ჩვეულებრივ გადადის კომპანიის ხელიდან სახელმწიფოს ხელში, და არამკაფიოდ გამოხატული პროტექტორატი თანდათანობით იღებს კოლონიის ფორმას».

(33)

გვ. 270. მკვიდრ მცხოვრებლებს ძალით ამუშავებენ სამრეწველო კომპანიებისათვის; ზოგჯერ ეს კეთდება მკვიდრი მცხოვრებლებისაგან «მილიციის» შექმნის სახით, რომელიც ვითომდა ემსახურება ქვეყნის დაცვის საქმეს, ნამდვილად კი ევროპელთა სამრეწველო კომპანიებისათვის უნდა მუშაობდეს.

გვ. 272. ნაპარს მიაღგება ნავი, მძივებითა და ჩხარუნებით მიიტყუებენ ბელადს, რომელიც ამ საჩუქრებისათვის ნიშანს უსყამს «ხელშეკრულებას», რომლისაზრიც არ ესმის. ხელშეკრულებას ხელს აწერენ თარჯიმანი და ამ ქვეყანაში ჩამოსული ავანტიურისტი, და ქვეყანა ამიერიდან ითვლება იმ ქვეყნის მოკავშირედ (კოლონიად), საიდანაც წარმოშობით არის ჩამოსული, საფრანგეთის ან ინგლისის მოკავშირედ.

გვ. 280. იქ, სადაც პირდაპირი მონობა გაუქმებულია, გადასახადები წარმოადგენენ საშუალებას, რომლითაც მკვიდრ მცხოვრებლებს აიძულებენ იმუშაონ დაქირავებით. «ამ გადასახადებს ზოგჯერ ისე იყენებენ, რომ მკვიდრ მცხოვრებლებს წაართვან მათი მიწები, გააყიდვინონ თავიანთი სამუშაო ძალა და აჯახებებამდეც კი მიიყვანონ ისინი, რასაც მასობრივი კონფისკაციები მოსდევს».

34)

გვ. 293. «მაგრამ მანამდე, სანამ თეთრკანიან ფერმერებს ან მალარობის თეთრკანიან მფლობელებს, რომლებიც ბეცი არიან თავიანთ ვიწროკომერციულ ინტერესებში, შესაძლებლობა ეძლევათ ან საკუთარი რისკით, ან კოლონიურ თუ საიმპერიო მთავრობაზე ზემოქმედების გზით წამოწყებული მოქმედების შემწეობით შეიჭრან ტერიტორიებზე, რომლებიც «დაბალ რასებს» უჭირავთ, და თავიანთი კერძო სარგებლობისათვის მიითვისონ მათი მიწა ან შრომა, —

«ჯანსაღი» იმპერიალიზმის პირველი პრინციპი ირღვევა, და ფრაზები «კეთილშობილური შრომა» სწავლებებისა და «ყრმის ასაკის» რასების მოწიფული ასაკისათვის მომზადების შესახებ, მიუხედავად იმისა, წარმოთქვამენ მათ სამთო-სამრეწველო კომპანიების დირექტორები თუ სახელმწიფო მოღვაწეები თემთა პალატაში, ცოტათი თუ სჯობს ფარისევლობის უგვანო ნიმუშებს. ისინი დამყარებულია იმ ფაქტების გაყალბებასა და მოტივების დამახინჯებაზე, რომლებიც სინამდვილეში განსაზღვრავენ პოლიტიკას».

გვ. 295. «პარაზიტის» ბეჭედი აზის თეთრკანიანთა თვითეულ დაბას, რომელიც ამ დაბალ რასებს შორის

მდებარეობს; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თეთრკანიან და ფერადკანიან ადამიანებს შორის ურთიერთობა არსად არ ატარებს ჯანსაღი ურთიერთდახმარების ხასიათს. საუკეთესო სამსახური, რაც ის იქნებოდა, რომ თეთრკანიანთა ცივილიზაციას ეჩვენებინა მაგალითები თეთრკანიანთა ნორმალური, ჯანსაღი თემებისა, რომლებიც დასავლური ცხოვრების საუკეთესო ფორმებს ახორციელებენ, თითქმის ყოველთვის შეუძლებელი აღმოჩნდება ხოლმე კლიმატური თუ სხვა ფიზიკური პირობების გამო. იქ ყოფნა მიმოფანტული ერთი მუჭა თეთრკანიანი მოხელეებისა, მისიონერებისა, ვაჭრებისა, ზედამხედველებისა მაღაროებისა და პლანტაციების, რომლებიც შეადგენენ ერთგვარ **გაბატონებულ** კასტას მამაკაცებისას, რომლებიც ნაკლებად იცნობენ და თანაუგრძნობენ მოცემული ხალხის საზოგადოებრივ წყობილებას, სრულიად გამოუსადეგარია იმისათვის, რომ მისცეს ამ დაბალ რასებს თუნდაც ის მიღწევები, რომელთა მიცემაც შეეძლებოდა დასავლურ ცივილიზაციას».

გვ. 301. «ღირსეული ჯ. მ. ბოვილი, საკათედრო ტაძრის წინამძღოლი, ღმერთისა და მამონის პროფესიული შემრიგებელია». თავის წიგნში «მკვიდრი მცხოვრებლები ტრანსვაალის ალმის ქვეშ» იგი აგვიწერს, როგორ რთავენ ნებას მაღაროებში მკვიდრ მცხოვრებლებს აიშენონ კარავები, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს «იცხოვრონ მეტად თუ ნაკლებად ისეთსავე პირობებში, როგორშიც თავიანთ მშობლიურ კრალეებში ცხოვრობენ». ყოველივე ეს მხოლოდ **ფარისევლური** ფრაზებია; მკვიდრი მცხოვრებლები «მთლიანად მიწათმოქმედთა და მწყემსთა ცხოვრებას მისდევენ», მათ კი აიძულებენ ქირით იმუშაონ მაღაროებში.

გვ. 304. «მკვიდრი მცხოვრებლები მათთვის მიკუთვნებულ ტერიტორიებზე მიმაგრებული არიან მიწაზე და სრულ მონობაში ცხოვრობენ, მათ არა აქვთ არც ხმის უფლება, არც სხვა პოლიტიკური საშუალებანი თავიანთი პრეტენზიების გამოსათქმელად და მოკლებული არიან ეკონომიურ სახსრებს პროგრესისათვის».

36)

(გლახობა
ნაკვეთ-
ბის ოდენობა ინ-
დოეთში)

გვ. 309—310. «მაგრამ მილიონობით გლახი ინდოეთში იბრძვის არსებობისათვის, აქვს რა მხოლოდ ნახევარი აკრი. მათი არსებობა შიმშილთან მუდმივი ბრძოლაა, რომელიც ხშირად მარცხით მთავრდება. მათთვის ძნელია მიაღწიონ არათუ აღამიანურ არსებობას — არსებობას ცხოვრების სიკეთეთა თუნდაც იმ უბადრუკ დონეზე, რომელიც მათთვის ჩვეულებრივია, არამედ უბრალოდ იმის შესაძლებლობას, რომ იცოცხლონ და არ მოკვდნენ... ქემმარიტად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინდოეთში, სარწყავი რაიონების გამოკლებით, შიმშილი ქრონიკული — ენდემური მოვლენაა».

NB

გვ. 323. «ამ მცდარ აზრს» (თითქოს «ჩვენ ცივილიზაცია შეგვაქვს ინდოეთში») «ასულდგმულებს მხოლოდ სოფიზმები იმპერიალიზმისა, რომელიც იგონებს ამ სიცრუეს, რათა დაფაროს თავისი სიშიშველე და მოგება, რომელსაც ზოგიერთი დაინტერესებული ჯგუფი იმპერიიდან სწოვს».

გვ. 324. «ახალი იმპერიალიზმი ძველისაგან განსხვავდება, ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ იგი ერთი მზარდი იმპერიის მისწრაფებათა ნაცვლად აყენებს მოქიშპე იმპერიების თეო-

- (1) რიასა და პრაქტიკას, იმპერიებისა, რომელთაგანაც თვითეული ხელმძღვანელობს პოლიტიკურ გაფართოებისა და კომერციული სარგებლიანობის ერთნაირი სურვილით;
- (2) მეორეც, სავაჭრო ინტერესებზე ფინანსური ან ისეთი ინტერესების ბატონობით, რომლებიც კაპიტალის დაბანდებას შეეხება*.

NB: ახალი იმპერიალიზმის განსხვავება ძველისაგან

37)

გვ. 329 — 330. «ყოველ შემთხვევაში შეუძლებელი არაფერია იმაში, რომ ჩინეთი შეძლებს მათივე მონეტით მიუზღოს დასავლეთის სამრეწველო ხალხებს და, გამოიყენებს მათს კაპიტალს და ორგანიზატორულ ძალებს, ან, რაც უფრო მოსალოდნელია, შეცვლის მათ თავისი საკუთარით, შეძლებს გაავსოს მათი ბაზრები თავისი წარმოების უფრო იაფი ფაბრიკატებით და, უარს იტყვის რა მათ მიერ შემოტანილი საქონლის სანაცვლოდ მიღებაზე, უზრუნველყოს მისი კუთვნილი გადასახდელები მათს კაპიტალზე ყადაღის დადებით და

* იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 339. რ. ელ.

ამრიგად, კაპიტალის დაბანდების წინანდელი პროცესი იწარმოებს პირუტყუ მიმართულებით, სანამ, ბოლოს, ჩინეთი თანდათანობით მიაღწევდეს ფინანსურ კონტროლს თავის უწინდელ მფარველებსა და ცივილიზატორებზე. ეს სულაც არ არის ფუჭი ფანტაზიები» (ჩინეთს შეუძლია გაიდვიძოს)...

გვ. 332—333. «მილიტარიზმმა შეიძლება კიდევ ძალიან დიდხანს იარსებოს, ვინაიდან იგი, როგორც უკვე დამტკიცებული იყო, ბევრი მხრივ პლუტოკრატიის დასაყრდენს წარმოადგენს. მასთან დაკავშირებული ხარჯები მომგებიან მხარდაჭერას უქმნიან გარკვეულ მძლავრ ფინანსურ ინტერესებს; იგი შეადგენს დეკორაციულ ელემენტს სოციალურ ცხოვრებაში, მთავარი კი ის არის, რომ იგი აუცილებელია იმისათვის, რათა შეაკავოს იმ სოციალური ძალების დაწოლა, რომლებიც შინაგან რეფორმებს მოითხოვენ. კაპიტალის ძალები მისი უფრო კონცენტრირებული ფორმით ყველგან უკეთ არიან ორგანიზებული და განვითარების უფრო მაღალ დონეზე დგანან, ვიდრე მუშათა ძალები; მაშინ როცა მუშათა კლასი ლაპარაკობდა მშრომელთა საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, კაპიტალი უკვე ახორციელებდა საერთაშორისო თანამშრომლობას. და ამიტომ, რამდენადაც საქმე ეხება უმსხვილეს ფინანსურ და კომერციულ ინტერესებს, სავსებით მოსალოდნელია, რომ მომავალი თაობა შეიძლება გახდეს მოწმე კაპიტალის ისეთი მძლავრი საერთაშორისო გაერთიანებისა, რომ ომები დასავლეთის ხალხებს შორის თითქმის შეუძლებელი გახდება. თანამედროვე პოლიტიკის ეგოიზმისა და სიხარბის მიუხედავად, რომლებიც ამჟამად ასუსტებენ ევროპის აქტიურობას შორეულ აღმოსავლეთში, ნამდვილი დრამა დაიწყება, როცა ძალები საერთაშორისო კაპიტალიზმისა, რომელიც პრეტენზიას აცხადებს გაერთიანებული ქრისტიანული სამყაროს კულტურის მატარებლის როლზე, გამოყენებული იქნება».

კარგად არის
ნათქვამი!!

(38)

«ევროპის
შეერთებული
შტატები»

ბა ჩინეთის მშვიდობიანი ათვისებისათვის. აი სწორედ მაშინ გაჩნდება «ყვითელი საშიშროება». თუ უსარგებლოა ველოდეთ ჩინეთისაგან, რომ იგი გაიმსჭვალება ეროვნული პატრიოტიზმით, რომელიც მისცემს მას ძალას განდევნოს დასავლეთელი ექსპლოატატორები, მაშასადამე, იგი განწირულია დაშლისათვის, რომელიც უფრო სწორი იქნება განისაზღვროს როგორც ჩინეთის «დანაწევრება» და არა მისი «განვითარება».

მხოლოდ მაშინ მივხვდებით ჩვენ ამ წამოწყების, კაცობრიობის მთელ ისტორიაში ყველაზე გრანდიოზული, ყველაზე რევოლუციური წამოწყების მთელ რისკიანობასა და მთელ უგუნურებას. შესაძლოა მხოლოდ მაშინ მიხვდებიან დასავლეთის ხალხები, რომ მათ ერთ მუჭა კერძო სპეკულანტებს თავი ჩაათრევენ ისეთ იმპერიალისტში, რომლის დროსაც ამ ავანტიურისტული პოლიტიკის მთელი ხარჯები და ყველა საშიშროება ასწერია და რომლიდანაც შეუძლებელია თავის დაღწევა ზარალის განუცდელად.

გვ. 335. ((NB: პარაზიტის პერსპექტივა)). «მაშინ დასავლეთ ევროპის უმეტეს ნაწილს შეეძლო ისეთი სახისა და ხასიათის მიღება, როგორიც აქვს ახლა ამ ქვეყნების ნაწილებს: სამხრეთ ინგლისს, რივიერას, იტალიისა და შვეიცარიის იმ ადგილებს, რომელთაც ყველაზე მეტად ეტანებიან ტურისტები და რომლებიც დასახლებული არიან მდიდრებით, სახელდობრ: ერთი მუჭა მდიდარი არისტოკრატები, რომლებიც დივიდენდებსა და პენსიებს იღებენ შორეული აღმოსავლეთიდან, აგრეთვე ცოტა უფრო მნიშვნელოვანი ჯგუფი პროფესიონალი მოსამსახურეებისა და ვაჭრებისა და უფრო დიდი რაოდენობა შინამოსამსახურეებისა და მუშებისა გადახიდვის მრეწველობასა და იმ მრეწველობაში, რომელიც ფაბრიკების საბოლოო დამუშავებას ეწევა. მრეწველობის მთავარი დარგები კი გაქრებოდა, და დაიწყებოდა მასობრივი კვების პროდუქტების, მასობრივი ნახევარფაბრიკატების დენა, როგორც ხარკისა, აზიიდან და აფრიკიდან»*.

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 352—353.
რედ.

გვ. 337. «მაგრამ ჩინეთში შედწევის საქმეში იმპერიალიზმის ეკონომიური ამოცანა, როგორც ვხედავთ, მდგომარეობს სულაც არა იმაში, რომ აწარმოოს ჩვეულებრივი ვაჭრობა: იგი მდგომარეობს იმაში, რომ შექმნას ახალი უდიდესი ბაზარი დასავლეთ ევროპელი ინვესტორებისათვის, ბაზარი, რომლის მოგება იქნება შემოსავალი არა მთელი ხალხისა, არამედ კაპიტალისტთა მხოლოდ იმ კატეგორიისა, რომელიც კაპიტალს აბანდებს. ხალხების მიერ მზარდი მსოფლიო სიმდიდრის ათვისების პროცესის ნორმალურ განსაღ მიმდინარეობას აბრკოლებს თვით ბუნება ამ იმპერიალიზმისა. რომლის არსი მდგომარეობს ბაზრების განვითარებაში კაპიტალების დასაბანდებლად, და არა ვაჭრობისათვის, და იაფი უცხოური პროდუქციის ეკონომიური უპირატესობის გამოყენებაში საკუთარი ქვეყნის მრეწველობის განსაღეენად და გარკვეული კლასის პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობის დასაცავად.»

იმპერიალიზმის
არსი

(40

გვ. 346. ევროპის ბატონობა აზიაზე ძალადობის შემწეობით და მოგების მიღების მიზნით და ამ ბატონობის გამართლება იმით, რომ მას თითქოს ცივილიზაცია შეაქვს აზიაში და სულიერი ცხოვრების უფრო მაღალ დონეზე აპყავს იგი, — ეს ისტორიის მიერ მიჩნეული იქნება ალბათ იმპერიალიზმის უსამართლობისა და სისულელის გვირგვინად. ჩვენ უარს ვამბობთ ავიღოთ ის, რის მოციმაც ჩვენთვის შეუძლია აზიას, — საუკუნეთა გამოცდილებით დაგროვებული თავისი თავდაუდებელი საგანძური სიბრძნისა; ხოლო იმ ბევრსა თუ ცოტა რამეს, რაც ჩვენ შეგვიძლო მიგვეცა მისთვის, ჩვენ ვაფუჭებთ იმ ბარბაროსობით, რომლითაც ვაკეთებთ ამას. აი რა გააკეთა იმპერიალიზმმა და რას აკეთებს იგი აზიისათვის».

გვ. 350. «გლადსტონის 1886 წლის ბილზე, ჰომრულზე რომ ლაპარაკობდა, მ-რმა ჩემბერლენმა თქვა: «მე გადაწყვეტის ძებნას დაეწყებდი ფედერაციის პრინციპის მიმართულებით. ჩემი ფრიად პატივცემული მეგობარი ნიმუშს ეძებდა იმ ურთიერთობაში, რომელიც ჩვენს ქვეყანასა და მის

(41

თვითმმართველ და ფაქტიურად დამოუკიდებელ კოლონიებს შორის არსებობს». მაგრამ სჯობს ფედერაცია, რადგან მაშინ ირლანდია დარჩება დიდი ბრიტანეთის ინტეგრალურ ნაწილად, თვითმმართველ კოლონიებთან კავშირი კი მხოლოდ მორალურია. ამჟამად დემოკრატიის განვითარება მიმდინარეობს ფედერაციის, შეკავშირების და არა განცალკევების მიმართულუბით» (ყოველივე ეს ჩემბერლენის სიტყვიდან არის).

[ჩემბერლენი ენხრობა ფედერაციას განცალკევების წინააღმდეგ, «ცენტრადანული» ტენდენციის წინააღმდეგ.]

NB
შეად.
კაუციკი
«ულტრაიმპერიალიზმის»
შესახებ

გვ. 351. «ქრისტიანობა, რომელიც განმტკიცდა რამდენიმე დიდ ფედერალურ იმპერიაში, რომელთაგანაც თვითეულს აქვს მთელი რიგი არაცივილიზებული კოლონიები და დამოკიდებული ქვეყნები, ბევრს ეჩვენება თანამედროვე ტენდენციათა ყველაზე კანონიერ განვითარებად და ამასთან ისეთ განვითარებად, რომელიც მოგვცემდა მულმივი მშვიდობის ყველაზე მეტი იმედს ინტერიმპერიალიზმის მტკიცე ბაზაზე»*.

პანტევტონიზმის, პანსლავიზმის, პანლათინიზმის, პანბრიტანიზმის და ა. შ. იდეა, მთელი რიგი «სახელმწიფოთა კავშირები» წარმოიშობაო. («Unions of states»).

რად იქცეოდა კაუციკის «ულტრაიმპერიალიზმი» და ევროპის შეერთებული შტატები კაპიტალიზმის ბაზაზე: «ინტერიმპერიალიზმად»!

- 41) გვ. 355—356. «შეერთებულ სამეფოს», თანამედროვე იმპერიალისტური პოლიტიკის დროს, «არ შეუძლია ზიდოს, თუ კოლონიების არსებითი დახმარება არ ექნა, ფლოტის გადიდების საჭიროებასთან დაკავშირებული ფინანსური ტვირთი» ამას შეიძლება მოჰყვეს კოლონიების გამოყოფა, რომელთა ინტერესს შეადგენს არ ჩაებან იმპერიალისტურ პოლიტიკაში (ინგლისისა), რომლის (პოლიტიკის) განსაზღვრაში მათ არავითარი გადაწყვეტი ხმა არ შეიძლება ჰქონდეთ, თვითეულ

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 371. რ ე დ.

მათგანს — როგორც ფედერაციულ ქვეყანას — ექნება მხოლოდ უმნიშვნელო უმცირესობა ინგლისის კოლონიების უდიდესი რაოდენობის დროს, რომლებსაც მეტ წილ შემთხვევებში ძალიან ცოტა რამ აქვთ საერთო. დიდი ბრიტანეთისათვის ხელსაყრელია «საიმპერიო ფედერაცია», კოლონიებისათვის არ არის ხელსაყრელი.

გვ. 373. «ახალი იმპერიალიზმი კლავს თავის უფალ (42 თვით მმართველ სახელმწიფოთა ფედერაციას: კოლონიები შესაძლოა ყურადღებას მიაქცევენ ამას, მაგრამ თავიანთი უწინდელი გზით წავლენ».

გვ. 378—379. «ამ ცოტა ხნის წინათ შემოდებული ჩვეულება კაპიტალის დაბანდებისა უცხო ქვეყნებში ამჟამად იმდენად განვითარდა, რომ დიდი ბრიტანეთის შეძლებული და პოლიტიკურად ძლიერი კლასები თავიანთი შემოსავლის სულ უფრო და უფრო მეტ ნაწილს ახლა იღებენ იმ კაპიტალებიდან, რომლებიც ბრიტანეთის იმპერიის ფარგლებს გარეთ არის დაბანდებული. ჩვენი შეძლებული კლასების ეს მზარდი დაინტერესება იმ ქვეყნებთან, რომლებზეც მათ პოლიტიკური კონტროლი არა აქვთ, თანამედროვე პოლიტიკაში გამარჯვოლ უციურებელ ძალას წარმოადგენს; იგი ნიშნავს მუდამ მზარდ ტენდენციას გამოიყენონ თავიანთი როგორც მოცემული სახელმწიფოს მოქალაქეთა პოლიტიკური ძალა იმ სახელმწიფოთა პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩარევისათვის, რომელთა მრეწველობითაც ისინი მატერიალურად არიან დაინტერესებულნი.

ფინანსური
კაპიტალის
პოლიტიკა

კერძო ინვესტიციების მომგებიანობის დაცვისა და გადიდებისათვის ქვეყნის სახელმწიფოებრივი საშუალებების ამ გამოყენების არსებითად უკანონო ხასიათი ნათლად უნდა იქნას აღიარებული».

გვ. 380. «ამ ძალებს ჩვეულებრივად კაპიტალისტური ეწოდება, მაგრამ ყველაზე სერიოზულ საფრთხეს იწვევს არა ნამდვილი სამრეწველო ინვესტიციები სხვათა ქვეყნებში, არამედ ის, რომ ამ დაბანდებებზე

((მეზჩა-
ნური)) (43
უტოპია!!)

დამყარებულ ფონდებსა და აქციებს ფინანსისტები განაგებენ».

გვ. 381—382. «იმპერიალიზმისა» და მისი ბუნებრივი საყრდენების — მილიტარიზმის, ოლიგარქიის, ბიუროკრატიის, პროტექციონიზმის, კაპიტალის კონცენტრაციისა და მკვეთრი ეკონომიური რყევის—ანალიზი ახასიათებს მას როგორც უდიდეს საშიშროებას თანამედროვე ეროვნულ სახელმწიფოებისათვის. ქვეყნის შიგნით იმპერიალისტური ძალების ბატონობა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მათ გამოიყენონ ეროვნული რესურსები თავიანთი კერძო სარგებლობისათვის სახელმწიფო აპარატის საშუალებით, შეიძლება დამხობილ იქნას მხოლოდ ნამდვილი დემოკრატიის დამყარებით, მხოლოდ პოლიტიკით, რომელსაც ხელმძღვანელობს ხალხი ხალხის ინტერესებისათვის, რომელიც ხორციელდება მის წარმომადგენელთა მეშვეობით, რომელთა მიმართ იგი ნამდვილ კონტროლს ახორციელებს. უკვე აქვს თუ არა ჩვენს ან რომელიმე სხვა ქვეყანას ამგვარი დემოკრატიის უნარი, ამაში შეიძლება ფრიალ დავეჭვდეთ, მაგრამ მცირეა იმედი გამოინახოს წამალი მანამდე, სანამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკა «ხალხის ნების ფართო საფუძველზე არ იქნება დამყარებული».

წერილ-ბურჟუაზიული დემოკრატი!

საგარეო პოლიტიკის დემოკრატიზაცია

44)

გვ. 382—383. «იმპერიალიზმი ჯერ კიდევ მხოლოდ იწყებს ყველა თავისი შესაძლებლობის შეგნებას და ხალხთა მართვის დახვეწილ ხელოვნებად გადაქცევას; ხმის მიცემის ფართო უფლება, მიზიჭებული ხალხისათვის, რომლის განათლებას მხოლოდ იმ საფეხურისათვის მიუღწევია, როცა ადამიანები იწყებენ ნაბეჭდის კითხვას და ჯერ კიდევ კრიტიკულად არ ეკიდებიან წაკითხულს, მეტრისმეტად უწყობს ხელს იმ გაბედული საქმიანი პოლიტიკოსების განზრახვებს, რომლებიც პრესისადმი, სკოლისადმი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში აგრეთვე ეკლესიისადმი კონტროლის შემწეობით უნერგავენ მასებს იმპერიალიზმს, ამასთან ფარავენ მას პატრიოტული გრძნობების მიმზიდველი რეკლამით.»

იმპერიალიზმის მთავარი ეკონომიური წყარო, როგორც ჩვენ გამოვარკვეთ, მდგომარეობს ეკონომიურ შესაძლებლობათა უთანასწორობაში, რომლის მეოხებითაც ერთი პრივილეგიანი კლასი აგროვებს შემოსავლის ნამეტს, რომელსაც, ხელსაყრელი დაბანდების ძეხნაში სულ უფრო და უფრო შორს მიჰყავს იგი. ამ ინვესტიორებისა და მათი ფინანსური ღირებულებების გავლენა სახელმწიფო პოლიტიკაზე უზრუნველყოფს სხვა მატერიალური ინტერესების ეროვნულ ერთიანობას, რომლებსაც საფრთხე ემუქრება სოციალური რეფორმებისათვის მოძრაობათა მხრივ. ამრიგად, იმპერიალიზმის დამყარება ორმაგ მიზანს ემსახურება: იგი უზრუნველყოფს ინვესტორთა და ვაჭართა პრივილეგიანი კლასების კერძო მატერიალურ სარგებლობას საზოგადოებრივ ხარჯზე და ამავე დროს განამტკიცებს კონსერვატიზმის საერთო საქმეს იმით, რომ საზოგადოების ენერჯია და ყურადღება ქვეყნის შიგნით აგიტაციიდან გადააქვს გარეთ».

გვ. შშპ. «იმპერიალიზმისათვის ეროვნული პოლიტიკის დარქმევა უსირცხვილო სიცრუეა: ერის ინტერესები ექსპანსიის ამ პოლიტიკის თვითეული ნაბიჯის საწინააღმდეგოა. ტროპიკებში დიდი ბრიტანეთის ყოველი გაფართოება ჭეშმარიტი ბრიტანული ნაციონალიზმის უეჭველი შესუსტებაა. ზოგიერთ წრეებში იმპერიალიზმს კიდევაც აქებენ სწორედ იმისათვის, რომ, არღვევს რა ეროვნებათა ვიწრო ჩარჩოებს, იგი აადვილებს და ხელს უწყობს ინტერნაციონალიზმის განვითარებას. ისეთებიც კი არიან, რომლებიც იმპერიალიზმის ზეგავლენით ემქრობიან მცირე ეროვნებათა ძალმომრეობით დათრგუნვას უფრო დიდ ეროვნებათა მიერ ან მიუტევებენ ამას, რადგან წარმოუდგენიათ, რომ ამაში მდგომარეობს ბუნებრივი მიახლოება მსოფლიო ფედერაციასა და მარადიულ მშვიდობასთან».

(45)

à la კუნოვი
და კომპანია!!

იმპერიალიზმის დამცველები წვრილი
ერების შთანთქმის მომხრენი არიან!!

გვ. 384. «მომავალი ინტერნაციონალიზმის იმედი ყველაზე მეტად მოითხოვს დამოუკიდებელი ხალხების დატოვებასა და თავისუფალ განვითარებას. რადგან უამისოდ შეუძლებელია ინტერნაციონალიზმის თანდათანობითი განვითარება, არაშეძლებელია მხოლოდ მთელი რიგი წარუმატებელი ცდები ქაოსური და მერყევი კოსმოპოლიტიზმისა. როგორც ინდივიდუალიზმი საჭიროა ეროვნული სოციალიზმის ყოველი ჯანსაღი ფორმისათვის. ისე ნაციონალიზმი საჭიროა ინტერნაციონალიზმისათვის; მსოფლიო პოლიტიკის არავითარი ორგანული კონცეპცია არ შეიძლება აგებულ იქნას რომელიმე სხვა ვარაუდზე».

დომ-
ხალი

46) გვ. 384—385. რამდენადაც შესაძლებელია ნამდვილი ეროვნული მთავრობები, რომლებიც იქნებიან ხალხის და არა ერთი მუჭა ოლიგარქების ინტერესთა წარმომადგენლები, იმდენად თავიდან იქნება აცილებული შეჩახება ერებს შორის და სულ უფრო და უფრო განვითარდება ერებს შორის ინტერესთა ერთობაზე დამყარებული მშვიდობიანი ინტერნაციონალიზმი (ხაფოსტო კონვენციებზე და ა. შ. — ამ გზით). «ეკონომიური ურთიერთობა გაცილებით უფრო ძლიერი და საიმედოა როგორც მზარდი ინტერნაციონალიზმის ბაზა, ვიდრე ეგრეთწოდებული რასობრივი კავშირი» (პანტეეტონური, პანსლავური, პანბრიტანული etc.) «ან ძალაუფლების წონასწორობის რაიმე ბეც ვარაუდზე აგებული პოლიტიკური კავშირი».

გვ. 385—386. «აი რა შესაძლებლობებს გადაგვიშლის თვალწინ დასავლეთის სახელმწიფოების უფრო ფართო კავშირი, დიდ სახელმწიფოთა ევროპული ფედერაცია: იგი არათუ წინ არ წასწევდა მსოფლიო ცივილიზაციის საქმეს, არამედ მომასწავებელი იქნებოდა და დასავლეთის პარაზიტიზმის გიგანტური საფრთხისა: იმ მოწინავე სამრეწველო ერების ჯგუფის გამოყოფისა, რომელთა უმაღლესი კლასები უდიდეს ხარკს მიიღებენ აზიისა და აფრიკისაგან და ამ ხარკის საშუალებით შეინახავდნენ მოსამსახურეებისა და მსახურთა მოშინაურებულ დიდ მასებს, რომელთა საქმე იქნებოდა უკვე არა მასობრივი სამიწათმოქმედო და სამრეწველო პროდუქტების წარმოება, არამედ პირადი სამსახურის

NB ++++
++++
++++
++++

გაწვევა ან მეორე ხარისხიანი სამრეწველო მუშაობა ახალი ფინანსური არისტოკრატის კონტროლით. დაე ისინი, ვინც მზადაა თავიდან მოიშოროს ასეთი თეორია*, რომელიც თითქოს განხილვის ღირსი არ არის, ჩაუფიქრდნენ თანამედროვე სამხრეთ ინგლისის იმ ოლქების ეკონომიურ და სოციალურ პირობებს, რომლებიც უკვე იმყოფებიან ასეთ მდგომარეობაში. დაე ჩაუფიქრდნენ ისინი, ამ სისტემის რარიგ უდიდესი გაფართოება იქნებოდა შესაძლებელი. ჩინეთი რომ დაუმორჩილდეს ფინანსისტთა, «კაპიტალის მომთავსებელთა», მათ პოლიტიკურ და სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეთა ასეთი ჯგუფების ეკონომიურ კონტროლს, რომლებიც მოგებას გამოსწურავენ უდიდესი პოტენციალური რეზერვუარიდან, როგორსაც კი ოდესმე იცნობდა მსოფლიო, ამ მოგების ევროპაში მოხმარების მიზნით. რა თქმა უნდა, სიტუაცია მეტად რთულია, მსოფლიო ძალთა ჭიდილი მეტად ძნელი გასათვალისწინებელია, რომ ძალიან სარწმუნოდ ვაქციოთ მომავლის ეს ან რომელიმე სხვა განმარტება მხოლოდ ერთი მიმართულებით. მაგრამ ის გავლენანი, რომელნიც ამჟამად დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმს წარმართავენ, აქეთკენაა მიმართული და, თუ ისინი წინააღმდეგობას არ წააწყდნენ, თუ ისინი სხვა მხრით არ იქნენ წარმართულნი, ისინი პროცესის სწორედ ასეთი დაგვირგვინების მიმართულებით მუშაობენ**.

სწორია

თუ მმართველი კლასები დასავლეთის ქვეყნებში შეძლებენ განახორციელონ თავიანთი ინტერესები ასეთი კომბინაციით (კაპიტალიზმი კი წლითიწლობით აშკარად ხდება სულ უფრო საერთაშორისო) და თუ ჩინეთს უნარი არ ექნება განივითაროს წინააღმდეგობის საკმაო ძალა, სავსებით

* ვ. ი. ლენინი ნაშრომში «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია» სიტყვა «თეორია»-ს შევსებულ დრჩხილებში უმატებს: «უნდა ითქვას: პარსპექტივები» (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 353 და ტომი 23, გვ. 135—136). რ. ე. დ.

** იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 353—354. ე. დ.

48) საგრძნობი გახდება შესაძლებლობა პარაზიტული იმპერიალიზმისა, რომელიც უფრო ფართო მასშტაბით აღადგენს გვიანდელი რომის იმპერიის ბევრ ნიშანს.

გვ. 389. «ახალი იმპერიალიზმი არსებითად არაფრით არ განსხვავდება თავისი ძველი ნიმუშისაგან» (რომის იმპერია). იგი ისეთივე პარაზიტია. მაგრამ ბუნების კანონები, რომლებიც დალუპვას განუმზადებენ პარაზიტებს, არა მარტო ინდივიდუუმებზე, არამედ ერებზეც ვრცელდება. პროცესის სირთულეს და საქმის არსის შენიღბვას შეუძლია დალუპვის შენელება და არა მისი აშორება. «პრეტენზია, რომ იმპერიალიზტიური სახელმწიფო, რომელიც ძალმომრეობით იმორჩილებს სხვა ხალხებს და მათს მიწებს, ასეთი თქოს იმიტომ იქცევა, რომ დამორჩილებულ ხალხებს გაუწიოს სამსახური, თანაბარი იმ სამსახურისა, რომელსაც იგი თვითონ მოითხოვს, აშკარა სიცრუეა: იგი სულაც არ აპირებს გაუწიოს თანაბარი ღირებულების სამსახური და არც შესწევს ასეთი სამსახურის გაწევის უნარი».

დასასრული

რვეული

«ლ»

(«ლამზაბა»)

შინაარსი

ღ

შ. სამბა. «თქვენ შეიძენთ მეფეს etc.» [1—17]

შულცე-გევერნიცი. «ბრიტანეთის იმპე-
რიალიზმი» [18—34]სამბა. «თქვენ შეიძენთ მეფეს, თუ
მშვიდობას არ უზრუნველყოფთ»

მარსელ სამბა. «თქვენ შეიძენთ მეფეს, თუ მშვი- (1
დობას არ უზრუნველყოფთ»⁴¹. პარიზი, 1913
(ეგვ. ფაგიერი). მე-ნ გამოცემა ((გვ. 278)).
(გამოვიდა 1913 წ. 20 ივლისს.)

«ჩვენ რომ აღმოგვეჩინა, მაგალითად, რომ ჩაგვაბეს კავში-
რების სისტემაში, რომლებსაც გამალებული შეიარაღების
გზით პირდაპირ ომისაკენ მივყევართ; და რომ, მიუხედავად
ამისა, კავშირების ეს სისტემა აგებულა იმავე საფუძვლებზე,
რომლებიც საკმარისი იქნებოდა, რომ უზრუნველგვეყო მშვი-
დობა?» (გვ. XI).

«თქვენ განა არ იცით, რომ თანამედროვე ომი დღითიდღე
სულ უფრო და უფრო ემსგავსება სამრეწველო საწარმოს?
რომ მობილიზაცია უდიდესი სამრეწველო ოპერაციაა? რომ,
ისევე როგორც ყოველი სამრეწველო ოპერაცია, იგი ტექნიკურ
ცოდნასა და უნარს მოითხოვს?» (გვ. 13).

«ღიას! შეიძლება წარმოვიდგინოთ რესპუბლიკა, უფრო ნაკ-
ლებად მოწყვეტილი ცხოვრებასა და საქმიანობას. ეს მით
უფრო აუცილებელია, რომ ახლანდელ რესპუბლიკას არა
მარტო არ შესწევს უნარი აწარმოოს ომი, როგორც მე შევე-
ცადე მეჩვენებინა წინა გვერდებზე, არამედ სწორედ ასევე (2
არ შესწევს უნარი უზრუნველყოს მშვიდობა» (გვ. 25).

«ნუ მეტყვი, რომ უამისობა შეიძლება, რომ თქვენ არა გსურთ დაპყრობანი, რომ თქვენ ესწრაფვით მხოლოდ თავდაცვას: ნამდვილი ყბედობაა» (გვ. 28).

«აგადირის კრიზისის შემდეგ ერთხელ დეპუტატთა პალატაში შევიტანე წინადადება გვეცადა შეგვექმნა ახალი ორგანო» (გვ. 31).

«წინადადება იმაში მდგომარეობდა, რომ საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელობისათვის შეგვექმნა ყველა ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრისაგან შემდგარი საბჭო» (გვ. 31).

«შევკრიბოთ ყველა ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი? მაგრამ, ჩემო მეგობარო, ისინი მხოლოდ იმაზე იფიქრებენ, რომ როგორმე კვანტი გამოსდონ თავიანთ მონაცვლეს! რას ბრძანებთ—ციდან ხომ არ ჩამოვარდნილხართ?» (გვ. 33).

NB | «თანამედროვე საფრანგეთის ფინანსური ისტორია, იგი რომ გულახდილად დაიწეროს, იქნებოდა ისტორია მთელი რიგი ცალკეული ძარცვა-გლეჯისა, რომლებიც დაპყრობილი ქალაქის გაძარცვას მოგვაგონებდნენ!

NB | ეს არის ისტორია უტვინო ხალხის გაძარცვისა გაქნილი ფინანსისტების მიერ. ვნახოთ, რა ხდება, როცა საფრანგეთის სახელმწიფოს საქმე აქვს ხოლმე არა თავის მოქალაქეებთან, არამედ უცხოეთის მთავრობებთან» (გვ. 41).

3)

«იგი* რომ დაერწმუნებინა, ბ-ნმა დელკასემ შესთავაზა მას მაროკოს მოზრდილი ნაჭერი და აღუთქვა ჩვენი მეგობრული დახმარება და სამხედრო და ფინანსური ხელშეწყობა. ნაცვალგების საწყისებზე! ორასი ათასი კარგი ესპანელი ჯარისკაცი შესანიშნავად შეავსებს ჩვენი სამხედრო ძალების ნაკლებობას» (გვ. 49).

«რამდენი თვე გაუშვით, სანამ პორტუგალიის რესპუბლიკას ვცნობდით?

იმ მომენტში, როცა მე ვწერ, ჩინეთის რესპუბლიკა ჩვენ ჯერ კიდევ არ გვიცნობს: შეერთებული შტატები მას უკვე ისე ექცევიან როგორც წარჩინებულ პირს! მაგრამ ჩვენ იგი მსხვერპლად შევწირეთ ჩვენ ფინანსისტებს.

როცა ნორვეგია მერყეობდა, გაეაკეთეთ ჩვენ თუნდაც ერთი შესტი, ვთქვით თუნდაც სიტყვა? ის კი ელოდა ამას!» (გვ. 65).

* ესპანეთი, რე დ.

«ჩვენ რომ ოცი წლის განმავლობაში სპეციალურად არ დაგვეშოშმინებინა ხოლმე ესპანელი რევოლუციონერები და თავგზა არ აგვებნია მათთვის, მარტო პორტუგალია როდი იქნებოდა რესპუბლიკა! ჩვენთვის საჭირო არ იქნებოდა ესპანეთთან კავშირის ყიდვა მაროკოს ნაჭრების ფასად! ჩვენთვის საჭირო არ იქნებოდა სამწლიანი სამხედრო სამსახურის კანონის აღდგენის განხილვა» (გვ. 68).

«ჩემს მეგობარს ჟორესს, სხვათა შორის, არაერთხელ უთქვამს ჩემთვის: «თქვენ აზვიადებთ საშიშროებას. არ უნდა ფიქრობდეთ, რომ ომი აუცილებლად ატყდება. თვითეული გასული წელი განამტკიცებს მშვიდობას და ამცირებს ომის შესაძლებლობას. კონფლიქტი რომ იწინასწარმეტყველო, — ეს, პირიქით, იმას ხომ არ ნიშნავს, რომ გაადიდო ეს შესაძლებლობა?»

მე ბედნიერი ვიქნებოდი, რომ შემეძლოს გავიზიარო ეს რწმენა და დავაჯერო ჩემი თავი, რომ ჩვენი საერთო ღონისძიებებით თითქოს შევძლებთ კიდევ დიდ ხანს გავფანტოთ საშიშროება. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ მე სწორედ საწინააღმდეგოსი მიეშინია, სწორედ იმიტომ, რომ, ვფიქრობ რა ამაზე მიელი რიგი წლების განმავლობაში, ვგრძნობ, როგორ მიძლიერდება და მიმტკიცდება საწინააღმდეგო აზრი, სწორედ ამიტომ დავწერე მე ეს წიგნი» (გვ. 76—77).

«და შემდეგ, როგორ გინდათ, რომ გერმანელებმა სერიოზულად მიიჩნიონ ჩვენი მშვიდობიანი დაპირებანი, როცა რევანშის ყველაზე აშკარა მომხრენი თავს მშვიდობის მომხრეებად აცხადებენ?»

აქედან მათ გამოაქვთ დასკვნა, რომ საფრანგეთი რევანშს ესწრაფვის და რომ მხოლოდ კეთილგონიერება არ გვაძლევს ნებას გასაგონად ვილაპარაკოთ ამაზე. ისინი გრძნობენ, რომ ჩვენ ვფხიზლობთ, რომ ჩვენ მზად ვართ ვისარგებლოთ ყოველი შემთხვევით, რომელმაც შეიძლება გამარჯვება მოგვითანოს. ვეკითხები ყველა პატიოსან ფრანგს: განა ისინი მართალი არ არიან? გაბედავთ თქვენ გულის სიღრმეში ამტკიცოთ, რომ ისინი მართალი არ არიან? მართლაც რომ მოგვეცეს აშკარა, განსაკუთრებული შემთხვევა, რომელიც დასუსტებულ გერმანიას ჩვენი დარტყმების ქვეშ დააყენებს და ჩვენ უცილობელ გამარჯვებას დაგვპირდება, განა მერყეობას დავიწყებთ და თავს არ დავესხმით მას? რომელ ჩვენგანს შეუძლია პასუხი აგოს იმისათვის, რომ მშვიდობის სურვილი ვაიმარჯვებს და

მეომრული პატრიოტიზმის მძვინვარე ტალღა ყოველ წინააღმდეგობას არ გატეხს?» (გვ. 88).

NB «მაგრამ თავდაცვითი ომი ხომ არანაკლები ომია, ვიდრე შეტევითი ომი, და თავდაცვაზე ფიქრს შეიძლება თავდასხმა მოჰყვეს» (გვ. 91).

6) «მას სულით და გულით უნდა ვუწყობდეთ ხელს! სოციალისტებს უყვართ პაციფისტური ცდების დაცინვა! ისინი მათ მიაჩნიათ რალაც რეტერნაციონალურ ფილანთროპად, რომელიც თავს იტყუებს, თუ არ ისწრაფვის მოატყუოს სხვები, და თვალს არიდებს ომის ეკონომიურ შეპირობებულობას სწორედ ისევე, როგორც კერძო ქველმოქმედება ანგარიშს არ უწევს იმ პირობებს, რომლებიც მექანიკურად წარმოშობენ სილატაქსს.

მაგრამ სოციალისტები მაინც არ არიან მართლნი, დაცინვას რომ მიმართავენ! დაცინვა ხელს არ უშლის სოციალისტ დეპუტატთა უმრავლესობას ჩაეწეონ «არბიტრაჟის ჯგუფში» და მხარი დაუჭირონ ყველა მის გამოსვლას» (გვ. 93).

«ლეონ ბურჟუა ავიდა ხალხთა ფედერაციისა და ევროპის შეერთებული შტატების კონცეპციამდე! ოჰო! ჩვენ ინტერნაციონალის უახლოეს მეზობლად აღმოვჩნდით!» (გვ. 95).

...«მთელი პროლეტარიატი!.. უმჯობესია აჯანყება, ვიდრე ომი... მომწამლაგი პრესა... კაპიტალისტთა შეთქმულებანი... კრებო... ზარბაზნის ფაბრიკანტები... კაპიტალისტთა ძალებს ჩვენ მუშების აჯანყებას დაუპირისპირებთ...» (გვ. 106).

7) «პარიზის ხალხი თავის ძმურ სალამს უთვლის გერმანელ ხალხს და აცხადებს, რომ იგი მზად არის ყველა საშუალებით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში საყოველთაო გაფიცვისა და აჯანყების გზითაც წინააღმდეგობა გაუწიოს ომის წამომწყებთა დანაშაულებრივ საქმეებს...» (გვ. 106—107).

«გულის სიღრმეში ვფიქრობ, რომ აქ არის შეშფოთების გარკვეული გრძობა: იმ ადამიანთა შეშფოთებისა, რომლებიც თავიანთ თავს არ უმხელენ მთელ თავიანთ ფიქრებს» (გვ. 108).

«საკვიაროა ომი დაიწყოს, რომ ისინი დაინახავენ! გარეუბნებში ზოგი რამ მაინც* მოხდება!»

მაინც? დიახ, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ძალიან ხმამაღლა ვყვიროდით, რათა შიში გამოგვეწვია. მაგრამ რომ ჩვენ სულაც არა ვართ დარწმუნებული, რომ ვმბრძანებლობთ იმ ღმერთებზე, რომელთა ჭეჭა-ჭუხილსაც ვბაძავთ.

* ხაზგასმა სამბასია, რ ე დ.

საყოველთაო გაფიცვა? დიახ, პროფკავშირებმა აზრი გამოთქვეს მის სასარგებლოდ! ისინი გამოვლენ! აჯანყება? ბარაკ-დები? დიახ! გარეუბნები ამოძრავდებიან, განსაკუთრებით თუ ხალხი მიიჩნევს, რომ აგრესორები, წამომწყებნი ჩვენა ვართ.

მაგრამ თუ ჩვენ გამოგვიწვევენ? თუ ვილჭელში, შემღვამი (8) წილადობილისათვის მიუმართავად, თავს დაგვესხმის?

«ამისათვის არიან გერმანელი სოციალისტები!» ეს ფრაზა განკუთვნილია მოწინააღმდეგეებისათვის ან იმათთვის, ვინც დაეჭვებულია, აგრეთვე სკეპტიკოსისათვის, რომელიც თვით თელ ჩვენგანში ცოცხლობს: ამ ფრაზას მკვეთრი და გაბედული კილოთი წარმოთქვამენ ხოლმე. მაგრამ შემდეგ შინაგანი ხმა აჩურჩულდება: «მერე, გერმანელ სოციალისტებს, ისევე როგორც ჩვენში, იქნებ კეთილი განზრახვები მეტი აქვთ, ვიდრე რეალური ძალები?... მაგრამ შოვინისტური პრესა საზღვრის ორივე მხარეს ხომ საშინლად მარჯვეა, როცა არე-დარევაა საჭირო!» (გვ. 108—109).

«დაიწყებენ მოწოდებების, სტატიების, ახალი ქაღალდების ბეჭდვას! მათ დაწერენ ადამიანები, რომლებიც ყველაფრის თქმას ვერ ბედავენ, ხოლო წაიკითხავენ ადამიანები, რომლებიც ვერ ბედავენ ყველაფერში გამოუტყდნენ თავიანთ თავს!» (გვ. 110).

«სამხედრო სამინისტრო ხომ მხოლოდ ჩვენ წინააღმდეგ ადგენს შავ სიებს. ხომ ჩვენ, ომის შემთხვევაში, ვემუქრებით მთავრობას, რომ ძალადობას მივმართავთ» (გვ. 112).

«თუ ვიგრიძობთ, რომ ჩვენ გამოგვიწვიეს, მაშინ მოხდება (9) საყოველთაო აღშფოთება, მოსდება დაუძლეველი ნიაღვარი, რომელიც, როგორც ეს იტალიაში იყო, ნაპირებიდან გადმოვად ყველაფერს ალგვის თავის გზაზე!» (გვ. 114).

«უმჯობესია აჯანყება!..

მე თანახმა ვარ!.. თუ -ხედავთ ადგილს, ვითარებას, ქუჩას, ამხანაგების სახის გამომეტყველებას, გაზეთის ნომერს?» (გვ. 115).

«ეშვიშობ, რომ ჩვენ ვერაფრის გაკეთებას ვერ შევძლებთ, როცა იგი იფეთქებს» (გვ. 117).

«აი ის უდიდესი სამსახური, რომელიც მრავალჯერ გაუწევია საფრანგეთისათვის ჩვენ განთქმულ მეგობარს ელჟარდ ვალიანს, როცა ყველა ტრაგიკულ მომენტში მიუმართავს მმართველებისათვის თავისი ცნობილი გამოწვევით: «უ მჭობეს ია აჯანყება, ვიდრე ომი!»*»

* ხაზგასმა სამბასია. რ ე დ.

ხელისუფალთ ესმოდათ: «ფრთხილად უნდა ვიყოთ! განუსჯელად ნუ გავწევთ ომის რისკს! მოუფიქრებლად ნუ გავწევთ დამარცხების რისკს! შესაძლოა, რომ ეს ახალი ოთხი სექტემბერი იქნება!» (გვ. 119).

«შესანიშნავი დღეები ბაზელში, როცა მთაზე მიმავალი ქუჩებით ძველი ტაძრისაკენ მიემართებოდნენ ინტერნაციონალის პროცესიები!» (გვ. 120 — 121).

- 10) «ტრეტოვში ამ სამასი ათასი ინტერნაციონალისტიდან რამდენი კაცი დათანხმდებოდა დაეყენებინა უმწეო გერმანია შოვინისტთა დარტყმების ქვეშ?»

არც ერთი! ყოჩაღ! ვულოცავ მთამას! ჩვენც არ დაეთანხმდებოდა ხელში ჩაეუგდოთ საფრანგეთი პანგერმანისტებს!» (გვ. 122).

«მაშასადამე, ჩვენ თვითუღ ქვეყანაში ვირაზმებით ჩვენი მთავრობების წინააღმდეგ, რათა ხელი შევეშალოთ მათ დაიწყონ ომი, და ყველა ცალკეულ სამშობლოზე მაღლა ვაყენებთ ინტერნაციონალს» (გვ. 122).

«აქედან გამომდინარეობს, რომ ევროპაში მშვიდობის შენარჩუნებისა და უზრუნველყოფის საქმეში დღეს ყველა პირობებში და ყველა საშიშროების წინააღმდეგ ჩვენზე მეტი იმედს არ უნდა ამყარებდნენ, ვიდრე პაციფისტებზე*».

სავალალო ჭეშმარიტებაა? ვის ეუბნებით ამას? მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ჭეშმარიტებაა, რომლის გამოთქმაც სასარგებლოა» (გვ. 123).

«შეისმინეთ, რომ ყვირილი: «ძირს ომი!», «ომი — ომს!», როცა წინასწარ არ იცი, რა პრაქტიკული ღონისძიებებით შეიძლება ამა თუ იმ გარკვეული კონფლიქტის თავიდან აცილება, ნიშნავს ეწეოდე შელოცვებს, ჯადოსნობას, მაგიას» (გვ. 124).

- 11) «მაგია — ეს არის დაუკმაყოფილებელი სურვილი, რომელიც თავს ამჟღავნებს და მიმიკის შემწეობით იმედოვნებს დააჩქაროს თავისი დაკმაყოფილების მომენტი!» (გვ. 125).

«აჯანყების შესაძლებლობა, როგორც უკვე ვთქვი, ზეგავლენის ძლიერი საშუალება და ჩინებული მუქარაა. მაგრამ თუ მუქარის დრომ უკვე განვლო? თუ ომი უკვე გამოცხადებულია? (გვ. 126).

რა ვქნათ? თვითუღ ქალაქში გამოვაცხადოთ კომუნა, აღვმართოთ წითელი დროშა, და, რომ ავჯანყდებით, უმალ დავიღუპოთ, ვიდრე დავუთმოთ როგორც ერთი, ისე მეორე

* ხაზგასმა სამბასია. რ ე დ.

ქვეყნის ჯარებს? და ჩვენ, მეცნიერი სოციალისტები, ამ აბდა-უბდით უნდა ვსაზრდოობდეთ? თანამედროვე ომი ხომ მსხვილ-სამრეწველო საწარმოა. ქალაქი, რომელიც მტრის არმიას აუჯანყდება, როცა არც არტილერია აქვს, არც ყუმბარები, ეს ხომ ხელოსანია, რომელიც დიდი ქარხნის წინააღმდეგ ილაშქრებს. თანამედროვე არმია აჯანყებულ ქალაქებს ზედი-ზედ გადაყლაპავს ისე, როგორც კენკრას ყლაპავენ. მეოცე საუკუნის ომში ეს ერთ კვირაში კეთდება! ყუმბარების სეტყვითა და ბატარიების განუწყვეტელი ცეცხლით! და, ეშმაკმა დალაზეროს, საიდან იშოვნიან დროს ჩვენი ქალაქები გაერ-თიანდნენ ერთმანეთს შორის და მოაწყონ საერთო თავდაცვა, ე. ი., თუ არ ვცდები, კვლავ დაუბრუნდნენ ეროვნულ არ-მიას, რომელსაც უნარი ექნება გაუძლოს დარტყმას?

(12)

...მაგრამ გმირული მსხვერპლი—ეს შესანიშნავი წუთიერი აღტყინებაა და არა პარტიის პროგრამა! ეს ტაქტიკა არ არის! ეს არც სერიოზული სამხედრო ოპერაციაა, არც სტრატეგიაა!» (გვ. 127).

«საერთოდ ყვიროდე: «ძირს ომი!» და მუშტებით ცას ემუ-ქრებოდე, გეგონოს, რომ ამრიგად თავს დაიცავ ომისაგან—ეს ნამდვილი ბალღობაა! საკმარისი არ არის გეშინოდეს ომისა, რომ თავი დაიცვა მისგან, და სწყყელიდე მას, რომ თავიდან აიცილო იგი» (გვ. 128—129).

«ამას არავითარი ხელშეკრულება არ გვავალებს. ჩვენ ამას ნებაყოფლობით ვაკეთებთ; ჩვენ საკუთარი კეთილი ნებით ყო-ველწლიურად ვართმევთ საფრანგეთის მრეწველობას მასაზრ-დობებელ ნივთიერებებს და ჩვენი დანაზოგით ვეხმარებით სხვის მრეწველობას. ეს ყველამ იცის და ამას ყველა იწონებს» (გვ. 199).

«თქვენ არა ფიქრობთ იმაზე, — ამბობდა იგი, — რომ ისინი მოითხოვენ გერმანიის ფასიანი ქაღალდების დაშვებას პარიზის ბირჟაზე!»

(13)

«არა, მე ეს ჩინებულად ვიცი, და ბატონი დე ვალეფი სავ-სებით მართალია! გერმანელები, რა თქმა უნდა, უმკველად მოითხოვენ ამას» (გვ. 202).

«საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმების ერთადერთი შედეგი საფრანგეთისათვის უნდა იყოს ევროპაში მშვიდობის საბოლოო დამყარება და მომავალში პირობების უზრუნველყოფა მისი თავისუფალი განვითარებისა და კანონიერი გავლენისათვის კონსოლიდირებულ დასავლეთ ევროპაში» (გვ. 213).

29. ვ. ი. ლენინი, ტ. 39.

«გავერთიანდეთ მათთან» ((ვისთან?)), «რათა გავანადგუროთ გერმანელები ან დაუუმორჩილოთ უკანასკნელნი მათს უღელს, რომელსაც დიდი ხნით ვერც ჩვენ ავიცილებთ, — ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ მთელი მსოფლიოსათვის დაგვენახებებინა საფრანგეთი, რომელიც ცივილიზაციის წინააღმდეგ ბარბაროსობასთან კავშირში მოქმედებს» (გვ. 218).

«ჩვენ საკმაოდ გვსმენია შეიარაღების შეზღუდვის შესახებ! «პროგრესიული და ერთდროული» განიარაღების შესახებ!

ეს ზუსტად იგივე წინადადებებია, რომლებითაც თხუთმეტი — ოცი წლის წინათ, როგორც კეთილი, კარგი კაცი, გამოვიდა ჩემი ძველი მეგობარი დეჟანტი!» (გვ. 225).

- 14) «რაც შემეხება მე, არ დავმალავ, რომ საფრანგეთ-გერმანიის დაახლოება მეჩვენება უდიდეს ისტორიულ მოვლენად, რომელსაც დიდი შედეგები შეიძლება მოჰყვეს და რომლითაც ახალი ერა იწყება მთელი მსოფლიოსათვის. ერთი მხრივ, თავისი დასაწყისით ეს დაახლოება პოზიტიური, ვიწრო და შეზღუდულია და იგი ჩვენთვის ნაკარანხევია მხოლოდ და მხოლოდ მოახლოებული ომის თავიდან აცილების სურვილით. მეორე მხრივ, მომავლის თვალსაზრისით, ვფიქრობ, რომ იგი ქმნის მომავალი ევროპის შეერთებული შტატების ჩანასახს» (გვ. 230).

«...ეს იქნება პრელუდია შემოსევისა, ბურგუნდებისა თუ ნორმანების შემოსევის მსგავსად. ეს იქნება ხალხთა გადასახლება» (გვ. 244).

«საქმე ის არის, რომ ომის ინსტინქტი მჭიდროდ და ღრმად არის დაკავშირებული სამშობლოს იდეასთან» (გვ. 246).

- 17) ««ძირს ომი!..» ერთი რამ თუ შევიმჩნევიათ? ომის საწინააღმდეგო მიტინგებზე არასოდეს არ გაიძახიან: «გაუმარჯოს მშვიდობას!»

არასოდეს! ან თითქმის არასოდეს!..

მივესალმეთ მშვიდობას? ჩვენ აქ იმიტომ მოვედით, რომ პროტესტი განვაცხადოთ და ვებრძოლოთ წყლულს, საზიზღრობას, ომს, რომელიც გვძულს, და არამზადებს, რომლებიც მას ამზადებენ.

«მაგრამ თუ თქვენ ომი გძულთ, დიდად უნდა აფასებდეთ მშვიდობას!»

ეს თითქოს სავსებით ნათელი, ცხადი, უცილობელია, და მაინც, ლოგიკის საწინააღმდეგოდ, ხალხის სულის სიღრმეში რაღაც ამბობს არაო, და ხალხის სული მართალია.

მხოლოდ გავიძახოდეთ: «გაუმარჯოს მშვიდობას!» მეტი არაფერი? მაშასადამე, ეს მშვიდობა გვაკმაყოფილებს? და ჩვენ კმაყოფილი ვართ? არასოდეს! თუ გინდათ, ვიყვიროთ: «გაუმარჯოს სოციალურ რევოლუციას!» მაგრამ არა: «გაუმარჯოს მშვიდობას!» ძირს ომი, ეს ძალიან კარგია, იმიტომ რომ გასაგები და სწორია. დიახ, ჩვენ ყოველგვარი ომი გვძულს, როგორც არ უნდა იყოს იგი; მაგრამ სწორი არ არის, რომ ჩვენ ღიად ვაფასებთ ყოველგვარ მშვიდობას. მუშა ხალხი ღიად არ აფასებს ბურჟუაზიულ მშვიდობას, იმ მშვიდობას, რომლის დროსაც მას უბრძოლოდ ისე ექცევიან, როგორც დამარცხებულს. იგი ბუნდოვნად გრძნობს, რომ, ასეთ მშვიდობას თუ მიესალმა, იგი მოახდენს შთაბეჭდილებას, რომ მისი ერთადერთი სურვილია ბოლო მოუღოს მღელვარებას, დაუბრუნდეს ყოველდღიურ რუტინას და კვლავ რულმორეულმა აბრუნოს თავისი ჩარხი.

მაგრამ ეს სულაც არ არის ასე!» (გვ. 249 — 250).

«ჩვენი აქტივისტები გრძნობენ ბრბოს» (გვ. 251).

(14)

«მაგრამ სულის სიღრმეში იგი გრძნობს, რომ ენთუზიაზმი, რომელმაც ეს გლეხი მოიკცა მის ოცნებაში ღიების შესახებ, ეს იმდენად მწველი აღია, რომ ერთი ღლის ასეთი აღტაცება მეტი ღირს, ვიდრე გამოთაყვანებით აღსავსე მთელი სიცოცხლე, და რომ ახალგაზრდას, რომელსაც მომავალ კვირაში ჩატალჯის სიმამრესთან მოკლავენ, უფრო ხანგრძლივი სიცოცხლე ექნება, ვიდრე სამოცდათხუთმეტი წლისა რომ მომკვდარიყო თავის ყანაში.

(15)

ეს ჩინებულად ესმის მას, და თუ იგი ზიზლით ეკიდება ამ მეომარულ ენთუზიაზმს, ეს იმიტომ, რომ იგი იცნობს სხვა ენთუზიაზმსა და სხვა ომს, რომლებიც მას უფრო ამადლებული ეჩვენება და რომელთა სიმადლიდანაც იგი სიბრალულითა და ზიზლით დასცქერის ამ ძველ ჯარისკაცულ ენთუზიაზმს, რომელიც მისთვის უკვე ცნობილია და დაძლეული აქვს» (გვ. 252—253).

«მუშას, რომელსაც არაფერი არა აქვს მშვიდობიან დროს, დასაკარგავი არა აქვს რა ომის დროსაც. იგი საფრთხეში ადგებს მხოლოდ თავის ტყავს, მაგრამ სამაგიეროდ თოფს იღებს. ამ თოფით მას ბევრი რამის გაკეთება შეეძლებოდა. იგი ოცნებობს ამავსე. არა, უთუოდ არა ეკონომიური ინტერესი აღუძრავს მუშას სიძულვილს ომისადმი» (გვ. 255).

«იციოთ თუ არა თქვენ, რომ გერმანია ნამდვილად მოიგებს საფრანგეთთან ახალი ომის დროს?»

- 16) «გგონიათ, ლოტარინგიის მადანს?»
 არა, გაცილებით მეტს! პარიზის კედლებთან იგი აკრეფს ბელგიასა და ჰოლანდიას, ეს არის და ეს. ქვემო (inferior) გერმანია... და მისი კოლონიური სამფლობელოები, რომლებიც ფრიად მნიშვნელოვანია» (გვ. 257).
 «თანამედროვე სამშობლოთა საზღვრები ჩვენთვის მარადიულ და გადაუღებავ ზღვრებს როდი წარმოადგენენ... და ჩვენ ვხედავთ, საფრანგეთის ჰორიზონტზე როგორ ამოდის ევროპის შეერთებული შტატების ახალი მზე» (გვ. 268).
 «თუ ჩვენ მოვახერხებთ მშვიდობისა და ევროპის ორგანიზებას, ვფიქრობ, რომ რესპუბლიკა, სამშობლო და ინტერნაციონალი სრულ პარმონიაში იქნებიან, და ჩვენ არ დაგვჭირდება რესპუბლიკის ატანა სხვენში» (გვ. 272).

სია ციტატებისა უშლცე-გევერნიციის
 წიგნიდან «ბრიტანეთის იმპერიალიზმი»⁴²

- | | |
|--|---|
| 43 მუშათა ზედაფენა და მუშათა მასები versus ეკლესია | 401 იდეალიზმი იმპერიალიზმის სამსახურში |
| 56 ზემოდან | 402 გერმანია კაცობრიობის სათავეში. |
| 73 კოლონიური სამფლობელოები | 412 (ჯები) |
| (გაორმაგდა) | 415 (№ 53) |
| 75 (მეორე ირლანდია) | 422 პოლანდი |
| 87 მე-19 საუკუნის დამლევის იმპერიალიზმი | 423 (№ 104), idem № 111 პობპაუზი, ibidem № 112 მარქსი |
| 104 მულტატული | 426 № 116 და 118 |
| 119 გლასისი | № 133 |
| 122 საყოველთაო-სახალხო მეურნეობა | № 136 |
| 159 გირვანქა სტერლინგი მე-20 საუკუნემდე | № 151 |
| | № 155 |
| 174 კანადა | № 171 |
| 217 (იგივე) | № 342 |
| | № 365 |

შულცე-გევერნიცი. «ბრიტანეთის იმპერიალიზმი»

დ-რი გ. ფონ შულცე-გევერნიცი. «XX საუკუნის დამდეგის ბრიტანეთის იმპერიალიზმი და ინგლისის თავისუფალი ვაჭრობა». ლიპციგი, 1906 (გვ. 477). (18)

უდიდესი არამზადა, უგვანო, კანტელი, რელიგიის მომხრე, შოვინისტია, — შეუგროვებია ზოგიერთი ძალიან საინტერესო ფაქტი ინგლისის იმპერიალიზმის შესახებ და მკვირცხლად და ცოცხლად დაუწერია წიგნი. მოუვლია ინგლისი, ბევრი მასალა და დაკვირვება შეუგროვებია. ძარცვა-გლეჯით გაკეთდით, ბ-ნო ინგლისელებო, ჩვენც დაგვანებეთ ვძარცვოთ, ძარცვა-გლეჯა «ვაკურთხოთ» კანტით, ფუფალათი, პატრიოტიზმით, მეცნიერებითო = აი ამ «მეცნიერის» პოზიციის არსი!!
(ბევრია ზედმეტი ყბედობაც).

შესავალში მოთხრობილია, თუ როგორია «ბრიტანეთის მსოფლიო ძლიერების საფუძვლები» — ბრძოლა ჰოლანდიასთან, საფრანგეთთან... უდიდესი როლი პურიტანიზმისა, მორწმუნეობისა ((უალრესად)), სექსუალური დისციპლინისა etc. etc.

ინგლისში «სექტები ემყარებიან საშუალო კლასებსა და ნაწილობრავ მუშათა ზედაფენებს, მაშინ როცა საშუალო მუშათა ფართო მასები, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში, საერთოდ ნაკლებად მისაწვდომია რელიგიური გავლენებისათვის».

NB
(მუშათა ზედაფენები და რელიგია)

გვ. 56: რესპუბლიკამ და კრომველმა საშინლად წასწიეს წინ იმპერიალიზმი ინგლისში და განსაკუთრებით ფლოტის აშენება: კარლოსის დროს აშენებდნენ არა უმეტეს 2 «სახაზო გემისა» წელიწადში, რესპუბლიკის დროს 22-მდე ერთ წელწადში (1654).

რესპუბლიკა და იმპერიალიზმი!!!!

მანჩესტერობისა და ვაჭრობის თავისუფლების აპოგეის დროსაც საგარეო პოლიტიკა განსაკუთრებით ფიცხლად მიდიოდა წინ: 1840—42 ოპიუმის ომი; ხარჯები ფლოტისათვის (გვ. 73):

1837 — 3 შილ. 3 პენსი 1 სულ მოსახლეზე.
1890 — 10 » » »

«კოლონიები გაორკეცდა» 1866 წლიდან 1900 წლამდე კოლონიური სამფლობელოები გაორკეცდნენ (ibidem).
 «ჯერ კიდევ სერ რობერტ პილი ამბობდა: «ყოველ ჩვენს კოლონიაში მეორე ირლანდიას ვიღებთ»... (75).

19)

NB

«19 საუკუნის სწორედ მიწურულს ბრიტანეთის იმპერიამ გაუმაძღარი მადა გამოიჩინა: შთანთქმულ იქნა ბირმა. ბელუჯისტანი, ეგვიპტი, სუდანი, უვანდა, როდესია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკები... (87)...

შეკამოწმო!!

სხვათა შორის მოხსენიებულია მულტატული, როგორ აღწერს იგი ევროპის მიერ კოლონიების მართვას (104).

...«აზიის სახელმწიფოები, რომლებსაც ლორდმა კერზონმა «ინდოეთის სიმაგრის გლასისები»⁴³ უწოდა არიან: სპარსეთი, ავღანეთი, ტიბეტი და სიამა» (119).

«ინგლისი თანდათანობით იქცევა სამრეწველო სახელმწიფოდან კრედიტორ-სახელმწიფოდ. მიუხედავად იმისა, რომ აბსოლუტურად იზრდება სამრეწველო წარმოება და სამრეწველო გატანა, მაინც მატულობს პროცენტებითა და დივიდენდებით, ემისიებით, კომისიებითა და სპეკულაციით მიღებული შემოსავლის შეფარდებითი მნიშვნელობა მთელი სახალხო მეურნეობისათვის. ჩემი აზრით, სწორედ ეს ფაქტია იმპერიალისტური აღმავლობის ეკონომიური საფუძველი.

სწორია!!

კრედიტორი უფრო მტკიცედ არის დაკავშირებული მოვალესთან, ვიდრე გამყიდველი მყიდველთან* (122). NB

NB:

19 საუკუნის დამლევამდე «მონოპოლია»

«მან (პილმა) ამით» (ოქროს ვალუტა რომ უზრუნველყო, განამტკიცა) «გირჯანქა სტერლინგი აიყვანა მსოფლიო ფულის დონეზე — მდგომარეობა, რომელიც გირჯანქას მონოპოლიზებული ჰქონდა 19 საუკუნის დამლევამდე» (159).

20)

«ამ მსჯელობის დასასაბუთებლად» (ინგლისთან კოლონიების საბაჟო კავშირის სასარგებ-

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 350—351. რედ.

ლოდ) «იმოწმებენ ზიანს, რომელსაც იმპერი-
ლისტური საბაჟო პოლიტიკა აყენებს გერმანიის
ექსპორტს კანადაში. კანადა მსოფლიოში
ერთადერთი ქვეყანაა, რომლის მიმართაც გერ-
მანიის სავაჭრო ექსპანსიის ზრდა უკანასკნელ
ხანს შეჩერდა, ბრიტანეთის ვაჭრობის მძლავ-
რი აღმავლობის საწინააღმდეგოდ. აგრეთვე
შაქრის ვესტ-ინდოელ მწარმოებელთა სახეი-
როდო» (გვ. 174).

დაუებრუნდე!!

	გატანა ბრიტან- ნეიდიან (მლნ. გ. სტ.)	კანადაში გერმანიიდან	შაქრის გატანა გერმანიიდან კანადაში (მლნ. შ ა რ კ ა)
1898 — —	5.8	1.2	—
1899	7.0	1.2	—
1900	7.6	1.0	4.3
1901	7.8	1.3	6.2
1902	10.3	1.9	9.2
1903	11.1	1.8	2.4
1904	10.8	1.3	0

(NB)

(გვ. 217) შეერთებული სამეფოს ექსპორტი მლნ. გირვანქა
სტერლინგობით:

	1866	1872	1882	1902
ბრიტანეთის სამფლობელოებ- ში	53.7	60.8	84.8	109.0
ევროპაში.....	63.8	108.0	85.3	96.5
არაბრიტანეთის აზიაში, აფრი- კაში და სამხრეთ ამერიკაში	42.9	47.0	40.3	54.1
შეერთებულ შტატებში.....	28.5	40.7	31.0	23.8

«მაშასადამე, სავსებით შეიძლება ვაღიაროთ ის დიდი
შნიშვნელობა, რომელსაც იმპერიალისტები გასაღების
კოლონიურ ბაზრებს ანიჭებენ. მაგრამ, ფინანსური რე-
ფორმების მომხრეთა საწინააღმდეგოდ, უნდა აღვნიშნოთ,
რომ ინგლისს ამ კოლონიურ ბაზრებზე ბატონობისათვის
აქამდე არ ესაჭიროებოდა უპირატესი ბაჟები. საუკეთე-
სო, რის მოლოდინიც ინგლისს შეიძლება ჰქონდეს ასეთი
უპირატესი ბ.ჟებისაგან, ეს არის შევიწროება უცხოეთის
ხელა შემღწევი კონკურენციისა მომავალში».

NB

NB

...იმპერიალისტურ განწყობილებას, სხვათა შორის, ის
ფაქტი აძლიერებს, რომ «ცალკეულნი ამ» (უცხო) «პრო-

ტექციონისტული სახელმწიფოებიდან ეუფლებიან სულ უფრო ვრცელ სანედლეულო რაიონებს და ახდენენ მათს მონოპოლიზაციას მაღალი ბაჟებით დაცული საკუთარი მრეწველობისა და ნაოსნობისათვის...

...ამ მხრივ განსაკუთრებით უცერემონიოდ მოიქცნენ შვედეთელი შტატები. წინათ ნაოსნობა ვესტ-ინდოეთსა და შვედეთელ შტატებს შორის მხოლოდ და მხოლოდ ბრიტანეთის აღმით წარმოებდა. მას შემდეგ რაც პუერტო-რიკო შეეყვანილ იქნა შვედეთელი შტატების საბაჟო კავშირში და ამერიკის საკაბოტაჟო ფლოტმა უპირატე-

NB

კარგი მაგალითია!

სობა მიიღო, ბრიტანეთის სატვირთო ნაოსნობა ერთი დარტყმით იქნა განდევნილი. დამორჩილებული კუნძულის საგარეო ვაჭრობის 97% 1900 წელს ამერიკის გემებით წარმოებდა» (229).

ციფრები NB

«გერმანიის დღემდე არსებული საბაჟო ტარიფი ახდევინებდა, როგორც ინგლისის ლურჯ წიგნშია გამორკვეული, ინგლისის უმთავრესი საქსპორტო საქონლის ღირებულების დაახლოებით 25%-ს, ხოლო საფრანგეთი — 34%-ს, შვედეთელი შტატები — 73%-ს, რუსეთი — 131%-ს» (230).

NB

(ფრიალ მნიშვნელოვნია) 2-ჯერ და 9-ჯერ

«მაშინ როცა ბრიტანეთის სახალხო შემოსავალი 1865-დან 1898 წლამდე დაახლოებით გაორჯეკდა, «შემოსავალი საზღვარგარეთიდან» ამვე დროის განმავლობაში, გიფენის მიხედვით, ცხრაჯერ გაიზარდა»* (გვ. 246).

აქ რობერტ გიფენის ციტატებია. «ეკონომიური გამოკვლევები და ნარკვევები», 1904, II ტომი, გვ. 412 [და «Fabian Tract» № 7].

საზღვარგარეთ დაბანდებული კაპიტალის შემოსავალია 1898 წელს 90 მლნ. გ. სტ-დან (გიფენი)

და 118 მლნ. გ. სტ-მდე. არანაკლებ 100 მლნ. NB

NB

გ. სტ-ისა (გვ. 251): მოსახლეობა შემოსავალი (შეფასება), ე. ი. 1 სულზე
 1861—28.9 მლნ. ...311.8 მლნ. გ. სტ. = 10.7 გ. სტ.
 1901—41.4 ...866.9 = 20.9 გ. სტ.

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 355. რ ე დ.

ბრიტანეთის პროდუქტების გატანა (მხოლოდ გემები) 1000 გ. სტერლინგობით:

(22)

	(A)	(B)	(C)	სულ
	ქვეყნებში, რომლებიც დატყუი მფარველობითი ბაჟებით	ნეიტრალურ ბაზრებზე	ბრიტანეთის სამკლობელოებში	
1870	94 521	53 252	51 814	199 587
1880	97 743	50 063	75 254	223 060
1890	107 640	68 520	87 371	263 531
1900	115 147	73 910	93 547	282 604
1902	100 753	69 095	107 704	277 552

(A) = ევროპა და შეერთებული შტატები. (B) = სამხრეთ ამერიკა, აზია და აფრიკა = «ევროპისგარეშე სანედლეულო რაიონები». (C) = ინგლისის კოლონიები.

«პროფკავშირებში დარაზმული მუშები» ((დაუბრუნდე)) (ინგლისისა) «დიდი ხანია დაადგენენ პრაქტიკული პოლიტიკის გზას. საარჩევნო უფლების გაფართოებამ ისინი დემოკრატიზებული სახელმწიფო სისტემის ბატონები გახადა — მით უმეტეს, რომ საარჩევნო უფლება ჯერ კიდევ საკმაოდ შეზღუდულია, რომ გამოირიცხოს საკუთრივ-პროლეტარული დაბალი ფენა»* (298).

NB
ფრიად მნიშვნელოვანია!!

«მუშის ასეთი გავლენიანი მდგომარეობა ინგლისისათვის საშიში არ არის, რადგან ნახევარსაუკუნოვანმა პროფესიულმა და პოლიტიკურმა წვრთნამ ასწავლა მუშას თავისი ინტერესების გაიგივება თავისი მრეწველობის ინტერესებთან. მართალია, ხელფასის დონის, სამუშაო დროის და სხვა საკითხებში იგი გამოდის სამუშაოს მიმცემის წინააღმდეგ, მაგრამ გარეთ იგი მეწარმესთან ერთად არის, ყველგან, სადაც საკითხი მრეწველობის მისი დარგის როგორც ასეთის ინტერესს ეხება. მიმდინარე ეკონომიურ საკითხებში მეწარმეთა გაერთიანებანი და მუშათა კავშირები ხშირად ერთობლივად გამოდიან. მაგალითად, ლანკაშირის პროფესიული კავშირები ბიმეტალიზმს იცავენ მანამდე, სანამ ინდოეთში ოქროთი გამოანგარიშება არ დაედო საფუძვლად ვალუტას; ახლა ისინი ხელს უწყობენ მისწრაფებებს, რომელთა მიზანია ბამბის კულტურის შემოღება აფრიკაში» (299).

NB (28)

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 356. რ ვ დ.

NB ციტატები მოჰყავს ე. ბერნშტეინიდან. «ბრიტანელი მუშები და საბაჟო-პოლიტიკური იმპერიალიზმი» «Archiv für Sozialwissenschaft und Sozialpolitik»-ში. ტომი XIX, გვ. 134.

NB ახლა (1903) მუშები ჩემბერლენის წინააღმდეგი არიან (ტრედ-უნიონისტური კონგრესი 1903 წ. 458 ხმა წინააღმდეგ 2)... «ასეთივე (კოოპერატივების შესახებ) პოზიცია დაიკავა კოოპერაციულმა კონგრესმა, რომელიც მუშათა მთელ ზედა ფენას მოიცავს» (გვ. 300).

NB მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება უდავოაო. უმუშევრობა ისე ძლიერი არ არის: «ლაპარაკია» (უმუშევრობის საკითხში) «უმთავრესად საკითხზე, რომელიც ეხება ლონდონს და პროლეტარულ დაბალ ფენას, რომელსაც პოლიტიკოსები ნაკლებ ანგარიშს უწევენ»* (გვ. 301) (ავტორს ციტატები მოჰყავს: «ფაქრობის სამინისტროს ანგარიშიდან» «Labour Gazette»-იდან, დეკემბერი 1905, გვ. 355. «1905 წლის ნოემბერში ლონდონში იყო 24 077 უმუშევარი, მაშინ როცა მთელ დანარჩენ ინგლისსა და უელსში იყო 12 354») (შენ. № 400).

NB NB «ითვალისწინებენ რა ამ ფაქტებს, ინგლისის მუშათა ზედა ფენები ამჟამად ვერ ხედავენ ვერავითარ საბაბს ინგლისის საბაჟო პოლიტიკის ძირეული შეცვლისათვის» (გვ. 301).

= NB

24)

«რაც წინათ მანჩესტერის ბირჟა იყო, ახლა არის ლონდონის საფონდო ბირჟა — ბრიტანეთის სახალხო მეურნეობის ცენტრალური პუნქტი. მაგრამ მრავალფეროვან საბირჟო სამყაროში, საერთო აღიარებით, ამჟამად წამყვანი ადგილი უჭირავს ეგზოტიკური ქვეყნების ფასეულობებს: კოლონიურ, ინდოეთის, ეგვიპტის და სხვ. სახელმწიფო და კომუნალურ სესხებს, სამხრეთ ამერიკის, უწინარეს ყოვლისა არგენტინისა და იაპონიის სესხებს, ამერიკისა და კანადის რკინიგზის, სპილენძის აქციებს, მაგრამ უწინარეს ყოვლისა სამხრეთ აფრიკისა და დასავლეთ ავსტ-

* იხ. გ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 356. ტ. 1 დ.

რალიის ოქროს საბადოების აქციებს, აფრიკის ალმასის აქციებს, როდენიის ფასეულობებს და ა. შ. ...

...ამით პირველ პლანზე გამოდის და ბრიტანეთის სახალხო მეურნეობის საჭეს ხელში იღებს ახალი ტიპის ადამიანი. სამრეწველო მეწარმის ადგილას, რომელიც ფესვადგმულია სამშობლო ქვეყანაში და დამძიმებულია შენობებითა და მანქანებით, მოდის ფინანსისტი, რომელიც ფასეულობებს ქმნის იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე კვლავ გაასაღოს ისინი» (310).

«ფრანსური
კაპიტალი»

NB

ტროპიკულ ქვეყნებში მცენარეთა ზრდა გაცილებით უფრო ძლიერია. «უდიდესი მომავალი» აქვს, მაგალითად, ბანანს (მის ფქვილს), მისი წარმოების არაჩვეულებრივ სიადვილეს, — სორგოს, ფინიკს, ბრინჯს და სხვ. «ეს პროდუქტები პრაქტიკულად განუსაზღვრელი როდენობით მოიპოვება, რითაც ბათილდება მალთუხიანელთა ძველი წარმოდგენა კვების საშუალებათა შეზღუდულობის შესახებ და თავის საშიშ ხასიათს კარგავს პურის მომცემი მიწების შესაძლო გამოფიტვა» (315 — 6).

(ევროპელი აქ არ გამოდგება,
ზანგს კი ძალდაუტანებლად ვერ ასწევ-
ლიო.)

იმპერიალისტი

«ეს არის უახლესი დროის იმპერიალიზმის კულტურულ-ისტორიული გამართლება. მისი საფრთხე იმაში მდგომარეობს, რომ ევროპა პოლიტიკური ბატონობის ურთიერთობის უკიდურესი დამაბუღლობის პირობებში ფიზიკურ შრომას — ჯერ სასოფლო-სამეურნეოს და სამთამადნოს, ხოლო შემდეგ უფრო უხეშ სამრეწველო შრომასაც — დააკისრებს შავკანიან კაცობრიობას, თვითონ კი რანტიეს როლით დაკმაყოფილდება და ამით, შესაძლოა, მოამზადებს წითელკანიანი და შავკანიანი რასების ეკონომიურ, ხოლო შემდეგ პოლიტიკურ ემანსიპაციას»* (317).

NB!!

NB
(პერსპექტივა)

NB
«ევროპა»
= რანტიე
(კისერზე აზის
ზანგებს)

(25

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 355. რ. ე. დ.

«სამხრეთი ამერიკა, განსაკუთრებით კი არგენტინა, ფინანსურად ისე დამოკიდებულია ლონდონისაგან, რომ მას თითქმის ინგლისის სავაჭრო კოლონია უნდა ეწოდოს»* (318).

(ტროპიკები და სუბტროპიკები მეტწილად ინგლისის ხელშია).

NB «საზღვარგარეთ კაპიტალის დაბანდებათა შორის პირველი ადგილი უკავიათ ისეთ დაბანდებებს, რომლებიც პოლიტიკურად დამოკიდებულ ან მოკავშირე ქვეყნებზე მოდის: ინგლისი სესხს აძლევს ეგვიპტეს, იაპონიას, ჩინეთს, სამხრეთ ამერიკას. მისი სამხედრო ფლოტი უკიდურეს შემთხვევაში სასამართლოს ბოქაულის როლს ასრულებს. საკუთარი პოლიტიკური ძალა იცავს ინგლისს მოვალეთა აღშფოთებისაგან...»** (320).

NB «როგორც კრედიტორი სახელმწიფო, იგი (ინგლისი) სულ უფრო და უფრო ეყრდნობა კოლონიურ, პოლიტიკურად მეტად თუ ნაკლებად დამოკიდებულ ოლქებს, «ახალ მსოფლიოს» (ავტორს აქციტატად მოჰყავს, შენიშვნა № 422, მონაცემები 1902/3 წწ. შემოსავლის შესახებ: კოლონიური სესხებისაგან 21.4 მლნ. გ. სტ., საზღვარგარეთის სესხებისაგან — 7.56 მლნ. გ. სტ., აქედან ევროპა მხოლოდ 1.48 მლნ. გ. სტ.!!!). «ინგლისი როგორც კრედიტორი სახელმწიფო დამოკიდებული არ არის თვით ინგლისის, როგორც სამრეწველო სახელმწიფოს ფრიტრედერულ ინტერესებზე, პირიქით, ზოგიერთ შემთხვევაში იგი დაინტერესებულია კოლონიური განვითარების დაჩქარებაში ფინანსური რეფორმების საშუალებით. ასეთია შინაგანი კავშირი საფონდო ბირჟასა და იმპერიალიზმს შორის, სავარეო პოლიტიკასა და დიდი ბრიტანეთის როგორც კრედიტორის ინტერესებს შორის.

!!!

NB 26) NB «კრედიტორი სახელმწიფო თანდათანობით პირველ პლანზე გამოდის სამრეწველო სახელმწიფოს საპირისპიროდ. ყოველ შემთხვევაში დიდი ბრიტანეთის როგორც კრედიტორის შემოსავალი უკვე ბევრჯერ აღემატება მთელი სავარეო ვაჭრობის წმინდა მოგებას. 1899 წელს, როცა იმ-

* იხ. გ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 331. რედ. იქვე, გვ. 350. რედ.

პორტისა და ექსპორტის საერთო ბრუნვა 800 მლნ. გ. სტ. იყო, გიფენი საგარეო ვაჭრობისაგან წმინდა მოგებას 18 მლნ. გ. სტერლინგით განსაზღვრავდა, ხოლო საზღვარგარეთიდან სესხების პროცენტების გადასახდელად მიღებული შემოსავალი, ფრთხილი შეფასებით, უკვე 90—100 მლნ. გ. სტ. იყო. თანაც ეს უკანასკნელი შემოსავალი სწრაფად მზარდ ოდენობას წარმოადგენს, მაშინ როცა საგარეო ვაჭრობისაგან ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი მცირდება. თუ, გარდა ამისა, მხედველობაში მივიღებთ, რომ ომები და სამხედრო კონტრიბუციები, ანექსიები და კონცესიები საზღვარგარეთ აძლიერებენ მოკემული ქვეყნის ბირჟების საემისიო აქტივობას, რომ ფინანსური სამყაროს ხელმძღვანელთა განკარგულებაშია მეტი წილი პრესა იმისათვის, რომ შექმნან იმპერიალისტური განწყობილებანი, არავითარი ეჭვი არ შეიძლება იყოს იმპერიალიზმის ეკონომიური საფუძვლების შესახებ» (321).

(მაგრამ, რა თქმა უნდა, არა მარტო ეკონომიკა: იდეები, რელიგია და სხვ. და სხვ.)

«განსაკუთრებით აშკარაა ლონდონის ბირჟის უმნიშვნელოფანესი, ყველაზე ქმედითი, ფინანსური ინტერესების დამოკიდებულება პოლიტიკურ იმპერიალიზმზე: სამხრეთაფრიკელებმა ჩინელთა შრომის სახით გამარჯვების ისეთი ნადავლი მიიღეს, როგორსაც ვერასოდეს ვერ მიაღწევდნენ ვერც მოხუც კრიუგერისაგან და ვერც რეფორმირებული ფოლკსრაადისაგან⁴⁴. მათთვის ყველაზე არასასიამოვნოა ისეთი წონის მოწინააღმდეგე, როგორიც არის ჯონ ბერნსი, მოწინააღმდეგე, რომელსაც მიაჩნია, რომ უმჯობესია ჩინელები შინ ჰგაზავონ, ხოლო სამხრეთი აფრიკა გადააქციონ თეთრი პროფესიული კავშირების ბუდედ. ჯერ კიდევ სესილ როდსი, სამხრეთაფრიკელთა სათაყვანებელი, ამჯობინებდა შავკანიანთა არაორგანიზებულ შრომას, ხოლო თეთრკანიანი მოსამსახურენი, რომელთა შესახებ იგი შეიტყობდა, რომ ისინი სიმპათიებით ეკიდებოდნენ პროფკავშირებს, მას თითქოს გადაჰყავდა უდაბნო ადგილებში ქვეყნის შიგნით, სადაც მათ დაუსჯელად შეეძლოთ ექადაგნათ თავიანთი მოძღვრება ბუშმენებისა და ზულუსებისათვის. შიში თეთრკანიან

(27

!!!

!!!

NB NB მუშათა ავსტრალიის ნიმუშის მოძრაობის წინაშე ერთ-ერთი ის ბორჯილია, რომლითაც რანდის⁴⁵ სამთო მრეწველობის მაგნატები მიზმული არიან პოლიტიკური იმპერიალიზმის ეტლზე» (322).

NB (და № 424 შენიშვნაში პირდაპირ მოყვანილია)
NB (ასეთი განცხადება: ადგილობრივ, სამხრეთაფრიკელ)
NB («მრეწველობის ბელადებს» ეშინიათ ავსტრალიის მაგალითისა...

«დიდი ბრიტანეთის რანტიეთა რიცხვი დამრგვალებულად შეიძლება ერთი მილიონი ვიანგარიშით» (323).

NB	ინგლისისა და ფელის მოსახლეობა		მუშების რიცხვი მრეწველობის შთაჯარ დარგებში	%
	1851	17 928 000	4 074 000	
	1901	32 526 000	4 966 000	15

= «ერთ სულ მოსახლეზე წარმოების მუშების ხვედრითი წონის შემცირება»* ((გვ. 323))...

28) «დიდი ბრიტანეთის ცალკეულ ნაწილებს კრედიტორი სახელმწიფო უკვე აჩნევს თავის ღრმა კვალს. თუ კითხვა: სწორედ ვაჭრობის თავისუფლება ან ფინანსური რეფორმა ერთგვარი თვალსაზრისით არის ბრძოლა სამრეწველო სახელმწიფოსა და კრედიტორ სახელმწიფოს შორის, იგი ამავე დროს არის წინააღმდეგობაც სამხრეთ ინგლისის ქალაქთა «საგარეუბნო» რაიონებსა, მათი ვილებით, სადაც სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოება უკანა პლანზეა გადაწეული, და ჩრდილოეთის მწარმოებელ საფაბრიკო რაიონებს შორის. რანტიეთა კლასი დაეუფლა აგრეთვე შოტლანდიის მეტ ნაწილსაც, გადააკეთა იგი იმ ადამიანთა მოთხოვნილებების შესაბამისად, რომლებიც წელიწადში 3—4 თვეს გოლფს თამაშობენ, ავტომობილებითა და იატაკებით დასეირნობენ, ნადირობენ და ორაგულს იჭერენ. შოტლანდია მთელი მსოფლიოს ყველაზე არისტოკრატიული «სასპორტო მოედანია», იგი, როგორც ერთგვარი გაზვიადებით ამბობენ. ცხოვრობს თავისი წარსულით და მისტერ კარნეჯით** (324) (ავტორს აქ მოჰყავს ციტატები ჰობსონისაგან, ისევე როგორც არაერთგზის)).

ეს არის (III თავის) § 5-დან, რომლის სათაურიც არის: «სახელმწიფო-რანტიე».

* რ. ვ. ი. ლენინი. ობზულეზანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 355. რედ.

* იქვე. გვ. 355. რედ.

§ 6-ის სათაურია: «კაპიტალისტური დაჩაჩანაყება», ავტორს აქ მოჰყავს ფაქტები ინგლისის ჩამორჩენისა (გერმანიისაგან) სამრეწველო განვითარებაში.

სხვათა შორის შემდეგი ციფრები:

გაცემული იყო პატენტები (გვ. 347):

	დიდ ბრიტანეთს	გერმანიას	შეროშულ შტატებს
გერმანიაში (1904) — —	574	—	474
საფრანგეთში (1904) — —	917	2 248	1 540
დიდ ბრიტანეთში (1903) — —	—	2 751	3 466
იტალიაში (1904) — —	337	1 025	314
ავსტრია-უნგრეთში (1904) — —	154	962	209
რუსეთში (ფინეთის ჩათვლად) (1901) — —	146	438	196
შვეიცარიაში (1903) — —	164	897	198
კანადაში (1904) — —	310	185	4 417
შეროშულ შტატებში (1903) — —	1 065	1 053	—
ჯამი	3 667	9 559	10 814

【ჯამი ავტორს არა აქვს.】

ძველი პურიტანული სულისკვეთება გაქრა. იზრდება ფუფუნება (360 და შემდ.)... «მარტო დოლის ცხენებისათვის და ძელიებზე ნადირობისათვის ინგლისი ყოველწლიურად ხარჯავს, როგორც ამბობენ, 14 მლნ. გირვანქა სტიერლინგს»* (361)...

14 მლნ. გ. სტ. II

(29

სპორტი. პურიტანები მის წინააღმდეგ იბრძოდნენ. სპორტი «უქნარა, მდიდარი კლასის წევრთა» ცხოვრების მთელი საქმეაო (362).

«დამახასიათებელია, რომ ეროვნული სპორტის ყველაზე საყვარელი სახეები მკაფიოდ გამოსახულ პლუტოკრატიულ ელფერს ატარებენ» (362).

«ისინი (სპორტის ეს სახეები) გათვალისწინებულია არისტოკრატიული წრისათვის, რომელიც ცხოვრობს ზანგების, ჩინელებისა და ინდოელების შრომით, პროცენტებით და მთელი მსოფლიოს მიწების რენტით და რომელიც სამშობლო ქვეყნის მიწას უფრო ფუფუნების საგნად აფასებს» (363).

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 355. რ ე დ.

...«საზოგადოება, ამასთან მუშათა საზოგადოებაც, უმოქმედლო, მაგრამ მგზნებარედ დაინტერესებული მაყურებელი ხდება» (სპორტისა) (363).

...«რანტიერობა არსებითად უცხოა კულტურისათვის. იგი წარსულით და სხვისი შრომით ცხოვრობს და, როგორც მას ვ. მორისი უსაყვედურებდა, ფუფუნებაში იხრჩობა» (363).

«ინგლისისათვის საქმე ეხება იმას, საკმაოდ მაგარი აღმოჩნდება თუ არა რანტიერთა კლასის ზურგი იმისათვის, რომ გაუძლოს სოციალურ-პოლიტიკურ უღელს, რომლის დადგმასაც უპირებს მას სოციალიზმი? მოეპოვებათ თუ არა ინგლისელ რანტიებს უკვე ახლა იმისათვის საკმარისი სიმდიდრე, რომ მათ ყვლეფდნენ იმ პატივისათვის, რომ მოიხმარონ ის პროდუქტები, რომლებსაც ინგლისელი მუშები აწარმოებენ რვა საათის სამუშაო დღის პირობებში და იმ ხელფასით, რომელიც უზრუნველყოფს «საცხოვრებელ მინიმუმს»?» (374).

«სოციალური მფარველი ბაჟი», მისი იდეა; მუშა დაინტერესებულთა მაღალი ფასებით («Fabian Tract» № 116) — გვ. 375 — რათა ქვეყანა უფრო მდიდარი იყოს და შეიძლებოდეს მეტი გაუზიარონ მუშას.

30)

«იგი» (ასეთი იდეების განხორციელება) (der Ausbau), «იქნებ შესაძლებელი იყოს 20 საუკუნის ინგლისისათვის რანტიერობის ბაზაზე, რომელიც ნედლეულის ვრცელ რაიონებს აიძულებს ხარკი უხადონ მას, პროცენტისანი კუპონებითა და საღვიდენლო მოწოდებებით ანაზღაურებს ნედლეულს და კვების საშუალებებს და პოლიტიკური იმპერიალიზმის საშუალებით იცავს თავის ეკონომიური ბატონობის უფლებას. ყველგან, სადაც საქმე ეხება იმას, რომ ღრუბლებიდან ამ დედამიწაზე ჩამოვიტანოთ მომავლის სოციალისტური სახელმწიფო, უნდა აღმოჩნდეს, რომ ეს შესაძლებელია მხოლოდ სასტიკი ეროვნული ორგანიზაციის ნიადაგზე. ქვეყანა, რომელიც ყველაზე მეტად მიუახლოვდა სოციალურ უტოპიას, ავსტრალიის ფედერაცია, დაიღუპებოდა, რომ მას სიტყვებით: «პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით», გულში ჩაეკრა ჩინელი კული. ის ინგლისი, რომელზეც მუშათა პარტია ოცნებობს, არასგზით არ შეიძლება უბრალოდ უარყოფილ იქნას როგორც უტოპია, მაგრამ იგი ხელოვნური საზოგადოებრივი წარმონაქმნი იქნებოდა და დაემხოზოდა მევალეთა აღშფოთების შედეგად, რომლებსაც კრედიტორი სახელმწიფო პოლიტიკური საშუალებებით ველარ ალაგმავდა» (375).

და შენიშვნაში, № 512, ციტატი ქურნალ «Justice»-დან, 16. XII. 1905 (!), რომ «ჩვენ» უნდა «შევმუხროთ გერმანიის ფლოტი»... «კავშირს სოციალიზმსა და შოვინიზმს შორის განასახიერებს ჰაინდლმანი, — განსაკუთრებით გერმანიის წინააღმდეგ მიმართულ კავშირს» (გვ. 474).

მეტად მნიშვნელოვანი აღიარებანი:

1) სოციალიზმის «კავშირი» შოვინიზმთან.

2) სოციალ-შოვინიზმის «განხორციელების» პირობები (სახელმწიფო-რანტიე, კოლონიების მონობის პოლიტიკური დაცვა etc.)...

NB:

3) მუშების განკერძოებულობა და არისტოკრატიზმი (კული).

იდეალიზმი იმპერიალიზმის სამსახურში: (31

«სამეურნეო საქმიანობა როგორც ასეთი კიდევ არ ამალღებს ადამიანებს «ცხოველთა სამყაროზე», ამას უფრო აკეთებს მხოლოდ სამეურნეო ცხოვრების დაქვემდებარება მეურნეობაზე უფრო მაღლა მდგომი მიზნებისადმი. ამის მეოხებით, და მხოლოდ ამის მეოხებით, უბრალო მუშაკი, ისევე როგორც მსოფლიოს მპყრობელი, მეურნეობის სფეროში კულტურული ადამიანი ხდება. იდეალისტური პოლიტიკა მოსახლეობის სფეროში, იდეალისტური ეროვნული პოლიტიკა, იდეალისტური სოციალური პოლიტიკა მოითხოვს ფართო ეკონომიურ ბაზას, რომელიც ამით ჩაირთვის «მიზანთა სამეფოში», ისინი აყენებენ სულ უფრო მზარდ მოთხოვნებს, რომელთა დასაკმაყოფილებლად წარსულის მოდუნებულნი და ეკონომიურად შეზოკილი წესრიგი უკვე გამოუსადეგარია. ჩვენს წინაშე მდგომ კულტურულ ამოცანებს თავი რომ გავართვათ, ჩვენ გვჭირდება ფართო მზარბეჭი სწრაფად წინ მიმავალი ტიტანისა, რომელსაც თანამედროვე კაპიტალიზმი ეწოდება» (401).

ისერი, რომელიც ამას განახორციელებს, «ჩადგება — კაცობრიობის საკეთილდღეოდ და ღვთის ნებით — კაცობრიობის სათავეში» (402).

გერმანია
მსოფლიოს
სათავეში

დასასრული

საერთოდ ამ წიგნის მეცნიერული ღირებულება მოკარულია ჰობსონისაგან. პლაგიატორი კანტელის, რელიგიური არამზადის, იმპერიალისტის სამოსელში, ეს არის და ეს.

ლიტერატურიდან:

რიჩარდ ჯები. «გამოკვლევები კოლონიურ ნაციონალიზმზე». ლონდონი. 1905.

ა. ფ. უ. ინგრემი. «შრომა დიდ ქალაქებში». ლონდონი, (წელი?)

32)

განსაკუთრებით აღტაცებულია შულცე-გევერნიცი ეპისკოპოს უესტკოტიტ, რომელმაც «მოაწყო მეგობრული ურთიერთობა მეწარმეებსა და მუშათა ბელადებს შორის, საეპისკოპოსო სასახლეში მართავდა როგორც ერთი, ისე მეორე მხარის ხელმძღვანელ პირთა კვარტალურ კონფერენციებს... აქ ერთმანეთის პატივისცემას სწავლობდნენ ადამიანები, რომლებიც მანამდე გააფთრებით ებრძოდნენ ერთმანეთს» (გვ. 415, შენიშვნა № 53).

პოლანდი. «იმპერია და თავისუფლება». ლონდონი, 1901.

პოპპაუზი. «დემოკრატია და რეაქცია». ლონდონი, 1904.

((ბევრი რამ საინტერესოა ძველ ლიბერალურ კოლონიურ პოლიტიკაზე))

რ. კობდენი. ბროშურა, დაწერილი «ვაჭრობის თავისუფლების მომხრისა და მშვიდობის მეგობრის» მიერ. ბრემენი.

მე-2 გამოცემა 1876. კობდენი მშვიდობისა და განიარაღების მომხრე იყო.

საგულისხმო რამ არის! ჩარტიზმის შესახებ მოკლე შესავალის შემდეგ (ფრაზები «ქილიასტური ლოდინის შესახებ» (2), «ილუზიების» (2) და «მასობრივ მოძრაობებში» მათი როლის შესახებ» etc.), ადლერი პატარა თავს უძღვნის კარლიელ და მის «სოციალ-არისტოკრატიულ მოძღვრებას» (კაპიტალიზმის კრიტიკა, დემოკრატიისადმი სიძულვილი, «მოწოდება თანამედროვე სამეურნეო საქმიანობის ფეოდალიზაციისაკენ» (11), «სოციალური არისტოკრატის იდეა»). შემდეგ თავი III: «დიზრაელის სოციალური პოლიტიკა». ებრაელი, ავანტიურისტი, დაიწყო როგორც რადიკალმა, გადავიდა ტორებთან, ჩაუარდნილია ვალებში, სასაცილოდ აიგდეს პარლამენტში წარმოთქმული პირველი სიტყვისათვის (1838), დიზრაელი ტორების ბელადი და პრემიერია 1868 წელს. ატარებს მონარქიის + სოციალური არისტოკრატის იდეებს (არსებითად: თამაში პროლეტარიატთან ბურჟუაზიის ბრძოლაზე). 1867 წ. საარჩევნო რეფორმა (კარლიელი ვაფთრებით ლანძღავს მას პამფლეტში «ნიაგარის დაყოფებით — შემდეგ კი?»), მცირე დამობეები და ლაციკი მუშათა მოძრაობასთან, რომელმაც თავისი რევოლუციური ხასიათი დაკარგა, 1874—1880 წლების ბრწყინვალე საგარეო და კოლონიური პოლიტიკა. საერთო ანგარიშით = «იმპერიალ-სოციალისტი» (გვ. 22) — და სხვადასხვა ადგილას «იმპერიალ-სოციალისტური პოლიტიკა» etc.

მაგალითად: «იმპერიალ-სოციალისტი»
და სხვ., გვ. 44, გვ. 43, გვ. 35.

თავი IV ნაპოლეონ III-ის შესახებ. ასევე ავანტიურისტი, მეოცნებეა. ავტორი: «პაუპერიზმის გაქრობა» (1844). ბრწყინვალე ეკონომიური განვითარება, -- ბრწყინვალე საგარეო პოლიტიკა, -- გააფთრებული ბრძოლა მუშათა პოლიტიკურ ორგანიზაციებთან და ეკონომიური ორგანიზაციების წახალისება ((გვ. 32)), -- დამხმარე საღაროები (ლაციცი ყველა კლასთან). **ლექსისი** თავის წიგნში «საფრანგეთის პროფკავშირების» შესახებ აღიარებს ფრანგი მუშების მდგომარეობის უეჭველ გაუმჯობესებას 1850—70 წლებში და ნაპოლეონ III-ის პოლიტიკის ცნობილ წარმატებას: «დისციპლინა და მუშებისადმი მეთვალყურეობა, ერთი მხრივ, მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება—მეორე მხრივ: ასეთია იდეა, რომლისგანაც არასოდეს არ გადახრილა ლუი-ნაპოლეონის საშინაო პოლიტიკა» (ლექსისი, ციტატი ადლერის წიგნში, გვ. 34).

თავი V. «ბისმარკის სოციალური პოლიტიკა».

პრუსია «სკოლებისა და ყაზარმების» ქვეყანაა, ბუნებრივია, იმპერიალისტური სოციალური პოლიტიკის» სანიმუშო ქვეყანა გახდა» (36): ბისმარკის ბრძოლა თავისუფალ აზროვნებასთან, ლაციცი მუშებთან, საყოველთაო საარჩევნო უფლება (რომ ერთმანეთს წაჰკიდოს ბურჟუაზია და პროლეტარიატი), სოციალური კანონები... სოციალური დაზღვევა (ადლერი ხოტბას ასხამს).

დასასრულ (გვ. 43) ადლერი ამბობს, ეს «არ შეიძლება» (ჰა-ჰა!!) შევადაროთ დაცემის გზაზე მყოფი რომის ცეზარიზმს, ვინაიდან დახმარებას უწევენ არა მუქთახორაპლებეებს, არამედ მომუშავეებსო. პ რ უ დ ო ნ ი წერდა

!! (სად?) (ციტატი პ რ უ დ ო ნ ი დ ა ნ: «საზღვარგარეთიდან ჩვენ ერთ პფენიგსაც არ ვიღებთ», გვ. 43), ცეზარიზმი (რომისა) უცხო ერების ძარცვით ცხოვრობდა, ახლა ასე არ არისო.

შეად. ენგელსი
ნაპოლეონ III-ის
შესახებ
versus ბის-
მარკი

...«იმიტომ, რაც მასში მტკიცე იყო, იმპერიალ-სოციალიზმი... წარმოადგენდა... ობიექტურად მძლავრ წინწადგმულ ნაბიჯს თანამედროვე საზოგადოებაში პროლეტარიატის ჩაბმის საქმეში და ამ საზოგადოების კულტურული ამოცანების განხორციელებაში მისი დადებითი თანამშრომლობის საქმეში» (44). ((სოციალ-შოვინიზმის ფესვები!!)) — ამიტომ «იმპერიალ-სოციალიზმი» «მსოფლიო-ისტორიული მნიშ-

ვენელობის ილუზია» იყო, ვინიდან სასარგებლოა, თუმცა ვერ შეარიგა პროლეტარიატი, რომელიც მტერი იყო დიზრავლისაც, ნაპოლეონ III-საც და ბისმარკისაც.

((ადღერის ბროშურის დასასრული)).

«ბონოპარტიზმი»

ზიგფრიდი. «ახალი ზელანდია»

ანდრე ზიგფრიდი. «ახალი ზელანდია». ბერლინი, 1909. (40

(NB თავი 28: «იმპერიალიზმი».)

ძალიან სასარგებლო ნარკვევია ფართო ეკონომიური, პოლიტიკური გაქანებით. «იმპერიალიზმის» თავისებურება: კარჩაკეტილობა. სრულებით არ უშვებენ ქვეყანაში ყვითელ რასას. სასტიკი შეზღუდვები

[მაგალითად: 100 გირვანქა სტერლინგი!!! — გვ. 190] საერთოდ იმიგრაციისა. ქვეყანა სადღაც გადაკარგულშია (4 დღე ავსტრალიამდე!). ქვეყანა თითქმის იტალიის ოდენაა, მოსახლეობა კი—1 მილიონ კაცზე ნაკლები!!! (900 000—გვ. 189; 929 ათასი 1907 წ., გვ. 234; 1/2 საფრანგეთი) ((საუცხოო ჰავა etc.)).

NB

მოსახლეობის «სნობიზმი» (თავი XXI): ლაქიობა დიდკაცობის წინაშე («სერ»—საპატიო ტიტულია, რომლის წინაშე მუცლით ხოხვენ), ინგლისის მონარქიის, მეფის კარის წინაშე etc. etc. მოსახლეობის ზრდა ძალიან სუსტია.

ქვეყანა დახავსებული, ჩამორჩენილი, გონებაჩლუნგი, ეგოისტი მეშჩანებისა, რომლებმაც ინგლისიდან თან ჩაიტანეს «კულტურა» და ზედ წვანან როგორც ძალი თივაზე. (მკვიდრი მცხოვრებლები—მაორები—გაჟლიტეს; ცეცხლითა და მახვილით; მთელი რიგი ომები.)

მაგალითი: დენა გადასახლებული (1893, 1898—) ავსტრიელი (NB) მუშებისა (გვ. 191): «მუშათა პარტია» სდევნილა.

ქალთა თანასწორუფლებიანობა. — ბრძოლა ალკოჰოლიზმთან. — ხუცობა: გაძლიერებული რელიგიურობა; უამრავი სექტები.

ავსტრალიასთან შეერთების წინააღმდეგი არიან: ჩვენ ჩვენდა თავად ვართო. ჩვენ «დედამიწაზე საუკეთესო ქვეყანა ვართო» (293) (!)...

«ახალი ზელანდიის იმპერიალიზმი» (გვ. 294)... მისი «განსაკუთრებული ფორმა» (ibidem)... «კოლონიური ჯინგოიზმი» (295 idem 296), რომელსაც შეიძლება «ავსტრალაზიური იმპერიალიზმი» ეწოდოს (295).

NB.

იმპერიალიზმის ორი მიმდინარეობა (ორივეს შერიგება სავსებით შეიძლება):

NB: 1) დიდმპყრობელური იმპერიალიზმი (მონაწილეობა დიდი ბრიტანეთის იმპერიალიზმში).

«ლოკალური იმპერიალიზმი» || 2) «ლოკალური იმპერიალიზმი» (295)—თავისთავად განვითარებულია... კარჩაკეტილობა. || **NB**

პროტესტები ახალ კალედონიაში ფრანგების ყოფნის წინააღმდეგ—გერმანელების მიერ სამოას დაკავების წინააღმდეგ (297) და ა. შ. შეუთრგებელი მტრობა ამის გამო «დიდი ახალი ზელანდიის» თვალსაზრისით...

1901 წ. VI-ში ახალმა ზელანდიამ კუკის არქიპელაგის ანექსია მოაქდინა. — — —

ახალი ზელანდია = დიდი ბრიტანეთის ყველაზე «ერთგული», ერთგულქვეშევრდომული კოლონია.

სახელმწიფო ვალი: 51.2 მილიონი გირვანქა სტერლინგი (66.5-დან) —ინგლისის კაპიტალები	არქიპატრიოტები ბურების ომში (307) ... (ჯარები გაგზავნეს ბურების წინააღმდეგ)...
ვაჭრობა—66% ინგლისთან.	

პრემიერი სედონი—ავსტრალაზიის იმპერიალიზმის წარმომადგენელი. «წმინდა წყლის იმპერიალისტი» (310)... (გარდაიცვალა 10. VI. 1906. იყო პრემიერი (1893—1906) (გვ. 71))

- მისი 1-ლი გამგზავრება ინგლისში—1897
- » მე-2 » » 1902

NB | «სოციალური პოლიტიკისათვის მოწინავე მებრძოლმა დაიწყო მასში (სედონში) მეორე პლანზე უკანდახევა და პირველი ადგილი დაუთმო იმპერიალისტურ და პროტექციონისტულ სახელმწიფო მოღვაწეს» (311). თუმცა იგი რეფორმატორია

NB | (ახალ ზელანდიაში რეფორმების მომხრეა)—ინგლისში ტორებს ელაქუცებოდა. კონსერვატორები აქებდნენ «სოციალისტ სედონს» (311), «The Times», 18. VI. 1902: დიდება სედონს, რადიკალს, დემოკრატს, იმპერიალისტს!! (ციტატი, გვ. 311).

პრეფერენციული ტარიფების იდეისა და პრაქტიკის ზრდა...

მათი «სოციალიზმი»: «ახალზელანდიელები პრაქტიკულნი და ოპორტუნისტულნი არიან ცინიზმამდე» (67) — — — აგრეთვე მუშებიც (67), ისინი სავსებით «კონსერვატიული» არიან, მათ აქვთ რა «დაიცვან» (ibidem).

(41)

NB

(სედონი — «ლიბერალური პარტიის მუშათა ფრაქციის» წარმომადგენელი (68)).

კანონები შრომის დაცვის შესახებ — საფაბრიკო ინსპექცია — და შინ მუშაობისა — 48 საათის სამუშაო კვირა (1901 წ. კანონი) მამრობითი სქესისათვის; 45 საათი მდედრობითი სქესისათვის — ხელფასის მინიმუმი etc.

იძულებითი სამედიცინო სანსამართლოები etc.

ყოველივე ამის «გასაღებია» პროტექციონიზმი (140) და სამრეწველო აყვავება... ((თავისუფალი ვაჭრობის დროს ვერ იბოგინებდა))... პენსიები მოხუცებულებს (65 წელი)...

NB: || მუშების მოსყიდვა სოციალური რეფორმებით იმპერიალისტური ბურჟუაზიის მხრივ

მიწის წვრილი საკუთრების შექმნა; ღიდი მამულების (რომლებიც უაღრესად უსინდისოდ წაართვეს და სხვ. მათებს და სხვ.) გამოსყიდვა (გაყიდვა წვრილ-წვრილად) — ეს დემოკრატიკაა და არა სოციალიზმი» (175). ((სწორია!))

«მსხვილი მიწათმფლობელობის გადაქცევა წვრილად! ამას საფრანგეთის რევოლუციაც აკეთებდა» (175)...

ჰიოტჩი. «რუსეთის თურქესტანი»

ოტო ჰიოტჩი. «რუსეთის თურქესტანი და რუსეთის თანამედროვე კოლონიური პოლიტიკის ტენდენციები»... (42)

Schmoller's Jahrbuch», გამოცემის 37-ე წელი. 1913, მე-2 ნაკვეთი).

((ავტორმა იცის რუსული, თვითონ ყოფილა თურქესტანში NB და კარგად შეუსწავლია ლიტერატურა)).

რუსეთი ხმარობს 11 მილიონ ფუტამდე ბამბას (100 მილიონი მანეთი) თურქესტანიდან (+ ხივა + ბუხარა), დაახლოებით 11 — 12 მლნ. ამერიკიდან. NB

35. ვ. ი. ლენინი, ტ. 39.

თურქესტანი = 1.5 მლნ. კვ. ვერსი (1 კვ. ვ. = 1.18 კვ. კმ.)
 ხივა 0.05
 ბუხარა 0.2

$\Sigma = 1.75$ (თითქმის ოთხჯერ მეტი გერმანიაზე). მოსახლეობა [თურქესტანისა] = 5.3 მლნ. (1897) და 6.7 მლნ. (1910).

მოსახლეობა ნარევი «ინდურ-ირანული», მეტწილად «თურქულ-მონღოლური».

ყველგან რუსეთის დიდი ბანკების განყოფილებებია...

...«გაცხოველებული კოლონიურ-ეკონომიური ცხოვრებაა, რომელიც სულ უფრო ვითარდება»... (გვ. 388)...

აქ მეფობს ისლამი. რელიგიის სრული თავისუფლებაა. პანისლამიზმი:

პანისლამიზმი
 რუსეთში

NB || ...«ჩრდილოეთის, ვოლგის რაიონის (ნო-
 ლაელები) და დასავლეთ ციმბირის მუსლი-
 მან თათრებს პანისლამისტური აგიტაცია
 || შეაქვთ მუსლიმანი სარტებისა და ყირგი-
 ზების ამ მხრივ მშვიდ წრეში. ეს თათარი
 ინტელიგენტები ახლა ლიტერატურული
 და პოლიტიკური მხრივ ეკუთვნიან ისლამის
 მოწინავე ელემენტებს, მის ყველაზე ენერ-
 გიულ და გავლენიან მომხრეებს. და უწი-
 ნარეს ყოვლისა მათ უნდა უმაღლოდეს
 ისლამი თავის გაძლიერებას შიგნით და
 || გარეთ და თავის კულტურულ ზრდას.
 1880 || 1880 წელს რუსეთში ითვლებოდა 11 მლნ.
 და || მუსლიმანი, მთელი მათი ნაბეჭდი ლიტე-
 რატურა 7—8 წიგნისაგან შედგებოდა; მათ
 || ჰქონდათ ერთი სტამბა, ჰყავდათ 4 ბელადი
 და უმაღლესი განათლების მქონე 12 კაცი,
 || მათ რიცხვში 1, რომელიც დასავლეთ ევრო-
 პაში სწავლობდა. 1910 წელს ისინი უკვე
 1910 || 20 მლნ. იყვნენ; მათ ჰქონდათ 1000-ზე
 მეტი ნაბეჭდი წიგნი, 14 სტამბა და 16 პე-
 || რიოდული გამოცემა, ჰყავდათ 200 კაცი,
 რომლებმაც უმაღლესი განათლება მიიღეს
 || რუსეთში, და 20 — დასავლეთ ევროპაში,

100-მდე ლიტერატორი, ჰქონდათ 6 უმაღლესი და 5000 დაბალი სკოლა, 37 საქველმოქმედო დაწესებულება, 3 პატარა ბანკი და 3 სასოფლო ბანკი¹⁾. სწორედ ეს დიდი «მუსლიმანური» მოძრაობა, რომელიც შეეხო ისეთ ტომებსაც, როგორც არიან ვოტიაკები, ჩერემისები, ჩუვაშები, გამოკვლეულ იქნა ერთ ნაშრომში...²⁾ განსაკუთრებით სასკოლო და საგანმანათლებლო საქმის დარგში. უკანასკნელი 10 წლის მანძილზე რუსეთის მუსლიმანური მოსახლეობა ძლიერ განვითარდა კულტურის მხრივ: ყაზანის თათრებში 150 კაცზე ამჟამად მოდის 1 მეჩეთი და 1 მოლა, იმავე რაიონის რუსებში და არარუსებში 1 მღვდელი მოდის მხოლოდ 1500 სულზე; პირველებს ერთი სკოლა აქვთ ორივე სქესის 100 სულზე; მართლმადიდებლებს — ერთი 1500—3000 კაცზე. წიგნისა და საგაზეთო ლიტერატურის გავრცელება მუსლიმან თათრებში შედარებით კიდევ უფრო მაღალია. თუ ეს კულტურული უპირატესობა და სიცოცხლისუნარიანობა იწვევს არარუსი ტომების, როგორც ქრისტიანების, ისე წარმართების, უფრო ადვილ ასიმილაციას მაჰმადიან თათრებთან, ამჟამად უკანასკნელნი ძლიერ შეშფოთებული არიან მთავრობის ნაციონალისტური სასკოლო პოლიტიკით, რასაც სათათბირო უჭერს მხარს» (სწავლების ენა!), «და იქითკენ იხრე-

1880 და 1910:

12—200 დიდად
განათლებული
ადამიანი

1—14 სტამბა

0—16 პერიოდული გამოცემა

8—1000 წიგნი

NB

(4)

!!!

1:100

1:2000

NB:

1) ოსტროუმოვი. «ისლამის სამყარო». ტაშკენტი, 1912.

იგივე. «სარტები». ტაშკენტი, 1908.

იგივე. «ყურანი და პროგრესი». ტაშკენტი, 1903.

NB

2) ეპისკოპოსი ანდრია დან. ვ. ნიკოლსკი. «ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სტატისტიკური ცნობები აღმოსავლეთ რუსეთის არარუსებზე». ყაზანი, 1912.

დაახლოება
მაჰმადიანებთან.
ინდოეთი
და ჩინეთი

«ჩრდილოეთი-
დან»...
«შფოთი»

ბიან, რომ ნაკლებ დამყოლნი გახდნენ და შეუერთდნენ აღმფოთებას, რომელმაც ამჟამად მოაცვა მთელი მაჰმადიანური სამყარო, და მზად არიან დასაყრდენი ექებონ ჩინეთისა და ინდოეთის მაჰმადიანებთან. თურქესტანის მუსლიმან მოსახლეობასთან კავშირი ამასთან თავისთავად იქმნება; და მართლაც, ჩრდილოეთიდან მათში უკვე შეაქვეთ პანისლამისტური შფოთი. რუსეთის მთავრობას ეშინია ისლამის თათარი მიმდევრების ამ შეღწევისა და შეძლებისამებრ არ უშვებს მათ თურქესტანში. მართალია, რუსეთის სასკოლო პოლიტიკა თურქესტანში სულაც არ არის ნაციონალისტური... რელიგიისა და მშობლიური სკოლის თავისუფლება. სარტები ხალისით სწავლობენ რუსულად: სკოლებში, «სადაც სწავლება რუსულ ენაზეა, ხალისით დადიან მკვიდრი მცხოვრებლები»... «ეკონომიური ცხოვრების გავლენით პრაქტიკული სარტისათვის სულ უფრო ნათელი ხდება რუსული ენის, როგორც საერთო საქმიანი და სახელმწიფო ენის მნიშვნელობა». «მეტად თანდათანობით» ხდება «კულტურული გარუსება» (406—409)...

რწყვის შესახებ, სხვათა შორის, გვ. 362 მე-3 ნაკვეთში: იმიერკასპიის ოლქში + სირ-დარის + სამარყანდი + ფერგანა — $2\frac{1}{4}$ მილიონი დესეტინა სარწყავი მიწა, აქედან 1. მილიონი უჭირავს ხორბალს, 0.379 ბამბას.

Ergo (გვ. 363) მთელი მიწიდან — 159 მილიონი დესეტინიდან $156\frac{3}{4}$ მშრალი და უნაყოფოაო; მხოლოდ $2\frac{1}{4}$ ხელოვნურად ირწყვება.

ლიტერატურა:

NB. გრაფი იორკ ფონ ვარტენბურგი. «რუსეთის სახელმწიფოს შეღწევა აზიაში». ბერლინი, 1900.

გ. ვამბერი. «რუსეთის ძლიერება აზიაში». ლაიპციგი, 1871.

კერზონი. «რუსეთი ცენტრალურ აზიაში». ლონდონი, 1889.

აბაზა. «თურქესტანის დაპყრობა». სპბ., 1902.

სოციალიზმი ჩინეთში

«Die Neue Zeit», 1913 — 14, XXXII, 1, გვ. 711—2.

ა. ჯეკსის (შანხაი) სტატიის შინაარსის გადმოცემა «The (44) Socialist Review»-ში (1913, № 1).

სტატიის სათაურია «რეაქცია ჩინეთში».

ავტორი იძლევა ჩინეთის სოციალისტური პარტიებისა და ორგანიზაციების სტატუტების თარგმანს. მათი «ბუნდოვანობა», «ყეთილი სურვილები» განსაცვიფრებელიაო. ჩინურად სოციალიზმი და საზოგადოება ერთი სიტყვაა (ში გუი). მთელი რიგი სოციალისტები სიკვდილით იქნენ დასჯილი. მუშა ვენმა (შანხაიდან) (სიკვდილით დასჯილია) დააარსა «ჩინეთის რესპუბლიკის მუშათა პარტია». ამ პარტიამ 1913 წ. დამდეგს წარმატებით ჩაატარა ვერცხლის მჭედავთა 3-დღიანი გაფიცვა შანხაიში. პროგრამა უაღრესად გაურკვეველია.

იყო «ჩინეთის სოციალისტური პარტიაც» — «წმინდა (sic!) სოციალისტური პარტიაც». ხელმძღვანელები მეტწილად სიკვდილით დასჯილი არიან. პარტიები გაანადგურა იუან ში-კაიმ.

სოცია-
ლიზმი

ჩინეთში

ნაჰასი. «ეგვიპტელი ფელახის ეკონომიური და სოციალური მდგომარეობა»

ეოზეფ ფ. ნაჰასი. «ეგვიპტელი ფელახის ეკონომიური და სოციალური მდგომარეობა».

(დისერტაცია.) პარიზი, 1901.

შეგირდული ნაწარმოებია. არის ციტატები ლიტერატურიდან.

ფელახების საშინელი სიღატაკის აღწერა (მეტად მოკლე), ცხოვრობენ თიხატკეპნილ ქოხებში, უავეჯოდ, პირუტყვთან ერთად, მუშაობენ დილიდან ღამემდე. დაბეჩავებულობა, უმეცრება — როგორც რუსეთში.

ეგვიპტელი
ფელა-
ხები

თვალსაზრისი — უაღრესად დამახასიათებელია: ლიბერალურ-ნაროდნიკული, მთლად ისე, როგორც 1880 — 1900 წლების რუსეთში!!

გვ. 38, შინიშენა. ინგლისი ახრჩობს მრეწველობას!!!

«ნოიე ცაიტ», XXX, 1

კაუპკი. «მასის მოკმედება»

«Die Neue Zeit» XXX, 1 (1912).

NB: გვ. 45 (კარლ კაუცკი). მასები = 30 მილიონი. $\frac{1}{10}$ ორგანიზებულია. NB.

ლინკი. «შემნახველი სალაროები საქველმოქმედო
დაწესებულებებშია თუ არა?».

გვ. 60. შემნახველი სალაროები: შემნახველი სალაროების წიგნაკების $\frac{1}{4}$ = ანაბრების საერთო თანხის 87%. (პრუსია 1909.) (600 მარკაზე მეტი ანაბრები.)

სახელმწიფოთა მოსახლეობის გამონაბარიშება

	სახელ- მწიფოთა რიცხვი	მოსახლე- ობა მილი- ონით (და- ახლოებით)	{ მ. შ. დამოკი- დებული }	მათ შორის კოლონიები: რიც- ხვი	(მოსახლე- ობა) მლნ.
(ა) დასავლეთი ევროპა	15	220	(10—15)	2 —	0.2
ამერიკა	23	145	(არ არის?)	7 —	13.5 (?)
Σ	38	365	(10—15)	9....	14 (?)
(ბ) აღმოსავლეთი ევროპა და აზიის მისი ნაწილი	12	215	(90—100?)	5....	25 (?)
(გ) დანარჩენი აზია, აფრიკა და ავსტრალია	64 (?)	870	ნახევრად-დამოკიდებული 300-მდე?	60....	480 (?)
Σ	114 (?)	1450	100—115	74....	519

	კვ. კმ. მლნ.	მოსახ- ლეობა მლნ.
იბონია.....	0.4	46.6
ჩინეთი.....	3.8	319.6
	+ 7.3	10.6
ფლანეთი.....	0.8	4.6
სპარსეთი.....	1.8	9.0
(4)		<u>390.1</u> + 480
	0.2	
	7.9	870
	0.04	
	0.4	კოლონიები
	0.14	498.6
	8.8	17.3
	<u>17.3</u>	<u>481.2</u>

მოსახლეობა მლნ.	დამოკიდებული	კოლონიები
α) 400	< 5%	< 5%
β) 250	40—50%	10%
γ) 900		> 50%
<u>1550</u>		

დაახლოებით 480 მილიონი
? 60—100 (?)

სულ	მოსახლეობა მლნ. მათ შორის	კოლო- ნიები
	დამოკი- დებული	
α 400	20 + 20 =	40 10%
β 250	100 + 25 =	125 50%
γ 900	— + 500 =	500 60%
<u>1550</u>	<u>120 + 545 =</u>	<u>665</u>

	კვ. კმ. (მილიონობით)	მოსახ- ლეობა	მ. შ. დამოკი- დებული	კოლო- ნიები	მოსახლეობა მილიონობით
რუსეთი	5.3	106.2	დაახლოებით 60		
+					
ბიკა.....	0.08	0.5	} 24.6 }	}	(5)
ბუნარა.....	0.2	1.5			
კაკასია.....	0.5	9.2			
შუა აზია.....	3.5	7.7			
ციმბირა.....	12.5	5.7			
რუსეთი.....	22.1	130.8		(60?)	(5) — 24.6
ავსტრია-უნგრეთი...	0.8	45.3	(დაახლოებით 25)	?	—
სერბია.....	0.05.....	2.5		?	—
რუმინეთი.....	0.1	5.9		?	—

	კვ. კმ. (მილიონობით)	მოსახ- ლეობა	მ. შ. დამოკი- დებული	კოლო- ნიები	მოსახლეობა მილიონობით
ბულგარეთი.....	0.1	3.7	?	—	—
საბერძნეთი	0.06.....	2.4	?	—	—
თურქეთი.....	0.1	5.9			
+			(?)		
აზია.....	1.8	17.2			
	<u>1.9</u>	<u>23.1</u>	(10?)		

[უარაბეთოდ? + 2.5 კვ. კმ., 1.3 მილიონი მოსახლეობა

213.7 (90—100) (5) 25 (?)

	სახელმწიფოთა რიცხვი დამოუკიდებელი	დამოკიდებული	
α 38	29	+ 7	$\begin{array}{r} 7 \\ + 5 \\ \hline 12 \end{array}$
β 12	7	+ 5	
γ 64	2—4	—60—62	

დასავლეთი ევროპა და ამერიკა:

აღმოსავლეთი ევროპა:

ავსტრია-უნგრეთი

რუსეთი, ბალკანეთი და თურქეთი (აზიის ნაწილი, მაშასადამე მათ შორის):

დანარჩენი აზია, აფრიკა და ავსტრალია:

რვეული

«წ»
(«ძსი»)

შინაარსი

წ

ომი და იმპერიალიზმი

ბერნჰარდი	[5—10]
რიუდორფერი	[11—19]
მაკკეი: ჩინეთი	[20—22]
ლიუკასი	[22—23]
ბელგერი	[24—26]
რორბახი	[27]
სარტორიუს ფ. ვალტერსჰაუ- ზენი	[28—30]
კრომერი	[33]
რიუდორფერი NB 16 გვ.	
ბელგერი NB 26 გვ.	

ინგლისი (1897—1911)—998.5 მლნ. გირვანქა სტერლინგი
19.97 მლრდ. მარკა
გერმანია 5490 მლნ. მარკა
5.5 მლრდ. მარკა.

ამონაწერები გაზეთებიდან

«L'Écho de Paris», 13. X. 1914.

«იუნიუსის სტატია» უფოსა და ლეგინის საუბრის გამო.

...«რა გაკვეთილს წარმოადგენს, — თუ ჩვენი სინდიკალისტები მოისურვებენ მის გამოყენებას, — ბ-ნ უფოს, შრომის საყოველთაო კონფედერაციის მდივნის, ეს საუბარი გერმანულ სოციალისტ დეპუტატ ბ-ნ ლეგინთან — ა. წ. 24 ივლისს და ბრიუსელში — თარიღი და ადგილი სიმბოლურია. «რის გაკეთებას ვარაუდობთ, რომ თავიდან აიცილოთ ომი?» — ეკითხება ბ-ნი უფო. «გადაწყვიტეთ თუ არა გამოსვლა? ჩვენ, ჩვენი

(1)

მხრივ, მზად ვართ გიპასუხოთ თქვენს მოწოდებაზე». და იგი დასძინა: «და მიუხედავად იმისა, რომ ეს შეკითხვები რამდენჯერმე იქნა გამეორებული, ლეგინს... არავითარი პასუხი არ მიუცია. ჩვენ დაეტოვეთ ბრიუსელი იმაში დარწმუნებულებმა, რომ ჩვენი ნდობა გერმანიის ორგანიზაციების კეთილი ნებისადმი უნდა გაქრეს». რა დასკვნა გამოჰყავს მას თავისი მარცხიდან? განუვარძობ მისი ტექსტის ციტირებას: «ჩვენ შევადგენთ საბრალდებო აქტს, რომელიც ყველას მოაგონებს: საერთაშორისო ურთიერთობა მტკიცე და მყარი რომ გახდეს, ამის ერთადერთი საშუალებაა ყველგან წარმოებდეს ერთი და იგივე მუშაობა მშვიდობის სასარგებლოდ და ომის წინააღმდეგ». მოვლენებმა ეს არის დაუმტკიცეს მას, რომ ეს ერთობლივი მუშაობა შეუძლებელია. ეს მოვლენები მას შემთხვევითი ჰკონია და კვლავ იცავს უტოპიას, რომლის შეცდომები აგათროლოებს, მათზე რომ გაიფიქრებ. რა მოხდებოდა, ბ-ნი ლეგინი ნაკლებ პატროსანი ადამიანი რომ გამომდგარიყო და თავისი მიაშიტი თანამოსაუბრისათვის აღეთქვა დახმარება, რომელიც შეძლევაში არ იქნებოდა აღმოჩენილი?» მაგრამ ნუ ვიფიქრებთ კატასტროფებზე, რომლებიც არ მომხდარაო. და შემდეგ ჰკუთის სწავლება ბ-ნ ეუოს:

«ბ-ნ ეუოს ტიპის გონების ადამიანები აღიარებენ, და ისინი არც სცდებიან, რომ არსებობს კლასობრივი ან, უფრო სწორად, პროფესიული ინტერესები... მაგრამ ისინი ვერ ამჩნევენ ერთ რამეს, სახელდობრ იმას, რომ ვერავითარი პროფესია ვერ იარსებებს ქვეყნის გარეთ. მუშა და გლეხი, ისევე როგორც ბურჟუა, სანამ რომელიმე კლასს ეკუთვნოდეს, ვერ შედის გარკვეული ერის შემადგენლობაში... მაშასადამე, თუ მშრომელი ეკუთვნის გარკვეულ ქვეყანას, სანამ გარკვეულ კლასს ეკუთვნოდეს, ქვეყნის ინტერესი კლასის ინტერესზე მაღლა დგას. საერთაშორისო სინდიკალიზმის ყველა შეცდომის მიზეზია გაუგებლობა ამ დამოკიდებულებისა, რომელიც საგანთათვის ბუნებაშია. ლაპარაკია არა კლასობრივი ინტერესის შეუფასებლობაზე. ლაპარაკია იმაზე, რომ განისაზღვროს მისი ადგილი... ინტერნაციონალიზმის ყალბმა დოგმატებმა ერთ საათსაც ვერ გაუძლო აშკარა ეროვნულ აუცილებლობას... ჩვენ ვთავაზობთ მათ» (მათ, სანდიკალისტებს) «მხოლოდ იმას, რომ შეიგნონ ამ ომის გაკვეთილები და რომ, როცა იფიქრებენ თავიანთ კლასობრივ ინტერესებზე, იფიქრონ მათზე ეროვნულ ინტერესებთან კავშირში. მაშინ ჩვენ ადვილად შეგვეძლება შევთანხმდეთ». ი უ ნ ი უ ს ი. (სტატიის დასასრული.)

**Volksrecht*, № 241, 16. X. 1914.

B. «რა დაჯდა ღღემდე ომის წარმოება».

ომის ღირებულება:

ომის პირველი 2 თვის განმავლობაში
 ყველა მეომარი სახელმწიფო — 6 250 მლნ. ფრანკი
 გერმანია — 1 800 მლნ. მარკა = 2 250 მლნ. ფრანკი

მ. შ. ავსტრიისათვის, რომელსაც ფინანსების საქმე
 ცუდად აქვს

ინგლისი —————	2 150
(აქედან თავისთვის იქნებ $\frac{1}{3}$)	
	4 400 მლნ. ფრანკი
საფრანგეთი	1 040 » »
რუსეთი 300 მლნ. მან. =	750
Σ =	6 190 » »
რუსეთი —	750
საფრანგეთი	1 040
	1 790

$6\ 250 - 4\ 400 = 1\ 850 - 1\ 040 = 810$

«მომდევნო რვა კვირა ომისა ორჯერ მეტი დაჯდება»...

ლერუა-ბოლიო — იხ. «*L'Humanité*» — ანგარიშობს 1 მილიარდს თვეში 5 დიდი სახელმწიფოდან თვითთულზე, 7 თვეში. $5 \times 7 = 35 + 15$ მცირე სახელმწიფო და ნეიტრალურები. $\Sigma = 50$ მილიარდი.

ქრისტიანი მღვდლები ომის შესახებ:

მღვდელმა ბაბიუმ (ფრანგი) წამოაყენა დეკლარაციის პროექტი (და გაუგზავნა იგი გერმანელ მღვდლებს): «ქვემოთ ხელისმომწერნი, გერმანიის, ინგლისის, ავსტრიის, საფრანგეთის, რუსეთის, ბელგიისა და სერბიის ქრისტიანები, აღელვებულნი და დამწუხრებულნი კონფლიქტით, რომელიც ანადგურებს და სისხლით რწყავს ევროპას, აცხადებენ:

1° ღრმად უყვარს რა თვითთულს თავისი სამშობლო, მათ არა სურთ გააკეთონ ან თქვან რაიმე ისეთი, რაც არ შეეფერება გულწრფელ და მგზნებარე პატრიოტიზმს, რომელიც მათ აღაფრთოვანებს,

2° მაგრამ ამასთან ერთად მათ არ შეუძლიათ დაივიწყონ ან უარყონ ის; რომ ღმერთი ყველა ერის ღმერთია და ყველა ადამიანის მამა, რომ იესო ქრისტი ყველას მაცხოვარია; რომ

მან თავის მიმდევრებს უბრძანა ძმებად მიაჩნდეთ ერთმანეთი და ძმებზეთ უყვარდეთ ერთმანეთი და რომ ევანგელიკური სარწმუნოებისათვის, როგორც წმ. პავლე ამბობს, არ არის არც ელინი, არც იუდეველი, არც ბარბაროსი, არც სკვითი — და, მაშასადამე, აღარ არის გერმანელი და ფრანგი, ავსტრიელი და რუსი, არამედ ყველაფერსა და ყველაში ქრისტია.

- 3) ამიტომ ისინი ვალდებულებას კისრულობენ ღმერთის წინაშე და ღვთის დახმარებით განდევნონ თავიანთ გულთაგან ყოველი სიძულვილი იმათდამი, ვისაც ისინი ვალდებულნი არიან ამჟამად უწოდებდნენ მტრებს, და გაუწიონ მათ სიკეთე, თუ შემთხვევა მიეცემათ; გამოიყენონ მთელი გავლენა, რომელიც მათ შეიძლება ჰქონდეთ. იმისათვის, რომ ომი წარმოებდეს მაქსიმალურად შესაძლო ჰუმანურობით, რომ გამარჯვებულმა, ვინც უნდა იყოს იგი, ბოროტად არ გამოიყენოს თავისი ძალა, რომ პატივს სცემდნენ სუსტების პიროვნებასა და უფლებებს; ისინი ვალდებულებას კისრულობენ წინანდელი ძმური სიყვარულით უყვარდეთ სარწმუნოებით თავიანთი ძმები, რა ეროვნებასაც არ უნდა ეკუთვნოდნენ ისინი, ევედრონ ღმერთს ომის უკლებლივ ყველა მსხვერპლისათვის, დაბეჭითებით შესთხოვონ მას, რათა ომის საშინელებანი მალე შეცვალოს სამართლიანი და საბოლოო მშვიდობის სიკეთით და რომ ბედშავმა და სასტიკმა ამბებმა, რომლებსაც ჩვენ ვხედავთ, მოახლოოს ღვთის სასუფეველის დადგომა».

(«Journal de Genève», 17. X. 1914.)

ეს წერილი დაწერილი იყო 1914 წ. 4 აგვისტოს. გაუგზავნა ბ-ნმა ბაბიუმ, პატივცემულმა ნიმელმა პასტორმა, ბ-ნ დრიანდერს, გერმანელს, კარის მქადაგებელს ბერლინში.

ამ დრიანდერმა თავისი და კიდევ ორი მღვდლის (ლაჰუზენი და აქსენფელდი) ხელმოწერით უპასუხა («Journal de Genève», 18. X. 1914) 1914 15. IX-ის გრძელი წერილით, რომ

...«ჩვენ ხალისით გამოვთქვამთ ჩვენს თანხმობას 1 და 2 წინადადებაზე. ისინი ყველა ქრისტიანის საერთო კუთვნილების ნაწილს შეადგენენ. პატრიოტიზმი და ქრისტიანობა ერთმანეთს კი არ გამოირიცხავენ, არამედ, პირიქით, ურთიერთს გულისხმობენ» —

დანარჩენს კი ვიღებთ პრინციპში, მაგრამ ხელს ვერ მოვაწერთ, რადგან არა გვსურს მივცეთ საბაბი, თუნდაც სულ შორეული, იფიქრონ, რომ გერმანია ომს ეწვევა არა თანახმად ჰუმანურობის პრინციპებისა etc. ჩვენ არ გვინდოდა

ომი, ჩვენ მშვიდობიანი ხალხი ვართო etc. etc. თავდამსხმელი მხარე ინგლისელები არიანო და სხვ. etc. etc. და ა. შ.

NB. «Volksrecht» (1914) № 239 («მარადიული მშვიდობისა- (4 კენ») და № 242 (ბერნშტეინი)
«Frankfurter Zeitung» (1914) № 291 (II დილის გამოშვება)
20. X. (შეიღებანი ომს ემხრობა).

ბერნჰარდი. «ბერმანია და უახლოესი ომი»

ფ რ ი დ რ ი ხ ფ. ბ ე რ ნ შ ა რ დ ი. «გერმანია და უახლოესი (5 ომი». ბერლინი, 1913 (მე-6 გამოცემა) (გვ. 345).

მე-6 გამოცემის წინასიტყვაობა დათარიღებულია 1913 წ. თებერვლით.

ტიპიური სამხედრო წიგნია, რომელშიც გამოთქმულია სინანული გერმანელთა მშვიდობისმოყვარეობის გამო etc. etc. ავტორს ხშირად მოჰყავს ციტატები თავისი ორტომიანი ნაშრომიდან თანამედროვე ომზე.

ომისათვის, მისი საჭიროებისათვის ხოტბის შესხმა («შემოქმედებითი და გამწმენდი ძალა»: გვ. 9)... [თავი I. «ომის უფლება»; თავი II. «ომის აუცილებლობა».]

გოდება იმის გამო, რომ გერმანიამ ფარხმალი დაყარა მაროკოს ინციდენტში და დაუთმო საფრანგეთს (გვ. 17 და სხვ.).

«ქრისტიანული მორალი პირადი და საზოგადოებრივი მორალია და თავისი არსით არასოდეს არ შეიძლება პოლიტიკური იყოს» (24—25).

სიძულვილი სოციალ-დემოკრატებისადმი: ისინი პარტიულ ბრძოლაში «პრინციპულად სიცრუისა და ცილისწამების მომხრენი არიანო» (32). ისინი «რევოლუციის მომხრენი» არიანო (73)... (idem, 75)

ჰეგელი, ლიუტერი ომს ემხრობიან etc.

...«ამასთან გერმანელებს სრულიად არა აქვთ რევოლუციური სული, მიუხედავად სოციალ-დემოკრატი წამქეზებლების ყველა უშინაარსო დეკლამაციისა. მთელი მათი ბუნება უბიძგებს მათ ჯანსაღი კანონზომიერი განვითარების გზაზე»... (80)...

გერმანიას არა აქვს ისეთი უზრუნველყოფილი კოლონიები (ბაზარი), როგორც ინგლისს (89)...

თავი 5. «მსოფლიო სახელმწიფო ან დაღუპვა»...

იტალია 1912 წელს კვლავ შეუერთდა «სამთა კავშირს», მაგრამ საექვოა, რომ შეიძლებოდა მასზე იმედის დამყარება ომის შემთხვევაში (96)... (idem, 180).

6) ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ ავსტრიას მის ბალკანეთის პოლიტიკაში და ვეცადოთ წავეართვათ ტუნისი იტალიისათვის (97).

რუსეთი შეზანზარებულია რევოლუციით (100) — «არმია არასაიმედოა» (100) etc., საექვოა, რომ რუსეთმა მოისურვოს შეტევითი ომი გერმანიასთან (102)...

საფრანგეთი საშიში არ არის ინგლისისათვის, რადგან საფრანგეთში მოსახლეობის ზრდა შეჩერებულია (107) და გაფართოებისაკენ მისი მისწრაფება გაჭერებულია (107) etc.

თუ იტალია ჩამოშორდება... «შესაძლებელი გახდება გერმანიისა და ავსტრიის წინააღმდეგ შეიქმნას ძალთა ფრიად მნიშვნელოვანი უპირატესობა» (114)...

ჩვენ გვემუქრებიან ხმელეთიდან და ზღვიდან (115) —

ჩვენ ვცხოვრობთ ლატენტურ, მაგრამ დიდ კრიზისში

NB!! (115). ეს მხედველობაში უნდა გვქონდეს, ეს «იჩქმალდება... დაპოლიტიკის ინტრიგების მაცთუნებელი თამაშით და ყველა სახელმწიფოს ოფიციალური მშვიდობის მოყვარეობით» (116).

საფრანგეთს უნდა გავუსწორდეთ რაღაც უნდა დაჭდეს. «საფრანგეთი ისე გადაჭრით უნდა განადგურდეს, რომ ვერასოდეს ვერ გადაგველობოს გზაზე» (118).

ბელგია... ნეიტრალურია, მაგრამ საფრანგეთი და ინგლისი ეცდებიან მასში შეაერთონ თავიანთი ძალები (123) — «ხანგრძლივი ნეიტრალობის ცნება

მა-მა!! მომზადების დრო... ეწინააღმდეგება საერთოდ სახელმწიფოს არსს» (123)... «მის უმაღლეს ზნეობრივ მიზნებს»... (123)...

...«30-სანტიმეტრიანი ქვემეხის დამზადებას მთელი წელიწადი სჭირდება» (141)...

7) თავი 7: «ჩვენი უახლოესი ომის ხასიათი».

სხვადასხვა სახელმწიფოთა ძალები... ციფრები...

მა-მა!! საფრანგეთს შეიძლება «ჩინებული შავკანიანი ჭარბი» (150) ჰყავდესო...

ჩვენ (ავსტრიასთან ერთად) ნაკლები (?) გვყავს, ვიდრე საფრანგეთს + რუსეთს, და საჭიროა ხარისხით ივანაზღაუროთ (156)...

საზღვაო ძალები (1912 წლის «ნაუტიკუს»-ის* მიხედვით) — ინგლისის ფლოტი ერთიორად და უფრო მეტად ძლიერია ჩვენსაზე (170).

რუსეთი დაცულია თავისი ოდენობით (176) — მას არ შეიძლება ჰქონდეს ბრძოლა არსებობისათვის... ხალხის განათლებული ნაწილები რევოლუციის ემხრობიან (ibidem), როგორც რუსეთ-იაპონიის ომში (177), საეჭვოა, რომ შესაძლებელი იყოს «ერთსულოვანი ეროვნული აღმავლობა» (177).

შვეიცარია, ბელგია, ჰოლანდია (ორ უკანასკნელ ქვეყანაზე გაივლიან ფრანგები და ინგლისელები)... «ნეიტრალიტეტი მხოლოდ ქაღალდის დაბრკოლებაა» (179).

ინგლისი ისწრაფვის მოსპოს ჩვენი ფლოტი (184 და შემდ. თავი 8: «უახლოესი საზღვაო ომი»)... მას შეუძლია შებოჭოს ჩვენი ოკეანესიქითა ვაჭრობა (186)... ამავრებს გარეიჩს (189), აშენებს ნავსადგურს როსაიტსა და სკაპა-ფლოუში (191)... ჩვენ უნდა მივეძალოთ საჭაერო ფლოტს (195)... ჩვენ მთელი ძალდონით უნდა ვისწრაფოდეთ ხმელეთიდან გავანადგუროთ საფრანგეთის ფლოტი (196) — საფრანგეთთან «ომი განადგურებაზე» (196)... «სამუდამოდ მოესპოთ საფრანგეთი როგორც დიდი სახელმწიფო» (196).

მხოლოდ ხმელეთზე გამარჯვება მოგვცემს შანსებს ზღვაზე (8) (199)... რუსეთი + საფრანგეთი = 180 მილიონი მოსახლეობა. გერმანია — 65 მილიონი (201)... ვალიდეს არმია... ჯარისკაცს ახლა უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებენ (205), უფრო მნიშვნელოვანია სახაზო ჯარები... საჭიროა «შეტევა» (206).

(«კადრები» და არა «რეზერვები», 210.) ხარისხი რაოდენობაზე მნიშვნელოვანია (213)... «შემქიდროებული» რიგებით არ შეიძლება ბრძოლა, პიროვნების მნიშვნელობა იზრდება, უფროსთა მნიშვნელობა კლებულობს (214)...

ჯარების დიდი მასების გადაყვან-გადმოყვანის (და მომარაგების) მომზადების განსაკუთრებული მნიშვნელობა, აქედან განსაკუთრებული ამოცანები (266 და შემდ.). ამაზე დაწერილებით სამხედრო-ტექნიკური მხრივ...

კავალერიის მნიშვნელობა — დაზვერვა და «დაფარვა» (235)... საჭიროა ორგანიზაციის «დენადობა» (მოდრობა, მოქნილობა) (237)...

ვემზადოთ ახლისათვის, არ გავიმეოროთ ძველი (247 და შემდ.)...

* საზღვაო ცნობარი. რ. ე. დ.

საქიროა სამხედროების უფრო მაღალი განვითარება — «ზოგად-სამეცნიერო ხასიათის ლექციები» (267) — სამხედრო აკადემიებში etc.

ჩვენ (გერმანია) მსოფლიო პოლიტიკას უნდა ვახორციელებდეთ (268, 269) — ამისათვის აუცილებელია საზღვაო ძალა (თავი 12: «საზღვაო ომის მომზადება»)... — ზღვაზე ჩვენ არ შეგვიძლია ვაწარმოოთ შეტევა, — ნაპირების დაცვა etc.

24-სანტიმეტრიანი ზარბაზნები «მიჩნეულ უნდა იქნას სრულიად უვარგისად თანამედროვე საზღვაო ბრძოლისათვის» (276)...

...ახალი საზღვაო კანონი ითვალისწინებს 72 ახალი წყალქვეშა ნავის აგებას (277)... მესამე ესკადრა მზად იქნება მხოლოდ 1914 წელს (278)...

ცინდარ უკეთ უნდა იქნას გამაგრებული (282)...

უეცარი თავდასხმა:

ინგლისი 2—5. IX. 1807 კოპენჰაგენზე...

» 11—12. VII. 1882 ალექსანდრიაზე

(ეგვიპტე)...

იტალია ტრიპოლიზე და თურქეთის გემებზე...

შეცდომა იყო, რომ ჩვენ აღრევე არ «გავუსწორდით» საფრანგეთს — საბაბი გამოჩნდებოდა (287): «მე მიმანია» NB

- 9) შეეძლო დაეშვა გერმანიის პოლიტიკას, ის, რომ მან ანგარიში არ გაუსწორა საფრანგეთს ისეთ დროს, როცა მსოფლიო მდგომარეობა სავსებით ხელსაყრელი იყო ჩვენთვის და შეიძლებოდა მტკიცედ დარწმუნებული ვყოფილიყავით წარმატებაში. საამისო შემთხვევათა ნაკლებობა შექველია არ ყოფილა» (287)...

ხალხის აღზრდა უფრო რელიგიური და პატრიოტული უნდა იყოს, სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ (მათი ანტიპატრიოტული რწმენიანად: 291)... (თავი 13)...

NB
ქარის შემადგენლობაში უმრავლესობა სოფლელებია

NB

«უკვე ამჟამად გერმანიაში დაბადებული ყველა სამხედროს მხოლოდ 6.14% წარმოშობით არის დიდი ქალაქებიდან, 7.37% — საშუალო ქალაქებიდან, 22.34% — წვრილი ქალაქებიდან და დაბებიდან და 64.15% — სოფლიდან¹⁾, მაშინ როცა მოსახლეობის განაწილება ქალაქსა და სოფელს შორის სულ სხვაგვარია» (გვ. 292)...

¹⁾ გრაფი პოზადოვსკი. «საბინაო საკითხი» მიუნხენი, 1910.

1905:	სოფელი	42.5%
	წერილი ქალაქები	25.6
	სამუშალო »	12.9
	დიდი »	19.1

...«სოფლის მოსახლეობა უადრესად მჭიდროდ შეეზარდა არმიას» (292)... ქალაქის მოსახლეობა, მისი დიდი ფენები «არმიას პირდაპირ მტრულად ეკიდებიან» (292)...

სამხედრო აღზრდის კეთილისმყოფელი გავლენა ((არმია მოსახლეობას სასარგებლო სამუშაოსგან კი არ ჩამოაშორებს, არამედ აღზრდისო [ეს ადგილია არა 13 თავში]))... ფაბრიკებში მუშაობა მავნეა მრავალი თვალსაზრისით... მავნეა მოკლე სამუშაო დღე (294)...

რუსეთში (იპონიისაგან განსხვავებით) განათლებულ კლასებს პატრიოტიზმი მოძველებულ ცნებად მიაჩნდათო etc. etc. — აქედან პორაქენცები (304)...

მთავრობას თავის ხელში უნდა ეჭიროს პოპულარული პრესა (305)...

«მე სიკეთედ მივიჩნევდი, რომ შეიძლებოდა დეს ვაიძულოთ ყველა გაზეთი ბეჭდოს მთავრობის გარკვეული ცნობები, რათა მკითხველები არ იღებდნენ საზოგადოებრივი ურთიერთობის ისეთ ცალმხრივ გაშუქებას, როგორსაც პარტიული პრესა იძლევა» (306)...

ოპო!!!

«ომის ფინანსური და პოლიტიკური მომზადების» დროს (თავი 14) არ შეიძლება ვხელმძღვანელობდეთ «წვრილბურჟუაზიული თვალსაზრისით» (311)... არ შეიძლება ვუთმობდეთ «ეპოქის უნიათო ფილანთროპიას» (312)...

სახალხო ქონება	ხარჯები ჯარსა და ულოტზე
მარკა ერთ სულზე	მარკა ერთ სულზე
გერმანიაში = 5 - 6 ათასი	16
საფრანგეთში დაახლ. ამდენივე	20
ინგლისში 6-7 ათასი	29

(გვ. 315)

ემიგრანტები	მუშათა კავშირების უმუშევარი წევრები
გერმანიიდან 20 000 (1908)	4.4%
ინგლისიდან 336 000 (1908)	10 %
საფრანგეთიდან	11.4%

(გვ. 318)

გერმანიის ეკონომიური ზრდა უფრო სწრაფია (316—7)...

!! ხალხს, რომელიც წელიწადში დაახლოებით 5 მილიარდს ხარჯავს თამბაქოზე და სპირტიან სასმელებზე, შეეძლო «რამდენიმე ასეული მილიონი» (320) დაეხარჯა თავისი ღირსების, დამოუკიდებლობისა და თავისი მომავლის დასაცავად.

ნაპოლეონ III 1870 წელს იმედს ამყარებდა ავსტრია-სთან კავშირზე (ერცჰერცოგ ალბრეხტის გამგზავრება პარიზში და ფრანგი გენერლისა ვენაში... 326), მაგრამ ვარაუდი ჩაფეხუმა...

ბოლოსიტყვაობა (1913 წ.) — ჩვენი მდგომარეობა გაუარესდაო. ბალკანეთის ომი, დარტყმა თურქეთზე და «სამთა კავშირზე»... ინგლისთან ზავის იმედის არასერიოზულობა... ინგლისთან «დაახლოების ცდების» გამოყენება საჭიროა უკეთ მოიზადებისათვის (343)...

((თვით წიგნი დაწერილია 1911 წ. შემოდგომაზე: გვ. 338)).

დასასრული

რიუდორფერი. «თანამედროვე მსოფლიო

პოლიტიკის ძირითადი ნიშნები»

11) ი. ი. რიუდორფერი. «თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის ძირითადი ნიშნები». ბერლინი, 1914. (გვ. XIII + 252.)

(წინასიტყვაობა დათარიღებულია 1913 წლის ოქტომბრით.)

პრეტენციოზული უხეირო წიგნი დიპლომატისა, რომელიც ფრაზეებში ახვევს გერმანიის ბურჟუაზიის იმპერიალისტურ სურვილებს. მთავარი თემაა ეროვნული და კოსმოპოლიტური ტენდენციების ბრძოლა.

პრეტენზიები სოციოლოგიასა და ფილოსოფიაზე — ნეოკანტური⁵⁸ ყაიდის უალრესად სულელური ჩმახვა ხალხზე, როგორც პიროვნებაზე, შედარება ტყესთან (გამეორებულია ბევრ ათეულჯერ), ღვთაებრიობის შესახებ და სხვ. სისულელე.

საქმით. თემა თანამედროვეა, მაგრამ იგი გახვეულია სიტყვებში არისტოტელეს «ენტელეხიაზე» და ა. შ.

ინგლისის აფრიკაში თავისი გეგმების დასამთავრებლად (კაპი—
კაიროს რკინიგზა) «ესაჭიროება კიდევ მხოლოდ გერმანიასთან
და ბელგიასთან სადავო საკითხების გადაწყვეტა» (94)...

...«ამრიგად, პორტუგალია, ხოლო რამდენადმე უფრო
ნაკლებად ესპანეთიც სინამდვილეში წარმოდგენენ ქვეყ-
ნებს, რომლებიც დამოკიდებული არიან ინგლისის მსო-
ფლიო იმპერიაზე. იაპონიას არ შეუძლია თავი დააღწიოს
ინგლისის ფულის ბაზრის კლანჭებს; ინგლისს არ ესაჭი-
როება შექმნას თავისთვის საყრდენი პუნქტები სამხრეთ
ამერიკაში, რადგან ლონდონის ბირჟა აფინანსებს სამხრეთ
ამერიკის ყველაზე მნიშვნელოვან, მდიდარი მომავლის
მქონე სახელმწიფოს — არგენტინას და ამრიგად ბატონობს მასზე...

NB

ინგლისის მსოფლიო ბატონობა... ეყრდნობა, გარდა
ზღვაზე ბატონობისა, კიდევ ორ სხვა ბურჯს: ბრიტანე-
თის კულტურის ერთობას და ლონდონის ბირჟას» (95)...

გერმანია, რომელსაც გაფართოების შესაძლებლობა არა აქვს
(აზია რუსეთისათვის, ჩრდილოეთი აფრიკა საფრანგეთისა და
იტალიისათვის) და ჩაკეტილია ორივე მხრიდან, რომელმაც
დაიგვიანა (კოლონიები წაღებულია), ძნელ მდგომარეობაში
ჩაყენებულია ((2 თავის § 7, გვ. 101 და შემდ.)).

(12

მაროკოს საკითხში იძულებული იყო საფრანგეთისათვის და-
ეთმო (105).

«გერმანიის მსოფლიო პოლიტიკის ბედის გადაწყვეტა კონ-
ტინენტზე მოხდება» (107)... «მართლაც, კიდევ შეიძლება
წარმოვიდგინოთ გერმანიის მსოფლიო პოლიტიკა ზღვაზე უპი-
რატესობის უქონლად, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ
შეიძლება წარმოვიდგინოთ იგი ხმელეთზე გაბატონებული
მდგომარეობის უქონლად» (ibidem).

(ევროპის კონტინენტზე გამარჯვება ყველაფერში მთავარია
გერმანიისათვის)

მაროკო... «უკანდახევა» (108): იძულებული ვიყავით ცოტა
დაგვეხია უკან...

«გერმანიის მსოფლიო პოლიტიკის ეს თავი ყველაზე მკა-
ფიოდ გვიხატავს იმპერიის საერთაშორისო მდგომარეობის
თავისებურებას, მის ექსპანსიის შესაძლებლობათა შეზღუდუ-
ლობას, მსოფლიო პოლიტიკის კავშირს კონტინენტურთან, იმ
ფაქტორების სირთულეს, რომლებისთვისაც გერმანიის მსოფ-
ლიო პოლიტიკას ანგარიშის გაწევა უხდება» (109)...

გერმანიის ნაციონალიზმი ჯერ ახალგაზრდა არისო, ... «მეტი-ჩარას მანერები» (112).

ამერიკაში ეს არის იქმნება ხალხი, ერი (განსაკუთრებით ემიგრაცია რომანული და სლავური).

«ფინანსური მხრივ არგენტინა შეიძლება განხილულ იქნას როგორც კოლონია, რომელსაც ლონდონის ბირჟა მართავს» (133)... სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოები «ამჟამად წარმოადგენენ და მომავალში, ალბათ, კიდევ დიდ ხანს იქნებიან მსოფლიო პოლიტიკის ობიექტები და არა სუბიექტები» (131)...

- 13) «თანამედროვე იაპონიას სტანჯავს თავისი წარმატებები» (137) — თავი ვერ გაურთმევია თავისი კოლონიებისათვის, ვერ მომაგრებულა etc. ... (იაპონიას აკლია რელიგიური საფუძველი: 138) ((აი იდიოტი!))...

კოსმოპოლიტური ტენდენცია — ლაყბობა კათოლიციზმზე... კულტურულ იდეალზე...

«კაპიტალი» და მისი ძალა...

NB «თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ ევროპის დიდი სახელმწიფოების კოლონიური ექსპანსიის ისტორიას უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე, ადვილად დავინახავთ, რომ უკანასკნელი დროის ყველა ომი, რომლებშიც ევროპის დიდი სახელმწიფოები მონაწილეობდნენ, თუ უშუალოდ დაწყებული არ იყო კაპიტალის ინტერესებისათვის, უეჭველია განპირობებული იყო მისი ინტერესებით»* (157)...

«ცივილიზებული სამყაროს მატერიალური ინტერესების გადახლართვა, ერთიანი მსოფლიო მეურნეობის წარმოშობა თანამედროვე პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტია» (159)

ბრძოლა «აქციების უმრავლესობისათვის»** (161)... «ყველა სამეურნეო საწარმო, რომლებსაც უშუალო პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, როგორც, მაგალითად, რკინიგზები, არხები და ა. შ., ახლა გარკვეულ ეროვნულ ხასიათს ატარებს, თუნდაც რომ მათი კაპიტალი თავისი წარმოშობით ან თავისი ფორმით საერთაშორისო იყოს» (161)...

საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოები? «საერთოდ და მთლიანად სამედიატორო სასამართლოების ინსტრუმენტი იმას ემსახურება, რომ თავიდან

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 21, გვ. 287. რ ე დ.

** იქვე. რ ე დ.

აცილებულ იქნას მხოლოდ არასასურველი ომები, რომლებიც (14) შეიძლება წარმოიშვას გაუთვალისწინებელი ინციდენტების გამო და რომლებიც არ ეხება ერის საარსებო ინტერესებს; მაგრამ ჯერ კიდევ არასოდეს და არსად არ მომხდარა, რომ სამედიატორო სასამართლოებს ერის საარსებო საკითხები მოეგვარებინოთ ან რომ მათი დახმარებით შესაძლებელი ყოფილიყო იმ ომების თავიდან აცილება, რომლებიც სურდათ» (167)...

საერთაშორისო სოციალიზმი? (3 თავის § 5, ნაწილი I, გვ. 172 და შემდ.)

«თუ საერთაშორისო სოციალიზმი შეძლებს შინაგანად სავსებით მოსწყვიტოს მუშა თავის ერს და გახადოს იგი მხოლოდ და მხოლოდ კლასის წევრი, იგი გაიმარჯვებს; ვინაიდან წმინდა ძალდატანებითი საშუალებანი, რომელთა გზით ეროვნულ სახელმწიფოს მაშინ კიდევ შეუძლია სცადოს მიიჯაჭვოს მუშა, შემდგომი გამოყენებისას თავისთავად გარღვევად ფუჭი აღმოჩნდება. მაგრამ თუ საერთაშორისო სოციალიზმი ამას ვერ შეძლებს და შენარჩუნებული იქნება, თუნდაც შეუგნებლად, შინაგანი ძაფები, რომლებიც მუშას აკავშირებს იმ ორგანიზმთან, რომელსაც ერი ეწოდება, მაშინ საერთაშორისო სოციალიზმის გამარჯვება საეჭვო იქნება მანამდე, სანამ ეს ძაფები არსებობენ, და დამარცხებად გადაიქცევა, თუ გამოირკვა, რომ საბოლოო ანგარიშით ეს ძაფები უფრო მაგარია»* (173—174)...

NB

NB

«გალატაკება» არ არისო და კლასთა გამწვავება არ არისო (174). გამწვავებული ეროვნული ბრძოლა და ნაციონალიზმი ითრევს მუშებს (175)... «ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ თუმცა სოციალისტურმა მოძრაობამ იმ დროიდან» (უკანასკნელ ხანს) «გრანდიოზული გაქანება მიიღო და თუმცა ყველა ქვეყანაში სოციალისტურმა პარტიებმა უაღრესად გაადიდეს თავიანთი ძალა და გავლენა, მაგრამ ინტერნაციონალური მომენტი მოძრაობაში ამ ხნის მანძილზე არათუ პარალელურად არ იზრდებოდა, არამედ კიდევაც დააკლდა მნიშვნელობა და შეტევის ძალა» (175).

(15)

NB

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 21, გვ. 287. რ ე დ.

უკანასკნელი წლების საარჩევნო ბრძოლა აიძულებს გერმანულ სოციალ-დემოკრატებს «დაფარონ ან შეასუსტონ» თავიანთი ინტერნაციონალიზმი (176).

...«მან» (გერმანიის სოციალ-დემოკრატია) «აღშფოთებით უარყო თავის მოწინააღმდეგეთა მტკიცება, თითქოს ომის შემთხვევაში სოციალ-დემოკრატია თავის გავლენაში მყოფ მუშათა მასებს იარაღს მიაბრუნებინებს თავისი მეთაურების წინააღმდეგ და ამრიგად, ფრანგ სოციალისტებთან კავშირში, შეეცდება დაბრკოლება შეუქმნას ომს; პარტიოტიზმის ნაკლებობაში ბრალის დადებასაც კი იგი შეურაცხყოფად თვლის...

საკითხი («ეროვნული» ტენდენციის შესახებ) მთელი დისკუსიის ცენტრში დგას, იგი სოციალიზმის დედა არსი ხდება»* (176).

NB

16)

NB

!

!!

ადვილად
მოვატ-
ყუებ-
თო!!

...«საკითხი მხოლოდ ის არის, თუ როგორია ამ მანიფესტაციების აქტუალური მნიშვნელობა» (მუშათა და სოციალისტური პარტიებისა ინტერნაციონალიზმისათვის etc.) «პოლიტიკური მოვლენებისათვის და ხალხებისა და მათი ბელადების პოლიტიკური გადაწყვეტილებისათვის. ყველა იმ სახელმწიფოში, სადაც ძლიერია ეროვნული გრძნობა, ეს მნიშვნელობა სრულებითაც არ არის დიდი. საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ ყველა იმ საკითხში, სადაც მთავრობებს შეუძლიათ მიმართონ ხალხის ეროვნულ გრძნობას, მათ სრულებით არ უხდებიათ მხედველობაში მიიღონ თავიანთი სოციალისტური პარტიების ინტერნაციონალიზმი, და დღემდე არც ერთ ეროვნულ ომზე ხელი არ აუღიათ მისდამი სოციალისტების მტრული დამოკიდებულების შიშით, და მომავალშიც ვერც ერთ ომს ვერ შეუშლის ხელს ასეთი მიზეზები. შესაძლოა, რომ მთავრობები, სოციალიზმის პაციფისტური თეორიების გამო, შეეცდებიან გულმოდგინედ დაფარონ თავიანთი წამოწყებანი ეროვნული გრძნობებით, მაგრამ ამით საქმის არსი სრულებით არ შეიცვლება, არამედ მხოლოდ გაკეთდება ზოგიერთი ცვლილება პოლიტიკურ ფორმებსა და ტექნიკაში, რომლებითაც თანამედროვე პოლიტიკა სარგებლობს»** (177 — 178).

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 21, გვ. 287. რ ე დ.
** იქვე. რ ე დ.

შეად. გვ. 103: «აგრეთვე სოციალ-დემოკრატიაც თავის საპარლამენტო გამოსვლებში და ხალხში თავის აგიტაციაში წლითწლობით სულ უფრო და უფრო იძულებულია ანგარიშს უწევდეს ეროვნულ არგუმენტს» (idem, გვ. 110).

ინგლისის კოლონიები აწესებენ საუპირატესო ბაჟებს მეტროპოლიისათვის (206) — კანადა, ავსტრალია, სამხრეთი აფრიკა = «ფაქტიურად ბაჟების გადიდება არაინგლისური მწარმოებელი ქვეყნების წინააღმდეგ» (206)... NB

«თითქოს ისახება საფრანგეთ-იტალიის წინააღმდეგობა ჰეგე-მონიისათვის» (ხმელთაშუა ზღვასა და აფრიკაში) (211)... (17)

...«სანამ რუსეთს მაინცდამაინც არ უჭირს ფართოდებოდეს მონოლოქეთსა და სპარსეთში, მისი მისწრაფება გაფართოებისაკენ მიმართული არ იქნება ავსტრია-უნგრეთის, ბალკანეთისა და კონსტანტინოპოლისაკენ» (211)...

რუსეთი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით დაცულია «ეროვნული დაღუპვისაგან» (216) — «დამარცხების შემთხვევაში მას უნდა ეშინოდეს უარეს შემთხვევაში რევოლუციის გამარჯვებისა და თავისი განვითარების მსვლელობის შენელებისა (?)» (216)... NB

საერთოდ ახლა ომების წარმოება არ შეიძლება გარდა «საჭიროების» შემთხვევებისა (218), მაგრამ რას ნიშნავს ეს?

«სიტყვიერად ძალიან ადვილია განასხვაოთავდაცვა და თავდასხმა, მაგრამ პრაქტიკაში არაჩვეულებრივად ძნელია უდავოდ გაარკვიო, ვინ არის თავდამსხმელი და ვინ იცავს თავს» (218). NB
თავდაცვა თუ თავდასხმა?

«მართალი არ არის, რომ თანამედროვე დიდი სახელმწიფოები თუმცა იარაღდებიან, მაგრამ თავიანთ შეიარაღებას არ იყენებენ» (219). — ამ შეიარაღების «კალკულირებას» ახდენენ, მას მხედველობაში იღებენ დიპლომატიური მოლაპარაკების დროს, «ზევაგლენის» დროს etc. etc.

«ევროპის კავშირები ჩამოყალიბდა ორი დიდი წინააღმდეგობის — გერმანია-საფრანგეთისა და ავსტრია-რუსეთის წინააღმდეგობის გარშემო» (224)... NB NB (18)

მაგრამ პოლიტიკურად მისი (ინგლისის) ქცევა სავსებით გეგმაზომიერია. მისი ძლიერი გავლენა სამხრეთ ამერიკაში, განსაკუთრებით არგენტინაში, დამყარებულია ლონდონის ბირჟის საემისიო საქმიანობაზე; ასეთივეა ნაწილობრივ პორტუგალიის ვასალური დამოკიდებულებაც და ინგლისის უპირატესი გავლენა ესპანეთში» (235)...

NB «ყველაზე წმინდა სახით ფინანსური იმპერიალიზმის მეთოდი გამოხატულია თანამედროვე საფრანგეთის მიერ. საფრანგეთი მსოფლიო ბანკირი გახდა არა თავისი დიდი სიმდიდრის მეოხებით, არამედ თავისი კაპიტალების მეტი ლიკვიდურობის მეოხებით. გერმანია, ინგლისი, შეერთებული შტატები ამჟამად გაცილებით უფრო მდიდარი არიან, მაგრამ არც ერთ ამ უფრო მდიდარ ქვეყანაში არ არის ისეთი მასა თავისუფალი კაპიტალებისა, რომლებიც დაბანდვას ეძებენ, როგორც საფრანგეთში» (235—236)...

ორი მიზეზია: მეტი «მომკირნეობა» საფრანგეთში და საფრანგეთის სამეურნეო ცხოვრების ნაკლები მოთხოვნა ფულზე.

ტყუილად უსაყვედურებდნენ გერმანელებსო, რომ მათ ვერ გამოიყენეს ინციდენტა მაროკოსთან, რათა ხელი ჩაეჭიდათ «მოხერხებული შემთხვევისათვის» — «შეენარჩუნებინათ ესპანეთი ანტიფრანგულ პოზიციებზე» (236)...

NB «ეს შემთხვევა არასოდეს არ მოგვეცემია, ვინაიდან გერმანიას ოცნებაც არ შეეძლო იმაზე, რომ გაეწყვიტა ფინანსური ურთიერთობა, რაც ესპანეთს საფრანგეთთან

19) NB აკავშირებს, და ეკისრნა დაფინანსება ქვეყნისა, რომელსაც ფული ესაჭიროება. საფრანგეთი ყოველთვის მეტად

NB თუ ნაკლებად აშკარად აგრძნობინებდა ავსტრიასა და უნგრეთს, რომ მხოლოდ გერმანიასთან მათი მეგობრობის გამო და სამთა კავშირის გამო დაკმაყოფილება ორივე სახელმწიფოს საჭიროებისა ფულზე სიძნელეებს აწყდებდა პარიზის ბირჟაზე» (236)...

...«თუ გერმანიის იმპერია ჯერ კიდევ მხოლოდ მცირე ზომით აგებს თავის საერთაშორისო პოლიტიკურ გავლენას სესხების მიცემაზე, ეს უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ იგი თუმცა საფრანგეთზე უფრო მდიდარია, მაგრამ მისი კაპიტალი ისე ლიკვიდური არ არის» (237)... გერმანიის უფრო სწრაფი ეკონომიური განვითარება, თვითონ სჭირდება კაპიტალი...

...«თურქეთი ხშირად პოულობდა გერმანიის ბანკებში მხარდაჭერას სესხების იმ დამატებითი პოლიტიკური პირობების წინააღმდეგ, რომლებსაც საფრანგეთი აყენებდა; სწორედ ასევე იყო რუმინეთთან, უნგრეთთან და სხვა შემთხვევებში. საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ წინააღმდეგობამ

ფინანსური იმპერიალიზმისადმი, რომელსაც საფრანგეთი ახორციელებს, გერმანიის პოლიტიკაც უნდა აიძულოს დაადგეს იმავე გზას» (238). NB

დასასრული

მაკეი. «ჩინეთი, შუა რესპუბლიკა.
მისი პრობლემები და პერსპექტივები»

ბ. ლ. ბარონი ფონ მაკეი. «ჩინეთი, შუა რესპუბლიკა. მისი პრობლემები და პერსპექტივები» (20 ბერლინი, 1914. ((გვ. 264 + დანართები.))

არამზადა, რეაქციონერი, გონებაჩლუნგი და საზიზღარი, ათიოდე წიგნაქიდან დაუგროვებია ცილისწამება «რადიკალურ დემოკრატიებზე» («კომინტანი»* სუნ იატ-სენის მეთაურობით). მეცნიერული მნიშვნელობა — ნული.

გვ. ?? დანართი V. კომინტანთა ფურცელი = მიამიტური დემოკრატიული რესპუბლიკანიზმი ((არამზადა ავტორი ტყუილად ლანძღავს მას)). [«რესპუბლიკის უპირატესობათა ახსნა-განმარტება».] NB

ლიტერატურიდან

ჯემს კენტლი და შერიდან ჯონსი. «სუნ იატ-სენი და ჩინეთის გამოღვიძება». ლონდონი, 1913.

ფოსბერგ-რეკოვი. «რევოლუცია აზიაში». ბერლინი, 1912. იოზეფ შიონი. «რუსეთის მიზნებზე ჩინეთში». ვენა, 1900.

მ. ფ. ბრანდტი. «აღმოსავლეთ აზიის საკითხები». ბერლინი, 1897,

ვილჰელმ შიულერი. «ჩინეთის უახლესი ისტორიის ნარკვევი». ბერლინი, 1913.

თავში «მსოფლიო-პოლიტიკური მღელვარებანი და შეჯახებანი» (თავი 13) მოკლე თხრობა ჩინეთის ვადარცვაზე რუსეთის მიერ (მონლოლეთი) [საიდუმლო ოქმი ურგაში 1912 წ.], რუ-

* «კომინდანი», რ ე დ.

სეთის + იაპონიის მიერ (მანჭურია. რუსეთის + იაპონიის საიდუმლო ხელშეკრულება 8. VII. 1912), ინგლისის (ტიბეტი), გერმანიის მიერ (კიო-ჩაო)* და ა. შ.

გვ. 222—224: დაწერილია მას შემდეგ, რაც იაპონელებმა ულტიმატუმში წაუყენეს გერმანიას (1914 წ. VIII-ში ან IX-ში) — ინგლისის გააფთრებული ლანძღვა მისი «პოლიტიკოსათვის, რომელსაც მხოლოდ მედუქნეთა და ფულის ტომრის ინტერესები განსაზღვრავს» (223), მისი დანაშაული ევროპული კულტურის წინააღმდეგ etc. etc. თვითონ ავტორი კი «ჩინეთში გერმანიის პოზიციების გაფართოების» მომხრეა (228)...

გერმანიის წილი ჩინეთის ვაჭრობაში = 4.2%, სინამდვილეში (NB) > 7% — და 25%-მდე (!!), თუ გერმანელთა სასაქონლო ბრუნვის მთელ მასას ვიანგარიშებთო. ინგლისის წილი ჩინეთის ვაჭრობაში = 50%, სინამდვილეში — 21% (გვ. 232).

NB ...«ისევე როგორც ინტერნაციონალური» კაპიტალი თანამედროვე იმპერიალისტურ მისწრაფებათა გავლენით სულ უფრო ეროვნული ხდება, ასევე იმის მექანიზმი, რასაც ჩვენ მსოფლიო მეურნეობას ვუწოდებთ, სულ უფრო და უფრო უნდა ექვემდებარებოდეს დიდი სახელმწიფოების ეროვნულ მეურნეობათა კანონებს» (235).

(მე-14 თავში: «გერმანიის მისია»)

NB ინგლისმა და შეერთებულმა შტატებმა «მარტო შარშან 18 მილიონი მარკა გასცეს ახალი უმაღლესი სასწავლებლების დასაარსებლად შანდუნში, ხანკოუსა და ჰონკონგში» (236) — ამ თანხასთან შედარებით ყველაფერი, რაც გერმანიამ ამავე ხნის მანძილზე გასცა, «უმნიშვნელო გვეჩვენებაო». ხოლო საიდან არის ეს ფული? მთავარი წყარო: მსხვილი კაპიტალისტების — ინგლისელებისა და ამერიკელების სავაჭრო და სამრეწველო საწარმოები ჩინეთში!

!! ინგლისს ჰყავს «თავისი საზღვაო საბაჟო სამსახურის» «მრავალი ასეული» მოხელე, რომლებმაც ჩინური იციან («გამოცდილი მოხელე») — პიონერები (239)...

ბელგია და მისი სავაჭრო ინტერესები ჩინეთში (243): «სოსიეტე დ'ეტიუდ დე შმენ დე ფერ ან შინ», — მისი კონცესიები 2 რკინიგზაზე ჩინეთში.

* თანამედროვე სახელწოდება ძიოსიანი. რ. ე. დ.

გვ. 245 — ჩინეთში 3 წგუფის დაპროექტებული (და არსებული) რკინიგზების რუკა.

- (NB) 1) გერმანიისა — — — (საშუალო)
 2) ინგლისისა — — — (ყველაზე მცირე)
 3) რუსეთ-საფრანგეთ-ბელგიისა (ყველაზე დიდი)

ჰენიგის მიხედვით («მსოფლიო გზები», ლაიპციგი, 1909) უკვე არსებობს გზები:

- 1) პეკინი — ტიანძინი (და შემდეგ დალნიმდე)
 2) კიო-ჩაო — ძინანფუ*
 3) პეკინი — ჰანკოუ
 4) შანხაი — პუკოუ

...იანძის შესართავი — ეს დიდი ბრიტანეთის აღმოსავლეთ აზიის შატ-ელ-არაბია, ხოლო მდინარე იანძიზე ინტერესთა სფერო — მისი აღმოსავლეთ აზიის სამხრეთი სპარსეთი» (246—7)...

NB ||| ტიანძინ-პუკოუს რკინიგზას ერთად აშენებენ ინგლისელები და გერმანელები (247).

NB ||| ინგლისს რკინიგზის კონცესიები აქვს ჩინეთში 1900 კილომეტრზე (247)...

||| გერმანიას რკინიგზის კონცესიები აქვს ჩინეთში 700 კილომეტრზე (248)...

მორწყვისა და ამოშრობის დიდი ამოცანები ჩინეთში — გერმანიის ტექნიკა ამ მხრივ ყველაზე წინ არის (254—5 და შემდ.)...

22) !! ||| ჩინელები უნდა თანაუგრძობდნენ არა «ახალი მსოფლიოს რადიკალურ დემოკრატიზმს», არა ანგლოსაქსურ კონსტიტუციონალიზმს «მეფის გახუნებული ძალაუფლებით», არამედ მონარქიულ გერმანიასო (257).

!!! ||| და გაქიანურებულად, მოსაწყენად, სულელურად გერმანული კულტურის მშვენიერებაზე...

დასასრული

ლუკასი. «დიდი რომი და დიდი ბრიტანეთი»**

სერ კ. პ. ლუკასი. «დიდი რომი და დიდი ბრიტანეთი». ოქსფორდი, 1912. (გვ. 184).

* თანამედროვე სახელწოდება ძინანი. რედ.

** იხ. გ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 21, გვ. 287 და ტომი 22, გვ. 326. რედ.

(ნაკლებშინაარსიანი, მეტწილად იურიდიულ-ფელეტონური, პრეტენციოზული, გაბერილი შედარება რომისა და დიდი ბრიტანეთისა. აღინიშნოს მხოლოდ ზოგი რამ იმპერიალიზმის დახასიათებისათვის:)

65 — ალჟირის ნაწილები რომის დროებაში უკეთ იყო კულტივირებული (ირიგაცია), ვიდრე ახლა (არნოლდი. «რომის პროვინციების მართვა»).

66 — არტეზიული ჭები (ინგლისის ნამუშევარი) ავსტრალიაში (სილრმე 5000 ფუტი)...

68 — მალარიასთან ბრძოლა კოლონიებში (ინგლისელი ექიმები)...

(რონალდ როსი)

(ლორდი ლისტერი)

(idem 70 — 71)

76—77: რომაელებში ომი ვაჭრობაზე წინ მიდიოდა. ინგლისელებში *vice versa* (კოლონიებში) (მშვიდობა, ვაჭრობა etc.)

80: მაგრამ მე-18 საუკუნეში ომებიც იყო (კანადა, ავსტრალია)

86... პრივილეგიური კომპანიები ძველი

«ისტ ინდია კომპ.» 1858 წლამდე }
«ჰადსონს ბეი კომპ.» 1869 » }

ახალი: «როიალ ნიგერ კომპ.»

«საუზ აფრიკა კომპ.» (1880—1890)

91: მონობა ჩვენში (ვესტ-ინდოეთი) გამონაკლისი იყო [უხამსი ტრაბახა-ნაციონალისტი...]

94: რომაელები ანგარიშს არ უწევდნენ რასას, არ გამორიცხავდნენ ზანგებს.

96—7: «ფერადკანიანთა» არასრულუფლებიანობა თანამედროვე ბრიტანეთის იმპერიაში: ინდოეთში მათ საარჩევნო უფლება არა აქვთ, — მათ მოხელეებად არ იღებენ etc. etc. (23)

98: «ამჟამად ბრიტანეთის იმპერიის თვითმმართველ ოლქებში ფერადკანიანი მკვიდრნი თუმცა ბრიტანეთის ქვეშევრდომნი არიან, უფრო ხშირად მოკლებული არიან ხმის უფლებას, როგორც, მაგალითად, ავსტრალიაში, სამხრეთ აფრიკის ზოგიერთ ნაწილში თუ ბრიტანეთის კოლუმბიაში»...

99: ზანგთა იმიგრაციის შეზღუდვა და სხვ.

- NB 103: «ჩვენს იმპერიაში, როცა თეთრკანიანი მუშები მუშაობენ წითელკანიანების გვერდით, როგორც, მაგალითად, სამხრეთ აფრიკაში, ისინი მუშაობენ არა როგორც ამხანაგები, არამედ თეთრკანიანი მუშა უფრო ზედამხედველია წითელკანიანისა».
- 107—ავსტრალაზიაში თეთრკანიანი მუშები წინააღმდეგი არიან ზანგებისა და ყვითელკანიანებისა—როგორც ფასის დამწვევებისა...
- 142: ბრიტანეთის იმპერიის ორი ნაწილი
 1) ბატონობის სფერო (ბატონობა «დაბალ» რასებზე)
 ((ინდოეთი, ეგვიპტე etc.))
 2) » სეტლმენტი (ბრიტანელთა დასახლება კოლონიებში: ავსტრალია, ამერიკა etc.)
- 175—თავისუფალი ვაჭრობისა და პროტექციონიზმის საკითხში ავტორი მომხრეა «საიმპერიო უპირატესობის» მინიჭებისა (175), «ბრძნული ოპორტუნიზმისა» (176). «საიმპერიო უპირატესობის მინიჭება ის მიზანია, რომლის მიღწევასაც უნდა ვცდილობდეთ. ამ მიზნისაკენ თანდათანობით უნდა მივდიოდეთ» (176).
- 176—7... «ბრიტანეთზე დამოკიდებული ამ ქვეყნების არსებობა შეიძლება გახდეს და ალბათ გახდება თვითმმართველი დომინიონებისათვის იმის უმთავრესი სტიმული, რომ ბრიტანეთის იმპერიის ჩარჩოებში დარჩნენ», — ვინაიდან კოლონიები ყველა მომწიფებულ ეროვნულ სახელმწიფოს ესაჭიროებაო (ესპანეთი, პორტუგალია, საფრანგეთი, გერმანია და ა. შ.), ხოლო ისინი ყველა უკვე დაკავებულია და მეტწილად დიდი ბრიტანეთის ხელშია ((ინდოეთის, ეგვიპტის და სხვ. ჩვენ მიერ გაძარცვით ისინიც (ავსტრალია etc.) ისარგებლებენო))

ლიტერატურიდან: ბემპფაილდ ფულერი. «ინდოეთის ცხოვრებისა და ფსიქოლოგიის ნარკვევები». 1910.

კრომერი. «ძველი და თანამედროვე იმპერიალიზმი».

ბელგარი. «სოციალ-დემოკრატიკა ომის შემდეგ»*

- 24) ერვინ ბელგარი (სოციალ-დემოკრატიკასთან ბრძოლის საიმპერიო კავშირის ყოფილი გენერალური მდივანი). «სოციალ-დემოკრატიკა ომის შემდეგ». (60 პფე-

* ი. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 21, გვ. 287. რ ე ლ.

ნიგი.) ბერლინი, 1915 (ბერლინი ი. ზ. 11. გერმანული გამომცემლობა კონკორდია). (გვ. 45.)

3—შექება «მათი (სოციალ-დემოკრატების) უმწიკვლო, ღირსეული ქცევისა»...

6—«როზა ლუქსემბურგი» — მის წინააღმდეგ რამდენჯერმე დვარძლიანი გამოსვლები; «ბანდიტური პარტიული პრესის» წინააღმდეგ (6) და ა. შ.

9—რაიხსტაგის 4 და 5 აგვისტოს სხდომებმა... «დიდი სიხარული მოგვიტანა»... «სურათის ნათელი წერტილი იყო სოციალ-დემოკრატების «დიახ!» (10)...

...«ამით მას (სოციალ-დემოკრატებს) შეუძლია პირნათლად წარსდგეს საერთაშორისო სამსჯავროს წინაშეც ერთ-ერთ მსოფლიო პარტიულ კონგრესზე» (13)...

...ჩვენი საიმპერიო კავშირი ახლა კვდებაო (16)...

...«განა შეიძლება წარმოვიდგინოთ უკეთესი გერმანელი, ვიდრე მანჰაიმის გმირი დ-რი ფრანკი, გერმანიის სოციალ-დემოკრატის ეს საყვარელი ადამიანი?» (21)...

(4 აგვისტოს) «მსოფლიომ განიცადა ისტორიული გარდატეხის მომენტი, რომელსაც ბადალი არ მოეპოვება» (21)...

...«ძნელია წარმოვიდგინოთ, რომ ვინმე უეცრად კვლავ გადაიქცეს გერმანელი პატრიოტიდან თავგამოდებულ ინტერნაციონალისტად. ამ ომმა ისე ღრმად უნდა აღბეჭდოს ყველა გულში ცნებები «ეროვნული» და «გერმანული», რომ ვერავინ ველარ შეძლებს განთავისუფლდეს მათგან» (26)...

...«ვისაც ადრე, ჯერ კიდევ 15 წლის წინათ, მოუსმენია (25) სოციალ-დემოკრატი ორატორებისათვის საჯარო კრებებზე, იგი ხშირად გაოცებულა, თუ როგორ შეუძლიათ მოაზროვნე ადამიანებს საერთოდ სერიოზულად იღებდნენ მათს უმსგავსო, სიძულვილითა და მყვირალა ლანძღვა-გინებით აღსავსე სიტყვებს და აღტაცებით უკრავდნენ ტაშს. მაგრამ ვინც ხშირად დასწრებია სოციალ-დემოკრატთა კრებებს უკანასკნელი 10 წლის მანძილზე, მას შეეძლო მზარდი აღტაცებით დაენახა, თუ როგორ მაღლდებოდა როგორც ორატორების, ისე მასის დონე» (32)...

კლასობრივი სიძულვილი — აი რაშია ბოროტება (33 და შემდ.)

...«სად წავიდა კლასობრივი განსხვავებანი? ახლა აღარ არის არავითარი პარტია და კიდევ უფრო ნაკლებია კლასობრივი გათიშვა. ოფიცერი»... ზეინკალი და ა. შ. (36)...

37. ვ. ი. ლენინი, ტ. 39.

კაიზერის შვილმა და ბავარიის ახალგაზრდობის სოციალ-დემოკრატიული კავშირების ბელადმა, მიხეილ შვარცმა, ერთ-ნაირი «რეინის ჯვრები» მიიღეს ჯილდოდ (36)... «შემდეგს თუ არა ეს კაცი, რომელიც ბრძოლის ველზე წაიყვანა სამშობლოს სიყვარულმა... როდისმე კვლავ დაუშვას, რომ მისი ახალგაზრდა მიმდევრები გამსჭვალული იყონ სიძულვილით 1914 წლის მის თანამებრძოლთა შვილებისადმი? რა თქმა უნდა არა, თუ კი იგი არ მოისურვებს პირში შეაფუთხოს ყველაფერს, რაც კი კეთილია»... (36)...

...«ტაქტიკის შეცვლის შემდგომი შედეგები»... «ოპოზიცია რაღაც უნდა დაჯდეს» «სამიში იარაღი იყო» და სხვ.

«შეიძლება თუ არა, რომ ეს პრინციპები კვლავაც დარჩეს თავიანთი გაყინული ფორმით? ვისაც სურს პატიოსანი იყოს თავისი თავისა და სხვების მიმართ, უნდა თქვას: არა!» (38)...

26) «სოციალ-დემოკრატია როგორც პარტია» უნდა დარჩეს (41) ისე, რომ არ ჰქონდეს «უტოპიები» (43), არ ჰქონდეს «ძალადობის» იდეა, «უაზრობა» (41)... «როგორც წმინდა» (ხაზგასმა ავტორისაა) «მუშური პარტია»... «ეროვნული» პარტია.

...«ომის შემდეგ ჩვენ, გერმანელებს, კიდევ უფრო ნაკლები ნიადაგი გვექნება ინტერნაციონალური უტოპიური იდეების გავრცელებისათვის» (44)...

...«გაკეთებული ცდის შემდეგ - გერმანელმა მუშებმა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, დინჯად უნდა აწონ-დაწონონ და საბოლოოდ უკუაგდონ სოციალ-დემოკრატიის ინტერნაციონალური ტენდენციები»... (44)

განა გამგეობა — სოციალ-დემოკრატიისა — არ ებრძოდაო ფრანგების, საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს აღმასრულებელი კომიტეტის სიცრუეს (45) და ა. შ.

...«როცა წავლენ იმაზე, რომ გადააკეთონ მთელი მოძველებული ერფურტის პროგრამა, — ეს კი როდისმე ხომ უნდა მოხდეს, — დაე ჭეროვანი დასკვნები გააკეთონ და უწინარეს ყოვლისა ამოშალონ პროგრამიდან ინტერნაციონალური პრინციპები»... (45)

პარტიამ უნდა «აღიაროს თავისი კუთვნილება ერისადმი» (45)...

ახლა მუშებს უკან იდგება არა ინტერნაციონალური, არა «გადატრიალებისათვის მომუშავე»... «არამედ გერმანიის მუშათა პარტია, რომელიც აღიარებს ეროვნული იდეის ძალას, მზად არის საქმიანი მშვიდობიანი შეთანხმებისათვის და

ენერგიულად იცავს თავის მიმდევართა ინტერესებს!» (45) (მსხვილი შრიფტი ავტორისაა).
(«ბროშურის უკანასკნელი სიტყვები»).

დასასრული

რორბახი. «რატომ არის ეს ომი გერმანიისა!»

«გერმანიის ომი». ნაკვეთი 1 (50 პფენიგი) (ბერლინი, 1914). პაულ რორბახი. «რატომ არის ეს ომი გერმანიისა!» (27)

შოენისტური ისტერიკა «დამპალი ზავის» წინააღმდეგ... მხოლოდ ჩვენ ვიბრძვით თავისუფალი არსებობისთვისო, საფრანგეთი და რუსეთი «ეროვნულ ვნებათა ღელვით დაბრმავეების» გამო (24), ინგლისი ანგარების გამო («ზღვის მეკობრეთა ომი»—24)...

...«სინამდვილეში ჩვენ, ისევე როგორც ავსტრია-უნგრეთს, გვიხდებოდა არჩევანის ვაკეთება არა ომსა და მშვიდობას შორის, არამედ ახლა ომსა თუ ერთი ან ორი წლის შემდეგ ომს შორის; ოღონდ მაშინ იგი ვაცილებით უფრო საშიში იქნებოდა ჩვენთვის» (22)...

...«შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გერმანიასა და ავსტრიაზე თავდასხმა საფრანგეთისა და რუსეთის სამხედრო სარდლობას განზრახული ჰქონდა 1916 წლის დამდეგისათვის ან პირველი ნახევრისათვის» (20)...

ვალტერსჰაუზენი. «საზღვარბარეთ კაპიტალის დაბანდების სახალხო-სამეურნეო სისტემა»

ა. სარტორიუს ბარონ ფონ ვალტერსჰაუზენი. (28)
«საზღვარბარეთ კაპიტალის დაბანდების სახალხო-სამეურნეო სისტემა»*. ბერლინი, 1907. (გვ. 442.)

(თხზულება გაუფილია 4 წიგნად:... მეტი წილის მხოლოდ გადაფურცვლა მოვასწარი, ვირჩევდი, რაც უმნიშვნელოვანესია.)

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 21, გვ. 287 და ტომი 22, გვ. 331, 350. რ ე დ.

არგენტინა = «სინამდვილეში ინგლისის სავაჭრო კოლონია»
 || (45—6), «რომელმაც იქ დააბანდა 50 მილიონ გირვანჯა
 || სტერლინგზე მეტი კაპიტალი» (46)...

$50 \times 25 = 1250$ მლნ. ფრ. = $1\frac{1}{4}$ მლრდ. ფრანკი

საფრანგეთის კაპიტალები

რუსეთში დაახლ.	9—10 მილიარდი ფრ.	(1906 წ. შეფასებით) (გვ. 48)
ბელჯიაში	0.6	»
ინგლისში	0.9	»
შვეიცარიაში	0.4 (და 1.0-მდე)	
გერმანიაში	0.3 — 0.3	(ლერუა-ბოლიო. «L'Économiste Français», 1902. II, გვ. 449 და შემდ.)
ესპანეთში	3 მილიარდი ფრანკი	(გვ. 53)...
ტუნისში	512 მილიონი ფრანკი...	(გვ. 50)

საფრანგეთის კაპიტალები საზღვარგარეთ

	30 მლრდ. ფრ.	(გვ. 55) (ლ.-ბოლიო, Ibidem)
	34	» (ლ.-ბოლიო: გვ. 98)
(*)	40	» (1905: განაგარიშება ავტორისაა, გვ. 98)
	=	

ინგლისის კაპიტალები ამერიკაში (1857) — 80 მლნ. გირვანჯა სტერლინგი (გვ. 62 — მარქსის «კაპიტალის» მიხედვით, III, 2, გვ. 15, შენიშვნა)⁵⁸

გერმანიის კაპიტალები საზღვარგარეთ [მარტო ფონდები]	10 მლრდ. მარკამდე (1892)	(გვ. 101)...	«გამოანგარიშებულია, რომ ინგლისი ამჟამად შეერთებული შტატებიდან მოგებისა და კაპიტალის სარგებლის სახით იღებს დაახლოებით 1 მილიარდ მარკას» (68).
16	»	(შეფასება ავტორისა, გვ. 102, 1906-სათვის)	
=			
† 10	»	არა ფონდებში (გვ. 104)	(*) ინგლისის კაპიტალები საზღვარგარეთ (სპეიერი)
(*)	26 მლრდ. მარკა		

გერმანიის კაპიტალები გერ-
მანიის კოლონიებში (1904) =
370 მილიონი მარკა (გვ. 133)

შეფასებით 1900-სათვის) =
2 500 მილიონი გირვანქა
სტერლინგი (გვ. 94).

ბ. პარმსი (გვ. 234 და შემდ.)	(*) Ergo (1905)
	მილიარ- დი მარკა
70 — 65	ინგლისი 55
35 — 34	საფრანგეთი 32
35 — 35	გერმანია 26
140 134	113

$$\times 20 = 50 \text{ მლრდ. მარკა}$$

$$+50 \text{ მილიონი წელიწადში}$$

$$\times 5 (1901-5)$$

$$\underline{\underline{250}} \times 20 = 5000$$

$$5+50 = 55 \text{ ჩემი გაანგა-}$$

$$\text{რიშება}$$

უცხოეთის კაპიტალები

ავსტრია-უნგრეთში (1903) =

(გვ. 107)

9 809 მლნ- კრონა

{	მათ შორის გერმანია.....	4 653
	საფრანგეთი.....	3 270
	პოლანდია.....	647
	ინგლისი.....	356
	ბელგია.....	243
	შვეიცარია.....	242
	სხვები.....	398

(Idem ბ. პარმსი. «მსოფლიო მეურნეობის პრობლემა-
ბი», იენა, 1912, გვ. 236.

რუმინეთის ნავთი
(1905) (გვ. 145—6):

კაპიტალები (კურო)	მილიონი ფრანკი
გერმანიისა.....	— 92.1
პოლანდიისა.....	— 8.0
ინგლისისა.....	— 5.9
საფრანგეთისა.....	— 6.5
ბელგიისა.....	— 4.0
იტალიისა.....	— 7.5
ამერიკისა.....	— 5.0

კოლონიური ბანკები (1905) (29
(განყოფილებები)

განყოფი- ლებებისა	კაპიტალები მილიონი
ინგლისისა (გვ. 151)	2 136 35.8 გ. სტ.
	+ 175 17.9 » »
საფრანგეთისა	136 328 ფრ.
პოლანდიისა	67 98.9 გულ- დენი
გერმანიისა (გვ. 152)	87 60 მარკა

ბელგიის კაპიტალები რუსეთში (1900) = 494 მილიონი ფრანკი (გვ. 182).

უცხოეთის კაპიტალები ამერიკის შეერთებულ შტატებში (გვ. 240).

ამერიკის სესხები (1902):
3 მილიარდი დოლარი საწარმოებში etc.

ინგლისი 4 მლრდ. მარკა (დაახლ.) (გვ. 242)
გერმანია 2 მლრდ. მარკა
საფრანგეთი 450 მილიონი ფრანკი

...«ფულის მსხვილ ბაზრებს შორის ამჟამად ხშირად მყარდება წონასწორობა, მაგრამ განსაკუთრებულ გარემოებათა მიხედვით სიმძიმის ცენტრი გადადის ხან ლონდონში, ხან პარიზში, ხან ნიუ-იორკში» (251)...

ამერიკის კაპიტალები მექსიკაში (1902)—500 მილიონი დოლარი (გვ. 243)...
კუბაში—159 მილიონი დოლარი (გვ. 244).

1900 წლიდან მათ «კოლოსალური წარმატებები» აქვთ ბრაზილიაში (243)...

სულ ამერიკის კაპიტალი საზღვარგარეთ (გვ. 245).

მილიონი
დოლ.

(1897) — 600 — 800
(1902) — 1300 — 1500

სახელმწიფო ვალი

1870—1 წ. ლერუა-ბოლიო საფრანგეთის ქონებას (ეროვნულს) 140 მლრდ. ფრანკს ანგარიშობდა, წლიურ დანაზოგებს 2 მილიარდ ფრანკს (გვ. 348, თავი: «საექსპორტო კაპიტალი და ომი»); საზღვარგარეთის კაპიტალი = 15 მილიარდი (მათი შემოსავალი = 600—700 მილიონი).

რუსეთისა (1906)
— 9 მდ. მან. ანუ
20 » მარკა
(გვ. 292—3)
აქედან 9—10 » მარკა
საფრანგეთისა
2—3 » მარკა
გერმანიისა
დანარჩენი ინგლისისა,
პოლანდიისა,
ავსტრიისა (!)

მეოთხე წიგნი — «საექსპორტო კაპიტალიზმი და საზოგადოება» (357—442) მიძღვნილია უმთავრესად «სახელმწიფო-რანტიეს» საკითხისადმი (პოლანდის მაგალითი) — ახლა ასეთებად ინგლისი და საფრანგეთი ხდებიან — «გერმანიის მსოფლიო ეკონომიური ამოცანები» (მე-4 წიგნის თავი III):

ამ თავში ავტორი გამოდის როგორც სავსებით გარკვეული გერმანელი პატრიოტი იმპერიალისტი. იგი მომხრეა გავლენის (და მოგების) მშვიდობიანი გაყოფისა აფრიკაში და სხვ. (გვ. 424—5 და სხვ.), მაგრამ სავსებით მზად არის ომისათვის (440 ბოლოში)... მომხრეა შეიარაღებისა...

...«ჩინეთი, მაროკო, კონგოს სახელმწიფო, თურქეთის იმპერია რუსეთი... კიდევ წარმოადგენენ ერთგვარ პერსპექტივებს კაპიტალისტებისა და მეწარმეებისათვის» (423)...

...«აფრიკა... ევროპის მამულია» (425), თუ ამერიკა შეერთებულ შტატებს დაეთმობა. NB (30

...«ევროპის კაპიტალისტების უდიდესი მომავალი ბლანკოს კონცხსა და ნემსის კონცხს შუა იმყოფება» (425)...

სოციალისტებს (მოჰყავს ციტატები მარქსიდან და ენგელსიდან) «უტოპიები» აქვთო... სინამდვილეში თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილება მშვენიერ შესაძლებლობებს აძლევს მუშას. მდიდრების უმრავლესობა მუშებიდან და მდაბიო ხალხიდან არის გამოსული (მეად. «თანამედროვე სიმდიდრის ისტორია» კ. შმიდტ-ვეისენფელსისა, ბერლინი, 1893, «შეიცავს საგულისხმო მაგალითებს, მაგალითად, ბორზიგო ხურო იყო, კრუპი მუშა-მელითონე იყო, ლეიტენბერგერი — წვრილი მეფაბრიკე, ლანა — გემთმშენებელი მუშა... სიმენსი — მოიჭარე... დრეიზი — ზეინკალი... როტშილდი — წვრილი ვაჭარი» და ა. შ.)... NB

ჩვენ, გერმანელები, ჯერ კიდევ ისე ვერ ვაფასებთ ჩვენს კოლონიებსა და მათს მნიშვნელობას, როგორც ინგლისელები (434)...

მუშები ეკონომიურად სარგებლობას ნახულობენ, როგორც კლასი, კოლონიებისა და მსოფლიო პოლიტიკისაგან... სოციალიზმი მოდუნებაა: «უსინდისო დემაგოგები ბედავენ უქადაგონ ეს სისულელე პოლიტიკურად მოუმწიფებელ მუშათა მასას როგორც სიმშვიდისა და დოვლათიანობის სახარება» (437)...

...«ჩვენს სოციალ-დემოკრატას არც კი სურს მოისმინოს რამე საყოველთაო ეროვნული კეთილდღეობის გა-

ნუხრელ აღმავლობაზე... იგი ესწრაფვის ყველა ქვეყნის პროლეტარების გაერთიანებას იმისათვის, რომ დაანგრიოს კაპიტალისტური საზოგადოება. როგორც ცნობილია, ამ იდეამ ვერ გაამართლა თავისი დანიშნულება ვერც აგიტაციის მხრივ, ვერც რაიმე სასარგებლო სოციალური შედეგის მხრივ. მაშ რა საჭიროა მოითხოვდე ძველი საცხოვრებელი ბინების დანგრევას, თუ შეუძლებელია ახალი საერთო სახლის აშენება? ამაზე პასუხს ვერაფრით გასცემ, თუ არა მხოლოდ სააგიტაციო ფრაზებით, რომლებიც უპირისპირდება ერის ცხოველმყოფელ ცნებას» (438)...

აქებს ინგლისის მუშების «რეალიზმს» (438 და 9) (ბრძოლა იმიგრაციასთან) და ამასვე უსურვებს გერმანელ მუშებს...

NB იმავე ავტორისა: «მასალები შუა ევროპის ეკონომიური ფედერაციის საკითხისათვის» «Zeitschrift für Sozialwissenschaft»-ში, ტომი V, ნაკვეთი 7—11.

დასასრული

ჰენიზი. «მსოფლიო გზები»

რიხარდ ჰენიგი. «მსოფლიო გზები», ლაიპციგი, 1909 (გვ. 284). მეტწილად მხოლოდ თხრობა, რკინიგზების ჩამოთვლა, რუკები etc.

ა ფ რ ი კ ა: რ კ ი ნ ი გ ზ ე ბ ი (1907) (გვ. 213)

	კმ.	«რკინიგზები, რომლებიც შენდება ან საბოლოოდ დაპროექტებულია»
ბრიტანეთის კოლონიები	13 117	15 113
ეგიპტი	5 252	6 956
(ინგლისი)	$\Sigma = 18 369$	22 069
საფრანგეთის კოლონიები	5 657	9 849
პორტუგალიის »	1 173	2 313
გერმანიის »	1 398	1 988
ბელგიის »	642	—
იტალიის »	115	115
სულ	27 354	36 334

არის საინტერესო მითითებანი სახელმწიფოების ყოვლად უსირცხვილო ბრძოლაზე კონცესიებისათვის (რკინიგზების კონცესიებისათვის, — მაგალ., ჩინეთში), თაღლითობაზე და სხვ. და ა. შ.

ჰელფერიხი. «გერმანიის სახალხო კეთილდღეობა»

დ - რ ი კ ა რ ლ ჰ ე ლ ფ ე რ ი ხ ი («ლოიჩე ბანკის» დირექტორი) -
«გერმანიის სახალხო კეთილდღეობა 1888—
1913». ბერლინი, 1913.

კეხნა... სახობო, კაზიონური
ნაშრომი

არასერიოზულია, კეხნაა

გერმანიის ეროვნული შემოსავალია დაახლ. 40 მილიარდი წელიწადში, versus 22—25 1895 წელს; 40 მილიარდიდან დაახლ. 7 საზოგადოებრივი მიზნებისათვის, დაახლ. 25 კერძო საქიროებებისათვის, დაახლ. 8 დაგროვებისათვის = 40 (გვ. 123). გერმანიის ეროვნული ქონება > 300 (1) მლრდ. წელიწადში; versus 200 1895 წელს.

გვ. 114:	მლრდ. მარკა	სულზე (მარკა)
გერმანიაში ეროვნული ქონება =	290—320	4 500—4 900
საფრანგეთში »	232.5 (287 მლრდ. ფრანკი)	5 924 (7 314 ფრანკი)
ინგლისში »	230—260	5 100—5 800
შვედეთებულ შტატებში »	500	5 500

(გვ. 99—100)

	(1908)	სულზე
გერმანიის ეროვნული შემოსავალი —	35 მლრდ. მარკა	555
საფრანგეთის »	— 20 »	514
ინგლისის »	— 35 »	815

(გვ. 61)	ქანახშირის მოპოვება (მილიონ ტონობით)			თუჯის გამოღობა (ათას ტონობით)		
	1886	1911	+%/o	1887	1911	+%/o
შეერთებული შტატები	103.1	450.9	+ 335.8	6 520	24 028	368.5*
დიდი ბრიტანეთი	160.0	276.2	+ 72.8	7 681	10 033	30.8
გერმანია	73.7	234.5	+ 218.1	4 024	15 574	387.7*
რუსეთი				612	3 588	486.3
ავსტრია-უნგრეთი	20.8	49.2	+ 136.5			
საფრანგეთი	19.9	39.9	+ 97.5	1 568	4 411	281.3*
ბელგია	17.8	23.1	+ 33.5	756	2 106	178.8

(1) მ. შ. 20 მლრდ. მარკა კაპიტალის დაბანდება საზღვარგარეთ (გვ. 113).

პრომერი. «ძველი დროისა და თანამედროვე იმპერიალიზმი»

33) გრაფი კრომერი. «ძველი დროისა და თანამედროვე იმპერიალიზმი»**. ლონდონი, 1910. (გვ. 143.)

თითქმის ნული. პრეტენციოზული ლაყბობა, სწავლულის გამომეტყველებით, უამრავი ციტატით რომაელი მწერლებიდან, ინგლისელი იმპერიალისტისა და ჩინების მოყვარულისა, რომელიც ამთავრებს გოდებით ინდოეთის შენარჩუნების სასარგებლოდ, იმათ წინააღმდეგ, ვინც დაუშვებს აზრს მისი გამოყოფის შესახებ. «ცივილიზაციის წინააღმდეგ დანაშაული» (123) იქნებოდა ინდოეთის განთავისუფლება... და სხვ. და ა. შ.

პარალელები რომთან, ბიუროკრატის ფიქრები და რჩევა, თითქმის მხოლოდ და მხოლოდ ადმინისტრაციული ხასიათისა— ეს არის და ეს.

გვ. 101: ინდოეთში («ინდოეთის აღწერა», გვ. 173) ინგლისურად წერს და კითხულობს ყოველი 10 000 მამაკაციდან — 90, ყოველი 10 000 ქალიდან — 10 (101)...

103: კარგოა, რომ ჩვენ წინააღმდეგობას არ ვუწევდით ჰოლანდიური ენის სწავლებას სამხრეთ აფრიკაში: ახლა ეს ენა თავისთავად ჩაკვდება...

* ასე აქვს ჰელფერიხს. რ ე დ.

** იხ. გ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 326. რ ე დ.

- 107: სიძულვილი, გაბორბოტება «უბადრუკი ჭაბუკისადმი» (დინგრა), რომელმაც მოკლა სერ კერზონ ვილი (და ინგლისურად დაწერა თავისი დასაცავი სიტყვა)...
- 110: ციტატები მოჰყავს «Journal of the Statistical Society»-დან, ტომი XLI: უოლფორდი. «შიმშილის შემთხვევები ჰსოფლიოში»... (შიმშილის 350 შემთხვევა). ინდოეთში ყოფილა შემთხვევები, როცა შიმშილისაგან კვდებოდა 3—10 მილიონი (111)... რომეშ დატი. «შიმშილი ინდოეთში» (ციტატი 113)...
- 122: ინდოეთში 147 ენაა; 276 მილიონი ლაპარაკობს 23 ენაზე («ინდოეთის აღწერა», გვ. 248)...
- 124, შენიშვნა: რჩევა ახალგაზრდა ინგლისელებს «იკითხონ, შეამჩნიონ, შეისწავლონ და შეითვისონ» «ინდოეთის აჯანყების» ისტორია...

რვეული

«ი»

(«ოზიპროსე»)

შინაარსი

o

«Die Gleichheit». «Bremer Bürger-Zeitung»

ჰემნიცი «Volksstimme»

ლორენცი 17

ციტატები

«Die Gleichheit»

+ სხვადასხვა

N. B.:

- 1.— მარქსი: სტატია 1878 ინტერნაციონალის შესახებ.
შენიშვნა ერთა თვითგამორკვევის შესახებ.
- 2.— ბაზელის მანიფესტი და ჰემნიციის რეზოლუცია.
- 3—6. ჟურნალი «Die Gleichheit», 5 აგვისტო 1914.
- 7 (და 12). დელბრიუკი.
- 8—11. «Volksstimme» (ჰემნიცი).
13. ლიტერატურა მილიციის შესახებ.
14. ლენჩი მილიციის შესახებ (1912).
15. კ. კაუცკი 1910 და 1912.
16. ბ. ბაქსი იმპერიალიზმის შესახებ (1900).
- 18—20. ლენჩი: «სოციალ-დემოკრატია»...
- 21—22. ჰემნიცი «Volksstimme».
- 23—29. ულბრიხტი. ეროვნებანი და იმპერიალიზმი.
30. ფრ. ადლერი და რენერი.
31. ჰილფერდინგი (კაუცკური შეხედულებანი).
- 32, 33. ენგელსი და მარქსი ინგლისის მუშების შესახებ etc.

33. კ. კაუცი პატრიოტიზმის შესახებ.
 34—35. ო. ბაუერი.
 36—37. ენგელსი.
 38—39. ე. ჰეილმანი («Die Glocke».)
 40—41. ლიბკნეხტი ვ. და მარქსი (წერილი ლიბ-
 კნეხტისადმი 1878 წ.). **||| NB**
 42—44. გრეილიხი და «Grütliener».
 45. «Schweizerische Metallarbeiter-Zei-
 tung».

NB:

- ენგელსი (მუშათა კლასის შესახებ ინგლისში) — გვ. 14. **||**
 + «Neue Rheinische Zeitung», გვ. 46 და 47.
 კ. კაუცი რელიგიის შესახებ... გვ. 15 (?).
 სოციალისტები და ზანგები (ამერიკა)... 15.
 იტალელი და პოლონელი მუშები შვეიცარიაში 17.
 იაპონელები და ამერიკელი მუშების შოვინიზმი... 41.

მარქსი საფრანგეთის
 ომზე თავისუფლებისათ-
 ვის (იანვარი 1871): 22.

Nota bene:

→ მარქსის შეხედულებათა გან-
 ვითარება 1870 წლის ომზე:
 გვ. 22.

მარქსი ირლანდიის შესახებ: 22.
 მარქსი მომავალი ომის შესახებ (1874 წელს) — 22.

ლიტერატურა (მითათებანი)... 13 და 16.

NB

ბაქსი იმპერიალიზმის შესახებ 1900... გვ. 16.
 მონოპოლიები და ტექნიკა... 17.
 მუშათა მოძრაობა კანადაში... 17.

კაუცი რელიგიის შესახებ (უხამსობა) — 15.

საფრანგეთის კონსტიტუციები 1791 და 1848 ეროვნუ-
 ლი ომების შესახებ: გვ. 30.

ახალი ისტორიის «ეპოქები», გვ. 28.

სენ-სიმონის წარმონათქვამი — 49.

«შმოლერის წელიწადი», 1915, I ნაკვეთი

- 1) სტატიაში: «ხალხის კვება ომიანობის და მშვიდობის დროს»
 კარლ ბალოდი («Schmoller's Jahrbuch», 1915, I ნაკვეთი) იძლევა ხალხის კვების შესახებ მონაცემების შეჯამების (არასრული შეჯამების) ცდას:
 კვების საშუალებანი მცენარეული და ცხოველური.
 საერთო რაოდენობა ადამიანზე დღეში

რაგვი	კალორიები	მათ შორის		გერმანია	
		მცენარეული	ცხოველური	მცენარეული	ცხოველური
4. გერმანია	2 708	2 164	544	2 103 + 294 =	2 397
2. ინგლისი	2 900	1 925	975	150	150
5. იტალია	2 607	2 367	240	2 103 + 444 =	2 547
3. საფრანგეთი ..	2 749	2 205	544	61	61
6. ავსტრია	2 486	2 030	456	2 164 + 444 =	2 608
1. ამერიკის				100	
შ. შტატები...	2 925	1 870*	1 054		
7. რუსეთი	2 414**	2 235	279		
8. იაპონია	1 814	1 764	50		
				ინგლისი	
				1 925	
				975	
				2 900	

ქვეყნების რიგი ჩემია. გერმანიისათვის ბალოდს ციფრები მთლიანად არა აქვს განაწილებული ცხოველურად და მცენარეულად. განაწილება ჩემია მისი კერძო მონაცემების მიხედვით.

Ibidem სტატია ეგერისა. «მარქსისტული ნეოკრიტიციზმი» აღღერზე, რომელიც აერთიანებს მარქსიზმსა და კანტიზმს.

Ibidem უბადრუკი სტატია შმოლერისა მარქსის და ენგელსის მიწერ-მოწერის შესახებ: აგდებულად რევოლუციის შესახებ: იგი რეფორმით უნდა შეიცვალოსო (გვ. 432).

* აქ ბალოდს შეცდომა აქვს; უნდა იყოს: 1871. რედ.
 ** ასევე; უნდა იყოს: 2 514. რედ.

პროფკავშირები პარტიაზე უფრო ძლიერი არიან; ბიუროკრატია (5—10 ათასი კაცი) სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში... «ერთი სიტყვით, გერმანიის მარქსისტული მუშათა-პარტია იმყოფება დაშლის პროცესში ან ბურჟუაზიული გადაგვარების პროცესში, რა ძლიერადაც უნდა უარყოფდეს იგი ამას» (424).

NB, იქვე, სტატია: გეორგ ზიგვარტი. «ნიადაგის ნაყოფიერება როგორც ისტორიული ფაქტორი».

მარქსი. სტატია 1878 ინტერნაციონალის შესახებ.
შენიშვნები ერთა თვითგამორკვევის შესახებ

«Die Neue Zeit»-ში, XX, 1, გვ. 585 (1901—2), მ. ბახმა თარგმნა კ. მარქსის 1878 წლის ინგლისური სტატია: «მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის ისტორია, შეთხზული მისტერ ჯორჯ ჰოუელის მიერ»⁶⁰.

კ. მარქსი
1878:

მარქსი ზიზლით აბუხად იგდებს ამ ჰოუელს (ერთ-ერთ ტიპიურ ლიბერალურ მუშათა პოლიტიკოსს), ასწორებს მის მთელ რიგ ცრუ მტკიცებებს ინტერნაციონალის შესახებ, აცხადებს, რომ იგი, მარქსი, ავტორია «სამოქალაქო ომისა საფრანგეთში» და რომ მან დიდი ხანია «The Daily News»-ში გამოაქვეყნა ეს, ლაპარაკობს «ინტერნაციონალის» გადასვლაზე ახალ, «უმაღლეს» ფორმაში და სხვ. კერძო შენიშვნები. სხვათა შორის მარქსი წერს:

«აქვე უნდა ითქვას, პუნქტი პროგრამისა, რომელიც მე პატივი მქონდა ჩამომეყულობებინა გენერალური საბჭოს წინაშე» (1865 წ. კონფერენციისათვის), «გვაუწყებს: «აუცილებლობა ევროპაში მოსკოვიტური გავლენის მოსპობისა ერთა თვითგამორკვევის უფლებების პრინციპის გამოყენების საფუძველზე და პოლონეთის აღდგენით დემოკრატიულ და სოციალისტურ საფუძველზე»» (გვ. 586). («The Secular Chronicle»-ში, ტომი X, № 5, 4 აგვისტო 1878. «თავისუფლად მოაზროვნე-რესპუბლიკური მიმარ-

NB
მარქსი
(1865)
(და 1878)
ერთა
თვითგამორკვევის
შესახებ

თულების» პატარა ჟურნალი. გამომცემელი
პარიეტ ლოუ ინტერნაციონალის წევრი იყო.)
(ხაზგასმა ჩემია.)

ბაზელის მანიფესტი და ჰემინციის რეზოლუცია

- 2) იმპერიალიზმი. გრიუნბერგის «Archiv für die Geschichte des Sozialismus»-ში, 1915 (1 და 2 ნაკვეთი), მოყვანილია ჰემინციის პარტიეტაგის (IX. 1912 [15—21. IX. 1912]) რეზოლუცია იმპერიალიზმის შესახებ (გვ. 814—5).

მასში ხაზგასმულია: კაპიტალის ვატანა, მისწრაფება «კაპიტალის დაბანდების ახალი ოლქებისაკენ», მეპატრონეთა ორგანიზაცია, მათი გავლენა სახელმწიფოებზე და «მისწრაფება ექსპანსიისაკენ», მისწრაფება დაიმორჩილონ «სამეურნეო თვალსაზრისით დიდი ტერიტორიები მთელ მსოფლიოში»... ამის შედეგია: «უსირცხვილო მძარცველური და დამპყრობლური პოლიტიკა... შედეგია ამ იმპერიალიზტური მისწრაფებისა გაფართოებისაკენ».

აქედან: კონფლიქტები სახელმწიფოებს შორის, — ომის საფრთხე, «სამხედრო მასალების» მიმწოდებელთა ინტერესები.

...«მოძალადე იმპერიალიზმი»

მისი დროებითი შედეგების შესასუსტებლად (mildern) — ვაჭრობის თავისუფლება, «შეთანხმება ერებს შორის» etc. რეზოლუციის უკანასკნელი ფრაზა:

NB || «პროლეტარიატის ამოცანა ხომ ის არის, რომ უმაღლეს საფეხურზე ასული კაპიტალიზმი გადაიყვანოს სოციალისტურ საზოგადოებად და ამრიგად დიდი ხნით უზრუნველყოს ხალხთა მშვიდობა, დამოუკიდებლობა და თავისუფლება».

Ibidem, გვ. 324 — როზა ლუქსემბურგის შესწორების (მასობრივი გაფიცვის შესახებ) კენჭისყრა იენის ყრილობაზე (1913):

როზას ხმა მისცა — 144 = 30%

წინააღმდეგ . . . 336

480

Ibidem, გვ. 306—311 — ბაზელის მანიფესტი (24—25. XI. 1912)

NB, ibidem, რეცენზია თხზულებისა:

(3)

ო. ფესტი. «მუშათა მოძრაობა იელისის მონარქიის წარმოშობის დასაწყისში». პარიზი, 1908 (359 გვ.). 10 ფრანკი.

მისივე: «ლიონის აჯანყება 1831-ს». «Annales des sciences politiques». 1910 (გვ. 85—103).

შურნალი «თანასწორობა», 5 აბვისტი 1914

«Die Gleichheit», 1914, № 23, 5 აგვისტო 1914.

«ომი ომს»

პირველი წერილი «ომი ომს» — ციტატი შტუტგარტის კონგრესის⁶¹ რეზოლუციიდან — ომის საშიშროებისას საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მოწვევა და ომის წინაღმდეგ ყველა საშუალების გამოყენება. ხოლო თუ ომი ატყდა, მაშინ და ა. შ.

«პროლეტარო ძალეზო, მზად იყავით!»

მეორე ციტატი: «პროლეტარო ქალებო, მზად იყავით!» დაწერილია სერბიისათვის ომის გამოცხადების შემდეგ, მაგრამ ევროპის ომამდე.

ავსტრია ვარაუდობს, რომ საეჭვოა რუსეთმა და სხვ. ომის წარმოება შეძლონო. ავსტრიის «იმპერიალიზმი», მისი «დანაშაულიაო». «იგი» (ავსტრიის იმპერიალიზმი) «იბრძვის მხოლოდ და მხოლოდ ჰაბსბურგთა რეაქციული დინასტიის ინტერესებისათვის, უგულო და უსინდისო მსხვილ მიწათმფლობელთა და კაპიტალისტთა ოქროს და ძალაუფლების წყურვილისათვის»...

გერმანული გაზეთები «უსინდისოდ» მოუწოდებენ ომისაკენ...

«ეს არასოდეს არ უნდა მოხდეს. გერმანიის პროლეტარებმა — მამაკაცებმა და ქალებმა — საქმით უნდა დაამტკიცონ, რომ მათ გამოიღვიძეს, რომ თავისუფლებისათვის მომშვიდნენ»...

გერმანიის მთავრობა ირწმუნება, რომ მშვიდობა სურს. «მაგრამ ხალხი დარწმუნდა, რომ მთავრობის მოღვაწეთა ენა ორკაპია, როგორც გველისა».

ბურჟუაზია შოვინისტურია, მაგრამ

«მხოლოდ პროლეტარიატი შეუძევრს თავის ფართო მკერდს მსოფლიო ომის მოახლოებულ უბედურებას»...

პ. ვ. ი. ლენინი, ტ. 39.

რუსეთში პროლეტარიატის ბრძოლა ყველაზე მეტად აკა-
ვებს ომს.

«ნუ ვიქნებით უფრო ლაჩარნი და სუსტნი, ვიდრე ისინი»
(= რუსეთის მუშები).

«ნუ დავკარგავთ ნურც ერთ წუთ დროს. ომი კარზე მოგ-
ვადგა... გამოვიდეთ ყველანი ფაბრიკებიდან და სახელოსნოე-
ბიდან, ქოხებიდან და სხვენებიდან მასობრივი პროტესტისა-
თვის»...

- 5) «ექსპლოატირებული მასები საკმაოდ ძლიერი არიან, რომ
თავიანთი მხრებით ზიღონ თანამედროვე წესრიგის მთელი
შენობა... მაშ ნუთუ ისინი იმდენად სუსტი აღმოჩნდებიან,
რომ უკან დაიხევენ გაჭირვების წინაშე, შეუშინდებიან საფრ-
თხესა და სიკვდილს, როცა მათ მშვიდობისა და თავისუფლე-
ბისათვის ბრძოლა მოუწოდებს? ნუთუ ისინი თავისუფალ გზას
გაუხსნიან მილიტარიზმს, რომელიც ეს არის დაგმობილ იქნა
უალრესად ფართო საზოგადოებრიობის წინაშე როგორც მათი
შვილებისა და ძმების მხეცი ჯალათი?»

ხალხთა ძმობა «ფუჭი ქიმერა» კი არ არის მუშათა კლასი-
სათვის, არამედ საარსებო საკითხია, «ყველა ერის ექსპლოა-
ტირებულთა სოლიდარობა».

«მან» (ამ სოლიდარობამ) «არ უნდა დაუშვას, რომ პროლე-
ტარმა პროლეტარზე აღმართოს მომაკვდინებელი იარაღი. მან
უნდა შთააგონოს მასებს მტკიცე გადაწყვეტილება გამოიყენონ
ომის წინააღმდეგ ომში მათთვის ხელმისაწვდომი ყველა სახეო-
ბის იარაღი. ყოველის გადამლახავი ძალა, რომელსაც პროლე-
ტართა მასები დაუპირისპირებენ მსოფლიო ომის ფურჩას.
მათს განმათავისუფლებელ შერკინებაში მოგებული ბრძოლის

- 6) მომასწავებელი იქნება. მათი გამოსვლის რევოლუციური ენერ-
გია და მგზნებარება გამოიწვევს მათს დევნას, მოუტანს მათ
საფრთხეს და მოსთხოვს მსხვერპლს. მაგრამ მერე რა? არის
ხოლმე ცალკეულ ადამიანთა ცხოვრებაში და ხალხთა ცხოვ-
რებაში მომენტები, როცა ყველაფრის მოგება შეიძლება.
მხოლოდ თუ ყველაფრით გასწევ რისკს. ასეთი მომენტი დად-
გა. პროლეტარო ქალებო, მზად იყავით!» (გვ. 354).

სტატიის დასასრული

«პოლიტიკური მიმოხილვა»

და «პოლიტიკურ მიმოხილვაში»

(გვ. 363) «პროლეტარული მასების რევოლუციური ძალები დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მეტწილად ჯერ კიდევ თვლემენ, მაგრამ ისინი არსებობენ, და სწორედ ამის ჩირაღდანს შეუძლია მათი გამოღვივება».

NB

(რევოლუცია ჩანასახში არა მარტო რუსეთშია, არამედ «ევ- (7 როპის სხვა ქვეყნებშიც)»...)

იქვეა წერილი გაფიცების ზრდასა და ბარიკადებზე რუსეთში და 10 სტრიქონი ბრიუსელის კონფერენციაზე 16—18. VII. 1914, ერთიანობა მოძრაობას დაეხმარება...)))

დელბრიუკი. «მთავრობა და ხალხის ნება»

ჰანს დელბრიუკი. «მთავრობა და ხალხის ნება». ბერლინი, 1914.

საერთოდ რომ ვთქვათ, ყოველად საზიზღარი რეაქციული რამეა, დემოკრატიის წინააღმდეგ ცნებათა თამაშით. ყველაფერი და ყოველივე დემოკრატიის წინააღმდეგ. მთელი რიგი სოფიზმები, ისტორიული მაგალითები etc.

საგულისხმოა (1) ბუ რ ე უ ა ზ ი უ ლ ი დემოკრატიის მხილება (მაგალითად, ინგლისურ თხზულებათა მითითება, რომლებიც მას ამხილებენ). (**)

ლიტერატურა:

(**)

ვილჰელმ ჰასბახი: «თანამედროვე დემოკრატია» (1912).

ადოლფ ტეკლენბურგი. «საარჩევნო უფლების განვითარება საფრანგეთში 1789-დან».

ი. უნოლდი. «პოლიტიკა ევოლუციური მოძღვრების შუქზე» (ჟურნალისტის ნაშრომია).

ლოუელი. ინგლისის კონსტიტუცია.

ბელოკი და ჩესტერტონი. «პარტიების სისტემა».

2) პოლონეთის საკითხი. ავტორი წინააღმდეგია პრუსიის პოლონური პოლიტიკისა, ვინაიდან იგი უშედეგოა.

გვ. 1. რა არის ხალხი? გერმანელი ხალხი? — ჩვენში «მრავალი მილიონია—პოლონელები, დანიელები, ფრანგები» (გვ. 1).

NB

«ელზას-ლოტარინგიაში არიან გერმანულად მოლაპარაკენიც, რომლებიც სულ მუდამ აცხადებენ, რომ უარს ამბობენ პოლიტიკურად ეკუთვნოდნენ გერმანელ ხალხს» (გვ. 1).

ჰეგელი
«ხალხზე»

ჰეგელის წარმონათქვამი: «ხალხი სახელმწიფოს ის ნაწილია, რომელმაც არ იცის, რა სურს» (გვ. 41)...

NB:

რეაქციონერი ერთა თვითგამორკვევის შესახებ

«ხომ აშკარად შეუძლებელია, რომ ხალხის ყოველ ცალკეულ, ნებისმიერად ამოტაცებულ ნაწილს ჰქონდეს თვითგამორკვევის უფლება. თუ ჩვენ ამ უფლებას ვცნობთ ელზას-ლოტარინგიელებისათვის მთლიანად, რატომ არ უნდა ვცნობთ იგი სამი ტომიდან თვითეულისათვის, შვაბების, ფრანკებისა და ფრანგებისათვის? და რატომ არ უნდა ვცნობთ იგი ბოლოს და ბოლოს ყოველი ცალკეული თემისათვის?» (გვ. 2)

NB

სოციალ-დემოკრატებზე: მიხელსი აღიარებს, რომ სოციალ-დემოკრატები რევოლუციურობას კარგავენო (შიში ორგანიზაციებისათვის). «და, მეორე მხრივაც, უკვე დიდი ხანია ნაწინასწარმეტყველები იყო, რომ რაც უფრო იზრდება ასეთი რევოლუციური პარტია, იგი კი არ უახლოვდება ნამდვილი რევოლუციის თავის მიზანს, არამედ შინაგანად შორდება მას» (გვ. 80). და გვ. 82—3 მერინგის წინააღმდეგ: ორგანიზაციას ყოველთვის სჭირდება ბელადები, მასახ, ყველაზე განათლებულსაც კი, სჭირდება ისინიო, «და იმისათვის გამოიყენებენ თუ არა ეს ბელადები თავიანთ ძალაუფლებას, რომ რევოლუცია მოახდინონ და საყოველთაო გადატრიალება გამოიწვიონ, ამასთან იმის რისკი გასწიონ, რომ დაღუბონ არა არსებული სახელმწიფო და არა არსებული საზოგადოება, არამედ საკუთარი თავი, თუ ისინი ამჯობინებენ შემთხვევიდან შემთხვევამდე დადონ ხოლმე კომპრომისები, აი რა არის საკითხი» (83), რომელსაც მერინგი დაუმტკიცებლად უარყოფსო. (დაწერილია 1914. წინასიტყვაობა: 11. XI. 1913.)

NB

NB

მერინგი უპასუხებს დელბრიუქს, რომ მას, მერინგს, არ დაუწერია ეს სტატია, არსებითად კი ძალიან, ძალიან სუსტად, რომ სოციალ-დემოკრატები ყველაზე მეტ «ზომებს» ითვალისწინებენ ბიუროკრატის წინააღმდეგო («Die Neue Zeit», 1913—4, 32, I, გვ. 971).

NB: მოხელეთა რიცხვი გერმანიაში = დაახლოებით
1 350 000 = დაახლოებით $\frac{1}{10}$ ამომრჩევლებისა:
13 300 000 1907 წელს, გვ. 182

პოლონელების გაგერმანელების პრუსიული პოლიტიკა დღემდე **1 მილიარდი** მარკა დაჯდაო. რატომ მოხდა «სრული გაკოტრება»? (161).

გერმანული სკოლა აბოროტებს პოლონელებს: პოლონელი ბავშვები «ამასთან ერთად საკუთარი გამოცდილებით იცნობენ უცხოელთა ბატონობის მთელ სიმწარეს, ვინაიდან ხომ არ არსებობს ეროვნული შეგნების უფრო ღრმა შეურაცხყოფა», ვიდრე ენის მხრივ (162).

პოლონელები აპოლონურებენ ქალაქებს, ოთხი წოდებიდან (თავადაზნაურობა, სამღვდლოება, გლეხები, ბურჟუაზია) მხოლოდ უკანასკნელია შეურიგებელი. გერმანული კოლონიზაცია აბოროტებს და ეროვნულად აკავშირებს პოლონელებს. სავაჭრო ბოიკოტი: «თავისიანი თავისიანთან».

პოლონელები არ შეიძლება «შევირიგოთ» (გვ. 171), ისინი უნდა გავყოთ, ხელი შევეუწყოთ პრუსია-პოლონეთის პარტიის შექმნას (172).

«შერიგებელი პოლონელებიც, რა თქმა უნდა, იდეით, როგორც ჩვენ ვთქვით, «დროებით პრუსიელებად» რჩებიან» (გვ. 174) — ეს გარდუვალაო, მაგრამ უნდა ვეწეოდეთ ისეთ პოლიტიკას, რომ «უარის (Kündigung) იდეალურად შესაძლებელი ვადა არასოდეს არ გახდეს ფაქტიური».

«ყოველი საგარეო პოლიტიკისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რა რეპუტაციით სარგებლობს ხალხი სხვა დიდ კულტურულ ხალხებში. გერმანელი ხალხი — ამ მხრივ არავითარ ილუზიას არ უნდა ვეძლოდეთ — ყველაზე ნაკლებად უყვართ, და სრულებითაც არა მარტო შური, რომელსაც ჩვენში ხალხით იმიზეზებენ თავის გასამართლებლად, აიძულებს სხვა ხალხებს ასე აღმაცერად გვიცქერდნენ. ჩვენი არასწორი ეროვნული პოლიტიკა — აი რამ გაგვხადა მნიშ-

|| ვნელოვანწილად ჩვენ ესოდენ საძულველნი ყველგან» (175):
პოლონელები და დანიელები (NB) მთელ მსოფლიოს
ჩასძახიან ჩვენზე!!

«ხალხის ხმა» (ჰემინცი)

«ორივე იუნიუსის წინააღმდეგ»

8) «*Volksstimme*» (ჰემინცი), დანართი № 131-ისა (8. VI. 1916).

სტატია: «ორივე იუნიუსის წინააღმდეგ».
«ვინც მსჯელობს მხოლოდ იმ საშინელი მსხვერპლისა და გაჭირვების მიხედვით, რაც ამ ომს მოაქვს, ვინც მხოლოდ გაბოროტებითა და სასოწარკვეთილებით შეპყრობილი ლაპარაკობს, მას, ცხადია, საერთოდ ვერაფერს ვერ დაუმტკიცებ პოლიტიკურად. მაგრამ ვისაც არ უნდა ბრმად წყვეტდეს საკითხს, ვინც იკვლევს და აზროვნებს, მისთვის მდგომარეობა ახლა, შეიძლება ითქვას, უკვე სავსებით ნათელია. ჩვენმა მკითხველებმა იციან ჩვენი ცნობებიდან იუნიუსის ბროშურის შესახებ, რომელიც ამოცანად ისახავს დააჯერონ გერმანიის პროლეტარიატი, რომ იგი ყველაზე მეტად არის დინტერესებული გერმანიის დამარცხებით, რომ მუშათა კლასმა ამაზე უნდა წარმართოს მთელი თავისი ძალა. შემთხვევითი როდია, რომ იმ პანგერმანული ბროშურის ანონიმურმა ავტორმა, რომელიც რაიხსკანცლერს ლანძღავს, რომელიც გამოსულია ტირპიცის ფრონდის წრებიდან და ანექსიონისტური და სისხლმომწყურებელია სიგიჟემდე, *Junius Alter*, მეორე იუნიუსი დაირქვა. ორივე იუნიუსი, რომლებიც პროპაგანდას უწევენ: ერთი — გერმანიის დამარცხებას, მეორე — გერმანიის მსოფლიო ბატონობას, ფაქტიურად ერთმანეთის სასარგებლოდ მოქმედებენ. და პირველი იუნიუსის ბროშურას რომ ვკითხულობდით, ჩვენ არაერთხელ დაგვბადებია ეჭვი, ნამდვილად რომელიმე სოციალ-დემოკრატმა დაწერა იგი, რომელსაც ყოველი საღი გონება დაუჯარგავს, თუ პარდაპირ რუსეთის პროვოკატორმა! გერმანიის მუშათა კლასი ორივე იუნიუსს განდექნის. იგი კვლავაც აწარმოებს შეუპოვარ ბრძოლას გარეშე მტრების წინააღმდეგ, სანამ ისინი არ გამოთქვამენ მზადყოფნას დადონ გონივრული ზავი, და შინაგანი მტრების წინააღმდეგ, რომლებსაც სურთ გიჟური დაპყრობითი გეგმებისათვის ღვარონ ძვირფასი გერმანული სისხლი. ასეთია სოციალ-დემოკრატის პოლიტიკა, და მუშათა მოძრაობის ისტორია მადლობას ეტყვის ბელადებს, რომლებიც ამ დღეებში

ასე ენერგიულად წარმოადგენენ მას რაიხსტაგში მიუხედავად (9 მთელი თავდასხმებისა და ცილისწამებისა).

დასასრული. მთელი სტატია.

«სამსახრით სწორია»

«**Volksstimme**» (ჰემნიცი), 1916, № 133 (შაბათი, 10 ივნისი 1916):

«სავსებით სწორია. ჩვენი შენიშვნების გამო ამხანაგ დ-რ ლენჩის სიტყვებზე კოლანდური საკითხის შესახებ «Bremer Bürger-Zeitung» წერს:

«ჰემნიცის «Volksstimme», ეტყობა, მნიშვნელობას ანიჭებს პარტიული შუღლის შეწყვეტას. ამასთან იგი ალბათ სპეკულაციას ეწევა იმ პერაპექტივებით, რომლებიც იქმნება სოციალ-პატრიოტების, სოციალ-იმპერიალისტებისა და სოციალ-პაციფისტების გაერთიანებისათვის პარტიული ცენტრის უკიდურესი მემარცხენე ფრთის ქცევის მეოხებითაც კი. ჰემნიცის პარტიული ორგანო, შეიძლება ითქვას, ამაში როდი ცდება. რაც შეეხება მემარცხენე რადიკალიზმს, მის შეერთებაზე სოციალ-პატრიოტებთან გაზეთი, რა თქმა უნდა, ამოღდნა ამყარებს იმედს».

ჩვენ შეგვიძლია დავუდასტუროთ ბრემენის გაზეთს, რომ მისი აზრი სავსებით სწორია. ჩვენ მართლაც უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ იმას, რომ პარტიული შუღლი შეწყდეს ანდა, უკიდურეს შემთხვევაში (sic!), ჩაყენებულ იქნას ისეთ ჩარჩოებში (sic!), რომ საფრთხეს აღარ უქმნიდეს ორგანიზაციულ ერთიანობას. ჩვენ ახლაც კიდევ მტკიცე იმედი გვაქვს, რომ სოციალ-პაციფისტები — «Bremer Bürger-Zeitung» ის ჟარგონზე ეს ნიშნავს პააზე — ლედებურის ჯგუფს — კვლავ შეუერთდებიან სოციალ-პატრიოტებს (ამ უკანასკნელებად ვიგულისხმებით ჩვენ) და სოციალ იმპერიალისტებს — აქ იგულისხმებიან პროფკავშირთა ლიდერები ლენჩი, კუნოვი და ა. შ. — ერთიან, მჭიდროდ შეკავშირებულ სოციალ-დემოკრატიად. რომ რიულე — კნიფის ჯგუფი, რომელმაც უკვე განაცხადა, რომ პარტიის ვათიშვა მისი შემდგომი მოღვაწეობის წინაპირობაა» (ხაზგასმა ჰემნიცის «Volksstimme»-სია). «ამაზე არ წავა, ჩვენ ვიცით. მაგრამ ამ დანაკლისს პროლეტარიატი გაუძღვება თავისი ბრძოლისუნარიანობისათვის ზიანის მიუყენებლად».

((მთელი სტატია))

«ბრემენის სამოქალაქო გაზეთი»

«გის და ჯგუფი «ინტერნაციონალი»»

10) *Bremer Bürger-Zeitung*. 1916, № 139, 16. VI. 1916.

«გერმანიის ინტერნაციონალური სოციალისტები და ჯგუფი «ინტერნაციონალი»»⁵²

ამხანაზი კნიფი თავისი შევებულებიდან გვწერს:

«*Bremer Bürger-Zeitung*»-მა გუმინწინ მოათავსა ჯგუფ «ინტერნაციონალის» მოწოდების სარედაქციო შენიშვნა, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს მცდარ შეხედულებათა გავრცელებას ურთიერთობაზე გერმანიის ინტერნაციონალურ სოციალისტებსა (გის) და ჯგუფ «ინტერნაციონალს» შორის».

ჩვენ არაერთხელ გვილაპარაკნია ამ ჯგუფების ურთიერთობაზეო, განსაკუთრებით № 77-ში (31. III-ისა) მოწინავეში.

იქ შეიძლება წავიკითხოთ:

«ოპოზიცია შედგება ორი პრინციპულად სხვადასხვა ჯგუფისაგან: პარტიული ცენტრისაგან (კაუციკი... შაახე—ლედეური... «*Die Neue Zeit*»... «*Leipziger Volkszeitung*», «*Vorwärts*»)... და მემარცხენე რადიკალიზმისაგან, რომელსაც ეკუთვნიან... გის და ჯგუფი «ინტერნაციონალი»... («*Lichtstrahlen*», «*Bremer Bürger-Zeitung*», ბრაუნშვაიგის «*Volksfreund*», «*Der Sozialdemokrat*» (შტუტგარტი)), აგრეთვე, თუმცა არა საესებით თანმიმდევრულად, რაინის ზოგიერთი ორგანო».

ბრაუნშვაიგის «*Volksfreund*» მემარცხენე რადიკალური იყო ტალპეიმერის რედაქციით — ახლა კი, ვეზემეიერის რედაქციით, იგი «ცენტრის თვალსაზრისის წარმოადგენს».

№ 74-ში (28. III) «*Bremer Bürger-Zeitung*»-მა დაბეჭდა (ჰენკეს არყოფნის დროს) ბრაუნშვაიგის «*Volksfreund*»-იდან შენიშვნა იმის შესახებ, რომ ეს გაზეთი ჯგუფ «ინტერნაციონალის» პოზიციაზე დგას (მაშინ იღვას) (და «სპარტაკის»⁵³ წერილების სახელმძღვანელო თეზისები მიაჩნია თავის «ტაქტიკურ და პრინციპულ პროგრამად»)...

«მაშასადამე, გის და ჯგუფი «ინტერნაციონალი» იდენტური არ არიან. ორივე წარმოადგენს მემარცხენე რადიკალიზმს და ხასიათდება ტაქტიკურად განსაკუთრებით თავისი ოპოზიციით პარტიული ცენტრისა და «სოციალ-დემოკრატიული საქმიანი თანამშრომლობის» წინააღმდეგ. მაგრამ მაშინ როცა გის ეს პოზიცია თავიდანვე დაიკავეს, ჯგუფი «ინტერნაციონალი» მხო-

ლოდ თანდათანობით ჩამოშორდა ოპოზიციას, რომელიც და- (11)
 ჯგუფებული იყო ლედებურ — ჰააზეს გარშემო. «Bremer Bür-
 ger-Zeitung» თავის დროზე მიესალმა ამ პროცესს როგორც
 გარკვეულობის შემტან შემდგომ ნაბიჯს (№ 74, 28. III.)...
 ჯგუფმა «ინტერნაციონალმა» მას შემდეგ მკვეთრად და ენერ-
 გიულად გააჩაღა ბრძოლა «სოციალ-დემოკრატიული საქმიანი
 თანამშრომლობის» წინააღმდეგ თავის «სპარტაკის» წერილებში»
 (ციტირებულია «სპარტაკის» უკანასკნელი წერილიდან).

«თავიანთ ამ დამოკიდებულებაში კერძო საკუთრები-
 სადმი» («სოციალ-დემოკრატიული საქმიანი თანამშრომ-
 ლობის» კერძო საკუთრებისადმი??) «გის და ჯგუფი «ინ-
 ტერნაციონალი», როგორც ნათქვამია, მთლიანად ეთან-
 ხმებიან ერთმანეთს, თუმცა სხვადასხვა შეხედულება || NB
 აქვთ ზოგიერთ სხვა საკითხში».

ორივე ჯგუფი მუშაობს «მოცემული ორგანიზაციის ჩა-
 რჩობეში», «სანამ ეს შეუძლებელი არ აღმოჩნდება მათთვის
 პარტიული ბიუროკრატიის ტირანიის გამო»...

ეს ყველაფერი მნიშვნელოვანიაო, ვინაიდან ხშირად შეცდო-
 მები მოსდით და ცდილობენ «წაშალონ საზღვარი ცენტრსა და
 მემარცხენე რადიკალიზმს შორის»...

«თუ კიდევ რა შორს წავა ორივე ჯგუფი განცალკევებული
 ორგანიზაციული არსებობის გზაზე, ეს, რა თქმა უნდა, მთლიან-
 ნად დამოკიდებულია შინაპარტიული ურთიერთობის განვითარ-
 ებაზე. ყოველ შემთხვევაში სიცხადის ინტერესებისათვის
 მისასაღებელია, რომ ისინი გარეგნულადაც განსხვავდებიან
 თავიანთი სახელებით». (დასასრული.)

იოჰან კნიფი

ჰენკე. «იდეატური არ არის, მაგრამ იგივეა»

Ibidem, № 140 (17. VI. 1916).

ჰენკეს პასუხი. «იდეატური არ არის, მაგრამ იგი-
 ვეა»...

...«მე უკვე აღარ მახსოვდა, რომ წამეკითხა ორივე
 ჯგუფის განსხვავებაზე და მათს უმაღლეს ერთიანობაზე
 მემარცხენე რადიკალიზმში. ამ გულმავიწყობას, შესაძ-
 ლოა, ხელი შეუწყო ასეთი სექტანტური დაჯგუფებები-
 სადმი რაიმე ინტერესის უქონლობამ». || NB
 || NB

«თვითონ მე არც ერთ ჯგუფს ვეკუთვნი და არც მეო-
 რეს»...

(12)

მე ყოველთვის «სოციალისტური პრინციპების» მომხრე ვიყავო etc. etc. და ა. შ. ფრაზები, არაფერი ზუსტი.

ჰენკე

«იღევ ერთი აკრიოდული გამოცემა ბრემენში»

№ 141 (19. VI. 1916) — გადაბეჭდილია მოწოდება «მუშათა პოლიტიკის» შესახებ (ყოველკვირეული მემარცხენერადიკალური გამოცემა).

ლიტერატურა მილიციის შესახებ

მილიცია, არმია — etc.

- 13) «სოციალ-დემოკრატია არმიაში. სამხედრო სამსახურის რეფორმა გერმანიაში სოციალიზმთან ბრძოლის მიზნით». იენა, 1901 (შტამპმერ III).
 გასტონ მოშო. «ერთი დემოკრატიული სახელმწიფოს არმია». პარიზი, 1899 (გერმანულად, შტუტგარტი, 1900).
 პ. შვერდტი. «ოფიცერი და სოციალ-დემოკრატი». მიუნხენი (რ. აბტი), 1899? (შტამპმერ III).
 ლიობელი. «როგორ გავუწიოთ სოციალ-დემოკრატის წინააღმდეგობა არმიაში?» ბერლინი, 1906 (მე-2 გამოცემა 1907).
 რ. გიუნთერი. «სამხედრო საქმე და სოციალ-დემოკრატია» («Grenzboten». 1899, I).
 ე. შარმონი. «არმია და დემოკრატია» («Revue politique et parlementaire». VI. 1900).
 «სამხედროები და სოციალ-დემოკრატია» («Neue Zürcher Zeitung», 1907, 17—18. IX).
 კ. ბლეიტრეი. «დემოკრატიის არმია» («Die Zeit», ვენა, 21. VII. 1900, № 303).
 ფონ მიკოსი. «სოციალიზმი და არმია». გიუნსი, 1907.
 «რევოლუციური სოციალიზმი გერმანიის არმიაში». მე-4 გამოცემა. პარიზი (ეიტელი), 1901.
 «არმია და გაფიცება». ლოკარნო, 1906.
 «არმია გაფიცების დროს» (1902 X.—XI. გაფიცვა) ლეიტენანტი ზ. (პარიზი, 1904) («სოციალისტური ბიბლიოთეკა», № 23—4).

- არტურ დიქსი. «სოციალ-დემოკრატია, მილიტარიზმი და კოლონიური პოლიტიკა სოციალისტთა კონგრესებზე». ბერლინი, 1908.
- ანრი ბელი. «მილიტარიზმი, მასთან ბრძოლის საშუალება». ლიონი, 1903.
- კაუცი. «მილიტარიზმი და სოციალიზმი ინგლისში». «Die Neue Zeit», 18, I (1899—1900).
- » «შიპელი და მილიტარიზმი». «Die Neue Zeit», 17, I (1898—9).
- რ. ლუქსემბურგი. «სოციალური რევოლუცია თუ რევოლუცია?» (დანართი: «მილიტარია და მილიტარიზმი»). ლაიპციგი, 1899. მე-2 გამოცემა 1908.
- კარსკი. «საერთაშორისო სამართალი და მილიტარიზმი». «Die Neue Zeit», 17, 2 (1898/9).
- კ. ლეიტენერი. «ანტიმილიტარისტი (კ. ლიბკნეხტი)». «Die Neue Gesellschaft». 1907, 20. III.
- » «არმია და რევოლუცია». *Ibidem*, 1906, 36.
- «კაპიტალის ავიძაღლი» (ანტიმილიტარისტული ლიგა). ციურიხი, 1906.
- «შვეიცარიის მუშათა კლასის პოზიცია სამხედრო საკითხში. პარტიული ყრილობის ოქმები». ოლტენი (11. II. 1906). ციურიხი, 1906.
- «მილიტარიზმი და სოციალ-დემოკრატია». «Die Neue Zeit», 19, 2 (1900—1).
- სკიავეი. «მილიტარიზმი და იტალიელი სოციალისტები». «Le Mouvement Socialiste». 1903, № 113.
- კ. ემილი. «ანტიმილიტარიზმი». «Die Neue Zeit», 25, 2 (1907).
- » «ბურჟუაზიული პარტიები და მილიტარიზმი». «Die Neue Zeit», 25, 2 (1907).
- პიერ რამიუსი. «ანტიმილიტარიზმის ისტორიული განვითარება». («Kultur und Fortschritt», 153.) ლაიპციგი, 1908.
- დემივი. «მილიტარიზმის მსხვერპლნი». «Die Neue Zeit», 18, 2 (1899—1900).
- ე. ვალტერი. «სამხედრო ორგანიზაცია და მუშათა კლასი». ციურიხი, 1907.
- ქ. ლიბკნეხტი. «მილიტარიზმი და ანტიმილიტარიზმი». ლაიპციგი, 1907.

ლენინი მილიციის შესახებ (1912)

14) გ. ლენინი. «მილიცია და განიარაღება». «Die Neue Zeit», 1912 (30, 2).

?? || —სხვათა შორის ასეთი ფრაზა: «მილიციური
დამხმარებელი || სისტემა დემოკრატიული სახელმწიფოს შეიარაღე-
ლი!! || ბული ძალების ორგანიზაციაა, რომლის მიზანია
?? || უზრუნველყოს ქვეყნის როგორც საგარეო, ისე სა-
|| შინაო უშიშროება. დაპყრობითი ომებისათვის მი-
|| ლიცია ყოველ შემთხვევაში გამოუსადეგარია, და
|| სწორედ ამიტომ ჩვენ მისი მომხრე ვართ» (გვ. 768).

აქვეა ციტატი ენგელსიდან, 1865 (ამოვიწერო), რომელი
დღი სახელმწიფო აჯობებს, მუშებისათვის სულ ერთია,
მაგრამ ისწავლონ თუ არა სამხედრო საქმე, მათთვის სულ
ერთი როლია.

ენგელსი მუშათა კლასის შესახებ ინგლისში⁶⁴

ამავე სტატიისა ციტატი ენგელსიდან (აღბათ «მუშათა
კლასის მდგომარეობის» ახალი გამოცემის წინასიტყვაობიდან)
(გვ. XXIII «მდგომარეობიდან», მე-2 გამოცემა).

ენგელსი
ინგლისის
მუშათა
კლასისა და
მონოპოლიის
შესახებ

«სანამ შენარჩუნებული იყო ინგლისის
სამრეწველო მონოპოლია, ინგლი-
სის მუშათა კლასი რამდენადმე იღებდა
მონაწილეობას ამ მონოპოლიის
ხელსაყრელობაში. ეს ხელსაყრელო-
ბა მუშებს შორის ნაწილდებოდა ფრიად
არათანაბრად: უდიდესი ნაწილი მიჰქონდა
პრივილეჯურ უმცირესობას, მაგრამ ფარ-
თო მასებსაც იშვიათად მაინც
ცოტა რამ ხვდებოდათ. აი რატომ
იყო, რომ მას შემდეგ რაც ოუენიზმი გა-
დაშენდა, ინგლასში სოციალიზმი აღარ ყო-
ფილა. ინგლისის სამრეწველო მონო-
პოლიის კრახთან ერთად ინგლისის
მუშათა კლასი დაკარგავს თავის პრივილე-
გიურ მდგომარეობას. დადგება დღე, როცა
იგი მთლიანად, პრივილეგიური და
ხელმძღვანელი უმცირესობის

გამოუკლებლივ, ისეთსავე დონეზე აღმოჩნდება, როგორზეც სხვა ქვეყნების მუშები არიან. და აი ამიტომ სოციალიზმი კვლავ გამოჩნდება ინგლისში*.

ენგელსი
ინგლისის სოციალიზმის შესახებ

ბიურკლი. «ჩვენი სამხედრო საქმის დემოკრატიზაცია»

კარლ ბიურკლი. «ჩვენი სამხედრო საქმის დემოკრატიზაცია». ციურიხი, 1897. (მოხსენება 15. XI. 1895 სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე ვინტერტურში.) უკვე დასაწყისშივე (გვ. 5), რომ ბურჟუაზიამ (შვეიცარიისა) «გამოიწვია მონარქიული მილიტარიზმის მხოლოდ გაუარესებული გამოცემა; მიება-და საზღვარგარეთისათვის, შემოელა ჩვენში რაღაც ახალბრუსიულობა — აი რას ესწრაფოდა იგი განუწყვეტილად».

NB
უკვე
1896

კაუტსკი 1910 და 1912

კაუტსკი. «კოპენჰაგენის კონგრესი»

«Die Neue Zeit», 1910 (28, 2) (26. VIII. 1910). კ. კაუ- (15 ცკი. «კოპენჰაგენის კონგრესი», გვ. 776:

«გერმანიასა და ინგლისის შორის ომის შემთხვევაში ლაპარაკი იქნება არა დემოკრატიზზე, არამედ მსოფლიო ბატონობაზე, ე. ი. მსოფლიოს ექსპლოატაციაზე. ეს ისეთი საკითხი როდია, რომლის დროსაც სოციალ-დემოკრატები თავიანთი ერის ექსპლოატატორთა მხარეზე უნდა მდგარიყვნენ» (და შემდეგ (და უფრო ადრე) პირდაპირ ჰაინდმანის წინააღმდეგ).

NB

შეადარე მისივე XXIII, 2 (პატრიოტიზმისა და ომის შესახებ)**.

კაუტსკი. «კიდევ ერთხელ განიარაღება»

კ. კაუტსკი, 1912 (30, 2), 6. IX. 1912, სტატია «კიდევ ერთხელ განიარაღება», გვ. 851:

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 23. გვ. 141. რე დ.
** იხ. ეს ტომი, გვ. 591. რე დ.

!!
ჰა-ჰა!!!

«იმპერიალიზმის იდეისა და სახელწოდების ამოსავალმა პუნქტმა — ინგლისის სამფლობელოების ყველა შემადგენელი ნაწილის გაერთიანებამ ერთ კარდხშულ გიგანტურ სახელმწიფოდ, იმპერიად, — ამ ამოსავალმა პუნქტმა უკანასკნელ წლებში მთლად უკან პლანზე გადაიწია და პრაქტიკულად მიტოვებულად შეიძლება ჩაითვალოს».

გვ. 850—851: იმპერიალიზმი არის არა «ბუნებრივი, აუცილებელი მისწრაფება» კაპიტალისა გაფართოებისაკენ etc., არამედ მხოლოდ «განსაკუთრებული მეთოდა» — სახელდობრ: ძალადობისა.

კაუცკი რელიგიის შესახებ⁶⁵

!!??
კაუცკი
რელი-
გიის
შესახებ

კ. კაუცკი რელიგიის შესახებ. სხვათა შორის გვ. 353: «ჩვენი აგიტატორი» რელიგიის საკითხზე «უნდა უპასუხებდეს, რომ ეს საკითხი ჩვენი პარტიის კრებებზე არ ისმება და არ წყდება, იმიტომ რომ ჩვენ გვინდა რელიგია ცალკეულ პირთა კერძო საქმედ გავხადოთ, ხოლო სახელმწიფოსაგან მოვითხოვთ, რომ ისიც ასევე უყურებდეს მას»...

[უხამსი!]

სოციალისტები და ზანგები ამერიკაში⁶⁶

დამოკიდებულება ზანგებთან NB: სოციალისტები და ზანგები:

სოციალისტური პარტია და ზანგები ამერიკაში: გვ. 382—3: «მსოფლიოს ინდუსტრიული მუშეები»⁶⁷ ზანგების მომხრეა. სოციალისტური პარტიის დამოკიდებულება «სავსებით ერთსულოვანი არ არის». ერთი მოწოდება ზანგების სასარგებლოდ 1901. ეს არის და ეს!!!

ზანგები და სოციალისტები!!

Ibidem, გვ. 592: მისისიპის შტატში სოციალისტები ზანგებს «განსაკუთრებულ ადგილობრივ ჯგუფებად» რაზმავენ!

ლიბერატურის მიტიმეზანი

«Die Neue Zeit», 32, 1 (1913—14).

ენგელსი. «ავტორიტეტის შესახებ». «მარქსი. «პოლიტიკური ინდიფერენტიზმი»⁶⁸.

რიაზანოვი ბრუზახერის (და მისი დამცველის მერინგის) წინააღმდეგ

NB «**მოძრაობა ეკლესიიდან გამოსვლისათვის**»: მთელი რიგი სტატიები.

«Die Neue Zeit», 30, 2 (1912, IV. — IX.). კაუცკის (და (16) ლენჩის) სტატიები მილიციისა და «განიარალების» შესახებ.

Ibidem გ რ ი მ ი შვეიცარიის მილიციის შესახებ.

28, 2 (კ. კაუცკი კოპენჰაგენის 1910 კონგრესისა და «განიარალების შესახებ». Idem როტშტეინი).

29, 1: როტშტეინი ჰაინდმანის წინააღმდეგ.

29, 2: კველჩი ამისვე შესახებ.

ბელფორტ-ბაქსი იმპერიალიზმის შესახებ (1900)

«Die Neue Zeit», XIX, 1 (1900—1) (21. XI. 1900).. გვ. 247.

ბელფორტ-ბაქსი. ფართოდ გავრცელებული მცდარი დასკვნა.

NB: 1900

«ერთ-ერთმა ყველაზე ხშირმა ცთომილებამ, რომელსაც აწყდები იმპერიალიზმისა და ახალი კოლონიური პოლიტიკის საკითხების განხილვისას, ეტყობა, ზოგიერთი სოციალისტის თავში შეღწეა... და შემდეგ გარჩეულია იმათი მოსაზრება, ვინც მხარს უჭერს კოლონიურ პოლიტიკას კაპიტალიზმის პროგრესულობის გამო. ბაქსი უარყოფს მათ...»

იმპერიალიზმი

იმპერიალიზმის შესახებ.

...«კაპიტალისტურ-ეროვნული იმპერიალიზმი — აი პასუხი, რომელსაც აძლევს კაპიტალიზმი საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიას... მსოფლიო ისტორია ახლა დგას ასეთი მოზრუნების პუნქტის წინაშე — ან ეროვნულ-კაპიტალისტური იმპერიალიზმი, ან ინტერნაციონალურ-სოციალისტური დემოკრატია!»...

...თანამედროვე სამეურნეო სისტემა... (რამდენადაც იგი საქმიანობის ახალ სფეროებს ეუფლება)... «თავისი არსებობის ხელოვნურ განგრძობას იღებს»...

სხვათა შორის ბერნშტეინის პოლემიკა კაუცკისთან. ბერნშტეინი მოაგონებს, რომ ბელფორტ-ბაქსი უკვე 1896/7 წელს ლანძღავდა ბერნშტეინს, ხოლო კაუცკი მაშინ ბერნშტეინის მომხრე იყო. კაუცკი უპასუხებს: ბაქსი მაშინ იქამდე მივიდა, რომ ამბობს, «უმჯობესია მონობა, ვიდრე კაპიტალიზმი» — სიტყვა-სიტყვით — მე არც მაშინ არც ახლა ასე ბაქსის მომხრე არ ვყოფილვარ და არა ვარ: რადგან ეს «სენტიმენტალურ უტოპიზმად» მიმაჩნიაო. მაგრამ ყოველთვის კალონიური პოლიტიკის წინააღმდეგი ვიყავიო.

N. B. შეად. «Die Neue Zeit», XIX, 1 (1901), გვ. 804: მ. ბერი ინგლისის ლპობისა და იმპერიალიზმის შესახებ. «Die Neue Zeit», XX, 1, გვ. 209: «სოციალური იმპერიალიზმი» (ფაბიანელები), გვ. 243, «იმპერიალისტურ-სოციალური ერა».

დების შესახებ

დების
შესახებ

«Die Neue Zeit», 1913—4, 32, 1, გვ. 1007—8. დებსი «საერთაშორისო სოციალისტურ მიმოხილვაში» (1913, მარტი) მომხრეა სოციალისტური პარტიის + სოციალისტური მუშათა პარტიის (დებსი «მსოფლიოს ინდუსტრიული მუშების» კავშირის დამაარსებელია) და «მსოფლიოს ინდუსტრიული მუშების» კავშირისა ამერიკის შრომის ფედერაციის წინააღმდეგ. დების წინააღმდეგ გააფთრებით «New Yorker Volkszeitung», 7. III. 1913, ამბობს, რომ დებსი ბოროტად იყენებს თავის «პრივილეგიას ლაპარაკობდეს სისულელეებს» (sic!), რომ «მსოფლიოს ინდუსტრიული მუშები» = ნული, რომ ამერიკის შრომის ფედერაცია = «ამერიკის მუშათა მოძრაობა» და რომ «შეუძლებელია პროგრესული სულსკვეთებით აღზარდო» მოცემული ქვეყნის მუშათა მოძრაობა იმ გზით, რომ შექმნა ეგრეთწოდებული რევოლუციური ორგანიზაციები რადიკალური პროგრამე-

ბით» (sic!)... (აშკარაა, იქაც ჩვეულებრივი სურათია: «New Yorker Volkszeitung» = «ორტოდოქსები, კაუცკელები, დებსიკი რევოლუციონერია, მაგრამ ნათელი თეორია არა აქვს, მარქსისტი არ არის.)

იტალიელი და აკლონელი მუშები შვეიცარიაში

ი. ლორენცი. «იტალიელების საკითხისათვის შვეიცარიაში». (17

ციურიხი?

» «პოლონელი მუშები შვეიცარიაში». ციურიხი, 1910.

ლიტერატურის მითითება. იყო იტალიელების ამბოხება ციურიხში 26—29. VII. 1896.

მათი რიცხვი: 1860 — 9 ათასი

1870 — 18

1900 — 117

საშინელი სილატაკე. მაგალითი: 3 ოთახში 50 კაცი!! (16 გვ.). კუთხეები, ფიცრის ტახტები, 10—20 სანტიმი ღამის გათევა etc.

1910 წელს — 400 კაცი. საშინელი სილატაკე.

ქირა 1.50 ფრ. — 1.80 დღეში მეპატრონის კვებით

კიდევაც «სცემენ» ხოლმე (გვ. 11)

{შეად. მისი-
ვე «Neues
Leben»-ში
1916, 1}

მუშათა მოძრაობა კანადაში

მუშათა მოძრაობა კანადაში («გაბურჟუაზიულდა»)

...«მუშათა კლასის კვალიფიციური ნაწილი, განსაკუთრებით ინგლისურად მოლაპარაკე, მთლად გაბურჟუაზიულდა. მისი შეხედულებანი პროფესიულ კავშირებზე ჭერ კადევ მთლიანად ემთხვევა ინგლისის ძველი. გონებაშეზღუდული ტრედ-უნიონების შეხედულებებს. თანაც სულიერად ისინი ჭერ კიდევ მაღლიანად ეკლესიის ხელში არიან. «გარეწრად» რომ ითვლებოდე.

მუშათა
მოძრაობა
(გაბურჟუაზიულდა)
კანადაში

42 კაცი...
მთელი სიმდიდრის
1/3

ეს უდიდესი სირცხვილია, «რესპექტა-
ბელურობა» «უმადლესი პატივია». ეს
სხვანაირად ხდება: უკმაყოფილების სუ-
ლისკვეთება... სიძვირე. «42 კაცს ახლა
ფაქტიურად ხელთ უპყრია ქვეყნის
მთელი სიმდიდრის ერთ მესამედზე მე-
ტი»... წვრილი ბურჟუაზია, განსაკუთ-
რებით სოფლის მეურნეობაში, ტრესტე-
ბის წინააღმდეგია. («Die Neue Zeit»,
1913—4, 32, 1, გვ. 382, შინაარსი გუს-
ტავ მიეერის სტატიისა: «აგრარული
უკმაყოფილება კანადაში» «The New Re-
view», 1913, სექტემბერი.)

სამხრეთი აფრიკა

Ibidem, გვ. 384, სამხრეთ აფრიკის
შესახებ («რანდი»). მუშები ჩინელების.
კაფრებისა და თეთრკანიანებისაგან
(რომლებიც ბურჟუაზიის ომმა გააღატაკა).
უამრავი საზიზღრობა ინგლისელი კაპი-
ტალისტების, მალაროთა პატრონებისა
და მთავრობის მხრივ. თანდათანობით
ვითარდება ყველა დაქირავებული მუ-
შის კლასობრივი ბრძოლა, მაგრამ ნელა
«მნიშვნელოვანწილად მუშათა ბელადე-
ბის გაუბედობის, გონებაშეზღუდულო-
ბისა და უსულგულობის გამო, რომლე-
ბიც ჯერ კიდევ მთლიანად იმყოფებიან
ძველი ტრედ-უნიონიზმის გავლენაში»
(«The International Socialist Review»-
იდან, 1913, ოქტომბერი, შინაარსი).

«მუშათა ბელადები»
გონებაშეზღუდუ-
ლი, უსულგულო,
ძველი
ტრედ-უნიონისტები

ლისაბარე. «1871 კომუნის ისტორია»

ლისაგარე. «კომუნის ისტორია». 1894, გვ. 193 (მე-17
თავის ეპიგრაფი): «ფრანგი ერი მარტო ქალებისაგან რომ
შედგებოდეს, რა საშინელი ერი იქნებოდა». «The Daily
News», მაისი 1871. NB

შვეიცარიის ახალი სამხედრო კანონი მიღებულია 3. XI.
1907: + 329 953
— 267 605

მონოპოლიები და ტექნიკა

ტრესტები, მონოპოლია და ტექნიკა:

«მონოპოლიური წარმონაქმნები უფრო აფერხებენ, ვიდრე აჩქარებენ ამ ტექნიკურ სრულყოფას, რომელიც ერთადერთი უზრუნველყოფს საექსპორტო უნარის განვითარებას» («Die Neue Zeit», 32, 1, 1913—4, გვ. 383, ლუი კ. ფრაინის სტატიის შინაარსი. «კონცენტრაცია, მონოპოლია, კონკურენცია: ახალი მიმართულება სახალხო მეურნეობაში», «The New Review»-ში (ნიუ-იორკი) (1913, სექტემბერი)).

ლენჩი. «სოციალ-დემოკრატია, მისი დასასრული და მისი წარმატებანი»

3. ლენჩი. «სოციალ-დემოკრატია, მისი დასასრული და მისი წარმატებანი». ლაიპციგი (გირცელი), 1916 (წინასიტყვაობა 22. V. 1916).

გვ. 11—12. მარქსმა მხოლოდ «დაცინვა» იცოდაო ისეთი «კეთილგანზრახული წარმოდგენების» მიმართ, როგორც არის განიარაღება, «ხალხთა თვითგამორკვევის* უფლება» etc. (გვ. 41: «ძველი წვრილბურჟუაზიული დოგმატიკა»)

გვ. 15 — — 90-იანი წლებიდან სოციალ-დემოკრატია «თანდათან იშორებს ყველაფერს, რაც კი მასში სექტანტური იყო... (1000 წლის მეფობის იმედები და სხვ. გაქრაო etc.)...»

ყველაფერს «აგიტატორული» თვალსაზრისით აფასებდნენო (17)... გერმანიის სოციალ-დემოკრატის «ენთუზიაზმის პერიოდი»... (კიდევ 1889 გადაწყვეტილებით 1. V-ის შესახებ).

იმპერიალიზმის ზრდა — მე-19 საუკუნის ბოლო — ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია (26—27)...

რევიზიონიზმის ზრდა: ორივე მიმართულება (რევიზიონიზმიც და რადიკალიზმიც) აუცილებელი და სასარგებლო იყო (31—5)...

* სიტყვა «თვითგამორკვევის» ხელნაწერში ისრით შეერთებულია გვიანდელ მხაწერთან: «(გვ. 41: «ძველი წვრილბურჟუაზიული დოგმატიკა»)». რ. დ.

მარქსი და ენგელსი «წვრილბურჟუაზიულად სენტიმენტალური» როდი იყვნენ: «მათ იცოდნენ, რომ ომში ცოტა არ იყოს სროლაა» (39)...

62—68. 4 ავგისტოს ხმა უნდა მიეცათ კრედიტების წინააღმდეგ (სინამდვილეში ყველაფერი ისევე იქნებოდა), 2. XII. 1914 კი — კრედიტების სასარგებლოდ, ვინაიდან ინტერნაციონალიზმმა ფრანგებმა და ინგლისელებმა დაარღვიეს. [თაღლითი!!]

ეს შეამკირებდა ინტერნაციონალურ სიძულვილს გერმანელებისადმი და ამით გააძლიერებდა მათს ეროვნულ საქმეს: 69—70.

დახე, რა თაღლითია!!!

პა-პა!!! ||| «ინტერნაციონალის კრახი» (თავი 3) იმაშია, რომ ფრანგებმა და ინგლისელებმა მხარი დაუჭირეს ომს (sic!!).

sic! ||| რა თქმა უნდა, იქნება III ინტერნაციონალიც, მხოლოდ «ნაკლებ უტოპიური» (112) და უფრო შეგნებულ ი თავისი «სამეურნეო საფუძვლის» მიმართ...

sic! ||| «რაც უფრო მომწიფებული იყო ესა თუ ის პროლეტარიატი, მით უფრო აქტიური იყო იგი ომში» (113) — რენერის ეს დებულება «სწორი არ არის», ვინაიდან «მომწიფებულობა» კი არ არის ინგლისსა და საფრანგეთში ქვევის მიზეზი, არამედ ბრძოლა მსოფლიო ბატონობისათვის გერმანიის წინააღმდეგ.

ინგლისელი მუშები იცავდნენ თავიანთ (მონოპოლიურ) განსაკუთრებულ მდგომარეობას და თავიანთ პრივილეგიებს (114—5)...

ინგლისის პროლეტარიატის არისტოკრატიული ზედაფენა (115).

პა-პა! ||| მუშათა კლასის საერთაშორისო სოლიდარობაზე ლაპარაკი «მეტად ადრეა» (117), სანამ არსებობენ ექსპლოატატორი ერები, სანამ არ არის «საჯელმწიფოთა» «წონასწორობა» (116)...

19) და «კეთილმორწმუნე სურვილების კატალოგი» (თვითგამორკვევის უფლება (წვრილბურჟუაზიულია etc.), ანექსიების წინააღმდეგ etc.) — აბსტრაქტულია, ანგარიშს არ უწევს ომის კონკრეტულ (121) ამოცანას — გატეხილ იქნას «კლასობრივი ბატონობა» (114) (+122) ინგლისისა, მისი მონოპოლია (122). «განსაკუთრებული მდგომარეობა» (120)...

— ეს «რევოლუციაა» (123 და წინასიტყვაობა).
 აი რა არის ახლანდელი ომი! «ამ» (პროლეტარული)
 «კლასის აღმავლობათუმცა ხდება რევო-
 ლუციური მსოფლიო ომის გრიალში, მაგ-
 რამ ამასთან რევოლუციური სამოქალა-
 ქო ომის ელვის გარეშე»... (124) (ხაზგასმა ავ-
 ტორისა).

მასხა-
რა!

«ინგლისის მსოფლიო ბატონობის შერყევია» = რევოლუ-
ციაა.

წყალქვეშა ნაეები და ცეპელინები (125)... ინგლისის გა-
 ბატონებული მდგომარეობის «დასასრულის დასაწყისი» (126)
 (მათი როლი კიდევ უფრო ძლიერი იქნება მერმე, ომის
 შემდეგ)

131 — მე-19 საუკუნის უკანასკნელ 3—4 ათწლეულში ინგლისმა
 თავის კოლონიებს მიუმატა 15 მილიონი კვ. კმ.
 კიდევ 15 მილიონი შეად. ჩემი ციფრები*

ინგლისი + საფრანგეთი + რუსეთი =
 3ა - 3ა ||| «სინდიკატი მსოფლიოს გასანაწილებ-
 გამო- ||| ლად» (132 და სხვ. ადგილებში) იმ
 თქმა!! ||| მიზნით, რომ «weltpolitisch aushun-
 gern» გერმანია** (132). ||| NB ||| NB

175: ინგლისის მუშათა კლასის თითქმის ნახევარი მოკ-
 ლებულია საარჩევნო უფლებას.
 «ორგანიზაციის პრინციპი» — აი პრუსიის ისტორიის
 არსი. აქედან — გერმანიის ძალა. იგი ყველაზე ახლოა
 «სოციალურ რევოლუციასთან» (184), იგი —
 «რევოლუციური პრინციპია», ინგლისი — «რეაქციუ-
 ლია».

!!!

186: «სიმბოლური ვიზიტი ბერლინის პროფკავშირთა სახლ-
 ში»... (მთავრობამ ცნო პროფკავშირების როლი).
 (პროფკავშირთა ბელადების შექება) (185—6.)

* იხ. ეს ტომი, გვ. 229. რ ე დ.
 ** უთარგმნელი გამოთქმა. სიტყვისიტყვი: «შიმშილით მოკლან გერ-
 მანია მსოფლიო პოლიტიკის მიმართ», ე. ი. შიმშილით დააუძღურონ გერ-
 მანია, მოუსპონ მას მსოფლიო პოლიტიკის წარმოების შესაძლებლობა.
 რ ე დ.

188 — მე ამას «სამხედრო სოციალიზმი» ვუწოდებ, და ამ სიტყვამ «საერთაშორისო მოქალაქეობრივი უფლება» მოიპოვა.

195: ახალი ხარჯები (4 მილიარდი წელიწადში) ომის შემდეგ გარდუვალად გამოიწვევს განსაზოგადობასა და მონოპოლიებს.

198: «არმიის ორგანიზაციის დემოკრატიზაცია» — აქედანვე... = «ხალხის შეიარაღება» (204) = «ჩვენი სოციალ-დემოკრატიული პროგრამის» აზრი.

20)

209—210 — — უმცირესობა გერმანიის პარტიაში რეაქციული ისტორიული აზრით და ამიტომ მისი ბედია: «იმპოსიბილიზმი და სექტანტური ლაყბობა».

სოციალ-დემოკრატიული პარტია ამიერიდან უფრო ნაკლებად ვიწრო იქნება; მას დაუბრუნდება «ინტელიგენტებიც» და ოფიცრებიც კი (212).

სახელმწიფო ცნობს მის აუცილებლობას და ოფიცრებად დაუშვებს სოციალ-დემოკრატებს (!!).

NB ||| სოციალ-დემოკრატია, მუშები რომ «აამალა», აამალ-ლა ისინი ეროვნულად (215 in fine) («ეროვნული აღმავლობა»)

(= «სოციალ-დემოკრატია ყველაზე ეროვნულია ყველა პარტიათაგან») (216).

<p>არა დიალექტიკა, არამედ სოფისტიკა</p>	<p>ყველგან თამაში სიტყვით «დიალექტიკა»-რომელიც გაგებულა ყოვლად უხამსად. ყოველმხრივობის ნატამალიც არ არის. ამოგლეჯილია სოფისტიკურად ერთი რამ: ძირი გამოეთხაროს ინგლისის მსოფლიო ბატონობას.</p>
---	---

პერენ დე ბუსაკი. «კოლონიური არმიის შესახებ»
და «შრომის ბიბლიოგრაფია»

პერენ დე ბუსაკი. «კოლონიური არმიის შესახებ». დისერტაცია. პარიზი, 1901. Nil. მოწაფური ნაშრომი. ციტატები მოჰყავს დე ლანესანიდან. «კოლონიზაციის პრინციპები» — კოლონიური არმიის ჯარისკაცის როლი როგორც კოლონისტისა, მიწათმოქმედისა, მიწათმფლობელისა etc. ((NB:

კოლონიური არმიის ჯარისკაცის გადაქცევა შემამულედ კოლონიაში: პე რ ს პ ე ქ ტ ი ვ ე ბ ი!!)

«შრომის ბიბლიოგრაფია». 1913. ბოსტონი, NB
1914: 150 გვერდი ძალიან დეტალური და მშვენიერი NB
რი ბიბლიოგრაფია. NB

ჰემნიციის «ხალხის ხმა»

«კაბრისადმი ღალატი სახელმწიფოებრივი ღალატი»

«Volksstimme» (ჰემნიცი) № 156 (I დანართი), NB
8. VII. 1916, დასაფასებელი (21
სტატია: «პარტიისადმი ღალატი სახელმწიფოებრივი ღალატი».
ლი აღიარებულია

«უკვე მთელი რიგი თვეების განმავლობაში მრავალრიცხოვან ანონიმურ ფურცლებში პარტიისა და პროფკავშირების არჩეულ და ნაცად ბელადებს უყენებენ ყველა ტონით, თვით «ძალღურამდე», გადაღებული ბრალდებებს, თითქოს მსოფლიო ისტორიის დიდი კრიზისის მომენტში, რომლის კულმინაციური პუნქტი პარტიის პოლიტიკისათვის უეჭველად 1914 წ. 4 აგვისტო იყო, მათ გაყიდეს და გასცეს პროლეტარიატი. თავდაპირველად, როცა კითხულობდნენ ამას, იცინოდნენ. მაგრამ რაც უფრო საგრძნობი ხდებოდა ომის საშინელებანი, რაც უფრო მატულობდა მსხვერპლის რიცხვი, რაც უფრო იგრძნობოდა სურსათის ნაკლებობა და რაც უფრო კლებულობდა ზავის იმედები მოწინააღმდეგის შეუპოვრობის გამო მის დამანგრეველ გეგმებში, მით უფრო მეტი ხდებოდა იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც მზად იყვნენ დაეჯერებინათ ეს საზიზღარი ცილისწამება.»

«უფრო მეტი»

«ძალღური» ტონი აშკარად ნართაული მითითებაა ერთი ფურცლის გამოთქმაზე, რომ სოციალ-დემოკრატიის სტები საჭიროა «ძალღის მოღვრა» დაკამუშაოთ!

«რის გულისათვის, რა საფასურისათვის გაცემდნენ შეიდე-
მანი, დავიდი, ლანდსბერგი პროლეტარიატს, ეს დღემდე არ
უთქვამთ ჩვენთვის»... არა ადგილებსათვის პარტიაში: «კრე-
დიტების უარყოფა საშიში არ არის სიცოცხლისათვის»... და
კიდევ უფრო გაურკვეველია, რაშია გამცემლობა, ვინაიდან
ეს მათი რწმენა, ფაქტების შეფასებაა... «ამდენად ბრალდება
გამცემლობაში მოკლებულია ყოველგვარ აზრს».

«მაგრამ პარტიისათვის იგი უაღრესად საში-
შია. თუ რას ფიქრობს პარტიელთა მასა, ამის
თაობაზე შეიძლება დაეჭვება და დავა. მაგრამ
არავითარი ეჭვი არ არის, რომ ახლაც
ჯერ კიდევ სულ მცირე $\frac{3}{4}$ იმ ადამიანებისა,
რომლებიც პროლეტარიატმა წყნარ მშვიდო-
ბიან დროს აირჩია მათი დამსახურებისათვის
ბელადებად, კრედიტებისათვის ხმის მიცემას
სწორად და აუცილებლად თვლის. გამოდის.
რომ 90-ზე მეტმა რაიხსტაგის 110 სოციალ-
დემოკრატი დეპუტატიდან 4. VIII. თითქოს
გამცემლობა ჩაიდინა, და ბელადთა და პარ-
ტიულ მუშაკთა $\frac{3}{4}$ -ზე მეტი დღემდეც სჩადის
ამას. ეს რომ მართალი იყოს, ყველაფერზე
ჰკვიანური ის იქნებოდა, რომ ნებაზე მიგვეშ-
ვა პარტია თვითმკვლელობის ჩასადენად, რაც
შეიძლება მალე ჩაგვესვენებინა კუბოში და
დაგვემარხა მ-წაში. ვინაიდან თუ პროლეტა-
რიატს, 50 წლის ორგანიზაციული მუშაობის
შემდეგ, ბელადებად მხოლოდ და მხოლოდ
გამცემლები ეყოლებოდა, ეს იმის უდავო,
უცილობელი დადასტურება იქნებოდა, რომ
პოლიტიკურად პროლეტარიატს არაფრის
უნარი არ შესწევს და ყოველთვის მოტყუე-
ბული იქნება. სხვა რა დასკვნაა შესაძლებე-
ლი? ყველა ძველი ბელადი შეიძლებოდა გაგ-
ვეგლო და მათ ადგილზე ყველანი ახლები
ავკერჩია, მაგრამ არ შეიძლებოდა გექონოდა
გარანტია, რომ მომდევნო დიდი კრიზისის
დროს ახალი ბელადები თავის მხრივ არ ჩაი-
დნენ გამცემლობას»... ვინაიდან ბევრი არქი-
რადიკალი 4 აგვისტოს მომხრეაო (პფანკუხი,
ებერტი და ა. შ.)... «მაშასადამე, რა გარან-

NB

შეად. მარტო-
ვი!!!

ტია შეიძლებაოდა მიგვეცა მუშებისათვის, რომ
თუ ეს ადამიანები გამცემლები არიან, თვი-
თეული მათი შემკვიდრეც გამცემლობით არ
დაამთავრებს?» sic!!

ახლა ანონიმური ფურცლები იქამდე მივიდნენ, რომ პირ-
დაპირ მოუწოდებენ გაფიცვისაკენ სამხედრო მრეწველობაში.
ეს — სახელმწიფოებრივი დალატიაო.

«ვინაიდან თქმა არ უნდა, რომ მასობრივი გაფიცვის ამ იდეას
ოდნავი პრაქტიკული შედეგიც არ ექნება არც ფანატისკოს-
ნაციონალისტ ფრანგებში, არც მედიდურ ინგლისელებში»... (22)

ეს, აშკარაა, სოციალ-დემოკრატები კი არ
არაან, არამედ ან გიჟები, ან ინგლის-
რუსეთის პროვოკატორებიო... ეს
ისე «უპატიოსნო და არაპატრიოტულია», რომ
ასეთ ადამიანებთან ჩვენ არასოდეს არაფერი
საერთო არ შეიძლება გვქონდესო და სხვ. შეადარე
მარტოვი
«იზვესტია-
ში» etc.

«ლანიკვიზის სახალხო გაზეთი»⁶⁹

«Leipziger Volkszeitung», 10. VII. 1916.

პარტიული საჩხუბო

«პარტიისადმი დალატი — სახელმწიფოებრივი
დალატია».

ასეთ სათაურს უკეთებს ჰემნიცის «Volksstimme» სტატიას, რომელშიც
იგი მკვეთრად ესხმის თავს პარტიისადმი დალატში ბრალდებას, რასაც
«პარტიისა და პროფკავშირების არჩეულ და ნაცად ბელადებს უყენებენ
მრავალრიცხოვან ანონიმურ ფურცლებში და რასაც ლეჰვენს ყველა ტო-
ნით, თვით «ძალღურამდე».

ამ დაცუას მოსდევს თავდასხმა. სტატიის მეორე ნაწილში ლაპარაკია
«სახელმწიფოებრივ დალატზე». მასში ნათქვამია:

«ამასობაში ფურცლების ანონიმური ლიტერატურა აშკარა სახელმწი-
ფოებრივ დალატამდე მივიდა. ჩვენ, ცხადია, ვლაპარაკობთ არა კარლ
ლიბკნეხტზე, რომელიც სამხედრო სასამართლოს სურს რაღაც იურიდიული
დედუქციების საფუძველზე დასაჯოს სამხედრო დალატის მცდელობისათვის,
მაგრამ რომლის ქცევას ყოველ შემთხვევაში საერთო არა აქვს რა სახელ-
მწიფოებრივ დალატთან, როგორც იგი ხალხში ესმით, — ჩვენ ვლაპარაკ-
ობთ ისეთ სახელმწიფოებრივ დალატზე, რომლისგანაც ვერასგზით ვერ
დაიძვრენ თავს. როგორც «Hamburger Echo» იუწყება, ახლა მუშათა
წრეებში გაურკვეველი გზებით ვრცელდება ფურცელი, რომელიც მოუ-
წოდებს საყოველთაო გაფიცვისაკენ სამხედრო მრეწვე-
ლობაში*. ლოზუნგით «ძირს იმი!» ფურცელი მოუწოდებს «ახლებუ-

* ხაზგასმა აქ და ქვემოთ სტატიის ავტორისაა. რ ე დ.

რად მოქმედებისაკენ» და ფრიად არაორაზროვნად აჩვენებს მაგალითებით, რომ ამით იგულისხმება პასობრივი გაფიცვა. მაშასადამე, სწორედ იმ დროს, როცა ფრონტებზე მტრები გააფთრებით აწარმოებენ შემოტევას და გერმანელ მებრძოლებს სეტყვასავით აყრიან რკინას, აპირებენ გერმანიის არტილერიის დატოვებას უწყობარებოდ: დაე გერმანიის ქვეითი ჯარი, არტილერიის დახმარებას მოკლებული, იღუპებოდეს მტრის ყუშმარებით, დაე იღუპებოდნენ ჯარში გაწყვეული გერმანელი პროლეტარები. ვინაიდან ლაპარაკი ზედმეტია იმაზე, რომ მასობრივი გაფიცვის ეს იდეა ოდნავ პრაქტიკულ ზეგაუწინასაც ვერ მოახდენს ვერც ფანტიკოს-ნაციონალისტ ფრანგებზე და ვერც მედიდურ ინგლისელებზე.

ამრიგად, ეს პროპაგანდა წარმოადგენს პირდაპირ სახელმწიფოებრივ ღალატს, ღალატს არამთავრ მყოფი ჩვენი კლასობრივი ამხანაგებისადმი, და ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, რას იტყვან ჩვენი ამხანაგები იქ ასეთ უგუნუ-რებაზე.

ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ გერმანიის მუშათა კლასიც საკადრის პასუხს გასცემს იმ აღამიანებს, რომლებიც მას ამგვარი პრეტენზიებით მიმართავენ. ფურცლები, როგორც უკვე ვთქვით, ანონიმურია; გვიტყვიაგან მომდინარეობენ ისინი თუ ინგლის-რუსეთის პროვოკატორებისაგან, ეს ჩვენ არ ვიცით. სოციალ-დემოკრატებისაგან ისინი არ შეიძლება მომდინარეობდნენ არავითარ შემთხვევაში. ვინც დათანხმდებოდა თუნდაც მხოლოდ პასიურად დაეჭირა მხარი ასეთი პროპაგანდისათვის, იგი სამუდამოდ შეწყვეტდა არსებობას გერმანიის სოციალ-დემოკრატიისათვის. ვინაიდან ეს პროპაგანდა უპატიოსნო და არაპატრიოტულია, და იმ აღამიანთან, რომელიც ასე ღრმად დაეცა, ჩვენ, რა თქმა უნდა, არაფერი, სრულიად არაფერი საერთო არ შეიძლება გვქონდეს.

მაგრამ ასეთი მოვლენის უკვე მარტო შესაძლებლობა გვიჩვენებს, თუ სად შეიძლება მიგვიყვანოს ფურცლების ამ ანონიმურმა ლიტერატურამ. იგი დაიწყო უშეგრი ლანძღვა-გინებით, რომლისთვისაც მისი ავტორები ვერ ბედავდნენ ეყისრათ პასუხისმგებლობა თავიანთი პარტიული ამხანაგების წინაშე, ახლა კი ასეთ პროვოკატორულ მუშაობამდე მივიდა. ჯერ ყვიროს პარტიისათვის ღალატის შესახებ, ახლა კი — აშკარა სახელმწიფო ღალატი! მაშასადამე, დადგადრო საბოლოოდ აღიკვეთოს ეს ლიტერატურა. ვისაც ჩვენს დროში რამეს თქმა სურს, უნდა ჰქონდეს გამგებლობა. ოქვას ეს თავისი პასუხისმგებლობით. ან, იქნებ, ეს აღამიანები მეტად მხალნი არიან იმისათვის, რომ თავიანთ თავს დევნის საფრთხე შეუქმნან მაშინ, როცა ასეთელ ათასობით აღამიანი სიცოცხლეს სწირავენ თავის საქმეს? მასთან ამ ანონიმური ფურცლების გამავრცელებლებს ეს ანონიმურობა სულ ერთია ვერ იხსნის; თუ მათ შეიპყრობენ, ისინი, რა თქმა უნდა, უსასტიკესად იქნებიან დასჯილი.

ამ ანონიმური პროპაგანდის საშიშროება ახლა სავსებით ცხადი გახდა. იგი შესაძლებლობას არ იძლევა გაკეთდეს რაიმე განსხვავება პარტიოსან შვედომასა და სამშობლოსადმი საზიზღარ ღალატს შორის, რომლის საზღაურს აღბათ უცხოური ფულით იხდიან. ამიტომ ჩვენ მოვუწოდებთ პარტიულ ამხანაგებს ბოლო მოუღონ ამ ანონიმურ ფურცლებს. ისინი წარმოადგენენ საფარს იმ აღამიანებისათვის, რომლებსაც უნდათ უბედურება დაატეხონ თავს გერმანელ ხალხს და უწინარეს ყოვლისა გერმანიის პროლეტარიატს. ფხიზლად იყავით პროვოკატორების წინააღმდეგ!

ჩვენ საჭიროდ ვთვლით მოვიყვანოთ ეს მსჯელობა, რათა ჩვენს მკითხველებს ვაჩვენოთ, თუ რა მიაჩნიათ დღის ამოცანად «Hamburger Echo»-სა

და ხემნიცის «Volksstimme»-ს. ორივე ეს გაზეთი არსებითად რომ გამო-სულიყო ფურცლების გამგვრცელებელთა წინააღმდეგ, ეს მათი კანონიერი უფლება იქნებოდა, მაგრამ თუ ისინი ყვირილით აცხადებენ პროპაგანდას სახელმწიფო დალატად, ეს და ბ ე ზ ლ ე ბ ა ა, რომელიც იმის ღირსია, რომ მუშათა კლასმა ჩერონად შეაფასოს იგი.

თუმცა არსებითად ეს ბრალდება სრულიად დაუსაბუთებელია, რადგან ფურცლები, რომლებსაც განვიხილავთ, ყოველ შემთხვევაში რამდენადაც ვიცით მათ შესახებ, გაფიცვას სახავენ მხოლოდ როგორც საშუალებას, რომ ნათელი ფორმით გამოითქვას მუშათა კლასის მოთხოვნები დღის მწვავე საკითხების მხრივ. იმ მიზნის შესახებ, რომელსაც «Hamburger Echo» და ხემნიცის «Volksstimme» ამ ფურცლებში ვარაუდობენ, მათში ხსენებაც არ არის.

მარქსი თავისუფლებისათვის საფრანგეთის ომის
შესახებ (I. 1871), ირლანდიის შესახებ, მომავალი
ომის შესახებ (1874 წ.)

მარქსი 1870 წლის ომის შესახებ:

ინტერნაციონალის 1-ლ ადრესში (23. VII. 1870) მარქსს მოჰყავს 50 000 მუშის ნდობით აღჭურვილ პირთა ხემნიცის რეზოლუცია, რომელიც ომს «მხოლოდ და მხოლოდ დინასტიურ» ომად აცხადებს (გვ. 18, «სამოქალაქო ომის» მე-3 გამოცემა).

[*Ibidem*, გვ. 17—18: გერმანელებისათვის ომი თავდაცვითია.]

მე-2 ადრესში (9. IX. 1870) ნათქვამია, რომ «თავდაცვითი ომი დამთავრდა... რესპუბლიკის გამოცხადებით»... (გვ. 19), რომ «საფრანგეთის მუშათა კლასი მეტისმეტად ძნელ პირობებშია»... ნუ გაჰყვებით 1792 წლის ეროვნულ მოგონებებს... «ახალი მთავრობის ჩამოგდების ცდა სასო-წარკვეთილებით გამოწვეული სისულელე იქნებოდა»... NB
«დინჯად და მტკიცედ გამოიყენეთ რესპუბლიკური თავისუფლებანი თქვენი საკუთარი კლასის ორგანიზაციისათვის»⁷⁰ (გვ. 25).

1870 წლის 13. XII-ის წერილი: «როგორც არ უნდა გათავ-დეს ომი, მან საფრანგეთის პროლეტარიატს იარაღის ხმარება ასწავლა» [რვეული: «მარქსიზმი სახელმწიფოს შე-სახებ», გვ. 2, გვერდით⁷¹].

სტატია «The Daily News»-ში, 16. I. 1871: «საფრანგეთი იბრძვის თავისი ეროვნული დამოუკიდებლობისთვისაც და გერმანიისა და ევროპის თავისუფლებისთვისაც»⁷².

1871 წლის 12. IV-ის წერილი: სიხარული «პარიზის მუშათა ისტორიული ინიციატივის» გამო etc. (რვეული: «მარქსიზმი

სახელმწიფოს შესახებ», გვ. 12)⁷³. «სამოქალაქო ომი საფრანგეთში»: 30. V. 1871.

მარქსს კუგელმანისადმი 1871 წლის 14. II-ის წერილში («Die Neue Zeit», XX, 2, გვ. 608) მოჰყავს წერილი,

რომელიც მან 1871 წლის 16. I-ს გამოაქვეყნა «The Daily News»-ში და რომელიც ასე თავდება: «საფრანგეთი ახლა იბრძვის არა მარტო თავისი საკუთარი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, არამედ გერმანიისა და ევროპის თავისუფლებისათვისაც, და მისი საქმე, საბედნიეროდ, სულაც არ შეიძლება უიმედოდ ჩაითვალოს»⁷⁴.

ოქტე, 1870 წლის 28. III-ის წერილში, მარქსს მოჰყავს თავისი საჩივრები ბაკუნინის წინააღმდეგ და ტექსტი გენერალური საბჭოს 1870 წლის 1. I-ის გადაწყვეტილებებსა, სადაც სხვათა შორის აღმოცემულია გენერალური საბჭოს დამოკიდებულება ირლანდიის საკითხისადმი:

მარქსი
ირლანდიის
შესახებ
(1870)

...«გენერალური საბჭოს რეზოლუციები ირლანდიის ამნისტიის შესახებ მხოლოდ შესავალია სხვა რეზოლუციებისათვის, რომლებშიც ნათქვამი იქნება, რომ, საერთაშორისო სამართლიანობაზე რომ აღარა ითქვას რა, ინგლისის მუშათა კლასის განთავისუფლების წინასწარ პირობას წარმოადგენს არსებული იძულებითი უნიის, ე. ი. ირლანდიის დამონების, გადაქცევა თანასწორ და თავისუფალ კავშირად, თუ ეს შესაძლებელია, ან სრული გამოყოფა, თუ ეს აუცილებელია»⁷⁵ (გვ. 478). —

(1874) || ოქტე, გვ. 800: 1874 წლის 18. V-ის წერილი⁷⁶:

...«ყველა დიპლომატიური სვლის მიუხედავად, ახალი ომი — ოტა ადრე, ოტა გვიან — გარდუვალია, და, ვიდრე იგი დამთავრდებოდეს, საეჭვოა, რომ სადმე საქმე მივიდეს ძლიერ სახლზე მოძრაობამდე, ან, სულ დიდი, მას ადგილობრივი და უმნიშვნელო ხასიათი ექნება».

უღბრიხტი. ეროვნებები და იმპერიალიზმი

23) ედმუნდ უღბრიხტი. «მსოფლიო სახელმწიფო და ეროვნული სახელმწიფო». (პოლიტიკური ისტორია 1500—

1815.) დამუშავებული და გამოცემულია გუსტავ როზენ-
ვაგენის მიერ. ლაიპციგი, 1910. (გვ. 668).

ტექსტში არაერთგზის არის «იმპერიალისტური გეგმების»
შესახებ etc.

1815 წ. შემდგომი ეპოქისადმი მიძღვნილია მხოლოდ 2^{1/2}
გვერდი — 666—668: «შედევები და პერსპექტივები».

«განმათავისუფლებელ ომებს თან მოსდევს აგრეთვე საზ-
ღვო და სავაჭრო ბატონობისათვის მსოფლიო-ისტორიული
ბრძოლის დამთავრებაც: შედეგი — ინგლისის ბატონობა
ზღვაზე.»

მაგრამ რევოლუციის ეპოქა და განმათავისუფლებელი
ომები ნიშნავს აგრეთვე ახალი განვითარების დასაწყისს.
რევოლუციამ ააფეთქა საფრანგეთის ძველი ფეოდალური
წყობილება და ამით ბიძგი მისცა საზოგადოებრივი წეს-
რიგისა და სახელმწიფოს გარდაქმნას, და სხვა ევრო-
პულმა სახელმწიფოებმა მხოლოდ ხალხთა დახმარებით
ბოლოს და ბოლოს შეძლეს დაეცვათ თავი იმ ძალების
წინააღმდეგ, რომლებიც საფრანგეთში რევოლუციამ
აამოძრავა. რევოლუციის ყველა იდეიდან პირველ ხანებ-
ში არც ერთი არ აღმოჩენილა უფრო ქმედითი, ვიდრე NB
ეროვნული იდეა. უცხოელთა სასტიკი ბატონობის უღელ-
ქვეშ და მის წინააღმდეგ გამირულ ბრძოლაში სხვა ევრო-
პული ხალხებიც ამაღლდნენ სახელმწიფოსა და ერს
შორის შინაგანი კავშირის შეგნებამდე. თუ მე-18 საუკუნე-
ში ცალკეული სახელმწიფოს მეტისმეტად გაძლიერებული
სიმძლავრისაგან ევროპის დამოუკიდებლობისა და მისი
წონასწორობის დასაცავად დიდი სახელმწიფოები გამო-
დიოდნენ, ახლა თვით ხალხები გაახალგაზრდადდნენ და
განახლდნენ სიღრმიდან ახალი ძალების მოდენის მეოხე-
ბით. ეროვნული იდეა მე-19 საუკუნის თითქმის ყველა ომის NB
ბირთვი და მიზანი ხდება.

ხალხებში გაზრდილ თავისი ძალის ამ შეგნებას, რა თქმა
უნდა, თავი უნდა ეჩინა მათ საკუთარ სახელმწიფოთა შიგნი-
თაც. მასებმა იწყეს ბრძოლა სახელმწიფო ცხოვრებაში მო-
წინააღმდეგობისათვის.

საფრანგეთის რევოლუციის, ნაპოლეონის მსოფლიო ბატო- (24
ნობისა და განმათავისუფლებელი ომების შედეგად ეროვნული
გრძნობა და პოლიტიკური თავისუფლებისადმი მისწრაფება
უახლესი ისტორიის უძლეველ ძალებად გაიზარდა. ეროვნული
ტენდენციები უერთდება განათლების ეპოქაში ფესვადგმულ

ლიბერალურ და დემოკრატიულ იდეებს და ხდება მათი შერწყმა სახალხო სუვერენიტეტის თეორიად, რომლის თანახმადაც სახელმწიფოებრიობა დამყარებული უნდა იყოს განუყოფელ ერზე, და სწორედ იმგვარად, რომ უზენაესი ნება და უზენაესი ძალაუფლება ეკუთვნის ერს და რომ მხოლოდ მისი უფლებიდან უნდა გამომდინარეობდეს სახელმწიფოს მეთაურის უფლება» (667).

ეს თეორია ემუქრებოდა მონარქიებსაც და მათს უცხოეროვნულ შემადგენლობასაც: რესტავრაცია ამ იდეების წინააღმდეგაა...

მაგრამ მე-19 საუკუნე მთლიანად არის მოძრაობა პოლიტიკური თავისუფლებისა და ეროვნულობისაკენ.

«მაგრამ სავაჭრო-პოლიტიკურ ბრძოლას, რომელიც ფულადი მეურნეობის აღმოცენებისა და დიადი აღმოჩენების ეპოქიდან სულ უფრო განსაზღვრავდა ხალხთა ისტორიას, ამის გამო მე-19 საუკუნეში მეორე პლანზე როდი დაუხვევია. მართალია, პირველად ინგლისს ეკუთვნის უთუო სავაჭრო ბატონობა, და, ისარგებლა რა ამ თავისი ძლიერებით, მან, ვაჭრობის თავისუფლების შესახებ მოძღვრების მოშველიებით, დაძლია ეკონომიური ბრძოლის ეპოქა, რომელიც თან შორიდან მერკანტილიზმმა. ამ მოძღვრების მოშველიებით, რომელიც, პოლიტიკური ლიბერალიზმის მსგავსად, განათლების საუკუნეში აღმოცენდა, ინგლისმა დაიპყრო მსოფლიო, მან ძლევამოსილად განახორციელა განთავისუფლება ვაჭრობისა და ურთიერთობისა ხალხთა ცხოვრებაში. ეკონომიურად უფრო სუსტი სახელმწიფოები ერთხანს ემორჩილებოდნენ ამ სისტემას; ევროპის დიდ ეროვნულ სახელმწიფოთაგან ყველაზე ახალგაზრდა სახელმწიფოებსაც კი — იტალიასა და გერმანიას — არ შეეძლოთ ყურად არ ელოთ ეს ახალი მოძღვრება.

მაგრამ აი ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებმაც დაძლიეს მძიმე შინაგანი კრიზისი, გამოვიდნენ როგორც ახალი მძლავრი კონკურენტი სავაჭრო-პოლიტიკურ ასპარეზზე. იწყება ეკონომიური ბრძოლის ახალი ეპოქა, ეპოქა, რომელიც

25) ალინიშნა იმით, რომ დაუბრუნდნენ მფარველობითი ბაჟებისა და სავაჭრო ხელშეკრულებების საშუალებით ეროვნული შრომის დაცვის პოლიტიკას, მაგრამ ძველი მერკანტილიზმის დამახასიათებელი ძალაობის მკვეთრი პოლიტიკის განუახლებლად. შეერთებულ შტატებს ამ გზაზე გაჰყვა საფრანგეთის მესამე რესპუბლიკა,

ხოლო 1880 წლიდან გერმანიის ახალი იმპერიაც. ლიბერალური და ეროვნული სახელმწიფო წესისათვის ბრძოლის დამთავრების შემდეგ, კონსტიტუციურ სახელმწიფოთა საშინაო მშენებლობის დამთავრების შემდეგ ცდილობენ რაც შეიძლება ფართო გასაქანი შეუქმნან ხალხის განმტკიცებულ ძალას. კოლონიურ შეჯიბრებაში დიდი სახელმწიფოები ცდილობენ შეიძინონ ტერიტორიები თავიანთი საქონლის გასასაღებლად, წყაროები, საიდანაც მათ შეეძლება მიიღონ მათთვის საჭირო ნედლეული; დაულაღავი დიპლომატიური მუშაობით ისინი ცდილობენ თავიანთ მშრომელ ხალხებს ახალი რაიონები გაუხსნან ვაჭრობისათვის. ექსპანსიისადმი ამ მისწრაფებებს შეესაბამება, მეორე მხრივ, მზარდი მისწრაფება სამეურნეო ავტარკიისადმი. ინგლისს სურს თავის კოლონიურ სამფლობელოებთან ერთად შექმნას ერთიანი, კარჩაკეტილი სავაჭრო მთლიანობა, დიდი ბრიტანეთი. ამერიკა ესწრაფვის იმას, რომ სამეურნეო მხრივ იყოს თვითკმარი, სურს ძველი სამყაროსაგან დამოუკიდებელი გახდეს ვაჭრობისა და მრეწველობის მხრივ. მხოლოდ ახლა დაიწყო სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით ხალხთა შეჯიბრება მსოფლიო ბატონობისა და მსოფლიო ვაჭრობისათვის ბრძოლაში. იგი იწვევს რამდენიმე მსოფლიო სახელმწიფოს აღმოცენებას, რომლებიც ერთმანეთის გვერდით არსებობენ. და მათი პოლიტიკა, თუ კი მათ სურთ თავი დაიცვან, იმპერიალიზმი უნდა იყოს.

თავისი სახელწოდება და ცნება ახალმა იმპერიალიზმმა მიიღო არა რომის იმპერიისაგან და არა საშუალო საუკუნეების იმპერიისა და პაპობისაგან: ახლა უკვე ლაპარაკია არა რომელიმე ერთადერთი სახელმწიფოს მსოფლიო ბატონობაზე. კოლონიური ექსპანსია, მსოფლიო ვაჭ-

პა-პა!!

NB

NB

NB

«იმპერიალიზმი»

«ახალი
იმპერიალიზმი»

«ნიშნები»

3-3ა!

რობაში მონაწილეობა, თავისი საზღვარგარეთის ინტერესების დაცვა ძლიერი ფლოტების დახმარებით — ასეთია ინგლისის იმპერიისაგან გადაღებული ნიშნები თანამედროვე მსოფლიო სახელმწიფოებისა. ასეთ სახელმწიფოებს შეუძლიათ იარსებონ ერთმანეთის გვერდით და ხალხთა მშვიდობიან შეჯიბრებაში ხელი შეუწყონ კაცობრიობის პროგრესს» (667—668). (წიგნის დასასრული.)

N. B. ძველი და ახალი იმპერიალიზმი:

«ძველი
იმპერიალიზმი
მოკვდა»

შესავლიდან, გვ. XXIII:

«წმ. ელენეს კუნძულზე განმარტოებაში დამარხულ იქნა ძველი იმპერიალიზმი; ბონაპარტთან ერთად კვდება მისი უკანასკნელი წარმომადგენელი; და ამ, თავისი საგმირო საქმეებით განთქმულ, ადამიანს ჯერ კიდევ ედგა ყოფილი იმპერატორული ბრწყინვის რომანტიკული შარავანდელი. იწყება უახლესი ისტორია; მას საფუძვლად უდევს ეროვნული იდეა, რომელიც უფრო ძლიერი გამოდგა, ვიდრე ნაპოლეონის დაცემის შემდეგ პირველი ათეული წლების ხელმწიფეთა და სახელმწიფო ადამიანთა რეაქციული მისწრაფებანი. იმას, რაც მე-16 საუკუნემ დაიწყო, ამთავრებს მე-19 საუკუნე, როცა შუაევროპის იორივე ხალხმა, იტალიამ და გერმანიამ, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე უცხო სახელმწიფოთა მიერ ექსპლოატაციის ობიექტები იყვნენ, ბოლოს, მიაღწიეს ეროვნულ გაერთიანებას. მაგრამ ასეთ ეროვნულ საფუძველზე იქმნება ახალი მსოფლიო პოლიტიკის შესაძლებლობა. სიტყვა იმპერიალიზმი კვლავ ცოცხლდება ახალი შინაარსით. ინგლისმა, ნაპოლეონის ამ მო-

NB:

«ახალი მსოფლიო
პოლიტიკა»

წინააღმდეგემ, რომელიც ერთხელაც არ
 დამარცხებულა, დასაბამი მისცა ამას ჯერ
 კიდევ მე-18 საუკუნეში, როცა უფრო შეუგ-
 ნებლად, ვიდრე შეგნებულად, ოკეანეს-
 იმიერი კოლონიების შექმნითა და ძლიერი
 სამხედრო ფლოტის ყოლით, შექმნა ახა-
 ლი მსოფლიო იმპერია ევროპის
 ფარგლებს გარეთ. მას მიჰყვებიან
 ამჟამად მსოფლიოს დანარჩენი
 დიდი სახელმწიფოები: ეკონომიუ-
 რი აუცილებლობა იწვევს ხალხთა ეკო-
 ნომიურ შეჯიბრებას მთელ დედამი-
 შის ზურგზე».

N B.
 «ახალი
 იმპერიალიზმი»

მთელი თხზულება 3 კარად იყოფა.

«კარი I: შუასაუკუნეობრივი მსოფლიო იმპერიის დასასრუ- (27
 ლი და ეროვნულ სახელმწიფოთა აღმოცენება რეფორმაციისა
 და კონტრეფორმაციის ეპოქაში, 1500—1648.

კარი II: ევროპის ხუთი დიდი სახელმწიფოს შექმნა მონარ-
 ქიული აბსოლუტიზმის ეპოქაში.

კარი III: ახალი მსოფლიო სახელმწიფოს, საფრანგეთის,
 აღმოცენება და დასასრული და სახელმწიფოთა ბრძოლა თავი-
 ანთი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, 1789—1815».

ჩემი დამატება: («ხანები») ეპოქები
Ergo, 1500—1789 = 289 წელი
1789—1871 = 82 წელი
1871—1914 = 43 წელი

მთავარი მომენტები

კარი I:

აღმოცენება «ესპანეთის ეროვნული სახელმწიფოსი» (გვ. 24
 და შემდ.) და შემდეგ «დაარსება ესპანეთ-ჰაბსბურგთა მსოფ-
 ლიო სახელმწიფოსი» (გვ. 51 და შემდ.).

კარლოს V მსოფლიო ბატონობისათვის ბრძოლაში (გერმა-
 ნიის რეფორმაცია) 1517—1555.

ეროვნული სამეფო ხელისუფლება დანიასა და შვეციაში
 (გვ. 148 და შემდ.)... «შვეციის მიერ ესტლანდიის დამორჩი-
 ლება» etc.

40. ვ. ი. ლენინი, ტ. 39.

პოლონეთის განვითარება დიდ სახელმწიფოდ (163 და შემდ.)... პოლონეთ-შვეციის კავშირი... პოლონეთი და რუსეთისათვის ბრძოლა.

ესპანეთთან ბრძოლის დასაწყისი. პოლანდიის «განმათავისუფლებელი ომი» და «ესპანეთისაგან ნიდერლანდის ჩამოშორება». არმადა 1588. ბრძოლის შედეგი: «საფრანგეთის, ინგლისისა და ნიდერლანდის ამაღლება. ესპანეთის დაქვეითება» (233 და შემდ.).

30 წლიანი ომი, 1616—1659 წწ. ეპოქა: «ესპანეთ-ჰაბსბურგთა კათოლიკური მსოფლიო პოლიტიკა გერმანულ პროტესტანტიზმთან, დანიასა და შვეციასთან, საფრანგეთსა და ინგლისთან ბრძოლაში» (273 და შემდ.).

28)

(მათ შორის ინგლისის, პოლანდიისა და დანიის კავშირი ავსტრიის წინააღმდეგ.

შვედები ვენის წინ. შვეცია საფრანგეთთან ომში etc.)

რევოლუცია ინგლისში მე-17 საუკუნეში.

კარი II:

«საფრანგეთის ეროვნული სახელმწიფოს დამთავრება» (რიშელე) და «საფრანგეთის მიერ ევროპაში გაბატონებული მდგომარეობის მიღწევა». 1661—1685.

ევროპას წინააწირობის აღდგენა (ომი ესპანეთის მემკვიდრეობისათვის); ინგლისის, ავსტრიის, რუსეთის, პრუსიის ამაღლება.

რუსეთი შვეციასთან (და პოლონეთთან) ბრძოლაში...

«შვეცია დანიასთან, პოლონეთთან, ბრანდენბურგთან, ავსტრიასთან და ნიდერლანდთან ომში» (1655—1660).

ავსტრია თურქეთთან ბრძოლაში (მე-17 საუკუნე).

დიდი სახელმწიფოების ბრძოლა (1740—1789).

შვიდწლიანი ომი (1758—1762) (ინგლისისა და საფრანგეთის «კოლონიური ომი»).

შეერთებული შტატების ომი დამოუკიდებლობისათვის (საფრანგეთთან, ესპანეთთან და პოლანდიასთან კავშირში).

«ოსებ II-ისა და ეკატერინე II-ის იმპერიალისტური გეგმები. პოლონეთის დასასრული».

კარი III:

ომები საფრანგეთის რევოლუციის წინააღმდეგ.

1-ლი კოალიციური ომი (1792—7)

მე-2 » » (1799—1801/2)

ინგლის-საფრანგეთის ომი (1793—1799).

ნაპოლეონის ომი პრუსიასთან და «ნაპოლეონის გეგმები მსოფლიო ბატონობისა». (კრახი 1812 წელს.)
განმათავისუფლებელი ომები 1813—1815.

პოლონეთი 1660 წლის წინ (ისტორიული ატლასის მიხედვით):

პოლონეთს ლიუბლინის კავშირის მიხედვით—1569 წ.—
ჰქონდა ოსტრეეის ზღვის ნაპირი დანციგით, კურლანდია, ლიფ-
ლანდია რიგით (ოლივის 1660 წ. ზავის თანახმად გადაეცა
შვეციას), მალოროსია კიევით, პოლტავითა და ჩერნიგოვით,
პოდოლია, ვოლინი etc., ბელორუსია სმოლენსკით.

(ანდრუსოვის ზავის თანახმად, 1667, რუსეთს გადასცა სმოლენ- სკი, კიევი, ჩერნიგოვი, პოლტავა და სხვ.)	{	პოლონეთის გაყოფა:	}	
		პირველი		1772
		მესამე		1795

მთელი სამხრეთი ამერიკა ახლა თავისუფალი გარდა სამი
გვიანისა:

{ ესპანეთის, პორტუგალიისა და ჰო- ლანდიისა მე-16—17 საუკუნეებში }	ბრიტანეთის (1781)
	ჰოლანდიის (1667)
	საფრანგეთის (1674)

ჩრდილოეთი ამერიკა 1783. 13 შტატის დამოუკიდებლობა
ინგლისისაგან

ლუიზიანა (მთელი რი- ესპანეთის 1763
გი შტატები ახლა): საფრანგეთის 1802, ბრიტანეთის 1763,
მისისიპის აუზი შ. შტატების 1803, შ. შტატების 1783.

მექსიკა და შუა ამერიკა: ესპანეთის
(მექსიკა, რესპუბლიკა 1810-დან)

თურქეთი: ოსმანთა იმპერია მაჰომედ IV-ის (1648—1687)
ღროს თითქმის ვენაზე ავსტრია
რუმინეთი, ყირიმი, კავკასია
მთელი ბალკანეთის ნახევარკუნძული და სხვ.

სერბია { უნგრეთისა 1718-დან } სამეფო 1817-დან
{ თურქეთისა 1739-დან }

შვეციას 1719 წლამდე (წინ) (მე-17 საუკუნის შუა წლებიდან)
ჰქონდა ფინეთიც
ინგერმანლანდია (ს. პეტერბურგი)

(ნორვეგიას 1815 წლადან ესტლანდია
შვეციას) ლიფლანდია
გერმანიის ნაწილი (დასავლეთი პო-
მერანია (შტეტინი) + ბრემენი)

შეერთებული შტატები. ოთხ დამო- 1763 წ. საფრანგეთმა
უკიდებლობასათვის 1775—1783 კანადა მისცა ინგლისს

{ 1778 წ. ხელშეკრულება მეგობრუ- } 13 შტატის დამოუკი-
ლი საფრანგეთთან დებლობა გამოცხადდა
{ 1779 წ. ხელშეკრულება მეგობრუ- } 1776 წ. 4 ივლისს
ლი ესპანეთთან

{ ამერიკა-საფრანგეთის ჯარები } ომის დასასრული:
{ ურტყამენ ინგლისელებს 1781 წ. } 3. IX. 1783: ვერსალის
ზავი. ესპანეთმა, ამე-
რიკის სამხედრო მო-
კავშირემ, ამ ზავის
თანახმად უკან მიიღო
ფლორიდა.

ფლორიდა მხოლოდ 1819 წელს შეუერთდა ამერიკის შეერ-
თებულ შტატებს.

პორტუგალია ესპანეთისა იყო 1580—1640

პოლანდია: გამოეყო ესპანეთს: 1581

1796 ბელგიამ საფრანგეთს
პოლანდა = ბატავიის რესპუბლიკა
1814=1831 ბელგიამ პოლანდიას

ახალი ისტორიის «ეპოქები»

28)

ახალი ისტორიის ისტორიული ეპოქების
საკითხისათვის შეად. კიდევ პ. ზერე. «წყა-
როთამცოდნეობა მსოფლიო ისტორიაში»,
ლაიპციგი, 1910, სადაც მოცემულია, ლი-
ტერატურის აღნიშვნისას, ჩვეუ-
ლებრივი დაყოფა ეპოქებად და მოყვანილია,

სხვათა შორის, ასეთი «ეპოქები»: «მსოფლიო ბატონობის საშუალოსაოკუენობრივი იდეის ეპოქა» (დაახლ. 800-დან — დაახლ. 1250-მდე). — «ეროვნული სახელმწიფოების აღმოცენების ეპოქა» (დაახლ. 1250-დან — დაახლ. 1500-მდე)... «ეროვნული კონსტიტუციური სახელმწიფოების წარმოქმნისა და განვითარების ეპოქა» (დაახლ. 1789-დან — დაახლ. 1870-მდე)... «მსოფლიო სახელმწიფოებისა და მსოფლიო მეურნეობების ეპოქა» («დაახლ. 1870-დან — დაახლ. 1910-მდე»).

NB
ახალი ისტორიის
ისტორიული
«ეპოქები»

შურნალი «ბორბა»

აღლერი და რენერი

«Der Kampf» 1916, № 2. ფრ. აღლერს სტატიაში «ომის მიზნები» (ანექსიების წინააღმდეგ) მოჰყავს «Süddeutsche Monatshefte»-დან მათი განცხადება⁷⁷:

«სახელმწიფოები, რომლებისგანაც ამჟამად მსოფლიო შედგება, ძალაზე დაფუძნებული სახელმწიფოები არიან. მაგრამ მათს ძალას შეადგენს მიწა, ადამიანები და ქონება»... «ისინი (ჯარისკაცები) ელიან «რეალურ გარანტიებს»: ისინი ელიან მიწას, ადამიანებსა და ქონებას»...

ცხადია!

და პარალელისათვის 1791 წ. კონსტიტუცია, მუხლი VI:

«ფრანგი ერი უარს ამბობს წამოიწყოს რაიმე ომი დაპყრობის მიზნებით და არასოდეს არ გამოიყენებს თავის ძალებს რომელიც უნდა იყოს ხალხის თავისუფლების წინააღმდეგ»...

და 1848 წ. კონსტიტუცია: «საფრანგეთის რესპუბლიკა პატივს სცემს უცხო ეროვნებებს ისევე, როგორც იგი მოელის პატივისცემას თავისი ეროვნებისადმი. იგი არ წამოიწყებს არავითარ ომს დაპყრობის მიზნებით და არასოდეს არ გამოიყენებს თავის ძალებს რომელიც უნდა იყოს ხალხის თავისუფლების წინააღმდეგ»...

საფრანგეთის
1791 წ.
კონსტიტუცია
ეროვნული
ომების
შესახებ

ჩემი დამატება:

საფრანგეთის 1791, 1793 და სხვ. კონსტიტუციების ტექსტები იხ. ფ. ელის წიგნში. «საფრანგეთის კონსტიტუციები».

რენერი
ტროცკის
შესახებ

ჰა-ჰა!!

Ibidem, № 1: კ. რენერი
სტატიაში «სინამდვილე თუ ბოდ-
ვითი იდეა?» სხვათა შორის
მე-17 გვ. ტროცკის უწოდებს
«პილფერდინგის უახლოეს მე-
გობარს».

დამახასიათე-
ბელია!!

მისი მოსაზრებებიდან გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის კავშირის სასარგებლოდ: «მსოფლიოში მხოლოდ ორი დიდი სამეურნეო სისტემა რომ გვქონდეს, ჩვენთვის, სოციალ-დემოკრატებისათვის, უფრო ადვილი იქნებოდა უკანასკნელი დიდი შუაკედლის დანგრევა, გაცილებით უფრო ადვილი, ვიდრე ახლა, როცა დახლართულ ლაბირინთში ვიმყოფებით და სწორედ ამიტომ ასე ძნელად ვპოულობთ ჩვენ გზას. დაე მთელი მსოფლიო მშვიდად დაადგეს კავშირის გზას — მით უკეთესია ჩვენთვის, მით უფრო მეტად მივუახლოვდებით საბოლოო მიზანს» (19—20).

NB: შეად. ცენ-
ტრალური ევროპა და ევროპის შ. შტატები

(გვ. 16: «მოძრაობა ეგრეთწოდებული ცენტრალური ევროპისათვის ჯერ კიდევ მთლიანად ბურჟუაზიულ ნიადაგზე ჩაღდება, და მე უწინარეს ყოვლისა იმაზე ვლაპარაკობ».)

ჩვენ და ისინი:

- 1) რენერი, «Sozialistische Monatshefte», «Die Glocke» და კომპ. = იმპერიალისტური ბურჟუაზიის ლაქიები
- 2) კაუცკი, პილფერდინგი და კომპ. (+ უახლოესი მეგობარი = ტროცკი) = იმპერიალისტური ბურჟუაზიის შემგონებლები
იმპერიალისტური ბურჟუაზიის დამასინდისებელნი მისი რეფორმატორები⁷⁸
- 3) მემარცხენეები = რევოლუციური მებრძოლები მის წინააღმდეგ.

პილფერდინგი (ბაშტკინაშვირი შეხედულეზანი)

«Der Kampf», 1916, № 2, გვ. 59—60.

(31

პილფერდინგი მოჰყავს კაუტკის ჩვეულებრივი საბუთი, რომ მსოფლიო მეურნეობის ურთიერთობა აიძულებს არ იყონ კარჩაქეტილნი, რომ ინგლისის კოლონიებში შეტანა და გატანა (1899—1913) უფრო გაიზარდა არა ინგლისთანო (გვ. 57): «გერმანიას დიდი სახსრები არ დაუხარჯავს კოლონიების შექმნასა და მათს მართვაზე, მაგრამ როგორც კი საკუთარმა კაპიტალისტურმა განვითარებამ შესაძლებლობა მისცა, მან ისევე ისარგებლა კოლონიების საწარმოო უნარით, როგორც ინგლისმა. კოლონიები რომ ინგლისისათვის იქნას მონოპოლიზებული, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია»... (ისევე როგორც ინგლისი—პირდაპირ სწორი არ არის: რკინიგზები, კონცესიები, კაპიტალის გატანა. გერმანიამ ინგლისს გაუსწრო მიუხედავად ამ უკანასკნელის კოლონიებისა. უკოლონიებოდ ინგლისი შეიძლება კიდევ უფრო ჩამორჩენილიყო. ეს — 1-ლი. ხოლო მე-2, ინგლისში ფინანსური კაპიტალი უფრო «განცხრომას მიეცა». ახლა გერმანიულსაც უნდა «განცხრომა»).

ფინანსური
კაპიტალის
დამპყრობელური
ოინები

მთავარი:

«იმპერიალისტური პოლიტიკის განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ იგი ცდილობს ეკონომიური კონკურენციის საკითხები გადაჭრას სახელმწიფოებრივი ძალდატანების საშუალებებით სახელმწიფოში გაბატონებული კაპიტალისტთა ფენის ინტერესებისათვის. მფარველობითი ბაჟების შემწევობით იგი სამამულო კარტელებისათვის უზრუნველყოფს საშინაო ბაზრის ექსპლოატაციას; იგი ცდილობს თავისი კოლონიური პოლიტიკით და გავლენის სფეროების პოლიტიკით მონოპოლიურად მიუჩინოს თავის კაპიტალისტებს მსოფლიო ბაზრის ცალკეული ნაწილები და ეკონომიური და პოლიტიკური ზეგავლენის საშუალებით გა-

დააქცოს მცირე ქვეყნები ექსპლოატაციის სფეროებად თავისი კაპიტალისათვის. ამით იგი ადგება სხვა სახელმწიფოების იმპერიალისტურ პოლიტიკისადმი სულ უფრო მზარდი წინააღმდეგობის გზას. აქედან წარმოდგება მისწრაფება სახელმწიფო ძალაუფლების გაძლიერებისაკენ, სულ უფრო ინტენსიური საზღვაო და სახმელეთო გამალებული შეიარაღება. სწორედ ამ პოლიტიკას მოჰყვა კატასტროფა. და ხალხები ახლა დგანან ალტერნატივის წინაშე: განაგრძობენ ისინი (!!!) ამ პოლიტიკას ომის შემდეგ თუ მოინდომებენ შეწყვიტონ იგი. განგრძობა მფარველობითი ბაჟების პოლიტიკის, კოლონიური პოლიტიკის და შეიარაღების პოლიტიკისა, რომლებიც ერთმანეთისაგან განუყოფელია, თუ ჩამოშორება დიდმპყრობელური პოლიტიკისაგან!» (59—60). —

NB

«იხილეთ»

NB

ჯერ საჭიროა თვითონ აიღონ ხელში ძალაუფლება და არა ტყუილუბრალოდ ილაპარაკონ «ძალაუფლებაზე».

NB

NB

«საქმე მარტო სავაჭრო ურთიერთობის უბრალო მოწესრიგება როდია, არამედ ის დიდმპყრობელური პოლიტიკა, რომელიც ისწრაფვის სხვების ხარჯზე უზრუნველყოს მონოპოლისტური მდგომარეობა საკუთარი კაპიტალისათვის, — ის პოლიტიკა, რომლიდანაც ომის საშიშროება აღმოცენდა. და ნუთუ იმის გამო, რომ ასე იყო ომამდე, ჩვენ უნდა შევეურიგდეთ ამას, და არა ყველა საშუალებით გავუწიოთ წინააღმდეგობა ამ პოლიტიკის განგრძობას კიდევ გაცილებით უფრო მაღალ საფეხურზე? ჩვენ პირიქით ვფიქრობთ: სწორედ იმიტომ, რომ დავინახეთ, თუ საით მივყავართ სახელმწიფოთა მონოპოლისტურ დიდმპყრობელურ პოლიტიკას, ჩვენ ყველა ღონისძიებით უნდა ვიბრძოლოთ მისი განგრძობისა და გაფართოების წინააღმდეგ» (61).

ინგლისი და მარქსი ინგლისელი მუშების შესახებ

ენგელსი. «მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში». მე-2 (32 გამოცემა. 1892⁷⁹).

გვ. XX. «არისტოკრატია მუშათა კლასში» — «მუშათა პრივილეგიური უმცირესობა» «მუშათა ფართო მასის» საპირისპიროდ (1885 წ. 1. III-ის სტატიიდან). NB

სხვა ქვეყნების კონკურენციამ გატეხა ინგლისის «სამრეწველო მონოპოლია» (XXI) NB

«პატარა პრივილეგიური, დაცული უმცირესობა» (XXII) (მუშათა კლასისა) — მხოლოდ მას ჰქონდა 1848—68 წლებში «ხანგრძლივი სარგებლობა», ხოლო «ფართო მასა უკეთეს შემთხვევაში სარგებლობდა თავისი მდგომარეობის მხოლოდ ხანმოკლე გაუმჯობესებით»*. S

(იხ. ამ რვეულის გვ. 14**)

გვ. XXIV. «ახალი უნიონიზმის», ხელობის უცოდინარი მუშების კავშირების ზრდა:

«მათ» (ამ ახალ უნიონისტებს) «ერთი განუზომელი უპირატესობა აქვთ: მათი ფსიქიკა წარმოადგენს ჯერ კიდევ ხელუხლებელ ნიადაგს, სრულიად თავისუფალს მემკვიდრეობით გადმოცემულ «საპატრო» ბურჟუაზიულ ცრურწმენათაგან, რომელნიც გზა-კვალს უბნევენ უკეთ მოწყობილ «ძველ უნიონისტებს»***. NB

და 1892 წლის არჩევნების შესახებ:

«წინანდელი ეგრეთწოდებული მუშათა წარმომადგენლებიდან, ე. ი. ადამიანებიდან, რომელთაც აპატიებენ იმას, რომ ისინი მუშათა კლასს ეკუთვნიან, აპატიებენ იმიტომ, რომ ისინი თვითონ მზად არიან ჩაახრჩონ ეს თავიანთი თვისება თავიანთი ლიბერალიზმის ოკეანეში, — ჰენრი ბროოდჰორსტი, ძველი უნიონიზმის ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენელი, საშინლად დამარცხდა, იმიტომ რომ თავისი თავი რვა საათის სამუშაო დღის მოწინააღმდეგედ გამოაცხადა»****. NB

1847 წ. შემდეგ: «ამ ორი მიზეზის შედეგად [1] ჩარტიზმის სიკვდილი; 2) სამრეწველო აყვავება] ინგლისის მუშათა

* იხ. ვ. ი. ლენინი, თბზულებანი, 4 გამოც., ტომი 23, გვ. 141. რ ე დ.

** იხ. ეს ტომი, გვ. 605. რ ე დ.

*** იხ. ვ. ი. ლენინი, თბზულებანი, 4 გამოც., ტომი 23, გვ. 141. რ ე დ.

**** იქვე. რ ე დ.

კლასი პოლიტიკური მხრივ დანაშაუტი გახდა «დიდი ლიბერალური პარტიისა» — პარტიისა, რომელსაც მეფებრიკეები ხელმძღვანელობდნენ» (XVII).

33) მიწერ-მოწერა ზორგესთან:

მარქსი ინგლისის მუშათა ბელადების შესახებ:

ფრ. ენგელსი ზორგეს (21. IX. 1872):... «ჰეილზმა აქ ფედერალურ საბჭოში დიდი აურზაური ატეხა, მიაღწია იმას, რომ მარქსს გაკაცხვა გამოუცხადეს იმისათვის, რომ იგი ამბობდა, ინგლისის მუშათა ბელადები მოსყიდულები არიანო, მაგრამ ერთმა აქაურმა ინგლისურმა სექციამ და ერთმა ირლანდიურმა სექციამ უკვე გამოთქვეს პროტესტი, აღიარეს რა მარქსის სიმართლე»...⁸⁰

ენგელსი ზორგეს 5. X. 1872: «აქ ჰეილზმა მარქსისა და ჩემს წინააღმდეგ წამოიწყო გაცხარებული ცილისმწამებლური კამპანია, რომელიც, თუმცა, უკვე იწყებს მობრუნებას თვით მის წინააღმდეგ... საბაბი გახდა მარქსის განცხადება ინგლისის მუშათა ბელადების გამყიდველობის შესახებ»...⁸¹

#

მარქსი ზორგეს 4. IV. 1874⁸²: ... «რაც შეეხება ქალაქის მუშებს» (ინგლისში), «სამწუხაროა, რომ ბელადების მთელი ბანდა არ მოხვდა პარლამენტში. ეს ყველაზე ნამდვილი საშუალება იქნებოდა ამ არამზადებისაგან განთავისუფლებისათვის»...*

♥ NB



შეად. აქ 40—41** კიდევ უფრო ძლიერია

იხ. გაგრძელება გვ. 36***:

♥

↓

NB

ქ. მარქსი კუგელმანს 18. V. 1874: «ინგლისში ამჟამად ვითარდება მხოლოდ სოფლის მუშების მოძრაობა; სამრეწველო მუშებმა, უწინარეს ყოვლისა, უნდა მოიშორონ თავიანთი ახლანდელი წინამძღოლები. როცა მე ჰააგის კონგრესზე ვამხილებდი ამ ვაუბატონებს, ვიცოდი, რომ ამით თავს დავი-

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 23, გვ. 140. რ ე დ.

** იხ. ეს ტომი, გვ. 643—644. რ ე დ.

*** ამონაწერები ენგელსისა და ზორგეს მიწერ-მოწერიდან დაწერილია რვეულის 36-ე და 37-ე გვერდებზე (იხ. ეს ტომი, გვ. 638—639). რ ე დ.

ტეხდი არაპოპულარობას, ცილისწამებას etc. მაგრამ ამგვარ შედეგებს მე ყოველთვის გულგრილად ვეკიდებოდი. აქა-იქ უკვე რწმუნდებიან, რომ ამ თავდასხმებით მე მხოლოდ ჩემს მოვალეობას ვასრულებდი»⁸⁸. («Die Neue Zeit», XX, 2, 1901—2, გვ. 800.)

ი ე კ ი. «ინტერნაციონალი», გვ. 191: (კონგრესი ჰააგაში
მარქსმა ჰააგაში თქვა: «თუ ინგლისში ვინმე IX. 1872)
აღიარებული მუშათა ბელადი არ არის, ეს მხოლოდ სასახელოა მისთვის, იმიტომ რომ თვითთელი «აღიარებული მუშათა ბელადი» ლონდონში მოსყიდული ჰყავთ გლადსტონს, მორლის, დილკს და კომპ.»...

შედ. ამაზევე ი ე კ ი «Die Neue Zeit»-ში, XXIII, 2, გვ. 28.

კაუტსკი. «პატრიოტიზმი, ომი და სოციალ-დემოკრატია»

კ. კაუტსკი. «პატრიოტიზმი, ომი და სოციალ-დემოკრატია» («Die Neue Zeit»), XXIII, 2; 1905).

სამხედრო გაფიცვა = «გმირული სისულელეა» (370), ისევე როგორც ბურჟუაზიული პაციფისტების «ცდები» ომების აღმოფხვრისა საქმედიატორო სასამართლოებით. ორივე სისულელე «გამომდინარეობს იმ შეცდომიდან, რომ ომს განიხილავენ როგორც იზოლირებულ ფაქტს».

მაგრამ ომი კატასტროფით იმუქრება: «მაგრამ დაუფიქრებელ ომში დამარცხება ისეთი კატასტროფაა, რომელსაც უდიდესი კრაზი მოსდევს» (371).

პროლეტარიატი «ახლა ჯერ კიდევ საეჭვოა სადმე საკმაოდ ძლიერი იყოს», რომ ომამდე ომი შეუძლებელი გახადოს რევოლუციის საშუალებით (ხოლო სამხედრო გაფიცვა არის რევოლუცია). «მაგრამ იგი ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოში უკვე იმდენად ძლიერია, რომ ყოველი, დიდ დნაკარგებთან დაკავშირებული, უშედეგო ომი საწყისი პუნქტი უნდა გახდეს რევოლუციისათვის, რომელიც პროლეტარულ რეჟიმს დაამყარებს» (371).

ბაუერი. «ეროვნული საკითხი და სოციალ-
დემოკრატია»

34) ოტო ბაუერი. «ეროვნული საკითხი და სოციალ-დემოკრა-
ტია». სპბ. 1909.

§ 30-დან: «სოციალიზმი და ეროვნულობის პრინციპი».

გვ. 534: ...«სოციალისტური თემი ვერასოდეს ვერ შეძლებს ძალდატანებით შეიყვანოს თავის შემადგენ-
ლობაში მთელი ერები. წარმოიდგინეთ ხალხის მასები,
რომლებსაც ეროვნული კულტურის ყველა სიკეთე
აქვთ, რომლებიც სრულ და აქტიურ მონაწილეობას
იღებენ კანონმდებლობასა და მართვაში, ბოლოს, მო-
მარაგებული არიან იარაღით — განა შესაძლებელი იქ-
ნებოდა ასეთი ერების ძალდატანებით დაქვემდებარება
უცხო საზოგადოებრივი ორგანიზმის ბატონობისათვის?
ყოველი სახელმწიფო ძალაუფლება იარაღის ძალას
ემყარება. ახლანდელი სახალხო არმია, ოსტატური მე-
ქანიზმის მეოხებით, ჯერ კიდევ შეადგენს იარაღს
გარკვეული პირის, გვარის, კლასის ხელში, სწორედ
ისევე, როგორც წარსული დროის რაინდებისა და და-
ქირავებული ჯარი. სოციალისტური საზოგადოების დე-
მოკრატიული თემის არმია კი სხვა არა არის რა, თუ
არ შეიარაღებული ხალხი, რადგან იგი შედგება მაღალ-
კულტურული ადამიანებისაგან, რომლებიც ძალდაუტა-
ნებლად მუშაობენ საზოგადოებრივ სახელოსნოებში და
სრულ მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო ცხოვრების
ყველა დარგში. ასეთ პირობებში ქრება უცხოეროვნუ-
ლი ბატონობის ყოველგვარი შესაძლებლობა» (534).

NB
ასეთ

ეგროპის შეერთებული შტატები «ფუჭი ოცნება კი არ არის»,
არამედ «იმ გზის გარდუვალი დასასრულია, რომელსაც დიდი
ხანია დადგენენ ერები» (542).

სოციალისტურ გერმანიას რომ მოენდომებინა თავის მუ-
შაკთა ნაწილის გაშვება უკრაინაში, იგი (გერმანია) არ გაუშ-
ვებს მათ, თუ «არ უზრუნველყოფს მათთვის მათს კულტურულ
დამოუკიდებლობას» (543)... (ეს § 30-ის დასასრულია).

§ 29-ში «იმპერიალიზმი და ეროვნულობის პრინციპი» (რუ-
სული თარგმანის 512—529), ავტორს მოჰყავს ციტატი შულცე-
გვეერნიციდან ბ რ ი ტ ა ნ ე თ ი ს ი მ პ ე რ ი ა ლ ი ზ მ ზ ე, იღებს
თურქეთის დაშლას, იტალიის მისწრაფებას ლიბიყროს ალბა-
ნეთი: «მოიმინეზებენ ტრიენტსა და ტრიესტს, გუნებაში კი
ალბანეთი ექნებათ» (519). «ასეთნაირად შეძლებენ იტალიელი

ერის მასებს დაპყრობითი მიზნებით წარმოებული იმპერიალისტური ომი წარმოუდგინონ როგორც ომი ეროვნული თავისუფლებისათვის» (519)...

ბაღდადი, რუსეთი სპარსეთში etc.—«ასეთია ამ მომავალი კონფლიქტების თესლი და ელემენტები» (518)...

ასევე «ბრიტანეთის იმპერიალიზმი ამომრჩეველთა მასების წინაშე ხატავს ერთიანი ბრიტანული ერის ბატონობაში მყოფი 400-მილიონიანი იმპერიის წარმტაც სურათს და ამასთან ფიქრობს რკინის მაგნატების საკარტელო მოგებაზე და სპეკულაციაზე ლონდონის ბირჟაზე»... «ოდესმე რუსეთის იმპერიალიზმი, ალბათ, გამოაცხადებს პოლონეთისა და უკრაინის თავისუფლებასა და ერთიანობას, რათა გაუხსნას ახალი ბაზრები პეტერბურგის, მოსკოვისა და ლოდის მეფაბრიკებს»... «ასევე გერმანიის იმპერიალიზმი უნდა გამოვიდეს დიდი გერმანიის 1848 წ. იდეის მემკვიდრედ, თავის დროშას უნდა წააწეროს ერთიანი დიდი გერმანული სამშობლოს განხორციელება, როდესაც მას მოეპრიანება გერმანელი მუშებისა და გლეხების სიცოცხლე მსხვერპლად მიუტანოს კაპიტალის ინტერესებს ტიგროსსა და ევფრატზე» (522—523)...

(35)

NB

«ავსტრიის დანგრევა კაპიტალისტური საზოგადოების შიგნით შეიძლება მხოლოდ იმპერიალიზმის საქმე იყოს» (528)...

«ავსტრიის დაშლა გულისხმობს იმპერიალიზმის გამარჯვებას გერმანიაში, რუსეთსა და იტალიაში. მაგრამ იმპერიალიზმის გამარჯვება გულისხმობს მუშათა კლასის დამარცხებას ამ ქვეყნებში» (527). ავსტრიის მუშებს იმპერიალიზმის გამარჯვების იმედი როდი უნდა ჰქონდეთ...

ბრუშბახნი. «ციმერვალდ-კინტალის შეცდომა»

ბ. გრუშბახნი. «ციმერვალდ-კინტალის შეცდომა». ბერნი, 1916 (გვ. 95) (სოციალ-შოვინისტის უხამსობა).

გვ. 24: ...«მაგრამ თუმცა იგი (კაუცი) 4. VIII. 1914 წეროვნად ვერ გაერკვა მდგომარეობაში, იგი ჩვენთვის (!!!) და ყველა ქვეყნის სოციალისტებისათვის მაინც რჩება ინტერნაციონალის ერთ-ერთ ხელმძღვანელ თეორეტიკოსად»... ||| 1

გვ. 26 ...«გენერალური გათანაბრება, რომელსაც ქადაგებენ ციმერვალდი და კინტალი»...

— გვ. 40 — ვალან — კეირ ჰარდის წინადადებაზე გერმანელ სოციალ-დემოკრატებს პასუხი არ გაუციათ და ხემნიციში (1913) დაპირების მოუხედავად არ განუხილავთ იგი (ვენის 1914 კონგრესისათვის)!!! (სისულელეა თითქოს ლეგინებსა და კომპ. შეეძლოთ შეესრულებინათ ეს!!). (შეად. ჰიუსმანსი წერილში შვეიცარიის პარტიისადმი — idem.)

ფრანგთა უმცირესობა აგრეთვე სამშობლოს დაცვას ემხრობა!! (— 54 —). [გრიმი 1914 წ. აგვისტოსა და ნოემბერში სამშობლოს დაცვას ემხრობოდაო — 68.]

გვ. 77: ლენინი მაროკოს ომს ემხრობა etc.

(გვ. 4 გერმანული ბროშურისა*). «აქ უგუნურება მეთოდი ხდება!» მაროკოს შეუძლია თავი დაიცვას, საფრანგეთს კი არა! (მასხარა!)

გვ. 78: ლენინი («Vorboten»⁸⁴ № 1 **) «რევოლუციური მასობრივი ბრძოლის დასაწყისს» გერმანიის მშვიერ ბუნებში ხედავს!! აი ილუზიებიო!! პირიქით «გერმანელ ხალხს სრულებით არა აქვს რევოლუციური თვისებებიო» (78).

82: მეიერ ლონდონმა 18. I. 1916 ამერიკის პალატაში თქვა, რომ იგი დაიცავდა თავის სამშობლოს თავდასხმის შემთხვევაში!!!

84—5: განცხადება ლედებურისა გერმანიის ინტერნაციონალური სოციალისტების წინააღმდეგ და ბორჰარტისა ლედებურის წინააღმდეგ. თქვენ «ვერასოდეს» ვერ გაატარებთ უარს «სამშობლოს დაცვაზე»!!! ლიბქნეხტიც სამშობლოს დაცვას ემხრობაო!!

ინგელსი. წერილები ზორგესადმი

36) ენგელსი ზორგეს 3. VI. 1885... სანაოსნო კომპანიებისათვის სუბსიდიების გამო (განსაკუთრებული კანონის გადავარდნის შემდეგ); «გათიშვა, ალბათ, მოხდება და მხოლოდ სასარგებლო იქნება. წვრილბურჟუაზიულ-სოციალისტური ფრაქცია გარდუვალა ისეთ ქვეყანაში, როგორც გერმანია, სადაც მეშინობა «ოღითვე არსებობს» კიდევ უფრო მეტად, ვიდრე ისტორიული სამართალი»...⁸⁶

29. IV. 1886: «გერმანიაში მშვიდობიან დროს ყველაფერი გაუღენთილია ფილისტერობით; აქ საფრანგეთის მეტოქეობის

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 21, გვ. 364. რ ე დ.

** იქვე, ტომი 22, გვ. 125—141. რ ე დ.

ნესტარი სავსებით აუცილებელია. ეს კი იქნება, დარდი ნუ გაქვთ...⁸⁸

22. II. 1888: «ოლონდ კი დაიწყოს სადმე, და ბურჟუებს განაცვიფრებს ფარული სოციალიზმი, რომელიც მაშინ გარეთ გადმოხეთქავს და აშკარა გახდება» (291)...

7. XII. 1889: ...«ყველაზე უსაზიზღრესია აქ» (ინგლისში) — «მუშათა ძვალსა და რბილში გამჯდარი ბურჟუაზიული «დარბაისლობა»... ტომ შანიც კი, რომელიც ყველაზე საუკეთესო ადამიანად მიმაჩნია, სიამოვნებით ლაპარაკობს იმაზე, რომ ის ისაუზმებს ლორდ-მერთან. როცა აღარებ ამას ფრანგებს, — ხედავ, თუ რას ნიშნავს რევოლუცია»⁸⁷... *

8. II. 1890 ...«ფაბიანელები განათლებული ბურჟუების კეთილგანმზრახველი ხროვანა, რომლებიც მარქსს უარყოფდნენ... მათი მთავარი მიზანია... ბურჟუას მიზიდვა სოციალიზმის მხარეზე და ამრიგად მისი შეყვანა მშვიდობიანი და კონსტიტუციური გზით» (331)...

((ფაბიანელების შესახებ 393 (18. III. 1893) — გვ. 401 (11. XI. 1893)... — სურთ ლიბერალიზმი გაუღინთონ სოციალიზმით; თვითონ ისინი გაუღენთილ უნდა იქნან მუშათა სულსკვეთებით)).

19. IV. 1890... ინგლისში აურაცხელია კამათი etc., ტრადიციული, კინკლაობა, კვალიფიციური მუშების ცრურწმენები etc. etc.

...«მაგრამ მოძრაობა წინ მიდის ზედაპირის ქვეშ, იპყრობს სულ უფრო ფართო ფენებს და ამასთანავე უმთავრესად აქამდე უძრავ ყველაზე დაბალ» (ხაზგასმა ენგელსისა) «მასაში, და შორს აღარ არის დღე, როცა ეს მასა უეცრად იპოვნის თავის თავს» (ხაზგასმა ენგელსისა), «როცა მისთვის ცხადი გახდება, რომ სწორედ თვითონ იგი არის ეს უზარმაზარი მოძრავე მასა»... ** (336).

4. III. 1891... აქ არის დოკებისა და გაზის მუშების და მათი ტრედ-უნინის მარცხი, მათი «ახალი ტრედ-უნინი აფეთქებულა, და ძველი კონსერვატიული ტრედ-უნინები, მდიდარნი» (ხაზგასმა ენგელსისა) «და სწორედ ამიტომ მხდალნი, მარტონი რჩებიან ბრძოლის ველზე» (359).

* იხ. ე. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 23, გვ. 140. რ ე დ.

** იხ. ე. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 23, გვ. 140—141. რ ე დ.

14. IX. 1891. ტრედ-უნიონების ნიუჯასლის კონგრესი ცეცხლგამარჯვება (ისევე როგორც საერთაშორისო კონგრესი)... «ძველმა» (ხაზგასმა ენგელსისა) «ტრედ-უნიონებმა, ფეიქრების მეთაურობით, და მთელმა რეაქციულმა პარტიამ მუშებს შორის ყველა ღონე იხმარეს იმისათვის, რომ გაუქმებულიყო 1890 წლის გადაწყვეტილება რვა საათის სამუშაო დღის შესახებ. ისინი დამარცხდნენ... და ბურჟუაზიული გაზეთები აღიარებენ ბურჟუაზიული მუშათა პარტიის» (ხაზგასმა ენგელსისა) «დამარცხებას მთლიანად ძრწოლით, ღმერთს და კბილთა ღრქიალით»* (368).

24. X. 1891... შესაძლებელი ომის შესახებ... ჩვენ, გერმანელებმა, უნდა (იქნებ) «გავითამაშოთ 1793 წელი»... უბედურება იქნება, თუ ომი მოხდება და იგი «ნაადრევად მიგვიყვანს ხელისუფლებას სათავეში, მომზადებული უნდა ვიყოთ ამ შემთხვევისათვის» (371)...

Idem, 376: ასეთი ომის დროს «ჩვენ სრული რისკი უნდა გავწიოთ» (376).

...«მასები (გერმანიაში) საუცხოოა და მეტწილად ბელადებზე უკეთესი... (399) (7. X. 1893).

2. XII. 1893... მუშათა მოძრაობის განვითარების სიძნელენი ამერიკაში: 1) «პარტიული მართვის» სისტემა (2 პარტია; მესამისათვის ხმების დაკარგვა); 2) იმიგრაცია მუშებს 2 ჯგუფად ყოფს; იმიგრანტებს ქვეჩვეულებად; ამასთანავე ზანგებიც; 3) მფარველობითი ბაქები მუშებს იმას აძლევენ, რომ «ისინი პროსპერიტის გავლენას განიცდიან», რაც ევროპაში არ არის... (403)...

412 (12. V. 1894), სოციალ-დემოკრატიული ფედერაციისა და გერმანულ-ამერიკელი სოციალისტების სექტანტობა ამერიკაში თეორიას «გაქეცხვებულ ორთოდოქსიად» აქცევს... ((რომ მუშებმა განუვითარებლად ერთბაშად გადაყლაპონ თეორია)).

შურნალი «კოლოკოლი»

ერნსტ ჰეილმანი. «კამათის არსი»

38) «Die Gloske», 1916, № 20 (12. VIII. 1916)

ერნსტ ჰეილმანი. «კამათის არსი» (770—786).

მიზანი — «სამი მოკამათე ჯგუფის ძირითადი აზრების» გადმოცემა (770)...

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 23, გვ. 141. რ ე დ.

«უმრავლესობა, საქმიანი თანამშრომლობა და ინტერნაციონალისტები (ლიბკნეხტის ჯგუფი)» (771)...

1 — უნდათ «გერმანიის გამარჯვება»

2 — «ომის ფრედ დამთავრება»

3 — «გერმანიის დამარცხება» (771)...

«პირველი ორი მიმართულება დგას სამშობლოს დაცვის ნიადაგზე, თუმცა საქმიანი თანამშრომლობის ჯგუფი ძალიან გულმოდგინედ წუხს იმაზე, რომ არ გასცილდეს წმინდა თავდაცვის ფარგლებს, «მესამე ინტერნაციონალის» მომხრეები კი უარყოფენ «სამშობლოს დაცვის» პრინციპს, როგორც თავგზის ამბნევე ფრაზას» (771)...

«ლიბკნეხტის ჯგუფი საკუთარი თავის სახეებით ერთგული დარჩა... ეს მიმართულება ახლა გაერთიანდა ახალ პარტიაში სპარტაკელთა პროგრამით. მისდევს რა თავის თეორეტიკოს ბელადს, რუს ლენინს, მას სურს ყველა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, მათი ინტერნაციონალური მოვალეობის სახით, თავს მოახვიოს მოვალეობა უსიტყვოდ ცდილობდეს მიაღწიოს საკუთარი ქვეყნის დამარცხებას ყველა საშუალებით: კანონის საწინააღმდეგო ფურცლებით, საიდუმლო ორგანიზაციებით, მასობრივი გაფიცვებითა და აჯანყებებით» (771)... «რუსეთში ამ მიმართულების მომხრეები პატიოსნად და მოურიდებლად თვითონ უწოდებენ თავიანთ თავს პორაჟენცებს» (772).

სპარტაკელთა პროპაგანდა, რომელიც ქადაგებს, რომ მოწინააღმდეგის შემოსევა სულაც არ არის ყველაზე საშინელი, რომ მას, პირიქით, შეიძლება თავისუფლების მოპოვება მოჰყვეს, ითვლის, ალბათ, ყველაზე მეტ მომხრეს რუს ემიგრანტ თეორეტიკოსთა შორის შვეიცარიაში; პრაქტიკულად მას შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს მხოლოდ გერმანიისათვის და ამიტომ გერმანიის დამარცხების პროპაგანდას წარმოადგენს» (772)...

«საქმიანი თანამშრომლობის ჯგუფს, ანუ ციმერვალდის მემარჯვენეს, რომლის თეორეტიკოსია კაუტსკი, ხოლო პოლიტიკური ბელადები — ჰააზე და ლედებური, არა მარტო გამოაქვს დასკვნა ფაქტიური ვითარებიდან, რომ ეს ომი უნდა დამთავრდეს ისე, რომ არ უნდა იყონ გამარჯვებულები და დამარცხებულები, არამედ კიდევაც სურს დიდი ბრძოლის სწორედ ასეთი დასასრული».

«ამ ნახევრული პოზიციის კრიტიკა მეტისმეტად ადვილი და მარტივია. იმის მტკიცება, რომ გერმანიის დაცვის ამოცანა გადაჭრილია, ისე აშკარად ეწინააღმდეგება ფაქტებს, რომ

საქმეში ჩახეღულ ადამიანთა შორის შეუძლია მხოლოდ სიცილი გამოიწვიოს» (773)...

«იგი (უმრავლესობა) იმ მიმართულებით მოქმედებს, რომ რაც შეიძლება მალე დაიდოს ზავი, რომელიც, თუმცა, შეიძლება განხორციელებულ იქნას მხოლოდ ახლანდელი მთავრობების მიერ» (778).

«კატასტროფის, ანუ რევოლუციის, როგორც სოციალისტური საზოგადოების აშენების საშუალების, იდეა ჩვენ საერთოდ ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავასამართოთ, და არა რაიმე გარკვეულ მომენტთან დაკავშირებით, არამედ პრინციპულად. იყო სოციალისტი—იმახ ნიშნავს, რომ პრინციპში იყო ანტირევოლუციონერი» (შავი შრიფტი ავტორისა); «საწინააღმდეგო შეხედულება ბურჟუაზიის განმათავისუფლებელი ბრძოლის მხოლოდ მემკვიდრეობაა, რომლისგანაც ჩვენ სულიერად ჭერ კიდევ სავსებით როდი განვთავისუფლებულვართ» (780)...

გვ. 782: გრავებისა და გენერლების (მათი შეილები ოფიცრები არიან etc.) მიერ ომში გაღებული მსხვერპლის ($1/2$ გვერდი სახელები) მაგალითები: საბუთი, «რომ მტრის წინაშე ყველანი თანასწორი გავხდით» (783) (!!!!).

«4 ავეისტოს პოლიტიკის კრიზისი, ამრიგად, საბოლოო ანგარიშით სხვა არა არის რა, თუ არა განახლება ძველი ბრძოლისა კატასტროფების თეორიასა და ევოლუციურ მოძღვრებას შორის, ბრძოლისა, რომელიც ახლა, ევოლუციურ შეხედულებათა გამარჯვების შემდეგ, დასასრულს უახლოვდება. ამიტომ ჩვენ ვხედავთ, თუ არ ჩავთვლით ერთი და მეორე მხრიდან მტრის მხარეზე თორმეტიოდე გადასულს, რეფორმისტებისა და რევოლუციონერების, ან, თუ გნებავთ, რევიზიონისტებისა და რადიკალების იმავე ძველ, ერთიმეორისადმი დაპირისპირებულ საბრძოლო რიგებს და გვესმის ძველი ლოზუნგები» (784)...

40)

«ასეზის წყველა-კრულვის მიუხედავად, ევოლუციური ისტორიული თვალსაზრისი სულ უფრო მკვიდრდებოდა პარტიაში, და იგი გაიმარჯვებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ომის შემდეგ სასტიკად დაზარალებულ ხალხთა აღშფოთება აქა-იქ გამოიწვევს რევოლუციურ აფეთქებებს. შფოთიანმა და თვით სისხლიანმა ეპიზოდებმა შეიძლება შეაფერხონ ან დააჩქარონ განვითარება, მაგრამ ვერას გზით გერ შეცვლიან მის ძირითად ნიშნებს» (785—786).

აქ მთავარია ამ ფრაზის 1-ლ ნახევარში

«იმ ფაქტში, რომ იზრდება იმ აღამიანთა რიცხვი, რომლებიც საარსებო სახსრებს შოულობენ არა კერძო სამეურნეო საქმიანობით ან იღებენ ჯამაგირსა და ხელფასს არა კერძო ხელიდან. სოციალიზმი დღითიდღე სულ უფრო და უფრო ხორციელდება. სახელმწიფო, კომუნალური და კოოპერაციული საწარმოს მუშა ისევე სოციალიზებულია, როგორც საავადმყოფოს საღაროს ექიმი ან პროფკავშირის მოსამსახურე» (784).

ლიბკნეხტი ვ. ღა მარქსი

(1878 წლის წერილი ვ. ლიბკნეხტისადმი)

ვ. ლიბკნეხტი. «აღმოსავლეთის საკითხისათვის ან უნდა გახდეს თუ არა ევროპა კაზაკური? გაფრთხილების სიტყვა გერმანულ ხალხს». მე-2 გამოცემა. ლაიპციგი, 1878, გვ. 57 და 59.

NB

ვიშო-
ვნო!!

ციტატი მოყვანილია «Sozialistische Monatshefte»-ში, 1916, გვ. 1095 (№ 21, 19. X. 1916), შიპელის სტატიიში, რომ ლიბკნეხტის ამ ბროშურას დართული აქვს ერთი «მეგობრის», აშკარად მარქსის, ორი წერალო. (ვ. ლიბკნეხტის ბროშურის 1-ლ გამოცემაში ეს დანართები არ არის⁸⁸.) მაშინ მარქსი აი რას წერალო:

«კორუპციის პერიოდის მეოხებით, რომელიც 1848 წლიდან დადგა, ინგლისის მუშათა კლასი თანდათანობით მოიცვა სულ უფრო და უფრო ღრმა დემორალიზაციამ და, ბოლოს, იგი იქამდე მივიდა, რომ უბრალო დანამატი გახდა დიადი ლიბერალური პარტიისა, ე. ი. თავისი საკუთარი დამმონებლების, კაპიტალისტების პარტიისა. ინგლისის მუშათა კლასის ხელმძღვანელობა მთლიანად გადავიდა ტრედ-უნიონების მოსყიდული ბელადებისა და პროფესიით ავიტორების ხელში. ეს ვაჟბატონები, კლასტორებთან, ბრაიტებთან, მენდელებთან, მორლეებთან, მეფაბრიკე არამზადებთან

(1848—1878)

მარქსი

ინგლისელი მუშის შესახებ
1878 წელს

41)

და სხვ. ერთად, ყველა კილოზე ყვირილით ადიდებდნენ მეფეს — ხალხთა განმათავისუფლებელს და ამავე დროს ხელიც არ გაუწმინდრევიათ თავიანთი საკუთარი ძმებთანათვის, რომლებსაც სამხრეთ უელსის შახტების მფლობელებმა შიმშილით სიკვდილი განუშადეს. უბადრუკი აღამიანები! ყოველივე ეს ღირსეულად რომ დაეგვირგვინებინათ, თემთა პალატაში უკანასკნელი კენჭისყრის დროს (7 და 8 თებერვალს, როცა დიადი ლიბერალური პარტიის ბურჟების უმრავლესობამ, — ფორსტერმა, ლოუმ, ჰარკოურტმა, გოშენმა, პარტიგეტონმა და თვით დიდმა ჯონ ბრაიტმა, — ბედის ანაბარა დატოვეს თავიანთი არმია და გაიქცნენ კენჭისყრის მომენტში, რათა ძალიან არ შეერცხვინათ თავი რაიმე ვოტუშით) მუშათა ერთადერთმა წარმომადგენელმა თემთა პალატაში, და ამასთან, თქმაც საშინელია, მეშახტეების პირდაპირმა წარმომადგენლებმა და თვითონაც შთამომავლობით მეშახტეებმა, ბიორტმა და არარაობა მაკდონელმა, ხმა მისცეს «დიადი ლიბერალური პარტიის» მაჩანჩალებთან ერთად, რომლებიც აღფრთოვანებული არიან მეფით! მაგრამ რუსეთის სწრაფად განვითარებულმა გეგმებმა ერთბაშად გაფანტა მომხიბვლელობა, ბოლო მოუღო მექანიკურ ავიტაციას (ხუთგირვანქიანი სახაზინო ბილეთები — აი მექანიზმის მთავარი ზამბარა); ამ მომენტში მოტერსჩედების, ჰოუელების, ჯონ ჰეილსების, შიპტონების, ოსბორნების და მთელი ამ ბანდის «სიცოცხლისათვის საშიში» იქნებოდა ხმა ამოეღოთ რომელიმე ღია მუშათა მიტინგზე; მათს დახურულ კრებებსაც კი (სადაც უშვებენ მხოლოდ შესასვლელი ბილეთებით) ხალხის მასა ძალად ფუშავს და ერეკება».

NB: მარქსის 1878 წლის წერილი
(ლიბკნეხტისადმი?)

იაკონნელები და ამერიკელ მუშათა მოვინიზმი

«Die Neue Zeit», 1913 (31, 2), გვ. 410—412 (1913 წ. 20. VI-ის №)

NB

მუშათა მოვინიზმი

გრვინ გუდე. «ახალი განსაკუთრებული კანონი იაპონელების წინააღმდეგ შეერთებულ შტატებში». (თარიღი: სან-ფრანცისკო, 21. V. 1913.)

ამ კანონს, რომელიც იაპონელებს უკრძალავს მიწის ყიდვას (იჯარით ალება შეიძლება მხოლოდ 3 წლით), ხელი მოაწერა გუბერნატორმა 19. V. 1913 ვუდრო ვილსონის მოთხოვნის წინააღმდეგ.

ეს «ყველაზე ცუდი ყაიდის განსაკუთრებული კანონია» (410) — «პოლიტიკა, რომელიც პოლონელების მიმართ პრუსიულ პოლიტიკაზე უფრო უარესია» (412).

მუშებსაც ამერიკაში ბრალი მიუძღვით «მოვინიზმში» (NB) (412). «ბატონებს «ამერიკის შრომის ფედერაციიდან» სურთ არა მარტო წაართვან «ყვითლებს» ყველა უფლებები, მათ სურთ საერთოდ გააძევეონ ისინი ქვეყნიდან» (411).

ეს განსაკუთრებული კანონი «გვიდასტურებს, რომ კალიფორნიის მოსახლეობა, და უწინარეს ყოვლისა მუშა მოსახლეობა, ებმება ამერიკელი იმპერიალისტების ეტლში, რომლებიც უკვე დიდი ხანია ამზადებენ ომს იაპონიასთან. სოციალისტური პარტიაც აგრეთვე ჭეროვან სიმაღლეზე როდია ამ საკითხში» (411).

ეს კანონი «მხოლოდ რგოლია კანონების (412)...

ამერიკელი

მუშები და მათი

მოვინიზმი

იაპონელთა მიმართ

NB

მუშები

იმპერიალისტების ემხრობიან...

«სოც. პარტიაც აგრეთვე!!!»

გრძელ ჯაჭვში»

ბრეილიანი და «ბრიუტლიანური»

ბრეილიანი. «ლია წერილი ბრიუტლი-კავშირის»

გოტინგენი»

42) «Grütliener» № 230. 1916 (2. X. 1916).

გერმანიის ბრეილიანი. «ლია წერილი ბრიუტლი-კავშირის გოტინგენი».

მუშების მხოლოდ უმცირესობა მონაწილეობს მუშათა მოძრაობაში. ამიტომ ცხოვრების დონე მხოლოდ ცოტათი ამაღლდა, ისიც მუშათა კლასის მხოლოდ ზედაფენებშია. მუშათა მასა ხელმოკლეობის, გაჭირვებისა და სიღატაკის მარწყუხებში დარჩა. ამიტომ დროდადრო იბადება ექვი, სწორია თუ არა წინანდელი გზა. კრიტიკა ეძებს ახალ გზებს და იმედს უმთავრესად იმაზე ამყარებს, რომ წარმატება უფრო ენერგიულ მოქმედებას მოჰყვება. ამ მიმართულებით წარმოებს ცდები, რომლებიც ჩვეულებრივად მარცხით თავდება, რაც ახალი ძალით უბოძგებს წინანდელი ტაქტიკისაკენ. ვინც თვალს გადაეცნობს მუშათა მოძრაობის წარსულს მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივ პერიოდში, დაინახავს ამ ტალღისებრ ხაზს... მაგრამ აი დაიწყო მსოფლიო ომი... ფართო მასებისათვის... სასტიკი იმედგაცრუება... ცხოვრების პირობების საშინელი გაუარესება, რასაც გაჭირვებამდე მიჰყავს ისეთი ფენებიც კი, რომლებიც მანამდე კიდევ საკმაოდ კარგად ცხოვრობდნენ, აძლიერებს რევოლუციურ მიმდინარეობას. ყოველივე წინანდელი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება: პრინციპები, ტაქტიკა და ორგანიზაცია. ...ვისაც უნარი შესწევს გონებით ამაღლდეს დღის ორბიტრალზე, ... ის ამ დიად კამათს» (რევოლუციური პრინციპებისა და ტაქტიკის გამო) «გასაგებად მიიჩნევს და მის გამო არ მიეცემა სასოწარკვეთილებას. რა თქმა უნდა, სისულელე საკმაოდ ბევრი იყო ჩადენილი — მაგრამ ორივე მხრიდან...

დღემდე თითქმის მხოლოდ მე მიხედვოდა გამოსვლა შერიგების ცდებით... პარტიული ხელმძღვანელობა ჭეშმარიტად არ იდგა თავისი ამოცანის სიმძალეზე და მეტისმეტად ემორჩილებოდა ფიცხ ადამიანთა გავლენას... ბრიუტლი-კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა დაადგეს «პრაქტიკული ეროვნული პოლიტიკის» გზას, პოლიტიკისა, რომლის გატარება განზრახ-

ხული აქვს პარტიის გარეთ... რატომ არ აკეთებდა ამას პარტიის შიგნით? რატომ თითქმის ყოველთვის მარტო მე მანებებდა მეწარმოებინა ბრძოლა ზერადიკალებთან?..

...მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ პარტიაში ახლანდელი დუდილიდან ბოლოს და ბოლოს კარგი ღვინო დადგება, თუ კასრს არ დაუცობენ მანამდე, ვიდრე დუდილი დამთავრდებოდეს... პარტია შეიძლება იყოს მხოლოდ პროლეტარული და არ უნდა გადაიქცეს სექტად, რომლის მოქმედება გაუგებარია პროლეტარიატისათვის... თუ იგი (გრიუტლი-კავშირი)... უარყოფს პარტიასთან შეთანხმებას, მაშინ ჩემთვის ადგილი აღარ არის ამ კავშირში. მე მწუხამ პარტიის მომავალი და ამიტომ ყოველთვის მას მიეყვები». (დასასრული.) ბერნი. 26. IX. 1916.

აქვეა გრიუტლი-კავშირის ცენტრალური კომიტეტის პასუხი გრეილიხისადმი. ზერადიკალიზმი და «შუამავლობა» — გრიუტლი-კავშირის არსებობის წინააღმდეგ. აქვეა ფელეტონი «ვინ არის სპარტაკი?» (ხოტბა)!!!

«ქვები პურის ნაცვლად!»

«Grütliener» № 255, 31. X. ერთი «პროფკავშირული მუშაკის» მოწინავე: «ქვები პურის ნაცვლად»: სწორედ «რადიკალური მიმართულება» იძლევა «ქვებს პურის ნაცვლადო». საჭირო კი არის «რეფორმისტული გაგება», «პრაქტიკული სოციალური რეფორმა», «დემოკრატიულ-სოციალისტური რეფორმა»... (ეგრეთწოდებული «მარქსისტების» წინააღმდეგ)...

«პრინციული სხვადასხვაობა შეფასებაში»

№ 253. 28. X. 1916. მოწინავე: «პრინციული სხვადასხვაობა შეფასებაში». ციტატი «Leipziger Volkszeitung»-იდან, იგი «სოციალისტურ თვალსაზრისს» იცავსო. ციურიხასა და ბერნის გაზეთები ჰერნერსტორფერს ლანძღავენო. ჩვენ არ ვეთანხმებით არც

ისინი
«ცენტრის»
მომხრენი
არიან

NB

უმრავლესობას გერმანიაში. არც
ციურხისა და ბერნის გაზეთებს, ჩვენ «ლე-
გალური» გზების მომხრენი ვართო. ადლენ-
რის საქმეში ჩვენ «მხოლოდ ახირებულო-
ბას» ვხედავთო...»

«ჩვენ შორის არავითარი პრინციპული უთანხმოება არ არის!»

№ 249. 24. X. 1916. მოწინავე: «ჩვენ შორის არავი-
თარი პრინციპული უთანხმოება არ არის!» (ბრჭყალებში)—
NB ||| კუბერის (რორშახ) სიტყვები გრიუტლის დილეგატ-
თა კრებაზე, აი ადლერს «*Volksrecht*»-ი აქვებსო!! ჩვენ
||| კი პრინციპულად ვგმობთ მას!

«ნაციონალისტური სარევიონისაგან» იცხრილება
«ინტერნაციონალური სოციალისტური ხორბალი»»

№ 248. 23. X. 1916. მოწინავე: «ნაციონალისტური სარე-
ვიონისაგან» იცხრილება «ინტერნაციონალური სოციალისტური
ხორბალი» (შვეიცარიის იტალიელი სოციალისტების ყრი-
ლობაზე შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის
წარმომადგენელმა ასე განაცხადაო).

«თეზისები რეფორმისათვის»

№ 235. 7. X. 1916. თეზები გრიუტლის პროგრამის ა-
თვის.

«უცხოელთა ნატურალიზაცია»

№ 243 (17. X. 1916) და მთელი რიგი მის წინ (№№ 237
(10. X.)—243). სტატიები «უცხოელთა ნატურალი-
ზაციის» შესახებ...

«ცხრათა» კომისიამ (მათ შორის გრეილიხი და ვულშლეგერი)
1912 წელს შეიტანა პეტიცია.

!!!! || იძულებითი ნატურალიზაცია 15 წლის შემდეგ. ნა-
ტურალიზაციის საფასური არა უმეტეს 300 ფრანკისა!!
№ 242 და 243.

«პარტია თუ გრიუტლი-კავშირი?»

«Grütliener» 18. X. 1916. შვეიცარიის «სოციალ-პარტიო-
ტული პარტია».

«პროფკავშირები და სამხედრო საკითხი»

Grütli-ner», № 216 (15. IX. 1916): პატარა სტატია || NB
 სათაურით: «პროფკავშირები და სამხედრო საკითხი».

«Schweizerische Metallarbeiter-Zeitung»-ში (*) (1916, № 38, 16. IX. 1916) კორესპონდენტი [ი. გ., ბაზე-
 ლი] (**) შემოსხენებული საკითხის განხილ-
 ვისას მიდის მოკლე და ნათელ დასკვნამდე,
 რომ «პროფკავშირების წევრთა ვალია იზ-
 რუნონ იმაზე, რომ სამხედრო საკითხი
 ბრინციპულად და ნათლად გადაჭრას
 პარტიამ. ყველაზე ენერგიული ბრძოლა
 მილიტარიზმთან და სამშობლოს დაცვის წი-
 ნააღმდეგ — დღეს და განიარაღება სოცია-
 ლიზმთან ერთად — ხვალ».

(*) კაპელენ-
 უტრასე, ნ. ბერნი
 (***) სტატია ამ
 ი. გ-სი, ბაზელი
 ძალიან კარგია,
 წმინდა მუშური
 და რევოლუციურ-
 ინტერნაციონა-
 ლისტური

ამის გამო გაზეთის რედაქცია («რედაქციის ბოლოსიტყვაო-
 ბა»), ამხ. შნეებერგერი, შენიშნავს, რომ პროფკავშირები
 როგორც ასეთები არ უნდა მუშაობდნენ არც შეიარაღე-
 ბის შემცირების საკითხზე, არც განიარაღების საკითხზე.
 იმის გამო, რომ ადამიანი თავისი პროფკავშირის წევრად
 ირიცხება, ის ჯერ კიდევ არ არის არც სოციალ-დემო-
 კრატი, არც ანტიმილიტარისტი; მის პოლიტიკურ თუ
 რელიგიურ შეხედულებებს თავისთავად არაერთარი კავ-
 შირი არა აქვს იმასთან, რომ იგი პროფკავშირს ეკუთ-
 ვნის. მართალია, მეტ წილ შემთხვევებში პროფკავშირის
 წევრი მალე ხდება სოციალისტურ თუ სოციალ-დემო-
 კრატიულ შეხედულებათა მომხრე. მაგრამ იგი მათ ამე-
 ლავენებს არა იმდენად პროფკავშირში, რამდენადაც
 სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში, რომლებიც
 სპეციალურად ამ მიზანს ემსახურებიან. ასეთი წესი
 ფრიად მიზანშეწონილი აღმოჩნდა, და ამიტომ, აგრეთვე
 იმიტომაც, რომ ეკონომიურ სფეროში პროფკავშირთა
 ამოცანების წრე საქმალდ ფართოა, ეს წესი შემდეგშიც
 დატოვებულ უნდა იქნას.

(44

|| II

ამასთან პროფკავშირები ან მათი ორგანოები სულაც ვერ
 შეძლებდნენ ნამდვილად საგანმანათლებლო მუშაობა ეწარმოე-
 ბინათ ამ სფეროში.

ზოგადი ადგილებით, როგორც ცოტა როდია ამ სტატიაშიც,
 რომელსაც განვიხილავთ, საქმეს ვერ უშუკელი; ამ ზოგადი
 ადგილებით ისევე ნაკლებად შეიძლება დააჯერო ადამიანი, რო-

მელიც აღზრდილია, როგორც ამას მეტწილად აქვს ადგილი, სულ სხვა შეხედულებებით, როგორც შეუძლებელია ორი სიტყვით განმარტო ომის არსი ან უწინაზრახვო და მიუყერძობებელ მკითხველზე შთაბეჭდილება მოახდინო გაზვიადებული ცნობებით მუშებთან ბრძოლებში შევიცარიის სამხედრო ძალების როლის შესახებ. საკმარისია გაიხსენოთ მუშათა ბრძოლა იტალიაში, ესპანეთში, საფრანგეთსა და გერმანიაში ან თუნდაც თავისუფალ ამერიკაში, რათა ვაღიაროთ, რომ შევიცარიის პირობები მაინც უკეთესია, ვიდრე რუსეთისა.

NB

მაგრამ უკვე საესებით უხამსია ფრაზა იმაზე, რომ «მუშას არა აქვს სამშობლო», ისეთ მოძენტში, როცა მთელი ევროპის მუშების დიდი უმრავლესობა აი უკვე ორი წელია ბურჟუაზიის მხარდამხარ იბრძვის თავისი სამშობლოს «მტრებას» წინააღმდეგ, ხოლო ზურგში დარჩენილებს უნდათ «გაძლონ» მიუხედავად ყველა ტანჯვა-გაჭირვებისა. შევიცარიაში, მას რომ გარედან თავდასხმა განეცადა, ჩვენ ალბათ ასეთივე სანახაობის მოწმენი ვიქნებოდით. შეიძლება აქაც თავიანთ პოზიციებს პირველნი დათმობდნენ ისინი, ვინც ახლა ყველაზე მაღალფარდოვან ტირადებს წარმოთქვამს.

«Grütliener»-მა შავი შრიფტით გადაბეჭდა [ხაზგასმული] || ადგილები. საერთოდ კი მან რედაქტორის გვარი დაუმატა და მთელი ბოლოსიტყვაობა გადაბეჭდა. «Metallarbeiter-Zeitung»-ს აწერია: რედაქცია: ო. შნეებერგერი და კ. დიუ-რი ((NB)).

«შევიცარიის მელითონეთა ბაზეთი»

მ. ბ. «მიმოხილვა»

45)

«Schweizerische Metallarbeiter-Zeitung», 1916, № 40 (30. IX. 1916)... ე. ტ.-ის სტატია «მიმოხილვა»: «ევონომიური (სამეურნეო) ბუნების» ომი... «ინტერნაციონალის კრახი»... «კაპიტალისტების ორგანიზაცია «გერმანია» წინააღმდეგ ასეთივე ორგანიზაციის «ინგლისი»... გარდა სპეციალობისა (ზეინკალი და სხვ.) ჩვენ უნდა ვიყოთ პოლიტიკოსებიც და ვესწრაფოდეთ წარმოების სამუშალებათა განსაზოგადობას... «კავშირის გაწყვეტა პროფკავშირისა და პოლი-

ტიკას შორის შეუძლებელია»; ჩვენ ვეწევით რისკს
 «საკუთარ თავს მივუსაჯოთ კაპიტალიზმის მომვლელთა
 როლი»... ||| ძალიან
კარ-
გია!

«მიმოხილვა. (სხვა თვალსაზრისი)»

№ 41-ში (7. X. 1916) ხელმოუწერელი სტა-
 ტია: «მიმოხილვა. (სხვა თვალსაზრისი)», რომ ე. ტ.
 არ ეთანხმება არც სტატიის «პროფკავშირები და სამ-
 ხედრო საკითხი» ავტორს და არც რედაქციის
 ბოლოსიტყვაობასო. იგი წინააღმდეგია პროფ-
 კავშირთა «იზოლირებისა», მათი «შეზღუდვისა» «წმინდა
 პროფესიული საკითხებით». || NB

სტატიის ავტორი თავს იცავს 3¹/₂ ნახევარ სვეტზე,
 ჩვენ ვერ დავეწვეითო, უამრავი საქმეებითო (რე-
 ფორმისტული საკითხების ჩამოთვლა!), რომ
 «იმპერიალიზმზეც» ნსტატია გვექონდაო, აგრეთვე სო-
 ციალ-დემოკრატიული თვალსაზრისით, რომ შნეე-
 ბერგერი, როგორც მელითონეთა კავშირის ცენტ-
 რალური კომიტეტის წარმომადგენელი ლიუცერნში,
 1904 წელს «პოლიტიკურ აქციებში გადავარდნის (რო-
 გორც პროფკავშირი)» წინააღმდეგი იყო და ლიუცერ-
 ნის პროფკავშირულ კონგრესზე მიიღო 56 ხმა 18-ის ||| II
 წინააღმდეგ, — რომ «ნაცულად გეგმაზომიერი» (გვ. 2,
 სვეტი 3) «ნაყოფიერი მუშაობისა იმ მიზნით, რომ
 უწინარეს ყოვლისა შეძლებისამებრ შევასრულოთ
 პროფკავშირთა წესდებაში მოცემული ამოცანები, ჩვენ
 წარმოვშობთ მსოფლიოს სრულყოფის უსაზღვრო მა-
 ნიას ყოველგვარი პროექტებით, რომლებზეც მთელი
 ხმით იყვირებენ, მაგრამ რომელთაგან არც ერთი არ
 განხორციელდება. მუშების უმრავლესობა ფაქტების
 ნიადაგზე დგას. მათ ძალიანაც სურთ, რომ «წარმოე-
 ბის საშუალებათა განსაზოგადოება» სინამდვილე გახ-
 დეს, მაგრამ ავანტიურებში ისინი მაინც არ გადავარ-
 დებიან». ||| II

«ახალი რაინის გაზეთი»

«*Neue Rheinische Zeitung*». პოლიტიკურ-ეკონო- (46
 მიური მიმოხილვა, კ. მარქსის რედაქციით. (I—V/VI
 ნაკვეთები ერთ ტომად.) ლონდონი, 1850.

I ნაკვეთი, იანვარი 1850. — *II* ნაკვეთი, თებერვალი 1850. — *III* ნაკვეთი, მარტი 1850. — *IV* ნაკვეთი, აპრილი 1850. — *V/VI* ნაკვეთი (უცლოდ) 1850.

გვ. 47 ბოლოში. აქედან მერინგს თითქოს ყველა ფერი (არა ყველაფერი*) გადაუბეჭდავს «ლიტერატურულ შემკვიდრობაში» (შევამოწმო!). აღინიშნოს დამახასიათებელი ადგილი პატარა შენიშვნაში «სხვადასხვა» *IV* ნაკვეთში: «გოტფრიდ კინკელი»⁸⁰ (მისი გამმაგებული გალანძღვა საზიზღარი მონარქისტული სიტყვისათვის სამხედრო სასამართლოს წინაშე) (ხელმოუწერელია):

...«სწორედ ასევე ბ-ნი კინკელი სამხედრო სასამართლოში ღალატობს თავის საკუთარ პარტიასაც, როცა ბერს ლაპარაკობს საფრანგეთისათვის რაინის მარცხენა ნაპარის დათმობის რაღაც გეგმებზე და აცხადებს, რომ თვითონ სუფთაა ამ დანაშაულებრივი ზრახვებისაგან. ბ-ნმა კინკელმა ძალიან კარგად იცის, რომ საფრანგეთთან რაინის პროვინციის შეერთების შესახებ ლაპარაკობდნენ მხოლოდ იმ აზრით, რომ ეს პროვინცია რევოლუციასა და კონტრრევოლუციას შორის გადაამწყვეტი შეტაკების მომენტში უთუოდ დადგება რევოლუციის მხარეზე. ვინც არ უნდა იყოს მისი წარმომადგენელი, — ფრანგები თუ ჩინელები»... (გვ. 71).

გვ. 397, მერინგის გამოცემის III ტომში

მერინგი წერს, გვ. 479—480 (III ტომი), რომ მან გამოტოვა მთელი «აპრილის მიმოხილვა» (მაშასადამე მიმოხილვა *IV* ნაკვეთში) და თებერვლის ნაკვეთიდან (ნაკვეთი II) აიღო მხოლოდ კალიფორნიის etc. შესახებ და ჩინეთის სოციალიზმის შესახებ.

* სიტყვა «ყველაფერს» ზემოთ ვ. ი. ლენინს უფრო გვიან დაუწერია «არა ყველაფერი», რ. დგან უპოვნია მერინგის მიერ *IV* და *II* ნაკვეთებიდან გადაუბეჭდავი (იხ. ვ. ი. ლენინის შენიშვნები ამ ტომის 653 და 654 გვერდებზე). რ. ე. დ.

რევოლუციურ ერთან — სულერთია, ფრანგები თუ ჩინელები! შეადარე ის, რასაც წერდა ენგელსი 1859 წელს (?) «პო და რაინში»⁸¹, სადაც იგი აღვივებდა გერმანელთა ეროვნულ გზნებას ნაპოლეონ III-ის წინააღმდეგ, რომელიც «ჩვენს საუკეთესო პროვინციებს» დიპლომატიური თამაშის ობიექტად აქცევსო etc.

უადრესად დამახასიათებელია ეროვნული საკითხისათვის!

ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რევოლუციური ერი ამჟამად თუ ნაპოლეონ III!!

Ibidem, ნაკვეთი IV, გვ. 58 (გვ. 438, ტომი III მერინგის გამოცემისა) (დე უიჩარდენი. «სოციალიზმი და გადასახადი»)⁸²:

...«გადასახადების გაუქმების უკან სახელმწიფოს გაუქმება იფარება. სახელმწიფოს გაუქმებას მხოლოდ ის ახრი აქვს კომუნისტებისათვის, რომ იგი წარმოადგენს კლასების გაუქმების აუცილებელ შედეგს, რომლებთანაც ერთად თავისთავად ქრება საჭაროება ერთი კლასის ორგანიზებული ძალისა სხვა კლასების მორჩილებაში დატოვებისათვის»...

Ibidem, გვ. 55: «რევოლუციის დროს შეიძლება, გადასახადის უდიდეს ოდენობამდე გადიდებით, გამოყენებულ იქნას იგი როგორც კერძო საკუთრებაზე თავდასხმის ფორმა, მაგრამ მაშინაც იგი ან უნდა უბიძგებდეს უფრო შორს ახალი რევოლუციური ღონისძიებებისაკენ, ან ბოლოს და ბოლოს გამოიწვიოს ძველი ბურჟუაზიული ურთიერთობის აღდგენა»... (47

გვ. 436, III ტომი მერინგის გამოცემაში

ნაკვეთი 5/6, გვ. 158 («მიმოხილვიდან. მაისი — ოქტომბერი»; დათარიღებულია ლონდონი 1. XI. 1850. ხელმოუწერელია)⁸³.

...«ჩარტიტოლი პარტიის აქამდე არსებული ორგანიზაცია იშლება. წერილი ბურჟუეზები, რომლებიც ჯერ კიდევ არიან პარტიაში, დაკავშირებული

NB:
 ჩარტიზმის ორი ფრაქცია: (1) წვრილი ბურჟუაზია + მუშათა არისტოკრატია (წვრილბურჟუაზიული რეფორმისტები)
 (2) ნამდვილ პროლეტარ რევოლუციონერთა «მასა»

არიან მუშათა არისტოკრატია-სთან და შეადგენენ წმინდა დემოკრატიულ ფრაქციას, რომლის პროგრამა იზღუდება სახალხო ქარტიით და კიდევ ზოგიერთი წვრილბურჟუაზიული რეფორმით. მასა მუშებისა, რომლებიც ნამდვილად პროლეტარულ პირობებში ცხოვრობენ, ჩარტიზტების რევოლუციურ ფრაქციას ეკუთვნის»: (1-ლის ბელადია ფერგიუსოკონორი; მე-2-ისა — ჯულიან გარნი და ერნესტ ჯონსი) (გვ. 468, III ტომი მერინგის გამოცემისა.)

მერინგს
 არა აქვს

NB

ნაკვეთი II, გვ. 71—73 («მიმოხილვა-ში») ²⁴ რუსეთის კონტრრევოლუციური როლის შესახებ 1848 და 1849 წლების შემდეგ, რუსეთის წინააღმდეგ შესაძლო «ევროპული ომის» შესახებ (ინგლისი წყვეტხო), «რუსეთის ბარბაროსული ურდოების» შესახებ, რომლებსაც შეუძლიათ «გერმანია წააღებონ».

სასაცილოა!

Ibidem, გვ. 78 — (ლონდონი, 31. I. 1850) — ჩინეთში რევოლუციის შესახებ (ჩინეთის რესპუბლიკა — აი რას შეიძლება შეხედნენ «ევროპელი რეაქციონერები» ჩინეთშიო)

გვ. 445, III ტომი მერინგის გამოცემისა

× «ჩვენი ევროპელი რეაქციონერები აზიაში გაქცევისას, რაც მათ ახლო მომავალში ელით»: 3ა-3აII

× ევროპელი რეაქციონერები ევროპას რევოლუციას გაექცევიან აზიაში, მიიღებენ ჩინეთს «კედლებამდე» და ზედ ნახვევს წარწერას: «ჩინეთის რესპუბლიკა. თქვისუფლება! თანასწორობა! ძმობა!» ასეთია მარქსის მსჯელობა.

Ibidem, გვ. 80: შვეიცარიის მაგალითი გვიჩვენებს, რას ნიშნავს მცირე სახელმწიფოების» «მოჩვენებითი «დამოუკიდებლობა» და «თავისთავადობა» თანამედროვე ლიდერებს შორის» (ან სამღვთო კავშირი გასრესს შვეიცარიას, ან რევოლუცია «არ შეიწყნარებს» «ასეთ მოლაღატე და მხდალ მთავრობას ევროპის გულში»...)

მერინგს
არა აქვს

!!!

შვეიცარიის შესახებ დაწერილია შვეიცარიაზე ლაშქრობის გეგმის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით (გერმანია + ავსტრია + რუსეთი + საფრანგეთი) — საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლის გეგმა დივერსიებით შვეიცარიისა და თურქეთის წინააღმდეგ. «სამღვთო კავშირი» რევოლუციის წინააღმდეგ.

«ერთი რამ უეჭველია: სამღვთო კავშირი გამოვაჯერ კიდევ წელს ან პირველად შვეიცარიისა ან თურქეთის წინააღმდეგ, ან პირდაპირ საფრანგეთის წინააღმდეგ, და ორივე შემთხვევაში სამოკავშირეო საბჭოს ბედი წინასწარ გადაწყვეტილია. ვინც არ უნდა შევიდეს პირველი ბერნში — სამღვთო კავშირი თუ რევოლუცია, — სამოკავშირეო საბჭომ თვითონ წინასწარ გადაწყვიტა თავისი დაღუპვა თავისი მხდალი ნეიტრალიტეტით. კონტრრევოლუცია ვერ დასჯერდება მის დათმობებს მისი მეტად თუ ნაკლებად რევოლუციური წარმოშობის გამო; რევოლუცია ერთ წუთსაც ვერ შეიწყნარებს, რომ ევროპის გულში არსებობდეს ასეთი მოლაღატე და მხდალი მთავრობა, იმ სამი ქვეყნით გარემოცული, რომლებიც ყველაზე მეტად არიან ჩაბმული მოძრაობაში. შვეიცარიის სამოკავშირეო საბჭოს ქცევა ყველაზე განსაცვიფრებელი და, იმედი ვიქონიოთ, უკანასკნელი მაგალითია იმისა, თუ რას წარმოადგენს მცირე სახელმწიფოთა მოჩვენებითი «დამოუკიდებლობა» და «თავისთავადობა» თანამედროვე დიდი სახელმწიფოების გარემოცვაში» (გვ. 80). (დასასრული.)

(48

მერინგს
არა აქვს

NB:

რევოლუცია-სთან კონტრრევოლუციის ბრძოლის ეპიზოდი!

მერინგს
არა აქვს

NB

და გვ. 72 — შვეიცარია მხდალი იყო «სამღვთო კავშირის წმინდა და ენერჯანტების მიმართაც» (NB)... «თუ შვეიცარიამ წაუტოვა მთაყენა სამღვთო კავშირს, სწორედ ისევე მან უღალატა რევოლუციასაც» (73).

გვ. 72 — რწმენა, რომ იქნება ევროპის ომი (მას დაიწყებს რუსეთი ოტორქის წინააღმდეგ). რევოლუცია იზრდება პარიზში — «რევოლუციის ცენტრში» (72) — და «დასავლეთ ევროპაში» (sic! 71—2: «დასავლეთი ევროპა»)...

საფრანგეთში რევოლუცია იზრდება (74), გლეხები ჩაბმულ იქნებიან მოძრაობაში, აქედან წარმოდგება «რევოლუციის სწრაფი გამარჯვების რწმენა» (74) (sic!)...

სენ-სიმონის წარმონათქვამი

49)

...«ცნობილია სენ-სიმონის მტკიცება, რომ საფრანგეთს უსასრულოდ ნაკლები ზარალი მოუვიდოდა მისი ათასი ჯილდო, ვიდრე ათასი მისი საუკეთესო მუშის სიკვდილით — მტკიცება, რომლის გამო მას ბრალი დაედო» (გვ. 11 ემილ კალერის წიგნში. «ვილჰელმ ვეიტლინგი», ციურხი, 1887, № XI «სოციალ-დემოკრატიული ბიბლიოთეკისა»).

((((ბროკჰაუსის გერმანული ენციკლოპედიური ლექსიკონის მიხედვით სენ-სიმონმა ეს თქვა არა 1000-ზე, არაედ 10 000-ზე (NB) — თქვა «პოლიტიკურ რეაქციის», «ორგანიზატორის» პირველ ნაკვეთში (1820).)))

რვეული
«ბრეილსფორდი»

შ ი ნ ა ა რ ს ი

ბრეილსფორდი I⁸⁵
შეად. ამონაწერები გვ. 164-დან
ბრეილსფორდი II

ბრეილსფორდი. «ფოლადისა და ოქროს ომი»

ჰენრი ნოელ ბრეილსფორდი. «ფოლადისა და ოქროს (I ომი»

შეიარაღებული მსოფლიოს გამოკვლევა. ლონდონი, 1914.
(წიგნი დათარიღებულია 1914 წ. მარტი) (გვ. 317)

«საცვებით შესაძლებელია, რომ ბალკანეთში ავსტრიამ, სამთა კავშირის გაბატონებულ გავლენაზე დაყრდნობით, ისარგებლა ერთ-ერთი კრიზისით, რომელიც ახალგაზრდა თურქთა რევოლუციას მოჰყვა, რომ გზა გაეკაფა თავისთვის სალონიკისაკენ და მოეხდინა ანექსია მაკედონიის ნაწილისა მიმართ...»

ევროპას ჰქონდა ხანგრძლივი გამოცდილება გერმანიის «ჰეგემონიისა» მეოთხედი საუკუნის მანძილზე, რომელმაც განვლო საფრანგეთის იმპერიის დაცემიდან საფრანგეთ-რუსეთის კავშირის დადებამდე. კატასტროფული არაფერი არ მომხდარა. არც ერთ წვრილ სახელმწიფოს არ განუცდია შესევა, არც ერთი მეზობელი საზღვარი არ ყოფილა გადაწყვეტილი, არც ერთი სამეფო ტახტი არ დამხობილა, არავითარ ეროვნულ ან რელიგიურ თავისუფლებებს არ დამუქრებია საფრთხე» (გვ. 34).

«ევროპაში დაპყრობათა ეპოქა დამთავრდა; და თუ არ ჩავთვლით ბალკანეთს და, იქნებ, ავსტრიისა და რუსეთის იმპერიების განაპირა კუთხეებს, პოლიტიკაში მაქსიმალურად

შესაძლებელი უექველობით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი თანამედროვე ეროვნული სახელმწიფოების საზღვრები საბოლოოდ დადგენილია. პირადად მე ვფიქრობ, რომ ექვს დიდ სახელმწიფოს შორის ომები აღარ იქნება» (გვ. 35).

«ევროპის არსებული ტერიტორიული მოწყობა წარმოებს, მცირეოდენი გამონაკლისით, ეროვნული საზღვრების მიხედვით» (გვ. 35).

- 3) «უნდა აწარმოებდეს თუ არა გერმანია რკინის მდნის მოპოვებას ატლასის კალთებზე და ფოლადის რელსების სახით გზავნიდეს მას ბალდადში? ეს თანამედროვე დიპლომატიის ტიპური საკითხია, და, გონივრულად თუ ვიმსჯელებთ, იგი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ძველ სამყაროს ტიპურ საკითხზე, თუ ვინ უნდა იყოს ესპანეთის მეფე — ბურბონი თუ ჰაბსბურგი. როგორც ამ, ისე ამავე ხასიათის სხვა საკითხების გადასაწყვეტად ევროპის ახალგაზრდობა გადის სამხედრო წვრთნას, შენდება სამხედრო ხომალდები და უთავბოლოდ იხარჩება გადასახადები. საფრთხე არ ექმნება არაფერს, რასაც კი შეეძლო შეხებოდა ევროპის თუნდაც ერთი აკრი მიწის ბედს ან მფლობელობას. არაფერი არ შეიცვლებოდა ევროპის რომელიც ვნებათ სახელმწიფოს პოლიტიკაში, რელიგიაში ან საზოგადოებრივ ცხოვრებაში იმით, ეს საკითხები სხვანაირად რომ გადაჭრილიყო ან სულაც არ გადაჭრილიყო» (გვ. 36).

- 4) «აბა ვინ დაინტერესდებოდა ინგლისში იმით, რომ მაროკოს რკინის მდნის მოხმარდება გერმანული ზარბაზნების ჩამოსხმას ესენში, და არა ფრანგული ზარბაზნების ჩამოსხმას კრეზოში?» (გვ. 36).

«გულთადი შეთანხმება ინგლისსა და საფრანგეთს შორის, რითაც აღინიშნა გერმანიასთან დაძაბული ურთიერთობის დასაწყისი, დაფუძნებული იყო, რამდენადაც ცნობილია მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის, მხოლოდ ერთ დოკუმენტზე, რომელიც სხვა არა იყო რა, თუ არ საქმიანი მოწესრიგება საფრანგეთისა და ინგლისის ინტერესებისა ეგვიპტესა და მაროკოში» (გვ. 37).

- 5) «გერმანიის ფირმას «ძმები მანესმანები» სრული საფუძვლით შეუძლია დაიტრიაბახოს, რომ განსაკუთრებული კონცესია მაროკოს ყველა მალაროს დასამუშავებლად მიიღოს იმ ფულის საკომპენსაციოდ, რომელიც მან სამოქალაქო ომების დროს ასესხა სულთანს, რომელიც გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდა. რომ სწორედ ეს იყო დავის საგანი, ამას ადასტურებს პირობები, რომლებიც არაერთგზის ყოფილა განხილული პა-

რიხსა და ბერლინის შორის მოლაპარაკებაში კონფლიქტის მოწესრიგების მიზნით. კონფლიქტის «გადაჭრა», ან დროებითი მოწესრიგება, მიღწეულ იქნა 1910 წელს შეთანხმებით, რომელიც მხოლოდ ერთი მუხლისაგან შედგებოდა — რომ გერმანიის ფინანსური წრეები საფრანგეთის ფინანსურ წრეებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა წამოწყებებსა და კომპანიებში, რომელთა მიზანია მაროკოს «თვისება» ნავსადგურების, რკინიგზების, მალაროების აშენების და სხვა საზოგადოებრივ სამუშაოთა გზით. ამ შეთანხმებას არაერთი რეალური შედეგი არ მოჰყოლია, და გაღიზიანება, რომელიც გერმანიაში იზრდებოდა საფრანგეთის დიპლომატიისა და საფრანგეთის ფინანსური წრეების მიერ საქმის გაჭიანურების გამო, გამოიხატა საკანონერო ნავის «ავაზას» გაგზავნით აგადირში, რაც შემდგომი «მოლაპარაკების» პრელუდია იყო. სენატის კომისიის შემდგომი გამოკვლევებიდან ვიცით, რით გათავდებოდა ეს მოლაპარაკება, ხელისუფლების სათავეში ბ-ნი კაიო რომ დარჩენილიყო. იგი არა მარტო შეთანხმებდა საფრანგეთისა და გერმანიის კოლონიურ ინტერესებს, არამედ განახორციელებდა საერთო შეთანხმებასაც, რომელიც მოიცავდა საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობის მთელ ერთობლიობას. ყველა პუნქტი, რომელთა მიხედვითაც მან დაიწყო მოლაპარაკება, ეკონომიურ ხასიათს ატარებდა. და მათგან მთავარი იყო წინადადება ბოლო მოღებოდა ბალდადის რკინიგზის ბოიკოტს საფრანგეთის ფინანსური წრეების მხრივ და გერმანიის ფასიანი ქაღალდები დაშვებული ყოფილიყო კოტირებისათვის პარიზის ბირჟაზე. შემფოთება, რომელიც ბ-ნი კაიოს ამ გაბედულმა ნაბიჯმა გამოიწვია როგორც ფრანგ პატრიოტებს შორის, ისე ინგლისელ იმპერიალისტებს შორისაც, ჯერ კიდევ არ არის დავიწყებული, და მისი გამოძახილი გაისმოდა ლონდონშიც და პარიზშიც, როცა 1913 წ. დამლევს ბ-ნი კაიო მთავრობაში დაბრუნდა. ამ არაოფიციალურ მოლაპარაკებაში მან დასაბამი მისცა საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობის ვადასინჯვას, რასაც უნდა შეეცვალა არა მარტო საფრანგეთის, არამედ ევროპის პოლიტიკაც, ბ-ნი კაიო კიდევ რამდენიმე თვეს რომ დარჩენილიყო პრემიერად. ფრანკმა პატრიოტიკმა განგაში ატეხეს, რადგან შიშობდნენ, რომ იგი აპირებს წაართვას მათ ოცნება რევანშზე 1870 წლისათვის. ინგლისელი იმპერიალისტები თავს ესხმოდნენ მას ჩვენს კონსერვატიულ პრესაში, რადგან ეშინოდათ, რომ თუ საფრანგეთი მოაწესრიგებდა თავის დავას გერმანიასთან, ინგლისი იზოლირებული დარჩებოდა. ერთ ფრაზაში კამათის დროს (1911 წ. 27 ნოემ-

(6

(7

ბერს), რომელიც აგადირის კრიზისს მოჰყვა, სერ ედუარდ გრემ იხმარა გამოთქმები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ ჩვენი დიპლომატია იზიარებდა კონსერვატიული პრესის შიშს. მისი სიტყვით, იყო რისკი, რომ საფრანგეთი შეიძლებოდა მოქცეული ყოფილიყო გერმანიის დიპლომატიის ორბიტაში. სწორედ ამ მიზეზით, და არა იმიტომ, რომ ჩვენ მართლა გვაცნებრესებდა იმ კომპენსაციების ოდენობა, რომლებსაც საფრანგეთი კონგოში აძლევდა გერმანიას მაროკოს დაპყრობის სანაცვლოდ, ჩვენ მზად ვიყავით მხარა დაგვეჭირა ბ-ნ კაიოს მონაცვლეთა ნაკლებად შემარიგებლური დიპლომატიისათვის საჭიროების შემთხვევაში იარაღის ძალითაც კი. ეს, ალბათ, უაღრესად საუბრალო ინციდენტი იყო ევროპის დიპლომატიის უახლეს ისტორიაში» (გვ. 38—40).

- 8) «საფრანგეთის პერიეს ბანკმა ამას წინათ თურქეთის მთავრობას ასესხა მილიონი გირვანქა, რომელიც მან მოახმარა პირველ შენატანს ნიუკასლში აგებული კრეისერ-დრედნოუტის საფასურის ანგარიშში. რამდენიმე დღის შემდეგ გამოცხადებულ იქნა, რომ იმავე ბანკმა, ალბათ საკომისიო საზღაურის ანგარიშში, მიიღო სმირნა-დარდანელის რკინიგზის კონცესია. ვალიარებთ რა, რომ კაპიტალის ექსპორტი ვერ განხორციელდება, თუ საქონლის ერთგვარი მოძრაობა არ იქნა, ჩვენ, კლასების სოციოლოგიის თვალსაზრისით, მაინც უნდა ვავლებდეთ მკვეთრ ზღვარს ფინანსურ ოპერაციასა და უბრალო
- 9) საქონელგაცვლას შორის. განვითარებული კრედიტის საფუძველზე წარმოებული ვაჭრობა უფრო ხელსაყრელია ინვესტორი კლასებისათვის, ვიდრე უბრალო გაცვლა, რომელიც ეკონომიური განვითარების თანაბარ დონეზე მყოფ ერებს შორის წარმოებს. თუ ჩვენ უელსის ქვანახშირს ვგზავნით საფრანგეთში და მის ნაცვლად ვიღებთ ხელოვნურ ყვავილებს, კაპიტალი იღებს ორმაგ მოგებას — ქვანახშირის მალაროების ინგლისელ მფლობელთა მოგებას და ფრანგ ოფლმომდენტთა მოგებას. მაგრამ თუ ჩვენ არგენტინას სესხად ვაძლევთ ფულს, რომლითაც იგი ჩვენგან ყიდულობს რელსებს, რათა შემდეგ, სესხის სარგებლის გადახდის მიზნით, გამოიტანოს ხორცი ჩვენთვის მოსაყიდად, მაშინ კაპიტალი მიიღებს სამმაგ მოგებას — ინგლისის ფოლადის მრეწველობის მოგებას, არგენტინის ხორკის ვაჭრობის მოგებას და ინგლისელი ბანკირებისა და ინვესტორების მოგებას. სწორედ ამ შესამე მოგებას ყველაზე მეტად აფასებს კლასი, რომელიც არაშრომითი შემოსავლით ცხოვრობს, და განვითარება ამგვარი ვაჭრობისა, რომელიც ასეთ საკრედიტო ბაზას მოითხოვს, ე. ი. ვაჭრობისა უფრო

სუსტ მოვალე ერებთან, იმპერიალიზმის მიზანს წარმოადგენს» (გვ. 73—74).

«ბ-ნმა მეღპოლმა «პოლიტიკური ეკონომიის ლექსიკონისათვის» გამოიანგარიშა, რომ ჩვენი დაბანდებები უცხოეთსა და კოლონიებში 1882-დან 1893 წლამდე განსაცვიფრებელი სისწრაფით იზრდებოდა — 74%-ით წელიწადში. მაგრამ გადაწყვეტი დამამტკიცებელი საბუთი მოიყვანა სერ რობერტ გიფენმა. მან გამოიანგარიშა, რომ 1899 წელს უცხო სახელმწიფოებთან და კოლონიებთან საქონლით მთელი ჩვენი საგარეო ვაჭრობის მოგებამ მხოლოდ 18 მილიონი სტერლინგი შეადგინა. უცხოეთსა და კოლონიებში დაბანდებთა მოგება კი ამავე წლისათვის მან 90—100 მილიონი სტერლინგით განსაზღვრა» (გვ. 77).

«ათი წლის შემდეგ, როგორც ამტკიცებდა სერ ჯორჯ პეიში სამეფო სტატისტიკურ საზოგადოებაში წაკითხულ მოხსენებაში, ჩვენი მოგება უცხოეთსა და კოლონიებში დაბანდებებთან 140 მილიონს უდრიდა» (გვ. 77—78).

«მათ * უკან დგანან საელჩოები, ხოლო საელჩოებს უკან მთელი ევროპის ფლოტები, რომლებიც ბრძანებრს მიღებიდან უკვე რამდენიმე საათის შემდეგ გავიდოდნენ თურქეთის წყლების მიმართულებით, თუ მოხდებოდა ვადრს რაიმე გადადება ან მერყეობა იმ შემოსავლის გადახდაში, რომელიც გარანტირებულია ევროპის რკინიგზის კონპანიებისა ან თურქეთის ობლიგაციების მფლობელთათვის. ერთი სიტყვით, დიპლომატიას და შეიარაღებას იყენებენ უსინდისო, მევახშურ გარიგებათა ხელშესაწყობად, რომლებსაც ქრთამებრს დახმარებით ბარონი პირში და მისი წამბაძველები სდებდნენ თურქეთის მინისტრებთან, რომლებსაც არც ერთი პატროსანი ადამიანი ხელის ჩამორთმევის ღირსად არ გახდოდა» (გვ. 85).

«თანამდებობები არ მიაში და სამოქალაქო სამსახურში დიდი ხნის განმავლობაში ისე ბეყრი იყო, რომ ისინი ხელნისაწვდომი გახდა შეძლებული ბურჟუაზიის შეილებრსათვის. ამ ადამიანებისათვის ინდოეთმა და ეგვიპტემ, ბოლოს, მიიღეს რეალური მნიშვნელობა — ესენი ის ადვილებია, სდაც «კარგად ცხოვრობენ» შვილი, ძმა ან თუნდაც ბიძაშვილი» (გვ. 86—87).

«მეცნიერებთა მაგისტრის ჯ. ტ. უოლტონ ნიუბოლდის «მხილებული სამხედრო ტრესტი» («ეროვნული მუშათა გამომცემლობა». მანჩესტერი, 1 პენსი) მოგვითხრობს

* თურქეთის ობლიგაციების მფლობელებს. რ ე დ.

უმთავრესად ინგლისის სამხედრო ფირმების ურთიერთობაზე. პ. უ. უ-ს «შეიარაღება და პატრიოტიზმი» («The Daily News», 1 პენსი) მთლიანად მიძღვნილია მ-რ მიულინერის მონაწილეობისადმი 1909 წ. საზღვაო პანიკის შექმნაში. ჯ. გ. პერისის «ომით მოვაკტენი» («მშვიდობის ეროვნული საბჭო», 167, ს.-სტეფენსჰაუზი, ვესტმინსტერი, 2 პენსი) შეიცავს იმ ფაქტების უმრავლესობას, რომლებიც მოყვანილია ორ სხვა ბრაშურაში ზოგიერთი დამატებითი მასალით. ყველა ისინი დამყარებულია ოფიციალურ უცილობელ მასალებზე» (გვ. 89, შენიშვნა).

- 13) «ეს აყვავებული კონცერნია. მიმდინარე საუკუნეში არმსტრონგს არასოდეს არ გადაუხდია 10%-ზე ნაკლები და მისი დივიდენდები ხშირად 15%-ს აღწევდა. საფრანგეთის დიდი ქარხნები კრეზოში (შნეიდერისა) ზოგჯერ 20%-საც კი იხდიდნენ. დრედნოუტის აგებამ და აღჭურვამ მეოთხედი მილიონი მოგება მაინც უნდა მოუტანოს ფირმას, რომელიც შეკვეთას იღებს. ასეთი განაკვეთი ღირს ძალონის დახარჯვად, ამ ფირმებს კი სავსებით შესწევთ ძალა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ზეგავლენა მოახდინონ. მარტო არმსტრონგის ქარხნის აქციონერთა სიაში დარკავობის წარმომადგენლების ან მათი ცოლების, ვაჟებისა და ქალიშვილების 60 სახელი, თხუთმეტი ბარონეტის, რაინდული წოდებას ოცი წევრის, პარლამენტის რვა წევრის, ხუთი ეპისკოპოსის, ოცი სამხედრო და საზღვაო ოფიცრის და რვა ეურნალისტის სახელია. ამ ფირმებით დაინტერესებულ პირთა შორის გასულ ზაფხულში იყო ორი ლიბერალი მინისტრი, ერთი პირი, რომელსაც დიდი სასამართლო პოსტი უჭარავს, და საპარლამენტო ოპოზიციის ორი ლიდერი. სასაჯლო შესაბამისობა აქციონერთა ამ სიებსა და საზღვაო ლიგის და ეროვნული სიმხედრო სამსახურის ლიგის წევრთა რეესტრებს შორის» (გვ. 90).

- 14) «ნამდვილად ფაქტება იმ ხანებში მოიყვანა ადმირალმა ფონ ტირპიკმა რაიხსტაგში, აგრეთვე კრუპის ფირმის მეთაურმა. პარლამენტმა არჩია დაეჭვებინა მ-რ მიულინერისათვის. ამის შედეგად მ-რ მაკ-კენამ გამოიანგარიშა, რომ გერმანიას «საშიში მომენტისათვის», ე. ი. 1912 წ. მარტში, ექნება ჩვიდმეტი დრედნოუტა, და ამის შესაბამისად გადასინჯა თავისი საკუთარი პროგრამა. მ-რ ბალფურმა ისიც კი იწინასწარმეტყველა, რომ გერმანიას 21 ან 25 სახაზო გემი ექნება. შემდეგმა ამბებმა ცხადყო, რომ ადმირალი ფონ ტირპიკი მართალს ამბობდა:

როცა ეს მომენტი დადგა, გერმანიას ისინი ცხრა ჰქონდა. ეს შიში ოთხ «კონტინგენტურ» დრედნოუტად დაგვიჯდა — ეს ოდენობა თუმცა ზომიერია, მაგრამ მან გაღიზიანება და უნდობლობა ევროპაში გაამწვავა იმ ოდენობით, რომლის რაიმე რაოდენობრივი გამოანგარიშება შეუძლებელია» (გვ. 91).

«შეიარაღებით მოვაჭრე ფირმების საერთაშორისო ურთიერთობა მიმზიდველ თემას წარმოადგენს სატირისათვის. კომენტარები გარდუვალად და მკაფიოდ გამოძლინარეობენ ფაქტებიდან და აქ ისინი შეუღამაზებლად იქნება მოცემული. კაპიტალი მოკლებულია პატრიოტიზმს. ცნობილ გერმანულ ფირმას ფრანგი დირექტორები ხელმძღვანელობენ. გერმანიის ფირმები აღადგენენ რუსეთის სამხედრო ფლოტს, რომელიც გერმანულის მეტოქეა. ბრიტანეთის ფირმებს იტალიაში აქვთ განყოფილებები, რომლებიც აშენებენ სწორედ იმ იტალიურ დრედნოუტებს, რომლებზეც ამბობენ, ისინი ჩვენს საკუთარი დრედნოუტების მეტოქენი არიანო. ნობელის ტრესტში და, უკანასკნელ ხანებამდე, გარეჯის კომპანიაში შედიოდა შეიარაღების მწარმოებელი ყველა წამყვანი ფირმა: ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის და ამერიკისა. ერთ ხანს შნეიდერის ფრანგული ფირმა და კრუპის გერმანული ფირმა გაერთიანდნენ უენცის რკინის მალაროების დამამუშავებელ სინდიკატად ალჟირში» (გვ. 92).

«ეს მტკიცე და კარგად ინფორმირებული კონცენტრირებული ძალები მთელ მსოფლიოში განუხრელად ახშობენ უფრო დაქსაქსულ და ცენტრალიზებული ხელმძღვანელობისადმი უფრო ნაკლებად დაქვემდებარებულ ძალებს, რომლებიც განიარაღებისა და მშვიდობის მომხრენი არიან. იმ პირთა რიცხვი, რომლებიც შეიარაღებასა და ომზე მდიდრდებიან, მკირეა ცივილიზებული სამყაროს მთელ მოსახლეობასთან შედარებით. მაგრამ მათი ინდივიდუალური მნიშვნელობა უფრო დიდია, ისინი მუშაობენ იმ «საზოგადოებასთან» კავშირით, რომელიც იმპერიას განიხილავს როგორც ასპარეზს თავისი შვილების კარიერისათვის, და იმ ფინანსურ წრეებთან კავშირით, რომლებსაც იმპერია მიაჩნიათ სფეროდ ინვესტიციებისათვის» (გვ. 93).

«ბ-ნი გლადსტონი ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა მიდლოტის კამპანიის შემდეგ იმპერიალიზმისათვის გადამწყვეტი წინააღმდეგობის გაწევის პროგრამით. მისი მთავრობის საგარეო პოლიტიკის მთავარი აქტი იყო ეგვიპტის ოკუპაცია. მას შემდეგ სიცრუე სულში ჩაუძვრა ლიბერალიზმს» (გვ. 103—104).

«ასეთი გავლენის შედეგად ლიბერალიზმი გახდა იმპერიალისტური პარტია, რომლის საგარეო პოლიტიკის ერთადერთ შესაძლო ხელმძღვანელებად მიჩნეული იყვნენ ლორდი როზბერი, ხოლო უფრო გვიან სერ ედუარდ გრეი. ლორდი როზბერი ქორწინებით დაკავშირებული იყო როტშილდების ოჯახთან, და სწორედ როტშილდის გავლენამ გამოიწვია ეკვიპტის ოკუპაცია» (გვ. 105).

- 18) «არ იქნებოდა საზრანგეთთან განხეთქილება, და გულითათადი შეთანხმება შეიძლებოდა ოცი წლით ადრე დამყარებულიყო. ევროპის შეიარაღება არ იქნებოდა ესოდენ უზომო, და ბისმარკის დიპლომატიის ნაკლები ტრიუმფი ექნებოდა. და, რაც მთავარია, არასოდეს არ იქნებოდა დადებული კავშირი. რომელმაც რუსეთის თვითმპყრობელის ხაზინა ფრანგული ოქროთი აავსო და ამრიგად მარადიული გახადა უსასტიკესი დესპოტია ევროპის დესპოტიათაგან» (გვ. 108).

«1907 წ. განმავლობაში დაწყებულ ან დამთავრებულ იქნა შემდეგი საზოგადოებრივი სამუშაოები კუმასიში: ფოსტა, ქალთა საპყრობაღე, საავადმყოფო და დისპანსერი, ევროპელთა საავადმყოფო, სამრეცხაო ევროპელთა თეთრეულის გასარეცხად და რამდენიმე შენობა ოქროს ნაპირის პოლკებისათვის».

გაერღს რომ გადაშლი, შეიტყობ, რომ «გაკეთებულ იქნა გოლფის სათამაშო მოედანი 13 ღრმულით». ოქროს მალაროები, საპყრობილები, ყაზარმები, სამრეცხაო ევროპელებისათვის, აშენებული საზოგადოებრივი ფულით, და გოლფის სათამაშო მოედანი — აი ჩვენი ცივილიზატორული მუშაობა. მაგრამ არც ერთი სკოლა» (გვ. 127).

- 19) «სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, რომელი პარტიაც არ უნდა იდგეს ხელისუფლების სათავეში, საგარეო საქმეთა მინისტრი ყოველთვის იქნება იმპერიალისტი, პირი, რომელსაც უსიტყვოდ შეიძლება ენდონ «The Times», სიტყვა და კონსერვატიული პარტია. რადიკალს საგარეო საქმეთა მინისტრად გახდომის იმაზე მეტი შანსები არა აქვს, ვიდრე რომის კათოლიკეს ლორდ-კანცლერად გახდომისა. «მონაცვლეობის» დოქტრინა ნიშნავს, რომ საგარეო საქმეები ფაქტიურად ამოღებულია პარტიული მთავრობის სფეროდან და ამჟამად ექვემდებარება მხოლოდ მმართველი კლასის გავლენას, ე. ი. იმათ აზრს, ვინც მეფის კართან და საზოგადოებაში ტრიალებს, ვინც არმიას და სამოქალაქო სამსახურს უყურებს როგორც მათი ოჯახებისათვის განკუთვნილ საქმიანობას და ბრიტანეთის კუნძულების ფარგლებს

გარეთ არსებულ სამყაროს უცქერის უმათავრესად როგორც მათი ჭარბი სიმდიდრის დაბანდების სფეროს» (გვ. 132).

«კიდევ უფრო მნიშვნელოვანია თემთა პალატის უძლურება (20 ხელშეკრულებათა მიმართ. თუ ისინი ფინანსურ მუხლებს არ შეეცავენ, სავალდებულო არ არის მათი წარდგენა პარლამენტისათვის, და მათი არავითარი განხილვა არ შეიძლება მანამდე, სანამ ისინი საბოლოოდ ხელმოწერილი, რატიფიცირებული და გამოქვეყნებული არ იქნებიან. ამის შედეგია, სხვათა შორის, რომ საიდუმლო ხელშეკრულება არანაკლებ გვბოჭავს, ვიდრე გამოქვეყნებული. საიდუმლო ხელშეკრულება, რომელიც სათანადოდ ხელმოწერილი და რატიფიცირებულია ბრიტანეთის ერთი მთავრობის მიერ, ბოჭავს მის მონაცვლებს. თეორიაში — მეფეს და მის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომლებიც მოქმედებენ კაბინეტის თავიანთი კოლეგების თანხმობით, უფლება აქვთ იკისრონ ყველაზე მნიშვნელოვანი და არსებითი ვალდებულებანი ამ კუნძულების ორმოცმილიონიანი მოსახლეობის სახელით, რომელსაც ისინი განაგებენ, ისე, რომ არ დაეკითხონ მათს არჩევითს წარმომადგენლებს» (გვ. 137—138).

«ამ წერილებში აშკარად არის აღიარებული, რომ ლორდ (21 ჯონ როსელს, პრემიერ-მინისტრს, სრულებით არ ძალუძდა კონტროლი გაეწია პალმერსტონისათვის, რომელიც დიდმნიშვნელოვან საქმეებს მუდამ წყუქტდა მთლიანად კაბინეტისა და თვით მისი მეთაურისაგან რწმუნების მიუღებლად. იგი ისე შორსაც კი წავიდა, რომ coup d'état-ს* შემდეგ ცნო ლუი ნაპოლეონი მხოლოდ და მხოლოდ თავისი პირადი პასუხისმგებლობით და არა მარტო საზოგადოებრივი აზრის, არამედ აგრეთვე დედოფლისა და თავისი კოლეგების სურვილის წინააღმდეგ. პალმერსტონის გადაყენებას რომ ურჩევდნენ, ლორდი ჯონ როსელი მუდამ უპასუხებდა, ის რომ გადაეყენო, შურს იძიებს იმით, რომ ოპოზიციის რიგებში შევა და მთავრობას დაამხობსო. რამდენად საფუძვლიანი იყო ეს შიში, ცხადყო შემდეგმა ამბებმა. ბოლოს და ბოლოს პალმერსტონი იძულებული გახდა 1851 წლის დეკემბრის დამლევს გადამდგარიყო. მაგრამ უკვე 1852 წლის თებერვალში მან ჩამოაგდო თავისი ყოფილი კოლეგები. კაბინეტი, რომელსაც მინისტრის დათხოვნა არ შეუძლია, მზად უნდა იყოს იმისათვის, რომ მას მოქმედების თავისუფლება მიანიჭოს» (გვ. 143—144).

* — სახელმწიფო გადატრიალების. რ ე დ.

- 22) «მეორე მხრივ, სამყარო, რომელშიც იგი* ტრიალებდა, მონარქებისა და მთავრობების სამყარო იყო. ერებს იგი არ იცნობდა და არა სცნობდა. უდიდეს ძვრებში, რომლებიც 1848 და 1860 წლებს შუა ხდებოდა და რომლებმაც შექმნეს იტალიელი ერი, იგი ვერაფერს ვერ ხედავდა. გარდა სარდინიის მთელი რიგი თავდასხმებისა ავსტრიაზე» (გვ. 148—149).
- «როდესაც პალმერსტონი და ლუი ნაპოლეონი 1848 წელს მოლაპარაკებას აწარმოებდნენ პლებისციტზე ლომბარდიის ბელის გადასაწყვეტად, მან განაცხადა, «მთელი საუკუნეებისათვის უბედურება იქნება», ხალხებს რომ ნება მიეცეთ ქვეშევრდომობა შეიცვალოს საყოველთაო კენჭისყრის საშუალებით» (გვ. 149).
- «სანამ შესაძლებელი გახდებოდა დავენდოთ დემოკრატიების სიმტკიცეს ეროვნული კრიზისების მომენტებში, საჭიროა გავაძლიეროთ აღმზრდელობითი პროპაგანდა, საჭიროა განვახორციელოთ მეტი შეგნებული ღონისძიებანი პრინციპების განსამტკიცებლად» (გვ. 160).
- 23) «საჭიროა ინერგებოდეს საყოველთაო და ღრმა სექტაციზმი, რათა კეთილგანმზრახველ აბსტრაქციებსა და მგზნებარე სიტყვებზე ინსტინქტურად უპასუხებდნენ კითხვით: «სახელდობრ რომელ სესხზე, კონცესიაზე ან ეკონომიური ინტერესების სფეროზე ლაპარაკობთ?» ასეთი ამოცანა სცილდება მშვიდობის ჩვენი სპეციალური პროპაგანდისტების კომპეტენციის ფარგლებს, ხოლო ზოგჯერ გაგების ფარგლებსაც» (გვ. 160).
- «დღეს განიარაღებასა და არბიტრატჟზე რომ ლაპარაკობს, ხვალ იგი იმუშავებს პარტიისათვის, რომელიც არა გვგონია მის მეტოქეზე ნაკლებად იყოს დამოკიდებული მსხვილ მოიჯარეებსა და ბანკარებზე, რომლებიც მხარს უჭერენ დიპლომატიისა და ფინანსების თანამედროვე კავშირს. მშვიდობის ინტერესებისათვის აღზრდისა და ორგანიზაციის დარგში მუშაობას ჭეროვნად ეწევიან მხოლოდ სოციალისტური პარტიები და მხოლოდ ისინი წარმოადგენენ ძალას, რომელიც ყოველთვის ერთსულოვნად გამოვა მილიტარიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ» (გვ. 161).
- «...ომი ანაქრონიზშია, თითქმის შეუძლებელი მოვლენაა საზოგადოებაში, რომელიც დაფუძნებულია კერძო საკუთრების პატივისცემაზე და მიჩვეულია თავისი საქმეები აწარმოოს კოსმოპოლიტური კრედიტის სისტემის საფუძველზე» (გვ. 162).

* — დედოფალი. რ ე დ.

«დაეუშვათ, რომ ომი უგუნურებაა ეროვნული ინტერესების თვალსაზრისით, მაგრამ იგი მაინც შეიძლება სავსებით გონივრული იყოს მკირერიცხოვანი, მაგრამ ძლიერი მმართველი კლასის თვალსაზრისით» (გვ. 163).

«თანამედროვე იმპერიალისტი «მზის ქვეშ აღვილებს» კი არ აკვირდება დაძაბულად. იგი ეძებს ახალ ქვეყნებს «ექსპლუატაციისათვის», მრავლის აღმოჩენის რაიონებს, სადაც მალარობები ხელუხლებელია, მინდვრები დაუმუშავებელია, ქალაქები უბანკოა, გზები ურელსოა. აი შესაძლებლობანი, რომლებიც მას სწყურია. იგი მონარულია მიიღოს ისინი უომრად, მას ომი არა სურს. მისი იდეალია შემოღობოს ისინი როგორც ეკონომიურ ინტერესთა სფერო, რომლის შიგნითაც მას შეეძლება მოათავსოს თავისი კაპიტალი ეროვნული მონოპოლიის საფუძველზე.

ეს არის პროცესი, რომელიც ცხადად უნდა წარმოვიდგინოთ, თუ გვსურს მივხვდეთ შეიარაღების სიცოცხლისუნარიანობას. მაგრამ ეს პროცესი ძალიან ნაკლებად არის გათვალისწინებული ბ-ნ ნორმან ეინჯელის დოქტრინაში» (გვ. 164).

«როცა გაბატონებულია სამთა შეთანხმება, იგი ხელთ იგდებს მაროკოს და ანაწილებს სპარსეთს. როცა უპირატესობა სამთა კავშირის მხარეზე გადადის, იგი ხელთ იგდებს ტრიპოლის, უზრუნველყოფს თავის ძალაუფლებას ბოსნიაზე, წარმატებით ახორციელებს ეკონომიურ შეღწევას აზიის თურქეთში» (გვ. 167).

«ჩვენი ცივილიზაციისათვის დამახასიათებელია მიჩქმალვა დიპლომატიის კავშირისა, ერთი მხრივ, შეიარაღებასთან და, მეორე მხრივ, ფინანსებთან თავაზიანობისა და ფარისევლობის ოსტატური კოდექსის ნიღბით» (გვ. 168).

«ყველა დიდმა სახელმწიფომ, საღი აზრით უეცრად შთაგონებულმა, ხვალ რომ მიიღოს გადაწყვეტილება თავისი შეიარაღების სანახევროდ შემცირების შესახებ, ეს არ გაგვათავისუფლებდა პრესტიჟსა და ძალას შორის იმ გარდუეალი კონფლიქტის მორალური შედეგებისაგან, რომელიც მათ შორის წონასწორობის დამყარების ცდის დროს წარმოიშობა ხოლმე» (გვ. 169).

«კომიტეტის კარგი შემადგენლობა იმის ერთგვარი გარანტია იქნებოდა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკა ნამდვილად ასახავდეს ერის ნებას» (გვ. 213).

(25)

NB

(26)

(27)

«მხოლოდ მაშინ, თუ მთავარ ყურადღებას მიაპყრობს ამგვარ წინადადებებს და განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკის მუდმივი კომიტეტის შექმნას, დემოკრატიას შეეძლება იმედოვნებოდეს, რომ იგი გადამწყვეტ გავლენას მოახდენს ფაქტორებზე, რომლებიც განსაზღვრავენ მშვიდობასა და ომს, განაპირობებენ შეიარაღების ზრდას და ზღუდავენ ჩვენ შესაძლებლობებს ვემსახუროთ კაცთმოყვარეობის საქმეს მთელ მსოფლიოში» (გვ. 217).

28) NB || «1854-დან 1906 წლამდე სიტი ბოიკოტს უწევდა რუსეთს. 1906 წლის სესხი მოჰყვა ნართაულ გამოთქმებს, რომლებსაც შეიცავდა სერ ედუარდ გრეის სიტყვები, და «The Times-ის აშკარად ინსპირირებულ სტატიებს, რომლებიც წინასწარმეტყველებდნენ პოლიტიკური შეთანხმების დადებას, რაზეც მაშინ მოლაპარაკება წარმოებდა. ფინანსები და დიპლომატია ურთიერთს უწევენ სამსახურს, და თანამედროვე მსოფლიოში ისინი ერთმანეთისათვის აუცილებელი გახდნენ. დიპლომატიისათვის, რომელსაც საქმე აქვს მოვალე სახელმწიფოსთან, უდრის მხარდაჭერას წარმოადგენს შეგნება, რომ მის უკან ფაქტიურად დგას მდიდარი ქვეყნის საექსპორტო კაპიტალი, რომლის მიცემა თუ არმიცემა მას შეუძლია. რომელიმე სახელმწიფო ან სახელმწიფოთა ჯგუფი ფულის მსოფლიო ბაზარზე მონოპოლიას რომ ინარჩუნებდეს თუნდაც რამდენიმე წლის განმავლობაში და შეგნებულად იყენებდეს მას პოლიტიკური მიზნებით, იგი ბოლოს და ბოლოს თავის ნებას უკარნახებდა რუსეთს, ჩინეთს, თურქეთს და ლათინური ამერიკის რესპუბლიკებს» (გვ. 221).

29) «რუსეთს აქვს სუსტი ადგილი, რადგან იგი სწორედ ისევეა დამოკიდებული თავის რეპუტაციაზე დასავლეთის ბაზრებზე, როგორც ლათინური ამერიკის რომელიც უნდა იყოს რესპუბლიკა. თავისი სესხების მეტი ნაწილი მან საზღვარგარეთ უნდა გააერთიანოს. თავისი საკუთარი რესურსებიდან მას თავისი ქალაქების მუნიციპალურ საწარმოთა უზრუნველყოფაც კი არ შეუძლია. მისი დაუმუშავებელი ქვანახშირისა და რკინის მადაროები და ნავთობის სარეწები უცხოეთის კაპიტალით განაყოფიერებას ელიან. რომ შეკვეთლოს ერთი მომენტით წარმოვადგინოთ, თუ რა მნიშვნელობა ექნებოდა ჩვენთვის გერმანიის აზრს, ჩვენ რომ იძულებული ვყოფილიყავით ჩვენი კონსოლები გამოგვეშვა «დოიჩე ბანკის» მეშვეობით, მანჩესტერს რომ უხდებოდეს ბერლინისათვის მიმართვა თავისი

ტრამეაების ასაგები ფულისათვის, სამხრეთ უელსის ქვანახშირის შახტს რომ უხდებოდეს რომელიმე ჰამბურგელი ფინანსისტის მხრივ კარგი შეფასების მიღწევა, ზოგადად მივხედებოდით, თუ რატომ და რამდენად აქვს რუსეთის მთავრობისათვის მნიშვნელობა ინგლისელი ხალხის კარგ აზრს. კრედიტი საჩოთირო საქმეა. სანამ ინგლისელი ინვესტორები რუსეთს თვლიდნენ ან მტრულ, თვითონ ჩვენთვის საშიშ იმპერიად, ან არამტკიცე ავტოკრატიად, რომელსაც რევოლუცია ემუქრება, რუსი ფინანსისტები ამაოდ მიმართავდნენ თავიანთი წინადადებებით სიტის. სიფრთხილე, პატრიოტიზმი და ჰუმანურობა — ყველაფერი მათ წინააღმდეგ იყო. შეძლებული კლასების შეხედულებებმა შეცვლა იწყო, როცა კონსერვატიული პრესა დაახლოების დასაცავად გამოვიდა, როცა «The Times»-მა შეწყვიტა თვალსაჩინო ადგილის დათმობა ინფორმაციისათვის, რომელიც სახელს უტეხდა თვითმპყრობელობას, და როცა ცნობილი გახდა, რომ შეთანხმება სპარსეთის შესახებ დადების პროცესში იმყოფება. პოზიციის ამ შეცვლის მიზეზი საიდუმლო როდი იყო. სერ ედუარდ გრეიმ განაცხადა, რომ საჭიროა რუსეთის აღდგენა დიდი სახელმწიფოს მდგომარეობაში, რათა ევროპაში კვლავ შეიქმნას წონასწორობა. უბრალო ენით რომ ითქვას, ეს ნიშნავდა, რომ ჩვენი დიპლომატია ეძებდა რუსეთის მხარდაჭერას გერმანიის წინააღმდეგ, ხოლო საფრანგეთი ცდილობდა შერიგებას და მოაწყობა იგი. 1906 წ. პირველი თვეები კრიზისული მომენტი იყო რუსეთის ფინანსებისათვის, და მოხდა ისე, რომ ეს დაემთხვა კრიზისულ მომენტს მისი კონსტიტუციის განვითარებაში. იმ მომენტში, როცა იგი ცდილობდა დასავლეთ ევროპაში მიეღო ასმილიონიანი სესხი, პირველი სათათბიროს არჩევნები უნდა მომხდარიყო. კონსტიტუცია ჯერ კიდევ ფარატირა ქალაქი იყო. ყველაფერი დამოკიდებული იყო სათათბიროს უნარზე განმტკიცებულებოდა, თავისი კონტროლისათვის დაექვემდებარებინა ბიუროკრატია, გამხდარიყო უმაღლეს ხელისუფლებად რუსეთში. ამისათვის მას ერთი აშკარა ხერხი ჰქონდა. იგი უნდა დაუფლებოდა კონტროლს ხაზინაზე, ეს კი იმ მომენტში ნიშნავდა კონტროლს უცხოეთის ამ სესხზე. სესხი მანამდე რომ ყოფილიყო დადებული, სანამ იგი შეიკრიბებოდა, ბიუროკრატია მას სავსე სამხედრო ხაზინით შეხვდებოდა. რამდენიმე თვის ან კვირის განმავლობაში ევროპის საზოგადოებრივი აზრი პოტენციურად რუსეთის ბედის ბატონ-პატრონი იყო. იგი აშკარად აცხადებდა, რომ სიმპათიით ეკიდებოდა კონსტიტუციურ მოძრაობას და შესაძლებლობა ჰქონდა ეს

(30)

(31)

- 32) სიმპათია ქმედითი გაეხადა. რუსი ლიბერალები (კადეტები) სოციალისტებთან ერთად მოითხოვდნენ, რომ სესხის მიცემა სათათბიროს თანხმობით ყოფილიყო განპირობებული. ეს გამოიწვევდა ვადის გადიდებას ორი ან სამი თვით, მაგრამ პარლამენტის უმრავლესობას შესაძლებლობას მისცემდა ეკარნახათავისი პირობები მეფისათვის, რომელიც უკვე ნანობდა, რომ დათმობებზე წავიდა. როგორც კი მოიპოვედნენ გამანადგურებელ გამარჯვებას არჩევნებში, ლიბერალებსა და სოციალისტებს შეეძლოთ ეთქვათ მეფის მინისტრებისათვის: «ჩვენს უკან დგას რუსეთი და ჩვენს უკან დგას ევროპა. თქვენი ხაზინა ცარიელია, თქვენი კრედიტი ამოწურულია. თუ სცნობთ, რომ ჩვენ პასუხისმგებელი მთავრობის სრული უფლებები გვაქვს, ჩვენ დაუამტკიცებთ თქვენს გადასახადებს და მოგცემთ თქვენი სესხის სანქციას. თუ უარს გვეტყვიან ჩვენს უფლებებზე, დარწმუნებული ვართ, რომ ვერც ლონდონში, ვერც პარიზში თქვენ ვერ იშოვნით ფულს თქვენი შევიწროებების დასაფინანსებლად». მაგრამ დიდი სესხი რეალიზებულ იქნა პარიზსა და ლონდონში უკვე 1906 წ. მარტში, და მაისში, როცა სათათბირო შეიკრიბა, იგი პირისპირ აღმოჩნდა მთავრობასთან, რომელსაც აღარაფრისა ეშინოდა რუსეთის მხრივ და მეტს არაფერს მოელოდა ევროპის მხრივ. ევროპამ შესაძლებლობა მისცა მას შეენახა თავისი კაზაკები. ორი თაობის მანძილზე ვუქვეტავდით მეფეებს ფულის ბაზარს და გაეხსენით იგი სამი თვით ადრე, ვიდრე საჭირო იყო. ეს სამი თვე რომ მოგვეცადა, როგორც ამას რუსეთის ლიბერალური პრესა გვთხოვდა, პროგრესული პარტიები, ალბათ, გაიმარჯვებდნენ-კაზაკებს ცოტა რამის გაკეთება შეუძლიათ, თუ მათ უკან ფინანსისტი არა დგას. მაგრამ ვერავითარი პარლამენტი ეფექტურად ვერ ისარგებლებს ბიუჯეტის ტრადიციული იარაღით, თუ უცხოეთის ბანკებმა უკვე წინასწარ დააკმაყოფილეს დესპოტის საჭიროებანი. გადაწყვეტა ამ შემთხვევაში ლონდონზე იყო დამოკიდებული. პარიზის ბანკებმა, რომლებსაც აწუხებდა რუსეთის მერყევი ქაოსის მხარდაჭერის ტვირთი, ამ სესხის მხარდაჭერის პირობად დააყენეს, რომ ინგლისის ბანკებს მონაწილეობა მიეღოთ ამ მომგებიან ტვირთში. ინგლისის ბანკებზე დამოკიდებული იყო მტკიცედ მოეთხოვათ ვადის ხანმოკლე გადადება, რომელიც საჭირო იყო სათათბიროს სანქციის მისაღებად. შეიძლება ითქვას. რომ «საქმე საქმეა»; არ შეიძლება იმის იმედი გვქონდეს, რომ ბანკირი, როდესაც მას სესხის დაბანდებისათვის დიდ კომისიას სთავაზობენ, აწონ-დაწონის
- 33) პარიზსა და ლონდონში უკვე 1906 წ. მარტში, და მაისში, როცა სათათბირო შეიკრიბა, იგი პირისპირ აღმოჩნდა მთავრობასთან, რომელსაც აღარაფრისა ეშინოდა რუსეთის მხრივ და მეტს არაფერს მოელოდა ევროპის მხრივ. ევროპამ შესაძლებლობა მისცა მას შეენახა თავისი კაზაკები. ორი თაობის მანძილზე ვუქვეტავდით მეფეებს ფულის ბაზარს და გაეხსენით იგი სამი თვით ადრე, ვიდრე საჭირო იყო. ეს სამი თვე რომ მოგვეცადა, როგორც ამას რუსეთის ლიბერალური პრესა გვთხოვდა, პროგრესული პარტიები, ალბათ, გაიმარჯვებდნენ-კაზაკებს ცოტა რამის გაკეთება შეუძლიათ, თუ მათ უკან ფინანსისტი არა დგას. მაგრამ ვერავითარი პარლამენტი ეფექტურად ვერ ისარგებლებს ბიუჯეტის ტრადიციული იარაღით, თუ უცხოეთის ბანკებმა უკვე წინასწარ დააკმაყოფილეს დესპოტის საჭიროებანი. გადაწყვეტა ამ შემთხვევაში ლონდონზე იყო დამოკიდებული. პარიზის ბანკებმა, რომლებსაც აწუხებდა რუსეთის მერყევი ქაოსის მხარდაჭერის ტვირთი, ამ სესხის მხარდაჭერის პირობად დააყენეს, რომ ინგლისის ბანკებს მონაწილეობა მიეღოთ ამ მომგებიან ტვირთში. ინგლისის ბანკებზე დამოკიდებული იყო მტკიცედ მოეთხოვათ ვადის ხანმოკლე გადადება, რომელიც საჭირო იყო სათათბიროს სანქციის მისაღებად. შეიძლება ითქვას. რომ «საქმე საქმეა»; არ შეიძლება იმის იმედი გვქონდეს, რომ ბანკირი, როდესაც მას სესხის დაბანდებისათვის დიდ კომისიას სთავაზობენ, აწონ-დაწონის
- 34) ლეობა მიეღოთ ამ მომგებიან ტვირთში. ინგლისის ბანკებზე დამოკიდებული იყო მტკიცედ მოეთხოვათ ვადის ხანმოკლე გადადება, რომელიც საჭირო იყო სათათბიროს სანქციის მისაღებად. შეიძლება ითქვას. რომ «საქმე საქმეა»; არ შეიძლება იმის იმედი გვქონდეს, რომ ბანკირი, როდესაც მას სესხის დაბანდებისათვის დიდ კომისიას სთავაზობენ, აწონ-დაწონის

ყველა შედეგს, რაც მის მოქმედებას შეიძლება მოჰყვეს უცხო ხალხის თავისუფლებისათვის» (გვ. 225—228).

«ყველა ჩვენი მოსყიდვით მაინც ვერ ვიყიდეთ რუსეთის ერთგულება და ხელი ვერ შევუშალეთ რუსეთს ეკეკლუცა ჩვენს გერმანელ მეტოქესთან. ყველა შესაძლებლობა კი ხომ ჩვენს ხელთ იყო. გერმანიას ბევრი რამის გაკეთება შეუძლია რუსეთისათვის, მაგრამ იგი მას ფულს ვერ ასესხებს. ჩვენ რომ დაგვეყენებინა პირობები, სანამ სესხს მივცემდით, და რომ თუნდაც შეგვეჩერებინა ოქროს დენა, შეგვეძლო მოგვეპოვებინა ერთგვარი კონტრაოლი რუსეთის პოლიტიკაზე. საფრანგეთს რომ ჩვენთვის მხარი დაეჭირა (ჩვენ კი დავიმსახურეთ მისი მხარდაჭერა მაროკოს კრიზისის დროს), შეიძლებოდა რუსეთისათვის გვეთქვა: «სანამ სპარსეთი არ იქნება ევაკუირებული, ფული არ იქნება». ბოლოს და ბოლოს, სპარსეთი რუსეთისათვის ფუფუნებაა; ფული კი — აუცილებლობა» (229).

«ვერობა მიმართავდა ან თავს ისე აჩვენებდა, რომ მიმართავდა ერთგვარ ღონისძიებებს, რომლებიც ნაკლებ ქმედითი იყო, რათა ხელი შეეშალა იმისათვის, რომ ეფეთქა ბალკანეთის ომებს. ეს ღონისძიებები უშედეგო გამოდგა, რადგან გულწრფელი არ იყო. როგორც ახლა ვიცით, რუსეთი არათუ არ ესწრაფოდა ომის თავიდან აცილებას, არამედ ნამდვილად მოაწყო იგი, ხელმძღვანელობდა რა ბალკანეთის ლიგის შექმნას. სწორედ იმ მომენტში. როცა იგი შეუერთდა სახელმწიფოთა კონცერტს და განაცხადა, რომ არც ერთ მოკავშირეს ნება არ მიეცემა შეინარჩუნოს დაპყრობილი ტერიტორია, მან თავისი ბეჭედი დაასვა ხელშეკრულებას გაყოფის შესახებ და იკისრა არბიტრის პოსტი ტერიტორიის გაყოფის დროს. სწორედ ასეთი ორპირობა ხდის არანამდვილს სახელმწიფოთა ყოველგვარ კონცერტებს. ყველა ეს ომი შეიძლებოდა თავიდან აცილებული ყოფილიყო, საფრანგეთის ბანკებს აკრძალული რომ ჰქონოდათ მეომართა დაფინანსება. მაგრამ ეს მათთვის არ აუკრძალავთ, რადგან რუსეთს სხვანაირად უნდოდა» (გვ. 230—231).

«მეორე მხრივ, სისტემა, რომელიც ცნობილია პეონაჟის სახელწოდებით, გავრცელებულია მთელ ლათინურ ამერიკაში, და კაპიტალი, რომლის დახმარებოაც იგი მოქმედებს, — ხშირად უცხოეთისაა, ხოლო ზოგჯერ ინგლისისა. ეს წარმოადგენს წესს მექსიკასა და ბრაზილიაში და, შესაძლოა, სამხრეთ ამერიკის ყველა უფრო ჩამორჩენილ რესპუბლიკაში. მსხვერ-

- პლი, ჩვეულებრივ მკვიდრი მცხოვრები, მაგრამ ზოგჯერ თეთრკანიანი ან მულატი, ვალის გამო დამოკიდებული ხდება პლანტატორზე ან ვაჭარზე და მოვალეებისა და კრედიტორების შესახებ ლათინური ამერიკის კანონების მიხედვით, რომლებმაც არ იცაან Truck Acts *. ფაქტიურად ხდება მისი მონა, მანამ, სანამ ვალს არ გადაიხდის. მაგრამ ვალის გადახდა არა-
- 37) სოდეს არ ხდება; დავთრებს აწარმოებს პლანტატორი. ვალის ამ გამჟღავნებელ ფიქციის საფარით წარმოებს მონების ყიდვა-გაყიდვა, ისპაბა მთელი სოფლები, მიწათმფლობელ გლეხებს ყმების დონემდე აქვეითებენ; მთელ ტომებს გაასახლებენ ხოლმე შორეულ რაიონებში, სადაც მათ ჩაგრავენ. ბავშვებს ყიდულობენ და ყიდიან, ახალგაზრდა ქალები პროფესიულ პროსტიტუციამდე მიჰყავთ. ყოველგვარ ეს ლათინური ამერიკის ცივილიზაციის ტიპური გამოხატულებაა. მაგრამ უცხოეთის კაპიტალი, რომელიც ამ ქვეყნებში აღწევს, ეგუება გარემოს და მეჩიკაში ისევე იქცევა, როგორც შინ. შედარებით დუნე, არაუფექტური ექსპლოატაციას, რასაც ზარმაცი ესპანელი მემამულე იყენებს, იგი აქცევს აქტიურ, ფართოდ მომცველ სისტემად, რაც ისეთი სისასტრკითა და ისეთი მასშტაბებით ხორციელდება, რომლებიც დიდად სჭარბობს ამ ქვეყნის ჩვეულებებს. ეს ისეთი სანახაობა როდია, რომელსაც ევროპის
- 38) დემოკრატიას შეუძლია გულგრილად და გულხელდაკრეფილმა უცქიროს. მექსიკის ან ბრაზილიის ხალხს საკუთარი კაპიტალისტური სისტემა რომ შეეჭმნა, როგორც არ უნდა ყოფილიყო მისი გაჭირვება, ცხადია, რომ პროცესი მისი საკუთარი ბუნებრივი დინებისათვის უნდა მიგვენდო. წმინდა მექსიკურ ჭირს მექსიკელებმა თვითონ უნდა უწყალონ. მაგრამ ევროპელი ფინანსისტი ჩვენი არსენალიდან აღებული რესურსებით შეიარაღებული გამოდის და დაპყრობათა და ექსპლოატაციის გზაზე მიემართება ჩვენი ალმის მფარველობით და ჩვენი პრესტიჟის გამოყენებით» (გვ. 236—237).
- «რაიონები, რომელთა მიმართ სადავოა, უნდა მიეცეთ სანქცია⁹⁶ თუ არა, მაინც საკმაოდ მნიშვნელოვანი იქნებიან და შეიცავენ რუსეთს, თურქეთს, ჩინეთს, სპარსეთს, პორტუგალიის კოლონიებს და ლათინური ამერიკის მეტ ნაწილს» (გვ. 242—243).
- 39) «თუ ავიღებთ იმ თანხას, რომლითაც ინგლისმა და გერმანიამ გააღიღეს თავიანთი შეიარაღება XX საუკუნეში, შეიძლებოდა

* — დებულება ხელფასის ნატურით გადახდის შესახებ. რ ე დ.

მატება უხეშად დაახლოებით ასე გაგვენაწილებინა: 50% ან რამდენადმე ნაკლები იმ საკითხის მოსაგვარებლად, თუ ვინ გაუწევს ექსპლოატაციას მაროკოს; 25% ან მეტი ბაღდადამდე და უფრო შორს რკინიგზის გაყვანის პრივილეგიასათვის; 25% ან მეტი მომავლას იმ საკითხებს გადასაჭრელად, რომლებიც გადაუჭრელი რჩება, — აფრიკაში პორტუგალიის კოლონიების ბედი და ჩინეთის ბედი. მეორე, გავლენის სფეროების გამიჯვნა თითქმის გარდუვალად საბედისწერო აღმოჩნდება ხოლმე იმ ქვეყნის ეროვნული არსებობისათვის, რომელაც გაიყვეს, და იმდენადვე გარდუვალად ზრდის იმპერიალისტური სახელმწიფოს ვალდებულებათა მძიმე ტვირთს. სპარსეთი ამ მდგომარეობის მკაფიო ილუსტრაციას იძლევა. სერ ედუარდ გრეის აშკარად არა სურს დაუშვას, რომ მოვლენათა მსვლელობით იგი იძულებული აღმოჩნდეს იკისროს რაიმე პირდაპირი პასუხისმგებლობა ბრიტანეთის სფეროს მართვისათვის. მისი გადაწყვეტილება ქების ღირსია, მაგრამ რუსეთს შეუძლია რა (40) წუთისაც უნდა გააქარწყლოს ეს გადაწყვეტილება» (გვ. 246—247).

«ჩვენს საკუთარ პრეტენზიებს ლომის ულუფაზე, ე. ი. იანძის ხეობაზე, არც ერთი სხვა სახელმწიფო არ ცნობს, და ფრიად საეჭვოა, კიდევ უჭერს თუ არა მათ მხარს საგარეო საქმეთა სამინისტრო» (გვ. 248).

«ეს შეესაბამება მთელი იმ კლასის ინტერესებს, რომელსაც კაპიტალი გააქვს საზღვარგარეთ. მაგრამ სიგიჟე იქნებოდა უგულვებელგვყოფ ან შეგვემცირებინა მრეწველობის უშუალო ინტერესი. ეს არის ინტერესი, რომელსაც ღრმად აქვს გადგმული ფესვები პოლიტიკურ წრეებში, და, როგორც მისტერ მიულინერის საქმეები გვიჩვენებს, ეს განსაკუთრებით გამძლე და ენერგიული ინტერესია. თუ პოლიტიკური ცხოვრება კვლავაც იმავე ხაზით განვითარდება, ხვალისდელი დღის უდიდესი (41) სქანდალი იქნება იმის აღმოჩენა, რომ ლიბერალური პარტიის ფონდები დაბანდებული იყო არა მარკონის საწარმოებში, არამედ კრუპის ქარხნებში» (გვ. 257—258).

«რა შემზარავი თეორიაა, თითქოს ინგლისსა და რუსეთს უფლება აქვთ განაგებდნენ სპარსული ხალხს ბედს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ დიდი მატერიალური — პოლიტიკური, სტრატეგიული და სავაჭრო — ინტერესები აქვთ სპარსეთში» (გვ. 290).

«რა თქმა უნდა, სიგიჟე იქნებოდა ვევეიქრნა, რომ კონცერტის (დიდ სახელმწიფოთა) უზენაესობას ამ პრინციპის აღი-
43. ვ. ი. ლენინი, ტ. 39.

რება თითქოს ერთბაშად შექმნის ჰარმონიას და გამოიწვევს შეიარაღების შემცირებას. მაგრამ იგი დაუყოვნებლივ გამოიწვევდა შემდეგ შედეგებს: იგი შექმნიდა მორალურ ნორმას ცივილიზებული სამყაროს შეგნებისათვის; იგი მოგვცემდა

42) ობიექტურ კრიტერიუმს ყოველი პოლიტიკის ლოიალობის გამოცდისათვის, ხოლო რაც მთავარია — იგი შექმნიდა საერთო ნიადაგს, რომელზეც შეძლებდა ერთმანეთს შეთანხმებოდა მშვიდობის მომხრე ყველა მხარე. იგი გამოიწვევდა ევროპის დაძაბულობის თანდათან შენელებას, არსებული კავშირების თანდათან შესუსტებას და დროთა მსვლელობაში შექმნიდა ისეთ ატმოსფეროს, რომელშიც შესაძლებელი იქნებოდა განხილვის საგანი მაინც გამხდარიყო წინადადება შეიარაღების შემცირების შესახებ, ხოლო იქნებ ევროპის საერთო საკითხების გადასაჭრელად თავისუფალი ფედერალური საბჭოს შექმნის გეგმაც» (გვ. 293).

«კლასობრივი ეგოიზმის თვალსაზრისით კაპიტალისტთა კლასს შეიარაღება სავსებით რაციონალურ რამედ ეჩვენება; მეტოქეობა შეიარაღების ზრდაში საკმაოდ დასაბუთებულია, და ძალთა წონასწორობისათვის ბრძოლა თანამედროვე ფინანსური სისტემის ფაზად და გამოხატულებად წარმოუდგენიათ» (გვ. 310).

43) «ადამიანებს როდი სურთ სჯეროდეთ, რომ სახელმწიფოთა გამყოფი ინტერესები თავისი არსით მდაბალი და ანგარებიითია. ჩვენ მათ დიდი, განყენებული სიტყვებით ვალამაზებთ; ჩვენ აღვადგენთ გმირულ დროებათა ხსოვნას. ჩვენ მანამდე ვთამაშობთ ძალთა წონასწორობის ლეგენდარული მემკვიდრეობით, სანამ ჩვენს თავს არ ჩავაგონებთ, რომ ჩვენი ოჯახური კერა საფრთხეშია და რომ ჩვენს რჯულსა და თავისუფლებას საშიშროება ემუქრება. მაგრამ ძველი სამყაროს ეს შიში იმდენადვე ნაკლებად რეალურია ჩვენს დროს, როგორც მალბოროს ან ველინგტონის მოჩვენებანი. ახლა სახელმწიფოები იბრძვიან სრულიადაც არა იმისათვის, რაც სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვანია, არა იმისათვის, რაც ჩვენს კერას, ჩვენს ყოველდღიურ არსებობას ეხება. მასების რომანტიკული სენტიმენტალობა ხელსაყრელია მმართველი კლასის თაღლითური რეალიზმისათვის» (გვ. 315—316).

რვეული
«მარქსიზმისა და იმპერიალიზმის შესახებ»

შ ი ნ ა ა რ ს ი

- 1) მარქსის მიწერ-მოწერა ენგელსთან
- 2) რვეულები მარქსიზმისა და იმპერიალიზმის შესახებ⁸⁷
 - 1) «ახალი მასალები კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის ბიოგრაფიისათვის». ფრ. მერინგისა 1—11
 - 2) «ინგლისის ექსპანსია» ჯ. რ. სილისა 15—26
 - 3) «გერმანიის კოლონიური და მსოფლიო პოლიტიკის შესახებ» პაულ დენისა 27—46

მერინგი. «ახალი მასალები მარქსისა და ენგელსის ბიოგრაფიისათვის»

ფ. მერინგი. «ახალი მასალები კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ბიოგრაფიისათვის». «Die Neue Zeit», გამოცემის 25-ე წელი (1907).

«მარქსის პოლიტიკა მე ძირეულად ყალბად მიმაჩნია. იტალიას რომ აქეზებს დაუყოვნებლივ გაწყვიტოს კავშირი ავსტრიასთან, ამით იგი მხოლოდ და მხოლოდ ავსტრიის ინტერესებისათვის მოქმედებს. მეორე მხრივ, იგი ივიწყებს, რომ უნდა მიემართა გლეხებისათვის, იტალიის ამ საუკუნეობით ჩაგრული ნაწილისათვის და, ამას რომ ივიწყებს, ამით ახალ დასაყრდენს უმზადებს კონტრევოლუციას. ბ-ნი მარქსი იცნობს მხოლოდ ქალაქებს მათი ლიბერალური თავადაზნაურობითა და «ვანათლებული მოქალაქეებით». მატერიალური მოთხოვნილებანი იტალიის სოფლის მოსახლეობისა, რომელსაც მთელი სასიცოცხლო ძალები გამოსწოვეს და რომელიც, ისევე როგორც ირლანდიის გლეხობა, სისტემატურად მიჰყავდათ სრულ გამოფიტვამდე და დაჩლუნგებამდე, რა თქმა უნდა, მეტისმეტად მდაბიურია მისი კონსოპოლიტურ-ნეოკათოლიკურ-იდეო-

ლოგიური მანიფესტების მაღალფარდოვანი ფრაზეოლოგიისათვის. მაგრამ უეჭველია, დიდი გამბედაობაა საჭირო, რომ ბურჟუაზიასა და თავდაზნაურობას განუცხადო, რომ პირველი ნაბიჯი იტალიის დამოუკიდებლობისაკენ მდგომარეობს გლეხების სრულ განთავსუფლებაში და იჯარის საზიარო სისტემის

2) გადაქცევაში თავისუფალ ბურჟუაზიულ საკუთრებად. მაძინის, როგორც ჩანს, მიაჩნია, რომ ათ მილიონ ფრანკ სესხს უფრო რევოლუციური მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ათეული მილიონი ადამიანის თავის მხარეზე მოზიდვას. მე ძალიან ვშიშობ, რომ კრიტიკულ მომენტში ავსტრიის მთავრობა თვითონ შეეცვლის მიწათმფლობელობის ფორმას იტალიაში და გაატარებს რეფორმას «გალიციურად» (გვ. 58—59)*.

- «რაც შემეხება მე, მე არ მეკუთვნის არც თანამედროვე საზოგადოებაში კლასების არსებობისა და არც მათ შორის ბრძოლის აღმოჩენის დამსახურება. ბურჟუაზიულმა ისტორიკოსებმა დიდი ხნით ჩემზე ადრე გადმოსცეს კლასთა ამ ბრძოლის ისტორიული განვითარება, ხოლო ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა — კლასების ეკონომიური ანატომია. ის ახალი, რაც მე გავაკეთე, იმის დამტკიცებაში მდგომარეობდა: 1) რომ კლასების არსებობა დაკავშირებულია წარმოების განვითარების მხოლოდ განსაზღვრულ ისტორიულ ფაზებთან; 2) რომ კლასთა ბრძოლას აუცილებლად მიეყვანართ პროლეტარიატის დიქტატურამდე; 3) რომ თვით ეს დიქტატურა წარმოადგენს მხოლოდ გადასვლას ყოველგვარი კლასების მოსპობისა და უკლასო საზოგადოებისაკენ*. ჰეინცენის მსგავსი უმეცარი ბრძევები, რომლებიც კლასების არა მარტო ბრძოლას, არამედ მათს არსებობასაც კი უარყოფენ, ამით მხოლოდ იმას ამტკიცებენ, რომ ისინი, მიუხედავად მთელი თავიანთი სისხლმომწყურებული და ვითომც კაცთმოყვარული ყმუილისა, საზოგადოებრივ პირობებს, რომლებსაც ბურჟუაზიის ბატონობა ემყარება, ისტორიის უკანასკნელ პროდუქტად, უკადურეს ზღვრად თვლიან, ამტკიცებენ, რომ ისინი მხოლოდ ლაქიები არიან ბურჟუაზიისა. და ეს ლაქიობა მით უფრო საზიზლარია, რაც უფრო ნაკლებად
- 3)

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 25, გვ. 505—506, რეღ.

გაეგებათ ამ რევგენებს თვით ბურჟუაზიული წყობილების სიღიადეც და წარმავალი აუცილებლობაც» (გვ. 164—165) ⁸⁹.

«1870 წ. 1 იანვარს გენერალურმა საბჭომ გამოუშვა ფრანგულ ენაზე ჩემ მიერ შედგენილი კონფიდენციალური ცირკულარი (ინგლისზე ზეგავლენის მოსახდენად მხოლოდ ფრანგული ვახეთები გამოდგება და არა გერმანული) მუშათა კლასის განთავისუფლებასთან ირლანდიის ეროვნული ბრძოლის კავშირის შესახებ და, მაშასადამე, იმ პოზიციის შესახებ, რომელიც უნდა დაიკავოს საერთაშორისო ამხანაგობამ ირლანდიის საკითხის მიმართ. აქ მოკლედ გადმოგცემთ მთავარ პუნქტებს.

ირლანდია ინგლისის მიწათმფლობელი არისტოკრატის ციტადელია. ამ ქვეყნის ექსპლოატაცია არა მარტო მთავარი წყაროა მისი მატერიალური სიმდიდრისა. იგი მის უდიდეს მორალურ ძალას შეადგენს. ინგლისის არისტოკრატია ფაქტიურად განასახიერებს ინგლისის ბატონობას ირლანდიაზე. ამიტომ ირლანდია უმნიშვნელოვანესი საშუალებებია, რომლის დახმარებითაც ინგლისის არისტოკრატია ინარჩუნებს თავის ბატონობას თვით ინგლისში.

მეორე მხრივ, ხვალ რომ ინგლისის არმიამ და პოლიციამ ირლანდია დატოვონ, ირლანდიაში მაშინვე ავტორული რევოლუცია დაიწყება. მაგრამ ირლანდიაში ინგლისის არისტოკრატის დაცემა განაპირობებს და აუცილებელ შედეგად გამოიწვევს მის დაცემას ინგლისში. ამით შეიქმნებოდა წინასწარი პირობები პროლეტარული რევოლუციისა ინგლისში. ვინაიდან ირლანდიაში მიწის საკითხი დღემდე განსაკუთრებული ფორმას სოციალური საკითხისა, ვინაიდან იგი ირლანდიელი ხალხის უდიდესი უმრავლესობის არსებობის საკითხს, სიკვდილსიციოცხლის საკითხს წარმოადგენს და ამავდროს განუყოფელია ეროვნული საკითხისაგან, ამიტომ ირლანდიაში ინგლისის მიწათმფლობელი არისტოკრატის მოსპობა უსაზღვროდ უფრო ადვილი ოპერაციაა, ვიდრე თვით ინგლისში, რომ აღარაფერი ვთქვათ ირლანდიელების უფრო მგზნებარე და უფრო რევოლუციურ ხასიათზე ინგლისელებთან შედარებით.

რაც შეეხება ინგლისის ბურჟუაზიას, იგი უწინარეს ყოვლისა ინგლისელ არისტოკრატისთან ერთად იმით არის დაინტერესებული, რომ გადააქციოს მთელი ირლანდია ერთ მთლიან სამოვრად, რომელიც ინგლისის ბაზარს ხორცსა და მატყლს

- მიაწვდიდა რაც შეიძლება იაფ ფასებში. ასევე მის ინტერესს შეადგენს მამულებიდან მოიჯარეთა განდევნისა და იძულებითი ემიგრაციის გზით ირლანდიის მოსახლეობა დაიყვანოს იმდენად მცირე რიცხვამდე, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა ინგლისის კაპიტალს (საიჯარო კაპიტალს) «საიმედოდ» იმოქმედოს ამ ქვეყანაში. იგი ისევე დაინტერესებული ირლანდიის მამულების «გაწმენდით», როგორც დაინტერესებული იყო ინგლისისა და შოტლანდიის სასოფლო ოლქების გაწმენდით. გარდა ამისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის 6 000—10 000 გირვანქა სტერლინგი შემოსავალი თავის მამულში არმცხოვრები მიწათმფლობელებისა და სხვა სახის შემოსავალი, რაც ახლა ყოველწლიურად მიეძინება ირლანდიიდან ლონდონში.

მაგრამ ინგლისის ბურჟუაზიას კიდევ გაცილებით უფრო არსებითი ინტერესები აქვს ირლანდიის თანამედროვე მეურნეობაში.

ირლანდია საიჯარო ნაკვეთების მუდმივ მზარდი კონცენტრაციის მეოხებით მუდმივად აწვდის ინგლისის მუშათა ბაზარს თავის ჭარბ [მუშახელს] და ამ გზით ზეგავლენას ახდენს ინგლისის მუშათა კლასის ხელფასზე და მის მატერიალურ და მორალურ მდგომარეობაზე.

და ბოლოს, ყველაზე დიდმნიშვნელოვანი! ინგლისის

NB ყველა ინდუსტრიულ და კომერციულ ცენტრში არის ახლა მუშათა კლასი, რომელიც გაყოფილია ორ მტრულ ბანაკად: ინგლისის პროლეტარიატი და ირლანდიის პროლეტარიატი. ჩვეულებრივს ინგლისელ მუშას სძულს ირლანდიელი მუშა როგორც კონკურენტი, რომელიც დაბლა სწევს მისი ცხოვრების საშუალო დონეს.

8)

NB იგი მის მიმართ **გაბატონებული ერის წევრად** გრძნობს თავს და სწორედ ამიტომ თავისი არისტოკრატიებისა და კაპიტალისტების ხელში იარაღი ხდება ირლანდიის წინააღმდეგ და ამით განამტკიცებს მათს გაბატონობას თვითონ თავის თავზევე. იგი ირლანდიელი მუშის წინააღმდეგ რელიგიური, სოციალური და ეროვნული ცრურწმენით არის გამსჭვალული. იგი მას დაახლოებით ისევე ეპყრობა, როგორც ღარიბი თეთრები (poor whites) ზანგებს ეპყრობიან ამერიკის კავშირის ყოფილ მონათმფლობელურ შტატებში. ირლანდიელიც ამასვე უბრუნებს მას პროცენტებით. იგი ინგლისელ მუშაში ხედავს ერთსა და იმავე დროს ირ-

ლანდიაში ინგლისის ბატონობის თანამონაწი-
ლესა და ბრმა იარაღს. |||

ამ ანტაგონიზმს ხელოვნურად უწყობენ ხელს და აძ-
ლიერებენ პრესა, საექლესიო ქადაგებანი, იუ-
მორისტული ყუჩნალები, მოკლედ რომ
ვთქვათ, ყველა საშუალებანი, რომლებიც გაბატონ-
ებულნი კლასების განკარგულებაშია. ამ ანტაგონ-
იზმშია საიდუმლოება ინგლისის მუშათა კლასის
უძლურებისა, მისი ორგანიზებულობის
მიუხედავად. მასშივეა იმის საიდუმლოება, რომ
ძალაუფლებას ინარჩუნებს კაპიტალისტური კლასი. ამ
უკანასკნელს სავსებით შეგნებულნი აქვს ეს. |||

(9)

მაგრამ ბოროტება ამით არ შემოიფარგლება. ის ოკეანეს
გაღმაც გადადის. ანტაგონიზმი ინგლისელებსა და ირ-
ლანდიელებს შორის ფარული საფუძველია კონფ-
ლიქტისა შეერთებულ შტატებსა და ინგლისს
შორის. იგი შეუძლებელს ხდის ამ ორივე ქვეყ-
ნის მუშათა კლასებს შორის რაიმე სერიოზულ
და გულწრფელ თანამშრომლობას. იგი შესაძ-
ლებლობას აძლევს ორივე ქვეყნის მთავრობებს ყოველთვის,
როცა კი მოისურვებენ, სიმკვეთრე დაუკარგონ სოციალურ
კონფლიქტს ორივე ქვეყნის ერთმანეთზე წასისიანების და
საჭირო შემთხვევაში მათ შორის ომის გზით. |||

(10)

ინგლისი, როგორც კაპიტალის მეტროპოლია, როგორც
დღემდე მსოფლიო ბაზარზე გაბატონებული სახელმწიფო,
ჯერჯერობით ყველაზე დიდმნიშვნელოვანი
ქვეყანაა მუშათა რევოლუციისათვის, თანაც
ერთადერთი ქვეყანა, რომელშიც ამ რევოლუციის მატერია-
ლურმა პირობებმა სიმწიფის გარკვეულ ხარისხს მიაღწია. |||
ამიტომ მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის უმნიშვნელო-
ვანესი მიზანია სოციალური რევოლუციის დაჩქარება ინგ-
ლისში. ხოლო ამის ერთადერთი საშუალება ის არის, რომ
ირლანდია დამოუკიდებელი გახადოს.

NB

ამიტომ ინტერნაციონალმა ამოცანად უნდა დაისახოს—ყველ-
გან პირველ პლანზე აყენებდეს კონფლიქტს ინგ-
ლისსა და ირლანდიას შორის და ყველგან აშკარად უჭერ-
დეს მხარს ირლანდიას. ლონდონში ცენტრალური
საბჭოს სპეციალური ამოცანაა გააღვიძოს ინგლისის მუშათა
კლასში იმის შეგნება, რომ ირლანდიის ეროვნული გან-
თავის უფლება სამართლიანობისა და კაცთმოყ-

(11)

ვარეობის აბსტრაქტულ საკითხი კი არ არის მისთვის, არამედ მისი საკუთარი სოციალური განთავისუფლების პირველი პირობაა» (გვ. 226—228)¹⁰⁰.

«ხელფასის დამწვევი უცხოელი მუშებისა და მათდამი ინტერნაციონალის დამოკიდებულების შესახებ»

- 12) «ხელფასის დამწვევი უცხოელი მუშებისა და მათდამი ინტერნაციონალის დამოკიდებულების შესახებ». «Die Neue Zeit», გამოცემის 25-ე წელი (1907).

«იწვევს რა ინგლისის პროფკავშირებს მონაწილეობა მიიღონ ბრიუსელის 1868 წლის კონგრესში, გენერალური საბჭო აცხადებს:

«ამხანაგობის ძირითადი პრინციპია ის, რომ შრომის პროლეტეტი მუშას უნდა ეკუთვნოდეს, რომ საზოგადოების საფუძველი შრომის ძეგლი უნდა იყოს და რომ ყველა ქვეყნის მუშებმა უნდა უკუაგდონ წვრილმანი მეტოქეობა და ეროვნული ანტიპათიები იმისათვის, რომ აწარმოონ გაერთიანებული ბრძოლა კაპიტალის წინააღმდეგ. შრომას სამშობლო არააქვს. მუშებს ყველგან უხდებათ ბრძოლა ერთსა და იმავე ბოროტებასთან. კაპიტალი წარმოადგენს მხოლოდ დაგროვებულ შრომას. რატომ უნდა იყოს მუშა თავისი საკუთარი პროლეტის მონა? მეტისმეტად დიდი ხანია კაპიტალისტები სარგებლობას იღებდნენ შრომის შეილთა ეროვნული განცალკევებისაგან. უცხოეთის კონკურენცია ყოველთვის წარმოადგენს მოხერხებულ საბაბს ხელფასის შემცირებისათვის» (გვ. 511—512).

13)

«ინგლისელი კაპიტალისტების განუწყვეტილად ღმუილს იმის შესახებ, რომ კონტინენტის მუშების უფრო გრძელი სამუშაო დღე და ნაკლები ხელფასი გარდუვალს ხდის ხელფასის შემცირებას, შეიძლება წარმატებით დაეუპირდაპიროთ მხოლოდ მისწრაფება — აყვანილიქნას ერთ და იმავე დონე მდებარე სამუშაო დღე და ხელფასი მთელ ევროპაში*. ეს მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის ერთ-ერთი ამოცანაა» (გვ. 512).

* ხაზგასმა «Die Neue Zeit»-ისაა. რ ე დ.

«ფაქტიურად ეს ერთადერთი საშუალებაა უზრუნველყოფილ იქნას საერთაშორისო პროლეტარიატის იმ ნაწილის მონაპოვარნი, რომელიც უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაშია. ეს მონაპოვარნი ყოველთვის საფრთხეში იქნებიან, სანამ მათ მხოლოდ უმცირესობა იყენებს, და საფრთხე მით უფრო მეტი იქნება, რაც უფრო დაბალია პროლეტარული მასის უმრავლესობის დონე ამ უმცირესობასთან შედარებით. ეს ეხება მასებს როგორც ერთი ქვეყნის შიგნით, ისე მთელი მსოფლიო ბაზრის ფარგლებში. მოწინავე პროლეტარიატს შეუძლია თავი დაიცვას, თუ სოლიდარობას გაუწევს, მხარს დაუჭერს უკან დარჩენილთ და არ განცალკევდება მათგან, არ გაემიჯნება, არ ჩაახშობს მათ. იქ, სადაც ბეცი ამქრულობის გავლენით პროლეტარიატი უკანასკნელ მეთოდს იყენებს, ეს მეთოდი აღრე თუ გვიან კრახს განაცდის და პროლეტარიატის განმათავისუფლებელი ბრძოლის შესუსტების ერთ-ერთი უაღრესად საშიში საშუალება ხდება» (გვ. 512).

(14

NB

სილი. «ინგლისის ექსპანსია»

«ინგლისის ექსპანსია» გ. რ. სილი, მეცნიერებათა (15¹⁰² მაგისტრი.

«ევროპის მეთვრამეტე და მეჩვიდმეტე საუკუნეთა სახელმწიფოების ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი, რომელსაც ხშირად ივიწყებენ, ის ფაქტია, რომ ევროპის ხუთი სახელმწიფოდან თვითუფს თავისი იმპერია ჰქონდა ახალ მსოფლიოში. მეჩვიდმეტე საუკუნემდე ასეთი მდგომარეობა მხოლოდ იწყებდა ჩამოყალიბებას, მეთვრამეტე საუკუნის შემდეგ კი მან უკვე შეწყვიტა არსებობა. უდიდესი, განუზომელი შედეგები აღმოჩენისა, რომელიც კოლუმბმა მოახდინა, მეტად ნელა ვითარდებოდა; გავიდა მთელი მეთექვსმეტე საუკუნე, სანამ ევროპის ამ ერების უმრავლესობა ამოძრავდა და დაიწყო პრეტენზიების განცხადება თავის წილზე ახალ მსოფლიოში. ამ საუკუნის ბოლომდე არ არსებობდა დამოუკიდებელი პოლანდია, ამიტომ მით უმეტეს არ შეიძლებოდა ყოფილიყო დიდი პოლანდიაც. ინგლისი და საფრანგეთი აგრეთვე ჯერ კიდევ არ გამხდარიყვნენ ამ საუკუნეში კოლონიების მფლო-

(16

ბელნი. მართალია, საფრანგეთი უკვე ფიქრობდა დაეარსებინა კოლონია ჩრდილოეთ ამერიკაში, რასაც დღემდე მოწმობს კაროლინის სახელწოდება, რომელიც საფრანგეთის მეფის კარლ IX-ის სახელისაგან წარმოსდგება, მაგრამ მეზობელი ფლორიდის ესპანელებმა ხელი შეუშალეს ამას. რამდენიმე ხნის შემდეგ სერ ვალტერ რალეის კოლონია, რომელიც დაარსებული იყო იმავე ადგილის ახლოს, სულ გაქრა, ისე რომ კვალიც არ დაუტოვებია. ამრიგად, თითქმის მთელი ამ საუკუნის განმავლობაში ახალი მსოფლიო რჩებოდა იმ ორი სახელმწიფოს ბატონობაში, რომლებმაც ყველაზე მეტი გააკეთეს მისი აღმოჩენისათვის, სახელდობრ — ესპანეთისა და პორტუგალიის ბატონობაში, ამასთან ესპანეთს თვალი მიპყრობილი ჰქონდა უმთავრესად ამერიკაზე, პორტუგალიას კი — აზიაზე, ვიდრე 1580 წელს ორივე ეს სახელმწიფო არ შეერთდა კავშირად, რომელმაც სამოც წელიწადს იარსება. შვიდწლეულში 1595-დან 1602 წლამდე თავიანთი იმპერიის შექმნისათვის ფართო ბრძოლას იწყებენ ჰოლანდიელები, მათ მიჰყვებიან საფრანგეთი

17) და ინგლისი მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ წლებში, ე. ი. ჩვენი მეფის იაკობ I-ის მეფობაში.

მეცხრამეტე საუკუნეში ახალ მსოფლიოში ამ ხუთი სახელმწიფოს მეტოქეობა შეწყდა. იგი შეწყდა ორი მიზეზით: დამოუკიდებლობისათვის მთელი რიგი ომების გამო, რომელთა მეოხებით ოკეანესგალმა კოლონიები გამოეყვნენ მეტროპოლიებს, და ინგლისის კოლონიურ დაპყრობათა გამო. მე უკვე აწერე ასი წლის ომი, რომლის დროსაც დიდი საფრანგეთის სამფლობელოები დიდმა ბრიტანეთმა შთანთქმა. დიდმა ჰოლანდიამაც მნიშვნელოვანი დანაკლისი განიცადა, დაკარგა კეთილი იმედის კონცხი და დემერარა, რომლებიც ინგლისელებმა წართვეს. მაგრამ ახლაც კიდევ შეიძლება ლაპარაკი დიდი ჰოლანდიის არსებობაზე, თუ მხედველობაში მივიღებთ შესანიშნავ კოლონია იავას სულ ცოტა ცხრამეტე მილიონი მოსახლეობით. დიდი ესპანეთისა და დიდი პორტუგალიის დაცემა მოხდა ჩვენს საუკუნეში იმ ადამიანთა თვალწინ, რომლებიც 18) ჯერ კიდევ ცხოვრობენ ჩვენს შორის. თუ მოვლენებს შევაფასებთ არა იმდენად იმ აგზნების მიხედვით, რომელსაც ისინი ამჟამად იწვევენ, რამდენადაც მათი უეჭველი შედეგების მიხედვით, ამ მოვლენას უნდა ვუწოდოთ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა დედამიწის ისტორიაში, ვინაიდან იგი თითქმის მთელი სამხრეთი და ცენტრალური ამერიკის დამოუკიდებელი ცხოვრების დასაწყისი გახდა. ეს უმთავრესად ამ საუკუნის ოციან წლებში მოხდა და მთელ რიგ აჯანყებათა

შედგე იყო; მათს წარმოშობას რომ ვაკვირდებით, ვარკვევთ, რომ ისინი იმ დარტყმის შედეგი იყო, რომელიც ესპანეთსა და პორტუგალიას ნაპოლეონის შეჭრამ მიაყენა, ვინაიდან ნაპოლეონის საკმეთა ფაქტიურად ერთ-ერთი მთავარი, თუ არა უმთავრესი, შედეგი იყო დიდი ესპანეთისა და დიდი პორტუგალიის დაცემა და სამხრეთ ამერიკის დამოუკიდებლობის დამყარება. (19)

შედგე ყველა ამ დიდი გადატრიალებისა, რომლებზეც, როგორც მე ვფიქრობ, თქვენგან ცოტა ვინმემ თუ იცის რაიმე, ის არის, რომ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები, გარდა ინგლისისა, ძირითადად გამოწყვეტილ იქნენ ახალ მსოფლიოს. რა თქმა უნდა, ეს სწორია მხოლოდ დაახლოებით. ესპანეთს ჰერ კიდევ ფლობს კუბასა და პუერტო-რიკოს, პორტუგალიას ვრცელი სამფლობელოები აქვს აფრიკაში, საფრანგეთი შეუდგა ახალი იმპერიის შექმნას ჩრდილოეთ აფრიკაში. მიუხედავად ამისა ამ ოთხი სახელმწიფოს საერთაშორისო მდგომარეობამ არსებითი ცვლილება განიცადა. ისინი ისევ გახდნენ უმთავრესად წმინდა ევროპული სახელმწიფოები, როგორც იყვნენ მანამდე, სანამ კოლუმბმა ატლანტის ოკეანე გადასცურა» (გვ. 62—64).

«ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ მეჩვიდმეტე, ხოლო კიდევ უფრო მეტად მეთრამეტე საუკუნე წარმოადგენენ პერიოდს, როცა ახალი მსოფლიო თავისებურად დაკავშირებული იყო ევროპის სისტემის ხუთ დასავლეთ სახელმწიფოსთან. ეს კავშირი განაპირობებს და განსაზღვრავს ამ პერიოდში მომხდარ ყველა ომსა და ხელშეკრულებას, ევროპის მთელ საერთაშორისო ურთიერთობას. წინა ლექციაში მე აღვნიშნე, რომ ის ბრძოლა, რომელიც ამ საუკუნეებში ინგლისსა და საფრანგეთს შორის წარმოებდა, არ შეიძლება გავიგოთ, თუ მხედველობაში გვქენება მხოლოდ ევროპა, ვინაიდან, მეომარი მხარეები არსებითად ორი მსოფლიო სახელმწიფო — დიდი ბრიტანეთი და დიდი საფრანგეთი იყო. ახლა მე აღვნიშნავ, რომ ამგვარად ამ პერიოდის ისტორიაში ჰოლანდიის, პორტუგალიის, ესპანეთის ნაცვლად ჩვენ ყოველთვის უნდა ვკითხულობდეთ დიდ ჰოლანდიას, დიდ პორტუგალიას და დიდ ესპანეთს. აგრეთვე აღვნიშნავ, რომ ეს ვითარება ახლა გაქრა: ესპანეთის იმპერიას, ხოლო ძირითადად პორტუგალიისა და ჰოლანდიის იმპერიებსაც იგივე ბედი ეწია, რაც საფრანგეთისას. მაგრამ დიდი ბრიტანეთი კვლავ არსებობს. ამრიგად, ჩვენ ვიწყებთ ამ იმპერიის ისტორიულ წარმოშობისა და ხასიათის გაგებას» (გვ. 64—65). (21)

«ორ დიდ ომში ჩვენ ჩათრეულ ვიქენით უმთავრესად ჩვენი კოლონიების გამო, და კავშირის საბოლოოდ გაწყვეტა გამოწვეული იყო არა იმდენად ინგლისის ზეგავლენით კოლონიებზე, რამდენადაც კოლონიების ზეგავლენით ინგლისზე. თუ ჩვენ მათ გადასახადებით ვბეგრავდით, ამას ვაკეთებდით მხოლოდ იმ ვალები გადსახდელად, რომლებიც ჩვენ ამავე კოლონიებისათვის ავიღეთ, და, ბუნებრივია, ჩვენს გულისტკენას იწვევდა ის, რომ ჩვენ თვითონ დავებმარეთ ჩვენს კოლონიებს»
 22) გაძლონ უჩვენოდ, რაკი მათი ინტერესებისათვის მოვსპეთ ფრანგების ბატონობა ჩრდილოეთ ამერიკაში» (გვ. 75).

«შუა საუკუნეებში ინგლისი ეკონომიკის თვალსაზრისით ჩამორჩენილი ქვეყანა უფრო იყო, ვიდრე მოწინავე. უმთავრესი სავაჭრო ქვეყნები მას ალბათ ზემოდან დასცქეროდნენ. როგორც ახლა ინგლისი უყურებს ისეთი სახელმწიფოების ინგლისურთან შედარებით მოძველებულ სავაჭრო და საბანკო სისტემებს, როგორც არიან გერმანია და თვით საფრანგეთიც, ალბათ ასევე უყურებდნენ ინგლისს შუა საუკუნეების იტალიელები. ქალაქის ცხოვრების, ფართო საქმიანი ურთიერთობისა და მარჯვე კომერციული ოპერაციების პირობებში ისინი ინგლისს, ისევე როგორც საფრანგეთს, ალბათ იმ ძველი ყიდილის მიწათმოქმედი და ფეოდალური ქვეყნების რიცხვს აკუთვნებდნენ, რომლებიც იმ დროების იდეათა მთავარი ნაკადის გარეთ იდგნენ» (გვ. 96—97).

«დასავლეთ ევროპის ხუთ საზღვაო სახელმწიფოს შორის მეტოქეობა ახალი მსოფლიოს გამო — აი ფორმულა, რომელიც აჯამებს მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეების მეტწილ ისტორიულ მოვლენებს. ეს ერთ-ერთი ის განზოგადებაა, რომელიც ჩვენს გაგებას უსხლტება, სანამ მხოლოდ ცალკეულ სახელმწიფოთა ისტორიას ვსწავლობთ» (გვ. 108).

24) «როგორ დავიპყარით ჩვენ ინდოეთი? განა ეს დაპყრობა პირდაპირი შედეგი არ იყო ჩვენი ვაჭრობისა ინდოეთთან? მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მაგალითია იმ თვალსაჩინო მაგალითების რიგში, რომლებითაც დასურათებულია ინგლისის მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეთა ისტორიაში გაბატონებული კანონი, კანონი ომსა და ვაჭრობას შორის მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულებსა, რის შედეგადაც მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ვაჭრობა ბუნებრივად იწვევს ომს, ხოლო ომი ასაზრდოებს ვაჭრობას. მე უკვე აღვნიშნე, რომ მეთვრამეტე საუკუნის ომები შეუდარებლად უფრო დიდი და მძიმე იყო, ვიდრე შუა საუკუნეთა ომები. დიდი იყო მეჩვიდმეტე საუ-

კუნის ომებიც, თუმცა არა იმდენად. სწორედ ამ ეპოქაში ინგლისი სულ უფრო და უფრო იქცეოდა სავაჭრო ქვეყნად. და ამ პერიოდში, რაც უფრო ვითარდებოდა მისი ვაჭრობა, (25) ინგლისი სულ უფრო ომისმოყვარული ხდებოდა» (გვ. 120).
 «და მართლაც, ადვილი როდია გაამართლო იმათი ქცევა, ვინც დიდი ბრიტანეთი შექმნა» (გვ. 145).

«იქნებ იკითხოთ, შეგვიძლია თუ არა ჩვენ მოველოდეთ ან გვსურდეს, რომ იგი აყვავებული იყოს, თუ იგი დანაშაულის საფუძველზე წარმოიშვა. მაგრამ ღმერთი, რომელიც ისტორიაში მოგვევლინა, ჩვეულებრივ ასე როდი განსჯის. ისტორიაში ჩვენ ვერ ვხედავთ, რომ ერთი თაობის უკანონო დაპყრობანი უთუოდ ან თუნდაც დაახლოებით დაეკარგოს შემდეგ თაობას» (გვ. 146).

«მეჩვიდმეტე საუკუნეში თანდათან იზრდებოდა როგორც (26) თვით ჩვენი კოლონიური იმპერია, ისე მონათვაჭრობაში ჩვენი მონაწილეობაც. უტრეხტის ხელშეკრულებით ეს მონაწილეობა თითქოს დამტკიცებულ იქნა და იგი «ინგლისის პოლიტიკის მთავარი ობიექტი» გახდა (ეს ფრაზა ამოღებულია მ-რ ლეკისაგან. იხ. «ინგლისის ისტორია მეთვრამეტე საუკუნეში», II, გვ. 13). ვშიშობ, რომ ამ დროიდან ჩვენ მონათვაჭრობაში წამყვანი ადვილი დავიკავეთ და სხვა ხალხებზე უფრო მეტად მოვიცხეთ ჩირქი მის საზარელ და საზიზღარ მხეცობათა გამო» (გვ. 148).

«მე უკვე ვთქვი, რომ თანამედროვე საზყაროში მანძილმა მნიშვნელოვან წილად დაკარგა თავისი მნიშვნელობა და რომ ზოგიერთი ნაშანი მოწმობს ისეთი ეპოქის დადგომას, როცა სახელმწიფოები გაცილებით უფრო ფართო იქნებან, ვიდრე ისინი დღემდე იყვნენ» (გვ. 308).

3. დენი. «გერმანიის კოლონიური და მსოფლიო პოლიტიკის შესახებ»

«გერმანიის კოლონიური და მსოფლიო პოლიტიკის შესახებ» პაულ დენისა. (მეორე გამოცემა, ბერლინი, 1907.) (27)

«ამჟამად ზღვებში დაცურავს, სამხედრო გემები რომ არ ვიანგარიშოთ, დაახლოებით 40 000 დიდი სავაჭრო ხომალდი, ორთქლის და იალქნიანი გემი, 25 მილიონი სარეგისტრო ტონა ნეტო-ტონაჟისა და 61 მილიონი 1 000-კილოგრამიანი ტონა ტვირთამწეობისა» (გვ. 37).

«იგი * ინგლისელებს ყოველწლიურად აძლევს 180 მლნ. მარკაზე მეტს, გერმანელებს (რომლებსაც 220 თევზსაჭერი გემი აქვთ), — დაახლოებით 25, ხოლო ფრანგებს 10 მლნ. მარკას» (გვ. 39).

- 28) «გერმანიის საზღვაო სანაპიროს მხოლოდ 1 270 კილომეტრი სიგრძე აქვს, რაც მისი სახმელეთო საზღვრების მხოლოდ მეოთხედს შეადგენს, მაშინ როცა საფრანგეთს ზღვა სამი მხრიდან აკრავს და სანაპირო ზოლის საერთო სიგრძე 3 175 კილომეტრია» (გვ. 41).

«პროფესორ ეკერტის გამოანგარიშებით მის წიგნში «რეინის-ოლქისა და ვესტფალიის საზღვაო ინტერესები» (1906), გერმანიის მთელი საზღვაო იმპორტის ერთი მესამედი და მისი საერთო საზღვაო ექსპორტის ერთ მეხუთედზე მნიშვნელოვნად მეტი ჰოლანდიისა და ბელგიის ნავსადგურებზე გადის» (გვ. 42).

- 29) «1907 წლის დამდეგს სააგენტო «ვერიტასში» ითვლებოდა 14 656 გემი 18.8 მლნ. სარეგისტრო ტონით. აქედან ინგლისის წილად მოდიოდა 6 249 გემი 9.8 მლნ. ტონით, გერმანიის წილად — 1 351 2.1-ით, ჩრდილოეთ ამერიკის შტატებისა — 885 1.2-ით და საფრანგეთის წილად — 586 0.7 მლნ. ტონით. იალქნიანი გემების საერთო რიცხვიდან 26 579-დან 7.8 მლნ. სარეგისტრო ტონით ინგლისის წილად მოდიოდა ყველაზე მეტი, სახელდობრ 6 338 გემი 1.8 მლნ. ტონით. შემდეგ მოდიოდნენ ჩრდილოეთ ამერიკის შტატები — 3 695 გემი 1.5 მლნ. ტონით, საფრანგეთი — 1 356 და გერმანია — 991 0.5 მილიონი ტონით თვითიული. 1882-დან 1905 წლამდე პერიოდში ინგლისის ნაოსნობის ტონაჟი სუეცის არხზე გაიზარდა 103%-ით, გერმანიისა კი 1 561%-ით!» (გვ. 43).

- 30) «ამერიკის სტატისტიკის მონაცემებით, დედამიწაზე ქვანახშირის ბუდობების საერთო ფართობი დაახლოებით 1 500 000 კვადრატულ კილომეტრს შეადგენს. აქედან 520 000 მოდის ჩინეთზე, 500 000 — ჩრდილოეთ ამერიკის შტატებზე, 169 000 — კანადაზე, 91 000 — ბრიტანეთის ინდოეთზე, 62 000 — ახალ სამხრეთ უელსზე, 52 000 — რუსეთზე, 31 000 — ინგლისზე, 14 000 — ესპანეთზე, 13 000 — იაპონიაზე, 5 400 — საფრანგეთზე, 4 600 თვითიულზე — ავსტრიაზე, უნგრეთსა და გერმანიაზე და 1 300 — ბელგიაზე. მათი ექსპლოატაცია დამოკიდებულია ქვანახშირის ბუდობების სიღრმეზე, ხარისხსა და ადგილმდებარეობაზე.

* თევზის ქერა გაშლილ ზღვაში. რ ე ლ.

*
*

«ინგლისის ცნობებით, 1905 წელს სულ მოპოვებულ იქნა დაახლოებით 6 მილიარდი მარკის ღირებულების 840 მილიონ ტონამდე ქვანახშირი.

ქვანახშირის მსოფლიო მოპოვება 1905 წელს (31

	მლნ. ტონა	% საერთო რაოდენობის მიმართ	ერთ სულ მოსახლეზე
ჩრდილოეთ ამერიკის შტატები	350.8	41%	41/4 ტონა
დიდი ბრიტანეთი	236.1	28	51/2
გერმანია	119.3	14	2
საფრანგეთი	34.8	4	1
ბელგია	21.5	2.7	3
რუსეთი	19	2.3	
იაპონია	10	1.2	
ბრიტანეთის ინდოეთი	8.4	3.5	
კანადა	7.8		
ავსტრალია	9.8		
ბრიტანეთის სამხრეთი აფრიკა	3.6		
დანარჩენი ქვეყნები	19.1		
	840		

საერთო მოპოვების 83% მოდიოდა სამ ქვეყანაზე, რომლებშიც ქვანახშირის მოპოვება ყველაზე დიდია» (გვ. 46—47).

«1883-დან 1903 წლამდე პერიოდში ქვანახშირის მოხმარება გადიდა ინგლისში 24%-ით, გერმანიაში — 102%-ით, ჩრდილოეთ ამერიკის შტატებში — 129%-ით» (გვ. 47).

«ინგლისის საექსპორტო ქვანახშირის თითქმის სამი მეოთხედი მიდის კონტინენტურ ევროპაში და ხმელთაშუა ზღვის რაიონში» (გვ. 55).

«თავიანთ სამხედრო საზღვაო ბაზებში, რომელთა რიცხვი 40-ს აღწევს და რომლებიც მსოფლიოს ყველა ნაწილშია განლაგებული, ინგლისელებმა მოაწყვეს ქვანახშირის დიდი საწყობები» (გვ. 56—57).

«იქ შექმნილი მარაგი მილიონობით ტონას შეადგენს. პეცმა ერთხელ ქვანახშირის ამ საწყობებს ზღვაზე ინგლისის ბატონობის ნიშანსვეტები უწოდა» (გვ. 57).

«თუ სხვადასხვა ქვეყნებში ინგლისის ქვანახშირის ექსპორტის ფრაქტის ღირებულებას საშუალოდ ტონაზე მხოლოდ 5 მარკას ვიანგარიშებთ, 1906 წელს 58 მლნ. ტონის საერთო გატანისას ეს ინგლისის ნაოსნობისათვის შეადგენს დაახლოებით 300 მლნ. მარკა წლიურ შემოსავალს ფრაქტებისაგან» (გვ. 57—58).

34) «სამწუხაროდ, დღემდე კიდევ არ მოხერხდა ინგლისის ქვანახშირის განდევნა ჩრდილოეთი ზღვისა და ბალტიის ზღვის რაიონებიდან. ბერლინიც კი მისთვის საჭირო ქვანახშირის ერთ მეექვსედს (მეტ წილად კოქსს) ჯერ კიდევ ინგლისიდან იღებს» (გვ. 62).

«გერმანიის მრეწველობის მძიმე მდგომარეობა ბამბით მომარაგებას საქმეში ციფრებით დაასურათა სტატის-მდივანმა ღერნბურგმა. გირვანქა ბამბის ფასის 4 პფენიგით გადიდება ბამბის მსოფლიო მოხმარებას 320 მლნ. მარკით აძვირებს. ხოლო ფასების გადიდება 1899 წლიდან მილიარდები დაჯდა! გერმანიამ 1905 წელს -1.6 მილიონი ბარდანი მოიხმარა და უკანასკნელ ხანს, იმის მიხედვით, თუ როგორ მერყეობდა ფასები ნიუ-იორკელ სპეკულანტებთან, რომლებიც ფასების აწევაზე თამაშობენ, ყოველწლიურად იხდიდა 150—200 მლნ. მარკით მეტს*, ვიდრე წინათ, ე. ი. კოლონიებისათვის თავის ყოველწლიურ ასიგნებებზე 5—7-ჯერ მეტს. ამ გადასახადს, ამ ხარკს, რომელსაც უცხოეთს უხდის, მან თავი უნდა დააღწიოს.»

იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ ბირჟაზე სპეკულაციის გავლენა, ინგლისელი ვაჭრები და მეფაბრაკეები სულ უფრო ხშირად მოგზაურობენ სამხრეთ შტატებში და ადგილზე ყიდულობენ მათთვის საჭირო ნედლეულს. ინგლისელმა მეფაბრაკეებმა მიწის დიდი ნაკვეთები შეისყიდეს ტეხასში იმისათვის, რომ თვითონ შეუღებენ იქ ბამბის მოყვანას ან იჯარით გააკენ მიწარები» (გვ. 81).

36) «შეერთებულ შტატებში თათასტრების რაოდენობა 1890 წლის 14.6 მილიონიდან გაიზარდა 23.2 მილიონამდე 1906 წელს» (გვ. 82).

«შეერთებული შტატების მოხმარება 1906 წელს შეადგენდა 4.6 მლნ. ბარდანს (ნაცვლად მხოლოდ 3.6 მლნ. ბარდანისა დიდ ბრიტანეთში და 1.6-ისა გერმანიაში). მე-19 საუკუნის 60-იანი წლებს დაჰყვება შეერთებული შტატები მოხმარდნენ თავიანთი მოსავლას 20%-ს, 80-იან წლებში—32%, 90-იან წლებში—35%, ხოლო 1900-დან—40%-მდე» (გვ. 82).

«თუ შეერთებული შტატები იძულებული აღარ იქნებიან საზღვარგარეთ ექებონ თავიანთი ბამბის მეტა ნაწილის გასაღება, მაშინ მსოფლიო ბაზრის მომარაგება ბამბით ძალის საკითხი გახდება» (გვ. 83).

* ხაზგასმა ღენისაა. რ. ე. დ.

«ბამბის ბაზარზე ბატონ-პატრონი რომ არიან, შეერთებულ (37) შტატებს გატანის ბაჟების სისტემაში თავიანთ განქარგულებაში აქვთ არაჩვეულებრივად ბასრი იარაღი ევროპის წინააღმდეგ. ევროპის სახელმწიფოებმა აუცილებლად უნდა იხსნან თავი ამ დამოკლეს მახვილისაგან. აქ ანგარიში არ უნდა გაეწიოს არავითარ მსხვერპლს. საბოლოო ანგარიშით აქ ისმება ძალის საკითხი, რომელიც, თუმცაღა, შეიძლება გადაიჭრას მშვიდობიანი მუშაობის გზით» (გვ. 87—88).

«კოლონიურა მეურნეობის კომიტეტის ინიციატივით ევროპის ბამბეულის მრეწველობის წარმომადგენლები, ნიუ-იორკის 1903 წლის ბამბის სპეკულაციის ექსცესების შემდეგ, შეიკრიბნენ საერთაშორისო კონგრესებზე 1904 წლის შუახანებში ცაუჩისში, 1905 წ. აპრილში ბრიუსელში, 1906 წ. ივნისში მანჩესტერში და 1907 წ. მაისში ვენაში კონტრწინადადებათა შესამუშავებლად» (გვ. 88).

«მებამბეობის წახალისება გერმანიის აღმით გერმანიის კოლონიურა მეურნეობისა და კოლონიური პოლიტიკის ერთერთი ყველაზე დიდმნაშენელოვანი ამოცანაა. ეს უკვე ბისმარკს ესმოდა» (გვ. 90). (38)

«კოლონიებში მებამბეობის წახალისება არა მარტო იმის პერსპექტივებს ქმნის, რომ გერმანია უზრუნველყოფილად მომარაგებულ იქნას უაღრესად საჭარო ნედლეულით, არამედ აგრეთვე ხელს უწყობს თვით კოლონიების მუდმივ აყვავებას, რომლებიც განვითარდებიან როგორც სამრეწველო ნაკეთობათა მომხმარებლები.

გერმანიის კოლონიებში მებამბეობის შექმნისაგან სოციალ-დემოკრატი კალვერი სარგებლობას მოელის გერმანელი მუშებისთვისაც... («Sozialistische Monatshefte». 1907, მე-3 ნაკვეთი) (გვ. 96—97).

«ინგლისს აფრიკაში აქვს 18 369 კილომეტრი რკინიგზები, (39) საფრანგეთს — 5 657, გერმანიას — 1 398, პორტუგალიას — 1 173, იტალიას — 115 და კონგოს სახელმწიფოს — 642 კილომეტრი» (გვ. 104).

«თუ მხედველობაში არ მივიღებთ სოციალ-დემოკრატ ნიპილისტებს, კოლონიების მოწინააღმდეგენი, მიუხედავად მთელი თავიანთი ვარაუდებისა, მაინც გაურბოდნენ საბოლოო დასკვნებს, — ისინი ვერ ბედავდნენ განეცხადებინათ, რომ სამფლობელოები, რომლებიც ესოდენ მნიშვნელოვან ასიგნობებს მოითხოვენ, არაფითარ ღირებულებას არ წარმოადგენენ; მათ თავი შეიკავეს იმის მოთხოვნებისაგან, რომ ხელი აგველო ამ

სამფლობელოებზე, და, ასე რომ მოიქცნენ, ისინი გონივრულად მოიქცნენ. ვინაიდან ეს საბოლოო დასკვნა ცხადყოფს მთელი მათი პოზიციის არასისწორეს» (გვ. 113—114).

- 40) «განსაკუთრებით გააფთრებული კამპანია გერმანიის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატიის აგიტატორებმა და პრესის ორგანოებმა გააჩაღეს 1907 წლის არჩევნების წინ; ცენტრალური ორგანო ამ პოლიტიკის შესახებ ამბობდა, რომ იგი «ისწრაფვის დააარსოს გერმანიის ახალი მონათმფლობელური სახელმწიფო გერმანიის პროლეტარიატის ქონებისა და სისხლის ფასად». მათი აზრით, საჭირო იყო «სასტიკად დაემარცხებინათ» ეს პოლიტიკა.

მიუხედავად ყოველივე ამისა, სოციალ-დემოკრატიულ ბანაკშიც გაისმოდა ზმები კოლონიების სასარგებლოდ და უარყოფდნენ იმათ შეხედულებებს, ვინც სჯერდებოდა აგდებულ დამოკიდებულებას გერმანიის კოლონიებისადმი, როგორც ქვიშის უდაბნოებისადმი, რომლებიც არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენენ.

გერმანიის კოლონიური პოლიტიკის მიმართ მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულების წინააღმდეგ 1907 წ. დამდგეს «Sozialistische Monatshefte»-ში გამოვიდა ყოფილი სოციალ-დემოკრატი დეპუტატი კალვერი» (გვ. 121).

- 41) «ტ. კალვერმა ცხადყო, რომ მას ესმის მსოფლიო სიტუაციის მოთხოვნები, როცა 1907 წ. მარტში Sozialistische Monatshefte»-ში გამოვიდა გერმანიის ფლოტისადმი სოციალ-დემოკრატიული პარტიული ხელმძღვანელობის მტრული დამოკიდებულების წინააღმდეგ» (გვ. 130).

«კალვერი სრული საფუძვლით დასცინის იმ ამხანაგებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ შეიძლება უცბად გაადიდო ხელფასი გერმანიაში ინგლისის ან ჩრდილოეთ ამერიკის დონემდე, ისე რომ წინასწარ არ იზრუნო თავის პოზიციებზე კოლონიებში და მსოფლიო ბაზარზე» (გვ. 132).

1905/6 წ. იმპორტი სპარსეთში დაახლოებით 140 მლნ. მარკას შეადგენდა. აქედან რუსეთის წილად მოდიოდა 70, ინგლისის — 30, ბრიტანეთის ინდოეთის — 16, საფრანგეთის — 8, ავსტრია-უნგრეთის — 5, ხოლო გერმანიის წილად — ძლივს 3 მლნ. მარკა» (გვ. 148—149).

- 42) «თუ ბალდაის გზის მშენებლობა როდისმე მართლაც დაითავრდა გერმანელების ხელმძღვანელობით, ინგლისელებმა კი ხელი არ აიღეს თავიანთ დასახულ მიზნებზე, დღემდე იზოლირებული სპარსეთის ყურე შეიძლება მსოფლიო პოლიტიკური ქარიშხლების კერა გახდეს» (გვ. 158).

«დაინტერესებული სახელმწიფოები, უწინარეს ყოვლისა ინგლისი, მაგრამ აგრეთვე საფრანგეთი, ჰოლანდია და დანიაც, მონროს დოქტრინის შედეგად ანგარიშს უნდა უწევდნენ უახლოეს მომავალში თავიანთი კოლონიების დაკარგვის შესაძლებლობას» (გვ. 196).

«ნახევრადოფიციალური მონაცემებით, მიწის საკუთრებაში, მრეწველობაში, რკინიგზებსა და ვაჭრობაში დაბანდებული გერმანიის კაპიტალები 1904 წ. დამლევისათვის ამერიკაში შეადგენდა 5-დან 6-მდე მლრდ. მარკას და მარტო ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში 2.8-დან 3.4-მდე მლრდ. მარკას» (გვ. 229).

«ვარაუდობენ, რომ კანადის მიწებსა და ფაბრიკებში დაბანდებულია 2 მლრდ. მარკაზე მეტი კაპიტალი შეერთებული შტატებიდან. (43

1907 წ. შუახანების ნახევრადოფიციალური ანგარიშებით შეერთებული შტატების კაპიტალი მექსიკაში დაახლოებით 3¹/₂ — 4 მლრდ. მარკას აღწევდა» (გვ. 232—233).

«თანახმად დადებული შეთანხმებისა ევროპისა და ამერიკის ორმა უდიდესმა ელექტროკომპანიამ, ბერლინის «ალგემანე ელექტრიციტეტს გეზელშაფტმა» და ნიუ-იორკის «ჯენერალ ელექტრიკ კომპანიმ» მსოფლიო ბაზარი ინტერესთა ორ სფეროდ გაიყო. ამასთან ამერიკის კომპანიამ მიაღწია იმას, რომ მხოლოდ და მხოლოდ მის სამოქმედო სფეროდ მას მიეცა აგრეთვე ცენტრალური და სამხრეთი ამერიკა» (გვ. 249).

«იქ, სადაც შემოდებულ იქნა საუბირატესო ბაჟები, ისინი (44
საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ გაედევნა უცხოეთის ვაჭრობა. ასეთი საუბირატესო ბაჟები ყოველთვის შემოდებულ იქნება მხოლოდ ძალიან შეზღუდული ოდენობით. ვინაიდან ადგილობრივი ინტერესები, განსაკუთრებით ინტერესები მრეწველობის იმ დარგებისა, რომლებიც ვითარდება, მაგრამ აგრეთვე დაცემის გზაზე მდგომი სოფლის მეურნეობის ინტერესებიც მოითხოვს არა მარტო ერთგვარ დაცვას, არამედ ყველა უცხო მონოპოლიის მოშორებასაც. ეს წინააღმდეგობა იმდენად დიდია, რომ იგი შესაძლებლობას არ მისცემს ბრიტანეთის საიმპერიო და პანამერიკულ საბაჟო პრეტენზიების მომხრეთ მიაღწიონ თავიანთ საბოლოო მიზანს — შექმნან საესეებით კარჩაკეტილი საბაჟო კავშირი.

ორივე ამ წარმონაქმნს ეწინააღმდეგებოდა ახალი დროების მთელი მსოფლიო სამეურნეო განვითარება ამ განვითარების დამახასიათებელი მისწრაფებით საერთაშორისო გაცვლის გა- (45

ფართოებისაკენ ხელოვნური ბარიერების გადალახვის საფუძველზე, მისთვის დამახასიათებელი მოთხოვნილებით ძლიერი სახელმწიფოებით მოიპოვონ თავისუფალი სარბიელი სამეურნეო საქმიანობისათვის საკუთარი საზღვრების ფარგლებს გარეთ და მსოფლიოს თავიანთი ნაწილის ფარგლებს გარეთაც კი. ფაქტიურად დიდი თვითკმარი საბაჟო კავშირების წარმოქმნისაკენ მისწრაფებებმა უკანა პლანზე გადაიწია» (გვ. 254—255).

- «ბრძოლა ევროპაში ჰეგემონიისათვის არ არსებობს. თუ მას ინგლისი გამოიწვევს, სრულებითაც არ არის სავალდებულო, რომ მას ომი მოჰყვეს. მანამდე, სანამ ძალაუფლება ლიბერალური სამინისტროს ხელშია, მშვიდობა უზრუნველყოფილია, ვინაიდან ყველაზე ერთგულ მის მომხრეებს ეკუთვნის საყოველთაო მშვიდობის სწორედ ის ინგლისელი მეგობრები, რომლებიც სრულებითაც არ არიან გამსჭვალულნი გერმანიისადმი მტრობით» (გვ. 329).
-

რვეული
«იშპარიალიზმი»

შინაარსი

ი მ პ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი ¹⁰²

რევენტლოვი [1—4]

კაუცკი. «სოციალიზმი და კოლონიური პოლიტიკა» [21—22]

ენგელსი (წერილი 12. IX. 1882)—გვ. 23—25 კვადფლიგი
[27—40 და 17—20]

რევენტლოვი. «გერმანიის საბარეო პოლიტიკა

1888 — 1913»

«გერმანიის საგარეო პოლიტიკა 1888—1913» გრაფ (1)
ერნსტ რევენტლოვისა. ბერლინი, 1914.

მეთხე განყოფილება.

«1903-დან ამას მიემატა, როგორც საშიში აჩრდილი, თურ-
ქეთის მიერ მიღებული გერმანული პროექტი ბალდადის რკინი-
გზისა» (გვ. 314).

«თუ რომ დაეძენთ, რომ ბალკანეთის კომიტეტის მთავარი
ამოცანა იყო შეგნებული პოლიტიკური პროპაგანდა, საჭირო
აღარ იქნება იმის მტკიცება, ინგლისის ოფიციალური პოლი-
ტიკის რა მძლავრი და თანაც უპასუხისმგებლო თანაშემწე
იყო ეს კომიტეტი, რომელიც უდიდეს ფულად სახსრებს ატ-
რიალებდა» (გვ. 314).

«სანჯაყის რკინიგზასა და მომავალ ბალდადის რკინიგზას
შორის იდეათა კავშირი აშკარა იყო» (გვ. 317).

«1906 წელს «Revue Slave», რომელიც პარიზში გამოდის, (2)
წერდა, რომ ცენტრალური ევროპისა და ბალკანეთის ყველა
სლავი უნდა ესწრაფოდეს რუსეთთან, უნგრეთთან, რუმინეთ-
თან და საბერძნეთთან დიდი საბაჟო კავშირის შექმნას. «ყველა
ეს ხალხი უეჭველად გაცილებით მეტს მოიგებდა ასეთი კავ-

შირით, ვიდრე გერმანიასთან საბაჟო კავშირით... რუსეთის აღორძინებული ძლიერება შეუტყუველი ვახდება, თუ მთელი სლავური ელემენტები, მისი მორალური მფარველობით გაერთიანებულნი, უბეში ძალის ყოველი პოლიტიკის მტკიცე მოწინააღმდეგეებად გამოვლენ» (გვ. 318).

«მოძრაობას თავიდანვე აჩნდა ძლიერი ებრაული დადი, რამაც იგი ევროპის კაპიტალის ცენტრებთან დააკავშირა. ახალგაზრდა თურქთა მოძრაობა ყოველთვის იღებდა დახმარებას საფრანგეთიდან და ინგლისიდან, განსაკუთრებით ბალკანეთის კომიტეტის მეშვეობით» (გვ. 319).

- 3) «1908 წ. 19 ივლისს მეფე ელჰარდ VII ეწვია რუსეთის მეფეს და შეხვდა მას რეველის რეიდზე. ეს შეხვედრა ინგლის-რუსეთის დაახლოების გვირგვინი იყო და სენსაცია მოახდინა ევროპის პოლიტიკურ სამყაროში» (გვ. 319).

«ყოველ შემთხვევაში საჭიროა მეხსიერებაში აღვიდგინოთ შემოფოთების იმ განწყობილების სურათი, რომელიც 1906—1908 წლებში მეფობდა საერთოდ ევროპაში, განსაკუთრებით კა გერმანიაში. ჩვენ ვხედავდით, თუ 1906—1907 წლებში როგორ სულ უფრო და უფრო დასტურდებოდა რეალური პოლიტიკური მნიშვნელობა მოსწრებული სიტყვისა გერმანიის «გარემოცვის» შესახებ, რომელიც მეფე ელჰარდის შეთანხმებათა პოლიტიკით ხორციელდებოდა. ხმელთაშუა ზღვის შეთანხმებებით და რუსეთთან შეთანხმებით თითქოს რკალი იკვროდა» (გვ. 320).

«ლაპარაკი იყო თურქეთის გაყოფის შორსგამიზნულ გეგმაზე» (გვ. 322).

- 4) «ლონდონისათვის ეს სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა, ისევე როგორც პარიზისათვის» (გვ. 327).

«სავსებით უეჭველი იყო, რომ თუ გერმანია მხოლოდ პირობითად და შენიშვნებით დაუჭერს მხარს ორთა მონარქიას, ამ უკანასკნელზე უძლიერეს ზემოქმედებას მოახდენენ ანტანტის სახელმწიფოები, ე. ი. გარკვეული მომენტიდან ინგლისი და რუსეთი ეცდებიან საწინააღმდეგოს მიაღწიონ, რათა ამ ზემოქმედების გზით დაანახვონ, რომ ავსტრია-უნგრეთისათვის უმჯობესი იქნება სამთა შეთანხმებას მიემხროს; ეს თვითონ მისთვის უფრო ხელსაყრელი იქნებოდა, ვიდრე კავშირი გერმანიის იმპერიასთან» (გვ. 332).

კაუტსკი. «სოციალიზმი და კოლონიური პოლიტიკა»

კარლ კაუტსკი. «სოციალიზმი და კოლონიური პოლიტიკა». (21)
ბერლინი, 1907.

«მაგრამ საწარმოო ძალების განვითარების უძლიერესი სტიმულის ეს როლი წარმოების კაპიტალისტურმა წესმა უკვე შეასრულა. უკვე გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში კაპიტალისტურმა წარმოების წესმა მიაღწია იმ ზღვარს, რომლის შემდგომაც იგი სულ უფრო და უფრო იქცევა დაბრკოლებად საწარმოო ძალების შემდგომი განვითარებისათვის. ჯერ კიდევ არა იმ აზრით, რომ შეუძლებელს ხდის მათს რაიმე შემდგომ ზრდას; პირიქით, ასეთი ზრდა ჯერ კიდევ წარმოებს; მაგრამ უკვე იმ აზრით, რომ შესაძლებელი გახდა წარმოების წესი, რომლის დროსაც ნაყოფიერების ზრდა უფრო სწრაფად ხდებოდა, ვიდრე კაპიტალისტური წარმოების წესის დროს, რომ წარმოების კაპიტალისტური წესი თავისი თავის შენარჩუნების ინტერესებისათვის იძულებულია სულ უფრო დიდ დაბრკოლებებს უქმნიდეს ნაყოფიერების განვითარებას» (გვ. 35).

«სოციალიზმი ამჟამად უკვე გახდა ეკონომიური აუცილებლობა. მისი დადგომის ვადა მხოლოდ ძალის საკითხია. პროლეტარიატისათვის ამ ძალის შექმნა ორგანიზაციისა და აღმზრდელობითი მუშაობის გზით ახლა უფრო. ვიდრე ოდესმე, წარმოადგენს სოციალ-დემოკრატიის უმნიშვნელოვანეს ამოცანას. არა არის რა უფრო უცნაური, ვიდრე ის სოციალისტები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ამასთან ერთად ისინი კაპიტალიზმის ძლიერების შემდგომი განვითარებისთვისაც უნდა ზრუნავდნენ» (გვ. 37).

ენგელსი. 1882 წ. 12 სექტემბრის წერილი*

ფრიდრიხ ენგელსის¹ წერილი (12. IX. 1882) (23)

[«აი უკვე მეოთხედი საუკუნეა (1907—1882=25), რაც გერმანიაში დაიწყო მოძრაობა კოლონიებისათვის. მის შესწავლაზე რომ ვმუშაობდი, ერთხელ ფრიდრიხ ენგელსს ვკითხე, თუ როგორ ეკიდებოდა ინვლსიელი მუშები თავიანთ კოლონიებს.»]**

* ენგელსის წერილი (კაუტსკის წინასიტყვაობითა და ბოლოსიტყვაობით) მოთავსებულია კაუტსკის ბროშურის პოლოს (იხ. ზემოთ) დანართის სახით. რ ე დ.

** ეს აბზაცი, რომელიც წარმოადგენს კაუტსკის წინასიტყვაობას ენგელსის წერილისათვის, წაშლილია ვ. ი. ლენინის მიერ. რ ე დ.

ამაზე ენგელსმა 1882 წ. 12 სექტემბერს მიპასუხა შემდეგი:

«თქვენ მეკითხებით, რას ფიქრობენ ინგლისელი მუშები კოლონიურ პოლიტიკაზე? იმასვე, რასაც ისინი ფიქრობენ პოლიტიკაზე საერთოდ. აქ არ არის მუშათა პარტია, არცაა ნახლოდ კონსერვატიული და ლიბერალურ-რადიკალური პარტიები, მუშები კი არც შეინად სარგებლობენ მათთან ერთად ინგლისის კოლონიური მონოპოლიით და მისი მონოპოლიით მსოფლიო ბაზარზე*.

ჩემი აზრით, საკუთრივ კოლონიები, ე. ი. ის ქვეყნები, ევროპელ მცხოვრებთ რომ უჭირავთ: კანადა, კაბი, ავსტრალია, ყველა დამოუკიდებელი გახდება; პირიქით, მხოლოდ დამორჩილებული და მევიდრი მცხოვრებლებით დასახლებული ქვეყნები: ინდოეთი, ალჟირი, პოლანდის, პორტუგალიის, ესპანეთის სამფლობელოები, პროლეტარიატმა დროებით ხელთ უნდა აღოს და რაც შეიძლება მალე დამოუკიდებლობამდე მიიყვანოს. სახელდობრ როგორ გაიშლება ეს პროცესი, ამის თქმა ძნელია. შეიძლება ინდოეთმა რევოლუციამ მოახდინოს, ალბათ, მოახდენს კიდევაც, და, რადგან განთავისუფლების გზაზე დამდგარი პროლეტარიატი კოლონიურ ომებს ვერ აწარმოებს, ამიტომ საჭირო გახდება ამას შეეშერიდეთ, ამასთან, რასაკვირველია, საქმე სხვადასხვაგვარი ნგრევის გარეშე ვერ დამთავრდება. მაგრამ ასეთი რამ და ყოველი რევოლუცია ერთმანეთისაგან განუყრელია. იგივე შეიძლება მოხდეს კიდევ სხვაგანაც, მაგალითად, ალჟირსა და ეგვიპტეში, და ჩვენთვის** უეჭველია, ეს საუკეთესო რამ იქნებოდა. ჩვენ საკუთარ სახელში საკმაოდ სამუშაო გვქონება. რაკი ევროპა და ჩრდილოეთი ამერიკა რეორგანიზებული იქნებიან, ეს ისეთ კოლოსალურ ძალას და ისეთ მაგალითს მოგვცემს, რომ ნახევრად-ცივილიზებული ქვეყნები თავისთავად გამოგვეყვებიან; ამისათვის იზრუნებენ უკვე მართოდენ ეკონომიური მოთხოვნილებანი. თუ რა სოციალური და პოლიტიკური ფაზების

24)

NB

* ინ. ე. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 358. რ ე დ.
 ** ხაზგასმა კაუცკის ბროშურაში. რ ე დ.

გავლა მოუხდებათ მაშინ ამ ქვეყნებს, ვიდრე ისინი ც
სოციალისტურ ორგანიზაციას მიაღწევდნენ, ამის შე-
სახებ, ჩემი ფიქრით, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ საკ-
მოდ უქმი ჰიპოთეზები წამოვავყენოთ. ერთი რამ კი
უეჭველია: ძლევა მოსილი პროლეტარიატი
თავს ვერ მოახვევს ვერც ერთ უცხო
ერს ვერავითარ გაბედნიერებას ისე,
რომ ამით თავის საკუთარ გამარჯვებას
ძირი არ გამოუთხაროს*. რა თქმა უნდა, ეს
არავითარ შემთხვევაში არ გამოორი-
ცხავს სხვადასხვაგვარ თავდაცვითს
ომებს**.

(25)

NB

ეგვიპტეში ისტორია რუსეთის დიპლომატიამ წამოიწყო.
გლადსტონს უთმობენ ეგვიპტეს (რომელიც ჯერ კიდევ სრულ-
ლებითაც არ არის მის ხელში, და ეს კიდევაც რომ მოეხერ-
ხებინა, ეს სრულლებითაც არ ნიშნავს, რომ შეინარჩუნებდა
მას) იმისათვის, რომ რუსეთმა შეძლოს ხელში ჩაიგდოს სომ-
ხეთი, — გლადსტონის მიხედვით, ასეთი მიტაცება კვლავ
იქნებოდა ქრისტიანული ქვეყნის განთავისუფლება მაჰმადიანთა
უღლისაგან. ყოველივე დანარჩენი ამ საქმეში
მოჩვენებითია, ფარსია, საბაბია*. წარმატება ექ-
ნება თუ არა ამ წამოწყებას, მალე ვნახავთ»¹⁰³.

«წერილის დასასრული ეხება ეგვიპტის დაკავებას ინგლისე- (26)
ლების მიერ მას შემდეგ, რაც მოხდა ეგვიპტელთა აჯანყება
არაბი-ფაშის წინამძღოლობით. ამას წინათ გამოქვეყნდა ამ
საკითხზე ენგელსის 1882 წ. 9 აგვისტოს წერილი, რომელშიც
იგი გაფრთხილებას იძლევა იმის წინააღმდეგ, რომ მხოლოდ
გრძნობების მხრივ ვუდგებოდეთ ეგვიპტის ეროვნულ მოძ-
რაობას. აქედან ის დასკვნა გააგვიღეს, თითქოს ენგელსი გან-
საკუთრებული სიმპათიით შეხვდა ეგვიპტის ანექსიას ინგლ-
სელების მიერ. ჩვენ ახლა ვხედავთ, თუ რა ნაკლებად
შეესაბამება ეს სინამდვილეს»*** (გვ. 79—80).

* ხაზგასმა კალუკის ბროშურაშია. რედ.

** იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 448—449.
რედ.

*** ეს აბზატი წარმოადგენს კალუკის ბოლოსიტყვაობას ენგელსის წერი-
ლისათვის. რედ.

კვადფლიგი. «რუსეთის ექსპანსიის პოლიტიკა
1774 — 1914»

- 27) «რუსეთის ექსპანსიის პოლიტიკა 1774—1914» დ-რ ფრანც კვადფლიგისა. ბერლინი, 1914.
«ამასობაში ინგლისმა, კუვეიტის ხელშეკრულების საფუძველზე, თავისი წინააღმდეგობანი რუსეთთან თურქეთის საკითხზე მომხიბვლა და მცირე აზიაში გადაიტანა, რუსეთი ფარულად აწარმოებს მუშაობას სომხეთში, საფრანგეთი მოწადინებულია ხელში ჩაიგდოს სირია, გერმანიას კი სურს ფლობდეს ოლქს ევფრატზე. ამრიგად, თურქეთის საკითხი იქნება ევროპის ამაღლვებელი, და რუსეთის დიპლომატიამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს სამხრეთ აზიის საკითხს. აზიაში რუსეთის გიგანტური ექსპანსიის პოლიტიკა იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მისი მომავალიც ზღვებზეა; თუ რუსეთს ძლიერი და თავის მოძრაობაში თავისუფალი ფლოტი არ ეყოლა, ისე შეუძლებელია რუსეთის რაიმე აზია; მარმარილოს ზღვაზე გასასვლელს მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთის საზღვაო პოლიტიკისათვის, რომ რუსეთმა 1905 წელს კვლავ დაკარგა თავისი ხელსაყრელი პოზიცია აღმოსავლეთ აზიაში» (გვ. 96).
- 28) «აგრეთვე გაყოფის შესახებ 1907 წ. 7 აგვისტოს ხელშეკრულების შემდეგაც ზემოთ აღნიშნული პროექტები შეიძლება იყოს ისე განხორციელებულიყო, რომ ხელშეკრულებაში დადგენილი უფლებები არ დარღვეულიყო. 1907 წ. ეს ხელშეკრულება სპარსეთს ჰყოფს სამ ნაწილად: გავლენის რუსეთისა და ინგლისის სფეროებად და ორივე სახელმწიფოსათვის საერთო ზონად. ინგლისისა და რუსეთის მთავრობები იძლევიან ურთიერთ ვალდებულებას არ შეიძინონ გავლენის შესაბამის სფეროებში პოლიტიკური ან სავაჭრო ხასიათის კონცესიები და არ დაეხმარონ თავიანთ საკუთარ ქვეშევრდომებს ან მესამე სახელმწიფოთა ქვეშევრდომებს მათს შექენაში. სპარსეთის მთელი ჩრდილოეთი ნაწილი, ე. ი. კასრე — შირინ — ისფაჰან — იეზდ — კახის ხაზის ჩრდილოეთით სპარსეთ-ავღანეთ-რუსეთის საზღვრის შესაყარ წერტილამდე, ეთმობა რუსეთს, მაშინ როცა ინგლისისა იქნება გავლენა აღმოსავლეთში, ე. ი. ბენდერ-აბას — ქერმან — ბირჯენდ — გაზიკის ხაზის სამხრეთ-აღმოსავლეთით» (გვ. 134).
- 29) «ინგლის-რუსეთის პოლიტიკის დასკვნითი აქტა ჰაკი-ფაშის ინგლის-თურქეთის 1913 წ. შეთანხმება ლონდონში, რომელ-

- 18 მასალამ, რომელსაც «რკვეულები» შეიცავს, და ლენინის შენიშვნებმა ფინანსური კაპიტალისა და მთავრობის ურთიერთობის შესახებ შემდგომი ვანუთარება კპოვა წიგნში «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უპაღუსი სტადია» და ლენინის სხვა ნაშრომებში. ვ. ი. ლენინმა ცხადყო, რომ მონოპოლიებისა და ფინანსური კაპიტალის განვითარება გარდუელად იწვევს იმას, რომ სამეურნეო ცხოვრების ძაფები თავს იყრის ერთი მუქა სამრეწველო და საფინანსო მაგნატების—ფინანსური ოლიგარქიის ხელში, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებს კაპიტალიზმის ქვეყნების ეკონომიკაში; და პოლიტიკაში; მისდამი მთლიანად დაქვემდებარებულია ბურჟუაზიული მთავრობა. მონოპოლიებმა მიერ სახელმწიფო აპარატის დაქვემდებარება და გამოყენება წარმოებს მონოპოლისტურ გაერთიანებათა გამგებებში მთავრობის წარმომადგენლების, ხოლო სახელმწიფო აპარატში მონოპოლიების წარმომადგენლების შეყვანით და კაპიტალისტური ქვეყნების მთავრობის შემადგენლობაში თვით კაპიტალის მაგნატების შეყვანით, რაც დამახასიათებელი მოვლენა ხდება თანამედროვე პირობებში. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ტრუმენის მთავრობაში უმნიშვნელოვანესი პოზიციები ეჭირა მორგანის ჯგუფს; პრეზიდენტ ვიზენჰაუერის კაბინეტში ყველა ძირითადი პოსტი ეჭირათ აგრეთვე მსხვილ მონოპოლისტებს, რომლებიც ძირითად ფინანსურ ჯგუფებს წარმოადგენენ. ფინანსური კაპიტალი მთავრობის აპარატს იმისათვის იყენებს, რომ უზრუნველყოს თავისთვის მონოპოლიურად მაღალი მოგება მშრომელთა ფართო მასების ექსპლოატაციის გაძლიერების გზით, რომ ჩაანშოს მუშათა და დემოკრატიული მოძრაობა; საგარეო პოლიტიკის დარგში ფინანსური კაპიტალი მთავრობას იყენებს გასაღების ბაზრების, ნედლეულის წყაროებისა და კაპიტალის დაბანდების სფეროებისათვის საბრძოლველად, სხვა ქვეყნების დასაჯანაბლად და გასამარცხავად. —169.
- 19 მილიტარიზმის დამკველთა ლენინურ კრიტიკას, ქვეყნისათვის საზღვრად ხარჯების სარგებლობისა და ხელსაყრლობის შესახებ მათ ყალბი არგუმენტების მხილვას აქტუალური მნიშვნელობა აქვს ამჟამად. იმპერიალისტურ ქვეყნებში, უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებულ შტატებში, კაპიტალისტურა მონოპოლიები ფართოდ იყენებენ ეკონომიკის მილიტარიზაციას თავიანთი გამდიდრებისათვის; სახელმწიფო აპარატის დაქვემდებარებით ისინი თავიანთთვის უზრუნველყოფენ უდიდეს სამხედრო შეკვეთებს ხელსაყრელი პირობებით. ამასთან ეკონომიკის მილიტარიზაციისა და გამაღებელი შეიარაღების მთელ სიმძიმეს ბურჟუაზიული სახელმწიფოები მშრომელ მასებს აყენებენ. იმპერიალისტურ ქვეყნებში ძლიერდება მუშათა მასის ექსპლოატაცია, იზრდება გადასახადები, დაბლა იწვეს ხალხის მასების ცხოვრების დონე; ამად დროს მონოპოლიები საარაკო მოგებას იღებენ. მაგალითად, ოფიციალური, შემცირებული მონაცემებით, ამერიკის მონოპოლიების მოგება 1938 წლის 3,3 მლრდ. დოლარიდან 1957 წელს გაიზარდა 43,4 მლრდ. დოლარამდე, ესე იგი 13-ჯერ და უფრო მეტად.

ინგლისის სააქციო კომპანიების მოგებამ 1957 წელს შეადგინა 4,6 მლრდ. გირვანქა სტერლინგი, ნაცვლად 1938 წლის 1 მილიარდისა. მონოპოლიების იდეოლოგები ეკონომიკის მილიტარიზაციას ასაღებენ, როგორც კრიზისებისა და უმუშევრობისაგან მხსნელ საშუალებას, მილიტარიზებულ მეურნეობას რეკლამას უწევენ როგორც „გეგმიან“ მეურნეობას. მაგრამ სინამდლეში იმპერიალისტური ქვეყნების მეურნეობის მილიტარიზაცია კაპიტალისტური სისტემის პარაზიტის მისა და ლაბობის გაძლიერების ნათელი მაჩვენებელია. ბურჟუაზიის იმედისა და ვარაუდების საწინააღმდეგოდ, გაძალადებული შეიარაღება და მეურნეობის მილიტარიზაცია ვერ უზრუნველყოფს კაპიტალისტური ეკონომიკის „გეგმიან“ განვითარებას. მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც, როცა კაპიტალისტური მეურნეობის მილიტარიზაციას განსაკუთრებით ფართო გაკანება მიეცა, იმპერიალისტურ ქვეყნებში არაერთხელ ჰქონია ადგილი ეკონომიურ კრიზისებს; რჩება მასობრივი ქრონიკული უმუშევრობა, მრეწველობის ბევრი დარგის საწარმოთა არასრული დატვირთვა. — 191.

²⁰ ნ ი ც უ ე, ფ რ ი დ რ ი ხ (1844—1900) — რეაქციონერი გერმანელი ფილოსოფოსი, ერთ-ერთი იდეოლოგი გერმანიის მემამულურ-ბურჟუაზიული რეაქციისა იმპერიალიზმის ჩამოყალიბების პერიოდში, ფაშიზმის ერთ-ერთი იდეოლოგიური წინამორბედი. თავის ნაშრომებში იგი გამოდიოდა როგორც დემოკრატიის, მუშათა კლასის, მარქსიზმის დაუძინებელი მტერი, ცინიკურად ასხამდა ხოტბას ადამიანთა უთანასწორობას, რჩეული «ბატონების რასის» გაბატონებულ მდგომარეობას, აგდებით უწოდებდა მშრომელ მასებს ბრბოს. «მონების რასას». სოციალურ პოლიტიკურ პრობლემებს ნიცშე განიხილავდა სუბიექტური იდეალიზმისა და ვულგარული «სოციალური დარვინიზმის», «ზეადამიანის» თეორიის პოზიციებიდან. ანტიდემოკრატიულმა რეაქციულმა მისწრაფებებმა ნიცშეანელობა თანამედროვე ბურჟუაზიის პოპულარულ ფილოსოფიად გახადა. იმპერიალისტურ წრეებში ყველაზე მეტად გავრცელდა მისი ქადაგება ამორალიზმისა, რომელიც გაბატონებული კლასებისათვის ნებადართულად აცხადებს ზნეობის ყოველ დარღვევას. ბურჟუაზიის იდეოლოგები ფართოდ იყენებენ ნიცშეანელობას იმისათვის, რომ შეალამაზონ იმპერიალიზმში, როგორც «ბუნებრივი» საზოგადოებრივი წყობილება, რომელიც თითქმის შეესაბამება ადამიანის ბუნებას, რომ გააძარტონ აგრესია, შეაქონ დაპყრობითი ომები. — 193.

²¹ « ე ვ რ ო პ ი ს უ ე ე რ თ ე ბ უ ლ ი შ ტ ა ტ ე ბ ი ს » ლოზუნგმა, რომელიც სხვადასხვა ვარიანტით არაერთხელ ყოფილა წამოყენებული პირველ მსოფლიო ომამდეც, განსაკუთრებით ფართო გავრცელება პირველი ომის წლებში. ამ ლოზუნგს ბურჟუაზიულ პოლიტიკოსებთან ერთად გაძლიერებით უწევდნენ მაშინ პროპაგანდას ოპორტუნისტი-კაუცკელები, ტროცკისტები, რომლებიც მსჯელობდნენ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის მეტოქეობისა და სამხედრო კონფლიქტების თავიდან აცილების შესაძლებლობაზე, თხზავდნენ მშვიდობიან საფუძველზე მათი გაერთიანების სხვადასხვა პროექტებს. ლენინმა, ბოლშევიკურმა პარტიამ ამხილეს იმპერიალისტური სახელმწიფოების მშვიდობიანი კავშირის შესახებ კაუცკელოა, ტროცკისტთა ლოზუნგის რეაქციული ხასიათი. რსდმპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მანიფესტში «ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია», რომელიც 1914 წლის 1 ნოემბერს გამოქვეყნდა, ჩაზგასმული იყო, რომ «ევროპის შე-

ერთებული შტატების» ლოზუნგი უაზრო და ყალბია, «თუ რევოლუციური გზით არ იქნა დამხობილი გერმანიის, ავსტრიისა და რუსეთის მონარქიები» (ე. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 21, გვ. 23). ანალიზს ეკეთებდა რა იმპერიალიზმის ეკონომიურ პირობებს, ლენინმა ცნობილ სტატიაში «ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ», რომელიც 1915 წლის 23 აგვისტოს დაიბეჭდა, ცხადყო, რომ «ევროპის შეერთებული შტატები, კაპიტალიზმის დროს, ან შეუძლებელია, ან რეაქციულია»; კაპიტალიზმსა და მათს მთავრობებს შორის შესაძლებელია მხოლოდ დროებითი შეთანხმებანი ნაძარცვის დასაცავად, კოლონიების გასანაწილებლად ძალის, კაპიტალის მიხედვით, რეაქციული კავშირები დემოკრატიისა და სოციალიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის საწარმოებლად. ამიტომ ლენინი, ბოლშევიკები იმ დასვენამდე მივიდნენ, რომ სწორი არ იყო «ევროპის შეერთებული შტატების» ლოზუნგი (იხ. იქვე, გვ. 413—418).

ისტორიული გამოცდილება და თანამედროვე სინამდვილე მთლიანად ადასტურებენ «ევროპის შეერთებული შტატების» ლოზუნგის ლენინური დახასიათების სისწორეს. ამჟამად ამ ლოზუნგს გაძლიერებით აყენებენ იმპერიალისტები და მათი ლაქიები — მემარჯვენე სოციალისტები. ისინი «ევროპის შეერთებულ შტატებად» ასაღებენ დასავლეთ ევროპის სხვადასხვაგვარ ორგანიზაციებსა და ვაერთიანებებს, როგორც არის «ევროპის საბჭო», «ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება» და ა. შ., რომლებიც ბურჟუაზიის მიერ შექმნილია კოლონიების ერთობლივი ძარცვისათვის, მშრომელთა ექსპლოატაციის გაძლიერებისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. —199.

- 22 მონროს დოქტრინა — ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის პრინციპების დეკლარაცია, ჩამოყალიბებული პრეზიდენტ ჯეიმს მონროს მიერ კონგრესისადმი 1823 წლის 2 დეკემბრის მიმართვაში. მონროს დოქტრინას ამოფარებით («ამერიკა ამერიკელებისათვის») ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებდნენ თავიანთ დამპყრობლურ გეგმებს სამხრეთ ამერიკაში, მუდამ ერეოდნენ ლათინური ამერიკის ქვეყნების საქმეებში, თავს ახვევდნენ მათ კაბალურ ხელშეკრულებებს. იმპერიალიზმის ეპოქაში მონროს დოქტრინამ განსაკუთრებით აგრესიული ხასიათი მიიღო. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ხელთ იგდეს ესპანეთის თითქმის ყველა კოლონია წყნარ ოკეანეში და კარაიბის ზღვაში; მონროს დოქტრინის გამოყენებით მათ განახორციელეს ინტერვენცია კუბაში, ჰაიტიზე, ნიკარაგუაში, პანამაში, კოლუმბიაში, დომინგოს რესპუბლიკაში და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებში. კვლავ იმავე მონროს დოქტრინას ამოფარებით ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აძლიერებს ექსპანსიას ლათინური ამერიკის ქვეყნების წინააღმდეგ. ამას ნათლად მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ 1954 წელს ამერიკელმა იმპერიალისტებმა იმის შიშით, რომ გვატემალის მავალითი, რომელმაც მიიღო ამერიკის «იუნაიტედ ფრუტ კომპანის» თვითნებობის წინააღმდეგ მიმართული კანონი აგრარული რეფორმის შესახებ, აღაფრთოვანებდა დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად ლათინური ამერიკის ხალხს, პროვოკაციულად გამოიწვიეს შეიარაღებული აჯანყება და მოაწყვეს გვატემალაში მთავრობის გადატრიალება, რომლის შედეგადაც ძალაუფლებას სთავეში ჩაუდგა ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტებისათვის სასურველი რეაქციული სამხედრო ხრთოვა. —200.

23 «იმპერიალისტური ეკონომისტები» — ოპორტუნისტული მიმართულება საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიაში, რომელიც 1914—1918 წლების მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში გაჩნდა. რსდმპ-ში ამ მიმართულებამ თავი იჩინა საზღვარგარეთის სექციების კონფერენციაზე, რომელიც 1915 წლის გაზაფხულზე მიმდინარეობდა ბერნში (შვეიცარია), სადაც ერთა თვითგამორკვევის საწინააღმდეგო თეზისებით გამოვიდა ბუხარინი. ამ თეზისებში იგი იცავდა ანტიმარქსისტულ შეხედულებებს, რომლებიც ლენინმა შემდეგში დაახასიათა როგორც «იმპერიალისტური ეკონომიზმის» მიმართულება. ბუხარინის თეზისებს შემდეგში პიატაჟოვი და ბოში შეუერთდნენ. ასეთივე იდეები გამოვლინდა აგრეთვე ჰოლანდიის «რევოლუციურ-სოციალისტური კავშირისა და სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამის პროექტში», ამერიკის «სოციალისტური მუშათა პარტიაში» და სხვა პარტიებში. ლენინმა «იმპერიალისტური ეკონომიზმს» ინტერნაციონალური სენი უწოდა და მის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა დაიწყო. «იმპერიალისტური ეკონომისტები» გამოდიოდნენ ერთა თვითგამორკვევის წინააღმდეგ, რსდმპ მთელი პროგრამა-მინიმუმის წინააღმდეგ, რომელიც ითვალისწინებდა ბრძოლას დემოკრატიული გარდაქმნებისათვის, რომელთა მიზანი იყო გაეადვილებინათ მომზადება და დასავლეთ სოციალისტურ რევოლუციაზე. «იმპერიალისტური ეკონომისტებთან» ბრძოლაში ლენინმა ცხადყო, რომ ჩაგრულ კლასებს კაპიტალიზმის დროს თუმცა არ შეუძლიათ დემოკრატიული უფლებების რეალიზაცია, მარქსისტებმა ყველა დემოკრატიული დაწესებულება უნდა გამოიყენონ ბურჟუაზიის წინააღმდეგ იმ მიზნით, რომ მოამზადონ იმპერიალიზმის დამხობა, და ისწრაფოდნენ «ბურჟუაზიული დემოკრატიზმის გამოყენების გზით — პროლეტარიატის სოციალისტური და თანამიმდევრულ-დემოკრატიული ორგანიზაციისაყენ ბურჟუაზიის წინააღმდეგ და ოპორტუნიზმის წინააღმდეგ» (თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 23, გვ. 20). ლენინი ხაზს უსვამდა ერთა თვითგამორკვევის ლოზუნგის უდიდეს მნიშვნელობას იმპერიალიზმის ეპოქაში. არ ვიცით, აღნიშნავდა იგი, და შეუძლებელიც არის ვიცოდეთ, პრაქტიკულად ჩაგრულ ერთა რა რაოდენობას დასპირდება გამოყოფა, «რათა თავისი წვლილი შეიტანოს დემოკრატიის ფორმებისა და სოციალიზმზე გადასვლის ფორმების სხვადასხვაობაში», მაგრამ გამოყოფის თავისუფლების უარყოფა იმის გამო, რომ იგი თითქოს განუხორციელებელია იმპერიალიზმის დროს, არის თეორიული სიყალბე და პრაქტიკულად სამსახურის გაწევა მჩაგვრელი ერების შოვინისტებისათვის.

«იმპერიალისტური ეკონომიზმის» კრიტიკა ვ. ი. ლენინს მოცემული აქვს ნაშრომებში: «იმპერიალისტური ეკონომიზმის» მიმართულების შესახებ, რომელიც ახლა იბადება; «პასუხი პ. კიევისს (ი. პიატაჟოვის); «მარქსიზმის კარიკატურისა და «იმპერიალისტური ეკონომიზმის» შესახებ» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 23, გვ. 1—12, 13—21, 22—90) და სხვა ნაწარმოებებში. — 239.

24 ენგელსი «ანტი-დიურინგში», III თავში «ძალდომრეობის თეორია (გაგრძელება)» კაპიტალისტური სახელმწიფოების შესახებ წერდა: «არმია სახელმწიფოს მთავარ მიზანად, მის თვითმიზნად იქცა; ხალხები მხოლოდ იმისათვის-ღა არსებობენ, რომ ჭარისკაცები გამოიყვანონ და ჰყვებონ. მილიტარიზმი ბატონობს და ნიქამს ევროპას. მაგრამ ეს მილიტარიზმი აგრეთვე თავისი საკუთარი დაღუპვის ჩანასახს ატარებს». მეტოქეობა ცალკეულ სახელმწიფოებს შორის, აღნიშნავდა ენგელსი,

- აიძულებს მათ სულ უფრო მეტი სახსრები ხარჯონ შეიარაღებაზე და ამით არქარებენ თავიანთ ფინანსურ კატასტროფას; მეორე მხრივ, ეს მეტოქეობა მათ აიძულებს სულ უფრო ფართოდ გამოიყენონ საყოველთაო საკლდეზულო სამხედრო სამსახური, ამით მთელ ხალხს შეასწავლონ იარაღის ხმარება; ხალხს რეალური შესაძლებლობა ეძლევა გარკვეულ მომენტში იარაღი მოაბრუნოს გაბატონებული კლასების წინააღმდეგ. ამ საფეხტურზე მეფის ჯარი ხალხის ჯარად იქცევა; მანქანა უარი ამბობს სამსახურზე, და მალიტარიზში იღუპება თავისი დიპლექტიკური განვითარების ძალით» (ფ. ენგელსი. «ანტი-დიურინგი», 1952, გვ. 201). —240.
- 25 მ ა ნ ჩ ე ს ტ ე რ ო ბ ა (ფრიტრედერობა) — ბურჟუაზიის ეკონომიური პოლიტიკის მიმართულება, რომელიც გამოდიოდა ვაჭრობის თავისუფლების და კერძოსამეურნეო საქმიანობაში სახელმწიფოს ჩაურევლობის მოთხოვნით. წარმოიშვა ინგლისში XVIII საუკუნის დამლევს; XIX საუკუნის 30—40-იან წლებში ფრიტრედერობის ბურჯს წარმოადგენდნენ ქალაქ მანჩესტერის მრეწველები, ამიტომ ფრიტრედერებს «მანჩესტერელებსაც» უწოდებდნენ. «მანჩესტერის სკოლას» სათავეში იდგნენ კობდენი და ბრაიტი. ფრიტრედერობის ტენდენციები თავს იჩენდა სხვა სახელმწიფოების პოლიტიკაშიც. ფრიტრედერობა თეორიულად დასაბუთებულია ა. სმიტისა და დ. რიკარდოს ნაწარმოებებში. —262.
- 26 ს ო ფ ი ს ტ ე ბ ი ძველ საბერძნეთში ეწოდებოდათ პროფესიონალ ფილოსოფოსებს, ფილოსოფიისა და მკვებრმეტყველების მასწავლებლებს. სოფისტების დამახასიათებელი ნიშანი იყო მათი რწმენა, რომ დამიანის ყველა წარმოდგენა, ეთიკური ნორმა და შეფასება შეფარდებითია. სოფისტები წინასწარი განზრახვით იყენებდნენ შეცდომაში შემყვან ყალბ, მატუენებელ საბუთებს (სოფიზმებს), სიტყვიერ ხერხებს. სოფისტიკა მალე გადაგვარდა ცნებებით უნაყოფო თამაზად, სიტყვებსა და კამათში ინებისმიერი დებულებების დაცვისა და უარყოფის ხელშეწყობად.
- რ ა ბ უ ლ ი ს ტ ი — ადვოკატი — ხრიკის ოსტატი, მოლაყბე. ვ. ა. ლენინი სოფისტსა და რაბულისტს უწოდებს კაუკკის იმისათვის, რომ იგი ამახინჯებს იმპერიალიზმის ქეშმარიტ ბუნებას, საქმის არსს გვერდს უვლის მივიბ-მოვიბვით, იყენებს სოფისტკას და თეორიულ სიყალბეს იმისთვის, რომ მიჩქმალოს იმპერიალიზმის ყველაზე ღრმა წინააღმდეგობანი და გაამართლოს ერთიანობა კაპიტალის აპოლოგეტებთან, ამკარა სოციალ-შოვინისტებთან. —262.
- 27 «კ ო მ უ ნ ი ს ტ ი» — ლენინის მიერ დაარსებული ჟურნალი; გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» რედაქცია გამოსცემდა ჟენევაში 1915 წელს. გამოვიდა ერთი (ორმაგი) ნომერი, რომელშიც გამოქვეყნებული იყო ლენინის სამი სტატია: «II ინტერნაციონალის კრაზი», «ფრანგი სოციალისტის პატიოსანი ხმა» და «იმპერიალიზმი და სოციალიზმი იტალიაში» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 21, გვ. 237—309, 424—434, 435—447). —263.
- 28 «The Economist» — ყოველკვირეული ბურჟუაზიული ჟურნალი; გამოდის ლონდონში 1843 წლიდან. —267.
- 29 «The Daily Telegraph» («ყოველდღიური ტელეგრაფი») — გაზეთი, დაარსებული ლონდონში 1855 წელს; ერთ-ერთი დიდი ბურჟუაზიული კონსერვატიული გაზეთი ინგლისში. —267.

- ³⁰ ტ რ ე დ-უ ნ ი ო ნ ე ბ ი — პროფკავშირთა სახელწოდება ინგლისში და ბრიტანეთის დომინიონებში. ტრედ-უნიონებში შედიან, უმთავრესად, კვალიფიციური მუშები, რომლებიც ერთიანდებიან საამქრო და არა საწარმოო პრინციპის მიხედვით. საწარმოებში ტრედ-უნიონებს თავიანთი ორგანიზაციები არა აქვთ; ძირეული ორგანიზაციები იქმნება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ადგილობრივი განყოფილებები ერთიანდებიან რაიონულ, საოლქო და ეროვნულ კომიტეტებად, რომლებსაც სათავეში აღმასკომები უდგანან. 1868 წელს შეიქმნა ბრიტანეთის ტრედ-უნიონების კონგრესი. ტრედ-უნიონების წევრები შედიან ლეიბორისტულ პარტიაში კოლექტიური წევრობის საფუძველზე. ტრედ-უნიონების ოპორტუნისტი ბელადები ისწრაფვიან შეზღუდონ პროლეტარიატის პოლიტიკური მოქმედება და შემოფარგლონ იგი ბრძოლით იმ ვიწროპროფესიული ეკონომიური მოთხოვნების საკანონმდებლო გზით განხორციელებისათვის, რომლებიც კაპიტალიზმის საფუძველებს არ ეხება; ისინი ახორციელებენ კაპიტალისტურ საზოგადოებაში «კლასობრივი პარმონის» რეფორმისტულ პოლიტიკას. ტრედ-უნიონების იდეოლოგიაში უარყოფენ პროლეტარიატის რევოლუციური პარტიის შექმნის საჭიროებას, მუშათა პარტიის როლი ფაქტიურად დაჰყავთ ტრედ-უნიონების საპარლამენტო წარმომადგენლობამდე.—278.
- ³¹ «Le Temps» («დროება») — ყოველდღიური ბურჟუაზიული გაზეთი; გამოდიოდა პარიზში 1861 წლიდან 1942 წლამდე.—310.
- ³² «Vorwärts» («წინ») — ყოველდღიური გაზეთი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა 1876 წლიდან ვ. ლიბკნეხტისა და სხვების რედაქციით. გაზეთის ფურცლებზე ფ. ენგელსი აწარმოებდა ბრძოლას ოპორტუნიზმის წინააღმდეგ. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ფ. ენგელსის სიკვდილის შემდეგ, «Vorwärts»-ში სისტემატურად იბეჭდებოდა სტატიები ოპორტუნიზტებისა, რომლებიც გაბატონებული იყვნენ გერმანიის სოციალ-დემოკრატიისა და II ინტერნაციონალში. მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914—1918) «Vorwärts»-ი სოციალ-შოვინიზმის პოზიციებზე იდგა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ გაზეთი ანტისაბჭოთა პროპაგანდის ერთ-ერთი ცენტრი გახდა; გამოდიოდა ბერლინში 1933 წლამდე.—310.
- ³³ «L'Humanité» («კაცობრიობა») — ყოველდღიური გაზეთი, დაარსებული ე. უორესის მიერ 1904 წელს როგორც საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ორგანო. მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914—1918) გაზეთი უკიდურესი მემარჯვენე ფრთის ხელში იყო და სოციალ-შოვინისტური პოზიცია ეკავა. 1920 წლის დეკემბრის კონგრესზე სოციალისტური პარტიის გათიშვისა და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის შექმნის შემდეგ გაზეთი მისი ორგანო გახდა; ამჟამადც გამოდის პარიზში როგორც კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანო. —310.
- ³⁴ ორი ზაზით შემოხაზული ტექსტი წარმოადგენს «v» რეჟულის პირველ გვერდს, სადაც შემოკლებულად ჩაწერილია მისი ტინაარსი: 1) პილვერდინგი. «დინარის კაპიტალი», 2) ელუქრობის ტრესტი, 3) ემიხიების სტატისტიკა, 4) რისერი. რეჟულში პირველ სამ ჩანაწერს გვერდების საერთო ნუმერაცია აქვს (1—10); იმ გვერდებს, რომლებზეც შე-

- ნიშნებია რისერის წიგნზე, აქვს ცალკე ნუმერაცია (გვ. 1—16). ამის შესაბამისად «იმპერიალიზმის» მთელი ნაშრომის ნაკრებ გეგმაშიც ლენინი ხმარობს პირობით ნიშნებს «v», «vR» (ვ. ი. რვეული «v-რისერო») გვერდების ჩვენებათ იმ მასალების გამოსაყენებლად, რომლებიც შეკრებილია «v» რვეულში. —330.
- 36 ლენინი «რვეულებში იმპერიალიზმის შესახებ» და ნაშრომში «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია» არაერთხელ იხიწვებას რ. ჰილფერდინგის წიგნს «ფინანსური კაპიტალი». იყენებს რა ამ წყაროს ფაქტიურ მასალებს მონოპოლისტური კაპიტალიზმის ცალკეული მხარეების დასახასიათებლად, ლენინი ამავე დროს აკრიტიკებს ავტორს არამარქსისტული დებულებებისა და დასკვნებისათვის იმპერიალიზმის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. ლენინი ახასიათებს ჰილფერდინგს — გერმანიის სოციალ-დემოკრატიისა და II ინტერნაციონალის ერთ-ერთ ლიდერს — როგორც კანტელსა და კაუცკელს, რეფორმატორსა და იმპერიალისტური ბურჟუაზიის შემავრცელებელს (ეს ტომი, გვ. 630). სწვევტს რა პოლიტიკას ეკონომიკისაგან, ჰილფერდინგი თავის წიგნში იძლევა იმპერიალიზმისა და ფინანსური კაპიტალის არასწორ განსაზღვრას; იგი ჩქმალავს მონოპოლიების გადამწყვეტ როლს იმპერიალიზმის დროს და ყველა მისი წინააღმდეგობის გამწვავებას, უგულვებელყოფს იმპერიალიზმის ისეთ დიდმნიშვნელოვან თვისებებს, როგორიც არის მსოფლიოს განაწილება და ბრძოლა მისი გადანაწილებისათვის, კაპიტალიზმის პარაზიტუზში და ლობა, «ნაბიჯს დგამს უკან» ვ. კ. ა. პაციფისტი და რეფორმისტი, ინგლისელ ჰობსონთან შედარებით» (თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 238). მაგრამ, მიუხედავად სერიოზული შეცდომებისა, ჰილფერდინგის წიგნმა მაინც გარკვეული დადებითი როლი შეასრულა კაპიტალიზმის განვითარების უახლესი ფაზის გამოკვლევაში. —330.
- 37 კ ა ნ ტ ი ა ნ ო ბ ა — რეაქციული იდეალისტური მოძღვრება, რომელსაც საფუძვლად უდევს ე. კანტის ფილოსოფიური შეხედულებანი. «კანტის ფილოსოფიის ძირითადი ნიშანია მატერიალიზმის შერიგება იდეალიზმთან, კომპრომისი მათ შორის, ერთ სისტემაში სხვადასხვაგვარი, მოწინააღმდეგე ფილოსოფიური მიმართულებების შეთავსება» (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 14, გვ. 244—245). კანტი ცდილობდა «შეერიგებინა» სარწმუნოება და ცოდნა, რელიგია და მეცნიერება; მის თეორიულ დებულებათა საფუძველს შეადგენს აგნოსტიციზმი, ობიექტური სამყაროს შეცნობადობის უარყოფა. კანტიანობა ყველა წერის ოპორტუნისტებისა და რევიზიონისტების, მათ შორის კაუცკელის საყვარელი ფილოსოფიაა. —331.

- 37 ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, რომ არასწორია ჰილფერდინგის მტკიცება ტუგან-ბარანოვსკის დამახაზურებაზე კაპიტალისტური კვლავწარმოებისა და კრიზისების შესახებ კ. მარქსის თეორიის მნიშვნელობის გახსნაში. სინამდვილეში ეს ბურჟუაზიული ეკონომისტი, რომელიც 90-იან წლებში «ლევალური მარქსიზმის» თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო, თავის ნაშრომებში ამახინჯებდა კვლავწარმოებისა და კრიზისების მარქსისტულ თეორიას და ცდილობდა მის უარყოფას. უარყოფდა რა კაპიტალიზმის დამახასიათებელ წინააღმდეგობას წარმოების უსაზღვროდ გაფართოებისაყენ მისწრაფებასა და ხალხის მასების პროლეტარული მდგომარეობის გამო მოხმარების შეზღუდულ შესაძლებლობებს შორის,

ტუგან-ბარანოვსკი ამტყიცებდა, თითქოს კაპიტალიზმის პირობებში შესაძლებელია უსაზღვრო დაგროვება და წარმოების დაუბრკოლებელი განვითარება ხალხის მასების მოხმარებისა და ცხოვრების დონის მიუხედავად. ასეთ აპოლოგეტურ თეორიებს ამჟამად ავრცელებენ ბურჟუაზიული ეკონომისტები. კაპიტალისტური სინამდვილე პერიოდულად განმეორებული კრიზისებით უარყოფს ამ ვულგარულ მოძღვრებებს და მთლიანად ადასტურებს კაპიტალისტური დაგროვებისა და კრიზისების მარქსისტული თეორიის სისწორეს. —333.

- 38 ამონაწერები და ცალკეული ადგილების შინაარსის გადმოცემა ჰობსონის წიგნიდან გაკეთებულია ნ. კ. კრუსკაიას მიერ. ამონაწერების ტექსტს ლენინი გადათვალთვლების დროს ხაზს უსვამდა, უმატებდა, კიდევებუ მოხაზვას და მონიშნავს აკეთებდა. რვეულის გვერდების ნუმერაცია ლენინს გაუკეთებია. ლენინის მიერ ხაზგასმები ნაჩვენებია შემდეგი შრიფტების საშუალებით: ერთი ხაზით გახაზული აწყობილია კურსივით; ორი ხაზით—კურსივი დაყოფით; სამი ხაზით—ნახევრადმუქი მცირე-თვალანი კურსივით; ერთი ტალღისებრი ხაზით გახაზული აწყობილია კაპიტელით; ორით—კაპიტელი დაყოფით; ყველა დამატება აწყობილია ნახევრადმუქი კორპუსით; ხოლო თუ დამატებებში ხაზგასმებია, ეს უქანასქნელი აწყობილია: ერთი ხაზით გახაზული—ნახევრადმუქი კურსივით; ორით—ნახევრადმუქი კურსივი დაყოფით.

თავისი შრომის «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია» წინასიტყვაობაში ლენინი აღნიშნავდა, რომ ჟ. ა. ჰობსონის წიგნი მან გამოიყენა იმ ყურადღებით, რომლის ღირსიც არის ეს შრომა. ჯონ ატკინსონ ჰობსონი (1858—1940) — ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი, თავისი შეხედულებებით ბურჟუაზიული რეფორმისტი და პაციფისტი იყო. ჰობსონის მიერ დაწერილ ყველაზე ცნობილ წიგნებს შორის იყო «სიღარიბის პრობლემები», «თანამედროვე კაპიტალიზმის განვითარება» და «იმპერიალიზმი», რომელსაც ლენინი უწოდებდა მთავარ ინგლისურ შრომას იმპერიალიზმზე და თვლიდა მას იმპერიალიზმის წვრილბურჟუაზიული კრიტიკის ტიპურ ნიმუშად. ლენინი აღნიშნავდა, რომ ჰობსონის ეს შრომა შეიცავს «იმპერიალიზმის ძირითად ეკონომიურ და პოლიტიკურ თავისებურებათა ძალიან კარგ და საფუძვლიან აღწერილობას» (თხზულებანი, 4 გამოც., ტ. 22, გვ. 241). «რვეულებში იმპერიალიზმის შესახებ» ლენინი წერს, რომ ჰობსონის წიგნი იმპერიალიზმის შესახებ «საერთოდ სასარგებლოა, განსაკუთრებით კი სასარგებლოა იმით, რომ გვეხმარება ვამხილოთ კაპიტალიზმის ძირითადი სიყალბე ამ საკითხში» (ეს ტომი, გვ. 99). იყენებს რა ჰობსონის წიგნის მდიდარ ფაქტიურ მასალას, ლენინი ამავე დროს აკრიტიკებს მის რეფორმისტულ დასკვნებს და იმის ცდებს, რომ დაფარული ფორმით დაიკვას იმპერიალიზმი, მიჩქმალოს მისი სრული ბატონობა და მისი «ღრმა ფესვები, ცდილობს წინა რიგში წამოაყენოს კერძო მხარეები და მეორეხარისხოვანი წერილმანები, ლამობს ჩამოაშოროს ყურადღება არსებითს «რეფორმების» სრულიად არასერიოზული პროექტებით, როგორცაა პოლიციური ზედამხედველობა ტრენტებზე ან ბანკებზე და ა. შ.» (თხზულებანი, 4 გამოც., ტ. 22, გვ. 361). —406.

- 39 ე თ ი კ უ რ ი ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი — იდეალისტური მოძღვრება, რომელიც მეცნიერული კომუნიზმის დებულებას კაპიტალიზმის სოციალიზმით შეცვლის ისტორიული აუცილებლობის შესახებ უპირისპირებს

ადამიანთა ზნეობრივი (ეთიკური) თვითსრულყოფის იდეას, რომელიც თითქოს იხსნის საზოგადოებას ყველა სოციალური უბედურებისაგან. ეთიკური სოციალიზმის თეორია წარმოიშვა XIX საუკუნის ბოლოს გერმანელ ნეოკანტიანელს შორის, როგორც იყენებ გ. კოგენი, პ. ნატორპი, ე. კასირერი და სხვები, და გახდა ერთ-ერთი მთავარი დოგმა «რეიზიონიზმის მამის» ე. ბერნშტეინის, აგრეთვე გერმანიის მემარაჯვენ სოციალ-დემოკრატთა ფილოსოფიური ლიდერის კ. ფორლენდერის შეხედულებებში. ეთიკური სოციალიზმი სოციალისტურ წყობილებას აცხადებს ზნეობრივ იდეალად, რომელიც შეიძლება მიღწეულ იქნას შორეულ მომავალში კლასობრივი ბრძოლისა და პარლეტარიატის დიქტატურის გვერდის ავლით, როგორც მშრომელების, ისე ექსპლოატორების მხოლოდ და მხოლოდ მორალური გარდაქმნის გზით. თანამედროვე პირობებში ეთიკური სოციალიზმის იდეოლოგიას ფართოდ იყენებენ მემარაჯვენ სოციალისტები კაპიტალისტურ ქვეყნებში. —424.

- 40 ლენინს ხელნაწერში აქ ჩაუნიშნავს: იხ. დამატება ზემოთ, ამ რვეულს, გვ. 7ა. რვეულის მე-7 გვერდზე ზემოთ ლენინს დაუწერია: «(იხ. ამ რვეულის გვ. 41)». ლენინის ამ მითითების თანახმად ამონაწერი რვეულის მე-7 გვერდიდან მოთავსებულია ტომში არა რვეულის გვერდების ნუმერაციის რიგით, არამედ ჰობსონის წიგნიდან ამონაწერების თანმიმდევრული რიგით. —436.
- 41 ამონაწერები სამბას წიგნიდან გაკეთებულია ნ. კ. კრუჰსკაიას მიერ; მონიშვნები, ჩამატებები (იხ. ნახევრადმუქი შრიფტით აწყობილი), ხაზგასმები ციტატების ტექსტში (იხ. კურსივით აწყობილი ერთი ხაზგასმისა და კურსივი დაყოფით აწყობილი ორი ხაზგასმისა) და გვერდების ნუმერაცია ვ. ი. ლენინისა. —443.
- 42 ს ი ა ც ი ტ ა ტ ე ბ ი ს ა შ უ ლ ც ე - გ ე ვ ე რ ნ ი ც ი ს წ ი გ ნ ი - დ ა ნ ა — შედგენილია ლენინის მიერ ამ წიგნის კითხვისას, რომ შემდეგ გაკეთებინა სათანადო ამონაწერები (იხ. ქვემოთ, ამ ტომის გვ. 453—468). პირველი 11 გვერდის ციტატები რვეულში ამოწერილია ლენინის მიერ მის მიერ მითითებული თანმიმდევრობით. რვეულში შემდეგ მოდის მთელი რიგი ციტატები 229—375 გვერდებიდან, რომლებიც სიაში აღნიშნული არ არის (ეტყობა, ხელნაწერის ნაწილი დაკარგულია). სისი ბოლო, 401 გვერდიდან, ზუსტად შეესაბამება ლენინის ჩანაწერს რვეულში. —452.
- 43 გ ლ ა ს ი ს ი — სამხედრო ტერმინი — ფერდობი, შვერილი, მიწაყრილი სიმაგრის გარეთა თხრილის წინ. —454.
- 44 ფ ო ლ კ ს რ ა ა დ ი — ბურთა პარლამენტი —461.
- 45 რ ა ნ დ ი (სრული სახელწოდება ვიტვატერსრანდი) — ოქროს მრეწველობის უდიდესი რაიონი, მდებარეობს სამხრეთ აფრიკის კაპშირის ტრანსვაალის პროვინციაში. ამ რაიონში ამოაქვთ მთელი კაპიტალისტური სამყაროს 1/3-ზე მეტი ოქრო. —462.
- 46 მონაცემები 1911 წელს ქვანახშირის მოპოვების შესახებ ვ. ი. ლენინს აღებული აქვს «საერთაშორისო მიმოხილვებიდან», ცხრილი 19, «Sta-

fistisches Jahrbuch für das Deutsche Reich»-ში («გერმანიის იმპერია-რიის სტატისტიკური წელიწადეული»). 1915. გვ. 33*. —473.

- 47 მონაცემები ჩაისა და სპირტის მოხმარების შესახებ ეხება ავსტრალა-ზიას. —481.
- 48 ნაშრომის «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია» ფრანგული და გერმანული გამოცემების წინასიტყვაობაში ლენინი ცალკე აღნიშნავს მთელი მსოფლიოს რკინიგზების შესახებ მონაცემების დიდ მნიშვნელობას მონოპოლისტური კაპიტალიზმის დახასიათებისათვის: «რკინიგზის ქსელის განაწილება, ამ განაწილების უთანაბრობა, რკინიგზის ქსელის განვითარების უთანაბრობა — ეს არის შედეგი თანამედროვე, მონოპოლისტური კაპიტალიზმისა მსოფლიო მასშტაბით» (თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 234—235). რკინიგზების სტატისტიკის მასალები, რომლებიც მოყვანილია ამ ტომში 492—498, 500—503 გვერდებზე, მოწმობენ, თუ როგორ კრებდა ლენინი სხვადასხვა წყაროებიდან და ამუშავებდა 1890 და 1913 წლების ვრცელ მონაცემებს რკინიგზების ქსელის განვითარების შესახებ სხვადასხვა ქვეყნებში (უდიდესი სახელმწიფოები, დამოუკიდებელი და ნახევრადდამოუკიდებელი სახელმწიფოები, კოლონიები). ამ მონაცემებს რკინისა და ქვანახშირის წარმოების ზრდას რომ ადარებს, ლენინი ააშკარავებს არაპროპორციულობას საწარმოო ძალების განვითარებასა და სხვადასხვა ქვეყნების მიერ რკინიგზების მშენებლობას შორის (როგორც კოლონიებზე მონოპოლიის შედეგს). რკინიგზების სტატისტიკის გამოკვლევის შედეგებს, რომლებიც განზოგადებულია ორ მოკლე ცხრილში, ლენინი განიხილავს წიგნის იმპერიალიზმში, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია VII თავში (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 345—347). —492.
- 49 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. II, 1936, გვ. 335—360. —507.
- 50 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1955, გვ. 338. —511.
- 51 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XV, 1935, გვ. 201—204. —511.
- 52 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. II, 1936, გვ. 385—387. —512.
- 53 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XV, 1935, გვ. 105—124. —512.
- 54 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XV, 1935, გვ. 217—223. —513.
- 55 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1955, გვ. 42. —514.
- 56 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. II, 1936, გვ. 388—401. —514.

- 57 აქ და შემდეგ იგულისხმება გაზეთი «Hamburger Echo» («ამამბურგის ექო») — გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა 1887 წლიდან; მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში (1914—1918) სოციალ-შოვინისტური პოზიცია ეკავა. —515.
- 58 ნეოკანტიანობა — ბურჟუაზიული ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც გერმანიაში წარმოიშვა XIX საუკუნის მეორე ნახევარში; იმეორება კანტის ფილოსოფიის ყველაზე რეაქციულ, იდეალისტურ დებულებებს. ლოზუნგით «უკან კანტისაკენ!» ნეოკანტიანელები იბრძოდნენ დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის წინააღმდეგ. ენგელსმა წიგნში «ლუდვიგ ფიფერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული» ნეოკანტიანელები დაახასიათა როგორც თეორიული რეაქციონერები, «უბადრევი ეკლექტიკოსები და მონაშტეკეები». ნეოკანტიანელები გერმანიის სოციალ-დემოკრატიის რიგებში (ე. ბერნშტეინი, კ. შმიდტი და სხვ.) რევოლუციის უკეთებდნენ მარქსისტულ ფილოსოფიას, მარქსის ეკონომიურ თეორიას და მის მოძღვრებას კლასობრივი ბრძოლისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. რუსეთში ნეოკანტიანობის მომხრენი იყვნენ «ლევალური მარქსისტები», ესერები, მენშევიკები. რეაქციული ნეოკანტიანური ფილოსოფიის კრიტიკა ვ. ი. ლენინმა მოგვცა წიგნში «მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი». —562.
- 59 იხ. კ. მარქსი. «კაბიტალი», ტომი III, ნაწილი II. სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1959, გვ. 23. —580.
- 60 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XV, 1935, გვ. 428—433; ციტატი 429 გვერდზე. —591.
- 61 II ინტერნაციონალის შტუტგარტის კონგრესის (1907 წლის აგვისტო) რეზოლუციაში «მილიტარიზმი და საერთაშორისო კონფლიქტები», რომლის შემუშავებაშიც მონაწილეობას იღებდა ვ. ი. ლენინი, ნათქვამი იყო, რომ 1) მილიტარიზმი კლასობრივი ჩაგრვის მთავარი იარაღია; 2) აღნიშნული იყო ახალგაზრდობაში აგიტაციის ამოცანა; 3) ხაზგასმული იყო სოციალ-დემოკრატიის ამოცანა არა მარტო ებრძოლა ომების წარმოშობის წინააღმდეგ ან უკვე დაწყებული ომების რაც შეიძლება მალე შეწყვეტისათვის, არამედ იმისთვისაც, რომ გამოეყენებინა ომით შექმნილი კრიზისი ბურჟუაზიის დამხობის დასაჩქარებლად. ამის შესახებ უფრო დაწერილობით იხ. ვ. ი. ლენინის სტატიები «შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი» (თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 13, გვ. 81—90 და 91—105). —593.
- 62 «გერმანიის ინტერნაციონალური სოციალისტები» (J. S. D.) — მემარცხენე სოციალ-დემოკრატების ჯგუფი (ბორხარდტი და სხვ.), რომელიც გერმანიაში წარმოიშვა მსოფლიო იმპერიალისტური ომის (1914—1918) დასაწყისში. ჯგუფი «ინტერნაციონალი» შექმნეს მემარცხენე სოციალ-დემოკრატებმა მსოფლიო იმპერიალისტური ომის დასაწყისში; მას სათავეში ედგნენ კ. ლიბკნეხტი, რ. ლუქსემბურგი, ფრ. მერინგი, კ. ცეტკინი და სხვ. ეს ჯგუფები შეადგენდნენ გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში რევოლუციურ ოპოზიციას, რომელიც აშკარად გამოვიდა ომის წინააღმდეგ. —600.

- ⁴³ «ს პ ა რ ტ ა კ ი ს» კ ა ვ შ ი რ შ ი, რომელიც 1916 წლის იანვარში შეეკმნა, შევიდა ჩვეუი «ინტერნაციონალო», რომელსაც კ. ლიბკნეხტი, რ. ლუქსემბურგი, ფ. მერინგი, კ. ცეტინი და სხვ. ხელმძღვანელობდნენ. სპარტაკელები მასებში ეწოდნენ რევოლუციურ პროპაგანდას იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, ამხილებდნენ გერმანიის იმპერიალიზმის მტაცებლურ პოლიტიკას და სოციალ-დემოკრატიის ბელადების გამცემლობას. მაგრამ სპარტაკელები ვერ განთავისუფლდნენ ნახევრადმეწვევიური შეცდომებისაგან თეორიისა და პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებში. გერმანიის მემარცხენეთა შეცდომების კრიტიკა მოკემულია ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებში: «იუნისის ბროშურის შესახებ», «მარქსიზმის კარკატურისა და იმპერიალისტური ეკონომიზმის» შესახებ» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 385—405, და ტომი 23, გვ. 22—90). და სხვ. 1917 წლის აპრილში სპარტაკელები გერმანიის ცენტრისტულ დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში შევიდნენ, მაგრამ შეინარჩუნეს იქ თავიანთი ორგანიზაციული დამოუკიდებლობა. გერმანიაში 1918 წლის ნოემბრის რევოლუციის შემდეგ სპარტაკელებმა კავშირი გაწყვიტეს «დამოუკიდებლებთან» და იმავე წლის დეკემბერში დააარსეს გერმანიის კომუნისტური პარტია. —600.
- ⁴⁴ იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1950, გვ. 488—506; ციტატი 503 გვერდზე. —604.
- ⁴⁵ ლენინმა ეს ამონაწერი გააკეთა კ. კაუცკის სტატიიდან «რელიგია», რომელიც გამოქვეყნდა «Die Neue Zeit»-ში, გამოც. 32-ე წელი, 1913/1914 წწ., ტ. I, № 6, 7. XI. 1913 წ., გვ. 182—188 (სტატიის დასაწყისი) და № 10, 5. XII. 1913 წ., გვ. 352—360 (სტატიის დასასრული). —606.
- ⁴⁶ ეს ამონაწერი ლენინმა გააკეთა ანოტაციიდან მ. ვ. ოენგტონის სტატიაზე «ზანგების მდგომარეობა შეერთებულ შტატებში», რომელიც მოთავსებული იყო «Die Neue Zeit»-ში, 1914, ტ. I, გვ. 382—383 და იქვე 592 გვერდზე მოთავსებული ანოტაციიდან ი. მ. რაიმონდის სტატიაზე «ზანგთა საკითხი». —606.
- ⁴⁷ «მ ს ო ფ ლ ი ო ს ი ნ დ უ ს ტ რ ი უ ლ ი მ უ შ ე ბ ი» — აშშ პროფკავშირული ორგანიზაცია, დაარსდა 1905 წელს. ორგანიზაცია «მიმ» ცდილობდა პროფკავშირულ მოძრაობაში ჩაება არაკვალიფიციური და ნახევრადკვალიფიციური მუშების არაორგანიზებული მასები მიუხედავად მათი ეროვნული და რასობრივი წარმოშობისა, გამოდიოდა პროფკავშირების წყობის ამქრული პრინციპის წინააღმდეგ, კლასობრივი თანამშრომლობის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც «ამერიკის შრომის ფედერაციის» რეაქციონერი ლიდერები ახორციელებდნენ. მაგრამ «მიმ» პროლეტარიატის მასობრივი ორგანიზაცია ვერ გახდა; მასში არსებობდნენ სხვადასხვა მიმდინარეობანი, რომლებმაც 20-იან წლებში გამოეწვიეს ორგანიზაციის დაშლა. მიუხედავად ანარქო-სინდიკალისტური ხასიათის შეცდომების, ინდუსტრიული მუშების ორგანიზაციამ დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამერიკის პროფკავშირული მოძრაობის ისტორიაში.

- ამერიკის სოციალისტური პარტია — რეფორმისტული, ოპორტუნისტული პარტია; დაარსდა 1901 წელს. პირველი მსოფლიო ომის (1914—1918) წლებში პარტიის მემარჯვენე უმრავლესობა ამართლებდა იმპერიალისტურ ომს და მხარს უჭერდა ამერიკის იმპერიალიზმის პოლიტიკას. რევოლუციური უმცირესობა, რომელიც ინტერნაციონალისტურ პოზიციებზე იდგა, ომის წინააღმდეგ გამოდიოდა და, რუსეთში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენით, შექმნა მემარცხენე ფრთა, რომელიც 1919 წელს აშშ კომუნისტურ პარტიის შექმნის ინიციატორი და მისი ძირითადი ბირთვი გახდა. —606.
- 63 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XV, 1935, გვ. 134—137 და 88—95. —607.
- 66 ეს სტატია ჩაწებებული იყო «ომიკრონ» რვეულში 1916 წლის 10 ივლისის გაზეთ «Leipziger Volkszeitung»-დან ამონაჭრის სახით; სტატიის ავტორი ნაჩვენები არ არის. —617.
- 70 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I, 1950, გვ. 571. —619.
- 71 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1949, გვ. 275. —619.
- 72 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1949, გვ. 278. —619.
- 73 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1949, გვ. 285. —620.
- 74 თარიღი კ. მარქსის წერილისა «Die Neue Zeit»-ში მცდარია, უნდა იყოს: 1871 წ. 4 თებერვალი (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1953, გვ. 279). ციტატი 1871 წ. 16 იანვრის წერილიდან იხ. იქვე გვ. 278. —620.
- 76 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XIII, ნაწ. I, 1936 გვ. 364. —620.
- 78 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXVI, 1935, გვ. 368. —620.
- 77 თავის სტატიაში «ომის მიზნები» ფ. ადლერს მოჰყავს პრუსიის ლანდტაგის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის 1916 წლის 17 იანვრის განცხადება. —629.
- 78 პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ტროცკი ცენტრისტულ პოლიტიკას ეწეოდა, მხარს უჭერდა სოციალ-იმპერიალიზმს. ლენინს ცენტრიზმი მიაჩნდა ოპორტუნიზმის ყველაზე მავნე და საშიშ ნაირსახეობად, ვინაიდან დაფარული ოპორტუნისტები «ასჯერ უფრო მავნე და საშიში არიან მუშათა მოძრაობისთვის». ბოლშევიკი — ლენინელები შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდნენ ცენტრიზმის და მისი ნაირსახეობის — ტროცკიზმის წინააღმდეგ. ამხილებდა რა ტროცკისტული ლოზუნგის «არც გამარჯვება, არც დამარცხება» ნამდვილ არსს, ლენინი აღნიშნავდა, რომ ვინც მხარს უჭერს ამ ლოზუნგს ახლანდელ ომში, «ის შეგ-

ნებული თუ შეუგნებელი შოენისტია», «პროლეტარული პოლიტიკის მტერი ა», ბურჟუაზიის მომხრეა (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 21, გვ. 336). ტროცკისტები მარქსისტებად ინიღბებოდნენ, ამასთან რევოლუციურ მარქსიზმს ოპორტუნიზმით ცვლიდნენ, კაუცკია-ნური პოზიცია ეკავათ ომისა და რევოლუციის საკითხებში, წინააღმდეგი იყვნენ «თავის» ბურჟუაზიის დამარცხებისა იმპერიალისტურ ომში, იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევისა.

«სოციალისტური ყოველთვიური» («Sozialistische Monatshefte») — ეურნალი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტთა მთავარი ორგანო და საერთაშორისო ოპორტუნიზმის ერთ-ერთი ორგანო. მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს (1914—1918) სოციალ-შოენიზმის პოზიცია ეჭირა; გამოდიოდა ბერლინში 1897-დან 1933 წლამდე.

«Die Glocke» («ზარი») — ორკვირეული ეურნალი; მიუნხენში. ხოლო შემდეგ ბერლინში 1915—1925 წლებში სცემდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, სოციალ-შოენისტი პარკუსი (პელფანდი), გერმანიის იმპერიალიზმის აგენტი. —630.

- ⁷⁰ იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. II, 1936, გვ. 262—278. —633.
- ⁸⁰ იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXVI, 1935, გვ. 288. —634.
- ⁸¹ იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXVI, 1935, გვ. 292. —634.
- ⁸² თარიღი კ. მარქსის წერილისა («Die Neue Zeit»-ში მცდარია, უნდა იყოს: 1874 წ. 4 აგვისტო (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXVI, 1935, გვ. 369). —634.
- ⁸³ იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXVI, 1935, გვ. 368. —635.
- ⁸⁴ «Vorboten» («მაუწყებელი») — ეურნალი, ციმერვალდის მე-მარცხენე ჯგუფის თეორიული ორგანო; გამოდიოდა გერმანულ ენაზე ბერნში 1916 წელს. გამოვიდა ორი ნომერი: № 1—1916 წლის იანვარში და № 2—აპრილში. ეურნალში დაბეჭდილი იყო ვ. ი. ლენინის ნაშრომები: «ოპორტუნიზმი და II ინტერნაციონალის კრაზი», «სოციალისტური რევოლუცია და ერთა თვითგამორკვევის უფლება (თეზისები)» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც. ტომი 22, გვ. 125—141, 173—191). —638.
- ⁸⁵ იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXVII, 1935, გვ. 471. —638.
- ⁸⁶ იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXVII, 1935, გვ. 555. —639.

- 87 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1949, გვ. 458 — 459. —639.
- 88 კ. მარქსის ეს წერილი პირველად გამოქვეყნდა 1878 წელს ლიბკნეხტის წიგნის მეორე გამოცემაში (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XV, 1935, გვ. 381—382). —643.
- 89 გ რ ი უ ტ ლ ი - კ ა ე შ ი რ ი (Grütli — Verein) — ბურჟუაზიულ-რეფორმისტული ორგანიზაცია; დაარსებულია შვეიცარიაში 1838 წელს. 1901 წელს გრიუტლი-კაეშირი შევიდა შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის შემადგენლობაში, მაგრამ შეინარჩუნა თავისი ორგანიზაციული დამოუკიდებლობა; მსოფლიო იმპერიალისტური ომის (1914—1918) წლებში სოციალ-შოვინისტური პოზიცია ეკავა. 1916 წლის ნოემბერში შვეიცარიის ს.-დ. პარტიის ციურინხის ყრილობა გაემიჯნა გრიუტლი-კაეშირს, რადგან მისი სოციალ-შოვინისტური საქმიანობა ს.-დ. პარტიაში ყოფნასთან შეუთავსებლად ცნო.
- «Grütli aner» — გაზეთი, გრიუტლი-კაეშირის ორგანო; დაარსებულია ციურინხში 1851 წელს. ლენინი მას «მუშათა მოძრაობაში ბურჟუაზიის თანმიმდევარ და აშკარა მსახურთა გაზეთს» უწოდებდა. —646.
- 90 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, 2 გამოც., ტ. 7, გვ. 315—317; ციტატი 316 გვერდზე. —652.
- 91 ფ. ენგელსის წიგნი «პო და რაინი» გამოვიდა 1859 წელს ბერლინში იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, 2 გამოც., ტ. XIII, გვ. 233—281. —653.
- 92 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, 2 გამოც., ტ. 7, გვ. 295—307; ციტატები 303 და 301 გვერდებზე. —653.
- 93 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, 2 გამოც., ტ. 7, გვ. 446—450; ციტატი 471—472 გვერდებზე. —653.
- 94 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, 2 გამოც., ტ. 7, გვ. 224—237. —654.
- 95 სტატიაში «II ინტერნაციონალის კრახი» ვ. ი. ლენინი შეფასებას აძლევს ბრეისფორდის წიგნს «ფოლადისა და ოქროს ომი» და იყენებს ავტორის მიერ მოყვანილ ფაქტებს სოციალ-შოვინისტური თეორიების მხილებისათვის (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 21, გვ. 254 — 255). —657.
- 96 ლაპარაკია საზღვარგარეთ ინგლისის კაპიტალის მოქმედების სანქციონირებაზე მთავრობის მიერ. —672.
- 97 ამ რვეულის ტექსტი დაწერილია ნ. კ. კრუპსკაიას მიერ. ცალკეული სიტყვების ხაზგასმა, მოხაზვა და მონიშვნები კიდებზე, გვერდების ნუმერაცია მე-15 -მდე და ჩანაწერი გარეკანზე გაკეთებულია ვ. ი. ლენინის მიერ. (შრიტტების გამოყოფის შესახებ იხ. შენიშვნა 38). მე-15

- გვერდიდან, სადაც იწყება ამონაწერები სილის წიგნიდან (ამ ტომის გვ. 640), ვ. ი. ლენინის არავითარი მონიშვნა არ გაუკეთებია. —675.
- 98 კ. მარქსის 1851 წ. 11 სექტემბრის წერილიდან ვაიდემაიერისადმი. იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1949, გვ. 46—47. —676.
- 99 კ. მარქსის 1852 წ. 5 მარტის წერილიდან ვაიდემაიერისადმი. იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1949, გვ. 62. —677.
- 100 კ. მარქსის 1870 წ. 9 აპრილის წერილიდან ზიგფრიდ მაიერისა და ავგუსტ ფოგტისადმი. იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1949, გვ. 253—256. —680.
- 101 ამ რვეულის შემდეგი გვერდები ვ. ი. ლენინს აღარ დაუნომრავს (მომდევნო ნუმერაცია გაკეთებულია რედაქციის მიერ), და ამონაწერების ტექსტში მისი მონიშვნები არ არის. —681.
- 102 ძირითადი ტექსტი რვეულისა, რომელსაც ვ. ი. ლენინმა სათაურად გაუკეთა «იმპერიალიზმი», დაწერილია ნ. კ. კრუპსკაიას მიერ. ხაზგასმები ტექსტში, მონიშვნები კიდევებზე, ჩანაწერი გარეკანზე და რვეულზეა გვერდების ნუმერაცია გაკეთებული ვ. ი. ლენინის მიერ. (შრიფტების გამოყოფის შესახებ იხ. შენიშვნა 38). —693.
- 103 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXVII, 1935, გვ. 238—239. —697.
- 104 ეგელჰაფის წიგნი ვ. ი. ლენინმა მიიღო ციურხის საკანტონო ბიბლიოთეკაში. ვ. ი. ლენინის მონიშვნებით ორ მოსათხოვნ ბარათზე დაახლოებით ირკვევა, თუ როდის მუშაობდა იგი ამ წიგნზე. ეგელჰაფის წიგნი ვ. ი. ლენინმა გამოთხოვა 1916 წ. 4 აგვისტოს; ბიბლიოთეკამ უპასუხა, რომ შეუძლია მისცეს «ოქტომბრის ბოლოს». 4 ოქტომბერს ვ. ი. ლენინმა გამოითხოვა ამ წიგნის მეორე გამოცემა (1908 წლისა) და კვლავ იგივე პასუხი მიიღო. ამ წიგნზე მუშაობის თარიღი შეიძლება განეკუთვნოს 1916 წლის ოქტომბერ-ნოემბერს. —707.
- 105 «პ უ ნ ტ ო» — ჩინეთის სამხრეთი პროვინციების მკვიდრ მცხოვრებთა ჩინური სახელწოდება. პიუნუნერის ცხრილებში, საიდანაც ვ. ი. ლენინმა გააკეთა ამონაწერები, ჩინელებთან ერთად, «პუნტო» შეცდომით გამოყოფილი არიან როგორც ცალკე ეროვნება. —738.
- 106 კ ა რ ა ფ უ ტ ო — სახალისის სამხრეთი ნაწილის იაპონური სახელწოდება. —738.
- 107 დემორნიისა და ეგერის წიგნების კონსპექტები, რომლებიც შეტანილია ამ რვეულში, ვ. ი. ლენინმა შეადგინა მას შემდეგ, რაც დაწერა ნაშრომი «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია», ეტყობა, 1916 წლის ბოლოს ან 1917 წლის დამდეგს. —749.
- 108 სტატია, რომლის გეგმასაც ეს დოკუმენტი წარმოადგენს, როგორც ჩანს, არ დაწერილა. გეგმა განეკუთვნება 1912 ან 1913 წელს, დაწერილია

მომღევნო დოკუმენტთან ერთ ფურცელზე (იხ. ამ ტომის გვ. 764).
—763.

- 109 ავგუსტ ბებელის სტატია «Deutschland, Russland und die orientalische Frage» («გერმანია რუსეთი და აღმოსავლეთის საკითხი»), რომელიც დაბეჭდილია 1886 წელს ჟურნალ «Die Neue Zeits»-ში (გამოცემის მე-4 წელი, № 11), ვ. ი. ლენინმა, ალბათ, წაიკითხა ბუნდელ კონსოვის (მ. ი. ლევიანოსის) რეფერატთან დაკავშირებით. ეს რეფერატი წაიკითხა იქნა 1914 წლის ოქტომბრის ათიან რიცხვებში (იხ. ლენინის კრებული XIV, გვ. 132). —765.
- 110 ვ. ი. ლენინი ვარაუდობდა 1915 წ. ოქტომბრის ოციან რიცხვებში წაეკითხა რეფერატები ციურისსა და ენევეაში: «22-ს ციურისში, 20-ს ენევეაში», — სწერდა იგი ვ. ა. კარპინსკის ენევეაში (იხ. ლენინის კრებული XI, გვ. 184). რეფერატი ციურისში თემაზე «1915 წ. 5—8 სექტემბრის ინტერნაციონალური სოციალისტური კონფერენცია» წაიკითხულ იქნა 23 ოქტომბერს. აცნობებდა რა ენევეაში რეფერატის დღის დანიშვნის შესახებ, ვ. ი. ლენინი სწერდა: «თუ შეიძლება, დანიშნეთ 2 დღით წინ ან შემდეგ» (იქვე, გვ. 185). ენევეაში წასაკითხი რეფერატის თემა, ეტყობა, უფრო გვიან განისაზღვრა: «რეფერატზე მოგწერო ხვალ» (6 ოქტომბრის წერილი კარპინსკის; იქვე, გვ. 189). კონსპექტი «იმპერიალიზმში და ერთა თვითგამორკვევის უფლება», როგორც ჩანს, განეკუთვნება ენევეის რეფერატს, რომელიც ლენინმა 1915 წლის 28 ოქტომბერს წაიკითხა. —768.
- 111 ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფი ვ. ი. ლენინმა შექმნა პირველ საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა 1915 წლის 5—8 სექტემბერს (ახ. სტ.) ციმერვალდში (შვეიცარია). ამ კონფერენციას ლენინი უწოდებდა «პირველ მხარის ომის წინააღმდეგ ინტერნაციონალური მოძრაობის განვითარებაში. ბოლშევიკებს ლენინის მეთაურობით ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფში ერთადერთი სწორი პოზიცია ეჭირათ. ამ ჯგუფში არათანამიმდევარი ინტერნაციონალისტებიც იყვნენ; მათი შეცდომების კრიტიკა იხ. ვ. ი. ლენინის სტატიებში «იუნისუსის ბროშურის შესახებ», «შედეგები დისკუსიისა თვითგამორკვევის შესახებ» (თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 385—405, 406—459). —772.
- 112 სტრუვიზმი, «ლეგალური მარქსიზმი» — მარქსიზმის ბურჟუაზიულ-რეფორმისტული დამახინჩება. პ. ბ. სტრუვე და სხვა «ლეგალური მარქსისტები» ცდილობდნენ ბურჟუაზიის ინტერესებისათვის გამოეყენებინათ მარქსიზმის დროშა და მუშათა მოძრაობა. თავის ნაშრომებში ლენინმა გამოამჟღავნა სტრუვიზმში ჩანასახი საერთაშორისო ოპორტუნისმისა და რევიზიონისმისა, რომელმაც შემდეგში ბერძნული ენობისა და კაუცკელობის ფორმა მიიღო; მან დაგვანახვა სტრუვიზმის კანონზომიერი ევოლუცია ბურჟუაზიულ ნაციონალ-ლიბერალიზმამდ. მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს სტრუვე რუსეთის იმპერიალიზმის ერთ-ერთი იდეოლოგი იყო; ინიღბებოდა რა მარქსისტული ფრანკოლოგია, იგი იცავდა სოციალ-შოვინიზმს, ამართლებდა მძარცველურ ომს, ანექსიებსა და ეროვნულ ჩაგვრას ყალბი ნაბაბით, რომ «ჩემი ქვეყნის გამარჯვება დააჩქარებს იქ კაპიტალიზმის განვითარებას

და, მამასადამე, სოციალიზმის დადგომასაცო» (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 21, გვ. 259 დ სხვ.). —772.

- 118 ე. ე ე ი ლ ი — გერმანელი სოციალ-დემოკრატი, რევოიონისტი, ელზასში დაბადებული; იმპერიალისტური ომის დროს ფრანგების მხარეს გადავიდა და მოხალისედ შევიდა საფრანგეთის არმიაში; ამისათვის გერმანიაში პარტიიდან გარიცხეს, დეპუტატის რწმუნებები ჩამოართვეს და დეზერტირად გამოაცხადეს. —775.
- 114 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს შემდეგი ნაშრომები: სტატიები G. Paish. «Greatt Britain's Capital Investments in Individual Colonial and Foreign Countries» (ჯ. პეიში. «დიდი ბრიტანეთის კაპიტალის დაბანდებანი ცალკეულ კოლონიურ და უცხო ქვეყნებში») «Journal of the Royal Statistical Society». Vol. LXXIV, Part 2, I. 1911. Pp. 167—187 («სამეფო სტატისტიკური საზოგადოების ჟურნალში». ტომი LXXIV, ნაწ. 2, იანვარი 1911 წ., გვ. 167—187) (იხ. ლენინის კრებული XXVII, გვ. 443—447 და ეს ტომი, გვ. 388—391) და წიგნი: B. Garms «Probleme der Weltwirtschaft». Jena, 1912. (ბ. გარსი. «მსოფლიო მეურნეობის პრობლემები». იენა, 1912). (იხ. ლენინის კრებული XXVII, გვ. 203—219, XXVIII, გვ. 391 და ეს ტომი, გვ. 281—288). —777.
- 116 ე. ფილიპოვიჩის სტატია «Monopole und Monopolpolitik» («მონოპოლიები და მონოპოლური პოლიტიკა») დაბეჭდილი იყო კარლ გრიუნდერგის «Archiv für die Geschichte des Sozialismus und der Arbeiterbewegung»-ში («სოციალიზმისა და მუშათა მოძრაობის ისტორიის არქივი»), ტომი VI, 1916, გვ. 157—174. —787.
- 116 სტატია «იმპერიალიზმი და სოციალიზმის გათიშვა» ვ. ი. ლენინმა დაწერა 1916 წლის ოქტომბერში; იგი დაიბეჭდა იმავე წლის დეკემბერში «სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» № 2-ში (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 23, გვ. 130—151). —789.
- 117 ლ ო ი დ-ჯ ო რ ჯ ი ზ მ ს ლენინი უწოდებდა ბურჟუაზიულ სისტემას, ფართო მშრომელი მასების დამუშავების მათი მომხრობის მიზნით, რისთვისაც გამოიყენებოდა «სისტემა პირმოთნეობისა, სიცრუისა, თაღლითობისა, ახალმოდის და პოპულარული სიტყვებით ჟონგლიორობისა, ყოველგვარი რეფორმისა და სიყვითის დაპირებასა მარჯვნივ და მარცხნივ მუშებისათვის, — ოლიანდ კი მათ უარი თქვან რევოლუციურ ბრძოლაზე ბურჟუაზიის დასამბობად» (თხზულებანი, 4 გამოც., ტ. 23, გვ. 147). ამ სისტემამ თავისი სახელწოდება მიიღო გამოჩენილი ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწის ლიოდ ჯორჯის (1863—1945) სახელისაგან. ლენინის დახასიათებით, ეს «პირველხარისხოვანი ბურჟუაზიული საქმოსანი და პოლიტიკური გაიკვერა, პოპულარული ორატორი» შესანიშნავად ემსახურებოდა ბურჟუაზიას, ატარებდა მის გაელენას პროლეტარიატში, მოწყალებას აძლევდა მორჩილ მუშებს წვრილმანი რეფორმების სახით. —791.
- 118 თ ე ზ ი ს ე ბ ი ი მ პ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი ს ა და ე რ ო ვ ნ უ ლ ი ჩ ა გ ვ რ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ ა, რომლებსაც ხელს აწერდა პოლონეთის სოციალ-დემოკრატიული ოპოზიციის ორგანოს «გაზეტა რობო-

ტნიჩას რედაქცია, გამოქვეყნებული იყო ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის მარქსისტულ ჟურნალ «მაუწუებლის» («Vorboten») № 2-ში 1916 წლის აპრილში. კონსპექტი ლენინის მიერ გაყვთევალია ამ ჟურნალის ტექსტის მიხედვით. (იხ. ლენინის სტატია «შედეგები დისკუსიონის თვითგამორკვევის შესახებ». თბზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 406—459). —792.

- 119 ის დოკუმენტი, როგორც ჩანს, წარმოადგენს იმპერიალიზმისადმი რევოლუციური მარქსიზმისა და ოპორტუნისზმის დამოკიდებულების საკითხზე სტატიის თუ რამდენიმე სტატიის გეგმას. ამ გეგმის დასაწყისი მთლიანად შეესაბამება ვ. ი. ლენინის სტატიის — «იმპერიალიზმი და სოციალიზმის გათიშვა» (იხ. თბზულებანი, 4 გამოც., ტომი 23, გვ. 130—151) ტექსტს. დაისახა რა ამოცანად დაადგინოს კავშირი იმპერიალიზმსა და ოპორტუნისზმს შორის მუშათა მოძრაობაში, ლენინი გეგმაშიც და სტატიამაც აკრიტიკებს ოპორტუნისზმის ყველაზე გამოჩენილ წარმომავლ დევნელს ვ. კაუციუსს. იგი გვიჩვენებს «სოციალ-შოვინიზმის განუყოფელ ისტორიულ კავშირს ოპორტუნისზმთან, აგრეთვე მათს იდეურ-პოლიტიკურ ერთნაირ წინააღმდეგობას» (იქვე, გვ. 130). სტატიაში «იმპერიალიზმი და სოციალიზმის გათიშვა» ლენინს მთელი ვეგმა არ ამოუწურავს. ამას მოწმობს მითითება სტატიის ბოლოში: «შემდგომ სტატიაში ჩვენ ვეცდებით შევაჯამოთ ამ [მარქსისტული. რ ე დ.] ხაზის მთავარი განმასხვავებელი თავისებურებანი კავსელობისადმი დაპირისპირებით» (იქვე, გვ. 151). —793.

- 120 ლაპარაკია, როგორც ჩანს, ვილჰელმ ლიბკნეხტის შეცდომებზე (მერყეობა ნაციონალ-ლიბერალიზმისაკენ), რომლებიც მან დაუშვა 1864—1870 წლებში, როდესაც დასასრულს უახლოვდებოდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დამთავრების ეპოქა გერმანიაში, ამ რევოლუციის ხ ე ვ ი დ ა ნ დამთავრების ამა თუ იმ წესისათვის პრუსიისა და ავსტრიის ექსპლოატატორული კლასების ბრძოლის ეპოქა. ლენინი აღნიშნავდა, რომ იმ დროს «მარქსი არა მარტო ჭიკბავდა ლასალს, რომელიც ბისმარკს ელაქუეებოდა, არამედ უსწორებდა ლიბკნეხტსაც, რომელიც «ავსტროფილობას» იჩენდა და პარტიკულარიზმს იცავდა; მარქსი მოითხოვდა რევოლუციურ ტაქტიკას, რომელიც თანაბარი ულ-მობლობით შეებრძოლებოდა ბისმარკსაც და ავტროფილებსაც» (თბზულებანი, 4 გამოც., ტომი 21, გვ. 80, აგრეთვე გვ. 130 და 374). ვ. ლიბკნეხტის შეცდომების გამოყენებას ცდილობდნენ მენშევიკები და სხვა ნაციონალ-ლიბერალები იმისათვის, რომ გაეშართლებინათ თავიანთი შოვინისტური პოზიცია 1914—1918 წწ. იმპერიალისტური ომის პერიოდში. —793.

- 121 ახასიათებდა რა ოპორტუნისზმის განვითარებას საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიაში, ლენინმა ცხადყო კანონზომიერება მისი გადაზრდისა სოციალ-შოვინიზმად 1914—1918 წლების იმპერიალისტური ომის დროს. სტატიაში «ოპორტუნისზმი და II ინტერნაციონალის კრახი» ხაზგასმულია, რომ 1889—1914 წლების ოპორტუნისზმისა და პირველი მსოფლიო ომის ეპოქის სოციალ-შოვინიზმის კლასობრივი სარჩული და პოლიტიკური წინაარსი საერთო და ერთიანია: აღნიშნულია ბურჟუაზიის ლაქიების კავშირი კაპიტალის მაგნატებთან მუშათა კლასის წინააღმდეგ, კლასების თანამშრომლობა და ხელის აღება რევოლუციასა და პროლეტარიატის დიქტატურაზე. «ს ო ც ი ა ლ-შ ო ვ ი ნ ი ზ მ ი ბ ი რ დ ა

პირი გაგრძელება და დამთავრებაა ინგლისურ-რელიგიურალური მუშათა პოლიტიკისა, მიღებული რანონისა და ბერნშტეინელოზისა» (თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 22, გვ. 131). —794.

122 მილიერანიზმი — ოპორტუნისტული მიმდინარეობა, რომელსაც ასე ეწოდა ფრანგი სოციალისტის მილიერანის სახელის მიხედვით, რომელიც 1899 წელს საფრანგეთის რეაქციულ ბურჟუაზიულ მთავრობაში შევიდა და ეხმარებოდა ბურჟუაზიას მისი პოლიტიკის გატარებაში. —794.

